განათლება
GANATLEBA

საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი 2012 №2(5)

Georgia Technical University

თბილისი 2012
Tbilisi

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University
Грузинский технический университет

განათლება №2 (5)

Ganatleba №2(5)

Ганатлеба №2(5)

თბილისი Tbilisi Тбилиси
2012

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით (ოქმი №7)

სარედაქციო საბჭო:

ბორის იმნაძე – სრ. პროფესორი, მთავარი რედაქტორი
თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი – სრ. პროფესორი, რედაქტორის მოადგილე
ელისაბედ კოზლოვა - ასოც. პროფესორი, პასუხისმგებელი მდივანი
ჟანეტა ვარძელაშვილი – თსუ, პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ჩინგიზ ბედალოვი – პროფესორი
კონსტანტინე რამიშვილი – პროფესორი, სგმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
გოჩა მიქიაშვილი – პროფესორი, სტუ არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი
ზურაბ ჩაჩხიანი – სრ. პროფესორი
ელისაბედ ხახუტაშვილი – ასოც. პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რედაქციის მისამართია: 0175, თბილისი, კოსტავას ქ. 77
e-mail: boris151132@rambler.ru
web-გვერდის მისამართი: http://newsletters.gtu.ge

ფასი სახელშეკრულებო
ტირაჟი 500

ISSN №1512-102X

სარჩევი/ Content /Оглавление

პედაგოგიკა – Pedagogics – Педагогика

ლიანა გედევანიშვილი. საგანმანათლებლო თამაშების როლი სასწავლო პროცესში 12
Liana Gedevanishvili. The role of educational games in the process of study . . . . . .
Лиана Гедеванишвили. Роль образовательных игр в учебном процессе . . . . . .

ქეთევან ვარდანაშვილი. ინოვაცია როგორც განათლების განვითარების ფაქტორი 15
Ketevan Vardanashvili. Innovations as a factor for educational development . . . . . .
Кетеван Варданашвили. Педагогическая инноватика как фактор обновления образования . . . . . .

მარიამ ვარდიაშვილი. სამეცნიერო ნაშრომის წყაროების მოძიება და დამუშავება 18
Mariam Vardiashvili. Searching and processing of the sources of scientific paper . . . . . .
Мариам Вардиашвили. Поиск и обработка источников научного труда . . . . . .

მარიამ ვარდიაშვილი. როგორ ავიცილოთ თავიდან პლაგიატი 24
Mariam Vardiashvili. How to get rid of plagiarism . . . . . .
Мариам Вардиашвили. Как избежать плагиата . . . . . .

ლარისა ჩხეიძე. ხალხური ცეკვა დრამატულ და საოპერო-საბალეტო სპექტაკლებში . .
Larissa Chkheidze. Folk Dance in Drama and Opera-Ballet Performances . . . . . .
Лариса Чхеидзе. Грузинский народный танец на профессиональной сцене 29

ოლღა კალანდარიშვილი. ფონეტიკური შეცდომები ქართველი სტუდენტების რუსულ მეტყველებაში 34
Olga Kalandarishvili. Mistakes of Georgian students in Russian speech caused by phonetic interference . . . . . .
Ольга Каландаришвили. Ошибки, вызваниые фонетической интерференцией в русской речи студентов грузин . . . . . .

ნანა ნოზაძე, მაია ბარბაქაძე, ქეთევან ჭკუასელი. პედაგოგიური ფსიქოლოგია გრაფიკული დისციპლინების სწავლების სამსახურში 36
N. Nozadze, M. Barbakadze, K. Chkuasely. Pedagogical psichology in servise of learning of grafic disciplines . . . . . .
Н.В. Нозадзе, М.Ю. Барбакадзе. К.Т. Чкуасели. Педагогическая психология в службе изучении графических дисциплин . . . . . .

ნანა ნოზაძე, რომეო გოგალაძე, ქეთევან ჭკუასელი. საინჟინრო გრაფიკის კონკრეტული ამოცანების ამოხსნის გზები 40
Nana Nozadze, Romeo Gogaladze, Nino Chkuaseli. Ways of specific engineering graphics tasks solution . . . . . .
Нана Нозадзе, Ромео Гогаладзе, Нино Чкуасели. Пути решения конкретных задач инженерной графики . . . . . .

ნანა ნოზაძე, ქეთევან ჭკუასელი, მაია ბარბაქაძე. საინჟინრო გრაფიკის სწავლება პედაგოგიური პრინციპების გათვალისწინებით 44
Nana nozadze, Nino Chkuaseli, Maia Barbakadze. The study of engineering graphics by taking into account the pedagogical principles . . . . . .
Нана Нозадзе, Нино Чкуасели, Маиа Барбакадзе. Обучение инженерной графике с учётом педагогических принципов . . . . . .

ფილოლოგია – Филология – Philology

თ. ბონდარენკო. რთული წინადადება და რუსების მსოფლმხედველობა (ა. ბელის შემოქმედების მიხედვით) . . . . . .
T. Bondarenko. Dificult Sentence and World Vision of the Russian (by A. Bely) . . . . . .
Бондаренко Т. А. Сложные предложения и картина мира русских (на материале романов А. Белого) 47

A.F Gakhramanova. The lexacal and semantic disparities in the translation of "the russian house" . . . . . .
А.Ф. Гахраманова. Лексико-семантические несоответствия в переводе романа д.л.карре «русский дом» 49

ასმათ ევსაია. არავერბალური საშუალებები დიალოგურ მეტყველებაში 52
Asmat Evsaia. Nonverbal means in dialogue speech . . . . . .
Асмат Евсаиа. Внеречевые факторы в диалогической речи . . . . . .

თამარ მებუკე. ინტერტექსტუალური კავშირები, როგორც ლიტერატურული ტრადიციის გაგრძელების ასახვა . . . . . .
Tamar Mebuke. Intertextual Relations as Expression of Continuity in Literary Tradition (From Virgil to Modernist Literature. Part II Dante) 55
Тамар Мебуке. Интертекстуальные связи как отражение приемственности в литературе . .

თამარ ნატროშვილი. ინტერტექსტუალურობის პრობლემა პუბლიცისტურ ლიტერატურაში 61
Tamar Natroshvili. The Problem of Intertextuality in Political Journalism . . . . . .
Тамар Натрошвили. Проблема интертекстуальности в публицистической литературе . . .

ეკატერინე შაკიაშვილი. ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორის რეალიზაცია გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეში“ 65
Ekaterine Shakiashvili. The individual – metaphor of autor The realization of Giorgi leonidze's "The Tree of Wishes" . . . . . .
Экатерне Шакиашвили. Реализация Индивидуальной – авторской метафоры Георгия Леонидзе в "Дерево желаний" . . . . . .

ეკატერინე შაკიაშვილი. ევფემისტური მეტაფორის როლი გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეში“ 69
Ekaterine Shakiashvili. The role of metaphor evpemist of Giorgi leonidze's "The Tree of Wishes" . . . . . .
Экатерне Шакиашвили. Роль евфемической метафоры Георгия Леонидзе в "Дерево желаний" . . . . . .

მამუკა შელეგია. ქართული ტრაგიკომედია 73
Matuka Shelegia. Georgian tragicomedy . . . . . .
Мамука Шелегия. Грузинская трагикомедия . . . . . .

გ. ჩიკოიძე. ქართული ზმნური სუპერ-პარადიგმა როგორც საფუძველი ამ ერთეულთა კლასიფიკაციისათვის 77
G.Chikoidze. The regular Georgian verbal super-paradigm, as a basis of classification of these units . . . . . .
Г. Чикоидзе. Регулярная грузинская глагольная супер-парадигма, как основа классификации этих единиц . . . . . .

ხათუნა ჭანიშვილი. ფანტასმების ქალაქი 87
Khatuna Chanishvili. The city of phantasms . . . . . .
Хатуна Чанишвили. Город фантомов . . . . . .

თემურ ჯაგოდნიშვილი. ტარიელ ჭანტურიას ენობრივი სამყაროს თავისებურებანი 90
T. Jagodnishvili. Tariel Chanturia's Linguistic World . . . . . .
Т. И. Джагоднишвили. Языковый мир Тариела Чантурия . . . . . .

ერიკო ჰაიაში (იაპონია). „ჩანაწერები კულტურის განსაზღვრის შესახებ“ გადაკითხვა 105
Eriko Hayashi. Rereading of "Notes towards the Definition of Culture" . . . . . .
Эрико Хайяши (Япония). Перечитывая «Записки об определении культуры» . . . . . .

ჟურნალისტიკა – Journalizm – Журналистика

ქ. გიორგობიანი. მკს-ს თავისებურებანი და ეთიკური პრობლემები თანამედროვე ეპოქაში 110
K. Giorgobiani. Mass communication Peculiarities and Ethic Problems in Modern Epoch . . . . .
К.Гиоргобиани.Своеобразие и этические проблемы средств массовой коммуникации современном мире . . . . . .

მანანა დათუკიშვილი. ჟურნალი "თავისუფალი საქართველო" /1921 – 1922/ 114
Manana Datukishvili. Journal "Free Georgia" . . . . . .
М. Датукишвили. Журнал "Тависупали Сакартвело» . . . . . .

თინათინ ზაქარაშვილი. მედიასფეროს აუდიტორიის თავისებურებანი 120
Zakarashvili Tinatin. Character of the multi channel media audience . . . . . .
Закарашвили Тинати. Свойства аудитории многоканальной медиасферы . . . . . .

გიორგი იაკობაშვილი. ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის მიმართება ნიკო ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის ტექსტების მიხედვით 124
Giorgi Yakobashvili. About journalism and publicism according to Niko Nikoladze, Ilia Chavchavadze . . . . . .
Георгий Иакобашвили. Журналистика и публицустика по текстам Нико Николадзе и Ильи Чавчавадзе . . . . . .

E. Kozlova. Language of media in the light of the theory of mass communication . . . . . .
Е.П. Козлова. Язык СМИ в свете теории массовой коммуникации 130

გოჩა ტყეშელაშვილი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პედაგოგიური პოტენციალის მეცნიერული რეალიზაციის საფუძვლები 134

Mzia Gudushauri. Linguistic aspects of translation in the activities of journalists . . . . . .
Мзия Гудушаури. Лингвистические аспекты перевода в деятельности журналиста 137

ივ. ჯაგოდნიშვილი. „ჟურნალისტიკის სოციოლოგიის" სტატუსისა და საგნის შესახებ 141
Iv. jagodnishvili. Journalism Sociology about Subjects and Status . . . . . .
Иване Джагоднишвили. О статусе и предмете «Социологии журналистики» . . . . . .

<u>საზოგადოებრივი მეცნიერებანი – Social sciences –Общественные дисциплины</u>

ლილი ბიბილაშვილი. უმაღლესი მენეჯმენტის მართვის სტილის გავლენა ორგანიზაციაზე 145
Lili Bibilashvili. The influence of management style of senior management on the organization .
Лили Бибилашвили. Влияние стиля управления высшего руководства на организацию . . .

ლილი ბიბილაშვილი. შიდა პიარის როლი კომპანიის იმიჯის ჩამოყალიბებაში . . 149
Lili Bibilashvili. The role of internal PR in formation of company image . . . . . .
Лили Бибилашвили. Роль внутреннего ПР в формировании имиджа компании . . . . . .

გობეჯიშვილი ეკატერინე. მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები 153
Gobejishvili Ekaterine. The Mechanisms of State Support for Small and Medium Entrepreneurship . . . . . .
Екатерина Гобеджишвили. Механизмы государственной поддержки малого и среднего бизнеса . . . . . .

ნანა კოტეტიშვილი. ინვესტიციები და საინვესტიციო პროცესის დახასიათება . . . 156
Nana Kotetishvili. Investments and Description of the Investment Process . . . . . .
Н. Котетишвили. Инвестиции и характеристика инвестиционного процесса . . . . . .

მანანა მაღრაძე, თამარ ჯიქურაშვილი. ფასიანი ქაღალდები, სახელმწიფოს წინსვლის მთავარი მექანიზმი 161
M. Magradze, T. Djikurashvili. Securities, as the main mechanism for development of the state . . . . . .
М. Маградзе, Т. Джикурашвили. Ценные бумаги, как главный механизм развития государства . . . . . .

ლია მეტრეველი, დალი ზერაგია. აგრესია 166
Lia Metreveli, Dali Zeragia. Aggression . . . . . .
Л. Метревели, Д. Зерагия. Агрессия . . . . . .

ლია მეტრეველი. ბავშვის სოციალიზაცია 176
Lia Metreveli. Children's Socialization . . . . . .
Л. Метревели. Социализация ребенка . . . . . .

ლია მეტრეველი. თვითმკვლელობა – სუიციდი საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა . . . 181
Lia Metreveli. Suicide . . . . . .
Л. Метревели. Суицид . . . . . .

ჯამბულ ნაჭყებია. დემოკრატიაზე გადასვლა-ტრანზიტოლოგიური მითი თუ რეალური პროცესი? 187
Jambul Natchkebia. Transition to Democracy-Myth of Transitology or Real Process? . . . . .
Джамбул Начкебия. Переход к Демократии- Миф Транзитологии или реальный процесс .

ქეთევან საგანელიძე. ქართული საზოგადოებრივი აზრი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და ომისადმი ქართველი ერის დამოკიდებულების შესახებ 193
Qetevan Saganelidze. Georgian social conception about the beginning of the I world War and about the defendence two the War of Georgian nation . . . . . .
Кетеван Саганелидзе. Мнение грузинской общественности и отношение грузигской нации к началу Первой Мировой Войне . . . . . .

ელისაბედ ხახუტაშვილი. საზოგადოებასთან ურთიერთობის აუდიტორიის არაერთგვაროვანი და მულტიკულტურული ბუნება 197
E. Khakhutashvili. The diversity of public relations audience and multikultural nature . . . . .
Е. Хахуташвили. Неоднородная и мультикультурная природа аудитории связи с общественностью . . . . . .

ლევან ჯიქიძე. საფონდო ბირჟების ამოცანები და სტრუქტურა 201
L. Djikidze. Purpose and structure of stock exchanges . . . . . .
Л. Джикидзе. Задача и структура фондовых бирж . . . . . .

არქიტექტურა – Architectura – Архитектура

ნინო იმნაძე, მაია დავითაია. „ახალი კლასიკის“ გამოვლენის თავისებურება XX–XXI საუკუნის ქართულ არქიტექტურაში 207
Nino Imnadze, Maia Davitaia. “New Classic” in the architecture of the Georgia XX-XXI century . . . . . .
Нино Имнадзе, Маия Давитаия. Выявление особенности “Новой Классики” в архитектуре Грузии XX-XXI века . . . . . .

მედეა მელქაძე. არჩილ ქურდიანი. ქ. თბილისის “დინამო”-ს სტადიონის სისტემური ანალიზი ისტორიულ კონტექსტში 214
M. Melkadze, A. Kurdiani. System Analysis of the Tbilisi “Dynamo” stadium in a historic context . . . . . .
М. Мелкадзе, А. Курдиани.Системный анализ Тбилисского стадиона «ДИНАМО» в Историческом контексте . . . . . .

მ. სუხიტაშვილი, გ. ბერიძე. ზემო სვანეთის მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის განვითარების უზრუნველმყოფი საკომუნიკაციო სისტემები 221
M. Sukhitashvili, G. Beridze. The Communication Systems Providing Development of Massive Recreation and Tourism in the Upper Svaneti . . . . . .
М. Сухиташвили. Г. Беридзе. Коммуникационные системы, обеспечивающие развитие массового отдыха и туризма в Верхней Сванетий . . . . . .

მ. სუხიტაშვილი, გ. ბერიძე. სეისმური რისკისა და სხვა სტიქიურ მოვლენათა გათვალისწინება ზემო სვანეთის რაიონის ურბანული დაგეგმარებისა 229
M. Sukhitashvili, G. Beridze. Considering Seismic Risk and Other Natural Disasters for Urban Planning of the Upper Svaneti . . . . . .
М. Сухиташвили Г. Беридзе. Выявление и определение рисков сейсмики и других стихийных бедствий, при планировке и решении градостроительных вопосов районов туризма и массового отдыха Верхней Сванетий . . . . . .

ირინე წულაძე. როტერდამის არქიტექტურული სკოლა 236
Irine Tsuladze. Rotterdam Architectural School . . . . . .
Ирине Цуладзе. Ротердамская архитектурная школа . . . . . .

თინათინ ხიმშიაშვილი. ლანდშაფტური არქიტექტურა და კლიმატის ცვლილებები 242
Tinatin Khimshiashvili. Landscape Architecture and Climate Modifications . . . . . .
Тинатин Химшиашвили. Ландшафтная архитектура и изменения климата . . . . . .

მაია ჯავახიშვილი, ბელა თინიკაშვილი. ბიოკლიმატური არქიტექტურა 246
M. Djavakhishvili, B. Tinikashvili. Bioclimatic Architecture . . . . . .
М.Джавахишвили, Б. Тиникашвили. Биоклиматическая архитектура . . . . . .

პავლე ძინძიბაძე. მე-20 საუკუნის შუა პერიოდის თბილისი GENIUS LOCI 255
P. Dzindzibadze. Tbilissi in the midell of the 20 century . . . . . .
П. Дзиндзибадзе. Тбилиси середины 20-го века . . . . . .

საბუნებისმეტყველო დისციპლინები – Science – Естествоведческие дисциплины

მალხაზ ბიბილური. კონტაქტური მოვლენები 260
Malkhaz Bibiluri. Contact Phenomena . . . . . .
Малхаз Бибилури. Контактные явления . . . . . .

ეკა ელერდაშვილი. სახსრული ოთხკუთხედების კონფიგურაციული სივრცის ბიფურკაციული დიაგრამა . . . . . .
Eka Elerdashvili. The bifurcation diagram of configuration spaces of quadrilateral lincages . . 265
Эка Элердашвили. Бифуркационная диаграмма конфигурационных пространств шарнирных четырехугольников . . . . . .

ე. მ. ზერაგია, ლ. კ. დარჩიაშვილი, ზ.ბ. ჩაჩხიანი. არათანაბარმოდულიანი მაგნიტური სტრუქტურისარსებობის შესაძლებლობა მეტალურ პეროვსკიტებში . . . . . .
Zeragiya E.M., Darchiashvili L.K., Chachkhiani Z.B. "On the possible existence of magnetic unit uneven structures in metallic periostitis" . . . . . .
Зерагия Э. М., Дарчиашвили Л. К, Чачхиани З. Б. О возможности существования неравномодульных магнитных структур в металлических перовскитах 269

ნ. თავაძე, ო. კეთილაძე, მ. ჩიხლაძე. ფიზიკური საქანის იძულებითი რხევა 277
N.G. Tavadze, O.G. Ketiladze, M.N. Chikhladze. Forced oscillations of physical pendulum . . .
Н.Г. Тавадзе, О.Г. Кетиладзе, М.Н. Чихладзе. Вынужденные колебания физического маятника . . . . . .

გიორგი კირცხალია. კომპიუტერული ქსელის იმიტაციური მოდელის შედგენის საკითხების შესახებ 280
Kirtskhalia G.T. About construction of Computer network imitation model . . . . . .

ლ.შანქიშვილი. ჩებიშევ-ერმიტის უტოლობების ანალოგები სინქრონული ფუნქციის შემთხვევაში და მათიგამოყენება . . . . . .
L. Shankishvili. Analogs of Chebychev-Ermyt's inequalities in the event of synchronous functionand use of them . . . . . .
Л. Шанкишвили. Аналогии неравенств Чебышева-Эрмита в случае синхронных функций и их приложения 284

ზურაბ ჩაჩხიანი, ლერი კოკილაშვილი, ლალიტა დარჩიაშვილი. პარამაგნიტური იონი კრისტალურ ველში 287
Z. Chachkhiani, L. Kokilashvili, L. Darchiashvili. Paramagnetic ions in the crystalline field . .
З.Б. Чачхиани, Л.Г. Кокилашвили, Л.К. Дарчиашвили. Парамагнитные ионы в кристаллическом поле . . . . . .

გიორგი ჩუბინიძე, ია ყურაშვილი, ზურაბ ჩაჩხიანი, მალხაზ ბიბილური. ბორით ლეგირებისა და თერმული დამუშავების გავლენა მონოკრისტალური გერმანიუმის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე 292
G.Chubinidze, I.Kurashvili, Z.Chachkhiani, M.Bibiluri. Influence of boron doping and thermal treatment on physical-mechanical properties of monocrustalline germanium . . . . . .
Г.Г.Чубинидзе, И.Р.Курашвили, З.Б.Чачхиани, М.В.Бибилури. Влияние легирования бором и термической обработки на физико-механические свойства монокристаллического германия . . . . . .

ГРАЖДАНИН, ПЕДАГОГ, УЧЕНЫЙ

Исполнилось 80 лет Бедалову Чингизу Абульфас оглу – академику Академии образовательных наук Грузии, доктору педагогических наук, профессору, Заслуженному учителю Азербайджана, известному специалисту в области методики преподавания русского языка, более пятидесяти лет своей жизни посвятившего благородной миссии – служению науке, подготовке научно-педагогических и учительских кадров.

В 1961 году Ч.А.Бедалов защитил в Москве кандидатскую диссертацию на тему «Развитие речи учащихся восьмилетней азербайджанской школы в связи с изучением типов простого предложения русского языка». В 1967 году в возрасте 35 лет защитил там же докторскую диссертацию на тему «Основные вопросы преподавания синтаксиса и пунктуации русского языка в восьмилетней азербайджанской школе» и стал первым в Азербайджане доктором педагогических наук по специальности «Методика преподавания русского языка». С 1969 года Ч.А.Бедалов является профессором, с 1968 года по 2003 год заведовал кафедрой методики преподавания русского языка и литературы в Бакинском славянском университете, с 2008 по 2012 год руководил лабораторией психолингвистики Азербайджанского университета языков.

В 1981 году ему было присвоено почетное звание «Заслуженный работник высшей школы Азербайджанской Республики» (ныне «Заслуженный учитель Азербайджана»). С 1991 по 1993 год он работал проректором по научной работе АПИРЯЛ им. М.Ф.Ахундова. Ч.А.Бедалов является автором свыше 170 печатных трудов, в том числе 8 монографий, программ, учебников и методических руководств по русскому языку для средней азербайджанской школы, программ и учебников по методике преподавания русского языка для студентов-русистов. Многочисленные работы Ч.А.Бедалова опубликованы в странах дальнего и ближнего зарубежья: в Германии, Польше, Словакии, Болгарии, России, Грузии, Киргизии и т.д. Ученым внесен

большой вклад в развитие научно-педагогического потенциала Азербайджанской Республики, подготовку высокопрофессиональных научно-педагогических кадров.

По приглашению Министерства образования ученый читал лекции в Берлинском университете им. Гумбольдта, преподавал русский язык в Геттингенском университете, а также на курсах русского языка в Чехии. В 2007 году в Москве вышел в свет подготовленный Институтом русского языка им. А.С.Пушкина «Лингводидактический энциклопедический словарь». В данный словарь включены биографические сведения о научно-педагогической деятельности азербайджанского ученого – профессора Ч.А. Бедалова.

Весьма значителен вклад Ч.А. Бедалова в работу журнала «Русский язык и литература в Азербайджане».

В 1981 году вышел из печати его фундаментальный труд «Методика преподавания русского языка в азербайджанской школе».

Внимания заслуживают такие его монографии, как «Развитие речи учащихся-азербайджанцев в связи с изучением синтаксиса и пунктуации простого предложения» (Баку, 1969), «Развитие речи учащихся-азербайджанцев в процессе изучения сложных предложений русского языка» (Баку, 1973) и другие.

В июле 2000 года за большой вклад в развитие педагогической науки, укрепление научных связей, сорокалетнее плодотворное сотрудничество с учеными Грузии профессор Ч.А. Бедалов на общем собрании Академии педагогических наук Грузии единогласно был избран ее академиком. Он в течение пятидесяти лет поддерживает творческие связи со многими известными учеными-педагогами, научными учреждениями Грузии.

В Грузии профессора Ч.А. Бедалова знают как автора большого количества фундаментальных трудов в области педагогической науки. Только в последнее время он опубликовал в различных грузинских изданиях свыше десяти трудов, принял участие в работе ряда международных научных конференций, которые проводились Академией образовательных наук Грузии и различными университетами.

Профессор Ч.А. Бедалов подготовил для Грузии несколько докторов и кандидатов наук и таким образом содействовал развитию педагогической науки республики. И это закономерно, так как профессор Ч.А. Бедалов является учеником выдающегося грузинского ученого-русиста. Заслуженного деятеля науки, профессора М.В.Канкава, который в 1958-1960 годах был его научным руководителем и дал ему путевку в науку.

Деятельность профессора Ч.А. Бедалова способствует дальнейшему развитию научных, творческих, дружеских связей с учеными Грузии, обогащению науки новыми теориями и концепциями, повышению эффективности подготовки научно-педагогических кадров, обмену учебной и научной литературой.

Редколлегия журнала сердечно поздравляет Ч.А. Бедалова с юбилеем и желает ему крепкого здоровья, творческого долголетия и дальнейших успехов на благо образования и науки.

პედაგოგიკა – Pedagogics – Педагогика

საგანმანათლებლო თამაშების როლი სასწავლო პროცესში

ლიანა გედევანიშვილი (დოქტორანტი)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

თამაში, როგორც ადამიანის მიერ გარემოს შემეცნების მარტივი და ახლობელი საშუალება, ყველაზე ბუნებრივი და დასაშვები გზაა ამა თუ იმ ცოდნის დაუფლებისა და უნარ-ჩვევების შეძენისათვის.

თამაშის წარმომავლობის შესწავლა მნიშვნელოვან როლს წარმოადგენდა მრავალი ასეული წლების განმავლობაში. თამაშების საერთო თეორიის პროექტის შემუშავების საწყისი დაკავშირებულია შილერის და სპენსერის შრომებთან. მნიშვნელოვანი წვლილი ზემოხსენებული თეორიის განვითარებაში შეიტანეს ფროიდმა, პიაჟემ, შტერნმა, დიუიმ, ფრომმა, ჰაიზინგამ და სხვებმა.

ა.ნ. ლეონტიევმა თავის ნაშრომში „სკოლამდელი თამაშების ფსიქოლოგიური საფუძვლები“ აღწერა ბავშვთა თამაშის როლი, სადაც აღნიშნა, რომ ბავშვის ძირითადი საქმიანობის დროს წარმოიქმნება ერთის მხრივ, წინააღმდეგობა ბავშვის მიერ მოქმედი საგნების მიმართ სპონტანურად აღმოცენებულ მოთხოვნილებასა და მეორეს მხრივ, ამ უკვე კონკრეტიზებული მოთხოვნილების უშუალოდ დაკმაყოფილებას შორის. ბავშვს აქვს სურვილი თვითონ მართოს ავტომობილი, წაიყვანოს ნავი, მაგრამ არ შეუძლია ამის გაკეთება, რადგან ვერ ფლობს და არც შეუძლია ამ ქმედებისათვის საჭირო ოპერაციების შესწავლა. ეს წინააღმდეგობები ბავშვებში შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ერთადერთი ტიპის ქმედებაში, კერძოდ თამაშების წარმოების დროს.

მხოლოდ თამაშებში შეიძლება მოცემული ოპერაციების და პირობების სხვა ოპერაციებით და პირობებით შეცვლა ისე, რომ არ შეიცვალოს თვით ქმედების შინაარსი.

თამაშის საკითხების კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული როგორც ფსიქოლოგიური, ასევე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. ფსიქოლოგების რჩევაა გაკვეთილის ფორმად თამაშის სხვადასხვა მეთოდების შემოტანა გაკვეთილზე მოსწავლეთათვის ამა თუ იმ საკითხისადმი გაუცხოების აღსაკვეთად. მას შემდეგ, რაც ბავშვი ობიექტურ სინამდვილეს აღმოაჩენს, იგი ჯერ პერცეპტულისა და მერე დაფლობის ინტერესის ზეგავლენით ამ ახალ სინამდვილეში შეჭრას ცდილობს. ამის გამო სულ უფრო და უფრო უახლოვდება ობიექტთა სამყაროს. ამასთან ერთად მუდმივი კონტაქტი ადამიანთან მისი ორგანიზმის მოტორული ფუნქციების განვითარებას უწყობს ხელს: გამუდმებული წაბაძვის წყალობით, რაც დრო გადის, მით უფრო მტკიცესა და შეუმცდარ მოძრაობებს ახერხებს. თუმცა საინტერესოა ის, თუ რატომ გვირჩევენ ფსიქოლოგები გაკვეთილის ფორმად თამაშის მეთოდებს და არის თუ არა ის ბავშვის ფსიქიკაში „ღრმად ჩაფლული ფენომები?“.

ნებისმიერ საგანმანათლებლო თამაშს აქვს მკვეთრად გამოხატული გასართობი ხასიათი, თუმცა ეფექტურად შემუშავებულ თამაშს შესაძლოა ეწოდოს „ფსევდო გასართობი“, რადგან მოთამაშე დაინტერესებულია გაიაროს

თამაშის ყველა დონე ისე, რომ მიაღწიოს გამარჯვებას და სასურველ შედეგს, რაც თავისთავში გულისხმობს სწავლების ფარულ სტიმულაციას.

თამაშის მიზანია:

- შემეცნებითი ფსიქიკური ფუნქციების განვითარება;
- სიტუაციის გაანალიზება და გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარება;
- კლასში კარგი ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- საკუთარი განცდების, ფიქრების და სურვილების გაზიარება სხვებისათვის;
- განტვირთვა და დაძაბულობის მოხსნა.

თამაში არის ადამიანის საქმიანობის არაპროდუქტიული სახეობა, რომლის მოტივაცია მდგომარეობს არა მის შედეგებში, არამედ პროცესში. კაცობრიობის ისტორიაში იგი გადაჯაჭვული იყო მაგიასთან, საკულტო ქცევებთან, მჭიდროდ უკავშირდება სპორტს, სამხედრო და სხვა ვარჯიშებს, ხელოვნების ცალკეულ დარგებს. თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა აღზრდის, სწავლების და განვითარების საქმეში, როგორც მომავალი ცხოვრებისეული სიტუაციებისადმი მათი ფსიქოლოგიური მომზადების საშუალებას.

ბავშვი თამაშში სწავლობს საკუთარ შესაძლებლობებს, ცალკეულ ქცევებს, სოციალურ როლებს. თამაში ქცევის სხვა ფორმისგან იმითაც განსხვავდება, რომ თამაშის სიტუაციაში მხოლოდ ჯილდო არსებობს, სასჯელი – არა. სავარაუდოა, რომ ამგვარი უსაფრთხო, დადებითი ემოციური ფონი არის იმის ერთ-ერთი პირობა, რომ თამაში გამოცდილების შეძენის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა. ეს ყველაფერი მიგვითითებს, რომ დადებითი ემოციები, უსაფრთხო სიტუაცია და თავისუფალი მოქმედება ხელს უწყობს დიდი ინფორმაციის შემოქმედებითად გადამუშავებას.

თამაში არის ქცევის ფორმა, რომელიც ყველაზე ბუნებრივია ბავშვისათვის. ამ დროს იგი მაქსიმალურად ავლენს თავის შესაძლებლობებს და, ამასთან, მაქსიმალურად ექვემდებარება ზეგავლენას.

ადამიანის ადაპტაცია, შეგუება გარემოსთან შეიძლება პირობითად რამდენიმე სფეროდ დავყოთ:

1. თვითშეფასება – შეხედულება საკუთარ თავსა და შესაძლებლობებზე;

2. კომუნიკაციის სტილი – ის გზები და საშუალებანი, რომლითაც მყარდება ურთიერთობა სხვა ადამიანებთან;

3. ქცევის წესები, კანონები, ტრადიციები – ისინი დიდად არის განპირობებული კონკრეტული საზოგადოებით, სოციუმით.

ყოველივე ამას ბავშვი ითვისებს სწორედ თამაშის დროს; მათი გამომუშავება, განვი-თარება ხდება თამაშის პროცესში.

ბევრი ევროპული ფილოსოფოსი და კულტუროლოგი ხედავს კულტურის წყაროს ადამიანის თამაშის უნარში. ამ აზრით, იგი კულტურის წარმოშობის წინაპირობაა (გადამერი, ფინკი, ჰაიზინგა), თამაშის სტიქიაში ადამიანი რადიკალურად სხვა როლშია იმ როლებისგან განსხვავებით, როცა ფანტაზიორობას არ მიმართავს. XIX ს-ში ეს აზრი ბევრმა მეცნიერმა აიტაცა და თამაშის ფენომენმა კულტუროლოგთა ძლიერი ინტერესი გამოიწვია. სარტრის მოსაზრებით, ადამიანს ორი არჩევანი აქვს – იყოს არარაობა ან ითამაშოს. ნიდერლანდელი მეცნიერისთვის, იოჰან ჰაიზინგასათვის კულტურა თავისუფალი და პატიოსანი თამაშია, თამაში კულტურის ფენომენია და არა ბიოლოგიური, ამიტომ კულტუროლოგიური თვალსაზრისით უნდა გაანალიზდეს. ადამიანის პირვანდელი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი სახეობები მასთანაა გადაჯაჭვული. ჰაიზინგას ნაშრომის „ომო უდენს“-ის („მოთამაშე

ადამიანი“) ძირითადი თეზისი ასაბუთებს კულტურის თამაშისეულ ხასიათს და შრომის საპირისპიროდ, თამაშს კულტურის შემქმნელ ფაქტორად განიხილავს. ის ინდივიდისათვის სოციალურად მნიშვნელოვანია მასში მყოფი საზრისის, გამომხატველობითი ღირებულების გამო, ამიტომ შრომაზე უფრო მეტადაა ადამიანური კულტურის მაფორმირებელი ელემენტი – ადამიანმა გარემოს შეცვლის აქტი ჯერ საკუთარ ფანტაზიაში, თამაშის სფეროში განახორციელა. ჰაიზინგას თვალსაზრისით, თამაში კულტურაზე უფროსია, წინ უსწრებს და ქმნის მას. კულტურა სწორედ თამაშის ფორმით იქმნება, იგი თავიდან გათამაშდება. კულტურის გენეზისის კონცეფციას თამაშის საფუძველზე თანამედროვე კულტუროლოგიაში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს (ფინკი, ი. გასეტი, ჰესე და სხვ.).

ჩვენმა საუკუნემ ჰაიზინგას ძალიან ბევრი მიმდევარი გაუჩინა. ჰოლანდიელი კულტუროლოგის და მეცნიერის მტკიცებულებებმა ცხადი ფორმა შეიძინა ინტერნეტის ეპოქაში, იქ, სადაც უამრავ ინფორმაციასთან ერთად, უამრავმა თამაშმა დაიპყრო მთელი ვირტუალური სივრცე. თამაში შეიჭრა ყველგან და მისი მომხმარებელი გახდა ყველა თაობა, როგორც დასაქმებული, ასევე – დაუსაქმებელი.

ვირტუალური სივრცე თამაშისთვის, ანუ იმისთვის, რისთვისაც ჰაიზინგას მტკიცებით, მოწოდებულია ადამიანი და მისი ბუნება, იდეალური ადგილია. აქ სრულყოფილ სახეს იძენს ცხოვრების ყველა ფორმა.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თამაშის რაციონალურად აგება, ორგანიზაცია და გამოყენება სწავლების პროცესსა თუ აღზრდაში დეტალურ შესწავლას საჭიროებს.

ლიტერატურა
References

1. გრძელიშვილი თ. დიდაქტიკური თამაშობანი. დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა. 1988, №2, გვ. 17-22.
2. კახიანი დ. და ბერიშვილი თ. თამაში, როგორც ფსიქოთერაპიის მეთოდი. 1988, №2, გვ. 11-15.
3. კოტეტიშვილი ი. თამაშის ფუნქციონალური ტენდენციის თეორია. აღზრდა, სწავლება, განვითარება. 1988, №1-4, გვ. 3-9.
4. მაჩაბელი ქ. თამაში, როგორც ბავშვის ცხოვრების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა, „დაწყებითი სკოლა“, 1976, №3, გვ. 27-33.
5. უზნაძე დ. „განწყობის ფსიქოლოგია“, 1966 და „ბავშვის ფსიქოლოგია“, 1947.
6. Выготский Л.С. Проблемы возрастной периодизации детского развития// Вопросы психологии, 1972, №2, стр. 114-129.
7. Жуковская Р.И. Игры и их педагогическое значение, М., Педагогика, 1975, 27 стр.
8. Леонтьев А.Н. «Психологические основы дошкольной игры», М., 1980.
9. Макаренко А.С. «О воспитании молодежи». Игра. Сборник избр. педаг. произведений (2-е издание) под общ. ред. Г.С. Макаренко. Москва, 1951.
10. Петровский А.В. Возрастная и педагогическая психология. М., 1973, 288 стр.
11. Gardner Howard. “The theory of multiple intelligences”, 1983.
12. Huizinga Johan. “Homo Ludens” or “Man the player”, 1938, 300p.
13. Klein Melanie Reizes. “The Psychoanalysis of children”, volume 2, London, Hogar the Press, 1921-1945.
14. Squire K. and Giavanetto L. The higher education of gaming elearning, 2005, 4, pp. 6-44.
15. Vygotsky L.S. Mind in Society: The development of higher psychological processes. Cambridge, MA: Harvard University Press. 1978, 150p.

The role of educational games in the process of study

Liana Gedevanishvili
Georgian Technical University
77, Kostava str., Tbilisi, Georgia

The offered paper deals with the role of educational games in the process of study. The game as the simple tool of environment cognition by the human is the most natural and acceptable way of acquirement of one or another knowledge and of acquisition of skills.

In this paper the attention is focused on the aim of the game, by means of which is possible the development of cognitive psychical functions, case analysis and development of decision-making skills, establishment of good relations in the class, sharing of own feelings and desires with others, relaxation and stress relief.

Proceeding from this fact the composition, organization and application of the game in the process of study or in the education requires detailed study.

Роль образовательных игр в учебном процессе

Лиана Гедеванишвили
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава 77

В предложенной статье речь идет о роли образовательных игр в учебном процессе. Игра, как простое средство познания человеком окружающей среды, является самым естественным и приемлемым путем для овладения теми или иными знаниями и приобретения навыков.

В работе заострено внимание на цели игры, с помощью которой возможно развитие познавательных психических функций, анализ ситуации и развитие навыка принятия решения, формирование хороших взаимоотношений в классе, обмен собственными переживаниями и желаниями с другими, расслабление и снятие напряжения.

Исходя из этого, рациональное построение, организация и использование игры в учебном процессе или воспитании требует детального изучения.

ინოვაცია როგორც განათლების განვითარების ფაქტორი

ქეთევან ვარდანაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამჟამად სახელმწიფო პოლიტიკაში აქცენტი კეთდება სტრუქტურის მოდერნიზაციასთან და განათლების შინაარსთან, მის მართვასთან, პედაგოგიური კადრების პროფესიონალიზმის ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემების კარდინალურ გადაჭრასთან. სავსებით ნათელია, რომ ეს ყველაფერი შეუძლებელია მეცნიერული კვლევების ფრონტის გაფართოებისა და ინოვაციური დამუშავებების კომპლექსთან. ინოვაციები – განათლების განვითარების ფაქტორია. განათლების თეორიტიკოსები მას განიხილავენ როგორც საზოგადოებრივი პრაქტიკის დამოუკიდებელ ფორმას (საქმიანობას, ორგანიზაციის სტრუქტურებისა და მართვის მექანიზმების სისტემა), განსაკუთრებულ სოციალურ ინფრასტრუქტურას, რომლითაც გამსჭვალულია

ყველა სხვა სოციალური სფეროები, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ორგანიზმის მთლიანობას, ხოლო მეორე მხრივ – წარმოადგენს მისი ისტორიული განვითარების მძლავრ რესურსს.

თუ ვისაუბრებთ ინოვაციის არსზე როგორც სოციალურ მექანიზმზე, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ იმპულსს, არამედ დასაბამს აძლევს განვითარების საშუალებას, მაშინ აუცილებელია შესწავლილი იქნას განსხვავებულ სოციალურ სისტემებთან ინოვაციის ურთიერთქმედების კანონზომიერებები.

როგორც წესი, ინოვაციები წარმოიშობიან ტრადიციული პრობლემების ახალი ხერხებით გადაწყვეტის ცდების შედეგად, დაგროვების ხანგრძლივი პროცესისა და ფაქტების გაცნობიერების შედეგად, სწორედ მაშინ იბადება ახალი თვისება, რომელიც ნოვატორული აზრის მატარებელია. ინოვაციების უმეტესობა არის მემკვიდრეობით კავშირში ისტორიულ გამოცდილებასთან და აქვს ანალოგები წარსულში. ეს გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ინოვაციური პროცესი – ესაა მოტივირებული, მიზანმიმართული და შემოქმედებითი პროცესი შესაქმნელად, ასათვისებლად, გამოსაყენებლად და ახალი იდეების გასავრცელებლად (თეორიები, მეთოდები, ტექნოლოგიები) მოცემული აქტუალური და ადაპტირებული პირობებისათვის და განსაზღვრული კრიტერიუმების შესატყვისებისათვის.

ჯერ კიდევ 50-იანი წლების ბოლოს გერმანიაში, ამერიკაში, ინგლისში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში გაჩნდა პედაგოგიური სიახლეების შემსწავლელი ცენტრები, გამოვიდა სოციალური პედაგოგიური გამოცემები, რომლებიც ეძღვნებათ ახალშემონაღებებს განათლების სფეროში („Information at innovation en education", Education in the United states" და სხვა.)

აუცილებელია აღინიშნოს, რომ უცხოურ პედაგოგიკაში ჩვენთან შედარებით, ინოვაციის კვლევები უმეტესად ატარებენ პრაგმატულ, და აქედან გამომდინარე, ემპირიულ ხასიათს (ა. ნიკოლსის, ჯ. ვასეტის, ა. ადამსის და სხვათა შრომები). ამ ნაშრომებში არის არა მხოლოდ ინოვაციური პროცესების თეორიულად დასაბუთების მცდელობა, არამედ პრაქტიკაში მათ ასათვისებლად პრაქტიკული რეკომენდაციების მოცემის მცდელობაც.

ამერიკელი და ინგლისელი პედაგოგების მიერ ხდება (ნ. ვარნეტი, დ. გამილტონი, ნ. გროსი, ნ. დიკინსონი, გ.მაილზი, ა. ხაბერმანი და სხვები) შემდეგი საკითხების გაანალიზება: ინოვაციური პროცესების მართვა; განათლებაში ცვლილებების ორგანიზაცია; ინოვაციური პროცესების თეორია და რეალობა; შეისწავლება ინოვაციური პროცესების პირობები, რომლებიც აუცილებელია ინოვაციის ცხოველქმედობისათვის; ინოვაციის პლანირება ცოდნების გამოყენებისა და გავრცელების საშუალებით; ინოვაციის რეკლამირების ხერხები; ფაქტორები და წყაროები, აგრეთვე სხვადასხვა სახის დაბრკოლებები მათი ათვისებისა და გავრცელების გზაზე.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ა. ნიკოლსის ნაშრომი „პედაგოგიური ინოვაციებით მართვა", რომელშიც საკმაოდ დეტალურადაა გააზრებული ინოვაციური პროცესების მმართველობის ასპექტები. ავტორი გამოყოფს ინოვაციური საქმიანობის ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა სიახლის არჩევა, მისი შემოღება, მხარდაჭერა და შეფასება. ახალშემონაღებებში განსაკუთრებით ანალიზდება ადამიანური ფაქტორისა და გარემოს როლი.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში გახდა ინოვაციური პროცესები დაჟინებული შესწავლის საგანი (ე. დნეპროვი, მ. ბაშმაკოვა, ტ. კოვალება, ა. ხუტორსკოი, ნ. იუსუფბეკოვა და სხვა)

საქართველოში რიგი ნამუშევრებისა მიეძღვნა საგანმანათლებლო პროცესში უახლესი პედაგოგიური ტექნოლოგიების დანერგვას (ც. გორდეზიანი, ნ. გამყრელიძე, რ. მოსიძე, გ. ჩაჩანიძე, კ. ნანობაშვილი, ი. ბასილაძე, მ. ახვლედიანი და სხვები)

განსაზღვრავენ რა ინოვაციურ პროცესს როგორც საკვანძო ცნებას პედაგოგიურ ინოვაციაში, ავტორები განათლებაში ინოვაციურ პროცესებს განიხილავენ სამ ძირითად ასპექტში: სოციალურ-ეკონომიური, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და ორგანიზაციულ-მმართველობითი. მათი აზრით, ამ ასპექტზეა დამოკიდებული საერთო კლიმატი და პირობები, რომლებშიც წარმოიშობიან ინოვაციური პროცესები. არსებულ პირობებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან წინააღმდეგობაში მოვიდნენ ინოვაციურ პროცესთან. უკანასკნელს შეუძლია ჰქონდეს როგორც სტიქიური, ისე მართვადი ხასიათი. არ შეიძლება არ დაეთანხმო ა. ხუტორსკოის დასკვნას „სიახლეების შემოღება – ეს, პირველ ყოვლისა არის ცვლილებების ხელოვნური და ბუნებრივი პროცესების მართვის ფუნქცია".

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინოვაციური პროცესის სამი შემადგენლის ერთიანობა: შექმნა, ათვისება და გამოყენება. სწორედ ასეთი სამშემადგენლიანი ინოვაციური პროცესი წარმოადგენს ყველაზე ხშირად შესწავლის საგანს პედაგოგიურ ინოვაციაში, განსხვავებით მაგალითად დიდაქტიკისაგან, სადაც მეცნიერული კვლევის ობიექტად გვევლინება სწავლების პროცესი.

დღეს ინოვაციური ცვლილებები მიდის იმ მიმართულებით, როგორიცაა განათლების ახალი შინაარსის ფორმირება; სწავლების ახალი ტექნოლოგიების დამუშავება და რეალიზაცია, მათ შორის ინფორმაციების; როგორც მასწავლებლების ისე მოსწავლეების საქმიანობის სახეობებში და აზროვნების სტილში ცვლილებები; საშუალო და უმაღლესი რგოლების ალტერნატიული სასწავლო დაწესებულებების შექმნა და განვითარება.

Innovations as a factor for educational development

Ketevan Vardanashvili

The author, based on foreign experience of introduction the novelties in education system, discusses the innovation process as a motivated, aimed and conscious process for creating, mastering and using the pedagogical theories, methods and technologies, as an actual, adapted for given conditions and conformable to some criteria. Research of innovation process in education has shown several theoretical-methodological problems: correlation of traditions and innovations; content and stages of innovation cycle; dependence of different subjects of education through innovation; control with innovations.

Педагогическая инноватика как фактор обновления образования

Кетеван Варданашвили

Опираясь на зарубежные нсследования педагогической инноватики, автор характеризует ее ключевые понятия, рассматриваем различные подходы к классификации и типологии нововведений.

სამეცნიერო ნაშრომის წყაროების მოძიება და დამუშავება

მარიამ ვარდიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

სამეცნიერო თემის შერჩევის შემდეგ უნდა გამოკვეთოთ საკვლევი პრობლემა, ჩამოაყალიბოთ თეზისი და მოიძიოთ წყაროები, რადგანაც ნაშრომის წერა იწყება წინა კვლევის ანგარიშით. შეიძლება შეხვდეთ ისეთ წყაროს, რომელიც პირდაპირ თქვენს თემას ეხება, ნუ გადაიწყვეტთ იმედს, თუ მასალას საგულდაგულოდ შეისწავლით, აუცილებლად იპოვით ახალ სათქმელს.

არსებობს სამი ტიპის წყარო: პირველადი, მეორეული, მესამეული. პირველადი წყარო არის ის მასალა, რომელზედაც უშუალოდ წარმართავთ კვლევას. ეს შეიძლება იყოს დოკუმენტები, ლიტერატურული, მხატვრული ან რაიმე სხვა სახის მასალა, სადაც ადამიანის კულტურის კვალია აღბეჭდილი. ნათარგმნი პირველად წყაროდ არ მიიჩნევა. მეორეული წყაროები არის ის სამეცნიერო შრომები, რომლებიც თქვენი საკვლევი თემის გარშემო შეიძლება მოიძიოთ. ისინი მოგითხრობენ შესაბამის სფეროში წარმართული კვლევის შედეგებზე და ამ კვლევებში თავად ეყრდნობიან პირველად წყაროებს. მათ უნდა გაეცნოთ იმისთვის, რომ გაიგოთ, რა საკითხებია უკვე გამოკვლეული და რა შეიძლება იყოს მათში ისეთი, რაც გაგიმტკიცებთ მეცნიერულ კვლევას, ან პირიქით, ეწინააღმდეგება თქვენს თვალსაზრისს. თუ უთითებთ რომელიმე მეცნიერის სტატიას იმისთვის, რომ გაამყაროთ არგუმენტაცია, ეს ნაშრომი თქვენთვის იქნება მეორეული წყარო, მაგრამ თუ სწავლობთ და იკვლევთ ამ მეცნიერის შემოქმედებას, მაშინ იგივე სტატია თქვენთვის პირველადი წყაროა. არსებობს კიდევ წიგნები, სტატიები (მაგ., საენციკლოპედიო), რომლებიც მეორეულ წყაროებს ეფუძნება. მათ უწოდებენ მესამეულ წყაროებს, ისინი აჯამებენ და განმარტავენ კვლევის შედეგებს რომელიმე სფეროში და პოპულარულად გადმოსცემენ. ეს წყაროები განკუთვნილია ძირითადად არასპეციალისტი მკითხველისთვის, ან მისთვის, ვინც სამეცნიერო შრომის დასაწყის ეტაპზე იმყოფება და ჯერ ზოგადი სურათის წარმოსახვა ესაჭიროება. მესამეული წყაროები საკითხის უფრო ღრმად შესწავლის დონეზე აღარ გამოიყენება.

როგორ მოიძიოთ წყაროები? რას მიმართოთ პირველ რიგში, ტექსტებს თუ კრიტიკულ ლიტერატურას? ზოგიერთმა მკვლევარმა კარგად იცის ტექსტი და მისთვის საინტერესოა კრიტიკული ლიტერატურა, ზოგიერთებს კი, პირიქით, კრიტიკული ლიტერატურის გაცნობით სურთ გაერკვნენ რთულად წასაკითხ ტექსტებში. ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ საერთო წარმოდგენის შესაქმნელად, თავდაპირველად აიღებთ ორ-სამ მნიშვნელოვან გამოკვლევას, შემდეგ, ისევ მიუბრუნდებით ძირითად ტექსტს. თუ თემა მოძებნეთ აკადემიურ გამოცემაში (წიგნში ან სტატიაში), გზამკვლევი უკვე გაქვთ. მიჰყევით სქოლიოებს, ბიბლიოგრაფიას და თქვენთვის საინტერესო საკითხზე წყაროები იქიდან ამოიწერეთ. სხვა შემთხვევაში, მიმართეთ მესამეულ წყაროებს - ზოგადი ხასიათისა და დარგობრივ ენციკლოპედიებს, მოძებნეთ ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში, ან ჩაიხედეთ თემატურ კატალოგში. ყველაფერი ეს შეგიძლიათ ნახოთ ბიბლიოთეკაში, ან თქვენი საკვლევი თემის გარშემო

სხვადასხვა ინფორმაცია ინტერნეტით მოიძიოთ (არსებობს ინტერნეტული ენციკლოპედიებიც - "ბრიტანიკა", "ვიკიპედია" და სხვა).

მასალის მოძიებისას უნდა დააკვირდეთ, პასუხობს თუ არა მოცემული წყარო თქვენს საკვლევ პრობლემას, რამდენად სანდოა და ახალია, ვის მიერ არის მოწოდებული, არსებობს თუ არა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხვა წყაროებიც (რაც უფრო მეტ წყაროს მოიპოვებთ და მათ შედარებით ანალიზს მოახდენთ, მით უფრო სანდოდ და დასაბუთებულად ჩაითვლება თქვენი ინფორმაცია).

წყაროების მოსაძიებლად უნდა ესტუმროთ ბიბლიოთეკას. თბილისში ყველაზე ცნობილია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თუმცა ყველა სასწავლო და სამეცნიერო ცენტრს აქვთ თავიანთი ბიბლიოთეკები. მაგ., არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, მეცნიერებათა აკადემიის, ისტორიისა და ეთნოლოგიის, ხელნაწერთა, ლიტერატურისა და არქეოლოგიის ინსტიტუტების ბიბლიოთეკები, სადაც სამეცნიერო წიგნები ინახება. ბიბლიოთეკის ვესტიბიულში განთავსებულია ყუთები, რომლებშიც ჩაწყობილია ბარათები, მათზე წიგნების სახელწოდებებია თავ-თავისი ნომრით. აქ ყველა წიგნი დანომრილია, რათა ადვილად მოიძებნოს. უნომრო წიგნი უმისამართო სახლია: თუ ის თავის მისამართზე არ დაბრუნდა, ჩათვალეთ, რომ დაკარგულია.

კატალოგები სამგვარია: ერთ კატალოგში წიგნებს მათი ავტორის მიხედვით მოძებნით, მას ანბანურ კატალოგს უწოდებენ. თუ წიგნის ავტორი არ იცით, ნუ დაღონდებით, მიმართეთ საგნობრივ კატალოგს. ხელში უნდა გეჭიროთ კალამი და საგანგებო ფურცელი, რათა წიგნების სახელწოდებები და ნომრები ამოიწეროთ. ასეთი ფურცლები ყველა ბიბლიოთეკაშია. იგი სწორად და გარკვევით უნდა შეავსოთ. წიგნის სახელწოდებისა და ნომრის გარდა ზედ იწერება თქვენი გვარი, ბილეთის ნომერი და თარიღი. ამ წარწერებით შევსებული ფურცელი ჩაიგზავნება საცავში, სადაც წიგნს პროფესიონალი მოძებნის და გარკვეულ დროში წიგნი თუ წიგნები თქვენს სამუშაო მაგიდაზე აღმოჩნდება. არ დაგავიწყდეთ მესამე ტიპის კატალოგიც, რომელიც პერიოდულ გამოცემებს, კერძოდ, ჟურნალებს მოგაძებნინებთ. გახსოვდეთ, შესაძლოა, ჟურნალში დაბეჭდილი სტატია უფრო გამოგადგეთ, ვიდრე მთელი წიგნი, რადგანაც იგი ყოველთვის კონკრეტულია, ერთ რომელსამე კერძო საკითხს ეხება და ამიტომ მეტი სიღრმე აქვს.

ხშირად ხდება ისიც, რომ ბიბლიოთეკაში წიგნის მოძიება ჭირს. ასეთ შემთხვევაში, უნდა მიმართოთ ბიბლიოთეკარს, რომლისთვისაც ნებისმიერი წყაროს მოძებნა იოლია და, ამავე დროს, კარგად არიან გარკვეულნი ამა თუ იმ საკითხში. თქვენ ისეთი შეკითხვა უნდა დაუსვათ, რომ ზუსტად მოძებნონ ის, რაც გჭირდებათ.

დიდი ბიბლიოთეკების დადებითი მხარე ის არის, რომ მათი სამკითხველო დარბაზები აღჭურვილია საცნობარო ლიტერატურით, რომლებიც საცავში კი არ არის, არამედ დარბაზში დევს. ესენია: ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ატლასები და, ხშირად, ახლად შემოსული წიგნები თუ პერიოდული გამოცემები. კვლევის დროს თქვენთვის საჭირო ლიტერატურის მოძებნაში დახმარებისთვის მიმართეთ ექსპერტს, იმ ადამიანს, ვინც მუშაობს შესაბამის სფეროში, ყველაზე მეტად ის შეძლებს თქვენს დაკვალიანებას. იმისათვის, რომ შეხვედრა იყოს ნაყოფიერი, წინასწარ მოამზადეთ კითხვები, კარგად ჩამოაყალიბეთ, რა გაინტერესებთ, რას ეძებთ. წიგნს მრავალჯერ დაუბრუნდებით, შეხვედრა კი მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ.

ადამიანებთან გასაუბრებაც შეიძლება იყოს თქვენი პირველადი წყარო, საიდანაც შეძლებთ შესაბამისი ინფორმაციის მოძიებას. ასე მუშაობენ ეთნოგრაფები (ხალხთა ყოფის შემსწავლელი მეცნიერები), ფოლკლორისტები (ხალხური შემოქმედების მკვლევრები) და ხშირად ისტორიკოსებიც. ინტერვიუს ჩამორთმევას კარგი მომზადება სჭირდება. შეკითხვები წინასწარ უნდა მოიფიქროთ, რომ სწორედ ის ინფორმაცია მოიპოვოთ, რომელსაც ეძებთ. არსებობს სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც ზეპირი ისტორიების შეგროვებით არიან დაკავებულნი და ქმნიან ასეთი ინფორმაციის არქივებს. თქვენი მიზანია არა მარტო ინფორმაციის შეგროვება, არამედ მათი ერთმანეთთან შეჯერება და საკუთარი დასკვნის გამოტანა. ამისთვის კი საჭიროა წყაროების ანალიზი, რომლის დროსაც ორი მთავარი მომენტია მნიშვნელოვანი: დაიცვათ სიზუსტე და თითოეული მათგანი კრიტიკულად განიხილოთ.

ზოგჯერ სამეცნიერო ნაშრომში ვხვდებით ძალიან დიდი რაოდენობით წყაროების მიმოხილვას. თუ კრიტიკულად არ განიხილავთ წყაროს და მხოლოდ ცნობების სწრაფად ამოკრებას ცდილობთ, რომ მკითხველს აჩვენოთ, თუ რა რაოდენობის ლიტერატურა წაიკითხეთ, ასეთი სტატია გამოუსადეგარია და ხშირად მავნებელიც. მას მხოლოდ ბიბლიოგრაფიული მიზნით თუ წაიკითხავენ. გახსოვდეთ:

- ერთი კარგი წყარო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრი საშუალო;
- კარგი წყაროს ერთი შემაჯამებელი გადმოცემა ხანდახან უფრო ღირებულია, ვიდრე თავად ეს წყარო.

წყაროების შეფასება საკმაოდ რთული ხელოვნებაა. თუ ათიდან ცხრა მეცნიერი ეთანხმება ერთ აზრს, ჭეშმარიტად უნდა მიიჩნიოთ? არა, რადგან ჯერ უნდა გასცეთ პასუხი კითხვებს: რომელი მეცნიერი? რის საფუძველზე? დამაჯერებელია მისი მსჯელობა?

წყაროების დამახინჯების ბევრი მიზეზი არსებობს. აუცილებელი არ არის, სხვა მეცნიერის აზრი განზრახ იყოს დამახინჯებული. შესაძლოა, ეს უნებლიე შეცდომის ან დაუდევარი, დაუფიქრებელი კითხვის შედეგი იყოს. ამიტომ წყაროების შეფასების დროს გაითვალისწინეთ:

- წყაროებზე მუშაობა დაიწყეთ მათი რაოდენობის შემცირებით. აიღეთ რამდენიმე ისეთი წყარო, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია თემისთვის. ამისთვის სწრაფად გადაიკითხეთ ბევრი მასალა და იქიდან შეარჩიეთ ყველაზე საჭირო;
- თუ მონახეთ წყარო, რომელიც თქვენი გამოკვლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, დაიწყეთ ნელი კითხვა, ყველა არგუმენტი მთლიან კონტექსტში გაიაზრეთ, ხშირად ნაწყვეტ-ნაწყვეტ წაკითხულის შესახებ მსჯელობა გაუგებრობის მიზეზი ხდება. იმისთვის, რომ წყაროს არგუმენტები კარგად გაიაზროთ, შესაძლოა, სხვა ცნობებისა და ინფორმაციის გაცნობაც დაგჭირდეთ; თუ უთითებთ პირველწყაროს, რომელიც მეორეულ წყაროში გაქვთ ნანახი, მოძებნეთ და მიუთითეთ პირველწყარო, მაგრამ თუ ის თქვენთვის მიუწვდომელია, აუცილებლად აღნიშნეთ, საიდან ახდენთ პირველწყაროს მითითებას. ინტელექტუალური სიზარმაცეა, როცა წყაროს უთითებთ ისე, რომ არ ამოწმებთ მის პირველად წყაროს. არ შეიძლება ციტატა მოიყვანოთ სხვა ავტორისგან და მოიტყუოთ, თითქოს თავად გამოიკვლიეთ ორიგინალი. თუ ციტირებას აკეთებთ მეორეული წყაროდან, შეამოწმეთ ციტატა სხვა წყაროებშიც. თუ ამონაწერი ერთმანეთს არ დაემთხვა, მაშინ უნდა დაეჭვდეთ და მიიღოთ გადაწყვეტილება: ან საერთოდ ამოიღოთ ეს ციტატა, ან ეძებოთ ორიგინალში.

მოძიებული წყაროებიდან უნდა მოინიშნოთ ინფორმაცია. თუ სრულ ჩანაწერებს არ გააკეთებთ, შეიძლება ადვილად დაკარგოთ ის, რაც ყურადღებით კითხვის დროს უკვე მოიპოვეთ. ჩანაწერების გაკეთების საუკეთესო საშუალებაა ბარათების ხმარება. არსებობს ბარათების ორი ტიპი: ბიბლიოგრაფიული და კონსპექტ-ბარათები. ბიბლიოგრაფიულში მოცემულია მონაცემები პირველი წყაროების მოსაძებნად, ხოლო კონსპექტ-ბარათებში ამოიწერება ციტირებისთვის საჭირო საკვანძო ადგილები, ხდება თქვენი შეხედულების შეჯამება წიგნზე და იდეები, რომელიც შეგექმნათ ამ მასალის შედარებით სხვა წყაროების მასალასთან. კონსპექტ-ბარათები უფრო მსხვილ-ფორმატიანია. დაიმახსოვრეთ, ერთ ბარათზე მხოლოდ ერთი კონკრეტული სახის ინფორმაცია უნდა წარმოადგინოთ. დაწერეთ ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შემდეგში დაგეხმარებათ, აცნობოთ მკითხველს, თუ თავად როგორ მონახონ იგივე ინფორმაცია.

- ბარათის ზედა მარცხენა ნაწილში მიაწერეთ ავტორი, სათაური და გვერდი;

-ზედა მარჯვენა ნაწილში მიაწერეთ საკვანძო სიტყვები, რომელთა საშუალებითაც შემდეგ დააჯგუფებთ ამ ბარათებს. შუა ნაწილში მოათავსეთ სამი რამ: წყაროს დასკვნითი, შემაჯამებელი აზრი (ის აზრი, რომელიც მოგეწონათ და რომლისთვისაც აკეთებთ ამ ჩანაწერს ბარათზე); უშუალოდ ციტატა წყაროდან (აუცილებლად ჩასვით ბრჭყალებში, რომ შემდეგ არ აგერიოთ და როგორც საკუთარი აზრი, ისე არ შეიტანოთ თქვენს ნაშრომში); კომენტარი (რა კავშირი აქვს ამ მონაცემებს თქვენს კვლევასთან, რა გამომდინარეობს ამ ინფორმაციიდან, რატომაა მნიშვნელოვანი ის თქვენი კვლევისთვის) - აზრი მომავალი კვლევისთვის;

- ბარათის ქვედა მარცხენა ნაწილში მიაწერეთ ბიბლიოთეკის ნომერი. ეს გაგიადვილებთ მომავალ კვლევას. ბარათების დაჯგუფებისა და თანამიმდევრულად დალაგების შემდეგ თქვენი მომავალი ნაშრომისთვის სულ ადვილად აქცევთ მათ არგუმენტებად ან მაგალითებად.

წყაროს ბიბლიოგრაფიული მონაცემები სრულყოფილად უნდა ჩაიწეროთ იქამდე, სანამ დაიწყებთ წიგნის ან სტატიის კითხვას. ისინი ნაშრომში შენიშვნებისა და ბიბლიოგრაფიის წერის დროს დაგჭირდებათ. რისგან შედგება ბიბლიოგრაფიული მონაცემები?

- წიგნის ან სტატიის ავტორი;
- წიგნის ან კრებულის რედაქტორი (თუ ჰყავს ასეთი);
- ტომის ნომერი;
- გამომცემლობა;
- თუ ეს არის სტატია ჟურნალში ან კრებულში, ჩაიწერეთ გვერდები;
- სათაური (მეორე სათაურიც, თუ არის ასეთი);
- რიგით რომელი გამოცემაა;
- გამოცემის ადგილი;
- გამოცემის წელი.

თუ იღებთ სტატიის ქსეროასლს, გადაიღეთ თავფურცელიც და უკანა მხარეს მიუწერეთ გამოცემის წელი. თუ წყაროს იღებთ ინტერნეტიდან, მიაწერეთ ვებგვერდის მისამართი და თარიღი, როდის არის აღებული ესა თუ ის მონაცემი.

რას უნდა მიაქციოთ ყურადღება წყაროებიდან ინფორმაციის ამოკრების დროს?

- როდესაც წყაროში არის გარკვეული იდეა გადმოცემული და თქვენ მას არგუმენტად იყენებთ, დააკვირდით, როგორ არის ორიგინალში თავად ამ იდეის არგუმენტაცია;

- თუ უთითებთ ან აჯამებთ წყაროს, ყურადღება მიაქციეთ კონტექსტს. დაუკვირდით, არის თუ არა კარგად არგუმენტირებული ის აზრი, რომელსაც ეყრდნობით. მოძებნეთ ის არგუმენტი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი მომავალი ნაშრომისთვის;

- როცა იმოწმებთ წყაროდან რაიმე აზრს, ყურადღება მიაქციეთ: თავად ამ წყაროსთვის ეს აზრი მთავარი დებულებაა თუ დამხმარე. ხშირად აქცენტის გადატანა უმნიშვნელოდან (დამხმარე აზრიდან) მნიშვნელოვანზე, თავად ამ აზრს ცვლის და დამახინჯებული ფორმით წარმოაჩენს;

- როცა იმოწმებთ რაიმე აზრს, დარწმუნდით, რამდენად მყარადაა ის გამოთქმული. ვარაუდის სახით ნათქვამი არ წარმოაჩინოთ, როგორც ურყევი მტკიცებულება. ხშირად ასე ემართებათ საშუალო დონის მკვლევრებს. ისინი ავტორიტეტული მეცნიერის მიერ გამოთქმულ ვარაუდებს უკრიტიკოდ იზიარებენ და როგორც დადასტურებული ფაქტი ისე შეაქვთ თავიანთ ნაშრომებში;

- თქვენი წყაროს ავტორი, შესაძლოა, თავის სტატიაში იხილავდეს სხვა მეცნიერის აზრს. თუ არა ხართ დაკვირვებული მკითხველი, შეიძლება შეგეშალოთ და გადმოსცეთ ისე, როგორც თქვენი წყაროს ავტორის აზრი;

- როდესაც შენიშვნებს იწერთ, თქვენ ნათლად და თანამიმდევრობით უნდა მიუთითოთ პერიფრაზი და პარაფრაზი. ციტატა ჩასვით ბრჭყალებში და თავი აარიდეთ პარაფრაზებს. თქვენი კარიერა დაიღუპება, როდესაც თქვენ მიერ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც გეგონათ, რომ თქვენი სიტყვებით იყო გადმოცემული, ძალიან ახლოს აღმოჩნდება მეორეულ წყაროსთან, ან უარესი: ციტირებული იქნება მისგან. ასეთ შემთხვევაში, პლაგიატში დაგადანაშაულებენ;

- თუ ორი სხვადასხვა ავტორი ერთსა და იმავე აზრს ამტკიცებს, მაგრამ სხვადასხვა არგუმენტი აქვთ, მნიშვნელოვანია განასხვაოთ, რატომ ემთხვევა მათი აზრი ერთმანეთს და გასაზიარებელია თუ არა ორივეს არგუმენტი;

- როცა იხილავთ ორ წყაროს, რომლებიც ერთმანეთს არ ეთანხმება, უნდა გაარკვიოთ, რატომ არის მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა, განსხვავებული ფაქტები აქვთ თუ სხვადასხვანაირად ახდენენ მათ ინტერპრეტაციას, ან იქნებ პრობლემის განსხვა ვებული ხედვა აქვთ...

ამრიგად, წყაროებზე მუშაობის დროს მთავარია სიზუსტე, გააზრებული კითხვა და კრიტიკული მიდგომა. კვლევა იწყება იქ, სადაც არის აზრთა სხვადასხვაობა. ყოველთვის დასვით კითხვა "რატომ" და ნუ ენდობით ავტორიტეტებს.

ლიტერატურა

1. Wayne C. Booth, G. Golomb, Joseph M. Williams / The Craft of Research. Chicago&London. The University of Chicago Press, 1995.
2. The Bedford Handbook, 5th ed. Diana Hacker, Boston; Bedford, 1998.
3. The Chicago Manual of Style 14th ed. Chicago: University of Chicago Press, 1993.

Searching and processing of the sources of scientific paper

Mariam Vardiashvili
Georgian Technical University
77 Kostava str., Tbilisi, Georgia

When working at the scientific paper the searching and processing of sources is the most important, since the writing of any paper begins with the brief report of previous research. Often the one good source is more important than several average ones, as well as one resumptive description of the source is more valuable then the source itself.

Primary, secondary and tertiary sources, the methods of their searching, selection, retrieval of information from them and its processing are considered in this paper. Card system is examined and the fact is emphasized that during the process of working at the sources the main thing is accuracy, meaningful reading and critical approach. The research begins where there is difference of opinion.

The work at the sources is quiet difficult art. Methodological advices represented in the paper will assist newcomer researchers in the searching of the sources of scientific paper and in the development of skills of their processing.

Поиск и обработка источников научного труда

Мариам Вардиашвили
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава 77

При работе над научным трудом самым важным является поиск и обработка источников, поскольку написание любой статьи начинается с отчета о предыдущем исследовании. Часто один хороший источник более важен, чем несколько средних, а также одно обобщающее изложение хорошего источника иногда более ценно, чем сам источник.

В статье рассмотрены первичные, вторичные и третичные источники, методы их поиска, отбора, извлечения из них информации и ее обработки. Рассмотрена карточная система и подчеркивается тот факт, что при работе над источниками главное – точность, осмысленное прочтение и критический подход. Исследование начинается там, где есть различие во мнениях.

Работа над источниками – весьма трудное искусство. Представленные в статье методические рекомендации помогут начинающим исследователям в поиске источников научного труда и в выработке навыков их обработки.

როგორ ავიცილოთ თავიდან პლაგიატი

მარიამ ვარდიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

„ადამიანის გენია ხელოვნების ქმნილებათა და გამოგონებათა წყაროა. ეს ქმნილებანი ადამიანის ღირსეული ყოფის გარანტიაა. სახელმწიფო მოვალეა, უზრუნველყოს ხელოვნების ქმნილებათა და გამოგონებათა საიმედო დაცვა“.

არპად ბოგში

სამეცნიერო ნაშრომის წერა წინა კვლევების გაცნობით, მათი შეჯერებითა და საკუთარი დასკვნის გამოტანით იწყება, ამიტომ მკვლევარს ფართო ზოგადი განათლება და კონკრეტულ სფეროში სპეციალიზაცია სჭირდება. საქმეს პროფესიონალურად უნდა მიუდგეთ და დაიცვათ მკვლევრის ეთიკური პრინციპები:

- არ იცრუოთ, არ გადმოსცეთ ყალბად წყაროები და შედეგები თვითნებურად არ შეთხზათ;
- არ დააზიანოთ ის წყაროები, რომლებიც მკვლევართა მომავალ თაობასაც გამოადგება;
- შეამოწმეთ ინფორმაციის სიზუსტე და დაიმოწმეთ წყაროები, რადგან მკითხველს აქვს უფლება, ინფორმაციას დაზუსტებული წყაროდან იღებდეს;
- არ დაეყრდნოთ ისეთ მონაცემებს, რომელთა სისწორეში დაეჭვების საფუძველიც გაქვთ;
- არ დამალოთ ის გარემოებები, რომლებიც ეწინააღმდეგება თქვენს მოსაზრებას და რომელთა უარყოფაც გაგიჭირდებათ;
- არ დასცინოთ ვინმეს, უსაფუძვლოდ არავინ გააკრიტიკოთ;
- შეგნებულად არ გააყალბოთ საწინააღმდეგო მოსაზრებები იმ მიზნით, რომ მათი უარყოფა გაგიადვილდეთ;
- იყავით კომპეტენტური, თავდაჯერებული, გქონდეთ შეცდომების აღიარების უნარი;
- არაფერი მოიმოქმედოთ ისეთი, რაც თქვენდამი საზოგადოების ნდობას შეამცირებს;
- იყავით თავმდაბალი, ეს მკვლევრისთვის აუცილებელია;
- არ დაწეროთ სამეცნიერო ნაშრომი ისეთი რთული სტილით, რომ მკითხველს გაუჭირდეს მისი გაგება, არც ზედმეტად გაამარტივოთ ის, რაც თავისთავად რთულია;
- გემოვნებით აირჩიეთ მასალა. დასმული პრობლემა უნდა იყოს აქტუალური;
- არ მოიპაროთ სხვისი კვლევის შედეგი, თორემ გახდებით პლაგიატორი, რაც ეთიკური ნორმების ყველაზე დიდი დარღვევაა;
- თუ ნაშრომის შესრულებაში ვინმე დაგეხმარათ, აუცილებლად მოიხსენიეთ;

- ნუ დაეპატრონებით იმ საზღაურს, რომელიც აკადემიურ საზოგადოებას შეუძლია გადაუხადოს ავტორს, ნუ მოიპარავთ იმ პატივისცემას, რომელიც მეცნიერს პატიოსნად ჩატარებული შრომის სანაცვლოდ ერგება. პლაგიატი შენიღბული ინტელექტუალური ქურდობაა.

ტერმინი „პლაგიატი“ ლათინურია და მოტაცებულს ნიშნავს. ეს არის სხვისი ავტორობის მითვისება, სხვისი ნაშრომის საკუთარ ნაშრომად გამოცხადება. ალექსანდერ ლინდლი წიგნში „პლაგიატი და ორიგინალურობა“ (1952) წერდა: „ესაა სხვა ადამიანის გონების ნაყოფის საკუთარ ნაშრომად გასაღების მცდარი ქმედება“ (ჩარტერ, 2007, აბზ. 1-ლი).

„პლაგიატი მეტწილად მორალური უფლების დარღვევებს უკავშირდება. ეს ისეთი ქმედებაა, როდესაც ხდება საავტორო სამართლის რომელიმე ობიექტის მითვისება, წარდგენა ან გასაღება, როგორც საკუთარი ობიექტისა, მისი მთლიანი, ნაწილობრივი ან გადაკეთებული ფორმით, ანდა კონტექსტით, რაც წარმოადგენს ამ ობიექტის გამოყენებას ავტორის დასახელების, მითითების გარეშე“.

როდის ხართ პლაგიატორი?

- თუ სხვათა სიტყვებსა და იდეებს იყენებთ წყაროების მითითების გარეშე;
- თუ სიტყვასიტყვით იმეორებთ რაიმე ტექსტს, უთითებთ წყაროს ავტორს, მაგრამ მისი სიტყვები ბრჭყალების გარეშე მოგყავთ;
- თუ წყაროს ისე აჯამებთ, რომ თქვენი სიტყვები ძალიან ახლოს დგას წყაროს ტექსტთან. ეს ისეთი სიახლოვეა, რომელსაც ვერ მიაღწევთ, თუ წყარო წინ არ გიდევთ. პლაგიატში დადანაშაულებული ბევრი ავტორი თავს იმითი იმართლებს, რომ ორიგინალიდან ეს ადგილი ზედმიწევნით დაამახსოვრდა, თავში ჩაებეჭდა და წერის დროს საკუთარი სიტყვები ეგონა.

პირდაპირი, სიტყვასიტყვითი პლაგიატი

როცა გინდათ, წყაროს სიტყვები ზუსტად გაიმეოროთ:

- აღნიშნეთ ბრჭყალებით ან შექმენით ბლოკური ციტატა;
- გადაწერეთ ეს სიტყვები ზუსტად ისე, როგორც წყაროშია. თუ რამეს შეცვლით, მიუთითეთ კვადრატულ ან ელიფსურ ფრჩხილებში;
- მიუთითეთ წყარო.

ეს არის სხვათა სიტყვების გამოყენების სამი უპირველესი პრინციპი. აღნიშნეთ, სად იწყება და მთავრდება თქვენი წყაროს სიტყვები. სწორად გადმოეცით წყარო ან დაასახელეთ თქვენ მიერ შეტანილი ცვლილებები. მიუთითეთ წყარო. თუ რომელიმეს გამოტოვებთ, პლაგიატორი გახდებით.

იდეების პირდაპირი პლაგიატი

პლაგიატორი იქნებით მაშინაც, თუ სხვის აზრს გამოიყენებთ ისე, რომ არ მიუთითებთ ავტორს. თუ ერთი სიტყვა მეორით შეცვალეთ, ეს არ გათავისუფლებთ იმისგან, რომ ნააზრევის ავტორი მიუთითოთ. დასაწყისშივე აღნიშნეთ და არ გადადოთ ბოლოსთვის, რომ ეს სხვისი აზრია.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ გაქვთ თქვენი აზრი და აღმოაჩენთ, რომ ასეთი რამ სხვას უკვე გამოუთქვამს. თუ არ მიუთითებთ იმ წყაროს, სადაც თქვენზე ადრე ითქვა ეს აზრი, მკითხველი იფიქრებს, რომ პლაგიატორი ხართ. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში პრიორიტეტი წინამორბედს დაუთმეთ და წყარო მიუთითეთ.

აღსანიშნავია ასეთი სიტუაციაც: თუ იმეორებთ ისეთ აზრს, რომელიც საყოველთაოდაა ცნობილი და მისი ავტორი სახელგანთქმული მეცნიერია,

შეიძლება იფიქროთ, რომ ავტორის მითითება გულუბრყვილობად ჩაგეთვლებათ. არ შეცდეთ: შეგიძლიათ, ავტორის სამეცნიერო ნაშრომი ზუსტად არ მიუთითოთ, მაგრამ აუცილებლად უნდა მოიხსენიოთ ტექსტში მისი სახელი. ხდება ისეც, რომ საკითხი თქვენს სფეროში აღიარებულ ჭეშმარიტებად მიიჩნევა, მაგრამ არ იცით, ვინ თქვა პირველად ამის შესახებ. ასეთ დროს, ჰკითხეთ სპეციალისტს, არის თუ არა აუცილებელი ვინმეს დასახელება.

სიტყვების არაპირდაპირი პლაგიატი

პლაგიატობა უფრო ძნელად განისაზღვრება, როცა შეჯამებას ან პერიფრაზს აკეთებთ. ეს არ არის ერთი და იგივე, მაგრამ ისე ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ ძალიან ადვილად შეიძლება გადახვიდეთ ერთიდან მეორეში. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება პლაგიატორი გახდეთ. ძალიან მიახლოებული პერიფრაზი შეიძლება პლაგიატობად ჩაგეთვალოთ, მიუხედავად იმისა, უთითებთ თუ არა წყაროს. თუ ავტორის სიტყვები გჭირდებათ, ისინი ზუსტად უნდა მოიყვანოთ და ბრჭყალებში ჩასვათ. თუ ავტორის აზრს თქვენი სიტყვებით გადმოსცემთ, ეს, მართლაც, თქვენი სიტყვები უნდა იყოს და არა წყაროდან გადმოწერილი და ოდნავ შეცვლილი ტექსტი. პერიფრაზირების დროს ორიგინალი დახურეთ და თქვენი სიტყვებით წერეთ. შემდეგ კი გადაამოწმეთ, შინაარსი ზუსტად თუ არის გადმოცემული და ხომ არ გაქვთ გამოყენებული იგივე ფრაზები და სიტყვები.

მეორე სირთულე ისაა, რომ სხვადასხვა სფეროში ტექსტთან ახლოს მდგომი პერიფრაზის გაკეთების ზღვარი სხვადასხვაა, მაგალითად, იურისპრუდენციაში ზოგიერთი კანონი ან სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება ტექსტთან ძალიან მიახლოებულად მოიყვანო. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ხშირად ჯერ ავტორს უთითებენ და შემდეგ ტექსტთან ახლოს მდგომ პერიფრაზს აკეთებენ. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კი, მაგალითად, ისტორიაში, ლიტერატურაში მიუღებელია პირდაპირი ციტირება. ამიტომ ტექსტთან ახლოს მდგომი პერიფრაზი პლაგიატობად მიიჩნევა.

როგორ უნდა მიხვდეთ, რომ პლაგიატორი ხართ?

ჩაატარეთ მარტივი ცდა: მიაქციეთ ყურადღება, სად არის თქვენი თვალები, როცა ნაშრომს წერთ. თუ ისინი წყაროს ადევნებენ თვალყურს და, იმავდროულად, თქვენი ხელები ქაღალდზე ან კომპიუტერის კლავიშებზე დასრიალებს, შესაძლოა, საჯარო დამცირების მიზეზი გახდეთ. როცა აქტიურად იყენებთ რომელიმე წყაროს, თქვენი ტექსტი ორიგინალს შეადარეთ. წარმოიდგინეთ, რომ ვიღაც თითს გიყოლებთ თქვენი და თქვენი წყაროს სტრიქონებზე ერთდროულად და ადარებს მათ. შეეცადეთ, თქვენს ტექსტში არ იყოს სინონიმები და სინონიმური გამოთქმები ზუსტად იმავე თანმიმდევრობით გადმოცემული, როგორც წყაროშია. თუ ასე აღმოჩნდა, თავიდან დაიწყეთ: მოაშორეთ თვალები წყაროს და ისე წერეთ. თქვენი ხელიდან გამოსული ტექსტი წყაროს თქვენეულ გაგებას უნდა ასახავდეს.

როგორ მოვახდინოთ ციტირება და პერიფრაზირება?

საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში მკვლევრები იშვიათად ციტირებენ სიტყვასიტყვით. ამის ნაცვლად, ისინი აკეთებენ პერიფრაზს და შემდეგ უთითებენ. ეს მარტივი პროცესია: თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ მონაცემები ან დასკვნები, რომლებსაც იყენებთ, შემდეგ მიუთითეთ წყარო იმ წესით, რომელიც თქვენს სფეროშია მიღებული. ამ წყაროს დასახელება იმ შემთხვევაში შეიტანეთ უშუალოდ თქვენს ტექსტში, თუ მიიჩნევთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია და გსურთ, მკითხველის ყურადღება გაამახვილოთ მასზე.

ჰუმანიტარულ დარგებში და ზოგ სოციალურ მეცნიერებაში მკვლევრები ხანდახან ახდენენ წყაროების პერიფრაზირებას, მაგრამ უმჯობესია მათი ციტირება.

- ციტატას წინ დაურთეთ შესავალი ფრაზა, ორწერტილი და ბრჭყალებში ჩასვით. გაითვალისწინეთ, რომ ციტატის მოყვანამდე აუცილებელია შემზადებული მსჯელობა, რათა კონტექსტიდან არ იყოს ამოვარდნილი, სხვისი ნააზრევი ერწყმოდეს და სტილისტურად შეესაბამებოდეს ერთმანეთს;
- ჩართეთ ციტატა თქვენს წინადადებაში, მაგრამ ეს ისე გააკეთეთ, რომ წინადადება გრამატიკული თვალსაზრისით გამართული იყოს. თუ თქვენს წინადადებაში რაიმე გრამატიკული ფორმის შეცვლა დაგჭირდათ, ეს ცვლილება ციტატაში კვადრატულ ფრჩხილებში ჩასვით;
- თუ თქვენი ციტატა სამი ან მეტი სტრიქონისგან შედგება, გამოყავით ბლოკური ციტატა. მას ბრჭყალები არ სჭირდება. ბლოკური ციტატის წინა და შემდგომი ფრაზები უნდა უზრუნველყოფდეს ციტატის კავშირს შესაბამის კონტექსტთან. ბლოკური ციტატა იწერება შეწეული მინდვრის დაცვით და, ამავე დროს, გამოყოფილია შრიფტის ზომით (იწერება უფრო წვრილი შრიფტით);
- არ ვარგა წინადადების ციტატით დაწყება და თქვენი სიტყვებით დასრულება. წინადადება დაიწყეთ თქვენი სიტყვებით და დაასრულეთ ციტატით;
- ციტატა ზუსტად უნდა მიესადაგებოდეს თქვენს მიზანს და ადეკვატურად უნდა იქნეს გამოყვანილი;
- მიუღებელია ზედმეტად ვრცელი ციტატის გამოყენება, ნაწერის ციტატებით გადატვირთვა;
- ბრჭყალებში უნდა ჩასვათ ყველაფერი, რასაც კი წყაროდან ამოიღებთ, განსაკუთრებით ბარათებზე მუშაობისას.

როდის მოვახდინოთ ციტირება და როდის პერიფრაზი?

ციტირება ერთი ადამიანის მიერ თავის ნაშრომში ნებისმიერი სხვა ადამიანის სიტყვების გამოყენებას ნიშნავს, პერიფრაზი კი – ერთი ადამიანის მიერ თავის ნაშრომში ნებისმიერი სხვა ადამიანის მოსაზრების საკუთარი სიტყვებით გადმოცემას.

იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროში მოღვაწეობთ, უნდა იცოდეთ, რამდენად დაეყრდნოთ სხვათა ნაშრომებს. თუ ხშირად ციტირებთ და უთითებთ სხვებს, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ თქვენ ნაკლებად ეყრდნობით საკუთარ კვლევას. თუ იშვიათად მიუთითებთ სხვა ავტორებს, მკითხველი იფიქრებს, რომ თქვენი დასკვნები ძალიან სუსტადაა „გამაგრებული“ სხვათა შრომებით, ან არ ჩანს, რა დამოკიდებულება აქვს თქვენს საკითხთან სხვა მეცნიერებს. ჩვენ ვერ შემოგთავაზებთ განსაზღვრულ კანონს, როდის და რამდენად ხშირად მოახდინოთ ციტირება ან პერიფრაზი, მაგრამ არსებობს რამდენიმე წესი.

მოიყვანეთ ციტატა, როცა:

– სხვათა სიტყვებს იყენებთ, როგორც პირველად წყაროებს;
– გსურთ, რომ მათ ავტორიტეტს დაეყრდნოთ;
– წყაროს სპეციფიკურ სიტყვებს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც სხვა მკვლევრებიც იყენებენ, არის ხატოვანი, ღირებული, ან

ეკამათებით თქვენი წყაროს ავტორს და გინდათ, მისი პოზიცია სიტყვასიტყვით წარმოაჩინოთ.

პერიფრაზი უნდა გააკეთოთ მაშინ, როცა:

– შინაარსით, მიგნებებითა და დასკვნებით უფრო ხართ დაინტერესებული, ვიდრე იმით, თუ როგორ გამოხატავს თქვენი წყარო თავის თავს;

– თქვენ იმავეს თქმა შეგიძლიათ უფრო ნათლად.

არ მოახდინოთ ციტირება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უფრო ადვილია, ან მიგაჩნიათ, რომ არა გაქვთ საკმარისი ავტორიტეტი – თქვენი წყაროების მაგივრად ილაპარაკოთ. ციტატა უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე. ყოვლად მიუღებელია, ნაშრომი ტოვებდეს უბრალოდ „ჩაყრილი“ ციტატების ერთობლიობის შთაბეჭდილებას. თქვენ უნდა შექმნათ საკუთარი არგუმენტი, საკუთარი დასკვნითა და დასაბუთებით.

ამრიგად, თუ შეძლებთ სხვათა იდეების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებას სათანადო წესების დაცვით, მაშინ თავიდან აირიდებთ პლაგიატობას, რომელიც სამარცხვინოა, დანაშაულად მიიჩნევა და კანონით ისჯება.

„ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ სამეცნიერო, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორს, იგი წარმოადგენს“.

სამეცნიერო ნაშრომი დაცვას ექვემდებარება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გამოქვეყნებული. მკვლევარმა მუშაობის დროს უნდა დაიცვას პროფესიონალიზმი, პატიოსნება, თავი უნდა დააღწიოს პლაგიატს, თორემ მკითხველის ნდობას დაკარგავს.

საავტორო უფლებების დაცვა ერთ-ერთი ძირითადი ეთიკური ნორმაა. ავტორის ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტის გადაკეთება, მასალის გამოყენება, იდეების მითვისება.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევა იწვევს შემდეგ სისხლისსამართლებრივ სანქციებს: ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ორ წლამდე (მუხლი 189-ე, ნაწ. I), ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას ვადით ორ წლამდე (მუხლი 189-ე, ნაწ. II), თავისუფლების შეზღუდვას ვადით სამ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთას იმავე ვადით (მუხლი 189-ე, ნაწ. III). ამ სანქციებიდან თუ რომელი იქნება გამოყენებული, დამოკიდებულია დანაშაულის ხასიათზე და დასაცავი ინტერესების მნიშვნელობაზე.

საავტორო უფლებების დარღვევა კერძო საჯარო ბრალდების საქმეებს ეხება და აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, რომელსაც დაზარალებული პროკურორს გადასცემს. თუ დაზარალებულს უმწეო მდგომარეობის გამო არ შეუძლია აღძრას საქმე, მაშინ პროკურორი აღძრავს, ოღონდ მას უნდა ჰქონდეს წერილობითი თანხმობა დაზარალებულის. სისხლის სამართლის საქმე საავტორო დარღვევის შესახებ არ ექვემდებარება შეწყვეტას ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოძიებამ შეიძლება ორივე მხარე დააზიანოს“.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმდებლობა იცავს საავტორო უფლებებს. ჩვენში „ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია“.

ლიტერატურა:

1. ლ. ძამუკაშვილი, რ. შენგელია, დ. გაბუნია, ვ. ხრუსტალი, ს. ჯორბენაძე, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი“, თბილისი, 2010 წელი.
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 27-ე.
3. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 23(1), თბილისი 2011წ.
4. Wayne C. Booth, G. Golomb, Joseph M. Williams / The Craft of Research. Chicago&London. The University of Chicago Press, 1995.
5. The Bedford Handbook, 5th ed. Diana Hacker, Boston; Bedford, 1998.
6. The Chicago Manual of Style 14th ed. Chicago: University of Chicago Press, 1993.

How to get rid of plagiarism

Mariam Vardiashvili
Georgian Technical University
77 Kostava str., Tbilisi, Georgia

The plagiarism, intellectual theft, which are liable to punishment according to Georgian legislation, are considered in this paper. “The violation of author’s and allied rights invokes criminal responsibility”.

Methodological recommendations and advices offered in this paper will assist the newcomer researcher to get rid of plagiarism.

Как избежать плагиата

Мариам Вардиашвили
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава 77

В статье рассмотрены плагиат, интеллектуальное воровство, которые являются наказуемыми согласно грузинскому законодательству. «Нарушение авторских и смежных прав влечет за собой уголовную ответственность».

Предложенные в статье методические рекомендации и советы помогут начинающим исследователям избежать плагиата.

ГРУЗИНСКИЙ НАРОДНЫЙ ТАНЕЦ НА ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ СЦЕНЕ

Лариса Чхеидзе
Доктор искусствоведения

Грузинский танец – излюбленное для народа зрелище, услаждающее взор с незапамятных времен. Его истоки обнаруживаются на территории Грузии с эпохи палеолита. Но прежде чем танец попал на профессиональную сцену, он прошел долгий процесс формирования и совершенствования. На сегодняшний день народный танец, представленный на сцене в драматических и оперно-балетных спектаклях, стал привычным явлением. Однако процесс его подключения в спектакли не нов. Начиная с первозданных охотничьих хороводов древнейших грузинских племен, в плясках

изначально присутствовали элементы театра, и танцевальные движения сочетались с пантомимой.

Со временем, танец постепенно видоизменялся. Это явилось переходной ступенью для выхода отдельных танцев из его первоначальной хороводной формы. Они стали разделяться на женские, мужские и женско-мужские танцы. Появление первых женских плясок следует отнести к эпохе матриархата, когда служительницами культа исполнялись ритуально-обрядовые пляски. Причем, известен факт существования театра задолго до принятия христианства, в середине первого тысячелетия до н.э. Уже во дворцах грузинских царей стали образовываться придворные труппы танцоров и музыкантов, после чего, поднялся уровень исполнительства. Профессиональные танцоры с большим мастерством развлекали гостей во время пиров, как у царей, так и у знатных дворян. Упоминания об этих увеселениях в виде чтения стихотворений, пения и плясок танцорами и танцовщицами можно встретить во многих источниках.

Грузинская музыкально-танцевальная культура достигла своего расцвета уже во время создания централизованного грузинского государства в эпоху царствования Давида Агмашенебели и царицы Тамары. Она продолжала свое развитие при Дворе вместе с театральным искусством. Танцам, наравне со спортивно-танцевальными упражнениями обучали царевичей и знатных юношей. Танец, являвшийся основным фактором астрально-культовых ритуальных действ, хороводов-игрищ, всевозможных синкретических театрализованных зрелищ «Лампроба», «Сахиоба», «Берикаоба» и «Кееноба», «Балавариани», «Мушаитоба» продолжал также быть неизменным зрелищем не только придворных, но и городских и сельских празднеств.

А уже в XIX веке у грузинского танца впервые появилась возможность выйти на профессиональные театральные подмостки. В истории культуры Грузии большую роль сыграла эпоха грузинского романтизма в лице Александра Чавчавадзе, Григола Орбелиани, Николоза Бараташвили. Все это способствовало открытию первого грузинского реалистического театра, основоположником и режиссером которого был драматург, князь Георгий Эристави. Первым театрально-сценическим представлением грузинского женского танца «Лекури» («Лезгинка») следует считать его исполнение профессиональной актрисой и танцовщицей Узнадзе в спектакле Г. Эристави «Раздел» («გაყრა», 1850-51 год).

Историческим событием в культурной сфере Грузии стало открытие в Тбилиси в 1851 году Оперного театра с итальянской труппой (с 1921-го года именуемого Тбилисским Государственным театром оперы и балета). А затем, новый театральный сезон осенью 1852 года был ознаменован основанием в Оперном театре классической балетной труппы в составе четырех солистов из Москвы. Труппой два года руководил Первый танцор Московского Большого театра Фёдор Манохин. Будучи балетмейстером и танцором Тифлисского Казенного театра, ему довелось видеть на балах и приемах местной знати национальные танцы. Это дало возможность изучить их особенности. Позднее, он с изумительной танцевальной композицией поставил на сцене Московского БТ грузинский сольный женский танец «Лезгинка» в опере «Демон» (1979, на муз. А. Рубинштейна). Исполнение этого танца в «Демоне» было особо отмечено прессой.

Практически весь 19 век во всех оперно-балетных постановках лучших Российских театров имелись случаи исполнения грузинских танцев. Выдающийся балетмейстер Шарль Дидло, создавая свои балетные шедевры, вдохновился произведениями Пушкина о Кавказе. Дидло в ту пору возглавлял Санкт-Петербургскую балетную труппу. Увлекшись экзотикой этого загадочного для него кавказского края, Дидло создал балет «Кавказский пленник, или тень невесты» (1823, на муз. Кавоса),

где поставил «Лезгинку». В дальнейшем, с легкой руки Дидло, танец в постановке Мариуса Петипа исполнялся в операх: «Руслан и Людмила» (1842, М. Глинки), «Демон» (1872, А. Рубинштейна), «Тамара» (1886, Б. Фитингоф-Шеля), «Кавказский пленник» (1883, Ц. Кюи) и т.д. Интересен также факт исполнения «Грузинского танца» в Московском Большом театре в одноактном балете М. Петипа «Ночь и День» (1883). Характерный танец был поставлен так удачно, что в нем были сохранены своеобразие и национальный дух.

В опере «Руслан и Людмила» (1880) Петипа поставил танец «Лезгинка» для Марии Петипа и Бекефи. По всей вероятности, это был парный танец «Картули», но его обычно именовали «Лезгинкой», т.к. в России он был известен под этим термином. Об их исполнении вспоминал сам балетмейстер: «…господин Бекефи и моя дочь имели колоссальный успех». Известная балерина М. Петипа в 1897 году блестяще исполнила этот танец и на одном из грузинских вечеров-концертов (их организовывали композиторы Захарий Палиашвили и Мелитон Баланчивадзе в Санкт-Петербурге, в Москве, Киеве и других российских городах). На упоминаемом вечере исполнялись романсы, арии и части из незавершенной первой грузинской национальной оперы М. Баланчивадзе «Коварная Дареджан», в особенности танцевальные номера: «Давлури» и «Картули». На удивление самих грузин, М. Петипа блестяще исполнила грузинскую «Лезгинку-Лекури». Петербургская газета писала: «молодежь с увлечением танцевала, но пиком радости явился чарующий Лекури, исполненный М. М. Петипа, который удивил как коренных жителей Кавказских гор, так и юношей и девушек из низовья северных равнин...».

Алекси Алексидзе считался первым профессиональным танцором, ставящим и исполняющим грузинский сольный мужской «Лекури» и дуэтный танец «Картули» (в те времена именуемый «Лезгинка») в спектаклях грузинского драматического театра, а также на сцене Тифлисского Казенного оперного театра в русских операх «Руслан и Людмила» и «Демон». Танцы в спектаклях из года в год пользовались у зрителей большим успехом. Усиливая в «Демоне» грузинский характер, Алексидзе тем самым приближал его содержание к национальному духу.

Относительно исполняемого грузинского танца в опере «Демон» в мемуарах В. Шкафера можно прочесть следующее: «Когда на пиру Гудала на сцене танцевали лезгинку, успех был потрясающий: неистовые крики «браво» и «бис» заставляли повторять танец. И танцевали лезгинку грузины … Этот танец был гвоздем спектакля ... в нем страсть кипела огнем, в нем мужество, красота и сила». Его исполнял Алекси Алексидзе. А женско-мужской танец «Картули» («Лезгинка»), Алексидзе исполнял в паре с Марией Арлани, о ней сообщали, что: «в труппе была красавица Арлани, которая плыла по сцене с такой воздушной легкостью и грацией, чему могли позавидовать тогдашние наши балерины». В этой же опере А. Алексидзе исполнял танец «Картули» в паре с итальянской прима-балериной Эмилией Джиовасси. Она избрала себе в партнеры именно Алексидзе, как популярного грузинского танцора, прославившегося и во Франции. Позднее вместе с ним в этих танцах принимала участие и итальянская прима-балерина Мария Перини. Любителям оперно-балетного искусства представилась возможность наслаждаться созданным им танцевальным дуэтом с лучшими солистками театра, раскрывающим национальный характер и в некоторой степени способствующим большему успеху опер.

В операх, да и в балетных постановках, украшающих репертуар Тбилисского оперного театра, балетмейстерами непременно ставились характерные грузинские танцы. «Лезгинка» всегда производила большое впечатление и имела успех своей зрелищностью и танцевальной формой. Поэтому ее всегда включали в репертуар своих гастрольных поездок даже как отдельный номер. В начале XX века это практиковалось

известными русскими артистами балета, такими, как Анна Павлова, Мария Петипа, Викторина Кригер, Татьяна Вечеслова. Можно назвать немало примеров исполнений мужской «Лезгинки» в оперно-балетных спектаклях и отдельными номерами в России, в Европе и в Америке выдающимися танцорами и балетмейстерами мира: Федором Манохиным, Джорджем Баланчиным (Георгием Баланчивадзе), Вахтангом Чабукиани, Михаилом Фокиным, Михаилом Мордкиным, Петром Владимировым и другими. Грузинский танец вдохновил известного постановщика Московского Большого театра Александра Горского при создании балета «Дон Кихот» (по драматургии Сервантеса, на музыку А.Минкуса). В роли уличной танцовщицы на сцене Мариинского театра выступала балерина А. Ваганова, известная виртуозной техникой танцевального мастерства. Ею в спектакле был исполнен танец с кинжалами, имеется фотография, на которой Ваганова замерла в последней позе – в кругу уже воткнутых в пол кинжалов.

Фактически, как убеждаемся, танец еще с давних времен сопутствовал зрелищным представлениям, народным празднествам с плясками. Безусловно, что танцевальные движения, став потребностью первозданной человеческой природы, были средством передачи определенной информации, отражения эмоций, и несли в себе потенциал раскрытия содержания. Уже в первой четверти XX века танец, так внедрившийся в оперно-балетные постановки, стал вновь вливаться в драму, не считая того, что он включался и в различные дивертисменты. Интересный факт внесения народного танца в спектакль был применён титаном грузинского драматического театра Котэ Марджанишвили в спектакль Лопе де Вега «Фуэнте Овехуна» (Киев, 1919 г.). Эта хореографически редкостная «пляска победы» – огненный испанский танец в постановке Михаила Мордкина передавала революционный пафос.

Восхищает то, каким образом так называемое «несловесное» искусство танца (в отличие от драматического спектакля, где действие слов обретает «бытие»), смогло в достаточной мере отражать различные стороны мышления персонажей. Оно ещё глубже раскрывает драматургию и дополняет раскрытие создаваемых ситуаций, внутренних побуждений художественного образа. К подобному приему подключения танца в действие спектакля обращались также и другие грузинские режиссеры: Додо Алексидзе, Михаил Туманишвили, Темур Чхеидзе, Роберт Стуруа и многие другие. Введенные ими в драматический спектакль танцы из грузинского народного фольклора производили непередаваемый эффект.

Большое воздействие производили и танцы, включаемые в свои спектакли талантливым режиссером-самородком Сандро Ахметели. Ахметели задумал создать пьесу-трагедию «Тетнульд» (по пьесе Шалва Дадиани), в которой происходило бы противопоставление новой жизни сванов с религиозным неизжитым фанатизмом. Большой режиссерской находкой было использование в спектакле формы грузинской пластики под ритм древних хороводов. Сцена проклятий баппов, звучавших в мужском пении под ритм «Хоруми» и «Перхули», исполнялась самими действующими лицами. Оба танца были органично подключены в действие и решены в цветовых и психологических красках.

Кроме того, что в танцах продолжалось сквозное действие спектакля, они как-бы дополняли черты и манеры, характеризующие действующие лица, раскрывая нравы и характерные для горцев суровость и мужество. А танцем «Хоруми», к тому же, создавался своеобразный эмоциональный настрой и боевой, героический дух. Действительно грузинские танцы, включаемые режиссером в пьесы, смотрелись не как обычный фольклор. Удивительно тонко подбирал Ахметели соответствующие каждой конкретной пьесе грузинские народные танцы. Они были созвучны создаваемой ситуации и драматургической канве. Он пользовался этим методом и в том случае, когда танец в сценарии даже не предусматривался.

Танцевальная пластика вместо речи была им использована для подчеркивания драматизма эпизода в «Ламаре». В спектакле «Анзор» танец «Картули» накалял ситуацию, и являлся кульминационной частью апофеоза драмы. Это был исключительно нетрадиционный подход к образцу национального фольклора. В последнем случае, танец явился одновременно психологическом моментом и становившегося как-бы ведущим ключевым драматургическим узлом, раскрывающим действие пьесы вместо слов – языком хореографии.

Подобное же непомерно сильное действие производили народные танцы: «Хоруми», «Лекури», «Самаиа», «Картули», горский танец, перхули в балетах Вахтанга Чабукиани: «Мзечабуки» («Сердце гор»), «Горда», «Синатле», «Лауренсия» и т.д. Танец «Хоруми», внесённый Вахтангом Чабукиани в балет «Сердце гор» – древнейший грузинский танец. В нем представлено сочетание формы воинственного грузинского танца с развернутой драматургией. В то же время, Вахтанг Чабукиани не только ставил, но и сам исполнял танцы в своих балетах. Он блестяще исполнял в «Хоруми» сольную партию тавмосаме в кругу воинов. Кроме того, он танцевал «Лезгинку» в балете «Партизанские дни», и в «Кавказском пленнике».

Танцевальное искусство грузинского народа является современником древнейших культур больших мировых цивилизаций и могущественных государств. За все время своего существования и выхода на прославленные подмостки всех стран мира, грузинская хореография заслуженно завоевала мировое признание, оставляя свой неизгладимый след в мировой культуре. Уже более одного века, как многие танцевальные и вокальные ансамбли знакомят с грузинским танцевальным искусством публику за рубежом.

Использованная литература

1. Чхеидзе Лариса. У истоков грузинского народного танца. Журнал Кавказоведение, Москва, 2005, №7, стр.82-95
2. Л.Чхеидзе. Немного из истории вечеров-концертов грузинского народного фольклора. Журнал Кавказоведение, Москва, 2005 №7, стр. 96 – 108.
3. Л.Чхеидзе. Песня песней. Сборник научных работ Тбилисского государственного университета культуры и искусства им. Э. Такаишвили. Тбилиси, 2004, № 2, стр.231 – 249.
4. А.Чхеидзе. «Сандро Ахметели – новые принципы режиссерского таланта». Сб. статей. (Сост. Н. Швангирадзе), «Хеловнеба», Тб., 1977.
5. Чхеидзе Лариса. Генезис грузинской хореографии (диссертация на соискание степени доктора искусствоведения, рукопись), Тбилиси, 2008.

Folk Dance in Drama and Opera-Ballet Performances

Larissa Chkheidze

Doctor of Art Critics

The article about Georgian dance entering the professional stage: in drama, opera and ballet performances.

ხალხური ცეკვა დრამატულ და საოპერო-საბალეტო სპექტაკლებში

ლარისა ჩხეიძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

როგორ აისახა ქართული ხალხური ცეკვა პროფესიონალურ სცენაზე: დრამატულ და საოპერო-საბალეტო სპექტაკლებში.

ფონეტიკური შეცდომები ქართველი სტუდენტების რუსულ მეტყველებაში

ოლღა კალანდარიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

ქართველების რუსულ მეტყველებაში არსებული შეცდომების უმეტესი ნაწილი ინტერფერაციით არის გამოწვეული. რუსული ენის შესწავლისას შეცდომების გამომწვევი მიზეზების ცოდნა ხელს უწყობს სწორი მეთოდური გზების გამო-ნახვას არსებული პრობლემის დასაძლევად. სტუდენტების შეცდომების ანალიზმა ფონეტიკური ინტერფერაციული შეცდომების შემდეგი სურათი მოგვცა:

1. პირდაპირი ინტერფერენცია:

ა) შეცდომები თანხმოვნების ერთობლიობის შემთხვევაში

1. პროტეტიკული ხმოვნის წარმოშობა მარცვალში რამოდენიმე ერთობლივი თანხმოვნის წინ სიტყვის თავში: издесь, издравствуй;
2. ეპინთეტიკური ხმოვნის გაჩენა თანხმოვნებს შორის: пирвет, питица, синежок, маршурут, галустук, сихема, оркестир;
3. ხმოვნის გამოტოვება სიტყვების ძირში თანხმოვნების ერთობლიობის შემთხვევაში და ფუძესა და წინდებულს შორის: кабнет, лейтнант, двизионный врач, твалет, всокий мужчина, плающие угли, дептат.

ბ) მაგარი შიშინა ბგერების შემდეგ სიტყვის ბოლოს „ы“ ასოს მართლწერა: юношы, рощы, лужы, похожы.

გ) „ю“ ასოს მართლწერა ფუძის შემდეგ სიტყვის ბოლოს რბილ შიშინა ბგერებთან: спящюю, засыпающюю, смеящюю.

2. ირიბი ინტერფერენცია:

ა) მაგარი და რბილი თანხმოვნების ვერგანურჩევლობის შედეგად გამოთქმებში დაშვებული შეცდომები:

1. რბილი გამოთქმა და შესაბამისად წერისას რბილი ნიშნის „ь“ გამოყენება მაგარ თანხმოვანზე დამთავრებულ მამრ. სქესის არსებით სახელებში: военный катерь, острый клювь;
2. რბილი ნიშნის „ь“ უგულვებელყოფა რბილ თანხმოვანზე დაბოლოებულ მამრ. სქესის არსებით სახელებში: наш цар, глупый корол;
3. არსებით სახელებში რბილი ნიშნის „ь“-ის ჩასმა „л“ ასოს შემდეგ: каждую неделью, полную силь, знаменитому писателью, к високой ельи, видающегося исследователья, ко всем людьям, с нашим учительем;
4. გარემოებებში რბილი ნიშნის „ь“-ის ჩამატება ან ამოგდება: сквоз, вследь;
5. სიტყვებში რბილი ნიშნის გამოტოვება: нужная эмулсия, такая судба, ушёл во тму, спалный мешок, стелной циркуль.
6. რბილი ნიშნის ჩამატება სიტყვების ფუძეში (ძირში): мелькая река, низкие веть̀ви, страшный медьведь, деревьянные двери.
7. მაგარფუძიანი ზედსართავი სახელების ბრუნვის დროს რბილფუძიანი ზედსართავი სახელების ბრუნვის ნიშნების გამოყენება და პირიქით

– რბილნუძიანი ზედსართავი სახელების ბრუნების დროს მაგარნუძიანი ზედსართავი სახელების ბრუნვის ნიშნების ხმარება: в соседн<u>о</u>й аудитории, с древн<u>ы</u>х времён, в безвыходн<u>е</u>м положении, к северн<u>и</u>м растениям.

8. „ы“-ის ნაცვლად ჩვეულებრივი „и“-ის გამოთქმა და დაწერა სიტყვის ფუძეში და პირიქით: бистр<u>и</u>е реки, покр<u>и</u>вали снегом, нав<u>ы</u>сших туч, сл<u>ы</u>шком громко, проб<u>ы</u>вали дорогу.
9. მაგარი თანხმოვანით დაბოლოებულ არსებით სახელებში „ы“-ის ნაცვლად „и“-ის გამოთქმა და დაწერა: прибывшие из Москвы пассажир<u>и</u>, опытные радист<u>и</u>, золотые медал<u>ы</u>, чёрные парт<u>и</u>.

ა) შეცდომები, რომლებიც გამოწვეულია „ш“ და „щ“ ბგერების განურჩევლობით:

1. სიტყვის ფუძეში „ш“ და „щ“ ბგერების არევა: выта<u>ш</u>ил, про<u>ш</u>ай, об<u>ш</u>его, хи<u>ш</u>ные, поме<u>ш</u>ение, е<u>щ</u>ё, <u>ш</u>урить глаза, <u>ш</u>адить человека.
2. ახლანდელი და წარსული დროის მიმღეობის ფორმების სუფიქსებში ამ ბგერების არასწორი ხმარებით: буду<u>щ</u>ий учитель, спя<u>щ</u>ую красавицу, цвету<u>щ</u>ая сирень, заходя<u>щ</u>его солнца, подаю<u>щ</u>ий снег, нави<u>сщ</u>их бровей, заро<u>щ</u>ее бородой лицо, улетев<u>щ</u>им птицам, устав<u>щ</u>им коням.

გ) ც-ს ჩ-ს გამოთქმა და მართლწერა: кон<u>с</u>ерт (концерт), пти<u>ч</u>а (птица), <u>с</u>центральный (центральный).

დ) г–ს ნაცვლად к–ს გამოთქმა და წერა და პირიქით: вос<u>г</u> (воск), ве<u>г</u>овые (вековые), протек<u>г</u>ала (протекала), на бере<u>к</u>ах (на берегах), <u>к</u>устым (густым).

ე) „п“ ბგერის ნაცვლად „б “ ბგერის წარმოთქმა და დაწერა: <u>б</u>есчаным (песчаным), <u>б</u>уховая (пуховая) подушка, <u>бурб</u>урно-красный (пурпурно-красный).

3. შერეული ინტერფერენცია:

1) რბილი ნიშნის „ь“ არასწორი გამოყენება მდედრ. სქესის „ня“-ზე დაბოლოებულ არსებით სახელებში მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში: цветущих яблон, черешень, вишень, праздничных песень.
2) მაგარი ნიშნის „ъ“ გამოტოვება ან პირიქით უადგილო ჩასმა „я, е, ё, ю“ ხმოვნებზე დაწყებულ ფუძესა და თანხმოვანზე დამთავრებულ წინდებულს შორის: мысли об от<u>е</u>зде, из<u>я</u>вительное наклонение, об<u>ъ</u>язательный человек, моя гражданская об<u>ъ</u>язанность.
3) რბილი ნიშნის გამოტოვება მამრობითი და საშუალო სქესის არსებითი სახელების მრავლობით რიცხვში ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის: подрезанные кры<u>ля</u>. высокие дере<u>вя</u>, новые сту<u>ля</u>, пер<u>е</u>в птиц, жёлтые лис<u>тя</u>, близкие дру<u>зя</u>.
4) რბილი ნიშნის „ь“ გამოტოვება ან უადგილო ჩასმა კუთვნილებითი ზედსართავი სახელების ბრუნვის დროს ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის: на оле<u>не</u>м меху, в собо<u>лей</u> шапке, лебеж<u>ь</u>ий пух, челове<u>чи</u>м голосом, рыба<u>че</u>й лодкой.
5) и ან я ხმოვნებზე დაწყებული სუფიქსების წინ რბილი ნიშნის „ь“ გამოთქმა და მართლწერა: журавл<u>ь</u>иного крика, гусиньие лапки, дере<u>вь</u>янный стол, серебр<u>ья</u>нный браслет, кур<u>ьи</u>ный бульон.

6) მაგარი და რბილი თანხმოვნების ერთმანეთისგან განურჩევლობა: разные фкусы, деревянные лебетки, вскорапкался, сдесь, иттти, лефша.
7) უმახვილო მდგომარეობაში ხმოვნების а , о, е, и–ს ნაცვლად о ,а ,и ,е–ს არასწორი მართლწერა (როდესაც უმახვილო მდგომარეობაში მყოფი ხმოვნის შემოწმება შეუძლებელია).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვაჭაძე ლ. ქართული ენა, ნაწილი პირველი 1,თბ..,1961;
2. Имнадзе Б.Л. Осиобы методики русского языка в неязыковых вузахю.Тб..,1997 г.
3. Барнас Б.И. Взаимодействие в прочессе обучения Вильниус..,2004 г.

Mistakes of Georgian students in Russian speech caused by phonetic interference

The thesis deals with phonetic mistakes made by Georgian students in Russian speech. It has become clear that they occur mostly due to interference.

Ошибки, вызваниые фонетической интерференцией в русской речи студентов грузин

Ольга Каландаришвили
Грузинский Технический Университет
Тбилиси,Костава 77

В работе выявлены фонетические ошибки, которые допускают студенты грузины в русской речи. Выяснено, что природа большенства из них заключается в интерференции.

პედაგოგიური ფსიქოლოგია გრაფიკული დისციპლინების სწავლების სამსახურში

ნანა ნოზაძე - ასოც. პროფ.,
მაია ბარბაქაძე - ასისტ. პროფ.,
ქეთევან ჭკუასელი - ასისტ. პროფ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

რეზიუმე: *სტატია ეძღვნება გრაფიკული დისციპლინების სწავლების მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისთვის. იგი განიხილება პედაგოგიური ფსიქოლოგიის კონტექსტით.*

შესავალი

განათლება, როგორც ზოგადსაკაცობრიო კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ცივილიზაციის განვითარების პროცესში, განიცდის მუდმივ ცვლი-ლებებს, რაც განპირობებულია მოაზროვნეთა მისწრაფებით – შექმნან უახლესი პედაგოგიური ტექნოლოგიები ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღსაზრ-დელად. ეს ცვლილებები მიმდინარეობს მუდამ, უფრო

მეტიც, ამ პროცესის თანამედროვე მდგომარეობა ითვლება კრიზისულად – საჭიროა ახალი ტიპის მსოფლმხედველობის მქონე თანამედროვე ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბება, რომელიც ჰარმონიულად აღიქვამს როგორც ადამიანს, ასევე ბუნებას. ამ საკი-თხის გადაჭრა წარმოადგენს თანამედროვე განათლების სისტემის მთავარ ამოცანას, რომლის გადაჭრა უნდა მოხდეს ორი მეცნიერების – პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით.

ჩვენი კონკრეტული მსჯელობის საგანია ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში გრაფიკული დისციპლინების სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლების განხილვა მაღალი დონის შემეცნების მისაღწევად, რადგანაც გეომეტრია და გრაფიკა ქმნის შესანიშნავ საფუძველს პედაგოგიკის ძირითადი პრობლემის – ყოველმხრივგანვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების კომპლექსური გადაწყვეტისთვის. იგი ლოგიკური აზროვნების განვითარების შესანიშნავი საშუალებაა.

ძირითადი ნაწილი

სწავლების პროცესი მიმართულია კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის შეთვისებისაკენ და ემყარება ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გნოსეოლოგიურ საფუძვლებს. სწავლების კანონზომიერებებში წვდომა სწავლების თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რისი გათვალისწინებაც სწავლების ოპტიმალური წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.

სწავლაში წამყვან ფსიქიკურ ფუნქციად ითვლება ლოგიკური აზროვნება, მეხსიერება და ანალიზის უნარი. მეხსიერება უკვე ასახულის შენახვას, კონსერვაციას ემსახურება, ხოლო აზროვნება პირიქით - იძლევა სინამდვილის აქტუალურ ასახვას. აზროვნებისათვის დამახასიათებელია სუბიექტისათვის ახალი ამოცანის გადაწყვეტა, ახალი, უჩვეულო სიტუაციის შესატყვისი მოქმედება, რომლის გამოცდილება სუბიექტს არა აქვს. აზროვნების პროცესში ხდება აღქმის მონაცემების გონებრივი გადამუშავება – არსებითის გამოყოფა არაარსებითისგან, არსში წვდომა. აზროვნების პროცესი პიროვნების მიზანდასახულ მოქმე-დებას წარმოადგენს და ემსახურება წამოჭრილი ამოცანის გადაწყვეტას.

აღსანიშნავია, რომ სწავლების ძირითადი ფსიქიკური ფუნქციები თვითონ ექვემდებარება სწავლებას. პედაგოგის ხელოვნება კი სწორედ ამ ფუნქციათა სწავლების უნარით ვლინდება.

ინჟინრისა და კონსტრუქტორისათვის და საზოგადოდ ყველგან, სადაც კი ადამიანი ახალ შინაარსს ქმნის, განსაკუთრებით საჭიროა კარგი აღქმის და წარმოსახვის უნარი, რის განვითარებასაც ემსახურება გრაფიკული დისციპლინების და გეომეტრიის სწავლება. *აღქმა* ადამიანის შემეცნებითი აქტივობის გამოვლინებაა, ამიტომ აღქმაში ვლინდება აღმქმელი პიროვნების შინაგანი სამყარო, მისი გამოცდილება, ინტერესი, მისწრაფებები და ფანტაზია.

სწავლის საგნის ობიექტივაციისა და შესატყვისი მოტივაციის საფუძველზე წარმოშობილ სწავლის განზრახვა მობილიზაციას უკეთებს სტუდენტის მრავალ არსობრივ ძალას, ააქტიურებს მის აზროვნებას, მეხსიერებას, წარმოსახვას და იწყება ის პერიოდი, როცა გარკვეული *განწყობის* საფუძველზე სტუდენტი ეუფლება გააზრებულ ცოდნას, რომელიც ცვლის მის აზროვნებას.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც საწარმოო პროცესები თითქმის გაჩერებულია, სტუდენტის მოტივაცია, ისწავლოს, შეიძლება ითქვას, ნულამდეა დასული,

რაც იწვევს სწავლის ხარისხის უკიდურესად დადაბლებას. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა თაობა უტყუარი ალღოთი გრძნობს ცხოვრების რიტმს, აანალიზებს და პრაგმატული მიდგომით ადგენს ცოდნის იმ მინიმუმის დონეს, რაც მას შესაძლოა დაჭირდეს, ან გამოადგეს შექმნილ ცხოვრებისეულ რეალობაში. ამის შედეგია ის, რომ დღევანდელ ახალგაზრდა თაობაში დაიკარგა რომანტიზმი, სილაღე, სამშობლოს განცდა. ისინი გახდნენ უფრო პრაგმატულები და მოვლენებს უყურებენ გამოყენების თვალსაზრისით, რაც წინა თაობისთვის უცხო იყო.

დასაქმების პრობლემა არ აისახება მხოლოდ მატერიალური განზომილებებით, იგი ადამიანში ღრმა ფსიქოლოგიურ ცვლილებებს იწვევს, რაც მის ფსიქიკაზეც აისახება. პერსპექტივის უქონლობა ადამიანში კლავს ენთუზიაზმს და მისი დამოკიდებულება სწავლისადმი და გარესამყაროსადმი ხდება ფლეგმატური.

ის, რომ კაცობრიობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონეს განსაზღვრავს ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარება და მათი გამოყენება ყოფით ცხოვრებაში, ცხადზე უცხადესია. მეცნიერებები განყენებულად კი არ ვითარდებიან, არამედ კომპლექსურად და აქვთ განვითარების მიზანი. რა თქმა უნდა, კაცობრიობის ისტორია ტექნიკის განვითარების ისტორიაცაა.

მათემატიკური და გრაფიკული მეცნიერებები ერთმანეთთან კავშირით იძლევიან კალეიდოსკოპურ სასწაულებს და ეს არც არის გასაკვირი, ეს სასწაული მათ ბუნებაში დევს. დიდი ფრანგი გეომეტრი გასპარ მონჟი მხაზველობითი გეომეტრიის შესახებ ამბობდა: "ეს არის ჭეშმარიტების ძიების საშუალება", რადგანაც იგი ძალიან ამარტივებს საინჟინრო ამოცანათა გადაწყვეტას.

გასპარ მონჟს თავის ნაშრომზე "Feuilles d′analyse appliguéeala géometrie » უთქვამს: «ახლიდან რომ მომიწიოს ამ სამუშაოს შესრულება, მე მას ორ სვეტში განვათავსებდი: პირველში მოვათავსებდი ამოცანის გადაწყვეტას გამოთვლების გზით, ხოლო მეორეში – იგივე ამოცანის გადაწყვეტას გრაფიკული აგებებით. მკითხველი აუცილებლად განცვიფრდებოდა, როცა დაინახავდა მეორე სვეტის უპირატესობას, როგორც სიცხადით, ასევე დამტკიცების სიმარტივით".

კონსტრუქტორული საქმიანობის შესრულებისას უნდა გვახსოვდეს, რომ კონსტრუქტორის მიერ შექმნილი ნებისმიერი ნაკეთობა გამოიყენება ადამიანის მიერ (ოპერატორი, მომხმარებელი და ა.შ.), ამიტომ საინჟინრო ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, პროექტირების ობიექტი განიხილება არა როგორც მხოლოდ ტექნიკური მოწყობილობა, არამედ, როგორც სისტემა – "ადამიანი-მანქანა".

მეცნიერული პროგრესი და მრეწველობის ინტენსიური განვითარება დიდ გავლენას ახდენს ადამიანზე და მის დამოკიდებულებაზე საწარმოო პროცესების მიმართ. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ტემპები მოითხოვს მორალურად დაძველებული ტექნიკის შეცვლას ახლით, რაც შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერების უახლესი მიღწევების ოპერატიული დანერგვით წარმოებაში. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ადამიანს და მის ფსიქოლოგიას უყენებს ხარისხობრივად ახალ, ამაღლებულ მოთხოვნებს, კონსტრუქტორისაგან მოითხოვს მაღალ ინტელექტს, ინტელექტუალურად მდიდარ ნაშრომს, მაღალ კულტურულ-ტექნიკურ და პროფესიულ დონეს.

კონსტრუქტორული საქმიანობა, როგორც შრომის ერთ-ერთი ურთულესი სახე, წარმოადგენს საინჟინრო-ფსიქოლოგიურ საქმიანობას, რომელიც მიმართულია კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური ამოცანის გადასაჭრელად. ამოცანის გადაწყვეტის უშუალო შედეგს წარმოადგენს ახალი – ორიგინალური

პროდუქტი. ინჟინრული აზროვნების კანონზომიერების ცოდნა კონსტრუქტორს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტურად გადაჭრას ახალი ტექნიკის შექმნის, ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის პრობლემა.

ინჟინრული აზროვნების კანონზომიერებების ჩამოყალიბება ხდება ტექნიკური უნივერსიტეტების კედლებში. მისთვის აუცილებლია სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის ერთობლიობა. სტუდენტი უნდა ხედავდეს თავისი საინჟინრო თუ სამეცნიერო მოღვაწეობის რეალობაში განივთების პერსპექტივებს.

გრაფიკული დისციპლინების მასწავლებელი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტში დებს იმ ფუნდამენტს, რასაც უნდა დაეფუძნოს შემდგომში ყველა სხვა დისციპლინის სწავლება. ამიტომ ლექტორი გრაფიკულ დისციპლინებს უნდა კითხულობდეს არა როგორც საგანს, არამედ როგორც მეცნიერებას, რომელსაც აქვს ფუნდამენტალური ფუნქცია ყველა სხვა საინჟინრო საგნისათვის, რომლის სწავლაც მოუწევს სტუდენტს.

გრაფიკული დისციპლინების სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, პედაგოგს თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალურად უხდება მუშაობა, სადაც ხდება სტუდენტის პიროვნული ფსიქოფიზიოლოგიური თვისებების და შესაძლებლობების გამოვლენა. გრაფიკული დისციპლინების სწავლების პედაგოგმა უნდა ისარგებლოს ამ დამატებითი უპირატესობით და სტუდენტის ხასიათის ემოციური თავისებურებების გათვალისწინებით, მასთან ინდივიდუალური მიდგომით, მართალი და გულწრფელი დამოკიდებულებით, მზრუნველობის გამოვლენით, განამტკიცოს მასთან მეგობრობა, ისე, რომ სტუდენტმა იგრძნოს უხერხულობა და პიროვნული დისკომფორტი კონკრეტული პედაგოგის მიერ გაწეული შრომისადმი გამოჩენილი გულგრილობის შემთხვევაში.

პედაგოგის პროფესიული თვისებები უნდა იყოს დახვეწილი, იგი უნდა იყოს ნაკითხი, წიგნიერი, ფლობდეს ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს, ეცნობოდეს სიახლეებს ტექნიკის დარგში და დროდადრო მათ შესახებ სტუდენტებსაც უნდა უამბობდეს, რათა მათში გააღვივოს ინტერესი ცოდნისადმი, დაანახოს განვითარების პერსპექტივები, გააღრმავოს ცოდნის მოტივაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ გრაფიკული დისციპლინები სწავლების თანამედროვე მეთოდებით (იგულისხმება კომპიუტერული გრაფიკის პროგრამები AuCAD, ArchiCAD) სტუდენტების მიერ გაცილებით ადვილად შეისწავლება, ვიდრე ტრადიციული მეთოდით. ყოველივე ამას თავისი ფსიქოლოგიური ახსნა აქვს: სტუდენტი ფაქტიურად კომპიუტერის ოპერატორი ხდება და მისი ფუნქცია ბრძანებების გაცემით შემოიფარგლება, შემსრულებელი კომპიუტერია! გარდა ამისა, მუშაობის პროცესი სანახაობრივია: შესაძლებელია ფერთა პალიტრით ტკბობა, ზუმირება, ორბიტაზე ბრუნება, კოპირება, ტირაჟირება და ა.შ. მნიშვნელოვანია დროის ფაქტორის გათვალისწინებაც – სამუშაოს შესრულების სისწრაფე, წაშლა აღდგენის პერსპექტივით, ვარიანტების შექმნის სიადვილე, გარდა ამისა, სტუდენტი თავისუფლდება ინსტრუმენტებისა და სახაზი ფურცლის ხარისხზე დამოკიდებულებიდან, დაზღვეულია გაზომვების სიზუსტისგან.

ცოდნა ის სიკეთეა, რაც ადამიანს პიროვნულ ღირსებებს მატებს, გამოარჩევს მასისგან, აძლიერებს მას და ანიჭებს თავისუფლებას. განათლებას ერთი უცნაური თვისება გააჩნია, რაც მეტი იცი, გგონია, რომ არაფერი იცი, იმიტომ, რომ რამდენი რამაა დაფარული, მისი არსებობის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ იგი არსებობს და თავის აღმომჩენს ელის.

დიდი მათემატიკოსი, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, რენე **დეკარტი** თავისი წიგნის "გეომეტრია" ბოლოსიტყვაობაში წერს: "დარწმუნებული ვარ ჩვენი

მომავალი თაობა ჩემი მადლიერი იქნება არა მარტო იმისათვის, რაც მე ამ წიგნში განვმარტე, არამედ იმაზეც, რაც მე ნებაყოფლობით გამოვტოვე იმ მიზნით, რომ მივანიჭო მათ სიამოვნება – თვითონ აღმოაჩინონ".

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ლორთქიფანიძე. პედაგოგიკა.
2. რ. ნათაძე. ფსიქოლოგიის მოკლე კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1989, 357 გვ.
3. Б.Ф. Ломов, Б.А. Душков. Основы инженерной психологии. М.: Высшая школа, 1986, 447с.

PEDAGOGICAL PSICHOLOGY IN SERVISE OF LEARNING OF GRAFIC DISCIPLINES

N. Nozadze, M. Barbakadze, K. Chkuasely

The article is devoted to learning the value of graphic disciplines for development of the country and scientific and technical progress. It is considered in a context pedagogical psychology.

ПЕДАГОГИЧЕСКАЯ ПСИХОЛОГИЯ В СЛУЖБЕ ИЗУЧЕНИИ ГРАФИЧЕСКИХ ДИСЦИПЛИН

Н.В. Нозадзе, М.Ю. Барбакадзе. К.Т. Чкуасели

Статья посвящается значению обучении графических дисциплин для развития страны и научно-технического прогресса. Она рассматривается в контексте педагоги-ческой психологий.

საინჟინრო გრაფიკის კონკრეტული ამოცანების ამოხსნის გზები

ასოც. პროფ. ნანა ნოზაძე
ასოც. პროფ. რომეო გოგალაძე
ასისტ. პროფ. ქეთევან ჭკუასელი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

სტუდენტთა, როგორც შემეცნებითი, ასევე შემოქმედებითი აქტივიზაციისას ყურადღება უნდა მიექცეს ამოცანების ამოხსნას. სტუდენტი ამოცანების ამოხსნისას ეჩვევა შემოქმედებით ფიქრს, სივრცით აზროვნებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ფიქრსაც სწავლა და განვითარება სჭირდება, სტუდენტს ფიქრიც უნდა ვასწავლოთ. ამ მიზნით ერთიდაიგივე ამოცანის რამოდენიმე ამოხსნის გზა უნდა მივცეთ და თანაც ვაჩვენოთ ყველაზე უფრო ოპტიმალური და აზროვნების განმავითარებელი ვარიანტი.

როდესაც სტუდენტს დავალებად ვაძლევთ ამა თუ იმ საკითხს აუცილებელია, რომ მას დავუკონკრეტოთ ლოკალური დავალებები. მაგალითისათვის:

1) გამოყავით მასალაში ფუნდამენტური, ძირითადი ადგილები;
2) ამოწერეთ ძირითადი ცნებები და განმარტებები;

3) გააკეთეთ ნახაზი, ააგეთ გრაფიკები და ეპიურები;

4) მოძებნეთ შიდასაგნობრივი კავშირები ადრე შეძენილ ცოდნასთან;

5) დაადგინეთ ანალოგიურ საკითხებთან მსგავსობისა და განსხვავების ნიშნები;

6) თვითკონტროლის მიზნით შეამოწმეთ თქვენი მეხსიერება.

ასეთ შემთხვევაში მოცემულ დავალებას სტუდენტი უფრო მეტი მონდომებით და ინტერესით ასრულებს. სტუდენტს უმუშავდება გაგება-დამახსოვრების უნარ-ჩვევები და ექმნება სწავლისადმი განწყობა.

მოცემულია (ABC) ზოგადი მდებარეობის სიბრტყის ნიშნულებიანი გეგმილი და საჭიროა სხვა სისტემებში მისი გარდაქმნა ჯერ მაგეგმილებელი, ხოლო შემდეგ დონის სიბრტყეში. სურათზე 1 ნაჩვენებია ასეთი მოქმედებების შესრულება ნიშნულებიანი გეგმილების კლასიკური მეთოდისა და ახალი ინტერპრეტაციის ერთობლივი გამოყენებით.

შენიშვნა: როცა სიბრტყე მაგეგმილებელია ეს ნიშნავს, რომ იგი პერპენდიკულარულია გეგმილთა სიბრტყის მიმართ. გრაფიკული მოქმედებების შემცირების მიზნით, ამოცანის გადაწყვეტა მიზანშეწონილია დავიწყოთ სიბრტყის ჰორიზონტალის აგებით. ამგვარი გადაწყვეტილება ეფუძნება სიბრტყეთა პერპენდიკულარობის ნიშნას: თუ სიბრტყე გადის მეორე სიბრტყის პერპენდიკულარზე, მაშინ ის ამ სიბრტყის პერპენდიკულარულია.

ავაგოთ (ABC) სიბრტყის h ჰორიზონტალი და x_1 ღერძი გავავლოთ h-ის პერპენდიკულარულად. ახალ Π_1 სიბრტყის სისტემაში მაგეგმილებელი სიბრტყედ (α_1) გარდაიქმნება (სურ. 1).



სურ. 1

გავავლოთ x_2 ღერძი Π_1 სისტემაში $\alpha_1(A_1B_1C_1)$ გეგმილის პარალელურად და ავაგოთ $A_2B_2C_2$ გეგმილი Π_2 სისტემაში. ამ სისტემაში მოცემული სიბრტყე დონის სიბრტყედ გარდაიქმნება (სურ.1).

ძირითადი გეომეტრიული ფიგურების ურთიერთკუთვნილების დადგენას წინ უძღვის ცნობილი დებულებები:

1) თუ წერტილი ეკუთვნის წრფეს, მაშინ მისი გეგმილები ეკუთვნის წრფის ერთსახელა გეგმილებს);

Exactly like the sunlight in a mirror,
The twofold animal gleamed in her eyes,
Now beaming with one nature, now the other.
(Purgatory XXXI, 118-126)

Now the poet is ready for the final voyage, sailing towards Paradise Regained, forgotten but desired destination of a soul caused by a call from God.

Now was the hour when voyagers at sea
Pine to turn home and their hearts soften,
This first day out, for friends they bid good-by;
(Purgatory VIII, 1-6)

At noon on Easter Wednesday Dante mounts with Beatrice straight up into the world of light. Through the nine spheres of the Moon, Mercury, Venus, Sun, Mars, Jupiter, Saturn, Fixed Stars, Primum Mobile, and to the Empyrean. There Beatrice is replaced by St. Bernard de Clairvaux, who shows the poet the saints and angels, who enjoy the state of the highest bliss: direct contemplation of God. (It was thought that on the way to God human mind passes three stages, conducted by three different forms of light: the light of Natural Reason, the light of God`s Grace and the light of Glory. This role is played by three guides of Dante in *The Divine Comedy*) (Franco Ch. Introduction to the Paradiso). Dante the pilgrim rises to the heights of mystic revelation. His experience is so personal, that no words can express it:

I have been to that heaven where his light
Beams brightest and seen things that none, returning,
Has the knowledge or the power to repeat,
Because as it draws near to its desire,
Our intellect sinks down to such a depth
That memory cannot trace its way back there.
(Paradise I, 4-9)

In the highest heaven, the Empyrean the soles form a rose. It is divided vertically and equally between the Old and New Testaments with the upper rows on one half lined with souls who believed in Christ to come and on the other half those who believed in Christ when he came. The Holy characters of both Testaments form its petals.The Primum Mobile forms the innermost ring. The pilgrimage is now guided by the divine attraction of Paradise, the reorient- tation that took place in the poet`s consciousness. The Point that now attracts the pilgrim is the source of Love and Light.

This threefold way to God according to Bonaventure begins with the physical world, then enters into the soul itself, and finally goes beyond it to attain the vision of the Trinity. These three ways conform to the triadic existence of things: matter, creative intelligence, and eternal art; and to the triple substance of Christ, who is the ladder to God: the corporeal, spiritual, and divine. Lastly, the threefold way embodies the very nature of the person: body, spirit, and mind so that the whole being mounts up to God." (Franco Ch. Introduction to the Paradiso).

Three visions of Christ occur in the journey through Paradise: the cross seen in Mars (*Paradise XIV, 103-105*), the triumph of the risen Lord in Canto XXIII, 28-33. The smiling face of Beatrice prepares Dante for the last vision; she tells him:

Open your eyes and look at what I am,
For you have seen such things that you are able
Now to withstand the vision of my smile!
(Paradise XXIII, 46-48)

It was through Beatrice, the poet`s anima, that Dante found God.

Life is displayed in a form of a book: "the universal pattern of the knot" that makes the whole cohere in one and from which the universe evolves. It is a sacred text, the book of nature in which we are to read the Word of God that the Lord revealed in the book of the Gospels.

Within its depths I saw gathered together,

Bound by love into a single volume,
Leaves that lie scattered through the universe.
(Paradise XXXIII, 85-87)

Three moments of vision of the final canto climax in the last face to face meeting with the Incarnate Son. The face the poet sees at the end of the poem is the true image of God, the "OMO". The final vision comes in three circles of Light of "one dimension and three different colours" representing the Father, Son, and Holy Spirit — the Three in One.

That middle circle which appeared in you
To be conceived as a reflected light,
After my eyes had studied it a while,
Within itself and in its coloring
Seemed to be painted with our human likeness
So that my eyes were wholly focused on it.
(Paradise XXXIII. 127-132)

Dante grasps the God-man in the centre as embodying divine Light that shines from within the features and through the eyes and sees the "Love that moves the sun and the other stars."

The same theme of trying to find one`s real self can be found in any great work of literature based on different religious traditions; everywhere man strives to overcome his lower nature and unreasonable existence to become a higher nature, the image of God. The nature of the wisdom gained by descend to the Underworld is simple: to structure reality and to explain the nature of evil in the world. Remembering that man is a microcosm, the image of macrocosm and the image of God, one may try to analyze oneself. Surprisingly, this "esoteric" knowledge has never been hidden from man. Living according to God`s laws, or the laws of nature, or the laws that least harm man and his neighbours not only gives one satisfaction, but also raises man above all other living creatures. Man, as a social being, has his responsibilities towards his society and country. His occupation also poses responsibilities upon him. Such are the simple conclu- sions of descending to Hell. However, this is the knowledge each man has to gain by himself.

Bibliography

Allen, Graham. 2005 Intertextuality. The Literary Encyclopedia. 24 January. http://www.litencyc.com/php/stopics.php?rec=true&UID=1229, accessed 24 May 2010.

Bakhtin, Mikhail. 1981 Discourse in the Novel (1935). In The Dialogic Imagination, ed. Michael Holquist and trans. Caryl Emerson and Michael Holquist. Austin: University of Texas Press.

Dalgaard, R. 2001 Hypertext and the Scholarly Archive: Intertexts, Paratexts, and Metatexts at Work. In Proceedings of the 12th ACM Conference on Hypertext and Hypermedia. Aarhus, 2001 175-84.

Dante Alighieri.The Divine Comedy Translated by James Finn Cotter . Web Edition by Charles Franco Introduction to the Web Edition www.italianstudies.org/comedy

Derrida, J. 1978 Writing and Difference, trans. Alan Bass, Chicago: University of Chicago Press.

Derrida, Jacques. 1988 The New Modernism: Deconstructionist Tendencies in Art. Art & Design profile, 8. London: Academy Group; New York: St. Martin's Press.

Eco, Umberto. 1989 Opera aperta (Loose work). Translated by Anna Cancogni. Introduction by David Robey. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.

Gasparov Michael 1979 Virgil – Poet of the Future. (in Russian) 5-34 In: Virgil. The Ecloques (Bucolics), The Georgics, The Aeneid, Moscow: Fiction.

Genette G.1980 Narrative Discourse: An Essay in Method, trans. Jane Lewin, Ithaca: Cornell University Press.

Kristeva, Julia 1980 Desire in Language: A Semiotic Approach to Literature and Art. New York: Columbia University Press.

Lotman, Iury. 1994 The Text within the Text. (Selection. With a presentation by Julia Kristeva). PMLA 109 (1994): 375-84.

Steiner R. 1902 Christianity as Mystical Fact and the Mysteries of Antiquity. Berlin.
Virgil. The Aeneid. 1990 Translated by Robert Fitzgerald. New York: Vintage Classics.

ინტერტექსტუალური კავშირები, როგორც ლიტერატურული ტრადიციის გაგრძელების ასახვა

თამარ მებუკე

სტატია წარმოადგენს ნაშრომის მეორე ნაწილს, რომელშიც განიხილება ინტერ-ტექსტუალურობა, როგორც ერთ-ერთი ხერხი ლიტერატურული ტრადიციის გადმოცემისა. დანტეს „ღვთაებტივი კომედია“ მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე მნიშ-ვნელოვან ტექსტად, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს ანტიკური ლიტერატურის მთელ სიმდიდრეს და სათავეს უდებს ქრისტიანული კულტურული ტრადიციის განვითარებას დასავლეთ–ევროპულ ლიტერატურაში.

Интертекстуальные связи как отражение приемственности в литературе

Тамар Мебуке

Данная статья является второй частью работы, посвященной вопросу интертекстуальности как одному из способов выражения приемственности в литературной тради- ции. «Божественная комедия» Данте рассматривается как один из наиболее значимых текстов, вобравший в себя все богатство античной литературы и послужившим основой для развития Христианской культурной традиции в Западноевропейской литературе.

ინტერტექსტუალურობის პრობლემა პუბლიცისტურ ლიტერატურაში

თამარ ნატროშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინტერტექსტუალურობა ტექსტუალურობის ერთ-ერთი შემადგენელი სტანდარტია, რომელიც მოიაზრება როგორც უსასრულო სამყარო, ტექსტი, რომელშიც ყოველივე ოდესღაც უკვე ითქვა და ახლის თქმა ეფუძნება კალეიდოსკოპის პრინციპს: ახალი ელემენტების შერევა იძლევა ახალ კომბინაციებს, რის საშუალებითაც, იგი იძენს ახალ კონტექსტს. ტექსტი წარმოადგენს ციტატების მოზაიკას, თითოეული ტექსტი სხვა ტექსტების “შთანთქმისა” და ტრანსფორაციის საფუძველზე იქმნება. [Kristeva J. “Word, Dialogue and Novel”, New York, Columbia University Press, 1986. p. 62-65]

ინტერტექსტუალურობის ფუნდამენტალურ კონცეფციად მოიაზრება ის ფაქტი, რომ არც ერთი ტექსტი არ არის ორიგინალური, უნიკალური, მას ყოველთვის აქვს კავშირი სხვა ტექსტთა ციტატებთან, რაც გულისხმობს ურთიერთობას საერთო მახასიათებლების მქონე ერთ ცალკეულ ტექსტსა და სხვა ტექსტებს შორის. ეს ფაქტი საგულისხმოა პუბლიცისტური ლიტერატურის კვლევისას. პოლიტიკური სტატიები ასახავენ წარსულთან კავშირში მყოფ მიმდინარე მოვლენებს, რის გამოც ხშირ შემთხვევაში

ახლებურ ინტერპრეტაციას აძლევენ წინარე ინფორმაციებსა და ციტატებს. თანამედროვე პოლიტიკოსების მოხსენებები და მიმართვები ინტერტექსტუალურობის პრინციპების მატარებელია. ამ პრინციპების კვლევისას ნიშანდობლივია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ნებისმიერ მიმღებს, განურჩევლად კულტურისა, ინტელექტისა და ეროვნებისა, გაუჭირდება ტექსტის ადეკვატურად აღქმა ინტერტექსტუალური კავშირის გააზრების გარეშე.

პუბლიცისტიკა არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა, რომელიც განიხილავს თანამედროვე აქტუალურ თემებს. იგი მაშტაბურად იყენებს ცხოვრებისეულ მასალას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ფაქტების ასახვით გარკვეულ პოლიტიკურ იდეას ავითარებს.

ჩვენ მასობრივი კომუნიკაციის განვითარების ეპოქაში ვცხოვრობთ, რომლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტიც არის პრესა. პრესა ფართო აუდიტორიისათვის არის განკუთვნილი და მისი პრაგმატული მიზანია მკითხველისთვის რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიწოდება და მასზე ზეგავლენის მოხდენა. საგაზეთო პუბლიკაციებში კონკრეტული ინფორმაციის უბრალოდ თხრობა არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია მიმდინარე მოვლენებზე ავტორის მოსაზრებების მკითხველამდე რაც შეიძლება სრულად მიტანაც. ეს ყოველლივე სხვადასხვა ტექსტუალური მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინტერტექსტუალურ კავშირებს. იმისათვის, რომ სტატია გასაგები და სრულყოფილი იყოს, ავტორს უწევს კონოტაციური სემების გამოყენება, რაშიც იგულისხმება ამონარიდები სხვადასხვა დროს ამა თუ იმ პოლიტიკოსთა მიერ გაკეთებული მოხსენებებიდან და გამოსვლებიდან, მომხდარ და მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე გამოთქმული მოსაზრებების ციტირება და მათი ინტერპრეტირება. სტატიის წერისას ავტორმა აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს აუდიტორიის კულტურულ-სოციალური თავისებურებანი და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა. თუ გადავხედავთ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ საგაზეთო სტატიებს, დავინახავთ, რომ რელიგიური ინტერტექსტუალურობა არის ამ დისკურსის შიდა სტრუქტურა, როგორც იმპლიციტური, ასევე ექსპლიციტური თვალსაზრისით. სტატიებში არსებული ინტერტექსტუალური კავშირების ანალიზისას ნათელი ხდება, რომ ქრისტიანული სამყარო დაუპირისპირდა მუსულმანურს, რაშიც დიდი როლი ითამაშა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც რეგიონში მთავარმა პოლიტიკურმა მოთამაშემ. განსაკუთრებით 11 სესტემბრის ცნობილი ტერორისტული აქტის შემდეგ, მან რელიგია გამოიყენა ომის ლეგიტიმაციის სტრატეგიად. აშშ-ს ეს ქმედება მოტივირებული იყო შიდა პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორებით, თუმცა ბევრი მუსულმანის მხრიდან ეს აღქმული იქნა როგორც ომი მათი რელიგიის წინააღმდეგ. მათი ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაამძაფრა ჯორჯ ბუშის გამოსვლამ, როცა მან მის მიერ წარმოებული "ომი ტერორიზმის წინააღმდეგ" ("*war against terrorism*") "ჯვაროსნულ ლაშქრობად" ("*crusade"*) მოიხსენია, რაც უკიდურესად ნეგატიური კონოტაციის მატარებელია ზოგადად მუსულმანური სამყაროსათვის. პრეზიდენტმა ბუშმა არა ერთხელ უწოდა "**მისია**" ომს ერაყისა და ავღანეთის წინააღმდეგ:

"და საუკეთესო საშუალება, რითიც პატივს მივაგებთ ჩვენს დაცემულ ჯარისკაცებს, არის დაწყებული **მისიის დასრულება**, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მშვიდობის დამყარებას სამომავლოდ" (New York Times, November 2005, "პრეზიდენტის გამოსვლა ვეტერანების დღეს")

"And the best way to honor the sacrifice of our fallen troops is to **complete the mission** and to lay the foundation of peace for generations to come". (New York Times, November 2005, "President Commemorates Veterans Day")

მშვიდობის დამყარების მიზნით წარმოებული ომი თითქოს გამართლებულია და ყველასთვის მისაღები. ზემოთ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ იყენებდა დასავლეთი "კეთილისა" და "ბოროტის" დაპირისპირების იდეოლოგიას საუკუნეების წინ ჯვაროსნული ომების საწარმოებლად. ციტატა აგრეთვე მოწმობს იმას, რომ რელიგიური და პოლიტიკური მოსაზრებების კომბინირება "ბოროტის" დასაძლევად აძლიერებს იმ იდეას "მისიის" შესახებ, რომელმაც შექმნა გარკვეული ერთსულოვნება პოლიტიკურ ლიდერებსა და საზოგადოებას შორის, რათა გაემართლებინათ ერაყზე თავდასხმა. ეს ყოველივე უფრო ნათელი გახდა 2003 წელს ბაღდადის დაცემის შემდეგ, როდესაც ბუშმა ერაყში ძირითადი საომარი ოპერაციების დასრულება გამოაცხადა. თვალში საცემი იყო მის უკან განთავსებული ბანერი წარწერით "**მისია შესრულებულია**".

"ერაყის განმათავისუფლებელი ოპერაცია განხორციელდა წარმოუდგენელი სიზუსტით, სისწრაფითა და გამბედაობით, რომელსაც მტერი არ ელოდა და იყო უპრეცედენტო მსოფლიოსათვის. თქვენ აჩვენეთ მსოფლიოს, თუ რა სიძლიერისა და პროფესიონალიზმის დემონსტრირება შეუძლია ამერიკის შეიარაღებულ ძალებს". (Washington Post, December 2003)

"Operation Iraqi Freedom was carried out with a combination of precision and speed and boldness the enemy did not expect, and the world had not seen before. You have shown the world the skill and the might of the American Armed Forces". (Washington Post, December 2003)

ჯორჯ ბუშმა ამ გამოსვლით მიმართა ამერიკელ ჯარისკაცებს, ამერიკელ ხალხს და ზოგადად მთელს მსოფლიოს, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება, წინასაარჩევნო პროპაგანდა და ამასთანავე მუქარის მესიჯის გაგზავნა მათთვის, ვინც ეჭვს შეიტანდა ამერიკის სიძლიერეში. ამის დასტურია ციტატის ბოლო წინადადება.

ბუშის ზემოხსენებულ სიტყვებს "შესრულებული მისია" ძალიან ბევრმა ადამიანმა დასავლეთში, თუ არაბულ სამყაროში ნეგატიური შეფასება მისცა. ერთ-ერთ გამოხმაურებაში ვკითხულობთ:

"Why is the Bush administration worried about which exit strategy to use in Iraq? All it

*has to do is break out of the old **MISSION ACCOMPLISHED** banner."* (New York Times, November 2005)

სწორედ ეს არის ინტერტექსტუალურობის ერთ-ერთი მაგალითი. ყველაზე გონებამახვილი მიმდებიც კი, ვინც არ იცის წინარე ტექსტი, ვერ ვერ აღიქვამს გამოხმაურების შინაარსს სათანადოდ. ამავე დროს ამბივალენტობის საკმაოდ მაღალ ხარისხთან გვაქვს საქმე. ბუშის მიერ მეტაფორულად გამოყენებულმა ტერმინმა "ჯვაროსნული ლაშქრობა" აღშფოთება გამოიწვია არა მხოლოდ მუსულმანურ ქვეყნებში, არამედ დასავლეთშიც, რაც განპირობებული იყო იმ ნეგატიური ასოციაციით, რაც ამ ფრაზამ გამოიწვია. ზოგიერთ სტატიაში "ჯვაროსნული ლაშქრობა" გაიგივებული იყო ქრისტიანულ "ჯიჰადთან". ეს არის ბუშის მიერ გამოყენებული ტერმინის ინტერტექსტუალურობა.

ტექსტსა და კონტექსტს შორის ურთიერთობა ორ დონეზე ხორციელდება. პირველი არის ლინგვისიტური კონტექსტი, რომელიც იქმნება

ტექსტში თხრობის საშუალებით და ერთმანეთთან აკავშირებს რამდენიმე ტექსტს. მეორე კი არის არალინგვისტური კონტექსტი, რომელიც აღმატება ფორმალურ დონეს და ტექსტს მოიაზრებს როგორც კულტურული ტექსტუალურობის კომპილაციას. ამ გაგებით ტექსტი არ არის ინდივადუალური ობიექტი, რომელიც აღიქმება კულტურული სტერეოტიპული ცოდნით. ამგვარად, ტექსტი და კულტურა განუყოფელია. კრისტევა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტექსტი და კულტურა არ შეიძლება განხილული იყოს ცალცალკე, რადგანაც ყველა ტექსტი იდეოლოგიური სტრუქტურისა და დაპირისპირების მატარებელია, რაც საზოგადოებაში დისკურსის საშუალებით ვლინდება. საზოგადოება თავად უკეთებს ინტერპრეტაციას ნებისმიერი ტიპის ტექსტს და ინტერპრეტაცია მხოლოდ მაშინაა იდენტური, როდესაც ადამიანები ერთი კულტურის მატარებლები არიან, ან აქვთ კონკრეტული ენის რელევანტური ცოდნა.

პუბლიცისტური ლიტერატურის ერთ-ერთი ფორმის – პოლიტიკური სტატიებიებისათვის დამახასიათებელია ინტერტექსტების საკმაოდ ხშირი გამოყენება. ამის ახსნა შეიძლება შემდეგი მიზეზით: ავტორს ყოველთვის სურს, რომ რაც შეიძლება მძაფრად, საინტერესოდ და დამაჯერებლად მიმოიხილოს მიმდინარე მოვლენები და ამისთვის უწევს წინარე ტექსტების გამეორება, ეს იქნება დადებითი, თუ უარყოფითი იდეის მატარებელი ტექსტი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მხოლოდ მაშინ ხდება ავტორის ინტენციის ადეკვატურად აღქმა მიმღების მხრიდან, როდესაც ტექსტი ითვალისწინებს მკითხველის სოციალურ-კულურულ მდგომარეობას. წინარე ტექსტი ეხმარება მკითხველს შესაბამისად შეაფასოს მიმდინარე ტექსტი და ამასთანავე ამზადებს მას არსებული ტექსტის აღსაქმელად, ამცირებს ორაზროვნებასა და ბუნდოვანებას. ინტერტექსტუალური კავშირების დახმარებითა და შორეული ასოციაციების გამოყენებით მკითხველი თავად აკეთებს ტექსტის რეზიუმირებას და მიზეზ-შედეგობრიობის დადგენას წინარე ტექსტთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kristeva J. “Word, Dialogue and Novel”, New York, Columbia University Press, 1986
2. Allen G. “Intertextuality: the New Critical Idiom”, Routledge, London& New York. 2000
3. de Beaugrande R. and Dressler W. “Introduction to Text Linguistics”, Longman, London. 1981
4. Orr M. “Intertextuality: Debates and Contexts”, United States, Odyssey Press, 2008
5. Bakhtin Mikhail. “The Dialogic Imagination” Austin. University of Texas Press. 1981

The Problem of Intertextuality in Political Journalism

Tamar Natroshvili

The article deals with the problem of intertextuality in political journalism. Whether intertextuality is intentional or not, it is present in every single text. Intertextuality is seen as a kind of interaction between the individuality of an author and society, crossing the barriers of time. The reader is the main focus of intertextuality because his level of stored knowledge of the world serves as the key factor in activating the dynamic process of productivity and interaction between the current text and previous texts. One of the interesting features of intertextuality is that it can be found in all fields of political journalism, it is often seen in diverse forms of the media, whose role in the political game is really a vital one.

Проблема интертекстуальности в публицистической литературе

Тамар Натрошвили

В статье рассматривается проблема интертекстуальности в публицистической литературе. В каждом тексте присутствуют элементы, ранее употреблявшиеся в других текстах. Автор политической статьи часто повторяет известную информацию и передает слова других людей в новой интерпретации.

ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორის რეალიზაცია გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეში“

ეკატერინე შაკიაშვილი
სტუ დოქტორანტი

ინდივიდუალურ - საავტორო მეტაფორა მწერლის სახეობრივი აზროვნების პროდუქტია, მისი ენობრივი სამყაროს სურათიდან გამოხმობილი და ამ სურათის არსის განმსაზღვრელი ელემენტი. მწერლის მიერ ნაციონალური ენობრივი სამყაროს გათავისების დონე და ენობრივი ცნობიერების სპეციფიკა ყველაზე მეტად მეტაფორიზების უნარში მჟღავნდება. მეტაფორა მხოლოდ საგნის სხვა საგნის რაიმე ნიშან-თვისებით გამოხატვა არ არის. მეტაფორა დიდი შინაარსის აკუმულირებაცაა. როდესაც მწერალი მეტაფორას ანდობს სათქმელს, ნაციონალურ ენობრივ სამყაროში არსებულ მიზნობრივ მეტაფორას აგნებს და უსადაგებს თავის სათქმელს. ამგვარი ძიება, ბუნებრივია, ენობრივი ხედვის გამორჩეულობას საჭიროებს.

გიორგი ლეონიძე მეტაფორული აზროვნების დიდი ოსტატია. ამას ცხადყოფს „ნატვრის ხის“ მხატვრულ ტექსტში ინდივიდუალურ - საავტორო მეტაფორების საერთო სიუხვე და ტიპობრივი მრავალფეროვნება. მეტაფორათა ტიპებიდან დასტურდება ისეთების არსებობა, როგორიცაა: სუბსტანციური მეტაფორა, მეტაფორული ეპითეტი, ზმნური მეტაფორა, ევფემისტური მეტაფორა, გაშლილი მეტაფორა.

გ. ლეონიძის „ნატვრის ხეში“ ინტენსიურად გამოიყენება **ინდივიდუალურ-საავტორო სუბსტანციური მეტაფორა,** მაგალითად, გამონათქვამში **„ველარ მოდიოდნენ „სისხლის არყით მთვრალები“** [1, 141], სუბსტანციური მეტაფორაა „სისხლის არყით მთვრალები“. მეტაფორით ხასიათდებიან ომში დაღუპული ბიჭები, რომლებიც სახლებში ველარ ბრუნდებიან. ომი, ცხადია, სისხლის ღვრისა და სიკვდილის სივრცეა, ამიტომ მეტაფორმაში სისხლის წინწამოწევა და მეტაფორის ელემენტის ფუნქციის დაკისრება ბუნებრივია, მოულოდნელია და უჩვეულო ამ სიტყვის შეწყვილება „არაყთან“. მწერალს, ცხადია, დაღვრილი სისხლის სიუხვეზე მინიშნება სურს, დიდი სისხლის ხილვით ადამიანის გაბრუების ფსიქოლოგიური სიტუაციის დაფიქსირება აქვს განსაზღვრული. გაბრუება ენობრივ ცნობიერებაში იოლად ეწყვილება სიმთვრალეს. ამიტომ გ. ლეონიძეს შეეძლო მეტაფორა შეკვეცილი სახითაც წარმოედგინა - „სისხლით მთვრალები“, მაგრამ არ დაკმაყოფილდა ამგვარი თქმით და მისი უზუალურობა

იმით გადალახა, რომ სემანტიკა დააკონკრეტა - არყით თრობაზე მიანიშნა. არყით თრობა ღვინით თრობისაგან ორიგინალურობით და თრობის ძალოვნებით გამოირჩევა, თავდავიწყების სიმძლავრე განსაკუთრებულია, ალკოჰოლური სიღრმისეული სწრაფქმედების გამო. ამ ნიუანსის გათვალისწინებით და სუბსტანციურ მეტაფორაში „დამატებითი“ სიტყვის შეტანით გ. ლეონიძე მთლიან მეტაფორულ თქმას სძენს ემოციურ-ექსპრესიულ და სემანტიკურ ინდივიდუალურობას: არყით (თანაც სისხლის) გაბრუებულები და გონებადაბინდულები ვეღარ იცნობიერებენ გზა-კვალს და ვეღარ ბრუნდებიან სახლებში. ამგვარ ასპექტებზე ყურადღების კონცენტრირებით ქმნის გ. ლეონიძე უნიკალურ მეტაფორულ ხატს და ენობრივი ხედვის ძალმოსილებას ამ ფორმითაც ავლენს. გრამატიკული სტრუქტურით ეს სუბსტანციური მეტაფორა ეფუძნება ნათესაობით ბრუნვისა („სისხლის“) და მოქმედებითი ბრუნვის („არყით“) ფორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ (ახასიათებენ) „მთვრალებს“.

გ. ლეონიძის „ნატვრის ხეში“ მსგავსი პრინციპით არის აგებული ინდივიდუალურ–საავტორო სუბსტანციური მეტაფორები, რომლებიც 48 ერთეულს შეადგენენ.

გ. ლეონიძე მხატვრული, სახეობრივი აზროვნების იმ სპეციფიკასაც ადასტურებს, რაც მხატვრული ეფექტის და ემოციურ-ექსპრესიული მუხტის ერთი ენობრივ-სემანტიკური ველის სიტყვის სხვა ენობრივ-სემანტიკურ ველში გადატანით იქმნება.

მეტაფორული ეპითეტის სახეობრივი წარმოდგენის სირთულეს უკვე სახელწოდება ცხადყოფს. იგი ეპითეტია, ოღონდ სემანტიკური შეფუთულობით მეტაფორულია, რადგან საგნისა და მოვლენის ბუნებას მეტაფორების პრინციპით აღწერს.

გ. ლეონიძე მეტაფორულ ეპითეტს სემანტიკური ველების ლექსიკური ერთეულების სხვა სემანტიკურ ველში გადატანით აღწევს ეფექტს, თამამად ანდობს მხატვრული ეფექტის უზრუნველყოფას მეტაფორული ეპითეტის გრადუალურ მთლიანობას და ამ მთლიანურობაში უზუალურ სახე-ხატებსაც გამოიყენებს, ანუ რამდენიმე მეტაფორული ეპითეტით ქმნის უფრო მაღალი დონის მეტაფორული ეპითეტის მხატვრულ ეფექტს.

ცალკეულ შემხთხვევებში მოვნელის მხატვრული ეფექტიანობის განსაზღვრას გ. ლეონიძე ერთეულებრივი მეტაფორული ეპითეტით ახდენს, რომელიც მოცემული მოვლენისათვის ექსკლუზიურია. ამგვარი ტიპის ნიმუშია **„ნისლისფერი ცხოვრება“** გამონათქვამში **„მარიტასათვის ნისლისფერი ცხოვრება დაიწყო“** [1,195] „ნისლისფერი“ ადამიანური ცხოვრების დასახასიათებლად ხალხური ენობრივი ცნობიერბისათვის არ არის დამახასიათებელი. მეტაფორული შინაარსი მოცემულ კომპოზიტს გ. ლეონიძემ დააკისრა და ნისლის, როგორც ბუნებრივი მოვლენის, ბუნდოვნება, სველი სიცივე, ხილვადობის უკიდურესი გართულება ადამიანის უღიმღამო, უშინაარსო და უსიხარულო ყოფის აღსანიშნავად გამოიყენა. ამგვარი მეტაფორიკა არ იცის ხალხურმა მხატვრულმა აზროვნებამ. ანალოგიურ ვითარებაში აქ გამოიყენება „ბინდისფერი“ (ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება, რა არის ჩვენი სიცოცხლე ჩიტივით გაგვიფრინდება“).

ხალხური მხატვრული ენობრივი სამყარო, როგორც ვხედავთ, არანაკლებ ეფექტურ მეტაფორულ ეპითეტს შეიცავს და გ. ლეონიძეს შეეძლო ესარგებლა მზა მხატვრული სახე-ხატით, მაგრამ საკუთარი შექმნა და შექმნა არა მხოლოდ იმიტომ, რომ „ნისლისფერში“ ცხოვრების აუტანლობის გამოხატვის ის ნიუანსებიც ჩააქსოვა, რაც „ბინდისფერს“ არ გააჩნია. ბინდისფერი თავისი ბნელი მოქუფრულობით, მართალია, აღემატება „ნისლისფერის“ ქუფრს და ბუნდოვანებას და უსახურობა-უშინაარსობის გამოსახატავად უკეთესია, მაგრამ არ გააჩნია სისველის და ცივი სისველის ის სემანტიკური ნიუანსები თუ ასპექტები, რაც „ნისლისფერს“ მოეპოვება პოტენციურად და რაც ცხოვრების გაუსაძლისობას კიდევ უფრო ზუსტად აღწერს. „ნისლისფერი ცხოვრება“ ყველაფეთან ერთად ცივიც არის, სველიც, ხოლო სველი სიცივე ცხოვრების აუტანლობას გაცილებით ზუსტად ახასიათებს.

აღნიშნული ცხადყოფს, რომ გ. ლეონიძის „ნატვრის ხეში“ ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორული ეპითეტი ეროვნულ ენობრივ სამყაროში არსებული კონკრეტული მეტაფორული ეპითეტის ალტერნატივაა და მეტაფორიზების ხარისხობრივი მახასიათებლით უფრო მაღალ დონეს ქმნის.

გ. ლეონიძის ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორული ეპითეტები ასევე ცხადყობს, რომ იგი მეტაფორული მეორეული ნომინაციისათვის ხშირ შემხთვევაში ფუძეთა კომპოზიტურ სტრუქტურებში გაერთიანებით ახდენს. გ. ლეონიძე კომპოზიტების დიდოსტატია კომპოზიტების შექმნა ბუნებრივია, მექანიკური პროცესი არ არის და ენობრივი ცნობიერების რაგვარობაზეა დამოკიდებული. სიტყვათა შეკავშირებით კონკრეტული სემანტიკის გამოხატვა თავისთავად ნიშნავს ახალი სემანტიკური ველის შექმნას კომპოზიტში შემავალი ფუძეების საკუთრივი სემანტიკების ერთიან სემანტიკად გაერთიანებას და არა ჯამური სემანტიკის შექმნას, არამედ მანამდე არარსებული სემანტიკის წარმოქმნას სემანტიკური ველებით ახლოსმდგომი სიტყვებით. ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორული ეპითეტი „ნატვრის ხეში“ 58 ერთეულია.

ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორა „ნატვრის ხეში“ ერთ შემხთვევაში ზმნასა და ზმნურ წარმოებას ემყარება. ზმნური მეტაფორა მეტაფორიზების ფუნქციითა და მხატვრული ეფექტით სხვა სახეობის ინდივიდუალურ-საავტრო მეტაფორებს არ ჩამოუვარდება. ამ გარემოებას, ცხადია, ქართული ზმნის განსაკუთრებული ენობრივი და მეტყველებითი უნარი განსაზღვრავს, მისი დერივაციისადმი მიქცევა. ზმნურ მეტაფორებში, ბუნებრივია, საყრდენი სიტყვა ყველგან ზმნაა, ოღონდ ზმნები წარმომავლობით სხვადასხვაა. უმეტესად იმთავითვე მოქმდების აღმნიშვნელი ძირეული სიტყვებია, მაგრამ გვხვდება მეტყველების სხვა ნაწილებისგან, მაგლითად, არსებითი სახელისაგან ნაწარმოები ზმნებიც.

ზმნურ ინდივიდუალურ–საავტორო მეტაფორებში თუ ერთ შემთხვევაში მეტაფორიზების ფუნქციას მთლიანად ზმნა ასრულებს, სხვა შემხთვევაში ეს ფუნქცია გადანაწილებულია ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორის სხვა ელემენტებზე. ასეთივე პრინციპით არის კონსტრუირებული ზმნური მეტაფორა გამონათქვამში **„სიცოცხლეს შეუკეთე, რად გინდა სიკვდილის ფერი დაიდო? ეუბნებოდა ლაფაჩის ბუნება“** [1, 274].

შესიტყვებაში „სიცოცხლეს შეუკეთე“ მეტაფორულობის მთელი სიმძიმე გადატანილია ზმნაზე. „შეუკეთეს“ მეორეული სემანტიკა უკავშირდება

ცეცხლისათვის შეშის მიმარჯვებას - შეკეთებას. ცეცხლი რომ არ მიინავლოს, შეშა არ უნდა მოაკლო. ასე კი ცეცხლი იგიზგიზებს და თავის დანიშნულებას შეასრულებს. ცეცხლი კი ქართულ კულტურულ ცნობიერებაში სიცოცხლის არსებობის პირობაა. კერაზე ვიდრე ცეცხლი ანთია, ოჯახი არსებობს, სიცოცხლე ზეობს. ეს განცდა ღამის მითოსური წარმომავლობისაა, მითოლოგებსაც ზოროასტრიზმის ჟამიდან აქვთ შემორჩენილი. ამ ქვეტესქტურობას შეიცავს გ. ლეონიძის თქმა „სიცოცხლეს შეუკეთე“. ოღონდ ზმნა „შეუკეთე“ აქ პირობაა და არა ცეცხლი. სიცოცხლე რომ არ მიინავლოს, სიკვდილმა არ დაისადგუროს მის წილ, სიცოცხლეს „საწვავის“ შეკეთება, გამუდმებით ენერგიის მიწოდება სჭირდება. ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის გარეშე, თავისთავად, სიცოცხლე ვერ იარსებებს. სიცოცხლის შემომქედი ადამიანიაო - ესაა გ. ლეონიძის სათქმელი ამ ფრაზაში.

მოცმელი გამონათქვამის მეორე ნაწლში „რად გინდა სიკვდილის ფერი დაიდო?“ მეტაფორიზების სიმძიმე გადატანილია შესიტყვებაზე „სიკვდილის ფერი დაიდო“. სიკვდილის ფერის“ სემანტიკა გ. ლეონიძისაა. ქართული ენობრივი სამყარო „სიკვდილის ფერს“ არ იცნობს. აქ სიკვდილი ან „უჩინოა“ („მოვა სიკვდილი უჩინო“), ან ადამიანის სხეულით არის წარმოადგენილი). გ. ლეონიძე არ აკონკრეტებს როგორია სიკვდილის ფერი - რა ფერისაა და მის შეუცნობლობას ფერის აბსტრაქტულობითაც უსვამს ხაზს. თუმცა ისიც უთუოდ არის აღსანიშნავი, რომ „სიკვდილის ფერი“ მაინც მიცვალებულის რაღაცნაირ შავ-ყვითელ ფერთან ასოცირდება. ასეა თუ ისე, მოცემულ გამონათქვამში ანტინომიურობის პრინციპით კონსტრუირებულია ერთ-ერთი ბრწყინვალე, სპეციფიკურად გ. ლეონიძისეული ზმნური ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორა.

ზმნური მეტაფორის სუბსტანციური მეტაფორებთან კომბინირებით კონსტრუირება გ. ლეონიძის სახეობრივი აზროვნების გამოკვეთილი ტენდენციაა. ერთ გამონათქვამში სხვადასხვა სახეობის ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორების თავმოყრა გრადუალურობის პრინციპს ემყარება. ინდივიდუალურ–საავტორო ზმნური მეტაფორები „ნატვრის ხეში“ 60 ერთეულს შეადგენს. ეს ნაირგვარი მეტაფორები ემოციურ-ექსპრესიულ მუხტს აძლიერებენ სხვადასხვა ნიუანების დამატებით, საერთო მეტაფორული ეფექტის გასრულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლეონიძე გ., “ნატვრის ხე” გამომც “მერანი” თბ., 1990;
2. კიკნაძე გრ., ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978;

The individual – metaphor of autor The realization of Giorgi leonidze's "The Tree of Wishes"

Ekaterine Shakiashvili

The article discusses the individual - author's metaphor, and the sale of assets. Individual - author's olso as a linguistic marker of the inter text George Leonidze in "The Tree of Wishes". Each unit is considered definitional chosen method of analysis.

Реализация Индивидуальной –авторской метафори Георгия Леонидзе в "Дерево желаний"

Экатерне Шакиашвили

В статье рассматривается Индивидуальная –авторская метафора как интертекстуальный языковой маркер между текстом Георгия Леонидзе в "Дерево желаний". Каждая единица считается определением дефинициального метода анализа.

ევფემისტური მეტაფორის როლი გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეში“

ეკატერინე შაკიაშვილი

გიორგი ლეონიძის ენობრივი ცნობიერების ერთ თავისებურებას ქმნის სიტყვისა და ფრაზის შენიღბვა, შეფუთვა–შერბილება–ევფემიზება. ეს მოვლენა მისი ენობრივი სამყაროს დახასიათებაში მრავალმხრივაა საინტერესო. ერთია ენობრივი ველის სპეციფიკა – გ. ლეონიძე იმ ენობრივ სივრცეში აღიზარდა, სადაც ევფემიზმებით ყოფითი კულტურის დონეზე მაინცადამაინც თავს არ იწუხებენ, – მეორე მხრივ, მწერლის მხატვრული ცნობიერება საგანგებოდ ზრუნავს გამოთქმის სკაბრეზისაგან დაცლაზე.

საზოგადოდ, სიტყვის ქმედით ძალას ადმიანები უხსოვარი დროიდან გრძნობდნენ, ამიტომ არასასურველი სიტყვის ევფემიზაციას მიმართეს.

„ევფემიზმი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „კარგად ვლაპარაკობ“. სიტყვა ევფემიზმი ჯერ კიდევ ჰომეროსთან გვხვდება და გულისხმობს ძველ წარმართულ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც მსხვერპლის შეწირვისა და ლოცვების წარმოთქმის დროს, მხოლოდ „კარგი მნიშვნელობის“ სიტყვები უნდა გამოეყენებინათ.

დღეს სიტყვა „ევფემიზმი“ საერთაშორისო საენათმეცნიერო ტერმინია და ეწოდება სიტყვას (ან გამოთქმას), რომელიც ისეთი სიტყვის (ან გამოთქმის) სუბსტიტუტად გამოიყენება, რომელიც უსიამოვნოდ, უხეშად, სათაკილოდ ან უზრდელად მიიჩნევა. ევფემიზმი და ის სიტყვა (ან გამოთქმა), რომელსაც იგი ენაცვლება ერთსა და იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებენ, მაგრამ განსხვავდებიან იმით, რომ ერთნაირ შთაბეჭდილებას არ ახდენენ მსმენელზე.

ოდითგანვე ადამიანები მიმართავდნენ ნართაულ სიტყვა–თქმებს და შიშველ უსიამოვნო სინამდვილეს ევფემიზმების საბურველში ხვევდნენ. მიზანი კი იყო იმ ეფექტის შესუსტება–შერბილება, რასაც გამოიწვევდა იმ სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის რეალური ძალა, რომელსაც ენაცვლებოდნენ.

სიტყვას რომ ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ, ყველაზე ნათლად მაინც ველურებში ფართოდ გავრცელებული და თანამედროვე მოწინავე ხალხთა ენებში გადმონაშთების სახით დაცული სიტყვის ტაბუ მეტყველებს. „სიტყვის ტაბუს – ამ რელიგიური მოტივებით გამოწვეული ევფემიზმის – პირდაპირი დანიშნულება სწორედ ის იყო, რომ **აღეკვეთა ამა თუ იმ სიტყვის ხმარებით ამოძრავებული მისტიკური ძალების მოქმედება ანდა სასურველი გზით წარემართა ისინი“** .

ამრიგად, **ევფემიზმების არსებობა განპირობებულია სიტყვის რეალური, ქმედითი ძალით.** სიტყვის ქმედით ძალაზე დაფუძნებული ევფემიზმების წარმოშობა, ისევე როგორც სიტყვის ირეალურ, მაგიურ ძალაზე დაფუძნებული ევფემიზმებისა, უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანში, როგორც სოციალურ არსებაში გამომუშავებულ ჩვევასთან, კონტროლი იქონიონ თავის ემოციებზე.

ევფემისტური სიტყვა (ან გამოთქმა), ვიდრე ასეთად იქცეოდეს, სრულიად დამოუკიდებელი და განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა. ევფემიზმად გამოყენების შემთხვევაში კი ახალი შინაარსი ენიჭება, ე.ი. ხდება მნიშვნელობის გადატანა. ამ თვალსაზრისით, ევფემიზმი ჩვეულებრივი ტროპია, როგორიც მეტაფორა, მეტონიმია, ჰიპერბოლა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი სიტყვის (ან გამოთქმის) ნაცვლად ვიყენებთ მეორეს და ისიც ახალი მნიშვნელობით, გაგებინება მაინც ხდება. ამას უზრუნველყოფს თავდაპირველად კონტექსტი და მხატვრული სახე, თუ იგი თან ახლავს ამგვარი მნიშვნელობის გადატანას. მაგრამ გაგებინება ხდება არა უშუალოდ, არამედ შუალობით, შემოვლითი გზით. ევფემისტური მეტაფორების გამოყენებას სულ სხვა ემოციური იერი აქვს, ვიდრე უშუალო გამოთქმას. ევფემიზმებს საოცარი ხატოვანება ახლავს, ამიტომ ის დღესაც საუკეთესოდ ასრულებს თავის დანიშნულებას.

ევფემისტური მეტაფორები ჩვეულებრივისაგან განირჩევიან მხოლოდ ფუნქციით. ისინი ხატოვანი სიტყვა–თქმანი არიან. **ევფემისტური მეტაფორა ნიღბავს სათქმელს, რადგან საჩოთირო, უსიამოვნო ან შიშის აღმძვრელი ობიექტური მონაცემის აღმნიშვნელი სიტყვის (ან გამოთქმის) ადგილზე აქ დასმულია სრულიად სხვა სიტყვა (ან გამოთქმა), რომელიც სულ სხვა ობიექტურ მონაცემზე მიუთითებს და ამდენად განსხვავებულ ემოციებს აღძრავს მსმენელში.**

ევფემისტური მეტაფორები სიტყვათმნიშვნელობის ამოუწურავ შესაძლებლობებს ქმნიან. მეტაფორა ევფემიზმის წარმოქმნის ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული ენობრივი საშუალებაა. მაგალითად, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეში“ 15 ევფემისტური მეტაფორა გვხვდება, რომლებიც ევფემიზმის მსუბუქ საბურველში ხვევენ ისეთ საზარელ და ამაზრზენ ფაქტს, როგორიცაა გარდაცვალება, შესაძლოა, სიტყვა „მოკვდას“ წარმოთქმის წინაშე გარკვეული შიში და კრძალვაც გამოსჭვივის გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში, რადგან ის ამ სიტყვას არსად იყენებს და საინტერესოდ ნიღბავს სათქმელს, მაგალითად: „[მარიტა] უთქმელი სევდით **გადავიდა ეთერის ქვეყანაში“** (გვ.198); „[შიოლამ] **მაისის წყალი დალია“ (**გვ. 33); **_სოფლის ბურჯი წაიქცა** (ციციკორე გარდაიცვალა ე. შ.) (გვ.182); „**ციციკორემ სული ჩააბარა გამჩენს“** (გვ. 18); **„ბუნებაში გადამდნარიყო** უკვე ნინია“ (გვ.58)... გ. ლეონიძემ ასეთი ევფემიზმები იმ მძიმე შთაბეჭდილების შესარბილებლად გამოიყენა, რომელსაც სიკვდილის ფაქტის პირდაპირი აღნიშვნა იწვევს.

ინდივიდუალურ–საავტორო ევფემისტური მეტაფორის ტიპობრივი ნიმუშია „ლაფაჩის დაღამებულმა გონებამ ასი სახილველი გაიარა, მოკვდა, **გავიდა ამ სოფლით**“ (გვ.279). მეტაფორიზებულია თქმა „**გავიდა ამ სოფლით“,** რაც პირდაპირი გაგებით „სიკვდილს“, „გარდაცვალებას“ ნიშნავს. სიკვდილის ამ სოფლიდან გასვლად /წასვლად გააზრებულობა ძველქართული წიგნური ტრადიციაა და იმ რწმენას ემყარება, რომლის თანახმადაც ადამიანი ორ სოფელში, ანუ ორ ქვეყანაში არსებობს – სააქაოში და საიქიოში. გ. ლეონიძე აქ ევფემიზების

ეფექტს მთლიანად ძველქართულ ენობრივ სტრუქტურაზე აფუძნებს, სადაც აშკარაა ძველი ენობრივი ფორმებიც: „ამ სოფლით“, ნაცვლად „ამ სოფლიდან“. ამდენად აშკარაა ისიც, რომ მოქმედებითი ბრუნვის ფორმას აქ არა მხოლოდ მიმართულების გამოხატვის გრამატიკული ფუნქცია ეკისრება, არამედ მთლიანად გამონათქვამის ევფემიზების ეფექტიც. ასე რომ, ევფემისტური ექსპრესიის, ემოციურობის ფუნქციას გ. ლეონიძე გამონათქვამის გრამატიკულ–სტილისტურ წყობაზე ამყარებს.

„ნატვრის ხეში“ ევფემისტური მეტაფორების თემატური ერთგვაროვნობის მიუხედავად, შთამბეჭდავი და ორიგინალური ნიმუშები გვხვდება. ერთი ასეთი მაგალითია „ [მარიტა] უთქმელი სევდით **გადავიდა ეთერის ქვეყანაში“** (გვ. 198) აქ ევფემისტური მეტაფორაა „**გადავიდა ეთერის ქვეყანაში“.** ეს გამოთქმა პირდაპირი გაგებით ნიშნავს გარდაცვალებას, ამ ქყეყნიდან სხვა ქვეყანაში გადასვლას. თუმცა ცალსახა არ არის „ეთერის ქვეყნის“ დეკოდირება. ევფემიზების ინტრიგა, ერთი შეხედვით, საიქიოს სივრცის თვისებრიობაზე აქცენტირებას შეიცავს. „ეთერი“ ქეგლის მიხედვით ასე განიმარტება: „გარემომცველი საჰაერო სივრცე, ჰაერი, სადაც ვრცელდება რადიოტალღები“ (გვ.217), ზურაბ ჭუმბურიძე კი ასე განმარტავს: „ეთერ (ძვ. ებრ) „ვარსკვლავი“ ან (ბერძნ.) „ჰაერი“ [ჭუმბურიძე 1992:159].

ფართო გაგებით ეთერი ჩვენი პლანეტის გარემომცველი ატმოსფეროს (უკიდეგანოს) სახელია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გ. ლეონიძემ გარდაცვლილი მარიტას სულის ამქვეყნიური დაუნდობლობის, გაუტანლობის ბორკილებისაგან სიკვდილით გათავისუფლებასა და უკიდეგანო თავისუფლების სივრცეში გადასვლაზე მიგვანიშნა. ამგვარ მოსაზრებას, ცხადია, აქვს საფუძველი, მაგრამ ამგვარი ვარაუდი, ალბათ, გ. ლეონიძის მხატვრული ცნობიერების ერთგვარი დაკნინება იქნებოდა.

„ეთერის ქვეყანა“ უფრო დიდი მეტაფორა უნდა იყოს, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება. აქ, ალბათ, ქართული ეროვნული ხალხური ეპოსის უკვდავი, სიყვარულის ერთგულების თავისთავადი მეტაფორა – „აბესალომ და ეთერის“ , ანუ „ეთერიანის“ პერსონაჟზე მინიშნება უნდა ამოვიკითხოთ. ჯერ კიდევ ნიკო მარისა და მისი მოწაფეების მიმდევრებმა ცხადყვეს, რომ აბესალომ და ეთერის თქმულება სასიყვარულო გზნების მსოფლიო სიუჟეტის ერთი კონკრეტული გამოხატულებაა. ეთერი იშთართან არის დაკავშირებული – ამ სიუჟეტის თავდაპირველი მითოსური გაფორმების პერსონაჟთან. აბესალომ და ეთერის ამბავი სიუჟეტური ტიპოლოგიით უკავშირდება შუა საუკუნეების ევროპის სასიყვარულო რომანს „ტრისტან და იზოლდას“. დღეს ეს დამტკიცებულია და გამოვლენილია ტიპოლოგიური მსგავსების დეტალებიც. ამ თვალსაზრისით ამომწურავი ინფორმაცია ნ. მარის ნაშრომში „იშთარი“ [Mapp 1934] მისი მოწაფეების მიერ გამოცემულ გამოკვლევაში „ტრისტანი და იზოლდა“. ამ ნაშრომებში წამოყენებული დებულებები სათანადოდ არის გაანალიზებული და შეფასებული თ. ჯაგოდნიშვილის მონოგრაფიაში „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“(ნაწილი I, გვ. 701–702; 752–754).

გ. ლეონიძე თავისი მეცნიერული ინტერესებითაც ახლოს იყო ამ თემატიკასთან. ამიტომ სრულიად ბუნებრივია იმის ვარაუდი, რომ „ეთერის ქვეყანა“ პირველი სიყვარულის ერთგულების სიმბოლოს ქართული ეპოსის ეთერს

გულისხმობდეს. ანუ იმ ქვეყანას, სადაც მას ახსნილი აქვს ავადსახსენებელი მურმანის ეშმაკთან გარიგებით თავსდამტყდარი ჯადოს ბორკილები და აბესალომთან სულიერი თავშეყრის პერსპექტივა აქვს მოპოვებული. ამგვარი მეტაფორიზება კი გ. ლეონიძისათვის შეუძლებელი არ ჩანს.

სიკვდილის ორიგინალური ევფემიზებული ხატია წარმოდგენილი გამონათქვამში „ჩემი **ცხოვრების წიგნი დაიკეცა**“ (გვ.273–274). აქ მეტაფორულია ადამიანის ამქვეყნიური არსებობის წიგნთან, უფრო ზუსტად, წიგნის წაკითხვად გააზრება. ადამიანი წიგნია, მისი დაბადებით ეს წიგნი გადაიშლება, მისი ცხოვრების ყოველი დღე, ეტაპი ამ წიგნის ფურცლებს და თავებს ავსებს, ბოლოს ადამიანი კვდება და წიგნიც იხურება. ამგვარი აზრი უცხო არ არის ქართული ენობრივი ცნობიერებისათვის და საერთოდ წიგნთან ახლოს მყოფი, წიგნით მცხოვრები, ანუ ინტელექტუალური სიცოცხლით მცხოვრები ადამიანისათვის. გ. ლეონიძემ კი ეს თქმა ორიგინალურად, ინდივიდუალურ–საავტორო ევფემისტური მეტაფორით დაამკვიდრა. განხილული ცხადყოფს, რომ „ნატვრის ხეში“ სახეობრივი აზროვნების ერთი კონკრეტული ფორმაა ევფემისტური მეტაფორა. იგი თემატურად ერთვაროვანია და სიკვდილის, გარდაცვალების ევფემისტურად გამოხატვას ემსახურება.

ამდენად, გ. ლეონიძე სიკვდილის შესახებ პირდაპირ ლაპარაკს გაურბის, ევფემიზაციას მიმართავს და შესაძლებლობას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რაოდენ ნაირგვარი შეიძლება იყოს ევფემიზაციის შედეგად გამოწვეული სემანტიკური ძვრები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეონიძე გ., “ნატვრის ხე” გამომც. “მერანი” თბ., 1990;
2. ჭუმბურიძე ზ., „რა გქვია შენ?“ თბ., გამომც. „თეატრონი“, 1992წ.;
3. ჯაგოდნიშვილი თ., „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“, ნაწილი I, (XIX საუკუნე), თბილისის უნივერსიტეტის გამომც., 2004წ.;
4. ჯორჯანელი კ., „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ“, თბ., უნივერსიტეტის გამომც., 1977წ.

The role of metaphor evpemist of Giorgi leonidze's "The Tree of Wishes"

Ekaterine Shakiashvili

The article discusses the metaphor evpemist and the sale of assets olso metaphor evpemist as a linguistic marker of the intertext George Leonidze in "The Tree of Wishes". Each unit is considered definitional chosen method of analysis.

Роль евфемической метафоры Георгия Леонидзе в "Дерево желаний"

Экатерне Шакиашвили

В статье рассматривается евфемическая метафора как интертекстуальный языковой маркер между текстом Георгия Леонидзе в "Дерево желаний". Каждая единица считается определением дефинициального метода анализа.

ქართული ტრაგიკომედია

მამუკა შელეგია

გასული საუკუნის 20-იან წლებში თომას მანი წერდა: თანამედროვე ხელოვნება აღარ იცნობს ტრაგიკულისა და კომედიურის კატეგორიებს, მაშასადამე, არც ტრაგედიისა და კომედიის ჟანრებს და ცხოვრებას უყურებს როგორც ტრაგიკომედიას... თანამედროვე ხელოვნება გროტესკს აქცევს თავის საკუთრივ სტილად და იმ ხარისხითაც კი, რომ თვით დიადიც კი თითქმის აღარ გვევლინება სხვაგვარად, თუ არ გროტესკის ფორმით.

ნოდარ კაკაბაძეც მიიჩნევს: ტრაგიკომედია ისეთი დრამატული ნაწარმოებია, რომელიც აერთიანებს ტრაგიზმსა და კომიზმს... ისინი ერთმანეთშია შეჭრილი, ერთმანეთს მსჭვალავენ და ერთიანობას, ერთ მთელს ქმნიან. ტრაგიკომედია ქვეყნის, სამყაროს, ადამიანთა ორსახოვნებას, გაორებას გვიჩვენებს. ერთსა და იმავე საგანს ერთდროულად აქვს ტრაგიკული და კომიკური მხარეები... შოკირებული ხარ და ამავე დროს სიტუაციის აბსურდულობა კომიზმის ეფექტს იწვევს.

ეს თვალსაზრისი არ ახალია. ჯერ კიდევ პლატონმა თავის „ნადიმში“ სოკრატეს ათქმევინა: „ნამდვილი პოეტი ერთდროულად ტრაგიკულიც უნდა იყოს და კომიკურიც, ადამიანის მთელი ცხოვრება უნდა აღვიქვათ ერთდროულად როგორც ტრაგედია და როგორც კომედია“. იგივე შეიძლება ითქვას არა მხოლოდ ხელოვანზე, არამედ ჩვენი უახლესი ისტორიის ზოგიერთ მონაკვეთზეც. ამის ნათელი მაგალითია გასული საუკუნის საქართველო, რომლის პოლიტიკურ არენაზეც რამდენჯერმე გათამაშდა ტრაგიკომედია. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ ვითარებას 1918, 1921 თუ 1991-1992 წლებში ჩვენში რომ დატრიალდა. ჯერ იყო და დამოუკიდებელ ქართულ რესპუბლიკას სათავეში მოექცნენ ისინი, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს ილია ჭავჭავაძე, ხალხი, რომელსაც არასოდეს ჰქონია სურვილი და ვერც წარმოედგინა საქართველო რუსეთის იმპერიის გარეშე. მათ მიაჩნდათ: საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე ეროვნული შემეცნება ვერ შეუმუშავებია, სამოქალაქო ცხოვრება, მრეწველობა და აღებ-მიცემობა ვერ შეუქმნია და ყოველივე ეს, საქართველოში მხოლოდ მას შემდეგ დაიბადა, როცა აქ რუსეთის მმართველობა დამყარდა. ამ აბსურდულ, დემაგოგიურ აზრს სათანადო პასუხი გასცა არჩილ ჯორჯაძემ, რომელიც სხვათა შორის წერდა: „ჟორდანიასებრ აზროვნებას სახელად ჰქვიან ისტორიული დალტონიზმი... მასში ღრმად დამახინჯებულია საქართველოს ძველი და ახალი ისტორია და... ისტორიული სინამდვილე პარტიული აზროვნების ყალიბზეა ჩამოსხმული... ჟორდანიას ძლიერ სამარცხვინო ჰგონია ნაციონალისტობა. მე კი, ჩვენს პირობებში არანაციონალისტობა ღალატი მგონია სამშობლოსი, საზიზღარი „ხამობა“.

ტრაგიკომედია იყო 1921 წლის თებერვლის „აჯანყება“ ლორეში, სომხებით დასახლებულ ქართულ მხარეში, რომელიც იმჟამად უკვე გაბოლშევიკებულ სომხეთს ესაზღვრებოდა. სხვა რა უნდა დაერქვას იმას, როდესაც, „თბილისში მოკალათებული კონტრევოლუციური მთავრობის (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაზეა საუბარი - მ.შ.) წინააღმდეგ ლორეს „აჯანყებული მშრომელები“ დახმარებას საბჭოთა რუსეთის წითელ არმიას „სთხოვენ?!“

ტრაგიკომედია იყო ისიც, რომ მხოლოდ საქართველოში იყო შესაძლებელი „მენშე“ „ბოლშეზე“ მეტი ყოფილიყო (ლ. სანიკიძე) და ცოტა ხანში, შინაური თუ გარეული მტრების დახმარებით, ამ უმცირესობას (ბოლშევიკებს) უმრავლესობა (მენშევიკები) დაემარცხებინა და ქვეყნიდან გაეძევებინა.

თუ არა ტრაგიკომედია, სხვა რა უნდა დაერქვას 1991-1992 წლების მოვლენებს, როდესაც საბჭოური ნომენკლატურა ეროვნულ მთავრობას „პროვინციულ ფაშისტებს“ უწოდებს და უცხო ქვეყნის (იმ ქვეყნის, რომელიც ერთხელ უკვე (1921 წელს) „დაეხმარა“ „აჯანყებულ მშრომელ მოსახლეობას“) მეშვეობით ამხობს მას. ყოველივე ეს კი, მერამდენედ, ტრაგედიად ექცა მრავალჭირნახულ საქართველოს.

რა თქმა უნდა, ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის მუდმივად მიმდინარეობდა, მათ შორის ქართველი მწერლებიც იდგნენ. შეცვლილმა ვითარებამ სათქმელის გადმოსაცემად სხვა ხერხი და საშუალებები მოითხოვა. მათ შორის იყო ბიბლიური პასაჟები თუ პერსონაჟები, რომელთაც ყველა დროსა და ეპოქაში საჭირო დატვირთვა ენიჭება და რაც მთავარია, მასში ყოველთვის არის თანამედროვე პოლიტიკურ სიტუაციათა მინიშნების საშუალება. ერთი ასეთი მწერალი იყო დავით კასრაძე, რომლის მისტერია „იუდა“ სწორედ ამ კუთხით იქცევს ჩვენს ყურადღებას.

ეს ხუთმოქმედებიანი დრამა, რომელიც 1924 წლის მარტითაა დათარიღებული, განმტკიცებულია სათანადო „დრო-ჟამული“ ამბებით (მოქმედება იუდეაში მიმდინარეობს). თუმცა ქრონოტიპის აღნიშვნისას: „მოქმედების დრო განუსაზღვრელი ქრისტიანობის ერას დასაწყისიდან“, ავტორი მიგვანიშნებს: მოთხრობილი ამბავი მითოლოგიზებულია, ე.ი. გადატანილია ერთი შეზღუდული პერიოდის ჩარჩოებიდან, რომ იქცეს ზედროულად, კონკრეტულ დროსა და ადგილზე მიუჯაჭველად.

დ. კასრაძის „იუდაში“ მოქმედება ცნობილ ისტორიულ გარემოში მიმდინარეობს, მოთხრობილია იუდეას სამეფოს შესახებ, იესოს იერუსალიმში შესვლის, მისი ჯვარცმის ამბავი. აქვე არიან ქრისტეს მოწაფენი: პეტრე, იოანე, თომა, რა თქმა უნდა იუდა ისკარიოტელი. მართალია, ამ მისტერიას თავიდან ბოლომდე სახარებისეული მოტივი გასდევს და ბიბლიური ალუზიებიც აშკარაა - ისტორიული სიზუსტე დაცული არაა. ავტორი თავისებურად გადმოგვცემს ამბავს, პერსონაჟების ბედიც საკუთარ სიუჟეტურ ხაზს დაუქვემდებარა. ასე მაგალითად, ჰეროდ ანტიპას იუდა ჰკლავს, იუდა და ბარაბა კი ჯვარზე აკრავენ იესოს...

დაკვირვებულ მკითხველს არ გაუჭირდება დ. კასრაძის დრამაში დახატული იუდეას სამეფოს ტირანიისა და განუკითხაობის სცენებსა და 20-იანი წლების საქართველოში გამეფებულ ანტიეროვნულ ისტერიასა და ტერორს შორის პარალელის გავლება.

მწერალმა ქრისტეს სახარებისეული მისტერია, კონკრეტული ეპოქის, ეროვნული ტრაგედიის (1921 წლის თებერვალი) გადმოსაცემად გამოიყენა. დ. კასრაძის ამ ნაწარმოებში იუდა ღალატობს მოძღვარს, მეტიც, ბარაბას დახმარებით ქვეყანას ეპატრონება, იესოს ჯვარს აცვამს და თვითონვე ჰკლავს. ავტორისეული ქვეტექსტი აქ ძალზედ გამჭვირვალეა. იუდამ ძველი სამყარო დაანგრია, ბრბო „ღმერთის სიკვდილში“ დაარწმუნა („ყველაფერი ნებადართულია“) და „ახალი ქვეყნის“ აშენებას აპირებს.

მართალია, იუდამ საწადელს მიაღწია - ბრბო ღმერთის სიკვდილში დააჯერა, მაგრამ იგივე ბრბო კერპის გარეშე დიდხანს ვერ გაძლებს, აუცილებელია ახალი კერპის შექმნა. ამას შეძლებს ის, ვინც ახალი ღმერთის დამაჯერებელ მითოსს შექმნის.

გრ. რობაქიძემ, თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, რუსეთის რევოლუციის შესახებ რომ საუბრობდა, აღნიშნა: „თებერვლის რევოლუცია გამოვიდა დღენაკლული, ვინაიდან კერენსკებმა ვერ შესძლეს „მეფის მითოსი“ შეენაცვლებინათ სხვა მითოსით, ახლით (1913 წელს შევხვდი კერენსკის, გავაფრთხილე სწორედ „მეფის“ საკითხში). დამარცხდა „უსისხლო“ თებერვალი, გაიმარჯვა „სისხლიანმა“ ოქტომბერმა. გაიმარჯვა, რადგან ლენინმა წამოაყენა დამხობილი „მეფის მითოსის“ ალაგას სხვა მითოსი, მართალია, ყალბი, მაგრამ მაინც „მითოსი“ და მითოსი გარდატეხისას არა თუ მნიშვნელოვანი, გადამწყვეტია“.

გრ. რობაქიძის ამ მოსაზრებას ამტკიცებს მეოცე საუკუნის ისტორია. გასაკვირი არც არის, რომ მითის თეორიის ირგვლივ სწორედ ამ საუკუნეში შეიქმნა ეშმაკთა ნამდვილი როკვა. მითისქმნადობის ნიშნით მოვიდნენ ხელისუფლებაში მუსოლინი და ჰიტლერი. ამ მოსაზრების ავტორი მ. ლიფშიცი, გასაგები მიზეზის გამო, არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ლენინიცა და სტალინიც ხელისუფლებაში ამავე ნიშნით მოვიდნენ.

დ. კასრაძის მისტერიაში იუდა ბრბოს თვითონ სთავაზობს ახალ ღმერთს, რომლის სახებაც ვითომც ეს უგუნური, დამონებულ-დაბეჩავებული მასა უნდა იყოს.

ახლადმოვლენილი „ქურუმი“ ხალხს „თანასწორობის“ საფუძველზე, სულ სხვა, ახალი სამეფოს შექმნისკენ მოუწოდებს. ამისთვის კი „მოძღვარის“ აზრით, აუცილებელია ძველის ძირფესვიანად ამოძირკვა.

დ. კასრაძის ეს მისტერია მარტოოდენ ეროვნული კატასტროფის (1921 თებერვალი) გამოძახილი როდია, იგი მომავალ ტრაგედიათა (უღმერთო ქვეყნის უცილო ხვედრი) წინათგრძნობასაც იწვევს. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ნაწარმოების უკანასკნელი, ფინალური სიტყვები: „გარდაიცვალა! მოკვდა! აღსრულდა!“

ნიშანდობლივია, რომ ავტორი ნაწარმოებს ამ რეპლიკით ამთავრებს და მას გარკვეული მიზანდასახულობა აკისრია (თუნდაც ამ რეპლიკის პირველ სიტყვას - სიკვდილის სინონიმს). ცნობილია, სიკვდილის ალეგორიული გამოსახვა, როგორც დამთავრებული სინამდვილე, ხშირად შეგნებულად არის დამაშინებელი, გნებავთ გამაფრთხილებელი.

დრამატურგიაში გავრცელებული კლასიფიკაციის მიხედვით ცნობილია ე.წ. რეზულტატური, ანუ ისეთი რეპლიკა, რომელიც აქტის ბოლოს თავს უყრის შექმნილ დრამატულ ვითარებას. ეს მწერალს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე აყენებს: მან მოქმედება ისე უნდა წარმართოს, რომ ამ რეპლიკის დამოუკიდებელი არსებობაც გაამართლოს.

ცნობილია - რეპლიკა დრამატული დიალოგის ელემენტია, პერსონაჟის საპასუხო ფრაზა. აქტის, ან დრამის ბოლოს რეპლიკას აგრეთვე ეკისრება მოქმედების მსვლელობის შეჯამება, ან შემდგომი განვითარების მონიშვნა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ფსიქოლოგიურ, სიმბოლისტურ

თუ იმპრესიონისტულ დრამატურგიაში გაიზარდა რეპლიკის, როგორც ფსიქოლოგიური იმპულსის როლი და სათანადოდ დაიხვეწა მისი აზრობრივი და სიმბოლური დატვირთვა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ დ. კასრაძის ნაწარმოებში ბრბოს შეძახილი: „გარდაიცვალა! მოკვდა! აღსრულდა!“ ჯვარზე გაკრული მაცხოვრისადმია მიმართული, ნათელი უნდა იყოს ამ რეპლიკის აზრობრივი და სიმბოლური მინიშნება: იუდასა და ბარაბას გზაზე მავალი ხალხი ქვეყნის უბედურებას მოუტანს და ეს ტრაგიკული წინათგრძნობა მოკლე ხანში (1924 წლის აგვისტო) ახდა. ამას მოჰყვა 1937, 1956, 1989, 1991-1992, 2008 წლის მოვლენები, რომლებიც მიანიშნებენ მარადიულ წრებრუნვაზე, რომელშიაც გარე თუ შინაური მტრების გამოისობით ჟამიდან-ჟამ ხვდება საქართველო. ეს მოჯადოებული წრე ოდესმე უნდა გაირღვეს, ამისთვის კი აუცილებელია ერთიანობა, თავისუფლების ძლიერი ნება, წარსულის ობიექტური შეფასება-გათვალისწინება.

ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ: “ისტორია იმდენად წარსულისთვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსთვის... იგი გვაფრთხილებს შეცდომებისაგან და გვაქეზებს კეთილისაკენ; მასში ვხედავთ მიზეზს და მიზეზთან ერთად შედეგს; იქ ვხედავთ შეცდომას და ამ შეცდომასთან ერთად გამარჯვებას.”

Georgian tragicomedy

Mamuka Shelegia

In the twenties of the last century a view emerged that modern art looks at life not as a comedy or a tragedy but as the mix of these, as tragicomedy. This was the case in Soviet Georgia on the political arena of which tragicomedy was played several times. And, of course, this was reflected in literature. A work of Mamuka Shelegia concerns one of those (tragedy of 1921), and namely, mystery by Davit Kasradze - Judas.

Грузинская трагикомедия

Мамука Шелегиа

В двадцатых годах прошлого столетия появилось предположение, что современное искусство смотрит на жизнь не как на комедию или трагедию, а на их сочетание, как трагикомедию. Так было в советской Грузии, на политической арене которой трагикомедия разыгралась несколько раз. Конечно, это нашло отражение и в литературе. Данная работа Мамуки Шелегиа касается одной из них (трагедии 1921 года), а именно, мистерии Давида Касрадзе – «Иуда».

ქართული ზმნური სუპერ-პარადიგმა როგორც საფუძველი ამ ერთეულთა კლასიფიკაციისათვის

გ. ჩიკოიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მართვის სისტემების ინსტიტუტი
მინდელის 10

1. სუპერ-პარადიგმა გულისხმობს ერთი და იმავე ლექსემიდან ნაწარმოებ ზმნურ პარადიგმათა ერთობლიობას (Chikoidze 2007, Чикоидзе 2010):

- ააშენებინა → ა(ა/უ)შენა – ა(/უ)შენდა (1)

ამ პარადიგმათა ერთობლიობის თანამიმდევრობა შეიძლება განვიხილოთ როგორც "მოქმედებათა ჯაჭვი", ანუ "Action Chain" (Langacker 1991), რომელსაც გააჩნია "თავი"/"სათავე" (head/sourse) და "ბოლო"/"შედეგი" (tail/sink). მოყვანილ (1) მაგალითში "თავი" წარმოდგენილია მარცხენა წევრით (ააშენებინა) და მეორე ანუ "ბოლო" – მარჯვენათი (ა(/უ)შენდა), თანაც სათავე წევრს შეიძლება მიეწეროს კაუზაციის (CAUS) სემანტიკა, ბოლო წევრს კი – მოქმედებათა თანმიმდევრობის ("ჯაჭვის") შედეგის (RES). ამავე დროს კაუზაცია საბოლოო ჯამში იწვევს ამ შედეგს არა უშუალოდ, არამედ "შუამავალი" პროცესის (PROC) მეშვეობით, რაც შეიძლება აისახოს (2) სქემით, რომელიც გვაძლევს (1)-ის განზოგადებას:

CAUS→ PROC→ RES (2)

გრამატიკული თვალსაზრისით (1) ჯაჭვის წევრები შესაბამისად წარმოდგენილია კაუზატიური, აქტიური და პასიური ზმნების პარადიგმებით. სწორედ ამ ტიპის სუპერ-პარადიგმების ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი მიჩნეულია "რეგულარულად". პარადიგმათა წევრები თავისი აფიქსებით ექსპლიციტურად მიმართავენ ზოგ აქტანტებს. ჩვენ განვასხვავებთ ორი ტიპის აფიქსებს: სუბიექტურს (SUB) და ობიექტურს (OBJ), რაც გულისხმობს ორივეს, პირდაპირი და ირიბი ობიექტური აფიქსების გაერთიანებას ერთ კლასში. სწორედ აფიქსებით ეს მიმართვა გამოყოფს იმ აქტანტების ერთობლიობას, რომლებიც შესაბამის ზმნასთან ერთად ქმნიან წინადადების "ცენტრალურ" სტრუქტურას (Core structure - Van Valin 1997-ის ტერმინოლოგიის თანახმად), სახელდობრ, ამ სტრუქტურას მიეკუთვნება ყველა აქტანტი, რომლებსაც ექსპლიციტურად მიმართავს სუპერ-პარადიგმის ერთ-ერთი პარადიგმა მაინც. ამავე დროს ამ აქტანტებს მოცემული სუპერ-პარადიგმის ფარგლებში გააჩნიათ გარკვეული საკმაოდ სტაბილური სემანტიკა, რაც განსაზღვრავს მათ სემანტიკურ როლებს იმ პროცესში, რომელსაც ასახავს სუპერ-პარადიგმა. ეს სემანტიკა, პირველ რიგში ვლინდება დამოკიდებულებებში პროცესის/სიტუაციის იმ მონაწილეთა შორის, რომლებსაც შეესაბამება ეს აქტანტები და მათი სემანტიკური როლები. ასე, მაგალითად, (1) ნიმუშის შემთხვევაში: კაუზატორი, ანუ კაუზატიური პარადიგმის (CS) მთავარი აქტანტი, რომელსაც ის მიმართავს SUB აფიქსებით, ახდენს ამა თუ იმ მასტიმულირებელ გავლენას აქტიური პარადიგმის მთავარ აქტანტზე (AG), რომელიც გამოხატავს პროცესის განვითარების მთავარ წამყვან ძალას, სახელდობრ, იმ პროცესისას რომელიც უშუალო გავლენას ახდენს პასიური პარადიგმის მთავარ წევრზე (OB), ის კი ამ პროცესით, მისი დასრულებით, განსაზღვრული ფორმით გადაეცემა (მისამართიანი) პასივის მეორე წევრს

(AD), ანუ ამ პროცესის საბოლოო მიზანს, "ადრესატს". ეს ურთიერთგავლენები შეიძლება აისახოს ზოგადი სქემით:

$$CS \rightarrow AG \rightarrow OB \rightarrow AD \qquad (3)$$

ყოველი ცალკეული პარადიგმა თავისი აფიქსებით ექსპლიციტურად მიმართავს ამ ჯაჭვის რომელიმე ნაწილს:

$$(CAUS \rightarrow CS, AG) \rightarrow (PROC \rightarrow AG, OB/AD) \rightarrow (RES \rightarrow OB, 0/AD) \qquad (4),$$

სადაც 0 სიმბოლო გულისხმობს იმას, რომ ზმნა მოცემულ შემთხვევაში არ მიმართავს შესაბამის აქტანტურ პოზიციას ექსპლიციტურად:

ა(/უ)შენდა → OB, 0/AD).

საგულისხმოა, რომ ყველა შემთხვევაში ზმნა მიმართავს თავისი SUB აფიქსებით სწორედ პირველ პოზიციაში მყოფ აქტანტს, ანუ იმას, რომელიც უფრო ახლოსაა (3) ჯაჭვის სათავესთან. მეორე პოზიციაში მყოფ აქტანტს კი – OBJ აფიქსებით, ანდა საერთოდ "სტოვებს უყურადღებოდ" (0 სიმბოლო):

CAUS: და-ვ-ახატვინე მე (CS) მას (AG),
და-მ-ახატვინა მან (CS) მე (AG);
PROC: და-ვ-ხატე მე (AG) ის (OB),
და-მ(/ი)-ხატა მან (AG) მე (OB/AD);
RES: და-ვ-იხატე მე (OB) ,
და-მ-ეხატა ის (OB) მე (AD),

სადაც -ვ- და -მ- პრეფიქსები თვალნათლივ მიუთითებენ შესაბამისად SUB-ურ და OBJ-ურ აფიქსაციაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ის ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც დაკავშირებულია აქტიური ზმნების ინვერსიასთან III სერიაში:

და-ვ-უხატივარ მას (AG) მე (OB).

ამ გამონაკლისის მიუხედავად, ეს წესი გვაძლევს უფლებას მივუწეროთ SUB აფიქსაციას უფრო მაღალი პრიორიტეტი:

$$SUB \rightarrow OBJ \rightarrow Z, \qquad (5)$$

სადაც Z აღნიშნავს ექსპლიციტური აფიქსური ადრესაციის არარსებობას.

მსგავსი მსჯელობის საფუძველზე და პირველ რიგში II სერიის ზმნებით დომინირებული კონსტრუქციების მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება მივიღოთ პრიორიტეტების ანალოგიური ჯაჭვი ბრუნვის კატეგორიის მნიშვნელობებისთვისაც:

$$e \rightarrow n \rightarrow d \rightarrow z, \qquad (6)$$

სადაც e-სიმბოლო გულისხმობს მოთხრობითს (ergative'ს), n-სახელობითს (nominative'ს) და d-მიცემითს (dative'ს); რაც შეეხება z-სიმბოლოს, ის ამჯერად აღნიშნავს ნებისმიერ სახელურ ფორმას, განსხვავებულს ზემოხსენებული სამისაგან (e, n, d); ეს უკანასკნელი ყველაზე ხშირად წარმოდგენილია რომელიმე თანდებულიანი ფორმით, ზოგ გამონაკლის შემთხვევაში მოქმედებითი (i) ან ნათესაობითი (g) ბრუნვებით (Chikoidze 2007, Чикоидзе 2010).

პრიორიტეტების ამ ორი სკალის (6,7) თანახმად შეიძლება ითქვას, რომ ყველა (არაინვერსიული) პარადიგმის შემთხვევაში იმ აქტანტს, რომელსაც შეესაბამება უფრო დაბალი (მარჯვენა) პოზიცია (3) ჯაჭვში, ამავე დროს ახასიათებს უფრო დაბალი პრიორიტეტის გაფორმებაც (პირველი პოზიციის აქტანტთან შედარებით). ასე, მაგალითად, CAUS-ის შემთხვევაში CS-ის გაფორმება არის (I-დან 5-მდე არაინვერსიულ სერიებში) – (SUB; n, e), AG-ის კი – (OBJ; d, d); PROC-ის პირველ პოზიციას იკავებს AG, გაფორმებული მაქსიმალური პრიორიტეტით (SUB; n, e), მომდევნო პოზიციის მქონე აქტანტები კი არიან მარკირებული (OBJ; d, n/d)-ს საშუალებით; ანალოგიურად RES-ის

შემთხვევაში "უფროს" (OB) აქტანტს შეესაბამება (SUB; n, n, n) და შემდეგს (AD) - (OBJ/Z; d/z, d/z, z); დაბოლოს, მარკერების უმდაბლესი კომბინაცია (Z,z) მოჰყვება ყველა აქტანტს, რომლებსაც ზმნა არ მიმართავს ექსპლიციტურად მისი აფიქსებით:

CS-ის ბრძანებით აშენდა AG-ის მიერ სახლი (OB) (AD)-ისთვის LOC-ზე/ში T-ში,

სადაც LOC და T წარმოადგენენ ადგილის და დროის გარემოებებს.

ამგვარად, ერთი და იმავე როლის წარმომადგენელი აქტანტების გაფორმება ცვლადია სუპერ-პარადიგმის ფარგლებში, თუმცა ეს ცვლილება ექვემდებარება ზემოხსენებულ კანონზომიერებას, თუმცა ბოლომდე ვერ განსაზღვრავს ამ ცვლილების ხასიათს. დამატებით შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ ენა, როგორც წესი, "გაურბის" სხვადასხვა როლების იდენტურ გაფორმებას ერთი და იმავე სტრუქტურის ფარგლებში: ასეთი დამთხვევის ერთადერთ შემთხვევას წარმოადგენს OB და AD როლების აქტანტთა მარკირება აქტიური ზმნის I სერიაში:

AG-ი უშენებს OB-ს AD-ს,

ანდა უფრო კონკრეტულად და სამაგიეროდ უიმედოდ ომონიმურად:

პეტრე უხატავს პავლეს თინას.

ერთი და იმავე როლის სხვადასხვა ზმნურ კონტექსტებში სხვადასხვანაირად გაფორმებას ზოგჯერ გარკვეული სემანტიკური საფუძველიც უჩანს: ასე, მაგალითად, ის, რომ AG როლი CS-ისთვის დაქვემდებარებულ პოზიციაში ახასიათებს AD-ის იდენტური გაფორმება, არ არის მოკლებული გარკვეულ სემანტიკურ მიზეზს: AG ამ კონტექსტში აშკარად CS-ის გავლენის ადრესატს (AD-ს) წარმოადგენს.

ამავე დროს ზემოთ აღნიშნული კონფლიქტის გაჩენა (OB-ის და AD-ის გაფორმებას შორის) თავად შედეგია ორივე ასპექტის (პრიორიტეტების და გაფორმების განსხვავების) ერთდროული და ნაწილობრივ ურთიერთსაპირისპირო მოქმედების: უფრო პრიორიტეტული AG-ის გავლენის ქვეშ, რომელიც I სერიაში ფორმდება სახელობითი ბრუნვით: OB-მა დაკარგა მისთვის ჩვეული ბაზისური გაფორმება სახელობითით და "დაუთმო" ის AG-ს და "ჩამოვიდა" პრიორიტეტების სკალის უახლოეს ქვედა საფეხურზე, რაც ნიშნავს მარკირებას მიცემითით (d); მისამართიანი აქტივის შემთხვევაში (უშენებს ის მას მას) ეს ნიშნავს დამთხვევას AD-ის გაფორმებასთან (აგრეთვე – d), რომელსაც "მხარს უჭერს" ექსპლიციტური მიმართვა ზმნის აფიქსების მხრიდან (მი-, გი-, უ-). ამ ომონიმიის თავიდან აცილების შესაძლებლობას უზრუნველყოფს კვაზი-სინონიმური გარდაქმნა მისამართიანი აქტივის უმისამართოში (ხატავს ის მას მისთვის), სადაც OB-ის და AD-ის გაფორმება აშკარად დაპირისპირებულია ერთმანეთთან, თანაც ამ როლების პრიორიტეტული მიმართების გათვალისწინებით: OB – (OBJ; d) და AD – (Z;z).

ანალოგიურად ენა თავს არიდებს ომონიმიას, რომელიც შეიძლება გაჩენილიყო AG-სა და AD-ს შორის მესამე სერიის აქტიკური ზმნის კონსტრუქციაში, სადაც მარკირების ძირითადი სქემის თანახმად AG-ის აქტანტი ფორმდება (OBJ; d) საშუალებით, რაც იდენტურია AD-ის გაფორმებასთან მისამართიანი აქტივის I, II სერიაში: კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად "უმცროსი" AD ისევ მარკირდება (Z;z)-ით. თუკი ჩვენ მივიღებთ (Чикоидзе 2010)-ში გამოთქმულ ვარაუდებს III სერიის ზმნური კონსტრუქციების ინვერსიის შესახებ, ეს მეორე შემთხვევა დაექვემდებარება პირველი მაგალითის მსგავს

ზოგად სქემას, რომლის თანახმად როლების ინტერპრეტაციის პირველწყაროს წარმოადგენს სემანტიკური საფუძვლები.

ეს მაგალითები და ზოგი სხვა, რომლებიც კერძოდ იჩენენ თავს არარეგულარულ სუპერ-პარადიგმებში, უფრო თვალნათლივს ხდიან იმ მჭიდრო დამოკიდებულებას, ურთიერთგავლენას, რომელიც არსებობს სუპერ-პარადიგმის ცენტრალურ როლებს შორის, და რომელიც საერთო სემანტიკურ ბირთვთან ერთად დამატებითად კრავს მის შემადგენელ ნაწილებს ერთობლივ სტრუქტურაში.

ამ სტრუქტურის თანახმად აგებული სუპერ-პარადიგმა ყოველი კონკრეტული ზმნური ლექსემის შემთხვევაში "ჰყვება" ამ ლექსემით ასახული პროცესის/მდგომარეობის "ისტორიას", ანუ მისი ჩამოყალიბების, განვითარების პროცესს (2), რომელშიც მათი სემანტიკის შესაბამისად მონაწილეობენ "მოქმედი პირები" (3). ამ პროცესის ორგანიზაცია, მის მონაწილეთა დამოკიდებულება ერთმანეთთან და მათი მიმართება პროცესის განვითარების სხვადასხვა ეტაპებთან წარმოადგენენ შესაბამისი "მეთაური" ლექსემის სემანტიკის მეტად მნიშვნელოვან მახასიათებლებს, რომლებიც მკვეთრად გამოაჩენენ მისი კონკრეტული შინაარსის აბსტრაქტულ სქემას.

ზემომოყვანილ (2-6) სქემებს ცალსახად და სტაბილურად ექვემდებარება "რეგულარული" სუპერ-პარადიგმები, რომელთა პარადიგმები თანაც იმეორებენ (1) მაგალითის პარადიგმათა ძირითად გრამატიკულ მახასიათებლებს: კაუზატივი (CAUS)→ ორი აქტივი (უმისამართო და მისამართიანი) (PROC) და ამგვარივე ორი პასივი (RES).

ამავე დროს ამ (ალბათ ყველაზე მრავალრიცხოვანი) სიმრავლის გვერდით არსებობს რიგი სუპერ-პარადიგმების ხან ოდნავი, ხან კი საკმაოდ სერიოზული გადახრებით ამ ბაზისური კანონზომიერებებიდან, რაც, სხვათა შორის, მოწმობს იმას, რომ სუპერ-პარადიგმის ამ "არატრადიციულ" ცნებას და მისი კონკრეტული ნიმუშების სტრუქტურას ახასიათებს "რადიალური" აგებულება, რომელიც (Gardenfors 2000)-ის თანახმად იჩენს თავს ენის, და საერთოდ აზროვნების, ყველა სფეროში.

სუპერ-პარადიგმის სტრუქტურის "ძვრას" რეგულარულობის "ცენტრიდან" პერიფერიისკენ იწვევს, პირველ რიგში, (1-4) სქემებით ასახული "რეგულარული" კანონზომიერების დარღვევა. ასე, მაგალითად, "მოქმედებათა ჯაჭვს" (2) შეიძლება ერთი მხრივ დააკლდეს რომელიმე რგოლი, მეორე მხრივ კი, ამ წევრების გრამატიკული რეალიზაცია არ დაემთხვეს მაგალითი (1)-ით ნაგულისხმევ სქემას; რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს (4) სქემით ნაგულისხმევ შესაბამისობასაც და ზოგ შემთხვევაში "მოქმედი პირების" ჯაჭვის (3) თანმიმდევრობასაც. სახელდობრ, ამ უკანასკნელს შეიძლება დააკლდეს ან, პირიქით, დაემატოს რაღაც ახალი "მონაწილე", თანაც ზოგ შემთხვევაში ამ როლებს შეიძლება გაუჩნდეს არაცალსახა, თუმცა სემანტიკურად გამართლებული, ინტერპრეტაცია.

ამავე დროს, ეს გადახრები, როგორც წესი არ ეწინააღმდეგება (5,6) პრიორიტეტების სკალებს, რომლებიც ამ ვარიაციების მიუხედავად ინარჩუნებენ თავის (თუმც საკმაოდ აბსტრაქტულ) სემანტიკურ საფუძველს.

ამომწურაობაზე ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე ქვემოთ მოგვყავს რეგულარობიდან გადახრის ცალკეული ნიმუშები, რომლებიც ადასტურებენ იმასაც, რომ ამ სტრუქტურული ტრანსფორმაციების მიუხედავად ისინი ინარჩუნებენ იმ შინაარსობრივ ერთობლიობას, რომელიც პირველ რიგში ამართლებს სუპერ-პარადიგმის ცნების შემოთავაზებას.

2. რეგულარობისგან გადახრების ამ ნაწილობრივ და მიახლოებით მოწესრიგებაში და კლასიფიკაციაში ჩვენ პირველ რიგში დავეყრდნობით (2) სქემას, თუმცა საკუთრივ მისი სტრუქტურა მოითხოვს, როგორც ჩანს, გარკვეულ წინასწარ დაზუსტებას და გამართლებას. სახელდობრ, ეჭვს შეიძლება იწვევდეს, თუ რამდენად შეესაბამება ეს სამწევრა ჯაჭვი (2) იმ პროცესის რეალობას, რომელსაც ასახავს სუპერ-პარადიგმის მთლიანობა და, კერძოდ, რამდენად მკვეთრად არიან გამიჯნული ერთმანეთისაგან პროცესის კომპონენტები წარმოდგენილი (2) ჯაჭვის ცალკეული რგოლებით: CAUS, PROC, RES.

ეს უკანასკნელი "ეჭვი" ნაკლებად ეხება პირველი (CAUS) და შემდგომი წევრების (PROC→ RES) გაყოფას. ენობრივი ინტერპრეტაცია აშკარად უჭერს მხარს ამ გამიჯვნას, როგორც სემანტიკურად, ისე გრამატიკულადაც. ეს გრამატიკული განსხვავება განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს რეგულარობის შემთხვევაში, სადაც CAUS – რგოლი წარმოდგენილია კაუზაციური პარადიგმით, მაგრამ ორსაფეხურიანი კაუზაციის კონტექსტშიც (ა-წუხებს, ა-წვენს, ა-ძინებს) გაფორმებაც და შინაარსიც საკმაოდ ცალსახად გამოყოფენ პროცესის ეტაპს, რომელიც აისახება ამ "მეორადი", "შუამავალი" IC-ვარიანტით. რაც შეეხება სემანტიკას, ძირითადი პროცესის ორივე მონაწილე (CS, IC) მხოლოდ "უბიძგებს" პროცესის "მთავარ შემსრულებელს" მისი პროცესის წამყვანი როლის შესრულებისკენ და არ იჩენს (ყოველ შემთხვევაში – ექსპლიციტურად) არავითარ სხვაგვარ აქტიურობას. ასე, რომ ამ მახასიათებლების წყალობით პირველი რგოლი (CAUS) მკვეთრად უპირისპირდება მომდევნო ორს (თუმცა ზოგ განსაკუთრებულ შემთხვევაში აქაც ვაწყდებით გარკვეულ მერყეობას).

ძირითადი პრობლემები სუპერ-პარადიგმის სქემის (2) შესაბამისად დაყოფისას ჩნდება "ქვედა" ორი რგოლის (PROC→ RES) გამოყვანასთან დაკავშირებით. უკვე (1) ნიმუშში შემოთავაზებული ვარიანტი

PROC (ააშენა) → RES (აშენდა)

შეიძლება იწვევდეს გარკვეულ ეჭვს და ამგვარად მოითხოვდეს სათანადო გამართლებას, რასაც შევეცდებით შემდეგ პარაგრაფში.

2.1. მაგალითი (1) და სქემა (2) უპირისპირებენ ერთმანეთს, როგორც PROC-ს და RES-ს, ერთი და იმავე ზმნური ლექსემის (შენება) აქტიურ (ააშენა) და პასიურ (აშენდა) პარადიგმებს. ამავე დროს ცხადია, რომ საბოლოო ჯამში ეს პარადიგმები ასახავენ ერთსა და იმავე პროცესს (შენების), და თანაც მოიცავენ როგორც პროცესის მიმდინარეობის ამსახველ მწკრივებს (აშენებს/შენდება), ისე ამ პროცესის დამთავრების გამომხატველს (ააშენა/აშენდა).

ბუნებრივია, შეიძლება გაჩნდეს კითხვა: ხომ არ არის დაპირისპირება PROC/ RES უფრო მკვეთრად ასახული უსრული/სრული ასპექტის მიმართებაში? ამავე დროს არსებობს რიგი მოსაზრება, რომელიც უარყოფს ამ მიდგომას. პირველ რიგში ასეთი "ტრანსფორმაცია" გამოიწვევდა მთელი ზემოთ ჩამოყალიბებული სუპერ-პარადიგმატიკული სტრუქტურის დაშლას; კერძოდ, დაირღვეოდა (3), (4) სქემებით განსაზღვრული სემანტიკური როლებრივი მიმართებები და მათთან ერთად დაკარგავდნენ აზრს პრიორიტეტების სკალებიც (5), (6).

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ მიდგომის სრულყოფისთვის ეს დაპირისპირება ასპექტის კატეგორიის მიხედვით უნდა გავრცელდეს კაუზატიურ კომპონენტზეც (CAUS), რაც, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ გააუქმებს სუპერ-პარადიგმის შემოთავაზებულ ვარიანტს.

ამავე დროს, ენობრივი ინტუიცია აშკარად კარნახობს სწორედ პარადიგმატიკული (და არა "ასპექტუალური") ჯაჭვის შენარჩუნების უპირატესობას ზმნურ-ლექსემით ნაგულისხმევი პროცესის მთლიანობის ასახვისთვის. ეს პროცესი, მისი გაგრძელება ან შეწყვეტა (მთლიანი თუ ეტაპობრივი) ამა თუ იმ სახით გამოხატულია ყოველი პარადიგმის თითოეულ წევრში. განსხვავება იჩენს თავს ენობრივი ინტერპრეტაციის აქცენტში, რომელიც შეიძლება ხაზს უსვამდეს პროცესის კაუზირების ანუ AG-ის სტიმულირებას CS-ის მიერ, ან თვით პროცესის მიმდინარეობას, რომელიც მიჰყავს AG-ს და რომლის აზრი და შესაბამისად შედეგიც - RES, ხაზგასმულია ბოლო (რეგულარობის შემთხვევაში) პასიური პარადიგმით, რომელიც მიმართავს ყველაზე პრიორიტეტული SUB აფიქსებით სწორედ OB-ს, ანუ იმ მონაწილეს, რომლის მდგომარეობა განსაზღვრავს როგორც პროცესის მიახლოებას შედეგთან (შენდება), ისე ამ საბოლოო შედეგის მიღწევასაც (აშენდა).

გარკვეული თვალსაზრისით, რეგულარული სუპერ-პარადიგმის დაყოფას (2) ჯაჭვის თანახმად, პირველ რიგში, ამართლებს (4) სქემა: ის უთმობს ამ ჯაჭვის ყოველი რგოლის პირველ პოზიციას სწორედ იმ რგოლს, რომელიც წარმოადგენს სუპერ-პარადიგმის მთლიანი პროცესის შესაბამისი სტადიის სიმბოლოს, განსახიერებას და ამგვარად განასხვავებს, უპირისპირებს ერთმანეთს CAUS-ს (CS), PROC-ს (AG) და RES-ს (OB).

2.2. წინა პარაგრაფის მსჯელობის ხაზის გასაგრძელებლად აქ მივმართავთ რეგულარობიდან იმ გადახრას, რომელსაც ახასიათებს (2)-ის ბოლო რგოლის (RES) უფრო მკვეთრი და თვალნათლივი გამიჯვნა დანარჩენ ჯაჭვთან და პირველ რიგში, უახლოეს მარცხენა "მეზობელთან" (PROC). ამ ტიპის ზოგ სუპერ-პარადიგმაში ეს ბოლო (tail) ეტაპი წარმოდგენილია შედეგობრივი მდგომარეობით, სადამდეც PROC-მა მიიყვანა AD მონაწილე:

CAUS [დააძინებინა მან (CS) მას (IC) ის (AG/AD) → დააძინა მან (IC) ის (AG/AD)]⇒

⇒ PROC [დაიძინა მან (AG)/ჩაეძინა მას (AD)] ⇒ RES [სძინავს მას (AD)] (7)

ადვილი დასანახია, რომ RES კომპონენტს ამ შემთხვევაში არ გააჩნია არავითარი "გადახლართვა" წინა (PROC) ეტაპთან ბუნებრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარდა, რომელიც მხოლოდ ხაზს უსვამს აქ დამასრულებელი სტადიის RES სემანტიკას:

სძინავს, ეძინა, ეძინება, სძინებია მას (AD).

ამ, (2,4) სქემების თვალსაზრისით "დადებითი" ცვლილების გარდა სუპერ-პარადიგმა (7) გვიჩვენებს სხვა არანაკლებ სერიოზულ გადახრებს რეგულარობიდან. ალბათ ყველაზე შესამჩნევია (3) ჯაჭვის შემადგენლობის შეცვლა: მას აკლდება OB როლი, მაგრამ სამაგიეროდ ემატება ახალი IC (Intermediate Causer) როლი:

CS → IC → AG/AD, (3′)

რომელიც ამავე დროს ნათელს ჰფენს კიდევ ერთ, გარკვეული თვალსაზრისით, უფრო ფუნდამენტურ "სიახლეს", ანუ AG და AD როლების "შერწყმას", "შერევას" (blending – Fauconnier et al. 1996). ზემოთ რეგულარობის შემთხვევაში უკვე აღნიშნული იყო, რომ AG-როლის სემანტიკა შეიცავს AD-ის როლის მსგავს პოტენციურ ასპექტს, რომელიც ვლინდება ზოგ კონტექსტში სათანადო გაფორმების, ანუ ენობრივი ინტერპრეტაციის სახით: კერძოდ, ნაჩვენები იყო, რომ CS-ის უშუალო გავლენის ქვეშ AG მარკირდება სწორედ AD-ის მსგავსად.

“შუალედური კაუზატორის” (IC) გავლენით AG/AD სიმბოლოთი აღნიშნული წევრი (3′) სქემაში იძენს გაფორმებას (OBJ:d,n; SUB:n), რომელიც ახასიათებს OB როლს AG-ის უშუალო გავლენის ქვეშ. მოქმედებათა ჯაჭვის (2) შემდეგი რგოლი (PROC) ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ორი ასპექტის “შერევით” (blending), თუმცა თითოეული მათგანი ექსპლიციტურად იჩენს თავს შესაბამისი პარადიგმის საშუალებით: დაიძინა/ჩაეძინა. ამ წყვილის პირველი წევრი (დაიძინა) ფორმით ემსგავსება “შუალედური კაუზატივის” სათავისო ქცევას, რომელშიც ერთიანდება ამ პარადიგმას “მთავარი მოქმედი პირი” (IC) და მისი გავლენის პირდაპირი ობიექტი, მიჩნეული მთლიანი პროცესის AG-ად; მეორე წევრის გაფორმება კი წააგავს პასივს, თუმცა მას აკლია ამ ტიპის პარადიგმას ცენტრალური აქტანტი (OB), ის კი რომელიც სახეზეა, მარკირებულია ადრესატის მსგავსად (OBJ:d).

რაც შეეხება სემანტიკას, ორივე წევრის სემანტიკურ ბირთვად შეიძლება მივიჩნიოთ მთავარი “მოქმედი პირის” (AG/AD) “მიახლოება” (იძინებს/ეძინება) შედეგობრივ მდგომარეობასთან (სძინავს) და “შესვლა”, “შეღწევა” მასში (დაეძინა/ჩაეძინა). ამავე დროს ეს პარადიგმები ახასიათებენ ამ საერთო პროცესს სხვადასხვა სემანტიკური ელფერით, სახელდობრ, პირველი მათგანი (იძინებს, დაიძინა) იძლევა ამ პროცესის უფრო ნეიტრალურ, ზოგად ინტერპრეტაციას, აღნიშნავს უბრალოდ “როლის” მდგომარეობასთან მიახლოება/მიღწევის ფაქტს, როდესაც მეორე (ეძინება, ჩაეძინა) ხაზს უსვამს ამ პროცესის (არასრულ) გაცნობიერებას, რომელიც შეიძლება ახლდეს ამ პროცესის მთლიანობასაც, მაგრამ აუცილებლად ახასიათებს მის “ფინალურ” ეტაპს, რის გამოც ეს PROC/RES – ეტაპები უშუალოდ ემიჯნებიან ერთმანეთს, თუმცა მათი სემანტიკური განსხვავება სავსებით თვალსაჩინოა.

ბოლოს ისიც შეიძლება დაემატოს ამ პარადიგმათა დაპირისპირების თვალსაზრისით, რომ პირველის (დაიძინა) ენობრივი ინტერპრეტაცია ანიჭებს მას აქტიურობას, ანუ პროცესის სტატუსს, მაშინ, როდესაც მეორე წარმოადგენს სიტუაციას როგორც მდგომარეობას (ეძინება), რომელიც თავისთავად, ყოველგვარი ინტენსიური ძალდატანების გარეშე გადადის “ფინალურ” მდგომარეობაში (ჩაეძინა → სძინავს). ეს სემანტიკური მოსაზრებები ნათელს ხდიან როგორც ამ პარადიგმების ფორმალურ დაპირისპირებას, ისე იმასაც, თუ რამ განაპირობა პირველ შემთხვევაში AG-ის როლის გამოჩენა, მეორეში კი - AD-ის (Чикоидзе 2011).

2.3. წინა პარაგრაფისაგან განსხვავებით აქ მოცემული იქნება მოკლე დახასიათებითურთ იმ სუპერ-პარადიგმატიკული ტიპების მაგალითები, რომელთა თავისებურება ეყრდნობა უკვე განხილული (2.1 და 2.2) პარაგრაფების ტიპების ვარირებას. ამოსავალ წერტილად თუ გამოვიყენებთ წინა (2.2) პარაგრაფს, ალბათ ყველაზე ახლო მის “მეზობლად” შეიძლება ჩაითვალოს სუპერ-პარადიგმების ის უფრო მრავალრიცხოვანი ტიპი, რომელიც განსხვავდება ზემოთ განხილულისგან მხოლოდ იმით, რომ მისი PROC და RES პარადიგმები ექსპლიციტურად მიმართავენ ერთზე მეტ აქტანტს. ასეთებია, მაგალითად, სუპერ-პარადიგმები ნაწარმოები ემოციების გამომხატველი ლექსემებისაგან (უყვარს, სძულს, მოსწონს); ასეთივეა მოდალური ზმნებიდან ნაწარმოები სქემები (უნდა, შეუძლია). მკვეთრად გამოხატული RES უბნით გამოირჩევიან აგრეთვე ზოგი სუპერ-პარადიგმები მენტალური სფეროდან (სჯერა, ეეჭვება) და ა.შ. ყველა ამ მაგალითებს ახასიათებს ის, რომ მისი RES რგოლის პარადიგმის მეორე აქტანტი მარკირებულია მიცემითის მნიშვნელობით და ზმნა მიმართავს მას OBJ-აფიქსებით, რაც მიგვანიშნებს

“მდგომარეობა/ადრესატის AD” ენობრივ ინტერპრეტაციაზე; სუპერ-პარადიგმის პროცესის მთლიანობას მიჰყავს ზმნებით ასახული სიტუაცია იმ მდგომარეობამდე, რომლის საბოლოო მიზანი “ადრესატია”, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა აღმოჩნდეს ამ შედეგობრივ მდგომარეობაში: მას სძინავს/ ღვიძავს/ უყვარს/ სძულს/ სჯერა/ ეშინია...

ახლოს არის ამ ტიპთან ისეთი მნიშვნელოვანი ზმნური ლექსემის სუპერ-პარადიგმა როგორიცაა

აქონინა მან მას ის → იქონია მან ის → აქვს მას ის.

იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ ტიპის “ნაკლული” ვერსია, რადგან მის CAUS და PROC რგოლებს გააჩნია მხოლოდ თითო-თითო პარადიგმა.

ამ ტიპის ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნით, ანუ ბოლო რგოლის (RES) მკვეთრი გამოყოფით, მას ემსგავსება სუპერ-პარადიგმები როგორებიცაა:

CAUS [(ა)აყვირებინა → (ა)აყვირა] ⇒ PROC [აყვირდა] ⇒ RES [იყვირა]

მათი მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათი RES წარმოადგენს გაცილებით უფრო ინტენსიურ შედეგს გამოხატულს აქტიური ზმნით, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს რაღაც “პროცესს” (და არა “მდგომარეობას”). პირველი რგოლის (CAUS) სტრუქტურა რჩება უცვლელი, მაგრამ PROC მოიცავს ერთადერთ პასიურ პარადიგმას. ამ უკანასკნელის პირველი აქტანტი კი რეგულარული ტიპის მსგავსად მონიშნულია (SUB:n) მარკერებით, ანუ ექვემდებარება OB-თვის მიჩნეულ ენობრივ ინტერპრეტაციას, რის შედეგად (3′) ჯაჭვში უკანასკნელი რგოლი (AG/AD) შეიცვლება როლების ახალი “შერევით”: AG/OB:

$$CS \rightarrow IC \rightarrow AG/OB \rightarrow AD \qquad (3'')$$

ამ აშკარად უფრო ინტენსიურ შედეგს (RES) აღწევენ სუპერ-პარადიგმები დაფუძნებული ისეთ “აქტიურ” ლექსემებზე, როგორებიცაა მაგალითად

-ყვირილი/ კივილი/ ყეფა/ წუხილი/ ღელვა/ ბობოქრობა/ ცეკვა/ მღერა/ ... და სხვა.

ბოლო ორ ნიმუშს და ზოგ სხვასაც ახასიათებს როლების “შერევის” დამატებითად გართულებული სტრუქტურა (AG/OB/AD):

PROC [(ემღერება მას (AD)) → (ამღერდა ის (OB))] ⇒ RES [იმღერა მან (AG)].

აქ ჩვენ ვხედავთ პროცესის ინტენსიურობის ზრდას ერთობლივი სუპერ-პარადიგმის ფარგლებში. “ცენტრალური” მონაწილე პირველ ეტაპზე გამოიყურება როგორც მდგომარეობის (“სიმღერისკენ მიდრეკილების”) ადრესატი (AD), ანუ “მას ემღერება”; მეორე ეტაპზე (“ის ამღერდა”) იგივე მონაწილე შეფასდება ენობრივი ინტერპრეტაციის მიერ, როგორც ამ “გარდამავალი” ნაბიჯის ობიექტი, რომელიც ამ ნაბიჯს გადაჰყავს რაღაც აქტიურობისკენ “მიდრეკილების” მდგომარეობიდან ამ აქტიურობის რეალიზაციაში; ამ უკანასკნელში კი ეს მონაწილე ასრულებს AG-ის წამყვან როლს: “ის მღერის”.

ინტენსიურობის ანალოგიური სკალის თანახმად შეიძლება დალაგდეს სუპერ-პარადიგმების კლასებიც, რომლებსაც ახასიათებს მკვეთრად გამოყოფილი “შედეგი” (RES). გარდა ზემოთ უკვე განხილული კლასების “მინიმალური” და “მაქსიმალური” ინტენსივობის “შედეგით” შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ამ მახასიათებლის (ინტენსივობის) “შუალედური” დონით. ამ სუპერ-პარადიგმების მთლიან პროცესს მიჰყავს ცენტრალური მონაწილე სიტუაციამდე, რომელიც შეიძლება ერთდროულად შეფასდეს

როგორც “აქტიური მდგომარეობაც” და “პასიური პროცესიც”. ასეთებია, პირველ რიგში, სივრცეში ადამიანის “პოზის” ამსახველი ზმნური ლექსემები:

PROC [ადგა/ დაჯდა/ დაწვა] ⇒ RES [დგას/ ზის/წევს]

ამ “შუალედური” ინტენსივობის შემთხვევაში ენობრივი ინტერპრეტაცია აფორმებს ამ ზმნების პირველ აქტანტს OB-ისთვის დამახასიათებელი მარკერებითაც: (SUB:n).

ამ ტიპის სუპერ-პარადიგმებს შეიძლება მივანიჭოთ “რეგულარობის” მსგავსი სტატუსიც, რომელიც აღადგენს მის ფარგლებში AG-ის მეტად მნიშვნელოვან როლს:

CAUS[(ააყენებინა მან მას ის)] ⇒ PROC [ააყენა მან ის] ⇒ RES [(ადგა ის) → (დგას ის)];

ფორმალური განსხვავება (1)-ისგან მდგომარეობს მხოლოდ RES პასიური პარადიგმების გაორებაში, უფრო არსებითი სემანტიკური შეუსაბამობა კი იმაში, რომ ეს RES-ის პირველი პარადიგმა (ადგა) შინაარსობრივად უფრო “მიიწევს” PROC-ისკენ.

3. ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე ვარიანტი იმ სტრუქტურებისა, რომლებსაც წარმოშობენ ზმნური ლექსემები. ამ სტრუქტურების, ანუ სუპერ-პარადიგმების, არატრადიციული ცნება წარმოადგენს გრამატიკის იმ ტრადიციული მიმართულების ბუნებრივ გაგრძელებას, რომელიც აერთიანებს ენობრივ სიტყვაფორმებს, კერძოდ, ზმნებს, ერთობლივ სტრუქტურებში, პარადიგმებში, რომელთა წევრებს გააჩნიათ საერთო სემანტიკური (ლექსემა) და, როგორც წესი, მორფოლოგიურიც (ფუძე) ბირთვი. ტრადიციული გრამატიკა უკვე აერთიანებს ერთ ზმნურ პარადიგმაში განსხვავებული დროის ასპექტის და კილოს ფორმებს, ჯერ მწკრივებად, მერე სერიებად და ბოლოს ერთი და იმავე გვარის პარადიგმებად. სუპერ-პარადიგმა წარმოადგენს ამ განვითარების ბუნებრივ შემდეგ ნაბიჯს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა გვარის მნიშვნელობის მქონე პარადიგმებს (კაუზატიური, აქტიური, პასიური) ერთობლივ სტრუქტურაში.

ზემოთ მოყვანილი ნიმუშების განხილვის მიზანს წარმოადგენდა იმის დადასტურება, რომ არა მარტო ცალკეული სუპერ-პარადიგმები, არამედ მათი ერთობლიობაც წარმოადგენს გარკვეული სახის სტრუქტურირებულ ერთობლიობას, თავის მხრივ, რასაც საბოლოოდ დაადასტურებდა ამ ქართულ ზმნათა ამომწურავი და უფრო დაწვრილებითი ანალიზი, რომლის გამოსავალს საუკეთესო შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს ქართული ზმნური სუპერ-პარადიგმების ლექსიკონი.

ვიმედოვნებთ, რომ აქ მოცემული შედეგები და კერძოდ (1-7) სქემები და ნიმუშები გარკვეულ საფუძველს და საწყის წერტილს უზრუნველყოფენ ამ კვლევისა და მისი შედეგისათვის.

ლიტერატურა – References – Литература

- Chikoidze 2007. The Marking of Verb Actant Relations in Georgian. Proceedings of 6th International Tbilisi Symposium on Logic, Language and Computation, Springer-Verlag, Berlin Heidelberg.
- Чикоидзе 2010. Систематизация значений некоторых классов языковых единицю Институт Ситем Управления, Изд. «интелекти», Тбилиси.
- Langacker 1991. Concept, Image, and Symbol. The Cognitive Basis of Grammar. Mouton de Gruyter. Berlin, New York.

- Van Valin et al. 1997. Co-author: R. J. La Polla. Syntax. Structure, Meaning and Function. Cambridge University Press.
- Gardenfors 2000, Mental Spaces. The Geometry of Thought. MIT Press.
- Fauconnier et al. 1996. Co author: M. Turner. Blending as a Central Process of Grammar, In "Conceptual Structure, Discourse and Language", CSLI Publications, Stanford, California.
- Чикоидзе 2011. Семантика адресата (AD). «Ганатлеба», №2, Грузинский Технический университет, Тбилиси.

The regular Georgian verbal super-paradigm, as a basis of classification of these units

G.Chikoidze
Institute of Control Systems
Georgian Technical University
Mindeli str, №10

The verbal super-paradigm is set of verb paradigms derived from one and the same verb lexeme. As a result the members of this unit have the common semantic core and, as a role, are morphologically derived from the common stem. The subset of these units which is chosen as a "regular", represent a three stage global process, first study of which is a causation (CAUS), which is then followed by active (PROC) and passive (RES) paradigms. All three steps of global process imply one and the same group of four participants (3), represented by semantic roles: CS (causer), AG (agent), OB (object) and AD (addressee). After that it is shown on same examples how the structures of other super-paradigms classes can be interpreted as a variations of the basic structure of the regular class, which, at the same time, do not deviate too far from this basic structure.

Регулярная грузинская глагольная супер-парадигма, как основа классификации этих единиц

Г. Чикоидзе
Институт Систем управления
Грузинский Технический Университет
ул. Миндели, №10

Супер-парадигма представляет собой совокупность парадигм, образованных от одной глагольной лексемы и в результате содержащих общее семантическое ядро и, как правило, общую основу. Из этого множества выделен класс регулярных супер-парадигм, представляющих собой последовательность парадигм, первая из которых выражает «каузацию» процесса в целом (CAUS), вторая – сам процесс (PROC), третья – его результат (RES) (схема 2), причем все эти действия выбирают основных участников из 4-членной группы (3). Вслед за этим на примере нескольких классов глагольных супер-парадигм демонстрируется возможность определения их структуры как возможной исходной регулярной, не слишком далеко отклоняющих от своей регулярной основы.

გრიგოლ რობაქიძის ერთი წერილის გამო

ფანტასმების ქალაქი

ხათუნა ჭანიშვილი

”პეტრე დიდმა ამ უცნაური ქალაქით რუსეთის სტიქიონი გამოკვეთა, საცა ჭაობი უნიადაგობად ისახება და ნისლი მოჩვენებად. დიდი ელემენტი რუსეთის მისტიკის ამ ავზნიანი ქალაქით სხეულდება. დოსტოევსკი იყო პეტერბურგის შვილი. მის გარეშე იგი წარმოუდგენელია”. ასე იწყება რობაქიძის წერილი ”ფანტასმების ქალაქი”,[1] რომელიც 1917 წლის 237ე ნომერში დაიბეჭდა. ძნელი დასადგენია ამ ფრაზებით რა სათქმელისკენ მივყავართ რობაქიძეს. მას დოსტოევსკისა და პეტერბურგის ფანტასმების კვლევა სურს, თუ სხვა სატკივარი არ ასვენებს. რა საჭიროა ამდენი ფიქრი რუსულ კულტურაზე და რატომ ითვლება პუბლიცისტის ერთგვარი ლიტერატურულ-პოლიტიკური ამოძახილი აქტუალურად იმდროინდელი პრესის ერთი წამყვანი ორგანოსთვის. გავრცელებული აზრით, ”პუბლიცისტი წერს იმ ფენისთვის, რომელსაც თავად მიეკუთვნება”[2] რუსეთის ფენომენზე რობაქიძისგვარად დაფიქრებული მკითხველისთვის ლიტერატურულ-ფილოსოფიური წეაღსვლები პუბლიცისტიკაში საზოგადოდ ქართული ინტელექტის გამორჩეულობაზე, აზროვნებისა, ცხოვრების არტისტულ მანერაზე მიუთითებს.არ ახალია,რომ პრესის სახე საზოგადოებისას ასახავს და პირიქით, მაშინ იდეათა და ინტერესთა სიჭრელე, შიში და სიმშვიდე, ლენინის პორტრეტი, დოსტოევსკიზე ფიქრი და რეალური პოლიტიკური პრობლემების აღწერა-გზების ძიება კი ფსიქოლოგიური კვლევისთვის ნოყიერი მასალაა. ჩვენ კვლავ რობაქიძის, როგორც პუბლიცისტის წერისა და აზროვნების მანერით უნდა დავკავდეთ, რომელიც ისეთივე უჩვეულო დასკვნების გამოტანისკენ გვიბიძგებს, რუგორიც თავად ტექსტია. რობაქიძე დოსტოევსკის ფენომენის კვლევას იწყებს და მას ქაოსის გენიით ნაკვეთს, რუსული სულის მძაფრად გამომთქმელს, გენიალურ ჩვენებათა მზიარებელსა და უფსკრულის პირას მყოფ გიჟურს, არეულს უწოდებს და აქაც მისი შეფასაბა ბერდიაევის მოსაზრებას ემთხვევა. დიდი რუსი ფილოსოფოსი დოსტოევსკის იდეების სამყაროს, მის შემოქმედებას ცეცხლად გადაქცეულ დინამიკად განიხილავს, როგორც წინააღმდეგობებითა და ფიქრით აღსავსე სულს, სადაც ყველა იდეა დაკავშირებულია ადამიანითან, სამყაროსთან და ღმერთთან იდეები კი ბედისწერის განმსაზრვრელად გვევლინებიან. ეს სურათი დოსტოევსკის უდიდეს ფსიქოლოგადაც წარმოგვიდგენს (ტყუილად არ უთქვამს რობაქიძისთვის უდიდეს მოაზროვნეს ფრიდრიხ ნიცშეს, რომ მხოლოდ დოსტოევსკისგან ვსწავლობ ფსიქოლოგიასო) რობაქიძესაც სურს დოსტოევსკის აზროვნებასა და ესათეტიკაზე ფიქრით რუსული სულის მისწრაფებები გაარკვიოს, ჩასწვდეს კანონზომიერებებს, რამდენადაც მისი ქვეყნისა და გენის ბედისწერა პეტერბურგულ აზროვნებაზეა მიბმული. ამ აზროვნების განუყოფელი ნაწილი, მისი ესთეტიკისა და ისტორიისა, დოსტოევსკია. მის იდეებთან წილნაყარს უჩვეულო იდეების ნადიმზე მოხვედრა ელის, თან დინამიკასა და ცეცხლოვან სიცოცხლეში ჩართულობა, აწორედ აქ რობაქიძეს საპატიო ადგილი უჭირავს,

მაგრამ იქ ვერ სტუმრობენ იმდროინდელი რუსული ისტორიის გაციებული მჭედლები. ისინი ხომ არარსაბულ, გამონაგონ, ხელოვნურ რეალობას ქმნიდნენ, რომელთაც, რობაქიძის თქმით ",უნდათ არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი სამყაროს გარდაქმნა"[3] სწორედ უკანასკნელი "მისიონერული" აზრი რუსი ბოლშევიკებისა აწუხებს რობაქიძეს და თავად არაბუნებრივი და ხელოვნური სამყაროების გზაგასაყარზე მყოფი ისტორიული თუ ანარქიული ხდომილების დადგენას ცდილობს. იგი ამ დროს დიდი პუბლიცისტია, რომელიც აზროვნების მკვეთრი მონასმებით ამახსოვრებს თავს მკითხველს. ამ დროს გამორჩეულ ინდივიდად, განსაკუთრებულ პიროვნებად რჩება. ემოციურიც, პირდაპირიც, არტისტულიც და თავისუფალიცაა. თავისუფალია დასკვნის გამოტანისას, როცა მიუხედავად დოსტოევსკის გენიალობისა და პეტერბურგის თავისთავადობისა, ეს ქალაქი მაინც უბედურების საწყისად წარმოუდგება. წერილის დასასრულს ამბობს: "უბედურება ის არი, რომ რასაც ეს ფანტომების ქალაქი იტყვის, იმას მთელი რუსეთი იმეორებს. მერე რა დროს? რევოლუციის დროს, როცა თავისუფლება მყარდება. და განა ეს არის თავისუფლება? თავისუფლება პირველ ყოვლისა თავისთავადობაა,-ზერელედ აყოლა კი ნამდვილი მონობა."[4] თავისუფლების ტრადიციული დეფინიციის შემდეგ ანუ დასასრულს ვკითხულობთ ფრაზას, რომელიც მოულოდნელია და რობაქიძეს ისეთ პუბლიცისტად წარმოგვიგენს, კარგად რომ იცის, თუ რა უნდა უთხრას საზოგადოებას და როგორ. იგი ზუსტად ითვალისწინებს საზოგადოების დამოკიდებულებას ფაქტისადმი, იცის, რომ საზოგადოება დაფიქრებულია და დაბნეული უკიდეგანო მეზობლის ქმედებებით, ამიტომ მხოლოდ ანალიზი არ აკმაყოფილებს, მან გამოსავალიც იცის და ეს გამოსავალი უცილობელი სიმართლეა ერების თვითგადარჩენისთვის. იგი ასე ფორმულირდება: საკუთარი თავის გაცნობა. რობაქიძე ბოლო წინადადებებით მარტივ და გონივრულ დევიზსაც სთავაზობს საზოგადოებას: "შესაძლოა ასეთი აყოლა რუსი ხალხისთვის მართებული იყოს,-მაგრამ სხვებისთვის, ჩვენთვის? თავის თავისდამარხვაა. ნაკლები ცქერა პეტერბურგისკენ, მეტი ყურადღება თავისი თავისა-აი,სადღეისო დევიზი."[5]

რობაქიძე საკუთარ მკითხველს "ფანტასმების ქალაქის" ბოლოს რამდენიმე სიტყვით მიმართავს და დევიზსაც შესთავაზებს, გაზეთ "საქართველოს"იმავე ნომერში, იმავე გვერდზე, რობაქიძის წერილის შემდეგ დასტამბულია დავით კასრაძის "საქართველოსთვის", რომელშიც არც დოსტოევსკის ფილოსოფიური პორტრეტია პოლიტიკურ ჭრილში დანახული და არც დევიზია შემოთავაზებული, ანუ საქმე გვაქვს სრულიად განსხვავებული ტიპის პუბლიცისტურ ტექსტთან, კლასიკურთან, რომელიც ამ განსაზღვრებას ზუსტად მიესადაგება: "პუბლიცისტიკა არის ლიტერატურა, რომელშიაც ცნებაზე დაყრდნობითა და ტენდენციის პირდაპირი გამჟღავნებით ხდება აქტუალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების წარმოჩენა-კვალიფიკაცია და რეზულტატის განზოგადება, აუდიტორიის დამოძღვრა- ამოქმედების მიზნით"[6]. დასაწყისში მითითებულია, რომ ბოლშევიკების გავლენა პეტროგრადს გასცდა და მთელს რუსეთს მოედო. მთავარი კი ისაა, რომ კავკასიის საზღვარს მოაღწიეს. პური და ზავი აღმოჩნდა ის საბედისწერო ლოზუნგი, რომელიც "აღძრავს ზღვადქცეულ ხალხს და ყოველგვარ ზომიერებას ავიწყებინებს."[7] ეს იყო პრობლემა, რომელიც სასიკეთოს არაფერს

უქადდა საქართველოს და ამ პრობლემის განზოგადებაა მომდევნო ნაბიჯი პუბლიცისტის მხრიდან, რომელიც დაეუფლება მკითხველის გონებრივ მხარეს, რომ საქართველოში ისევ მშვიდობაა და არავითარ მღელვარებას არ შეუბღალავს მისი ფიქრმორეული შუბლი, თუმცა ეს სიმშვიდე აშინებს, კეთილმაუწყებლად ვერ ღიქვამს, რადგან "ფინლანდიის", უკრაინის და მსოფლიო არეულობა რას მოუტანს საქართველოს ჯერ არ იცის, პუბლიცისტის დასკვნა კი მაინც კონკრეტული და იმავდროულად ზოგადია, ისეთივე ორაზროვანი, როგორიც სიტუაცია მთელს სამყაროში. წესრიგს მიუტოვებია რევოლუციურად მომართული სააზროვნო სივრცე და ქართული სინამდვილე თავისი პუბლიცისტიკითურთ, ისევეა კითხვის ნიშნებით სავსე, როგორც ჯერდაუდგენელი, ჰორიზონტზე გამოჩენილი ლენინისა და ტროცკის სილუეტები, რომლებიც ცოტა ხანში მძაფრშტრიხებიან პორტრეტებად გადაიქცევა და უცილობელ ჩარჩოიან სიმბოლოდ გამოჩნდება. ერთი კი ნამდვილად იცის ავტორმა, რომ საზოგადოება დაქსაქსულია და გაერთიანება ვერ მოუხერხებია. აქედან გამომდინარე იბადება ლოგიკური შეკითხვა: "ვის ხელშია დღეს საქართველოს ბედი?" პასუხიც იქვეა-"არავისაში". რახან ასეა, მაშინ დასკვნაც იდენტურია, თუმცა რეალურ განსჯას მოკლებული, მაგრამ სავსებით რეალური სიტუაციიდან გამომდინარე: "საქართველოს უზენაესობა კი ბრძანებით მოითხოვს, რომ მოვიდნენ ისინი, ვისთვისაც ბედს მიუნდვია მისი მესვეურობა. დე იყოს ასე".[8]

რობაქიძისა და ჯაფარიძის ეს პუბლიცისტური ტექსტები პრობლემების დასმითა და საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით თანხვდება ერთმანეთს, თუმცა არის არსებითი განსხვავება. ესაა ფორმა და ნარატიული სტილი, რომელსაც ხელწერა შეიძლება ეწოდოს. საკუთარი ქვეყნის შესაძლო მომავალზე ფიქრი დოსტოევსკიზე რემინისცენციებით, პეტერბურგული რეალობისა და ირეალობის განსაზღვრითა თუ საბოლოო კონკრეტული დევიზით საერთოდ არ ჰგავს ჯაფარიძის წერილს დასწყისშივე საქმიანს, ფაქტებითა და მოვლენებით დახუნძლულს ეროვნული პრობლემის დეფინიციით, თუმცა პუბლიცისტის მთავარ ფუნქციას, რომ გავლენა მოახდინოს მკითხველის თვალსაწიერზე, ორივე ავტორი ოსტატურად ახერხებს. მათ შორის საერთოა ისიც, რომ ორივე ტექსტში მითიური ქვეტექსტია, თუ რას ვგულისხმობთ აქ, მას შემდეგ გავარკვევთ, განვიხილავთ რა რობაქიძის შემდეგ წერილს "დიონისოს კულტი და საქართველო", მაგრამ იქამდე სათაური გვიბიძგებს, რომ ეპქალური ფონი გავიხსენოთ და გავიაზროთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გრ. რობაქიძე, ,,ფანტასმების ქალაქი'', გაზეთი ,,საქართველო'', 1917 წ, N 239.
2. ნ. ტაბიძე, ,,პუბლიცისტიკის საკითხები'', წიგნი პირველი, თბილისი, 2011 წ,გვ 15.
3. გრ. რობაქიძე, გაზეთი ,,საქართველო'', იქვე.
4. იქვე.
5. იქვე.
6. ნ. ტაბიძე, ,,პუბლიცისტიკის საკითხები'', იქვე. გვ. 19.
7. დ. კასრაძე, ,,საქართველოსთვის'', გაზეთი ,,საქართველო'', 1917 წ, N 239.
8. იქვე.

The city of phantasms

Khatuna Chanishvili

The subject of our research are the letters published by Grigol Robakidze in the newspaper "Saqartvelo" in 1917-21 years. "The city of phantasms" Robakidze speacks of Russians threats, although this problem does not stand in any of the phrase directly. His themes are the thoughts of Dostoevski, Berdiaev and Merejkovski. He only shows the Russian reality which is standing at the edge of abyss, speaks about the solution which does not exist and does not even mention Georgia. As if he cannot doom to involve Georgia's new history in the chaos of dust and ghosts. But the unconscious fear of existing Russian abyss is still felt.

Город фантомов

Хатуна Чанишвили

Напечатанные в газете «Сакартвело» письиа хронологически содержат один период 1917 года. Главная тема, развернутая вокруг существующих общественно-политических проблем, подразумевает со стороны читателя особенный подход. Цель автора, как публициста, то , что заставит читателя думать, размышлять тем больше, что публицист, по распространенному мнению,пишет для того слоя общества, к которому принадлежит сам.

Опубликованные в 1917 году в газете «Сакартвело» статьи носили философский характер. «Город фантомов» содержыт вопросы человеческого существования, бытия, личной свободы, свободного выбора, поиски смысла мироздания. Ожидается столько ответов, сколько читателей встретятся с письмами. в этих письмах содержатся эмоционально-философские наброски.

ტარიელ ჭანტურიას ენობრივი სამყაროს თავისებურებანი

სრული პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

ტარიელ ჭანტურია ცნობილი ქართველი პოეტია. მას „აქვს თავისი პოეტური ქვეყანა" და ეს ქვეყანა მისი ფიქრის და განსჯის ტვიფრით არის აღბეჭდილი, სამშობლოს ენობრივი სურათ-ხატის პოეტური ვიზიონებია და არა რეალობის ვირტუალური ალტერნატივა. იგი რეალურის გვერდით არსებობს, როგორც პარალელური სამყარო. ამ ქვეყნის არსებითი ნიშანი სიმდაბლეს ზნეობრიობით აღმატებული მთლიანობაა.

ტ. ჭანტურიას პოეზიასა და მხატვრულ ნააზრევს ჩვენი მკითხველი საზოგადოება ღრმად და საფუძვლიანად იცნობს. მასზე ბევრია დაწერილი: დაწერილია ისე, რაღაცის გამო; დაწერილია ბევრი რამის გამოც, ყველაფრის გამოც... დაწერილია ლიტერატურულ კრიტიკაში: ტარიელ ჭანტურიას პოეზიაზე წერდნენ ლ. ალიმონაკი, გ. გაჩეჩილაძე, რ. მიშველაძე ი. კენჭოშ-ვილი, ვ. გოგუაძე, თ. წივწივაძე, გ. ბერაია, სხვებიც. უფრო სრულყოფილად და სისტემურად მის შემოქმედებაზე დაიწერა ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში

(ლ. მინაშვილი, „ჭუჭრუტანიდან“... „ტიხარს იქით“ (ტ. ჭანტურიას ლირიკის ზოგიერთი ასპექტი)“, წიგნში „ლიტერატურული ნარკვევები და წერილები“, თბილისი, 2003, ი. ევგენიძე „ტარიელ ჭანტურია“, წიგნში „ნერკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, 2000).

საყოველთაოდ გაზიარებულია აზრი იმის თაობაზე, რომ ტარიელ ჭანტურია „უაღრესად თანამედროვე ხედვის პოეტია,... სავსებით გაცნობიერებული აქვს... როგორც საკუთარი „მე“-ს, ასევე საზოგადოდ პოეტის მისია“ [ევგენიძე 2000: 318].

„ტ. ჭანტურია ახალი დროის ინტელექტუალური ტიპის პოეტია იმ აზრითაც, რომ მისთვის უცხო არაა არც ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული სიახლე“; ტ. ჭანტურია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანადროულობის გრძნობას და მისი პოეზიაც ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული“; იგი „დაძაბულად ადევნებდა თვალს ჩვენს საუკუნეში მიმდინარე ლიტერატურულ ძვრებს და აქტიურადაა ჩართული თანამედროვე ხელოვნების ცხოვრებაში“ (316).

ლიტერატურისმცოდნეობას უყვარს სისტემებრ აზროვნება და ყველაფერში კანონზომიერების აღმოჩენა. ეს ტენდენცია პოეტის შემოქმედებითი პორტრეტის ძერწვაში მის რომელიმე მიმდინარეობისათვის ან კონკრეტული ტენდენციის დამამკვიდრებელ ხელოვანთან დაკავშირებაში ვლინდება.

ტ. ჭანტურიას „ცხოვრების წარმმართველ პრინციპად“ მიჩნეულია „ქართულობა“ (317), ხოლო ამ და სხვა თავისებურებათა გამო იგი აკაკის ყაიდის პოეტად არის წარმოდგენილი (ამის ერთ არგუმენტად სახელდება თავად ტ. ჭანტურიას თქმა: „ყველაზე მეტად მე მაინც აკაკის მადლობელი ვარო“). მწერლობაში აკაკის მიმართულებისადმი ტ. ჭანტურიას მიკუთვნების არგუმენტებს შორის არსებითია სიახლოვის შემდეგი ნიშნები:

- ენერგიულობა, „პირდაპირ ამოუწურავი ენერგიის“ პატრონობა;
- ბუნებითი ესთეტობა;
- მხოლოდ საზოგადოზე გულისტკივილი;
- შთაბეჭდილების მიღების და ამ შთაბეჭდილების გამოხატვისა და სხვამდე მიტანის ნიჭი;
- თანამედროვეობის არაჩვეულებრივი გრძნობა;
- დროის მტკივნეულ საკითხებზე უსწრაფესი რეაგირება;
- ეროვნულ სხეულში ჩაბუდებული ნაკლისადმი დაუნდობლობა;
- ენამახვილობა, იუმორი, მოვლენათა კომიკური გააზრება;
- პოეტურის არსებობის ფორმად კამათის, დაპირისპირების, გაკენწვლის, პოლემიკის მომარჯვება, რაიც შეუპოვრობის, გამძლეობის გამოხატულებაც არის;
- პოეზიასა და ესეისტიკაში სასაუბრო სტილის და ტონის მომარჯვება.

აქცენტირებულია ტ. ჭანტურია თავისი დიდი წინაპრისაგან განსხვავებულია, მისი „შესაძლებლობები ერთგვარად შემოსაზღვრულია” ლირიკით, ლირიკული პოემებითა და ესეისტიკით. და ეს მაშინ, როდესაც აკაკის ნიჭი აშკარად ლირიკის, ეპოსის, დრამატურგიის, პროზის, კრიტიკის, პუბლიცისტიკის სივრცეებშიც კი ვერ ეტეოდა.

ტ. ჭანტურიას პოეზიის არსებით მახასიათებლებად ის ცხადდება, რომ:

- ქართულ პოეზიაში არც ერთ სხვა პოეტს არ ჰყავს ამდენი ადრესატი. ამის მიზეზია ლირიკის შინაარსის დამყარება შემთხვევებზე. ამგვარ ლექსებში მკითხველი განწყობილებათა თანამონაწილეა და, ფაქტობრივ, მომხდარში, მოვლენაში საკუთარი არსებობის დაფიქსირებაა.

- ტ. ჭანტურიას ქმნილებებს „აერთიანებს და ამსგავსებს თქმის ნიადაგზე აღმოცენებული გაოცების ეფექტისაკენ სწრაფვა".

პოეზიის თემატურ-პრობლემური რკალებით ტ. ჭანტურია ძირითადად ქართული პოეტური ტრადიციების მიმდევარია, თუმცა ცალკეული ტრადიციული თემა თავისებურად ააფერადა. მაგალითად, შენიშნულია, რომ „პატრიოტული გრძნობათა არე იმითაც გააფართოვა, რომ ჩვენს პოეზიაში მანამდე არც თუ ისე პოპულარული გურია და მისი მკვიდრნი შემოიყვანა პოეტური სიტყვის სფეროში". რაც მთავარია, გურია ტ. ჭანტურიას პოეზიაში „გარკვეული პოეტური თემატური ერთეულის უფლებით შემოვიდა", ანუ შემოვიდა „იმ მიწის სიყვარული, სადაც თვითონ შობილა და გაზრდილა" [ევგენიძე 2001: 347].

გარემომცველი ბუნებრივი ფაქტორის მნიშვნელობა პიროვნების მსოფლმხედველობის ფორმებისათვის კარგად არის ცნობილი და არა ერთ ავტორს გაუმახვილებია ყურადღება ამ ფაქტზე. მაგალითად, ბუნებრივ გარემოს მთელი ეთნოსის ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტორად აცხადებდა ლ. გუმილიოვი [გუმილიოვი 1990: 11]. ეს აზრი იმდენად კარგად არის ცნობილი და იმდენად არის გავრცელებული, რომ სასწავლო-ქრესტომათიულია და ეჭვს არავისში იწვევს ტ. ჭანტურიას გურულობაში გურიის როლი.

ტ. ჭანტურია სულით ხორცამდე გურულია... მის მიერ შექმნილ ტექსტებს აშკარად ატყვია აზროვნების ასოციაციურობა, ფრაზის „ენამოსწრებულად გაკენწვლის" მიზნობრივად განსაზღვრულობა, სამყაროს ვიზიონერულობის მასშტაბურობა, „თავდაჯერებული, რეზონერული ბუნება", „მოსწრებული თქმა, მძაფრი და მკვირცხლი ფრაზა", „აზროვნების სიმკვირცხლე არა მარტო კომიკურ სიტუაციათა" ხატვისას, არამედ დრამატულისაც [ევგენიძე 2001: 348].

აზროვნების სიმკვირცხლე, ასოციაციურობა, ვიზიონორული მასშტაბურობა, წამისმყოფელი რეფლექსია მომხდარსა თუ მიმდინარეზე გურული მენტალობის მდგენელები და ღირებულებითი ელემენტებია. ამ მენტალობის სხვადასხვა დროით და სივრცულ განსაზღვრულობაშ თავჩენის დიდი მაგალითებია ნიკო მარი და აკაკი შანიძე ენათმეცნიერებაში, ეგნატე ნინოშვილი და ნოდარ დუმბაძე მწერლობაში, ანა კალანდაძე და ტარიელ ჭანტურია პოეზიაში, ცხადია, ამ სახელებს ბევრი სხვაც დაუმშვენებს გვერდს ჩვენი სულიერ-ინტელექტუალური სამყაროდან. გურული კულტურული ცნობიერების ცენტრიდანულობა და სივრცული მერიდიანები საყოველთაოდ არის ცნობილი. ეს ცნობიერება მუდამ სამყაროულის ძიებაშია, მსოფლიურის შეცნობაზეა მომართული, მაგრამ ათვლის წერტილი ყოველთვის მშობიური გარემოა. სხვათა შორის, კულტურული ცნობიერების ამ მოდელის ფუნქციონირება მთელი სისავსით აისახება ნიკო მარის ნაღვაწში, ვისაც ეკუთვნის უაღრესად თანამედროვე ჟღერადობის ტერმინი „კულტურული შუბლი" და ვინც ბასკური ენისა და კულტურის გაცნობის შთაბეჭდილებების შემცველ თავის ნაშრომს უწოდა „Из пиренейской Гурии". ამ სათაურში, ბუნებრივია, დაფიქსირებულია არა მხოლოდ ემოციურ-ექსპრესიული მსგავსება გურულებისა და ბასკებისა, არამედ ბასკების ყოფისა და მენტალობის „კულტურული შუბლით" აღქმის შინაარსი.

კულტურული ცნობიერების ამ ყაიდით გამოირჩევიან ენათმეცნიერებაში აკაკი შანიძე, მწერლობაში ე. ნინოშვილი, ნ. დუმბაძე, ა. კალანდაძე, მათ შორის ტ. ჭანტურიაც. ეგაა, რომ მათი ვიზიონების მასშტაბებია სხვადასხვა. ე. ნინოშვილის სამყარო პატარაა სივრცობრივად. ამის მიუხედავად მისი

მზერა მიმართულია გურიის ეთნოგრაფიულ ყოფაში უცხოს, დიდის შეჭრაზე, რომელიც ამ საარსებო სივრცის „კულტურული შუბლის" შეცვლით იმუქრება.

ნ. დუმბაძის მშვენიერი პროზა იმის ბრწყინვალე დემონსტრირებაა, როგორც შეუძლია თავის შენახვა დიალექტურ მეტყველებას კანონიკური, ანუ სტანდარტული ენის „დიქტატის" ვითარებაში, მასთან მიახლოების და სტილისტურად მისთვის მხარისგასწორების პოტენციის რეალიზებით, ხოლო ანა კალანდაძის დიდებული პოეზია იმას გვიდასტურებს, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს გამუდმებული ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული ძიებებით და ვარჯიშით პოეტის ენობრივი სამყაროს სურათ-ხატი, როგორ შეიძლება აიზიდოს ნაციონალური ენობრივი სამყაროს სურათ-ხატამდე და ხელყოს ეთნოლინგვისტური ენობრივი მშვენებანი სტანდარტული (ანუ სალიტერატურო) ენის სიწმინდის დაცვის ინტერესების სასარგებლოდ. ტ. ჭანტურიას პოეზია და მისი მხატვრული მეტყველება კი თავისუფალია მსგავსი შეზღუდვებისაგან. ესაა გურული (ტერიტორიული) დიალექტის ტიპური იდეოლექტური გადმოდინება დიალექტურობის მიზნობრივი ხაზგასმით, რომელსაც პოეტური განცდის პუბლიცისტური ხედვა ასაზრდოებს და განუსაზღვრავს გეზს. პუბლიცისტური ხედვა, ღიაობა და სიმწვავე კი, რაც მისი ტექსტებიდან იმზირება, მისი ჟურნალისტური განათლების შედეგიც არის. ცნობილია, რომ მან უმაღლესი განათლება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა და მასთან ერთად ერთ ჯგუფში სწავლობდნენ თამაზ ბიბილური, ოთარ ჭილაძე, ფილიპე ბეროძე, ზაურ ბოლქვაძე, გივი გეგეჭკორი, გივი სამსონაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ვახტანგ ჯავახაძე [ტაბიძე 2001: 14]. ტ. ჭანტურიას ენობრივი ცნობიერებისა და სამყაროს ენობრივი ხატის წასაკითხად ეს გარემოება აუცილებლად გასათვალისწინებელია, რადგან იგი სწორედ სიტყვისა და მისი სემანტიკის ძიება-მიგნებით არის გამორჩეული. თანამედროვე ქართულ პოეზიაში ლექსიკის მრავალფეროვნებით მას ძნელად თუ გაუსწორებს ვინმე მხარს.

პოეტის ხედვის განსაკუთრებულობა ჩვეულებრიობად არის ქცეული. პოეტი თურმე სამყაროს ისეთ მოვლენას ხედავს და ისეთი ხმები ესმის, რისი დანახვა და სმენით აღქმა ჩვეულებრივი მოკვდავისათვის წარმოუდგენელია. მაგალითად, შემსწრენი გვიმტკიცებენ: წყნეთის ტყეში გალაიკტიონმა ნაძვნარის ნეშომპალადან სოკოს დაბადების მისტერიული ხმები მოისმინაო. ცხადია, კიდევ უფრო სასწაულია ამგვარი მოსმენილ-დანახულის თქმა, თანაც მხატვრულად თქმა, მით უფრო პოეტურად, წყობილსიტყვად, რადგან თქმა ენობრივი სამყაროდან შესატყვისი სიტყვის შერჩევასაც ითხოვს. სიტყვის პოვნა არანაკლებ საჭიროებს ნიჭს. ტ. ჭანტურიას მხატვრული სამყაროს და ლექსიკის პალიტრა ამ მხრივაც მის დიდ წარმატებულობას ადასტურებს. ეს გარემოებაც კარგად არის შენიშნული და აღწერილ-დახასიათებული ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში. მაგალითად, ნათქვამია, რომ ტ. ჭანტურია წარმატებით ახერხებს ერთი და იმავე განცდის სხვადასხვა პირობებში მიმდინარეობის გამოხატვას სტილური ნიუანსებით, მეტყველების ტონითა და ლექსიკით;

- გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ არც ერთ ქართველ პოეტთან „არაა მოცემული ისე ენერგიულად და წარმატებით ახალი, თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვარი ლექსიკის დამკვიდრების ექსპერიმენტები";
- გალაკტიონურად და კიდევ უფრო მასშტაბურად გაუღო კარი უცხოენოვან ლექსიკას, მათ შორის ერთი შეხედვით ისეთ არაპოეტურს, როგორიცაა ტერმინოლოგია, თანაც ვიწრო-დარგობრივი (მაგალითად,

სამედიცინო და ტექნიკური ტერმინოლოგია), ოღონდ ეგაა, რომ გალაკტიონთან უცხოენოვანი ლექსიკა ხაზს უსვამდა მისი „პოეზიის სიმაღლესა და... შინაარსის მიუწვდომლობას" (გრ. კიკნაძე), ხოლო ტ. ჭანტურიასთან ენობრივი ცნობიერებისა და საარსებო სივრცის ლექსიკური ნაირფეროვნებისა და მასშტაბურობის დემონსტრირებას. ამას ადასტურებს მისი პოეტური ფაქტურის" დატვირთულობა ქართველ და უცხოელ ხელოვანთა, ფილოსოფოსთა, უცხოეთის ძველი და ახალი ლიტერატურის, ისტორიის პერსონაჟების სახელებით.

აღნიშნულის წყალობით ტ. ჭანტურიას ლექსებში წარმოდგენილია „სინამდვილის სხვადასხვა ხედვა";

ლექსიკურად ძალზედ რთული და მდიდარი პოეტური სამყარო აქვს და მის საფუძველზე შეუძლია „ნებისმიერ ვითარებაში შეცვალოს სიტყვის ტონალობა", გეზი, მოაბრუნოს იგი", ან „საპირისპირო დატვირთვა მიანიჭოს";

ლექსიკური მრავალფეროვნება (და „შესანიშნავი მხატვრული ეფექტი") უზრუნველყოფილია არა მხოლოდ გურული დიალექტისათვის კარის ფართო გაღებით, არამედ ამ დიალექტური ლექსიკა-ფრაზეოლოგიის აქცენტირებით და ექსპრესიულ-ემოციური უზუალური რეგისტრირების მოდელებზე ხაზგასმული აპელირებით.

გურული დიალექტური ლექსიკა, ცხადია, ტ. ჭანტურიას პოეტურ მეტყველებაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, თუმცა სიტყვისადმი, როგორც ლექსიკური ერთეულისადმი ინტერესი სხვა, უფრო მნიშვნელოვან ასპექტებსაც შეიცავს. ესაა სიტყვის ბუნებრივი, ობიექტური პოლისემიურობის აქტუალიზაცია.

ტ. ჭანტურია სიტყვის პოლისემიის – სემანტიკური შესაძლებლობების დონეების წვდომა-გაცნობიერების ჭეშმარიტი ოსტატია. სიტყვა, როგორც თვითგამოხატვის ელემენტი და მისი ბუნებითი პოლისემიის რეპრეზენტაციების ნაირგვარობა, მწერლის ენობრივი სამყაროს სავიზიტო ბარათია.

სიტყვის ძიება, საერთოდ, არა ერთ დიდ ხელოვანთან გადაზრდილა მიზანმიმართულ ლექსიკოგრაფიულ-ლექსიკოლოგიურ ძიებებსა და ნაირგვარი სიტყვების შედგენაში. ტ. ჭანტურიას ლექსიკოლოგიურ ძიებებში მიზანი ქართული ეროვნული ენობრივი სამყაროდან მივიწყებული სიტყვის გამოხმობა ან მათი ახალი სემანტიკით ავსება კი არ არის, არამედ აქტიური ლექსიკური ერთეულის პოლისემიის ვარიაციების ძიება და მოულოდნელი რაკურსების რეალიზაციებია.

სიტყვა ოდესღაც განცდილის შიფრია, რადგან ადამიანის რეფლექსიას ემყარება რაიმე ფაქტსა თუ მოვლენაზე და მათ შესახებ ლაკონურ „თხრობას" შეიცავს. ადამიანი, ფაქტობრივ, ამ თხრობითი მოდელებით მეტყველებს. ასე რომ, სიტყვა უკვე არის რაიმეს თხრობა და ამ თხრობის თემატური პრინციპით ეკედლება მნიშვნელობით (სემანტიკურად) მსგავს სხვა სიტყვებს და ქმნის სემანტიკურ ველს, თანამედროვე ლინგვისტიკა ფრეიმსაც რომ უწოდებს. ადამიანების მიერ სიტყვისადმი დიდი და ნაირგვარი შინაარსის გამოხატვის დაკისრების ფაქტები მკაფიოდ ჩანს სწორედ პოლისემიის მოვლენაში. პოლისემანტიკური ვარიანტების გამოვლენა, ცხადია, ეროვნული ენობრივი სამყაროს ღრმა ცოდნას საჭიროებს. ამ მხრივ ტ. ჭანტურიას ლექსებში გასაოცარი შედეგებია დემონსტრირებული. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა მისი ლექსი „მიკროსკოპული საგა ლინგვისტისათვის", რომელიც აგებულია სიტყვა „დაადგას" პოლისემიური ვარიაციების დემონსტრირებაზე. ამ სიტყვის 12 სემანტიკური ვარიაცია, ერთად

დალაგებული, თავ-თავის კონტექსტურ „გარემოში" წარმოდგენილი ქართული ენობრივი პრაქტიკის ლინგვისტიკური ფოკუსირება-რეფლექსიაა, ერთი კონკრეტული სიტყვის სემანტიკური უნარების დემოსტრირებაა, გასაოცარი არა მხოლოდ ენის რიგითი მომხმარებლისათვის, არამედ სიტყვის პროფესიონალი მკვლევრის – ლინგვისტისათვის, სათაურშივე რომ არის დამისამართებული. დავაკვირდეთ:

„დაადგა ჩაი. წაიხემსა.
დაადგა გზას.
დაადგა თავზე მოღალატე ცოლს. გაეყარა.
დაადგა თვალი ცოლის დაქალს.
დაადგა გვირგვინი და დაოჯახდა კიდევ ერთხელ.
დაადგა სართული სართულს – სასახლე წამოჭიმა.
დაადგა ყელზე ბევრ მოშურნეს.
დაადგა ფეხი ყველას, ვინც ღირსი იყო ამის.
დაადგა თავი ბევრ კეთილ საქმეს.
დაადგა პირზე ბევრ ნაძირალას.
დაადგა საშველი მის ცხოვრებასაც –
დაადგა გზას სამოთხისაკენ."

ეს ლექსი ციტირებულია ტ. ჭანტურიას პოეტური კრებულიდან „საიტ.უმლო ბარათი" (თბილისი, 2007, გვ. 37). ამ კრებულში დაბეჭდილი ლექსები თვალის გადავლებითაც ცხადყოფს ტ. ჭანტურიას პოეტურ ლინგვისტობას, ანუ მისი პოეტური ცნობიერების მიდრეკილებას არა ტრადიციულ პოეტურ ინტერესს სიტყვის, როგორც ენობრივი ელემენტისადმი, არამედ მისი ლინგვისტიკური კონსტიტუციისადმი, მისი მეტყველებითი მიმოხვრის გრამატიკული სტრუქტურირების თავისებურებებისადმი. ამ თვალსაზრისით ქართული პოეზიის თემატურ-პრობლემურ სამყაროში ტ. ჭანტურიამ შემოიტანა **ქართული სიტყვის ლინგვისტიკური ბუნების** თემა. ამას ძალდაუტანებლად ცხადყოფს ისეთი ლექსები, როგორებიცაა: უსათაურო „ფრენა ვინც იცოდა", „ლექსპრომტი „ში" თანდებულის თემაზე", „საათი", „ნაფტალინიანი ლექსპრომტი", „ცრემლი-პოლიგლოტი (ენების უცოდნელთა გამამხნევებელი ლექსპრომტი)", „ტურისტს სასტუმროში ბლოკნოტი დარჩენოდა", უსათაურო „ყველა რაღაცას მალავს" და სხვა. ამ ლექსებში პოეტური განცდა-გაცნობიერების ობიექტებია ნაირგვარი ენობრივ-მეტყველებითი მოდელები, რომლებითაც გამოიხატება რეალური სამყაროს ენობრივი სურათხატები. ამ ასპექტით განსაკუთრებული მრავალმხრივი და სრული სურათია დახატული ლექსში „ლექსპრომტი „ში" თანდებულის თემაზე".

მიცემითი ბრუნვის სახელის ფუძესთან შერწყმულად ფუნქციონირებადი თანდებული „ში" სახელის ფუძეზე დართვით, როგორც ცნობილია, ამ სახელის რაიმე სივრცეში ან გარემოში არსებობაზე მიუთითებს და მის სემანტიკას საგნის ადგილმდებარეობასთან მიერთებით აზუსტებს. ეს დანიშნულება და ფუნქცია „ში" თანდებულისა პოეტის ცნობიერებაში სამყაროში საგანთა, მოვლენათა, ხვდომილებათა ამ სამყაროს მთლიანურობის განმაპირობებელი უნივერსალური კანონისა და კანონზომიერების გამოვლენაა, მთლიანურობის კონსტრუირების ელემენტია – „ში" რაღაცის რაღაცაში და ყველაფრის ყველაფერში შეღწევა-დამკვირვებისა და მყოფობის აღმნიშვნელი ნაწილია მეტყველებისა. ტ. ჭანტურიას სათქმელი ამ ლექსში, ალბათ, სწორედ ეს არის. ამ ციკლის ყველა ლექსს თავისი კონკრეტული თემა აქვს და ქართული ლექსიკა-გრამატიკის თავისებურებათა პოეტური განცდითა და თხრობით ტ. ჭანტურიამ ქართულ პოეზიაში ორიგინალური

მიამრთულება გაკვალა. მისი ენათმეცნიერული ექსპერიმენტები, ცხადია, აღნიშნულით არ ამოიწურება. ბუნებრივი ენის მეტყველებაში, განსაკუთრებით პოეტურ მეტყველებაში ფუნქციონირების ლინგვისტურად სტრუქტურირებული მოდელების არსზე დაკვირვება და პოეტურად ფორმულირებები სხვა მიდგომებითაც არის გამუდავნებული.

ტ. ჭანტურიას მხატვრული ენის კიდევ ერთ თავისებურებად აღიარებულია „ჩვენი პოეზიისათვის რამდენადმე უცნობი და, ერთი შეხედვით, ერთობ საჩოთირო ე. წ. თავისუფალ გამოთქმათა მაღალ ემოციურ ასპექტში მოქცევა და პოეზიის რეგისტრში აყვანა" [ევგენიძე 2001: 350]. აქ ნაგულისხმევია სოციოლექტური – არგოტული, ჟარგონული და ზოგადად სკაბრეზული ლექსიკა. მაგალითებიდან კი ისეთი სიტყვები სახელდება, როგორიცაა: როსკიპი, კახპა, ცვედანი, ყვერული, მრუში, სტრიპტიზი, კლიმაქსი, კურო, ძუკნა, არიფი, ბუზჰალტერი, შიბაქი, ოდრაში, დებილი და სხვა [ევგენიძე 2001: 350]. ამ ლექსიკურ ერთეულებზე თვალის ერთი გადავლებითაც ცხადი ხდება, რომ ორი-სამი სიტყვის გარდა **(„არიფი", „კურო", „ძუკნა")** „საჩოთირო" არც ერთი არ არის, რადგან უფრო ევფრემიზმებია, ვიდრე არგოტიზმები, ჟარგონიზმები ან სკაბრეზები, რადგან მათ არ გაუვლიათ მეტაფორიზმების, ანუ მეორეული ნომინაციის პროცესი. ის გარემოება, რომ ამგვარმა ლექსიკამ თავის დროზე „ზოგიერთი მკითხველის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია" და რომ ეს რეაქცია სალიტერატურო კრიტიკისა და თვით პოეტის მიერაც „ჯეროვნად არის შეფასებული", არაკოდიფიცირებული ლექსიკისადმი ქართველი საზოგადოების მენტალურ დამოკიდებულებას ააშკარავებს.

კარგად არის ცნობილი, რომ XX ს. 30-40-იან წლებში ეროვნული ენის ტერიტორიულ და სოციალურ დიალექტებს – არგოს, ჟარგონს, სლენგს, პროფესიულ ლექსიკას მკაცრად გადაეკეტა კოდიფიცირებული ანუ სალიტერატურო ენის სამყაროს კარი, სოციალური ლექსიკის ხსენებაც კი აიკრძალა. ზოგიერთი ლინგვისტი ამ მოვლენას კომუნისტურ ენობრივ დიქტატში უძებნის ახსნას, თითქოს ენის სიწმინდის დაცვის ლოზუნგით ცდილობდნენ ლექსიკის სტანდარტიზებას, ხოლო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სტანდარტიზებით აზროვნების და ვერბალური კომუნიკაციების სტანდარტიზებას. შესაძლოა, ამ თვალსაზრისს მართლაც ჰქონდეს გარკვეული საფუძველი, მაგრამ მსგავსი ვითარება არის დაფიქსირებული ევროპაშიც, მაგალითად, გერმანიაში (აქ შესაძლოა ფაშიზმისა და ბოლშევიზმის იდეოლოგიის ანაღებში მსგავსების არსებობაც ვიგულისხმოთ).

XX ს. 60-70-იან წლებამდე სოციოლექტების ხსენებაც კი არ არის საცნობარი დანიშნულების საენათმეცნიერო ლიტერატურაში, მათი ლინგვისტიკური ლეგალიზება 80-90-იანი წლებიდან იწყება [ლომთაძე 2005: 24]. ამის მიუხედავად, როგორც გამოირკვა [ჩხეიძე 2009: 35], ქართული მწერლობისათვის არაკოდიფიცირებული ლექსიკა მხატვრული პოტენციის თვალსაზრისით ყოველთვის იყო ინტერესის საგანი. ამ თვალსაზრისით ერთერთი ადრეული კვალი (1928 წ.) მ. ჯავახიშვილის დღიურში დააფიქსირა რ. ჩხეიძემ [ჩხეიძე 2009: 24-31]. მანვე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ 1959-1960 წლებში ო. ჩხეიძეს მიხეილ ჯავახიშვილის კვალდაკვალ ჟარგონიზმების მწერლობისათვის დიდი მნიშვნელობის გაცნობიერებით არაკოდიფიცირებული ლექსიკის ორი სიტყვარი შეუდგენინებია. ერთს „სვოების ლექსიკონი" ჰქვია, მეორეს – „ქურდების არგო", რომლებიც შესაბამისად 56 და 150-მდე არგოტიზმსა და ჟარგონიზმს შეიცავს. ამ ლექსიკის დიდი ნაწილი ო. ჩხეიძემ შეიტანა რომანებში „აღმართ-დაღმართი" და „ბორიაყი". არაკოდიფიცირებული

ლექსიკა ამავე პერიოდში ენერგიულად გამოჩნდა ნათარგმნ ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩა ვ. ჭელიძე ჯერომ სელინჯერის „ტამაში ჭვავის ყანაში"-ს ქართულ თარგმანში (1963 წ.). სოციალური დიალექტის ერთი სახეობის ლექსიკით – ქალაქური მეტყველებით თავის დროზე დიდად ყოფილა დაინტერესებული ი. გრიშაშვილი. მის მიერ დიდი ხნის განმავლობაში ნაძიები ლექსიკა (4450-მდე სიტყვა) 1997 წელს ცალკე წიგნად რ. კუსრაშვილმა გამოაქვეყნა [გრიშაშვილი 1997:].

ტ. ჭანტურიას ინტერესი არაკოდიფიცირებული ენობრივი ქვესისტემების ლექსიკისადმი და მხატვრულ ტექსტებში გამოყენება სამწერლო ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური დოგმატიკისაგან გათავისუფლების იმჟამად ძნელადწარმოსადგენი ტენდენციის გამოხატულება იყო. ძნელადწარმოსადგენად მოკლე დრო გავიდა და ეს ტენდენცია ლამის ნორმა გახდა თვით ქართულ მწერლობაში. სოციოლექტური ლექსიკა და სკაბრეზი ისე თამამად მოკალათდა სტანდარტული (ანუ სალიტერატურო) ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გვერდით, რომ მკითხველი საზოგადოების გაოგნებული დაბნეულობა გამოიწვია. არაკოდიფიცირებული ლექსიკით და მეტყველების სტილებით გონივრული სარგებლობის მაგალითები წარმოადგინა აკა მორჩილაძემ ტრილოგიაში „მადათოვი" და რომანში „ ეიდ ინ თიფლის" და გარკვეულ კალაპოტში მოაქცია სოციოლექტური ლექსიკისა და სკაბრეზიზმებისაკენ ზღვარგადასული ექსპერიმენტებით მანიპულაციების „თრობისა" და „საკუთარი თავით ტკბობით" გართული ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი. მართალია, ამ ფონზე ტ. ჭანტურიას ლექსიკური ნოვაციები ერთობ მოკრძალებულია, მაგრამ თავის დროზე მ. ჯავახიშვილის – ო. ჩხეიძის ენობრივი ცნობიერებით დამკვიდრებული ტენდენციის გაგრძელებაა და თვით-გამოხატვის უპირველესი მარკერიც. და ეს თუნდაც იმიტომ, რომ მისი, როგორც ხელოვანის, ყველაზე დიდ ღირსებად ის არის მიჩნეული, რომ „იგი სიტყვის ხელოვანია საუკეთესო გაგებით" (ი. ევგენიძე). მისი თქმა „ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოებული, სპეციფიკური გურული გარემოსათვის დამახასიათებელი მეტყველებაა". მან „გურული „უკუღმართი" მეტყველების სული გვაგრძნობინა".

ტ. ჭანტურიას მხატვრულ ენაზე ისიც არის ნათქვამი, რომ მან ზემოაღნიშნულით „საერთო-ეროვნული და ლიტერატურული ინტერესების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვნად გააცოცხლა ინტერესი საქართველოს ამ კუთხისა და მისი მეტყველებითი რესურსებისადმი [ევგენიძე 2001: 347]. ეს დაკვირვებები თავისთავად ტ. ჭანტურიას ენობრივი ცნობიერების ეროვნული ენობრივი სამყაროს სურათ-ხატით განსაზღვრულობასაც ცხადყოფს.

სამყაროს ენობრივი, მხატვრული სურათ-ხატი, როგორც ცნობილია, რთული ფენომენია და მრავალი ფაქტორით არის განსაზღვრული – ობიექტური (მეცნიერული წარმოდგენები, ისტორიულ-კულტურული სიტუაცია, ეროვნული ტრადიციები) და სუბიექტური ფაქტორები (ინდივიდუალური გამოცდილება, შემოქმედი პიროვნების თავისებურებები). ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ნებისმიერი ლიტერატურული მიმდინარეობა ქმნის და გადასცემს თაობიდან თაობას სამყაროს გარკვეულ მხატვრულ სურათ-ხატს, რომელიც აისახება მოცემული ეპოქის ენაში.

მ. ჰაიდეგერის მიხედვით, სამყაროს ენობრივი ხატი მნიშვნელოვანწილად გაცნობიერებული წარმოდგენაა, რომელიც დაფიქსირებულია კულტურის და იდეოლოგიის ნაწარმოებებში, სადაც სუბიექტი (ადამიანი) დაპირისპირებულია ობიექტისადმი (სამყაროსადმი). ამასთან ეს დაპირისპირება უფრო საკუთარი მენტალობის დაფიქსირებაა, რადგან დაპირისპირების

არსებობა აქ საკუთარი არსებობის გაცნობიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. დაპირისპირება, საზოგადოდ, რაღაცასთან მიმართებაში საკუთარი აზრის და პოზიციის დაფიქსირებას ნიშნავს.

აღნიშნული დაპირისპირება განსაკუთრებით მწვავედ შეიგრძნობა გარდამავალი ეპოქის კულტურულ პარადიგმაში, უჩვეულოდ შიშვლდება სამყაროს კონფლიქტურობა და დრამატიზმი. ამის გამო მწერლის ენობრივი სამყარო, განსაკუთრებით მხატვრული ცნობიერება, როგორც კულტურის გამოხატულება, ეგოცენტრული ხდება და ტექსტში მხატვრული რეპრეზენტაციები ტკივილიანი განცდების ფორმას ირგებს. მწერალი ღრმად იჭრება ენის ფუნქციონირების სიღრმეებში, სწვდება კულტურისა თუ რელიგიის ვიზიონურსა და აზრობრივ სტრუქტურებსა და სურათ-ხატებს.

ტ. ჭანტურიას მხატვრულ ტექსტებში ამგვარი სახე-ხატების არსებით ნიშნებს წარმოადგენს ენობრივი ცნობიერების ანტითეზურობა, რაც გამოიხატება ბინარულ ოპოზიციებში, ასევე ეპოქის ესქატოლოგიური პულსირების შეგრძნებაში. აღნიშნული ტენდენციის გამოვლენა უნდა დავინახოთ ტ. ჭანტურიას დაინტერესებაში „ჭკვიანური რითმებით", რომლის ლექსიკა პერიოდულად, 2012 წლის მე-60-66-ე ნომრებიდან მოყოლებული იბეჭდება „ლიტერატურულ გაზეთში" სახელწოდებით „ჭკვიანი რითმების ლექსიკონიდან".

რითმის მნიშვნელობას პოეზიაში პოეტებს შორის არა ერთი ცხარე კამათის ფაქტებიც ცხადყოფს (ამის მაგალითად გალაკტიონის, იოსებ გრიშაშვილის სახელების გახსენებაც იკმარებს). აქედან გამომდინარე, „ჭკვიანი რითმების" ჩანაწერები, შესაძლოა, ვინმემ ტ. ჭანტურიას მიერ მიგნებული რითმების საჯაროდ საავტორო უფლების „დაფიქსირებად" აღიქვას და ამგვარი თვალსაზრისი მხოლოდ საქმის გაუბრალოება იქნება. ამას უპირველესად ტ. ჭანტურითმებზე დართული კომენტარების აზრობრივ-ემოციური ელფერი და მხატვრული მუხტი ცხადყოფს. უმეტეს შემთხვევაში ასეთი კომენტარები იმდენად ღრმაა, რომ ლექსის დაბადებას ცოტაღა უკლია. ესაა სამყაროს ესქატოლოგიური პულსირების ბინარულ ოპოზიციათა ენობრივი გამოხატვა. ამასთან აშკარავდება პოეტური ქმნადობის სიღრმისეული დონეები: გარითმვა, ვრცელი შინაარსის უკიდურესი შეკუმშვა, გასარითმ სიტყვებში შთაბეჭდვა, რადგან გასარითმი სიტყვები ერთმანეთს მხოლოდ ბგერობრივად კი არ ეწყვილებიან, არამედ ენობრივი ველის (ფრეიმის) ერთიანობითაც. ტექსტის ლინგვისტიკის პოზიციიდან გარითმვა, შესაძლოა, ფრეიმული ჩარჩოს შიდა შინაარსის სხვა ფრეიმის შიდა სივრცის გაშინაარსიანების პირობადაც წარმოდგეს. მაგალითად, „ჭკვიანი რითმების ლექსიკონში" ვრცელი კომენტარით შეტანილია შეწყვილებული სიტყვებით „სვასტიკა – სვოსტიკა". პოეტის კომენტარი მეტნაკლებად წიგნიერი მკითხველისათვის არის ცნობილი, რომ შეუძლებელია მას პირველმიმკვლევის პრეტენზია ჰქონდეს: ფაშიზმის აღმოსავლეთში თავჩენის შესაძლებლობაც, სვასტიკის, როგორც სომბოლოს, აღმოსავლური წარმომავლობაც კარგად არის ცნობილი, ცნობილია გურჯიევის როლიც. მაშ რაში დასჭირდა პოეტს ვრცელი კომენტარი? თუ მხოლოდ ფონეტიკური მსგავსება, ან სემანტიკური ეფექტის დემონსტრირება სურდა, შეეძლო გარითმული სიტყვები უკომენტაროდ წარმოედგინა, როგორც ეს გააკეთა „უნარიუმი – ირანი. ომი"-ს შეწყვილებაში. ცხადია, პოეტის ხედვა სამყაროს პულსირების გაცილებით დიდ სიღრმეებს წვდება. ესაა აღმოსავლეთ-დასავლეთის „არაბული გაზაფხულის" სახელწოდების დაპირისპირებაც, აღმოსავლეთის ქვეყნების – ჩრდილოეთ კორეის, ირანის ბირთვული ამბიციების, ფაქტობრივ, ფაშისტური

გამიზნულობის კონვულსიების პოეტური ხედვა. ამასვე ცხადყოფს ცალკეული „ჭკვიანი რითმების" თემატურ-ბუდობრივი სიახლოვე ან ერთიანობაც. ასეთ სემანტიკურ ერთიანობას (ერთი სემანტიკური ველისადმი კუთვნილებას) ავლენს შემდეგი „ჭკვიანი რითმები": „სტალინი – ადრენალინი", „სხეფერი – ზღაპარი", „გადასახადი – გადასახედი", „ფსალმუნი – სალბუნი", „ურანიუმი – ირანიუმი", „სვასტიკა – სვოსტიკა", „ევერეტი – ევერესტი", რადგან ისინი ერთი დიდი პოეტური ხილვის ენობრივი მარკერებია. მათ შორის ერთი შინაარსის ასოციაციურ-აისბერგული თავჩენის ფაქტი დიდად სადავო არ უნდა იყოს. ამ თავჩენათა სემანტიკური მთლიანურობა პოეტის ხილვით-აზროვნებითი პროცესების სიღრმისეულ დონეებს ავლენს, ცხადყოფს როგორ იქცევა შთაბეჭდილებები ასოციაციებად, როგორ ებმის ერთმანეთს მეხსიერებაში აღბეჭდილ ცოდნის ფრეიმს და ენობრივი ცნობიერების წყალობით (რასაც გაუბრალოებულად ნიჭს უწოდებენ) როგორ გამოიკვირტება ერთ შინაარსად, ხოლო შემდეგ როგორ ხდება სამყაროში ფრეიმებად განფენილი შინაარსები (შინაარსებრივი მოცულობები) ერთი მიზნობრივი აზრის შემცველ შინაარსად.

გაოცებას იწვევს ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, შეგრძნება, ენობრივი ველის სტრუქტურირების, ფუნქციონირების პრინციპების წვდომა. ამ ყველაფერს პოეტის შინაგანი ხედვა ამჩნევს, აფიქსირებს და ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებულ ნომინაციებში სემანტიკურ მსგავსებას კითხულობს. და ეს მაშინ, როდესაც საქმეში ჩაუხედავმა პრაგმატიკოსმა ბგერათა ანალოგია დაინახოს. მაგალითად, „ჭკვიანი რითმების" ლექსიკონის რითმაში მოსული სიტყვებია „შოპენი და შონ პენი". აქ ბგერით მსგავსებას სემანტიკურიც ემატება, ორივე სახელი ერთსა და იმავე ენობრივ ველს განეკუთვნება; მ. მინსკის ფრეიმების თეორიის მიხედვით ერთი ფრეიმის ორი ელემენტია, რადგან ტ. ჭანტურიას მოწმობითვე, თურმე შონ პენი შესანიშნავი მსახიობია, შოპენი კი დიდი მუსიკოსი რომ არის, საყოველთაოდ არის ცნობილი.

ანალოგიურად არის გარითმული სახელები „მალერი – მილერი" – დიდი კომოზიტორი გუსტავ მალერი და მწერალი და დრამატურგი არტურ მილერი, ასევეა, „ევერტი – ევერესტი": პეტერ ევერტი შხარაზე დაღუპული კანადელი მთამსვლელი, ევერესტი – უმაღლესი მწვერვალი, სემანტიკური სიახლოვე აქ „გონიერი მკითხველისათვის" ცხადია; ამავე რიგისაა „მოჰამედი – ჯოჯოხეთი". არაკოდიფიცირებული ლექსიკისათვის კარის გაღების გამოხატულებაა „ბოზები – პოზები" და არანაკლებ სკაბრეზული სემანტიკის შემცველი კომენტარი: „რა ბოზებზეა საუბარი, ვერ გეტყვით – მრცხვენია!"

ლინგვისტიკაში კარგად არის ცნობილი, რომ ენობრივი სურათ-ხატის აღწერის ძირითადი ინსტრუმენტია **კონცეპტი** – მენტალური წარმონაქმნი, რომელიც ერთი მხრივ, დაკავშირებულია აზრის სამყაროსთან, ცნობიერებაში მიმდინარე მენტალურ პროცესებთან, მეორე მხრივ, – ენის სფეროსთან და ტექსტურ ელემენტს მიემართება. კონცეპტები ემოციურ, შეფასებით და ექსპრესიულ ნაწილებს შეიცავს.

კონცეპტის მენტალურ (აზრობრივი) მდგენელი ზოგჯერ უსხლტება ლინგვისტიკურ მეთოდებს და გამოსავალი იძებნება ლიტერატურისმცოდნეობაში თავისი ინტერპრეტაციული მეთოდიკებით და შესაძლებელი კონცეპტის ლინგვომენტალური, ლინგვოკულტურული ბუნების გამოვლენა. კონცეპტების სისტემურ მთლიანობას კონცეფტოსფერო ეწოდება. კონცეპტოსფერო კი, როგორც ცნობილია, მწერლის ქმნილებათა მხატვრული სამყაროა მის საბაზისო პარამეტრებში.

ტ. ჭანტურია საკუთარი ენობრივ სამყაროსა და კონცეპტოსფეროში ჩაღრმავებული პოეტია. იგი ერთი მხრივ, საკუთარი პოეტური ხილვის კონცეპტებში გარკვევას ცდილობს, მეორე მხრივ საკუთარ თავს საკუთარ კონცეპტოსფეროში ეძებს, თითქოს საკუთარ არსებობასთან დაშორებას და ფიქრსა და პოეტურ ძიებაში გართული საკუთარი არსების დანახვა-წაკითხვას ცდილობს. უთუოდ ამის ცდები ჩანს ესსეებში „საკუთარი ხმა", „ისევ საკუთარი ხმა" [ჭანტურია 2010: 8, 9]. მისი ენობრივი ცნობიერება მოვლენათა არსს აქაც ბინარული ოპოზიციური სპექტრების ფორმით ითავისებს. ერთია ასახვის ობიექტი და მეორეა მისი დანახვა. ობიექტი ერთია, მისი აღქმა კი ორია. საინტერესო კი ისა არის, რომ ორივენაირი აღქმა ერთი ხელოვანის კუთვნილებაა. ეს არ ნიშნავს ხელოვანის პიროვნების გაორებას, დაშლას, ეგზისტენციალურ გაოგნებას. ესაა დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის უძირითადესი პრინციპის – ბინალურობის აღმოჩენა – სიცოცხლის პირობა ორობითობაშია. მთელი სამყარო სწორედ ასე – ორად გაყოფილი გვეძლევა, როგორც შედეგი „კოსმიური პაუზისა", რომელმაც სამყაროული შესაქმის შუალედური შედეგები დააფიქსირა.

„... მთელი ქვეყანა დაიშალა, დაიყო:
ეს ერთი რომ ძმა იყო, ის მეორე – და იყო...
ეს ერთი რომ – კლდე იყო, ის, მეორე – ზღვა იყო!
ეს ერთი რომ – ეს იყო, სხვა სუყველა – სხვა იყო".
„(კოსმიური პაუზა)"

მთავარი კი ის არის, რომ შესაქმის დასასრული არ არის სამყაროს დასასრული, რადგან შესაქმის დასრულებისთანავე ყველაფერი თავიდან იწყება თავისი მისტერიალური ძალმოსილებით, დაიწყება „სიცოცხლეც და სიკვდილიც... თავიდან!" ორეობითობა ყოფიერების უნივერსალიაა. ამიტომაც განიცდის პოეტი ასრერიგად მისი ვერბალიზების ერთადერთობას, ლერძოდ იმას, რომ: „პოეტი ერთი ენის კუთვნილებაა" [ჭანტურია 2010: 239].

ამ ორობითობის (ერთში მარად ორის არსებობის) გამოვლენაა ინტრიგა. მწერლობაც ინტრიგაა, რადგან რეალობის გაორებაა, რეალურის სანაცვლოს შექმნა მისი უარყოფის გარეშე. ამიტომაც არის ინტრიგა მუდამ მწერალთან და მწერალში; ამიტომ არის მწერლობის არსი შთაბეჭდილი და ჩაბეჭდილი „ინტრიგის თქმაში"; ამიტომაც არის „დედამიწაზე ინტრიგა გაცილებით მეტი, ვიდრე დედამიწაზე არსებული ყველა ენის ყველა სიტყვა ერთად აღებული [ჭანტურია 2010: 146].

სიტყვის სემანტიკაში ინტრიგას პოტენციური დონეების ექსპლიცირების საინტერესო ნიმუშებია თავმოყრილი ტ. ჭანტურიას ლექსიკონში, რომელიც ავტორისავე მითითებით, „შთაგონებულია ამბრიოზ ბირსის „სატანის ლექსიკონით" [ჭანტურია 2010: 152-155]. ამ ლექსიკონში 51 ფრაზეოლოგიზმია და ერთი შეხედვით მყარი მონოსემანტიკურობის მოულედნოლებით განსაცვიფრებელი ალტერნატივებია მიგნებული... ეს კი, ბუნებრივია, იმას ნიშნავს, რომ სიტყვის საყოველთაოდ მიღებული და აქტუალიზებული სემანტიკა ადგილს უთმობდა ამ სიტყვაში შთაბეჭდილი პოტენციური ალტერნატიული სემანტიკის ექსპლიკაციას. მაგალითად, „ფირალი" ტრადიციულად ტყეში გავარდნილი, კანონს შემდურებული კაცის შინაარსს გამოხატავს. ინტრიგა კი იმაშია ჩაქსოვილი, რომ ამ სიტყვაში სხვა შინაარსის ამოკითხვაც არის შესაძლებელი. ესაა „გარეული გური". საფუძველი ამ წაკითხვისა ის არის, რომ „ფირალი" გურული დიალექტის სიტყვაა და ტყეში ყაჩაღად გავარდნილ კაცს ნიშნავს. ტყეში გავარდნილი – ტყის ბინადარი გარეულია, რადგან ქართულ ენობრივ ცნობიერებაში ტყე

ადამიანის საარსებო სივრცის გარეთაა (გარე სივრცეა). ამის გამო ტყის ყველა ბინადარი ენობრივი ცნობიერება ცხოველებს, ფრინველებს, ადამიანის არსებობისათვის მეტყველების მქონე სულიერი არსებობს. ტყის ბინადრები გარეული ცხოველებია – ნადირია, გარეული ფრინველებია. ტყეში გასული გურული – ფირალი გურული ანალოგიის ლოგიკური კანონის ძალით „გარეული გურულია“. ეს მაგალითი იმასაც ცხადყოფს, რომ ტ. ჭანტურიას ტერმინი „ინტრიგა“ მოცემული შემთხვევისათვის სიტყვის ფარული (იმპლიციტური) სემანტიკის არსებობის გამოხატულებაა, ხოლო მისი „ლექსიკოგრაფიული“ ძიებები და მიგნებები იმპლიციტური სემანტიკური ვარიანტების დანახვის უნარის, ენობრივი ცნობიერების სიღრმეების, ენობრივი ხედვის ნახვეწობის, რაფინირებულობის და ლაკონიურობის დემონსტრირებაა. ამას ადასტურებს ამ ლექსიკონში თავმოყრილი ყოველი ნიმუში. დასტურად კიდევ ერთი მაგალითი ვიკმაროთ:

„თვითმკვლელი – ტიპი, რომელიც სხვის საქმეში ერევა“ (გვ. 153).

თქმის ინტრიგა, როგორც ვხედავთ, ობიექტურად, ლოგიკურად შესაძლო სემანტიკური ვარიაციის აქტუალიზებას ემყარება. ადამიანის გარდაცვალება ენობრივ ცნობიერებაში სიკვდილის მოვლენის პერსონიფიცირებულ სახე-ხატს უკავშირებდა. ასეა ისტორიამდელი ეპოქებიდან მოყოლებული დღემდე. იგი შავლაბადიანი (ან გლოვის სხვა ფერის სამოსიანი) ადამიანის ფორმის (ადამიანის ჩონჩხის) ცელიანი არსებაა. იგი განუსაზღვრავს ადამიანს ამყვეყნიური არსებობის დროჟამს. იგი აბსოლუტურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია თავის გადაწყვეტილებებში და ამ თვალსაზრისით მოუსყიდველობის სამყაროული მეტაფორაც არის. ამის გათვალისწინებით თვითმკვლელი მართლაც ჩამოჰგავს ადამიანს, რომელიც სხვის გასაკეთებელს აკეთებს ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაურის მსგავსად, სიცოცხლის ხელყოფის მისტერიაში ერევა ნებადაურთველად.

პოეტური აზროვნების თვალსაზრისით ლექსიკონის „ლექსიკური ერთეულების ტ. ჭანტურიას სახეობრივი აზროვნების ორიგინალურობას ადასტურებენ, ლინგვისტიკურ აქპექტში კი ცხადყოფენ, რომ ყოველი მათგანი ენობრივად და სტრუქტურულად გაშლილი მეტაფორებია, რადგან ამგვარი ფრაზეოლოგიის ყოველი წევრი სიტყვა მეორეული ნომინაციის – მეტაფორიზების საფუძვლის – „მზაობას”, განსაზღვრულობას ექვემდებარება.

ენობრივ – სამეტყველო ძიებების ორიგინალური ფორმებია ე. წ. „ლექსპერიმენტები”, „ლექსპრომტები” და „ლეკსკლუზივები”, საიდანაც აშკარად ისმის გლობალიზაციური დროჟამის სუნთქვა და მხატვრული ტექსტის სივრცული პარამეტრებისადმი წაყენებული მთავარი მოთხოვნა-შეკუმშულობა, ლაკონურობა ვრცელი ინფორმაციის რაც შეიძლება მოკლე დროსა და ხელმისაწვდომად მიღება, ამასთან ინფორმაციის ადრესატზე მიზნობრივი მიბმულობა (ექსკლუზიურობა). ტ. ჭანტურიას პოეტური მიგნებები ცხადყოფს, როგორ შეიძლება ეპოქის სულისკვეთების „რეალიზება” პოეზიის სფეროში და „გრძელის სიტყვის მოკლედ თქმის” ეპოქალური აზრობრივ-ფორმობრივი სტრუქტურირება-მოდელირება. იგი კარგად გრძნობს, რომ XXI საუკუნის მკითხველი აჩქარებული დროჟამული დინების რიტმზეა მომართული და ეპიკურად დინჯი თხრობის დიდი ტექსტების კითხვისათვის, ადამიანის სულის მდგომარეობის ლირიკული გადმოცემისათვის მას დრო აღარ ყოფნის, არა სცალია, რადგან ეს დრო ყველაფერში აჩქარებას აიძულებს. თანამედროვე ადამიანი პირდაპირი გაგებითაც დროის შვილია. მისი შემეცნების, აზროვნების ტემპიც დროის დინების შესაყქვისია, ინტელექტიც ვრცელი და რთული ინფორმაციის უსწრაფესად, „ნახევარტონებში” გათავისებაზეა

მომართული. ტ. ჭანტურიას „ლექსპერიმენტები", **„ლექსპრომტები"**, „ლექსკუზივები" პოეზიაში ამ პროცესების მხატვრული, პოეტური რეალიზების თავჩენებია და ამ თვალსაზრისით ქართულ პოეზიაში საინტერესო ნოვაციების სათავის დამდები და სრულიად ახალი მიმართულების გზის გამკვალავი პოეტური დისკურსებია. სამივე კომპოზიტი ტ. ჭანტურიას შექმნილია, ტერმინოლოგიური ფუნქცია აქვს დაკისრებული და რაკი ამ კომპოზიტებში პირველი ელემენტი – ფუძე ლექსია, აშკარა ხდება წიგნიერების სამყაროში კარგად ცნობილი სამი ტერმინის (ექსპერიმენტი, ექსპრომტი, ექსკლუზივი) პოეზიის სამყაროსთან დაკავშირება, რომლის ენობრივად სტრუქტურირებული ფორმა ლექსია.

- **„ლექსპერიმენტი"**: ექსპერიმენტულობისადმი მიდრეკილ ლექსზე მინიშნებაა. ექსპერიმენტების არსი კი პოეტის შემეცნებაში შთაბეჭდილებების ასოციაციური მონაცვლეობის ექსპლიკაციაა, რომლის კალეიდოსკოპირებით ასოციაცია აზრის გაელვებათა ფიქსირებას ექვემდებარება. თუმცა აზრის გაელვებათა რეფლექსირება გაელვების სტადიაზე არც ისე ადვილი ჩანს. ამას ცხადყოფს ტ. ჭანტურიას ლექსი „მასტერკლასი (წიგნებიდან ლექსპერიმენტი)". აქ ასოციაციები თემაზე „დიდება ლიანა ისაკაძეს" ვიოლინოდან – ლიანა ისაკაძის პროფესიული ინსტრუმენტიდან – იღებს სათავეს. „ვიოლინოს" ასოციაცია უკავშირდება საკუთარ სახელს „ლიანა"... იბადება კომპოზიტი **„ვიოლიანა"** პირველი ფუძის ბოლო მარცვლები და მეორე ფუძის პირველი მარცვლები ასიმილირდება იგივობრივი ძალით. ვიოლინოსთან კავშირში მეხსიერების სიღმისეულ დონეებზე აქტუალიზდება ისააკ სტერნის ხსოვნა, გაელვებულ აზრში ფიქსირდება სახელ-გვარის ორწევრა ენობრივი მოდელი და მეტყველების ფიქსირებული ფორმის გამეორების სტილური კანონზომიერების (გრ. კიკნაძე) ძალით აქტუალიზდება ლიანას პიროვნულობის ფონურ ცოდნაში შთაბეჭდილი გვარი – ისაკაძე. მეხსიერება ენობრივ თეზაურუსში მტკივნეულად პულსირებს და აზრის კარკასში (ჩარჩოში) შთაბეჭდავს კალეიდოსკოპურულ ცნებებს „ვიოლინო" „ლიანა" „ისაკაძე", – კომპოზიტურ დაუნაწევრებელ აზრს და იმავწამიერი დესკრიპტირებით (დანაწევრებით) კვლავ აცალკევებს ჯერ „ვიოლინოს" და გვარს „ისაკაძეს" – კომპოზიტში გვარისა და სახელის ცალ-ცალკე არსებობის გაცნობიერებით, შემდეგ განაცალკევებს „ვიოლინოსთან" სტრუქტურულად სინკრეტიზებულ „ლიანას", „ვიოლინოს" გამოთავისუფლებული პირველი მარცვალი ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე მეხსიერებაში ააქტუალიზებს ახალ სიტყვას – „ვივა" და გამოიკვეთება აზრი – სათქმელი – „ვივა ლიანა ისაკაძე". ეს ლექსი ამ აზრის (თქმის) ენობრივი ექსპლიციტურობის დემონსტრირებაა და ტ. ჭანტურიას პოეტური აზროვნების მანერის ვერბალიზებაა. ამავე დანიშნულებისაა ტ. ჭანტურიას სხვა „ლექსპერიმენტები".

- **„ლექსპრომტი"**: „ექსპრომტი", ერთი მხრივ, მოუმზადებლად წარმოთქმულ სიტყვას აღნიშნავს, მეორე მხრივ, რაიმე შემთხვევის გამო მოუმზადებლად, უეცრად დაწერილ უპირატესად სახუმარო შინაარსის ლექსს. ცხადია, ეს კარგად არის ცნობილი ტ. ჭანტურიასათვისაც. იგი, ერთი შეხედვით, ტავტოლოგიური კომპოზიტის შექმნას არ ერიდება, არადა შეეძლო ლექსების ამ წყებისათვის „ექსპრომტი" დაერქმია. მაგრამ ამას არ იქმს, რადგან „ლექსპრომტში" მეტ შინაარსს შთაბეჭდავს, ვიდრე ექსპრომტი იტევს. ლექსპრომტი ექსპრომტების გრადუალური გაერთიანებაა. „ლექსპრომტი" პოეტური რეფლექსიის მეტ სისხარტეს საჭიროებს, დროში აჩქარებული ექსპრომტია. ექსპრომტი კერძოობითის, ერთეულებრივის ფიქსირებაა,

ლექსპრომტი ექსპრომტების წყებაა, თანაც საზოგადოებრივად აქტუალურობისა. იგი ინტელექტის ტკივილიან დაძაბვას საჭიროებს, პუბლიცისტურის მხატვრულში გადაყვანას ემყარება. ლექსპრომტი ყოფიერების დიდი პარადოქსების აღმოჩენის ოპტიმალური ფორმაა.

ტ. ჭანტურია ლექსპრომტების პოეტია. მისი მხატვრული, სახოებრივი აზროვნების ტემპერამენტი უზუსტესად შეესატყვისება ლექსპრომტის რიტმიკას და ექსპრესიულ მოდელებს. ტ. ჭანტურიას მხოლოდ ერთ, ზემომითითებულლ პოეტურ კრებულში 60-მდე ლექსპრომტია. ცხადია, ესაა პოეტური რეაქცია მიმდინარეზე, ცნობიერებისა და ქვეცნობიერის რეაგირება საარსებო სივრცის კონვულსიებზე.

• **„ლექსკლუზივი":** ტ. ჭანტურიას მიერ შექმნილი ეს კომპოზიტი ემყარება პირველ და მეორე ფუძისათვის საერთო მარცვალს „ექს" (ლ+ექს+ი), (ექს+კლუზივი). ანუ მარცვალი „ექს" როგორც სემანტიკური დუბლიკატი გადაფარავს ორივე ფუძის მარცვლის ცალკე აღებულ შინაარსებს და ადრესატირებული ლექსის ტიპოლოგიურ თავისთავადობას განუსაზღვრავს. მიძღვნითი ლექსი ტ. ჭანტურიას პოეზიაში საკმაოდ ჭარბად გვხვდება, „ლექსკლუზივის" ტიპისა კი იშვიათია. ეს გარემოება, ცხადია, ადრესატთადმი პოეტის დამოკიდებულების სხვადასხვაობით არ არის განპირობებული. ამ შემთხვევაში ხაზი ესმევა ექსკლუზივობის პოეტურობას, მისი არსის, პოეზიის ენით გამოხატვას, ამასთან ექსკლუზივის საგნის განსაკუთრებული მნიშვნელობის აქცენტირებას. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ლექსი „ნაწყვეტი ლექსკუზიური ინტერვიუდან", სადაც გაცხადებულია პოეტის ამქვეყნიური არსებობის საიდუმლოს არსებობა. სიცოცხლე ლამაზია და პოეტის ხედვა ამ სილამაზის ძნელად შესამჩნევ მშვენებებსაც აფიქსირებს (სილამაზე „ნაადრევი მარწყვის სისოვლისა", „შემოდგომის მარჯანი და ქარვა"), მაგრამ ადამიანის ამქვეყნიური არსებობისათვის მხოლოდ სიცოცხლის თავისთავადი (მის საგნებსა და მოვლენებში გაბნეული) სილამაზე არა კმარა. საამისოდ კიდევ რაღაც (თანაც ლოგიკურად უფრო მნიშვნელოვანი) არის საჭირო, სათქმელის დიდი მეტაფორაა მისი პოეტური ფორმა, რომელიც იმის საფუძველს ქმნის, რომ პასუხი იგუმანო. აქ ტ. ჭანტურია მეტაფორაში შთაბეჭდავს ინტრიგას თავისი დიდი წინაპრის – აკაკი წერეთლისებური ქვეტექსტური მინიშნებით პოეტის ვინაობაში ცისა და მიწის უცნაურ მონაწილეობაზე.

და ტ. ჭანტურიას ენობრივი სამყაროს კიდევ ერთი შტრიხი:

ტ. ჭანტურიას ენობრივი ცნობიერების ერთი გამოხატულებაა გამონათქვამში სიტყვიერი ფაქტორის უკიდურესი მინიმიზება, ლაკონიურობისაკენ მიდრეკა. მის ლექსებში ფრაზის შეკუმშვა იმდენად მასშტაბურია, რომ ხშირ შემთხვევაში ცალკეული (ლაიტმოტივური დატვირთულობის) სიტყვის სემანტიკის ფუნქცია მარცვალს ეკისრება: „ვარ ისეთი ღარიბი და / თან ისეთი არიფი – / არშოყობა გაგიბედო - / არ იფიქრო, **არ იფი...**", ან: „ვერაფრით ვერ დაგივიწყებ, / ვერაფრით ვერ **დაგივი...** / ველი მკერდზე შენს შეხებას – ძველი იატაკივით..." (უსათაუროები). ლაკონიზმს ასეთ შემთხვევაში **ზმური** ეფექტის შექმნის ფუნქციაც ეკისრება, რაც ცხადია, პოეტური აზრის სისხარტის, მხატვრული თქმის ემოციურ-ექსპრესიული მუხტის შთამბეჭდაობას კიდევ უფრო მეტად ზრდის.

პოეტური განცდის რეპრეზენტატულობის მანერა ტ. ჭანტურიას პოეზიაში თხრობა-გადმოცემის ე. წ. ბიბლიურ სტილს უახლოვდება – სიტყვასა თუ თქმაში დიდი შინაარსის ნაგულისხმობის თვალსაზრისით, ოღონდ ეგაა, რომ დაფარულ-ნაგულისხმევი მის ლექსებში ეპიკურისაგან

განსხვავებულია და თავისი არსით ლირიკულია, რადგან შეკუმშულ ზამბარასავით „გადაფურჩქვნის" მომლოდინე განცდა-განწყობილებებისაგან შედგება. ამასთან გახსნა-გადმოშლის მისტერიალებზე მისი მკითხველიც არის მიპატიჟებული, მისტერიაში სრულყოფილებიანი მონაწილის სტატუსით.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულიც ცხადყოფს ტ. ჭანტურიას ენობრივი სამყაროს თავისთავადობას, მისი პოეტური იდეოლექტის უაღრეს თანადროულობას, ლექსიკის პუბლიცისტური პათოსით ავსებულობას და თანამედროვეობის მაჯისცემის საოცარი შეგრძნება-გათავისების უნარს. ამასთან იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ ამ ენობრივი სამყაროს კვლევა თანამედროვე ქართული ტექსტის ლინგვისტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევგენიძე ი. – ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I. თბ., 2000;
2. მინაშვილი ლ. – ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, თბ., 2003;
3. ტაბიძე ნ. – საიდუმლო კუნძულის აღმოსაჩენად, თბ., 2001;
4. ჭანტურია ტ. – საიტ.უმლო ბარათი, თბ., 2007;
5. ლომთაძე თ. – ქუთაისური ჟარგონი, ქუთაისი, 2005;
6. ჩხეიძე რ. – ჟარგონული ქართულის ჭაშნიკი, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა", №8 (86), 2009;
7. გრიშაშვილი ი. – ქალაქური ლექსიკონი, რ. კუსრაშვილის რედაქციით, თბ., 1997;
8. მორჩილაძე ა. – რომანი „ ეიდ ინ თიფლის", თბ., 2007;
9. სელინჯერი ჯ. – თამაში ჭვავის ყანაში, თარგმანი ვ. ჭელიძისა, თბ., 1963.

Tariel Chanturia's Linguistic World

T. Jagodnishvili
Full Professor

In the article is discussed the famous writer's Tariel Chanturia's poetic language features. There's noticed, that his linguistic world is authentic, linguistic is distinguished with modern semantic, it's saturated with publications and modern pulse of refinement reflection.

The conclusion is made, that the research of linguistic world by Tariel Chanturia represents the actual tasks of modern texts in linguistics and literature knowledge, which confirms the new availability of new tendency in Georgian linguistic world.

Языковый мир Тариела Чантурия

Т. И. Джагоднишвили
профессор ГТУ

В статье рассматриваются особенности поетического языка известного грузинского поэта Тариела Чантурия. Указывается, что мир его поэтического языка самобытен, лексика отличается современной семантичностью, насыщен пувлицистичностью и тонкостью отображения пульсации современности.

Делается вывод, что изучение языкового мира Т. Чантуриа является актуальной задачей лингвистики текста грузинского языка и грузинского литературоведения.

Rereading of "Notes towards the Definition of Culture"

Eriko Hayashi
Gifu University, Japan

Introduction

T.S. Eliot (1888-1965) changed his stance on literary activity in late 1920's. Before his conversion to Anglo-Catholicism in 1927, he published *Poems* in 1920, *The Waste Land* in 1922, and *The Hollow Men* in 1925. In these works, the idea of 'art for art's sake' was explicitly seen. However, from the end of 1920's to the end of 1930's, his literary works came to include political and social thoughts. *Ash Wednesday* in 1930 begins with "Because I do not hope to turn again", and it represents a departure from the 'art for art's sake' (*The Complete Poems* 89). In addition to this, in *The Criterion* edited by him, Eliot expressed his political and social philosophy from a point of view of the Anglo-Catholicism. Thus Eliot developed his theory with cultural consciousness and Christian belief, trying to construct a new social philosophy as an Anglo-Catholic, while he also released some literary works in quality of a modernist. In his poetry work *The Waste Land*, Eliot describes the devastation of European society. He examines the necessity of new social philosophy in order to find a way to stop the obvious fall of culture as he looks at the modern society. He reconstructs the principle of culture which can exist and develop beyond the time.

There used to be many researches of Eliot's poetry works, but scholars started to evaluate Eliot's social criticism in around 1980. His idea is notably important in these days in which the meaning of culture is called into question. My paper will broadly discuss how Eliot's cultural theory can be significant in the 21st century society where the globalisation has grown. I will particularly look at his idea about preservation and transmission of culture which is argued in *Notes towards the Definition of Culture*, focusing on three essential elements: cultural level and religion, stimulation by others, and the role of language.

I. Cultural level and religion

First of all, it will be necessary to explore some arguments on 'three senses of culture' and the relation to religion, comparing to the idea of Matthew Arnold (1822-88). Eliot constantly insists that culture is thought in three levels: individual, group or class, or whole society, and it is important for each level not to be isolated. (i.e. "the culture of the individual is dependent upon the culture of a group or class, and that the culture of the group or class is dependent upon the culture of the whole society to which that group or class belongs" (*Notes* 21).) It is essential to see the culture of a group or class and of the whole society as a background, when considering the culture of individuals, and not to mix an individual subjective purpose with a purpose of group or society. However, it does not mean to exclude the culture of group and society. Eliot says, "we only mean that the culture of the individual cannot be isolated from that of the group, and that the culture of the group cannot be abstracted from that of the whole society; and that our notion of 'perfection' must take all three senses of 'culture' into account at once" (24).

The word 'perfection' refers to the idea of Arnold, who has a different view of culture from the one of Eliot. Arnold mentions, in his work *Culture and Anarchy*, that if the individual culture comes close to the 'perfection' (that is, if individuals acquire the perfect culture), a group or class or the whole society will develop.

Arnold sees the role of individual culture as a culture bearer of the society. He concludes, in his famous consideration of rank classification (i.e. barbarian, philistine, and populace), that well-educated individuals can stave off anarchy. This cultural theory seems to indicate that individuals can acquire culture unlimitedly. This is because Arnold argues as if an individual goes beyond a group or class or even the whole society, and he says "culture goes beyond religion, as religion is generally conceived by us" (Arnold 829). 'Culture' here is defined only at the individual level.

It is important to take into account the period of Arnold's life to see the background of theory. Romanticism in the 19th century treated a possibility of individuals as an unlimited repository. Arnold substitutes the acquisition of the individual culture with a word 'perfection', and admits the unlimited possibility of individual perfection.

> Perfection , as culture conceives it, is not possible while the individual remains isolated. The individual is required, under pain of being stunted and enfeebled in his own development if he disobeys, to carry others along with him in his march towards perfection, to be continually doing all he can to enlarge and increase the volume of the human stream sweeping thitherward. (828)

On the other hand, Eliot suggests that the perfect person of culture never exists. He insists that it finds difficulty wanting perfection, which is proposed by Arnold, for individuals in the first place. Perfection is imperfect unless we consider an individual, a group or class and the whole society simultaneously. ". . . [W]e shall look for culture, not in any individual or in any one group of individuals, but more and more widely" (*Notes* 23). It will never be perfect if it is only at the individual level.

Moreover, Arnold argues over an individual culture to transcend the religion. He says, if the culture of individual pursues perfection, individuals are able to acquire the value and fineness of humanity existing inside a spirit and mind. However, Eliot brings up Arnold's cultural theory to have a problem on the point that he considers culture and religion separately.

> Arnold gives the impression that Culture (as he uses the term) is something more comprehensive than religion; that the latter is no more than a necessary element, supplying ethical formation and some emotional colour, to Culture which is the ultimate value. It may have struck the reader that what I have said about the development of culture, and about the dangers of disintegration when a culture has reached a highly development of culture and the development of religion, in a society uninfluenced from without, cannot be clearly isolated from each other: . . . (28)

Contrarily, according to Eliot, all cultures would not appear if they were not connected with religion, stating that culture is "the incarnation of a religion of a people" (28). He assumes that culture should exist as an embodiment of the truth, which means the truth that is invisible is embodied into a culture that is visible. As for European culture, religious passion has created the arts, and pursuit of truth has made all cultures flourished. Consequently, Eliot concludes that "no culture can appear or develop except in relation to a religion" (27). Although Arnold's idea about culture was the core thought of the 19th century society, Eliot shattered it and suggested the new theory which leads to the development of society in the 21st century. He excludes the 19th-century-ish thoughts of eternal progress and development of culture, and mentions the necessity of constructing a new perspective of the world.

II. Stimulation by others

Secondly, culture needs stimulation of other cultures in order to be flourished. In the primitive communities, religion, politics, science, and arts were all tightly connected. In that situation, one culture had dominated the whole society. However, once the society becomes complicated, each field becomes independent. After they are segmentalised, the separation goes on without any interaction, and culture itself will be debilitated, Eliot says. If several occupational abilities become isolated in the society, three cultural levels (individual, group or class, and whole society) are all separated. Then, disintegration of culture might happen. For one culture to develop, a variety of occupational abilities or academic fields have to be connected. Therefore, Eliot assumes that culture is similar to organic living systems on the point that each part needs to function respectively so as to move the body.

This idea is close to the one of A.J. Toynbee (1889-1975), a historian who argued rise and fall of culture in the same period as Eliot. He considers civilisations to be organic living systems, and states about declination of them in his work *A Study of History*, as follows:

> A complete elimination of the barbarism of the external proletariat would warrant no more than a mild elation, since we have convinced ourselves … that the destruction which has overtaken a number of civilization in the past has never been the work of any external agency, but has always been in the nature of an act of suicide. (Toynbee 419)

According to Toynbee, loosing original culture is not ascribable to invasion by external forces (different cultures). Call it humanly or violent, the influence on being invaded is not destructive but rather stimulating. In *Notes towards the Definition of Culture* Eliot quotes a passage from *Science and the Modern World* by A.N. Whitehead. The phrase "other nations of different habits are not enemies: they are godsends" indicates that any incursions by different culture lead to growth of original culture (*Notes* 50). Likewise, a friction between individuals or between groups is also essential to keep stimulating the culture, Eliot assumes. These stimulations are necessary to prevent culture from decadence. As well as Toynbee's analysis, Eliot understands declination of culture to be a spontaneous deterioration caused by an individual, a group or the society which possess the culture. On that basis, he concludes that "people should be neither too united nor too divided, if its culture is to flourish" (50). If people are too united, they are not able to acquire the stimulation from other cultures for they refuse others. At the same time, if people are too divided, that also means there is no stimulation among each field of work, and culture will be split up in the end. Continuous stimulation urges to develop culture unless it causes excess of unity and excess of division. Then, it links to preservation and transmission of culture.

III. The role of language and elite

Thirdly, the existence of language and elite regards to be significant to maintain and develop the speciality of culture. Eliot takes language as a particularity of regional culture which shows its distinctiveness. Taking example of the effect of Welsh in United Kingdom, he mentions the necessity of unique language for the sake of conveying and maintaining some unique ideas and perceptions. That is to say, regionalism must be taken into account when considering the preservation and transmission of culture. As mentioned before, culture should be stimulated by other unique characteristics in order to develop. As for the culture in United Kingdom, "the direct contribution to poetry by Welshmen and men of Welsh extraction, writing in English, is very considerable; . . ." (*Notes* 56). Language is the most useful tool for

identifying racial character since it is a main tool for communication, which can show "a peculiar way of thinking, feeling and behaving" of people (57). Therefore, its influence on other cultures of different languages can hugely be recognised.

Conversely, if people lose their language, they will lose their racial character as well. Eliot further explains, insisting on the importance of literary language, that "the literature written in that language will not, of course, make any direct impact upon the world at large; but if it is no longer cultivated, the people to whom it belongs (we are considering particularly the Welsh) will tend to lose their racial character" (57). Then one culture stops to be influenced by other racial characters, and the culture can no longer develop in the future. In the case of United Kingdom, according to Eliot, "if the other cultures of the British Isles were wholly superseded by English culture, English culture would disappear too" (57). That is to say, preserving unique language is almost the same thing as preserving culture. As he states, it should be kept in mind that "for the transmission of a culture . . . and for its maintenance, there is no safeguard more reliable than a language" (57).

Conclusion

As discussed before, culture needs to develop with another culture as they keep their uniqueness and stimulate each other. Generosity which accepts various characteristics seems to be significant for creating the affluent society. However, it does not mean that any individual culture should be united as one. Especially, unique languages ought to stay in the culture, not being absorbed by other language, for the culture to be flourished.

Considering Eliot's idea about culture, I must say that the 'excess of unity' has progressed in the present society, which is so called 'globalisation'. A number of interactions of each culture are important, but that should not be connected to disappearance of culture. For example, though English is required as a communication tool for people all over the world nowadays, other languages should not be diminished by that. If globalisation goes too far, unique cultures will be devastated. In order to prevent the disintegration of culture and construct the peaceful society, it is worth re-evaluating Eliot's cultural essay even in the 21st century. Keeping various cultures alive will let the whole society be flourished.

Works Cited

Arnold, Matthew. *Culture and Anarchy*. 1867. *The Norton Anthology of Theory and Criticism*.
Ed. Vincent B. Leitch, et al. New York: W.W.Norton & Company, 2001. 825-832.
Eliot,T.S. *Notes towards the Definition of Culture*. London: Faber and Faber LTD, 1948.
---. *The Complete Poems and Plays of T.S. Eliot*. London: Faber and Faber LTD, 1969.
Toynbee, Arnold J. *A Study of History*. New York: Oxford UP, 1946.

Acknowledgement

This paper is for an oral presentation in 'The 2011 International Conference of the T.S. Eliot Society of Korea: T.S. Eliot in the 21st Century' at Korea University in October 2011.

„ჩანაწერები კულტურის განსაზღვრის შესახებ“ გადაკითხვა.

ერიკო ჰაიაში (იაპონია)

სტატიაში განიხილება საკითხი თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს თომას ელიოტის კულტურის თეორია თანამედროვე საზოგადოებისათვის, რომელიც ვითარდება გლობალიზაციის პერიოდში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრადიციის შენარჩუნების და გადაცემის თეორიას, რომლის ფორმულირება მოცემულია ესსეში „ჩანაწერები კულტურის განსაზღვრის შესახებ“ სადაც განსაკუ –თრებული მნიშვნელობა ენიჭება სამ ძირითად ფაქტორს: ენას, რელიგიას და ერის კულტურულ განვითარების დონეს.

Перечитывая «Записки об определении культуры»

Эрико Хайяши (Япония)

В статье рассматривается вопрос о том, какое значение может иметь теория культуры Томаса Элиота для современного общества периода глобализации. Особое значение уде– ляется теории сохранания и передачи культурных традиций, сформулированной в эссе «Записки об определении культуры» в котором особое значение уделяется трем основным факторам: языку, религии и уровню культурного развития отдельного народа.

ჟურნალისტიკა/ Журналистика/Journalizm

მკს-ს თავისებურებანი და ეთიკური პრობლემები თანამედროვე ეპოქაში

ქ. გიორგობიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

ჟურნალისტიკის გარიჟრაჟზე, როცა მასობრივი კომუნიკაცია ფეხს იდგამდა, რა თქმა უნდა, არ არსებობდა ეთიკური კოდექსი და მედიის სახელმძღვანელო. შემდეგ, როდესაც ამის საჭიროება შეიქნა და საზოგადოების მოთხოვნაც გაჩნდა, ამ საქმესაც მიხედეს და 1923 წელს ამერიკის საგაზეთო გამომცემლობების საზოგადოებამ გამოსცა "ჟურნალისტიკის წესები". მას მოჰყვა სხვა კოდექსებიც, რომლებიც ერთგვარად აკონტროლებდნენ სატელევიზიო არხების, სამაუწყებლო კომპანიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის ორგანიზაციების მუშაობას. ვერ ვიტყვით, რომ ეთიკურ ნორმებს ყოველთვის იცავდნენ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ის, რომ იწერებოდა ნაშრომები ზნეობრივი კანონების დაცვის აუცილებლობის შესახებ. ახლაც იქმნება შესაბამისი ლიტერატურა, ტარდება სემინარები მედიის წარმომადგენლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებისთვის, არსებობს მედიაეთიკის კურსები, თუმცა პრობლემები ეთიკის სფეროში დღეისთვისაც არ არის ბოლომდე გადაჭრილი. ისეთი მაღალი ზნეობის მედია, რომელიც ეთიკის ყველა მოთხოვნას პასუხობს, არც ერთ ქვეყანაში არ არის და, ალბათ, არც შეიძლება იყოს. მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებისა და ჟურნალისტების უფლებებს სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებიც იცავს და ეს ძირითადი კანონი მათთვის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს. მედიას "საზოგადოების სოციალურ სინდისს" უწოდებენ, ეს კი ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მას. დაკისრებული მოვალეობის პირნათლად ასრულება ხომ დიდი ტვირთის ზიდვასაც გულისხმობს.

ჩვენს ეპოქაში ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ეთიკურ საკითხებს კიდევ ერთი პრობლემა შეჰმატა. ტექნოლოგიების დაუფიქრებლად გამოყენებას შესაძლოა უარყოფითი შედეგი მოჰყვეს და მედიასაშუალებებიც, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ტექნოლოგიების არასწორ გამოყენებას უკავშირდება ისეთი ქმედება, როგორიცაა აკრძალულ ადგილას დამონტაჟებული ფარული კამერები ან მიკროფონები. მედიის წარმომადგენელს ყველაფრის უფლება ნამდვილად არ აქვს. პირის კერძო ტერიტორიაზე ჩუმად შესვლა და იქ ჩამწერი ტექნიკის ფარულად მოთავსება ამ ადამიანის პირადი ცხოვრების დეტალების გაგებისა და ექსკლუზივის ხელში ჩაგდების მიზნით არა მარტო არაეთიკურია, დანაშაულადაც აღიქმება. ასევე დაუშვებელია მონაცემთა ბაზაში უკანონო შეღწევა ამა თუ იმ პირის კომპრომენტირების განზრახვით. მგრძნობიარე კამერის გამოგონებამ ობიექტისთვის თვალის მიდევნება შორ მანძილზეც გახადა შესაძლებელი. მას შემდეგ, რაც დაინერგა სატელიტური კომუნიკაციები, მოხერხდა კონფლიქტების და ცხელი წერტილების გადაღება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ამას დადებითთან ერთად უარყოფითი ეფექტიც შეიძლება მოჰყვეს, მაგ. ეთიკური ქაოსი. დღევანდელ სინამდვილეში ვიდეო ბევრისთვის არის

ხელმისაწვდომი და იმასაც ახერხებენ, გადაიღონ ნებისმიერი მოვლენა ნებისმიერ ადგილზე. მოყვარულის დონეზე მოპოვებულ და გადაღებულ მასალას ეთიკურობას ვერ მოვთხოვთ, ეს კი არა, მის სანდოობაშიც ეჭვი გვეპარება. რადგან იმ ადამიანს, რომელიც არაოფიციალურად მუშაობს, ახალი ამბების არც ერთ ორგანიზაციაში არ ირიცხება და შესაბამისად, ვერავინ გააკონტროლებს, ძნელია ბოლომდე დავუჯეროთ და ეჭვქვეშ არ დავაყენოთ მისი კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი და უბრალოდ ზნეობრიობა. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იქმნება იმის საშიშროებაც, უზნეო და უპრინციპო ადამიანებმა ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენონ, თაღლითობის მეთოდებიც გაამრავალფეროვნონ და დახვეწონ. მსგავსი მაგალითები როგორც ბეჭდვით, ისე სამაუწყებლო მედიაში თითოოროლა ნამდვილად არ არის. როდესაც უკრაინაში ტრაგედია მოხდა, აფეთქდა ჩერნობილის ატომური სადგური და საფრთხე შეექმნა უამრავი ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, საბჭოთა კავშირის ტელეარხებმა ეს ფაქტი რამდენიმე დღის განმავლობაში გაასაიდუმლეს, ამერიკის სამაუწყებლო არხებმა კი ეთერში გაუშვეს დაზიანებული ბირთვული რეაქტორის გამოსახულება, რომელიც სინამდვილეში სულაც არ აღმოჩნდა ჩერნობილის ატომური რეაქტორი, ეს იყო იტალიის ატომური ელექტროსადგური. მას შემდეგ, რაც გაუმჯობესდა და დაიხვეწა კომპიუტერული პროგრამები, შესაძლებელი გახდა შექმნილიყო ისეთი გამოსახულება, რომლის ნამდვილისგან გარჩევა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ამა თუ იმ ადამიანის ღირსებისა და რეპუტაციის შელახვის მიზნით სირთულეს არ წარმოადგენს მისი ნებისმიერ სიტუაციაში ჩაყენება ისე, რომ სრულიად ბუნებრივად გამოიყურებოდეს და ეჭვის აღძვრის საბაბსაც არ იძლეოდეს. ტექნოლოგიები გავლენას მედიის ყველა სფეროზე ახდენს. სიახლეების შესაბამისად ეთიკური პრობლემებისადმი მიდგომებიც შეიცვალა. საზოგადოების ერთი ნაწილი ზნეობის ზოგიერთ კანონს უგულებელყოფს, ეთიკური ნორმების დარღვევად აღარც კი თვლის, ფიქრობს რა, მედიის წარმომადგენელმა (სიტუაციიდან გამომდინარე) გადაწყვეტილებები თავად უნდა მიიღოს და ამ დროს შეზღუდული არ უნდა იყოს, არჩევანის თავისუფლება უნდა გააჩნდეს. მკვლევართა ერთი ნაწილი იმასაც კი ვარაუდობს, რომ სამომავლოდ უფრო მნიშვნელოვანი გახდება ეთიკური დილემების ნებაყოფლობითი და არა სასამართლო დავების გზით გადაწყვეტა.

დღევანდელ ეპოქაშიც ცდილობენ ახლებურად განიხილონ კომუნიკაციის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზებსაც მიაგნონ. ამერიკაში მედიაეთიკის ჟურნალიც კი არსებობს. ერთგვარ სიახლეს წარმო-ადგენს სიტუაციური ეთიკის ცნება, რომელშიც მოიაზრება გადაწყვეტილების მიღება კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით. მედიის წარმომადგენელი თავად გადაწყვეტს, რა გააკეთოს ამა თუ იმ მომენტში. ის, თუ რას მოიმოქმედებს, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. თუკი ჟურნალისტს სურს მოამზადოს მასალა რომელიმე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის პირადი ცხოვრების შესახებ, გამოამზეუროს ის, რაც ფართო მასებისთვის დაფარულია, მას ეხმარება ეთიკური ნორმა, რომლის მიხედვითაც საზოგადოებას უფლება აქვს ფლობდეს ყოველგვარ ინფორმაციას იმ პირის შესახებ, რომელიც ქვეყნის მართვაში მონაწილეობს. ჟურნალისტი ამ შემთხვევაში არ მიიჩნევს, რომ ეთიკური ნორმა დაარღვია ან გადააჭარბა უფლებამოვალეობას. მაგრამ თუკი საქმე კერძო მოქალაქეს ეხება, მისი პირადი ცხოვრების ქექვა და სხვათა თვალისთვის დაფარული ინტიმური ამბების მზის სინათლეზე გამოტანა არაეთიკური და დაუშვებელია.

ეთიკური პრობლემების რიცხვს მიეკუთვნება ე.წ. ინტერესთა კონფლიქტი, რაც გულისხმობს მედიის წარმომადგენლის მაკომპრომიტირებელ საქმიანობას. ეს ეხება მის როგორც პროფესიონალურ, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მაგ. თუკი ჟურნალისტი რომელიმე ორგანიზაციის წევრია, ან რომელიმე პარტიაში მოიაზრება, ამ პარტიისა და ორგანიზაციის მიმართ მიუკერძოებელი, ცხადია, ვერ იქნება. რომც იყოს, გაუჭირდება საზოგადოება დაარწმუნოს თავის ობიექტურობაში. დაუშვებლად ითვლება ინფორმაციის მოსაპოვებლად წყაროსთვის ფულის გადახდა. მას "ჩეკის წიგნაკის ჟურნალისტიკას" უწოდებენ. მედიის წარმომადგენლები ზოგჯერ არც ამას ერიდებიან და თავს იმით იმართლებენ, რომ სხვაგვარად ვერ მოახერხებდნენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ცნობის მოპოვებას. მედიაინდუსტრიაში ყოველთვის არსებობდა ე.წ. ორმაგი სტანდარტი, ანუ განსხვავება მედიის საგამომცემლო და ბიზნეს ფუნქციებს შორის. თუკი ჟურნალისტებს, სამაუწყებლო და ბეჭდითი მედიის წარმომადგენლებს და ასევე გამომცემლობების თანამშრომლებს მოეთხოვებოდათ ინფორმაციის სიზუსტე, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, ეთიკური ნორმების დაცვა ნებისმიერ სიტუაციაში, ეს აკრძალვები და შეზღუდვები არ ვრცელდებოდა რეკლამის მენეჯერებზე, იმ გამომცემლობებსა და დასაქმებულ პირებზე, რომლებიც ბიზნესის კუთხით მუშაობდნენ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ორმაგი სტანდარტი ბევრისთვის მიუღებელი ყოფილა. ფილიპ მაიერმა, რომელიც მედიის საკითხებს იკვლევს, თავის ნაშრომში "ეთიკური ჟურნალისტიკა" წარმოადგინა მედიის ეთიკის ინსტიტუციონალური მეთოდი, რომელიც გულისხმობს ომას, რომ კომუნიკაციის სფეროში დასაქმებულ ყველა პირს ერთნაირი სტანდარტები მოეთხოვება. მედიაეთიკას არა მარტო ჟურნალისტები არღვევენ, ხშირად მედიასაშუალებების მფლობელებიც იმავეს ჩადიან.

დღეისათვის, როდესაც უამრავი ინფორმაცია მიეწოდებათ ადამიანებს, ინფორმაციის ნაკადში ჭირს ობიექტურის და სარწმუნოს გამოყოფა. კომუნიკაცია ხომ მაშინ არის ღირებული, როდესაც ერთდროულად არის კომპეტენტურიც და დამაჯერებელიც. თუმცა, რა თქმა უნდა, მედიაინდუსტრიის ყველა წარმომადგენელი ირწმუნება, რომ მის მიერ მოპოვებული და გავრცელებული ინფორმაცია უტყუარია და მისი ქცევაც ეთიკურ ნორმებს სრულად შეესაბამება. ამჟამად ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ იმას, რომ მედიის წარმომადგენლებმა განსაკუთრებით პრინციპულად დაიცვან საერთო საკაცობრიო ღირებულებები: ჰუმანიზმი, მშვიდობა, დემოკრატია, სოციალური პროგრესი, ცდილობენ დაარწმუნონ ადამიანები, რომ არც ერთ სიტუაციაში არ შეიძლება აგრესიის, შეიარაღების, ძალადობის, დისკრიმინაციის, სიძულვილის, ტირანიის გამართლება. მედიამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ისეთი გლობალური ამოცანების გადაჭრისთვის ბრძოლაში, როგორიცაა ბირთვული ომის, ეროვნებათა შორის კონფლიქტების თავიდან აცილება, ბუნების, ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვა და ა.შ. ჟურნალისტმა თავისი მოღვაწეობით ხელი უნდა შეუწყოს ერების დაახლოებას, პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებს და ღირსებას რასის, ენის, რელიგიური შეხედულების და იდეური რწმენის მიუხედავად. ის უნდა ეხმარებოდეს ნდობის კლიმატის შექმნას ხალხთა შორის ურთიერთობაში, რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ხდება. 2008 წლის ტრაგიკული ამბების მიმდინარეობისას და შემდეგაც აგრესორი ქვეყნის ჟურნალსტთა ერთმა ნაწილმა აშკარად დაარღვია პროფესიული ეთიკა და თავისი ქმედებით ხელი შეუწყო სიტუაციის დაძაბვას.

დღეს, როცა გახშირდა ტერორისტული აქტები, ფარული თუ აშკარა თავდასხმები ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებზე, მედიის წარმომადგენელმა უნდა იცოდეს ქცევის წესები მსგავსი შემთხვევებისა და ანტიტერორისტული ოპერაციების დროს, რათა დროულად მოახერხოს სწორი ინფორმაციით საზოგადოების უზრუნველყოფა. რეალური საფრთხის გათვალისწინებისა და დიდი პასუხისმგებლობის სრული შეგნებიდან გამომდინარე, ჟურნალისტმა უნდა იმოქმედოს მედიის კანონისა და ანტიტერორისტული კონვენციის შესაბამისად. მას ეკრძალება თვითნებური ქმედება, იგი მოვალეა თავისი გადაწყვეტილება შეატყობინოს მასობრივი კომუნიკაციის საშუალების ხელმძღვანელობას და ოპერატიულ შტაბს. თუ ჟურნალისტს, პირადი კონტაქტების გამოყენებით, ხელში ჩაუვარდა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ოპერატიულ შტაბს ან ოფიციალურ ორგანოს. ასევე მას კატეგორიულად ეკრძალება საკუთარი ინიციატივით აიღოს ტერორისტისგან ინტერვიუ. დამნაშავეთა მიზანი ხშირად ხომ სწორედ ის არის, რომ მოახერხონ თავიანთი მოთხოვნების გაჟღერება ღია ეთერში და ფართო მასების ყურადღების მიპყრობა. ჟურნალისტმა, შტაბთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე, არ შეიძლება თვითნებურად იკისროს შუამავლის როლი და თუკი ის შემთხვევით აღმოჩნდება მოლა-პარაკების მწარმოებელთა რიცხვში, თავი უნდა შეიკავოს პუბლიკაციებისგან კრიზისის ჩაცხრობამდე და პრობლემის გადაჭრამდე.

ჟურნალისტის იარაღი კალამი და კამერაა, როგორც კი იგი ხელში საბრძოლო იარაღს აიღებს, მკს-ს თანამშრომელი აღარ იქნება. არ შეიძლება ტერორისტების, მძევლების, ლტოლვილების, კონფლიქტში ჩათრეული ადამიანების პროვოცირება სკანდალური და ექსკლუზიური მასალების ხელში ჩაგდების მიზნით. ტერორისტის ხელშია მძევალთა სიცოცხლე, ამიტომ მედიის წარმომადგენელს ფრთხილი და გონივრული მოქმედება მართებს. შეურაცხყოფილმა და დამცირებულმა ტერორისტმა შეიძლება დანაშაულს დანაშაული მიუმატოს და გამოუსწორებელი შედეგი მივიღოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ პირდაპირი ტელე და რადიოეთერი დამნაშავემ შეიძლება გამოიყენოს თანამოაზრეთათვის პირობითი სიგნალების გადასაცემად. ეთერში არ უნდა გაიპაროს ისეთი ცნობა, რაც ნებით თუ უნებლიეთ ხელს შეუწყობს ტერორისტთა პოზიციის გაძლიერებას და მათი მდგომარეობის გამყარებას. მსხვერპლთა ახლობლების და ნათესავების მიმართ ჟურნალისტი განსაკუთრებით ყურადღებიანი და ტაქტიანი უნდა იყოს. ასევე, გულისხმიერად და თბილად უნდა მოეპყროს მოვლენის თვითმხილველს, რომელსაც ინფორმაციის წყაროდ იყენებს, არ უნდა აიძულოს ის დეტალურად გაიხსენოს განვლილი საშინელი წუთები. მოვლენის ადგილისა და მონაწილეთა ჩვენების დროს ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს ზედმეტი ნატურალიზმისგან, იგი უნდა გაუფრთხილდეს საზოგადოების გრძნობებს და ემოციებს, არ არის გამართლებული პანიკის დათესვა, ადამიანების დაშინება და მათთვის უიმედობის გრძნობის ჩანერგვა. მსგავსი სიტუაციის დროს სიტყვები, ტერმინები და ტონიც შესაფერისი უნდა შეირჩეს. ოპერატიულ შტაბს, თუკი საჭიროდ მიიჩნევს, უფლება აქვს დაბლოკოს ინფორმაციის ნაწილი. ასეთ დროს უადგილოა ინფორმაციის საშუალებების მიერ პრეტენზიის გამოთქმა, მათ უნდა აცნობონ თავიანთ აუდიტორიას ამის შესახებ და განუმარტონ, რომ ეს ხდება ადამიანთა სიცოცხლის უსაფრთხოების მიზნით.

Mass communication Peculiarities and Ethic Problems in Modern Epoch

K. Giorgobiani
Georgian Technical University
77 Kostava street, Tbilisi, Georgia

In the work there is talking in regard with creation of new technologies, creation of new ethic problems in the field of communication and about that what negative results are brought by incorrect usage of these technologies; attention is drawn to situational ethic, conflict of interests, double standards, as well as rules of behavior of media representatives in terrorist acts and antiterrorist operations.

Своеобразие и этические проблемы средств массовой коммуникации в современном мире

К.Гиоргобиани
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, Костава 77

В статье рассмотрены возникшие этические проблемы средств массовой коммуникации по мере внедрения в эту сферу новых технологий, а также, определены возможные нежелательные процессы, которые могут возникнуть при неправильном их использовании. Особо выделены вопросы касающиеся ситуационной этики, конфликту интересов, двойным стандартвам, а также, вопросу поведения представителей средств массовой коммуникации при освещении террористических актов и антитеррористических операций.

ჟურნალი "თავისუფალი საქართველო" /1921 – 1922/

მანანა დათუკიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

1921 წლის თებერვალი საბედისწერო აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის. რუსეთის წითელმა არმიამ გადმოლახა საქართველოს საზღვრები და დაიპყრო ქვეყანა, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ქართული პოლიტპარტიები იძულებულნი გახდნენ უცხოეთში გახიზნულიყვნენ და იქიდან ებრძოლათ სამშობლოს თავი-სუფლებისათვის.

პირველი პერიოდული ორგანო, რომელიც ეროვნულმა მთავრობამ და მის გარშემო შემოკრებილმა პოლიტიკურმა ძალებმა უცხოეთში დააარსეს, იყო ჟურნალი "თავისუფალი საქართველო". ჟურნალის პირველი ნომერი 1921 წლის 15 მაისითაა დათარიღებული. მის მიზანს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა, სახელწოდებაც ხომ სამშობლოს თავისუფლებაზე მიუთითებდა. პირველსავე ნომერში ვკითხულობთ: " ჩვენი პროგრამა სადაა და მარტივი. მოძალადე რუსის "წითელი" ჯარის გაყვანა საქართველოდან და ხალხის თვითგამორკვევის უფლების აღდგენა, - აი, რას მოვითხოვთ ჩვენ და აქეთკენ მოვუწოდებთ ქართველ ხალხს". რედაქცია იმედს არ კარგავდა, რომ ქვეყანა მალე დაიბრუნებდა დაკარგულ თავისუფლებას:

“საქართველო ღირსია დამოუკიდებლობის და იგი აღსდგება მკვდრეთით, - აი, ჩვენი ურყევი რწმენა, გაუმარჯოს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას”.

ჟურნალი ცდილობდა, ევროპაში გაეჩინა გულშემატკივარი, რომელიც დაგმობდა რუსეთის პოლიტიკას, კატეგორიულად მოსთხოვდა მას საქართველოდან ჯარის გაყვანას

და ქართველ ხალხს საშუალებას მისცემდა თავისუფალი ცხოვრებისას. სწორედ ამ მიზნით ჟურნალის მესვეურნი სოციალისტურ პარტიებსა და მუშათა ორგანიზაციებს წერილით მიმართავდნენ. დოკუმენტს ხელს აწერდნენ ეროვნული მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი. მიმართვაში დაწვრილებითაა ასახული დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია, ნაჩვენებია, თუ როგორი უღირსი საშუალებით იბრძოდა რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ და მიზანსაც მიაღწია – ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა.

მიმართვის ავტორებს იმედი ჰქონდათ ევროპის სოციალისტური პარტიების დახმარების. მართალია, მათი განზრახვა გულუბრყვილო იყო, მაგრამ მისასალმებელი, რადგან ქართველი ემიგრანტები ყველანაირად ცდილობდნენ ქვეყნის დახსნას უხეში ძალისაგან.

“თავისუფალი საქართველო” სხვადასხვა პერიოდულობით გამოდიოდა: ზოგჯერ თვეში, ზოგჯერ კი 10-15-20 დღეში ერთხელ, მკითხველმა ჟურნალის 27 ნომერი მიიღო. პირველი ნომერი, როგორც აღვნიშნეთ, 1921 წლის მაისითაა დათარიღებული, ხოლო უკანასკნელი – 1922 წლის 12 ოქტომბრით. უცნობია რედაქტორის ვინაობა, რადგან მისი გვარი ჟურნალის არც ერთ ნომერზე მითითებული არ არის. მითითებული არ არის ასევე გამოცემის ადგილი, მისამართი, სტამბა. როგორც პროფ. გ. შარაძე აღნიშნავს, სავარაუდოა, რომ “თავისუფალი საქართველო” თავდაპირველად სტამბულში დაბეჭდილიყო, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული მთავრობა პარიზში გადავიდა საცხოვრებლად, მისი გამოცემაც პარიზში გაეგრძელებინათ.

ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი და სხვები. სხვადასხვა ხასიათის მასალათა და ინფორმაციათა უმეტესობა ქვეყნდებოდა ფსევდონიმებით: “დ”, “ანც-ჩ”, “მაქაური”, “თქვენი გადამალული “ჰამლეტი”, “რალფი” /რუბენ ყიფიანი/, “კაჟი”, “ინი”, “დამსწრე”, “ამხანაგი”, “სოფლელი”„ “დევნილი” და მრავალი სხვა. ვის ეკუთვნის ეს ფსევდონიმები, დღეისათვის უცნობია.

ჟურნალში მასალა დაჯგუფებულია რუბრიკების მიხედვით: “რუსეთის მიმოხილვა”, “საქართველოს ამბები”, “სოციალ-დემოკრატიული პარტიები ევროპაში”, “ევროპის მუშათა პარტიაში”, “სოციალისტები და საქართველო”, “ევროპის პრესიდან”, “საქართველო და ევროპა”, “ევროპის პრესა საქართველოს შესახებ”, ”რა ხდება საბჭოთა საქართველოში”, “დაპყრობილი საქართველო”, “საბჭოთა რუსეთში”, “უკრაინაში”, “უცხოეთში” და სხვ.

“თავისუფალი საქართველო” პოლიტიკური გამოცემა იყო და რუბრიკების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მკითხველს მრავალფეროვან მასალას აწვდიდა ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის შესახებ. პატრიოტული გრძნობის ასამაღლებლად დიდ ადგილს უთმობდა ბოლშევიკების ძალმომრეობის პირველ მსხვერპლთა ხსოვნას. ჟურნალში გვხვდება მათ შესახებ სითბოთი აღსავსე ნეკროლოგები.

საინტერესოა ჟურნალში დაბეჭდილი დოკუმენტური მასალა, საიდანაც ნათლად ჩანს ემიგრაციაში მყოფი ეროვნული მთავრობის დიდი ძალისხმევა სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. მათ ხომ საქართველოს საკითხი მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე გაჰქონდათ და ელოდნენ დახმარებას, ჟურნალი კი ყოველივეს შესახებ მკითხველს ინფორმაციას აწვდიდა. "თავისუფალ საქართველოში" დაბეჭდილია 1922 წლის იანვარ-თებერვლის ვაშინგტონის, 1922 წლის ბერლინის, 1922 წლის ჰააგის, 1922 წლის ლონდონის კონფერენციების ამსახველი მასალები, ასევე ერთა ლიგაში საქართველოს საკითხის განხილვასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

ჟურნალის მესვეურები დიდ ყურადღებას უთმობდნენ აჭარისა და აფხაზეთის საკითხს. მკითხველს აცნობდნენ საქართველოს ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე ამ კუთხეებში შექმნილ ვითარებას. მასალა სიახლის შემცველია და ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს დღევანდელი მკითხველისათვის.

1921 წლის ჟურნალის მესამე ნომერში სათაურით "აჭარა" დაბეჭდილია კორესპონდენცია, რომელიც მკითხველს ატყობინებს: "როგორც ვიცით, აჭარას საქართველოს რევკომმა / ფ.მახარაძის დეპეშით / აღუთქვა ფართო ავტონომია და მიულოცა მენშევიკების ბატონობისაგან განთავისუფლება.

მეჯლისის წევრები ამ დაპირებამ აღტაცებაში მოიყვანა. ზოგი მათგანი ძველი მთავრობის დაგმობასაც შეუდგა და ახალის ქებას. მეჯლისს ბათომის რევკომმა მისცა 15 მილიონი, რამაც კიდევ უფრო მოალბო მათი გული. მემედ ბეგმა /აბაშიძემ/ ინტერვიუც კი მისცა კომუნისტურ გაზეთს, სადაც ქებადიდებით მოიხსენია მთავრობა და გაკიცხა მენშევიკების მმართველობა". კორესპონდენცია იმასაც გვაუწყებს, რომ მეჯლისის წევრები მოტყუვდნენ და არჩევნებში ქმალისტებმა გაიმარჯვეს, რომელთაც აჭარაში სახელმწიფო ენად თურქული გამოაცხადესო. მიუხედავად ძველი მეჯლისის საპროტესტო დეკლარაციისა, რომლის მიხედვითაც აჭარა საქართველოს განუყოფელ ნაწილად რჩებოდა, თავს კი კანონიერ მეჯლისად თვლიდნენ, ვერაფერს მიაღწიეს. ძველი მეჯლისი დაიშალა. პუბლიკაციაში იმედია გამოთქმული ძველი მეჯლისის აღდგენისა. კორესპონდენციაში სათაურით "აჭარაში" კი ვკითხულობთ: "მეჯლისი თვით გადადის შეტევაზე. ის თავის მხრით აგზავნის თბილისში დელეგაციას და მოთხოვნებს უყენებს თბილისს, რომ თანახმა იქნება ავტონომიით დაკმაყოფილდეს, თუ მას ყველა საქმეში დამოუკიდებლობა ექნება, გარდა საგარეო საქმეებისა, რომელსაც ის ახლაც აწარმოებს ფარულად თუ აშკარად ანგორასთან, მოსკოვთან და სხვ. თუ მას ყველა ამ თავისუფლებებთან ერთად საკმაო ფულიც თავის სარჩენად და სამუშაოდ თბილისის ხაზინიდან მიეცემა". მკითხველისათვის რომ უფრო გასაგები იყოს მეჯლისის მოთხოვნა, პუბლიკაციის ავტორი განმარტავს: "ერთი სიტყვით, მას უნდა უფლება სრული და ფულები სხვისი, ხოლო მუშაობა თავის მომავლინებლის, ე.ი. ქმალის სასარგებლოდ... მოსკოვს და ანგორას დეპეშები მისდის – საქართველოს მოგვაშორეთ, ესენი ვერ გვპატრონობენ, პირდაპირ გვინდა თქვენთან დამოკიდებულებაო, ე.ი. სრულ გამოყოფას მოითხოვენ".

მართლაც საინტერესო მასალებია აჭარის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის, თუმცა არ ვიცით რამდენად სარწმუნოა, რა დოკუმენტებზე დაყრდნობითაა მოწოდებული პუბლიკაციებში გაჟღერებული ინფორმაციები.

აფხაზეთში შექმნილი მძიმე ვითარებაა ასახული 1921 წლის ჟურნალის მეოთხე ნომერში დაბეჭდილ პუბლიკაციაში. მასში სწორად არის გაანალიზებული რუსეთის პოლიტიკა – ქვეყნის დასასუსტებლად მისი დაქუცმაცება, ერთა გათიშვა. ავტორი გულისტკივილს გამოხატავს იმის გამო, რომ

“წითელმა რეჟიმმა საქართველოს ჩამოაჭრა მისი ორგანული ნაწილები ბორჩალოში, სადაც გლეხები, თვით რუსის სოფლებშიც კი საქართველოსთან ყოფნას თხოულობდნენ, ჩამოაჭრა ფაქტიურად აჭარა, არია გორის მაზრა ცხინვალის რაიონის ოს “ნასტრაჟნიკალების” და “ნაპრისტავალების” გულისთვის – დაბოლოს ჩამოაცალა აფხაზეთი, სადაც ორი წილი მცხოვრებლებისა, თუ მეტი არა, ქართველი ტომისანი არიან და სადაც გრძნობა საქართველოსთან განუყრელად ყოფნისა ძლიერი იყო იმ ეკონომიურ-პოლიტიკური კავშირის გამო, რომელიც არის მთავარი შემაკავშირებელი ძარღვი სახელმწიფო სხეულის”.

პუბლიკაციის ავტორი მკითხველს მოუთხრობს, თუ რა მოხდა აფხაზეთში, სამმა აფხაზმა და ორმა ქართველმა კომუნისტმა აფხაზეთის 20000 მცხოვრების სახელით როგორ მოახერხა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება. იგი კარგად ერკვევა შექმნილ ვითარებაში და სწორ დასკვნას სთავაზობს მკითხველს. მისი ღრმა რწმენით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა საქართველოს დასასუსტებლად იყო მოგონილი და რომ ხალხს ასეთი სურვილი არ ჰქონია. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: “აფხაზეთის ხალხმა თავისი ნებისყოფა საყოველთაო ხმის მიცემით არჩეულ სახალხო საბჭოს საშუალებით გამოთქვა 1919 წლის 20 მარტს, როცა 33 ხმით 7-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ნაწილი, შედის საქართველოს რესპუბლიკაში. ეს 7 დეპუტატი, რომელთაც წინააღმდეგი ხმა მისცეს, საქართველოსთან შეერთებას ემხრობოდნენ, მაგრამ ავტონომიის უფლებათა გაფართოებას მოითხოვდნენ. ამრიგად, აფხაზეთი დემოკრატიული საქართველოს ფარგლებში ავტონომიურად განაგებდა თავის საქმეებს “წითელი” არმიის შემოსევამდე და ფაქტიურად მაშინ მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა, ვინემ დღევანდელი “დამოუკიდებელი” აფხაზეთი”.

როგორც ვხედავთ, ჟურნალის მესვეურები ინფორმირებულნი არიან საქართველოში მიმდინარე პროცესებით, კარგად ერკვევიან სამშობლოში განვითარებულ მოვლენებში, მსჯელობენ მათზე, მკითხველს განუმარტავენ შექმნილ ვითარებას, კიდევ უფრო მეტად იმსჭვალებიან წითელი არმიისადმი ზიზღით და ეძებენ გამოსავალს, რათა თავი დაიხსნან ვერაგი მტრის კლანჭებისაგან.

ჟურნალისათვის ისიც ცნობილია, რომ ქართველი სტუდენტობა ვერ ეგუებოდა სამშობლოს დამონებას და განაგრძობდა ბრძოლას ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ. “თავისუფალი საქართველო” სისტემატურად აქვეყნებდა სტუდენტური მოძრაობის ამსახველ მასალებს, მკითხველს ქართველი ახალგაზრდების თავდადებაზე მოუთხრობდა და ხალხში იმედის ნაპერწკალს აღვივებდა. “სტუდენტების გამოსვლა” – ასეთი სათაურით დაიბეჭდა 1921 წლის მე-13, მე-14 ნომრებში სტუდენტთა მოძრაობის ლიდერების – ი. ხეცურიანისა და ფილიპე შარაძის ხელმოწერით გავრცელებული დოკუმენტი. მიმართვა ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგან მასში გამოხატულია ქართველი ახალგაზრდების განწყობა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ჟურნალში ვკითხულობთ: ” მუშათა პროტესტებს ქართველი სტუდენტებიც შეუერთდნენ. იმავე საღამოს გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სასწრაფო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 2000-ზე მეტი სტუდენტი, მიტინგმა მოისმინა სტუდენტ ჯანელიძის განცხადება 24 ოქტომბრის და პირველი ნოემბრის ამბების შესახებ. მიტინგი გადაიქცა საპროტესტო დემონსტრაციად. შეასრულეს ეროვნული ჰიმნი “დიდება” და მიიღეს შემდეგი რეზოლუცია

რევკომთან გასაგზავნად: “მოისმინეს რა განცხადება 24 ოქტომბრის რევკომის მიერ თბილისის მუშათა კლასის დელეგაციის დაპატიმრების შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტობა 1. სავსებით უერთდება თბილისის პროლეტარიატის მოთხოვნებს – საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებებისა და მისი ტერიტორიის დაცვის, სიტყვის, პრესის და სხვა პოლიტიკურ უფლებათა თავისუფლების, საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის ჯარების გაყვანის და ქართული ლაშქრის უფლებათა აღდგენისა და პოლიტიკურ დევნილთა და პატიმართა განთავისუფლების შესახებ და ყველას გასაგონად აცხადებს, რომ იგი მუდამ მზადაა მთელი თავისი ძალ-ღონით მუშათა კლასთან ერთად დაიცვას ეს სამართლიანი მოთხოვნები. 2. სტუდენტობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ უხეში ძალადობის გამო, რომელიც გამოიხატა რევკომის მიერ 24 ოქტომბერს მუშათა დელეგაციის დაპატიმრებაში და გამოთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას რევკომის თავმჯდომარის ბ. მდივნის 29 ოქტომბრის უტიფარი განცხადების გამო, თითქოს დელეგაცია არავის დაეპატიმრებიოს. 3. კრება ღრმა თანაგრძნობასა და სრულ სოლიდარობას უცხადებს დაპატიმრებულსა და მეტეხის ციხეში გამომწყვდეულ ამხანაგებს – მუშათა დელეგაციას და 4. მოითხოვს მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას”.

ჟურნალში ვხვდებით ისეთ ინფორმაციებს, რომელთა შესახებ საქართველოში ხმამაღლა ლაპარაკი შეუძლებელი იყო. “თავისუფალმა საქართველომ” მრავალი ასეთი ფაქტი გააცნო მკითხველს და ვფიქრობთ, რომ დღევანდელი მკითხველისთვისაც ბევრი რამ საინტერესო და სიახლის შემცველი უნდა იყოს. ასე მაგალითად, კორესპონდენციიდან, რომელიც დაიბეჭდა 1922 წლის მე-18 ნომერში, მკითხველი ეცნობა კ.გამსახურდიას პოზიციას არსებულ რეჟიმთან დაკავშირებით, კერძოდ მის მიერ გამოხატულ პროტესტს თბილისში 1922 წლის 30 იანვარს ჩატარებულ სრულიად საქართველოს განათლებისა და სოც. კულტურის მუშაკთა კავშირის ყრილობაზე. “ორკესტრი უკრავს “ინტერნაციონალს”. ყველანი ფეხზე დგებიან, გარდა კ.გამსახურდიასი. გამსახურდიას ასეთი მოქმედება დიდ აურზაურს იწვევს. ის ძალით ააყენეს. თავდება “ინტერნაციონალი” და გაისმის “დიდება”. კომუნისტები ხმაურობენ, მაგრამ “დიდების” სიმღერა არ წყდება. მაშინ კომუნისტი ყურულაშვილი, რომ აურზაურით დაეფარა სიმღერის ხმა, მოუწოდებს ხელმეორედ დაუკრან “ინტერნაციონალი”. ყვირილში და მუსიკის ხმაში თავდება “დიდება”, კომუნისტები მოითხოვენ გამსახურდიას კრებიდან გაძევებას. გამსახურდია ითხოვს სიტყვას განცხადებისათვის, მაგრამ მას სიტყვას არ აძლევენ და იძულებულს ხდიან დატოვოს დარბაზი” – წერს ჟურნალი.

ჟურნალიდან ასევე ვგებულობთ ხელისუფლების დამოკიდებულებას არაკომუნისტი მასწავლებლების მიმართ. ერთ-ერთი ინფორმაცია მკითხველს ატყობინებს, რომ “კონტრრევოლუციონერ მასწავლებელთა წინააღმდეგ ზომებს უკვე იმუშავებენ. არაკომუნისტ მასწავლებლებს შტატების შემცირების სახით ითხოვენ ადგილებიდან. ამათში უმრავლესობა ძველი, გამოცდილი და განათლებული არიან. ასე უმასპინძლდებიან კომუნისტთა სამეფოში ყველას, ვინც მათი შეხედულების წინააღმდეგ ხმის ამოღებას გაბედავს”.

“თავისუფალი საქართველო” მკითხველს ასევე ატყობინებს “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” დახურვის ფაქტს. იგი აღშფოთებას გამოხატავს ხელისუფლების საქციელის გამო. “მოსპეს რა კომუნისტებმა ყოველგვარი კულტურული ორგანიზაციების გამომცემლობა, ამ

ბოლოს გაანადგურეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება... ის, რაც ვერ მოსპეს ნიკოლოზის რეჟიმის სულისჩამდგმელებმა ჩვენში, მოსპეს კომუნისტებმა", – წერს პუბლიკაციის ავტორი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჟურნალი 1922 წლის 12 ოქტომბერს დაიხურა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უცხოეთში გახიზნული ქართველების გასაცნობიერებლად, მათს შესაკავშირებლად. იგი სისტემატურად აქვეყნებდა მასალებს საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, აანალიზებდა მათ და სწორ დასკვნებსაც სთავაზობდა მკითხველს. "თავისუფალმა საქართველომ" ბევრი ისეთი ფაქტი გამოამზეურა, რომელთა გამოქვეყნება საქართველოში არსებულ ჟურნალ-გაზეთებში შეუძლებელი იყო. ამდენად ისინი ისტორიულ პირველწყაროს წარმოადგენენ და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ჟურნალმა ასახა უცხოეთში გახიზნული ეროვნული მთავრობის ძალისხმევა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შარაძე გ., "ქართული ჟურნალისტიკის ისტორია", ტ. 1., 2001.

Journal "Free Georgia"

Manana Datukishvili
Georgian Technical University
77 Kostava Str., Tbilisi, Georgia

Journal "Free Georgia" established abroad by national government of Georgia and political forces collected around it are considered in the article. Here is talking about its targets and problems. National belief, role and meaning are cleared up in history of Georgian journalism and in struggle for freedom of our country.

Журнал "Тависупали Сакартвело»

М. Датукишвили
Грузинский технический университет
Грузия, Твилиси, ул. Костава 77

В статье рассмотрен журнал «Тависупали Сакартвело», который издавали за границей национальное правительство Грузии и вокруг него собранные политические силы. Речь идет о целях и задачах журнала, определена его роль и значение в истории грузинской журналистики и в борьбе за независимость нашей страны.

მედიასფეროს აუდიტორიის თავისებურებანი

თინათინ ზაქარაშვილი
სტუ დოქტორანტი
თბილისი, კოსტავას 77

ინფორმაციული სივრცე ადამიანთა შორის კომუნიკაციური ურთიერთ-ზემოქმედების არეალია, სადაც მასობრივი ინფორმაცია მასკომუნიკაციის საშუალებებით ერთი სუბიექტიდან მეორეს, ერთი „ერთობიდან" სხვას გადაეცემა.

განსაკუთრებული სახის სოციალური ზემოქმედების სისტემის – მასობრივი კომუნიკაციის ზოგადი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ყურადღების ცენტრში საზოგადოებაა, რომელიც, როგორც შეზღუდული სოციალური სივრცე, წარმოგვიდგება სპეციფიკური შიდა პროცესებითა და კულტურული მახასიათებლებით.

მასობრივი კომუნიკაცია შეტყობინებათა გავრცელებას გულისხმობს, რიცხობრივად მოცულობითი დაქსაქსული აუდიტო-რიისათვის და მიზნად ადამიანთა შეფასებებს, აზრსა და ქცევაზე ზემოქმედებას ისახავს.

მასობრივი კომუნიკაციის ძირითად საშუალებებად მასობრივ მომხმარებელზე გათვლილი (განკუთვნილი) ინფორმაცია – პრესა, კინო, რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი ითვლება, ანუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ამ საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია – ნებისმიერი ჟურნალისტური მასალა, მასობრივი აუდიტორიისათვის არის განკუთვნილი, სხვადასხვა ასაკის, განათლების, სოციალური მისწრაფებებისა და სტატუსის მქონე ადამიანებისათვის. მედია-აუდიტორია ეროვნული, გეოგრაფიული ნიშნითაც დიფერენცირებული საზოგადოებაა, დამახასიათებელი სტრუქტურით, დინამიკითა და მოქმედებით ანუ ფუნქციურობით.

მასმედია უწყვეტ რეჟიმში ურთიერთობს მასთან. მოქალაქეთა იმ ნაწილს, რომელზეც პოტენციურად ორიენტირებულია მედია – მიზნობრივ აუდიტორიას მიაკუთვნებენ. რეალურ აუდიტორიად იმ ადამიანების ერთობას მიიჩნევენ, რომლებიც მუდმივად მიმართავენ არსებულ მედიასაშუალებებს – ეცნობიან პრესას, უსმენენ რადიოს და უყურებენ ტელევიზორს.

კომუნიკაციას, როგორც ურთიერთგაგებაზე დამყარებული ურთიერთობების სისტემას, ორმხრივი ბუნება ახასიათებს. ჟურნალისტიკის თეორიაში ინფორმაციის ორ ნაკადს განასხვავებენ:

- პირდაპირი კავშირი მყარდება, როდესაც ინფორმაცია აუდიტორიას მიეწოდება;
- უკუკავშირი მოქმედებს, როდესაც ინფორმაცია აუდიტორიისაგან მიიღება.

მედია, კერძოდ კი ჟურნალისტი, სოციალურ დიალოგში ჩართული კომუნიკაციური ურთიერთობების ორგანიზატორი, შუამავალი და ინტერპრეტატორია.

მასმედიისადმი ადამიანთა ინტერესი მათი ფსიქოლოგიური განწყობიდან გამომდინარეობს. ზოგს სამსახურეობრივად ესაჭიროება უახლესი ინფორმაციის ცოდნა, ზოგს ცოდნის მისაღებად, ზოგსაც გასართობად, დასასვენებლად. არიან ისეთებიც, რომლებიც მედიის საშუალებით მატერიალური მოგების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავენ.

ახალი ამბებისა თუ მოვლენების, ტელე-რადიოგადაცემების, საგაზეთო ინტერვიუებისა და გამოსვლების განხილვა საზოგადოებრივი ცხოვრების

განუყოფელ ნაწილად იქცა. მკითხველი, მსმენელი და მაყურებელი ინფორმაციის წყაროებს საკუთარი ინფორმაციული ინტერესებიდან გამომდინარე მიმართავს. ამის საფუძველზე მათი ინფორმაციული ქცევა – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი დამოკიდებულების სიმყარე ყალიბდება.

აუდიტორია ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე მასკომუნიკაციების ფუნქციონირება ყოველგვარ აზრს კარგავს. ის არაორდინალურობით, ანონიმურობით, განფანტულობით ხასიათდება. მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და კავშირებში არის ჩართული. მასმედიით, სხვადასხვა ფორმით, მათ შორის დარწმუნებითა და შთაგონებით, გაშუქებული ახალი ამბები დიდ ზეგავლენას ახდენს მასობრივ აუდიტორიაზე. ინფორმაციის ზემოქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ის აუდიტორიის სოციალურ მოთხოვნებს და რა სიხშირით მიეწოდება. აღსანიშნავია ასევე, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უმეტეს წილად თავად კულტივირებენ და აყალიბებენ აუდიტორიის სოციალურ მოთხოვნებს.

უახლესი ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მასობრივი კომუნიკაციური პროცესები და მასში მონაწილეთა ურთიერთმოქმედების ძირითადი მახასიათებლები შეცვალა. საზოგადოებას ინფორმაციის დამოუკიდებლად მიღების უპრეცენდენტოდ მრავალმხრივი შესაძლებლობები მიეცა მრავალარხიანი და ქსელური მედიის საშუალებით. გაინდივიდუალურება ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების პროცესსაც შეეხო.

თანამედროვეობის რეალობაა "მასობრივი ინდივიდუალური კომუნიკაცია" ანუ "მასობრივი თვითკომუნიკაცია" (mass self communication). მ. კასტელსის დეფინიციით, კომუნიკაციის ეს ახალი ფორმა, უდაოდ, მასობრივია, მაგრამ მიიღება და აღიქმება ინდივიდუალურად [კასტელსი 2006].

დღევანდელი მკითხველი, მსმენელი და მაყურებელი მასკომუნიკაციის არა უსახურ მედიააუდიტორიად, არამედ სრულფასოვან სუბიექტად წარმოგვიდგება. თავად ირჩევს ინფორმაციის წყაროსა და ინფორმაციას, ეცნობა მას ან უარყოფს, გამოთქვამს საკუთარ სურვილებსა და პრეტენზიებს მედია ორგანიზაციებისადმი. ინფორმაციის გამოყენების, ინდივიდუალიზაციისა და მასობრივი კომუნიკაციის ციფრული ინტერაქტიური ფორმების განვითარების თანამედროვე პირობებში მკითხველს, მსმენელს და მაყურებელს საკუთარი "საინფორმაციო მენიუს" ფორმირების და კომუნიკაციური კავშირის რეგულირების მეტი საშუალება აქვს.

მედიისა და აუდიტორიის ურთიერთობა წარსულში თუ ცალმხრივი პროცესი იყო, თანამედროვე კომუნიკაცია დიალოგს ითვალისწინებს, მუდმივ და სრულყოფილ უკუკავშირს. თუმცა კომუნიკაციის პროცესზე მომხმარებლის ზემოქმედების შესაძლებლობები შეზღუდულია, მისი მასმედიასთან დიალოგი კი მეტწილად სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

უახლესმა კომუნიკაციურმა ტექნოლოგიებმა არა მხოლოდ მრავალფეროვანი ინფორმაციის მოხმარების შესაძლებლობები გაზარდა, არამედ მინიმალური დანახარჯით საკუთარი მედიატექსტების (მულტიმედიურობის ჩათვლით) შექმნისა და გავრცელების საშუალება მისცა რიგით ადამიანებს. მკითხველმა, მსმენელმა და მაყურებელმა თავადაც მოირგო "ჟურნალისტის" როლი.

ინტერაქტიურობა გულისხმობს აუდიტორიის უშუალო მონაწილეობას ინფორმაციის პროდუცირების – შექმნის პროცესში. უფრო მეტიც, რეალურ

დროში სამაუწყებლო პროცესზე ზეგავლენას, რაც თავად ტერმინის interact – "რეალურ დროში ორმხრივი ზემოქმედება",- არსში არის ჩადებული. მოცემულ შემთხვევაში მედია-აუდიტორიის აქტიობა შინაარსის უშუალო კონტროლსა და მედიაკონტენტის გასაშუქებლად და განსახილველად ჩამოყალიბებაში მონაწილეობით გამოიხატება და, თუნდაც, ავტორებისთვის პრობლემის დასმით. თუმცა ინტერაქტიურობის პრინციპის ეს ასპექტი დღესდღეობით არა მხოლოდ ინტერნეტმედიაში, არამედ ინტერნეტ-რადიომაუწყებლობითა და ინტერნეტ-ტელევიზიითაც ხორციელდება (რეალიზდება).

თანამედროვე მედიის კონვერგენცია კონკრეტული მედიასაშუალების დაქსაქსული აუდიტორიის კონსოლიდირებას უწყობს ხელს. ინტერნეტ–მედია, რომელსაც ტრადიციული მასმედიის თვისებებიც ახასიათებს და უახლეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებსაც ფლობს, მედიაკომუნიკაციას სრულ ინტერაქტიურობამდე ავითარებს – სინქრონული და ასინქრონული უკუკავშირის შერწყმამდე. ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ნამდვილ ორმხრივობამდე, ანუ მომხმარებელთა შორის ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობამდე.

ტრადიციული მედიაკომუნიკაციის დროს ყალიბდება „აუდიტორია - ჟურნალისტი" და „ჟურნალისტი - აუდიტორია" ტიპის ურთიერთობები, თანამედროვე საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების წყალობით შესაძლებელია ახალი, მედიისათვის წარსულში არადამახასიათებელი კავშირები: „აუდიტორია – აუდიტორია" ტიპის კომუნიკაციის სახეობა სასარგებლოა თანამედროვე მასმედიისათვის, რადგან ინტერნეტ-აუდიტორიას ისეთი სპეციფიკური თვისებები ახასიათებს, როგორებიცაა განუსაზღვრელი მოცულობა და არაორგანიზებული, სტიქიური ხასიათი.

საზღვრების გახსნილობა აუდიტორიის სოციალურ შემადგენლობაზე მეტყველებს. შიდააუდიტორიული კომუნიკაცია მედიაკომუნიკაციის კონსოლიდირებას უწყობს ხელს, მისი ცალკეული წარმომადგენლების გემოვნებისა და მიდრეკილებების გათვალისწინებას, რაც საგრძნობლად ზრდის აუდიტორიის სუბიექტურ შესაძლებლობებს კომუნიკაციურ პროცესებში.

ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებების განვითარებასთან ერთად გახშირდა საუბრები "პასიური აუდიტორიისა" და საზოგადოების "ინფორმაციული გადატვირთვის" შესახებაც. კომუნიკაციის სფეროში ახალი ტექნიკური პროცესების დანერგვამ უჩვეულოდ დააჩქარა ინფორმაციის ცირკულაცია, რამაც ერთგვარი დისბალანსი გამოიწვია მიწოდებული ინფორმაციისა და იმ ინფორმაციის მოცულობებს შორის, რომლის აღქმაც ნებისმიერი საღად მოაზროვნე ინდივიდის მიერ შეუძლებლად მიიჩნევა.

ინფორმაციული გადატვირთვის მეორე მხარეა ადამიანებში ავადმყოფური დამოკიდებულების, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ადიკაციის განვითარება. ინფორმაციის ზემოქმედებით გამოწვეული დაავადებები სულაც არ უკავშირდება თანამედროვეობას და ახალ მედიას. სპეციალისტების განმარტებით, ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობის შედეგია.

ბოლო დროს აქტიურად განიხილავენ და იკვლევენ ინტერნეტისაგან (ნარკო)დამოკიდებულების პრობლემას, როდესაც ადამიანები რეალურ ცხოვრებას ვირტუალურ სამყაროს ამჯობინებენ. ინტერნეტი სინამდვილიდან გარიდების ხელსაყრელ საშუალებად მიიჩნევა. ამ ადამიანთა უმეტესი ნაწილი საურთიერთობო სერვისებს ანონიმურობის "ხიბლის" გამო მიმართავს, დამოკიდებულთა მეორე ნაწილს ქსელის ინფორმაციული სერვისები იზიდავს.

„ინტერნეტ-დამოკიდებულებს", ფსიქოლოგების აზრით, ცნობისმოყვარეობა, ინტერესი ამოძრავებთ, ანუ შემეცნების, შემოქმედებისა და საკუთარი თავის გამოცდის სურვილი. მკვლევართა მტკიცებით, რამდენიმე ათწლეულია,

მედიაში ორი გლობალური, ხანდახან ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია შეინიშნება: „აუდიტორია – როგორც მანიპულაციის ობიექტი" და „აუდიტორია – ინფორმაციული პროცესის თანამონაწილე და პარტნიორი". შედარებით პროდუქტიულად და პერსპექტიულად მეორე მიიჩნევა. ამ პროცესის თეორიულად გააზრების თანადროულობა როგორც ტრადიციული, ისე ახალი მედიის ცივილიზებული განვითარების აუცილებელი პირობაა.

მედიაყოფაქცევა ნებაყოფლობითი მოქმედებაა. მკითხველი, მსმენელი და მაყურებელი თავად ამყარებს მედიასთან ურთიერთობას. განსაკუთრებით ეს მიზნობრივი აუდიტორიაზე ითქმის, რომელმაც ზუსტად იცის, თუ რა ტიპის ინფორმაცია აინტერესებს მას, როდის და რა მიზნით. ადამიანები, ზოგადად, სულაც არ განიცდიან "გადატვირთვას" მედიაარსენალის გაფართოებით, მიესალმებიან მრავალფეროვან მედიაარჩევანსა და ახალი მედიასაშუალებების განვითარებას. დროთა ვითარებაში მათ ეგრეთ წოდებული არჩევითი ყურადღება უყალიბდებათ. სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ ყოველდღიურად აუდიტორიის ნებისმიერი წევრი საშუალოდ 1600 შეტყობინებას ისმენს, თუმცა რეაგირებს, თუნდაც არადადებითად, მხოლოდ 12-ზე. ტვინს, მედიკოსების მტკიცებით, სიგნალების გაფილტვრის არაჩვეულებრივი თვისება ახასიათებს. გრძნობათა ორგანოებზე ზემომქმედი მილიონიდან, მხოლოდ ერთ გამაღიზიანებელზე რეაგირებს გააზრებით.

ადამიანებმა წინასწარ სულაც არ იციან თუ რის გაგებას ისურვებენ გაზეთის ხელში აღებისას, კომპიუტერის, რადიომიმღების თუ ტელევიზორის ჩართვისას - ახალ ამბებს გაეცნობიან თუ გასართობი პროგრამით დაინტერესდებიან. აუდიტორია ინტენსიურად ეცნობა ამბებს, რომელიც, მისი აზრით ასახავს საზოგადოებაში დომინირებულ ტენდენციებს, აღიქვამს და ითავისებს მისთვის გამიზნულ ინფორმაციას.

ნებისმიერი ადამიანის სოციალური მოთხოვნილებაა მიმდინარე პროცესების საქმის ყურში ყოფნა და უახლესი ინფორმაციის ცოდნა. ჭარბი ინფორმაციის პირობებში მკითხველი, მსმენელი და მაყურებელი უმეტესწილად ინტერესდება დროულად და ლაკონიურად მიწოდებული ინფორმაციით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ануфриева А. Блогеры потеснили журналистов, 2007 http//www/dpru/msk/news/media/2007/01/15/112615
2. Олешко В.Ф. Журналистика как творчество, М.:РНП-Холдинг,2003
3. Стечкин И.В. Охота на журналиста (феномен блоггерства) // Журналистика и медиаобразование в XXI веке. Сб. научных трудов международной научно-практической Конференции. БелГУ – Белгород.2006
4. http://www.gmj.sfedu.ru/v1i1/v1i1_korochenskiy.htm

Character of the multi channel media audience

Zakarashvili Tinatin

Any media information belongs to the people, which is called as audience. Audience is essential part of the mass communication. Audience is characterized with extraordinary, anonymous and sparseness. It directs information sources for its own information interests.

Its information behavior for the means of mass information is forming harder.

Свойства аудитории многоканальной медиасферы

Закарашвили Тинатин

Любая медийная информация предназначена для той общности людей, которая именуется аудиторией.

Медийная аудитория, как специфическая социальная общность, имеет свою структуру, функциональность и динамику. Возникновение этой аудитории обусловлено спецификой массового вещания – распространения массовой информации с помощью медиа.

ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის მიმართება ნიკო ნიკოლაძის და ილია ჭავჭავაძის ტექსტების მიხედვით

გიორგი იაკობაშვილი
სტუ

მეცნიერული თვალსაზრისით, ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ურთიერთმიმართება განსხვავებულია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში თუ მაინც ხდება ამ ტერმინთა ურთიერთმონაცვლეობა, ეს უნდა აიხსნას ტრადიციით, ყოველდღიურ მეტყველებაში ფეხმოკიდებული წესით, როცა მთელის თვისება ნაწილზე გადადის და პირუკუ" [1, 365]. პუბლიცისტიკა მედიასაშუალებების კუთვნილებაც არის, არ შეიძლება მისი ვიწრო გაგებით შემოფარგვლა: რადიოპუბლიცისტიკა, ტელეპუბლიცისტიკა –> ელექტრონული მედიის ინფორმაციის შემადგენელი ნაწილებია. პედაგოგიური ჟურნალისტიკის ამ სფეროში მოთავსება ნიშნავს ერთიან კონტექსტში თეორიისა და პრაქტიკის მოაზრებას (მაგ., ენა და სტილი, ვიზუალური და შინაარსობრივი მხარეები და სხვ.).

ჟურნალისტის მომზადება თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ნიშნავს იმას, რომ ინდივიდუალურ და ჯგუფურ მომზადებას ინტენსიური სახე მიეცეს. პედაგოგიკა ამ შემთხვევაში მკაფიოდ არ მიჯნავს ამგვარ ხერხებს, რადგან ცალკეული სტუდენტი ასრულებს ინდივიდუალურ დავალებებსაც და ჯგუფურსაც. პროფესიული დაოსტატების თვალსაზრისით ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა ინტენსიური და მრავალფეროვანი უნდა იყოს.

რიგ მეცნიერს მიაჩნია, რომ ჟურნალისტიკაში პუბლიცისტიკა და ჟურნალისტიკა სხვადასხვა მომენტია. პუბლიცისტის სტატუსს ხომ დამსახურება უნდა. პუბლიცისტი საკუთარ გრძნობებს აანალიზებს, საკუთარ დამოკიდებულებას ავლენს, სუბიექტური განცდებითა და ხედვით იპყრობს აუდიტორიას. ასეთები ავტორიტეტები არიან, ისინი თავს მთელ თაობებს ამახსოვრებინებენ. გამორჩეული ნიჭის მქონე და ავტორიტეტული პუბლიცისტები მეფობენ ადამიანურ გრძნობებსა და გონებაზე. ჟურნალისტები კი პუბლიცისტებისაგან იმით განირჩევიან, რომ ისინი სიახლეებზე (ახალ ამბებზე, ინფორმაციაზე) მონადირენი არიან, დიდ ძალისხმევას უთმობენ ფაქტისა და მოვლენის მოპოვებას, იმავდროულად ანალიტიკოსებიც უნდა იყვნენ, – პორტრეტების ხატვაც უნდა შეძლონ, იძიებენ, თუ საიდან წარმოიშვა პრობლემა, როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოება მათ გადასაჭრელად და ა. შ. [2, 3-44].

ჟურნალისტიკის შემოქმედების ნიმუშისა და აღიარებული პუბლიცისტის ნიმუშების შედარება საინტერესო სურათს იძლევა – თუ როგორ აშუქებს პრესა ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე პრობლემას. სოციალური ფაქტის არსის წარმოჩენა გაზეთსა და ჟურნალში, საზოგადოებისთვის სინამდვილის ახსნა-განმარტება სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს. ავტორს ყოველთვის მოეთხოვება დებულებების სხარტად წარმოდგენა-განსჯა, მთავრის წინ წამოწევა, მეორეხარისხოვანი თუ ერთი შეხედვით უმნიშვნელი დეტალებით ძირითადის გამაგრება, დამაჯერებელი არგუმენტებისა და პოსტულატების მოშველიება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

პუბლიცისტად ჩამოყალიბებას მთელი რიგი სასწავლო-თეორიული სისტემებით აღჭურვა-უზრუნველყოფა სჭირდება. ამ მხრივ მართლაც ძალიან მყიფეა ზღვარი, რითაც დღეს ჟურნალისტი და პუბლიცისტი ურთიერთისაგან განირჩევა.

ქართული ტრადიციული ჟურნალისტიკა, რომელიც XIX საუკუნიდან დიდად არის აღიარებული, სრულიად ბუნებრივად განიცდის ცვლილებას, დღეს ჩვენ მოწმენი ვართ, რომ ჩვენი საზოგადოება სულ უფრო მეტ ინფორმაციას იღებს საზღვარგარეთული ჟურნალ-გაზეთებიდან. ბუნებრივია, ძალიან საინტერესოა მათი და ჩვენი ტექსტების შედარება. ინფორმაციული საუკუნის მოთხოვნები უპირველესად წყაროს მიღების საშუალებებს აფართოებს, ამავე დროს იზრდება მოთხოვნა და პრეტენზიები ქართული ჟურნალისტიკის მიმართ, რომელიც, თვით ჩვენს ქვეყანაშიც კი, არ არის მედიასივრცის მონოპოლისტი.

ქართული ჟურნალისტიკა „სიღრმისაკენ ეწევა ახალგაზრდას", მიიჩნევს ქართული ჟურნალისტიკის პატრიარქად აღიარებული მკვლევარი ნოდარ ტაბიძე და აქვე აკონკრეტებს სადღეისო საკითხებს შერჩევის, ხედვის, ქვეტექსტების გამოყენებას, გემოვნების განვითარების აუცილებლობას [6, 168-169].

ჟურნალისტიკის პედაგოგიკა იმთავითვე მოიცავს არა მარტო სწავლების თანამედროვე პედაგოგიური მეთოდების გამოყენებას, არამედ მას თვალსაჩინოებისათვის მდიდარი წერილობითი დოკუმენტებიც გააჩნია.

პუბლიცისტიკა საქართველოში იმთავითვე ყველაზე პოპულარული და აპრობირებული იყო. სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები მისი განვითარებისა და ჰეგემონობისათვის მთავარ მასტიმულირებელ მოვლენად წარმოდგა. პუბლიცისტიკას ნიკო ნიკოლაძე „ტვინის მამოძრავებელ" მოვლენად თვლიდა. სტატიაში „ჩვენი ახალგაზრდობა" იგი აღნიშნავს: „საზოგადო აზრს ეძინა, ტვინის განძრევა, გაუმჯობესება, შემუშავება არავის საჭირო საქმედ არ მიაჩნდა, და თუნდაც კიდეც მიიჩნეოდა, თითქმის არავის არ ჰქონდა ხეირიანად სწავლის და გონების შემუშავების საშუალება" [7]. ნიკო ნიკოლაძეს მაშინაც ზუსტად ის პრობლემა აღელვებდა, რაც დღესაც აქტუალურად გვეჩვენება. იგი ამ სტატიაში მკაცრად განუმარტავდა საზოგადოებას, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება თავისი განვითარების მკაცრ კანონებს ემორჩილება, ეს შინაგანი კანონებია და ვაჭრობას ასერიგად გაცხოველება სწორედ დროის მოთხოვნაა; იგი ახალგაზრდებს ურჩევდა, არ ეფანტაზიორათ რაღაც „პატიოსან ვაჭრობასა" და „პატიოსან ვაჭარზე" ამაო ოცნებით და პრაგმატულად შეეხედათ მსოფლიოში არსებული ტენდენციებისათვის.

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკის პათოსი პირდაპირი და მკაცრია, იგი დიდი ცოდნით წერდა ეკონომიკურ და პუბლიცისტურ საკითხებზე, ეწეოდა სამეურნეო საქმიანობას და სხვა ქართველებსაც ქმედებისაკენ, საქმის რეალუ-

რად წამოწყებისაკენ მოუწოდებდა. ნიკო ნიკოლაძის პუბლიკაციებს იმთავითვე ემჩნეოდა პროფესიონალიზმი, რაც ასე მწირია დღესაც. ყირიმის ომის შემდგომი ეპოქის გააზრებისას ნიკო ნიკლაძე ძველებური ცხოვრების წესის გადახედვას და შეცვლას მოითხოვდა. იგი ჟურნალ „კრებულის" 1873 წლის გამოცემაში წერდა: „ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობილება ადამიდამ შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა, და კაცის ხელით შეიცვლება" [8]. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ძველი თაობის ჩამორჩენილობას, რომელსაც არ სურდა თვალი გაესწორებინა ახალი ტენდენციებისათვის. ბატონ ნიკოს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, უცოდინარობა და ახალი მოთხოვნებისადმი გულგრილობა მიაჩნდა საზოგადოების მთავარ ნაკლად.

ნიკო ნიკოლაძე სვამდა კითხვებს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქართველი ახალგაზრდობის საქმიანობა, როგორ უნდოდა მას მსოფლიო ეკონომიკური პროცესებისათვის აეწყო ფეხი და გამოდგომოდა საკუთარ სამშობლოს. პუბლიცისტი ასევე პრაგმატულად უდგებოდა წარსულს, მიაჩნდა, რომ იგი იყო ბაზისი ახალი ცხოვრების დასაწყებად.

ქართული ჟურნალისტიკა და, კერძოდ, პუბლიცისტიკა ნიკო ნიკოლაძისა და მისი თაობის მოღვაწეთა ხელში მაღალ დონეზე იყო. მაშინ ჩვენი ჟურნალისტიკა მართლაც საუკეთესო ტრადიციებს ამკვიდრებდა და ნიკო ნიკოლაძის სახით ზოგადასაკაცობრიო მნიშვნელობის ფაქტად წარმოგვიდგება.

ნიკო ნიკოლაძე ორივე პუბლიცისტურ წერილში „ჩვენი ახალგაზრდობა" და „ახალი ახალგაზრდობა", ქართველ ახალგაზრდობას გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა. იგი მართებულად შენიშნავდა იმასაც, რომ მცირერიცხოვნებას მხოლოდ ერთიანი საასპარეზო გეგმით და საერთო იდეალების ერთგულებით უგულებელვყოფდით. დისციპლინა, ერთი მიზნის გაცნობიერება, მოქმედება მისი შესრულებისაკენ – ეს იყო პუბლიცისტის თვალით დანახული გამოსავალი.

ნიკო ნიკოლაძე „ცოდნასა" და „მოხერხებას" ერთიან კონტექტში ათავსებდა და ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხს მათი საშუალებით უქადდა გადაწყვეტას. მისი სიხარულის მიზეზი ყოფილა ციურიხის ქართველ სტუდენტთა კავშირი „უღელი", ეს გაერთიანებაც მას ახარებდა და იმედს უღვივებდა. ნიკო ნიკოლაძის, როგორც კეთილშობილი პუბლიცისტის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მას სურდა თავისი თაობას შეცდომები აერიდებინა ახალი, მომდევნო თაობებისათვის, მიეხვედრებინა ახალგაზრდა ქართველობა, რომ წარმატებისათვისც აუცილებელია ერთიანი, ჯაფური შრომა – კვლავ შრომა მიზნის მისაღწევად. საყურადღებოა ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძე „ახალ თაობას" უწოდებდა „თერგდალეულებს"; ხოლო 70-იანი წლების წარმომადგენლებს „ახალ ახალგაზრდობად" მოიხსენიებდა.

პუბლიცისტი განათლებასა და შრომას ქადაგებდა, რადგან დაუნდობელი კონკურენცია სწორედ განათლებულ და მშრომელ ხალხს წარმატებას მოუტანდა.

ჩვენთვის, როგორც პედაგოგიური ჟურნალისტიკით დაინტერესებულთათვის, ძალიან საყურადღებოა XIX საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწის შეხედულებები ახალგაზრდობასა და მის პრობმელატიკაზე. მით უფრო, რომ ამ დროს სწორე ეს საკითხებია აქტუალური და რეფორმის სფერო. საგანმანათლებლო რეფორმის ქვაკუთხედი დღესაც მსოფლიოსათვის ფეხის

აწყობა, კონკურენციის პირობებში აქტიურობა და ცოდნისა და შრომის თანხვედრაა.

დღევანდელი გადასახედიდან აქტუალობას არ არის მოკლებული ნიკო ნიკოლაზის მოსაზრებები საუნივერსიტეტო განათლებაზე. იგი გამოყოფს პრაქტიკულ და თეორიულ მხარეებს, იძლევა საინტერესო და მოწინავე შეხედულებებს. ავტორი დარგობრივი უმაღლესი სასწავლებლების მომხრეა, მაგრამ ცოდნა რომ საფუძვლიანი იყოს, ნიკო ნიკოლაძე საჭიროდ თვლის გიმნაზიების სტრუქტურის შეცვლას. მისი აზრით, გიმნაზიები ისე უნდა მოეწყოს, რომ „ყმაწვილი მასში პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას იძენდეს და თან უმაღლესი სწავლის და განათლების თავდაპირველ საფუძველსაც". ქართული ჟურნალისტიკის მკვლევარი დ. ჩიკვილაძე ასე აფასებს პუბლიცისტის ამ შეხედულებას: „ნიკო ნიკოლაძე გიმნაზიათა ორ ტიპს ასხვავებს: კლასიკურსა და რეალურს. მან კარგად იცის, რომ ძნელია ცხოვრების გარდაუვალი პროცესების შეჩერება, რომ განვითარების გზაზე მყოფი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მოითხოვს პრაქტიკული კადრების მომზადებას. ამდენად მომენტისათვის უფრო შესაფერისად რეალური განათლების პროგრესული პრინციპი მიაჩნია, რადგან სწამს, რომ სპეციალური სამეურნეო და სამრეწველო სასწავლებლები უნდა გახდეს დასაყრდენი მეურნეობის საერთო განვითარებისა. ნიკო ნიკოლაძეს გული შესტკივა განათლების მოწყობისა და სწავლების სწორი ორგანიზებისათვის, და ეს არც შემთხვევითია. იგი თვლის, რომ განათლება არის ძირი, რომელმაც უნდა მოაბრუნოს ქვეყნის განვითარების ბერკეტი" [9, 52].

როგორც ვხედავთ, დღევანდელი, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე თანამედროვე განათლების რეფორმის კარდინალური მიმართულება, რაც „პროფესიული სწავლების" დანერგვას და ხუთი საფეხურის ჩამოყალიბებას გულისხმობს, ნიკო ნიკოლაძის საგანმანათლებლო აზროვნებასთან ძალიან ახლოს დგას. პრაქტიციზმი და განათლება თანამედროვე სოციოკულტუროლოგიური აზროვნების საგანია – გლობალიზაციის ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი.

ნიკო ნიკოლაძეს პირველი რიგის საქმედ მიაჩნდა განათლების პროპაგანდა. ა. ბაქრაძე წიგნში „ნიკო ნიკოლაძე" აღნიშნავს, რომ პრესის თავისუფლებასა და განათლების საკითხებს ბატონი ნიკო უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „ჩვენი ქვეყანა, მძიმე ისტორიული ცხოვრების გამო ჩამორჩაო, – წუხდა იგი, როცა ჩვენ იძულებული ვიყავით თავის გადარჩენისათვის სისხლი გვეღვარა, მაშინ სხვა ქვეყნები ევროპაში დაწინაურდა, ცხოვრება მოიწყო. ახლა ჩვენ მათ პირდაპირ ღატაკად და ველურად გამოვიყურებითო. ჩვენ უთუოდ უნდა გავუთანასწორდეთ მათ. ამას რომ მივაღწიოთ, აუცილებელია განათლება, ბუნებისა და საზოგადოების კანონების ზედმიწევნით ცოდნა. ბუნებისა და საზოგადოების არსებობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ორივე სრულად მკაფიო კანონზომიერებას ემორჩილება. ბუნებაში ყოველიფერი ბუნების კანონს ემორჩილება და მასთან იღებს თავის ძალას და სიცხოველეს, ისე საზოგადო ცხოვრება, თავის უნებურად და უცოდნელათ, ასრულებს საზოგადოების მეცნიერების კანონებს და უსაყვედუროთ, უცილობლად მისდევს მას....; ბუნება ერთია, ყოველი მისი მოვლინება ერთ და იმავე უმთავრეს ბუნების კანონს ემონება; კაცის ცხოვრებაც ერთი ამ ნაირი მოვლენათაგანი არის, რომელიც ყველაფერში ბუნების კანონს მისდევს.... ამ ნაირათ, ბუნების მეცნიერება გულ-ხელ დაკრეფილ კაცს თავის ფილოსოფიით ამხნევებს და თავის წვრილმანი დაკვირვებებით და ცოდნით ხელში ათასნაირ იარაღს აძლევს ცხოვრების გასაუმჯობესებლად" [10, გვ. 96].

ასევე თანამედროვე და აქტუალური გვეჩვენება ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკის ის თემატიკა, რომელიც ეძღვნება საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკას. იგი ჩინეთისა და იაპონიის, სერბების, ამერიკის შეერთებული შტატების, კუბისა და სხვა სახელმწიფოების ცხოვრების ანალიზს შესაშური ოსტატობით ახდენდა. წამყვანი ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკას, დამპყრობლურ ომებს და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს აქტიურად ეხმიანებოდა და აშუქებდა.

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკა დღესაც საინტერესოა და აქტუალური, ამ ნიმუშებზე დღესაც შეიძლება პროფესიული დაოსტატება ჟურნალისტისა, რომელსაც სურს ნამდვილი პროფესიონალი იყოს და არაც მხოლოდ „ახალ ამბებზე მონადირე".

ქართული ჟურნასლისტიკის უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნევა ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის" გამოცემა 1863 წელს. ეს მოვლენა მრავალი კუთხით არის მნიშვნელოვანი. იმთავითვე იყო გაცხადებული მთავარი მიმართულება, რომ „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა" [12, 146-147]. ილია ყოველთვის მომხრე იყო მასებთან მჭიდრო კონტაქტისა, მას ხელოვნება ხალხის სამსახურის გასაწევად მიაჩნდა და „ცხოვრების მდინარის ძირში" ეგულებოდა აზრი ცხოვრებასა და შემოქმედებასაც.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა მეცნიერებისა დაფ ხელოვნების ხალხის სამსახურში ჩაყენების პათოსით არის აღსანიშნავი. სწორედაც მან გაუსვა ხაზი ცხოვრების მდინარებისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობას. წერილში „საქართველოს მოამბეზედ", იგი აღნიშნავს: „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება – იმისთვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორც ბუნებასა. გაცხოვნებელია პირველი ქროლვა გაზაფხულის პირველი დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი ერთმანეთს შეხარიან, უფრო მაცხოვნებელია პირველი ქროლა ახალი ცხოვრებისა – ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუს მძლეველი დედა შეჰხარის ახალ გაღვიძებულს ბავშვსა. გული სხვა რიგას ჰსცემს, როცა დედა-მიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა რიგათა ჰსცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა" [12, 146-147].

ილიას აზრები მკაფიო და მხატვრული სახეებით არის გაჯერებული, ეს მას ახასიათებს მთელი შემოქმედების მანძილზე. მიუხედავად პრაგმატიზმისა და რეალური თვალთახედვისა, ილია შედარებებს უხვად მიმართავს, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, რომ იგი მხატვრული სიტყვის ოსტატია, პოეტი და პროზაიკოსია. ყოველივე ეს ილიას პუბლიცისტიკას განუმეორებელს ხდის, მაგრამ მისი ჟურნალისტობის საუკეთესო ნიმუშები მოგვიანებით იხილავენ მზის სინათლეს. ილია, ისევე როგორც ნიკო ნიკოლაძე, შესაშური ოპერატიულობით აშუქებდა და აანალიზებდა ყირიმის ომსაც. უბადლოა ილიას ანალიტიკური სტატიები, მისი ხედვა და მისეული დასკვნები, მაგრამ ჟურნალისტური მოღვაწეობის დასაწყისში იგი მხატვრული სიტყვის ოსტატის როლს უფრო იფერებდა.

ილია „საქართველოს მოამბეში" მეცნიერებისა და ხელოვნების ცხოვრებასთან მიმართების თაობაზე დაბეჯითებით საუბრობდა. საინტერესოა

ის მომენტი, როდესაც რედაქტორი ილია ჭავჭავაძე მიანიშნებს გენიალური აზრების წინსწრებაზე ხალხის აღიარებასთან და მიღებასთან შედარებით. იგი სრულიად მართებულ დაკვირვებას გვთავაზობდა და წერდა: „კიდევ მოვა დრო განახლებისა, კიდევ ამ რიგად მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა" და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი" ისევ ცხოვრებაში და ჰსცვლის ცხოვრებასა. აი, როგორ შევიძელით, ვაჩვენეთ, რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან, როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადაჰსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და იმ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცხოვრებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ – ცნობიერებაზედ. მართალიც არის: რაც ცნობაშია მოყვანილი, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ ის გადადის ხალხში. მხოლოდ ის მიიღება ხალხისგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი ჰსცვლის ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა. ცნობაში მომყვანი და დამტკიცებული, როგორც ვჰსთქვით, მეცნიერება და ხელოვნება – ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოჰსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვა და სხვა ნაირად მოქმედობენ და გამოჰსთქვამენ" [12, 152].

ილიას პუბლიცისტიკა პრაგმატულ მოსაზრებებს ამზეურებს, იგი ცდილობს რაც შეიძლება ნათლად და მკაფიოდ განმარტოს სათქმელი. ამისათვის ხშირად სჭირდება აზრის რამდენჯერმე სხვადასხვა ინტერპრეტაციით გამოთქმა. ილიას სურდა თავისი დაეყვანა რიგით ქართველამდე, უბრალო ხალხამდე. ეს მაშინ უაღრესად საჭირო იყო და ოდესღაც აუცილებელია. პრესის ენა უნდა ყოფილიყო მოქნილი და შთამბეჭდავი, არც ძალიან უბრალო და დაცლილი მხატვრულობისგან – ასეთი იყო ილიას კონცეფცია.

ილიას ჟურნალისტობა სწორედ პედაგოგიური და პრაგმატული მოსაზრებით სჭირდებოდა. ილიას და „სამოციანელების" ხელში პრესა (ჟურნალი, გაზეთი) იყო მასის ცნობიერების აღზრდისა და განვითარების საშუალება. ეს მომენტი წარმატებით იქნა ათვისებული და მორგებული. ყველას თავისი სტილი ჰქონდა: ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს, იაკობ გოგებაშვილს, აკაკი წერეთელს, ანტონ ფურცელაძეს.... სხვებსა და სხვებს, მაგრამ სათქმელი და საკეთებელი ერთი იყო – ხალხის წარმართვა პროგრესისა და ევროპული აზროვნების პრაქტიკაში დანერგვისაკენ.

ილია თავის გაზეთსა თუ ჟურნალში განმანათლებლურ საქმიანობას ეწეოდა, ეს განპირობებული იყო იმ დროის მოთხოვნებით. საკუთარ თავს კოკრეტულ მიზანს უსახავდა, რომ ხალხში მოეფინა აზრი, წარემართა იგი პრაგმატული საქმიანობისაკენ და სასიკეთოდ წასდგომოდა ქვეყნის გასაჭირს. ილია ჭავჭავაძის მატერიალისტური აზროვნება მთლიანად თავსდება ეპოქის სულისკვეთებაში.

ჟურნალისტიკას ილია უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და დიდაქტიკური ხასიათის წარმონაქმნად მიაჩნდა. ჟურნალისტი პედაგოგიც იყო და აღმზრდელიც, აზრების პროპაგანდისტიც და მოღვაწეც.

ილიასთვის „საქართველოს მოამბეს" ერთი მიზანი ჰქონდა – მოემზადებინა ქართველთა გონება პრაქტიკული და პრაგმატული საქმიანობისათვის. ეს ქართული პრესის ოქროს ხანა იყო, დიდი პიროვნებების ასპარეზი და პროგრესის სარბიელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ტაბიძე ნ.**, ეტიუდები, თბ., 1986
2. **Лазутина Г.,** Основы творческой деятельность и журналистика, М., «Аспект Пресс», 2001
3. **Соколов В. Н**., Педагогическая эвристика. М., 1995
4. **Rorty, A.** Philosophers on education, New historical perspectives, London, 1998
5. **Dewey, J**. Experience and education, New York, 1997
6. **ჯაგოდნიშვილი თ.**, თაობათა მოძღვარი – ნოდარ ტაბიძე. გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2011
7. **სკანდელი ნ.,** „ჩვენი ახალგაზრდობა (საუბარი მკითხველთან"): ჟურნალი „კრებული", №2, ტფ., 1871
8. **სკანდელი ნ.,** „ახალი ახალგაზრდობა", ჟურნალი „კრებული", ტფ., №1, 1873
9. **ჩიკვილაძე დ.**, წერილები (ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხები), თბ., 1989
10. **ა. ბაქრაძე**, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1989
11. **ა. ბაქრაძე**, ილია და აკაკი, თბ., 1992
12. საქართველოს მოამბე. სალიტერატურო ჟურნალი. ტ. I. ტფ., 1963., ხელახალი გამოცემა, თბ., 1991

ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის მიმართება ნიკო ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის ტექსტების მიხედვით

გიორგი იაკობაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში შესწავლილია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესაში მოღვაწე ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების (ნიკო ნიკოლაძის და ილია ჭავჭავაძის,) საზოგადო საქმიანობა ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის მიმართებით. გამოვლენილია მათი მოღვაწეობის საერთო ნიშნები. სტატიის ავტორის დასკვნით, პედაგოგიური ჟურნალისტიკის სათავეებში კლასიკური მემკვიდრეობის მრავალმხრივი ინტერესებია ჩადებული, დაწყებული ეროვნული და პოლიტიკური საკითხებიდან, დამთავრებული საგანმანათლებლო სისტემის დემოკრატიულ-ლიბერალური მოწყობით. ამიტომ პედაგოგიური ჟურნალისტიკის საფუძვლად სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევარი უნდა ვიგულვოთ.

About journalism and publicism according to Niko Nikoladze, Ilia Chavchavadze

Giorgi Yakobashvili
Ph.D candidate of Georgian Technical University

Social works made by public figures of the XIX century (Niko Nikoladze, , Ilia Chavchavadze and Iakob Gogebashvili) in the sphere of journalism and publicism, were studied in this work. Some common features have been found out in their public works. According to the conclusion made by the author of the article, diversified interests of classical inheritance are laid in the sources of pedagogical journalism, including national and political issues as well as democratic-liberal arrangement of educational system. Hence, just the second half of the XIX century should be assumed as a basis of pedagogical journalism rise.

Журналистика и публицустика по текстам Нико Николадзе и Ильи Чавчавадзе

Георгий Иакобашвили
докторант ГТУ

В работе изучены стороны общественной деятельности грузинских писателей и общественных деятелей (Нико Николадзе и Ильи Чавчавадзе) в сфере журналистики и публицустики. выявлены общие приметы их деятельности в этом направлении.

По заключению автора статьи в основах истоков педагогической журналистики вложены многогранные интересы классической наследственности, начиная с национальных и политических вопросов, кончая вопросами устроиства либерально-демократической общеобразовательной системы.

Поэтому, основой педагогической журналистики можно считать именно вторую половину XIX века.

Язык СМИ в свете теории массовой коммуникации

Е.П. Козлова
Грузинский технический университет
Тбилиси, Костава. 77

Известно, что общество функционирует и развивается лишь при условии социального взаимодействия между его членами, осуществляемого с помощью языка. Люди пользуются языком, следуя внеязыковым интересам. За исключением так называемой фактической коммуникации, т.е. общения ради общения, мы используем язык, чтобы решить какие-то иные задачи: сообщить о важном событии, побудить собеседника к определенным действиям или их прекращению, выразить свои чувства или дать оценку чьим-либо поступкам. Наконец, в целом ряде случаев использование языка является если не единственным, то самым основным компонентом действия, в корне меняющим социальную действительность или индивидуальную среду.

Любое общение определяется тематикой (содержательно-информационным смыслом), условиями, в которых оно происходит, самими участниками, их характером, статусом, целями, намерениями, даже настроением отправителя и получателя сообщения.Бесконечное разнообразие этих параметров упрощенно сводимо к схеме, обычно представляемой в виде так называемого коммуникационного треугольника «адресант – информация – адресат».В рамках различных функциональных стилей эта схема трансформируется в соответствии с установками того или иного стиля, жанра, и наполняется конкретным смыслом. Из нее проистекают многие положения теории массовой коммуникации.

Для журналистики массовая коммуникация – главная область ее функционирования. Массовая коммуникация – это один из видов общения. Общение есть «не столько процесс внешнего взаимодействия изолированных личностей, сколько способ внутренней организации и внутренней эволюции общества как целого, процесс, при помощи которого и может осуществляться развитие общества – ибо это развитие предполагает постоянное динамическое взаимодействие общества и личности» [4, с.54].Предметом или содержанием массовой коммуникации является социальное

взаимодействие внутри определенного социального коллектива (общества), или изменение системы социальных (общественных) отношений в данном коллективе (обществе), его социальной или социально-психологической структуры, содержания общественного сознания или непосредственной социальной активности членов данного общества. В этом случае, одна часть общества воздействует на другую его часть с целью оптимизации деятельности общества: укрепления его социально-психологической сплоченности, усиления его внутренней стабильности, повышения уровня сознательности, информированности и т.д..

Объектом такого социального воздействия является общество в целом или какая-то его группа, а субъектом, обслуживающим это социально ориентированное общение – человек или группа лиц, которым общество доверяет в данной конкретной ситуации выступать от своего лица. Чаще всего все эти полномочия делегируются работникам СМИ - телекомментаторам, автор газетной рубрики или статьи, тележурналистам, берущим интервью у политического деятеля и т.д.

Следует подчеркнуть, что любое общение не является однонаправленным ни с точки зрения структуры коммуникативной сети, ни с точки зрения самого процесса общения. Обратная связь может быть двух видов. К первому виду относят специальные интерактивные каналы: письма, звонки на теле- и радиостанции, вопросы-ответы в прямом эфире, письма в редакцию и прочее. Обратная связь подобного рода изменяет и совершенствует организацию общения, но на сам процесс общения непосредственно не влияет. Более значим второй вид обратной связи. К нему относят представления коммуникатора о возможной и ожидаемой реакции реципиента на высказывание. Практически каждый журналист может с достаточной степенью уверенности предсказать, какую реакцию вызовет у аудитории его сообщение. Именно этот вид обратной связи (скрытая обратная связь) особенно важен для динамики общения. От того, какое слово выберет журналист, насколько образной, выразительной, доступной и понятной будет его речь, зависит успех и эффективность его выступления.

Каждого автора характеризуют определённое отношение к действительности и связанное с ним отношение к речи. О чем бы ни писал журналист, он всегда выступает как человек социальный. Это может быть открытая, энергичная защита (или опровержение) каких-либо тезисов, положений, мнений с использованием многообразных средств интеллектуального или эмоционального воздействия, или сдержанное, почти нейтральное изложение. Спектр проявления человека социального в тексте многообразен, практически неисчерпаем.Не менее важна и вторая грань категории «автор» – человек частный. Она выдвигает на передний план личность публициста, которая в большей или меньшей степени проявляется в тексте.

Для осуществления коммуникации, общения с массовой аудиторией, необходимо обладать коммуникативными качествами речи, т.е. такими свойствами речи, которые помогут организовать общение, сделать его более эффективным. Термин «коммуникативные качества речи» был предложен сравнительно недавно, в 60-е годы XX века, ученым-лингвистом Б.Н.Головиным [3,с.37], который впервые объединил эти качества в систему, охватывающую соотношения речи и действительности, речи и языка, речи и мышления, речи и сознания. По этим соотношениям выделяются правильность, чистота, точность, богатство, логичность, уместность, доступность и выразительность как основные достоинства речи адресанта. Их можно считать как достоинствами самой речи, так и коммуникативными качествами автора журналистских произведений, а неуместность, неправильность, засоренность, недоступность, неточность, нелогичность, бедность и невыразительность – недостатками речи, мешающими журналисту установить контакт с аудиторией.

Речь журналиста-автора текста может быть эффективной только тогда, когда она уместна, то есть соответствует всем параметрам коммуникативной ситуации. Различаются два основных вида уместности: содержательная (соответствие содержания высказывания условиям общения) и стилистическая (соответствие употребления автором речевых средств содержанию, жанру и стилю высказывания).

Классическим примером содержательной уместности речи считается известное всемтребование не говорить в доме повешенного о веревке. Хотя, в то же время, сочетание в одном номере периодического издания (а иногда и на одной полосе) материалов о трагедиях и разного рода катаклизмах и текстов юмористического плана стало привычным явлением.

Требование стилистической уместности может быть применено весьма условно, поскольку в публицистическом стиле допускается использованием почти всех средств языка и речи. Но даже в этих условиях относительной свободы выбора речевых средств встречаются нарушения стилистической уместности.

Вторым необходимым качеством речи журналиста, тесно связанным с коммуникативной ситуацией, является доступность. Доступность предполагает такое построение речи, при котором уровень её сложности (и в терминологическом, и в содержательном, и в структурном отношении) соответствует интеллектуальному уровню адресата.

Качеством речи, обеспечивающим общность «кода» коммуникантов разного образовательного и интеллектуального уровня, является правильность. С позиций культуры речи правильность – основное коммуникативное качество, обеспечивающее взаимопонимание. Правильная речь – это речь, в которой соблюдены нормы современного литературного языка [1, с.34].Нарушение норм русского литературного языка происходит по разным причинам. Это и невнимательность, и незнание того, как нужно говорить или писать, и намеренное отступление от нормы в целях усиления выразительности речи.Забота о правильности речи – это забота не только о сохранении языка, но и о том, чтобы вследствие языковой ошибки не возникло ошибки коммуникативной, чтобы адресат адекватно воспринял всё, о чём хотел сказать автор.

С правильностью тесно связана чистота речи. По своей сути, чистота – это частное проявление правильности, ибо чистой называют речь, свободную от лексики, находящейся за пределами русского литературного языка (варваризмов, жаргонизмов, диалектизмов, слов-паразитов и др.)

Точность речи – следующее условие ее адекватного понимания. Точной называют речь, если значения слов и словосочетаний, употребленных в ней, полностью соотнесены со смысловой и предметной сторонами речи [3, с.42]. Принято различать два вида точности: фактическую (предметную) и теоретическую (понятийную). Фактическая точность подразумевает правдивость передаваемой информации. Теоретическая (понятийная) точность обеспечивает адекватное понимание речи адресатом, если слова употреблены в полном соответствии с их значением.Коммуникативное качество точности тесно связано с таким качеством речи, как логичность.Логичность проявляется как на уровне предложения, так и на уровне всего текста. Основным критерием для оценки логичности газетных публикаций является непротиворечивость, последовательность и целенаправленность в изложении информации.

Богатство речи обеспечивает эстетическую сторону высказывания и расширяет ее возможности в передаче оттенков мыслей и чувств, Таким образом, богатство речи – качество, которое свидетельствует об уровне речевого мастерства, об осознанном стремлении автора разнообразить свою речь использованием различных выразительных языковых и речевых средств.Уровень лексического богатства речи

журналиста определяется знанием различных пластов лексики (нейтральной, эмоционально-оценочной, фразеологизмов, крылатых выражений и т.д.) и, что еще важнее, умением использовать эти знания.

Если автору есть что сказать, он будет стремиться сделать свою речь разнообразной. Задача журналиста - пробудить интерес к материалу, задержать внимание читателя на нем. Поэтому речь автора должна быть выразительной. Главное условие выразительности – наличие у журналиста своего стиля, своего голоса, своей позиции. Выразительность обычно подразумевает оригинальность, неповторимость, неожиданность. Именно этим она способна вызвать интерес и одобрение у тех, кому она предназначена.

И ещё одно немаловажное замечание: если цель коммуникативного акта определяет адресант, то уместность акта, а значит и его успешность, во многом зависят от адресата, который должен быть готов для решения поставленной коммуникативной задачи в заданных условиях общения.Статус адресата и степень близости отношений между участниками коммуникативного акта определяют, в конечном итоге, его успешность и эффективность.

Литература

1. Актуальные проблемы культуры речи / Под ред. В.Г. Костомарова и Л.И. Скворцова. М., 1970.
2. Смелкова З.С., Ассуирова Л.В., Савова М.Р., Сальникова О.А.. Риторические основы журналистики. М., 2007.
3. Язык СМИ как объект междисциплинарного исследования. М., 2003.
4. Язык современной публицистики. / Составитель – проф. Г.Я. Солганик. М., 2008.

Language of media in the light of the theory of mass communication

E. Kozlova

It is known that the society operates and develops only if the social interaction among its members, carried out by means of language. The ability to read speech situation, understand the interlocutor (the audience), it is equally important for a journalist than the subject of speech fluency. As the essential quality of the profession of journalism should be the ability to adjust the speech event, choosing the best option for an audience of effective communication.

Язык СМИ в свете теории массовой коммуникации

Е.П.Козлова

Известно, что общество функционирует и развивается лишь при условии социального взаимодействия между его членами, осуществляемого с помощью языка. Умение прочитывать речевую ситуацию, понимать собеседника (аудиторию) не менее важно для журналиста, чем свободное владение предметом речи. Как сущностное качество профессии журналиста следует рассматривать умение корректировать речевое событие, выбирая оптимальный для аудитории вариант результативной коммуникации.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პედაგოგიური პოტენციალის მეცნიერული რეალიზაციის საფუძვლები

გოჩა ტყეშელაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, საზოგადოების ინფორმირების გარდა, რაც მათი უპირველესი დანიშნულებაა, სხვა მრავალი ფუნქციაც აქვთ აღებული საკუთარ თავზე, განსაკუთრებით დღეს, როცა დედამიწის უდიდესი ნაწილი მასმედიაზე პირდაპირ თუ ირიბად დამოკიდებული გახდა და როცა მასმედიას თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანმა ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, რომ მის მიერ შექმნილმა ამ უშველებელმა მანქანამ, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ჰქვია და რომელსაც უზარმაზარი პოტენციალი აქვს, მისთვის სასიკეთოდ იმუშავოს და მასზე რაც შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს. განსაკუთრებით უნდა იქნას გამოყენებული მასმედიის პედაგოგიური პოტენციალი და მისი გავლენა ადამიანებზე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობას აქვს იმას, რომ ეს გავლენა მოზარდ თაობაზე მაქსიმალურად დადებითი და აღმზრდელობით-შემეცნებითი ხასიათის იყოს.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია, როგორ არის გაგებული ზოგადად მასმედიის პედაგოგიური პოტენციალი, მხოლოდ შემდეგ ხდება უპრიანი საუბარი მის გავლენასა თუ გამოყენების გზებზე. მედიაპედაგოგიკა მრავალმხრივი და მრავალფუნქციური სფეროა და მას ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია, რომლის პოზიტიურად და საზოგადოებისთვის საკეთილდღეოდ გამოუყენებლობა შესაძლოა საზოგადოების წინაშე ჩადენილ დანაშაულსაც კი შევადაროთ, თუ იმ მასშტაბებს გავითვალისწინებთ, რასაც მოიცავს მედია ერთიანობაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პედაგოგიური პოტენციალი არის მასმედიის პედაგოგიური დატვირთვა, რომელსაც საზოგადოებაში აღმზრდელობით-პედაგოგიური ფუნქცია უნდა ჰქონდეს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პედაგოგიური პოტენციალის რეალიზაციის სამეცნიერო-მეთოდური საფუძვლები – ზოგადპედაგოგიური, სოციალურ-ფილოსოფიური, კულტუროლოგიური, ფენომენოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური, – საშუალებას იძლევა მასმედიის სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ტრიადით კომუნიკატორი-მასმედია-პროდუქტი-აღმქმელი, იქნას განხილული როგორც მოსწავლე ახალგაზრდობასთან პედაგოგიური ურთიერთქმედების სუბიექტი, რაც თავის მხრივ მას (მოსწავლე-ახალგაზრდობას) საშუალებას აძლევს, როგორც მედიის პროდუქციის აღმქმელს, ეფექტურად და ნაყოფიერად, პედაგოგიურად იურთიერთქმედოს მასმედიის სისტემასთან და დამოუკიდებლად ააგოს მასთან ურთიერთობები...

მასმედიის სისტემა, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობასთან პედაგოგიური ურთიერთქმედების სუბიექტია, მაქსიმალურად პედაგოგიურად ეფექტურად მოქმედებს მოსწავლეების მიერ მასმედიის სისტემის გარეგნული თუ შინაგანი ურთიერთქმედების მთელი სიმდიდრის გაგების საფუძველზე. სისტემური მიდგომა საშუალებას იძლევა, სკოლის მოსწავლე ადეკვატურად ორიენტირდეს მასმედიის მოღვაწეობაში, იმავდროულად მასში ინდივიდუ-

ალურ-პიროვნული მედიაკულტურის ფორმირება მასმედიის სისტემის პედაგოგიური პოტენციალის წარმატებული რეალიზაციის საფუძველია.

საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პედაგოგიური ფუნქციონირების განხილვისას ხაზგასმულია ის, რომ იგი შეიცავს რიგ ფუნქციურ-პედაგოგიურ კომპლექსს. განისაზღვრება საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პედაგოგიური პოტენციალის ადგილი და როლი, ამისათვის მასმედიის სისტემისა და საზოგადოების სისტემის ურთიერთქმედება განიხილება გნოსეოლოგიური, აქსიოლოგიური, მეთოდოლოგიური და პრაქსიოლოგიური ასპექტების პოზიციიდან. სოციალური მოღვაწეობის სფეროებთან მასმედიის ურთიერთქმედებისას მისი პედაგოგიური პოტენციალი რეალიზდება ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სამეცნიერო, მხატვრულ, პოლიტიკურ-მმართველურ, პედაგოგიურ, სამედიცინო და ფიზკულტურულ სოციალურ მოღვაწეობაში.

საზოგადოებაში თანამედროვე მედიის ფუნქციებთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და კომუნიკაციის ფუნქციების შესახებ წარმოდგენა იმიტომ იცვლებოდა, რომ იცვლებოდა თვით საგანი. როდესაც განვიხილავთ ელექტრონულ მედიას მისი საგანმანათლებლო ფუნქციების რეალიზაციის თვალსაზრისით, მნიშვნელობას იძენს შესაბამისი მედიაპროდუქტებისა და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მათი გამოყენების კლასიფიკაცია. ამ კონტექსტში აუცილებელია სწავლების თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიისა და არსებული პროგრამული საშუალებების გაცნობა.

...ახალი მედიების, განათლებაში მათი როლისა და ფუნქციის შესწავლის სფეროში თანამედროვე მკვლევართა ნამუშევრების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გაკეთდეს დასკვნა, რომ ავტორების უმრავლესობა მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებს უპირველეს ყოვლისა განიხილავს, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების ეფექტურობის ამაღლების საშუალებას. თანამედროვე ელექტრონული მედია (პირველ რიგში ტელევიზია, პერსონალური კომპიუტერები და ინტერნეტი) და მისი შესაბამისი მედიაპროდუქტები, რომლებიც აერთიანებენ მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის აქამდე არსებულ ყველა საშუალებას, როგორც წესი, თავიანთ აუდიტორიაზე ზემოქმედების ფუნქციების მთელი კომპლექსის რეალიზებას ახდენენ. ერთი მხრივ, ეს მრავალფუნქციურობა მართლაც ხსნის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისთვის შესაძლებლობების ფართო დიაპაზონს. მეორე მხრივ კი, ასეთი სიტუაცია პედაგოგებისგან, რომლებიც ელექტრონულ მედიას, გამოცემებსა და რესურსებს იყენებენ მუშაობისას, მოითხოვს მათი მეცადინეობების მიზნებისა და ამოცანების გულმოდგინე დაგეგმვასა და ზუსტ გაგებას. ეს საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული მედიის სხვადასხვა ფუნქციის ნეგატიური შედეგი. გარდა ამისა, მასწავლებელი უნდა ფლობდეს აქტუალურ ინფორმაციას სასწავლო დანიშნულების მქონე მედიაპროდუქტების არსებობის შესახებ, შეეძლოს მათი ეფექტურად გამოყენება.

მედიისა და სკოლის ურთიერთქმედების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს. კულტურის ინფორმატიზაცია არის ასევე ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა, რომელსაც ალბათ შეუძლია ბევრ შეკითხვაზე გასცეს პასუხი. დღეს აშკარა ხდება, რომ ცივილიზაციის შემდგომი განვითარება იმაზეა დამოკიდებული, როგორ აიგება ურთიერთობა მედიასა და ადამიანის პიროვნებას შორის, მედიასა და კულტურას, მედიასა და განათლებას შორის.

ამიტომ აღნიშნული საკითხი მოითხოვს ფილოსოფოსების, ეკონომისტების, სოციოლოგების, პოლიტოლოგების, პედაგოგების მხრიდან დიდ ყურადღებას. და ეს პრობლემები მხოლოდ კომპლექსურად უნდა იქნას გადაწყვეტილი.

დასავლურ წყაროებში მედიაპედაგოგიკა წარმოდგენილია როგორც სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც მედიის კონტექსტში აღზრდისა და განათლების საკითხებით არის დაკავებული. ფართო გაგებით ეს პედაგოგიურად ორიენტირებული ცოდნისა და პრაქტიკის სფეროა, დაკავშირებული სხვადასხვა მედიასაშუალებასთან. ის ასევე განიხილება როგორც პედაგოგიკის სპეციფიკური განხრა, რომლის ჩარჩოებშიც შეიძლება ისეთი ნაწილების გამოყოფა, როგორებიცაა მედიადიდაქტიკა (მედიის როლის, ფუნქციისა და მნიშვნელობის პრობლემები სწავლების პროცესში), მედიააღზრდა (წყვეტს სხვადასხვა მედიარესურსსა და წინადადებასთან გონებრივი, გააზრებული მედიასარგებლობისა და კრიტიკული მიდგომების საკითხებს), ინფორმაციულ-ტექნიკური განათლება (მედიაკომპეტენციისა და მედიაცნობიერების ფორმირებისკენ არის მიმართული, რომლებიც აუცილებელია მედია და სამეცნიერო საზოგადოებაში მონაწილეობისთვის და საბაზო კვალიფიკაციებად.

მედიის, როგორც სწავლების საშუალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა მისი უნარი, თვალსაჩინოდ წარმოადგინოს სხვადასხვა სახის პროცესები, მოვლენები, ანუ აამოქმედოს აზროვნების თვალსაჩინო კომპონენტები, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ სწავლების პროცესში, მათ შორის მრავალი თეორიული ცნების განმარტებისა და ათვისებისას.

მედიას ასევე აქვს მდიდარი აღმზრდელობითი შესაძლებლობები, თუნდაც ის, რომ მოსწავლეებს აკურატულობას, ყურადღებასა და ორგანიზებულობას უვითარებს. გრაფიკული გამოსახულებები, მუსიკალური ფრაგმენტები დაძაბულობას ხსნის. ინტელექტუალური თამაშები, კომპიუტერში თუ ტელევიზორში, გონებას ავითარებს. თანამედროვე მედიასაშუალებები უზრუნველყოფენ სხვადასხვაგვარი ინფორმაციის მიღების სიიოლეს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია, რათა მოსწავლე ახალგაზრდობას იოლად და თვალსაჩინოდ გადაეცეს სასარგებლო ინფორმაცია.

საინფორმაციოს გარდა, ტელევიზიის კიდევ ექვსი ფუნქციის დათვლა შეიძლება, და ექვსივეს აქვს კავშირი აღზრდასთან. რეკრეატიული, ორგანიზატორული და ინტეგრაციული დაკავშირებულია აღზრდისთვის პირობების შექმნასთან, თანაც, ეს უკანასკნელი სხვა ფუნქციების ზემოდან მოქცევით, მათ უკიდურესად ეფექტურ სისტემად აერთიანებს.

როგორც მათი სახელწოდებიდან გამომდინარეობს, კულტურულ-საგანმანათლებლო, სოციალურ-პედაგოგიური და სასწავლო ფუნქციები ტელევიზიის აღმზრდელობითი მიმართულების დეტერმინირებას ახდენენ.

ნებისმიერი სატელევიზიო გადაცემა ამა თუ იმ სახით მაყურებელს კულტურასთან აზიარებს. ინფორმაციულ გამოშვებებშიც კი, ეკრანზე გამოჩენილი ადამიანების სახე, მათი ურთიერთობის მანერა, განათლების ხარისხი გავლენას ახდენს მაყურებლის აზროვნებაზე. ამგვარად, კულტურასთან კავშირი ნებისმიერ ტელეგადაცემას აქვს. მაგრამ კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციებს ყველა როდი ასრულებს. საკმაოდ მწირია ისეთი სატელევიზიო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს აღებული საკუთარ თავზე. არადა, ტელევიზიას შეუძლია, გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს თუნდაც პატრიოტულად დამუხტული გადაცემების სიმრავლით, რაც ასე აკლია დღევანდელ მაუწყებლობას...

Media pedagogy studies pedagogical potential of Mass media and its influence on people. It is specially important that this influence must have maximally positive and educational-cognitive temper. It is important to determine pedagogical potential of Mass media and understand concept of Media pedagogy. Especially in case, that in reality of Georgia capacity of Media pedagogy is used minimally.

Медиапедагогика

Медиапедагогика изучает педагогический потенциал масмедий и его влияние на людей. Особенно большое значение имеет то, чтобы это влияние на подрастающее поколение оказалось максимально положительным и воспитательно-познавательным. Очень важно определить педагогический потенциал масмедий и само понятие медиапедагогики, особенно на том фоне, когда в грузинской реальности потенциал медиапедагогики используется всего лишь минимально.

Лингвистические аспекты перевода в деятельности журналиста

Мзия Гудушаури
Грузинский технический университет
Тбилиси, Костава 77

Значение журналистики в наши дни трудно переоценить. Никакие другие роды и виды словесности не оказывают на общество и его институты столь сильное и всеохватывающее влияние, как СМИ. Журналистика, традиционно считавшаяся «однодневной», вдруг оказывается все более значимой по своему влиянию на умы людей, а, следовательно, по тому месту, которое она занимает в формировании новой системы ценностей. Общеизвестно, что долгое время в теории журналистики недооценивался ряд факторов, способствующих формированию всесторонне образованного, сведущего в разнообразных, смежных журналистике, областях знаний и дисциплин специалиста. Сегодня ситуация изменилась. Анализируя журналистскую деятельность вообще и журналистское произведение – текст – в частности, исследователи все чаще обращаются к данным смежных журналистике дисциплин. Например, языковые факты стали чаще рассматриваться во взаимосвязи с экстралингвистическими, а собственно лингвистические явления анализироваться с опорой на социолингвистические критерии, что требует от журналиста специальных знаний.

В практической деятельности журналист все чаще сталкивается с необходимостью перевести на иностранный (или с иностранного на родной) язык тот или иной материал, причем как в устной, так и в письменной форме. И, если устный перевод – беседа с иностранным респондентом, к примеру, - не требует специальных знаний, достаточно просто владения иностранным языком, то письменный перевод ряда специфических, наделенных своеобразными параметрами журналистских текстов, требует специальной подготовки в области теории перевода

Самое общее понимание сути перевода сводится к его трактовке как средства межъязыковой коммуникации. Перевод рассматривается как вид языкового посредничества, при котором содержание иноязычного текста (оригинала) передается

на другой язык путем создания на этом языке информационно и коммуникативно-равноценного текста (3, 75).

Существуют две основные концепции перевода: лингвистическая и литературоведческая. Существуют и два круга проблем в науке о перевод.

Первый круг проблем — это проблемы границ перевода, связанные с вопросом переводимости текста. Второй круг проблем, соотносительный с первым и носящий более частный характер,— это проблема адекватности перевода. Эти два круга проблем и их решение определяют нормативную основу перевода. Последняя складывается из рамочных статистических норм и вариативных правил перевода языкового текста.

Рамочные нормы очерчивают переводческое поле, т.е. границы переводимости текста. Вариативные правила определяют характер эквивалентного соотнесения языковых единиц оригинального и переводящего языков.

Нормы и правила перевода соотносятся как *условия* (нормы) и *обусловленное* (правила). (1, 60) Иными словами, нормы в общем плане обусловливают правила, а последние — выбор соответствующего эквивалента (лексического или грамматического) из системы языка во всем его стилистическом многообразии.

Переводческие нормы определяют специфику переводческой деятельности в смысле степени самостоятельности переводчика в процессе перевода.

Различают несамостоятельную переводческую деятельность, близкую к тиражированию, т. е. деятельность, предполагающую тесную привязку к переводимому тексту (это касается, прежде всего, официально-деловой, научно-технической документации), и относительно самостоятельную переводческую деятельность (публицистические и художественные тексты), допускающую определенную свободу переводчика. Нас интересует предпереводный анализ современной публицистики, о стилистическом своеобразии которой следует сказать насколько слов.

В начале XXI века складывается такая система массовой коммуникации, которая позволяет распространять информацию на практически неограниченную аудиторию. Масс-медиа влияют на сохранение единства общества и на формирование общественного мнения, на сознание людей и на систему духовных ценностей, на национальную культуру и речевую практику социума.

Газетно-публицистический стиль охватывает массовые популярные политические тексты, воздействующие на актуальные общественно-политические процессы оперативным документальным отображением, основанном на идейно-политическом осмыслении и эмоционально выраженной оценке.

Понятие газетно-публицистического стиля складывается из языка газет, общественно-политических журналов, воззваний и прокламаций, из языка докладов, выступлений, бесед, речей, дискуссий, языка радио- и телепередач, документально-публицистического кино. Политическая информация охватывает явления, факты и события политической сферы жизни общества, т.е. отношения между классами, нациями, государствами. Сюда же включаются сообщения о событиях и явлениях, происходящих в других областях общественной жизни, прежде всего в экономике и культуре, имеющие политическое значение.

Газетно-публицистический стиль, входя в систему массовой коммуникации, не является обезличенным. Он индивидуализирован по группам людей: возрастным, образовательным, социальным, идеологическим, по интересам и т.д. Групповая индивидуализация общественно-политической коммуникации обусловливает ее

экспрессивность и эмоциональность, которая конкретизируется в соответствующих речевых жанрах.

Эмоционально-экспрессивная функция газетно-публицистического стиля характеризуется, прежде всего, открытой оценочностью. В отличие от художественных произведений, в публицистике не подтекст, а сам текст вполне определенно выражает оценочное отношение к излагаемым фактам.

Газетно-публицистический стиль как вид системы массовой коммуникации является, как уже упоминалось, сложным явлением из-за неоднородности его целей и условий общения и из-за особенностей экстралингвистической, т.е. содержательной основы.

Следует отметить, что в настоящее время, когда язык и стиль СМИ столь динамично меняются, масс-медиа не всегда поддерживают те нормы речеупотребления, которые предлагает литературный язык. Нормативные отклонения могут быть обусловлены самыми разными причинами: иногда стремлением к большей выразительности, яркости текста, иногда целью развлечь публику, иногда желанием больше соответствовать вкусам и возможностям аудитории.

Трансформация представлений о норме, изменение системы функциональных стилей, новые условия существования СМИ приводят к изменению нормативных образцов и затрагивают как основы культуры речи, так и всю систему языка. Анализ публицистического дискурса показывает, что нормы этого стиля в настоящее время испытывают давление со стороны стереотипов разговорной и ненормированной речи. А это, в свою очередь, требует от журналистов-практиков и переводчиков высокой культуры владения языком, которая предполагает не только соблюдение лингвистических и стилистических норм, но включает и этические требования к речевому поведению автора. Все вышесказанное определяет необходимость постоянного мониторинга масс-медиа, учитывающего изменения как в обществе, так и в языке печатных СМИ.

Все, что ранее дополнительно обусловливало единство публицистического стиля в масштабе текста (композиционно-смысловые факторы) – идеологические ограничения, цензурные рамки, четкий набор жанров, жесткая система речевых норм, в настоящее время, в силу межстилевой интерференции все меньше влияет на особенности языка современных СМИ. Осуществляется своеобразное «размывание» границ под воздействием разговорной речи, научного и делового стилей. Формирующийся на месте публицистического стиля функциональный язык СМИ характеризуется комплексностью и многообразием способов выражения и воздействия на получателя информации.

Впервые за всю историю существования постсоветских СМИ (в том числе и грузинских), в медиа-тексты таким бурным потоком хлынули выражения и конструкции, присущие разговорной и профессиональной речи, жаргонам и диалектам. Широкое использование некодифицированной лексики во многом связано с прагматической целью добиться новизны подаваемой информации и необходимостью повысить выразительность медиа-текстов. Применяя эти приемы обновления медийного текста, авторы, с одной стороны, «легализуют» подобные внутренние заимствования (3, 76), закрепляя в узусе то или иное языковое новшество; с другой стороны – расшатывают литературные нормы русского литературного языка. При этом единицы лексики и фразеологии функционального языка СМИ теряют присущую им экспрессию, превращаясь в привычные для речевой практики средства номинации. При ориентации на тексты СМИ облик современного литературного языка предстает весьма далеким от канонического. Языковая игра, создание авторских окказионализмов,

трансформация устойчивых выражений, активное использование прецедентных текстов – все эти приемы, присущие современному речетворчеству журналистов, построены, в ряде случаев, на нарушении принятых речевых норм. Следует отметить, что, все отмеченные тенденции в большей степени характерны для текстов российских СМИ, в отечественных публикациях на русском языке этих явлений меньше, но и они присутствуют.

Возвращаясь к проблеме перевода текста периодики следует отметить, что точный перевод, по определению, невозможен в силу того, что разные языки отличаются как по грамматическому строю, так и по простому количеству слов, не говоря уже о различии культур. В процессе перевода часто оказывается невозможным использовать соответствия слов и выражений, которые имеются в словаре. Журналистский или публицистический текст в этом отношении не является исключением. Отсюда – необходимость и важность такого этапа в деятельности журналиста-переводчика, как предпереводный анализ исходного текста.

Если анализ сделан качественно, с учётом всех лингвистических и экстралингвистических факторов оригинала, перевод будет сделан максимально адекватно, что, в конечном итоге, позволит говорить о его семантической и стилистической соотнесённости с исходным текстом. Стать цельным произведением, не рассыпаться на отдельные чужеродные

составляющие тексту перевода, в этом случае. позволит оптимальное языковое соответствие тексту оригинала, а также эквивалентная ему структурность – максимально выверенная организация текста перевода.

Итак, каждый текст требует особого подхода, скрупулезного предпереводного анализа. Существуют, а главное, поддаются систематизации некоторые принципы, следуя которым, возможно разработать стратегию действий, позволяющих успешно решать переводческие проблемы.

Литература:

1. Брандес М.П., Проворотов В.И. Предпереводческий анализ текста. М., 2001.
2. Комиссаров В.Н. Теория перевода в лингвистическом аспекте. М., 2005.
3. Корконосенко С. Г. М., 2006.

Linguistic aspects of translation in the activities of journalists

Mzia Gudushauri
GTU

The modern journalist should be equipped with a wide variety of knowledge in various fields. In our case, when the study requires the need for special knowledge in the field of translation theory in the in education and activities of a journalist, this requirement is especially important sounds. There are, and most importantly, lend themselves to organize some of the principles, following which there may develop a strategy for action, to successfully solve translation problems in the work of a journalist.

Лингвистические аспекты перевода в деятельности журналиста

Мзия Гудушаури
Грузия, Грузинский технический университет

Современный журналист должен быть вооружен самыми разнообразными знаниями в самых различных областях. В нашем случае, когда требует обоснования необходимость специальных знаний в области теории перевода в образовании и деятельности журналиста, это требование звучит особенно актуально. Существуют, а главное, поддаются систематизации некоторые принципы, следуя которым, возможно разработать стратегию действий, позволяющих успешно решать переводческие проблемы в работе журналиста.

„ჟურნალისტიკის სოციოლოგიის” სტატუსისა და საგნის შესახებ

სრული პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

„ჟურნალისტიკის სოციოლოგია” დამოუკიდებული სასწავლო კურსის სტატუსით ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამაში უკანასკნელ ხანებში დამკვიდრდა, თუმცა ჯერ-ჯერობით მკაფიოდ და ცალსახად არ არის გამოკვეთილი მისი სტატუსი. ერთ შემთხვევაში იგი მოიაზრება ჟურნალისტიკის სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსად, სხვა შემთხვევაში სოციოლოგიის მეცნიერებათა წიაღიდან მომდინარე დისციპლინად, რომელსაც კვლევების ობიექტი ჟურნალისტური შემოქმედებითი საქმიანობა და ჟურნალისტისკიმცოდნეობის ფართო სფეროთი აქვს განსაზღვრული. ამგვარი ვითარება, ბუნებრივია, ხელს ვერ უწყობს „ჟურნალისტიკის სოციოლოგიის”, როგორც სასწავლო კურსის, სტატუსის განსაზღვრას და მისი საგნის შინაარსისა და ინტერესთა საზღვრების დადგენას.

გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ ჯერ-ჯერობით „ჟურნალისტიკის სოციოლოგიის” არსით, სტატუსის რკვევით ჩვენში უფრო სოციოლოგები არიან დაინტერესებულნი, ვიდრე ჟურნალისტიკისმცოდნენი. შესაბამისად მწირია პუბლიკაციები ჟურნალისტიკის სოციოლოგიის პრობლემებზე.

სოციოლოგია ფართო გაგებით საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებების ზოგადი თეორიაა. მისი სტატუსის ამგვარი შინაარსი განსაზღვრულია მისი ინტერესებისა და აქედან გამომდინარე ამოცანების სიუხვითა და მრავალმხრივობით. ადამიანური საზოგადოება უაღრესი მრავალგვაროვნობით და დონეებრივი სირთულეებით ხასიათდება. ყოველ მხარეს და ყოველ დონეს, ტრადიციულად, თავისი კონკრეტული მეცნიერული დარგი შეისწავლის, ხოლო იმის გამო, რომ ყველა ამ დარგის კვლევის საგანი არსით სოციოლოგიურია, თავად ეს მეცნიერული დარგებიც სოციალური მიმართულების (და მიმართულებების) მეცნიერებათა სიმრავლეს შეადგენენ და არა უბრალო სიმრავლის, არამედ სისტემურ სიმრავლეს. ამასთან, თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების პარადიგმის სიმძიმის ცენტრის ადამიანის კვლევისაკენ კარდინალური გადახრის გამო, სოციოლოგია,

როგორც ადამიანისმცოდნეობა, ღრმად შეიჭრა ისტორიულად ცოდნის ცალკე დარგად ჩამოყალიბებული მეცნიერებების სფეროებში და სათავე დაუდო ე. წ. ინტერდისციპლინურ, მრავალდარგობრივ თუ მეცნიერების სფეროს დარგთა შორის ახალ, სინთეზური ბუნების ახალ მეცნიერულ დარგებს, ისეთებს, მაგალითად, როგორიცაა „სოციალური ფსიქოლოგია", „სოციალური ლინგვისტიკა" (ლინგვოსოციოლოგია), „პოლიტიკური სოციოლოგია" და ა. შ. ამასთან სოციოლოგიის შესწავლის საგანი გახდა თავად ტრადიციული მეცნიერული დარგები. სოციოლოგიამ თავისებური ინჟინერინგული ფუნქციაც შეითავსა და ტრადიციული თვითკმარი მეცნიერული დარგების სოციოლოგიური ასპექტების კვლევა-გამოვლენის ამოცანების გადაწყვეტა დაისახა მიზნად. გაჩნდა ისეთი მეცნიერებები, როგორიცაა ფილოსოფიის სოციოლოგია, ლიტერატურის სოციოლოგია. ამავე რიგისაა ჟურნალისტიკის სოციოლოგიაც.

სოციოლოგიურ მეცნიერებათა სისტემაში ჟურნალისტიკის სოციოლოგიის ადგილი განსაკუთრებულია, რაგდან ჟურნალისტური პროფესიონალური საქმიანობის საზოგდოების მომსახურების კონკრეტული სახეობაა, ამასთან გამორჩეულად აქტუალური და თავად ზოგად სოციოლოგიაზე მეტი გავლენისა საზოგადოებაზე, რადგან მისგან განსხვავებით საზოგადოებრივად აქტუალური პროცესებისა და მოვლენების რეგისტრატორ-ინტერპრეტატორის ფუნქციით არ შემოიფარგლება და თავად ამ საზოგადოების ცნობიერების, საზოგადოებრივი პოზიციის, თვალსაზრისის შეცვლა-ფორმირებების ამოცანებსაც წყვეტს.

საზოგადოების ცნობიერებაზე ამგვარი მძლავრი გავლენის უნარის გამო ჟურნალისტიკას ხატოვნად მეოთხე ხელისუფლებასაც უწოდებენ, ხოლო ზოგიერთი მკვლევარი მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჟურნალისტიკის პირველ ხელისუფლებად ჩამოყალიბების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს [ქეცბაია 2003: 5]. თუმცა აქ ალბათ აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ დღეს ძირფესვიანად არის შეცვლილი თანამედროვე საზოგადოების მომსახურე საინფორმაციო სივრცე, შეცვლილია ამ სივრცის შინაარსის განმსაზღვრელი ფაქტორები და მოთამაშენი და ეს ყველაფერი ასევე მნიშვნელოვანწილად ცვლის ჟურნალისტიკის და ჟურნალისტების სტატუსს. ჟურნალისტი აღარ არის ინფორმაციის მონოპოლისტი, ინფორმაციის მოძიების, შეფუთვის, გავრცელების თვალსაზრისით მას უკვე სერიოზული კონკურენტები ჰყავს უწყებრივი მედია ცენტრების, ბლოგერების, ფრილანსერი ჟურნალისტების, ელექტრონული მედიის სფეროს სხვა წარმომადგენელთა სახით. ამას გარდა (და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია) ინფორმაცია, როგორც კაპიტალი, დაშორდა ჟურნალისტურ პროფესიას, ისინი უკვე ცალ-ცალკე არსებობენ იმ გაგებით, რომ ინფორმაცია გაცილებით მეტი გახდა და გაცილებით სხვა თვისებრიობა შეიძინა, ვიდრე ტრადიციულად ჰქონდა. ამის გამო ჟურნალისტიკა აშკარად ვეღარ ასრულებს IV ხელისუფლების ფუნქციას, მით უფრო ვერ „გადაიზრდება" იგი პირველ ხელისუფლებაში. პირიქით, თუ ამ თვალსაზრისით დავაკვირდებით თანამედროვე ჟურნალისტიკას, გამორჩეული პოლიტოლოგიური ინტერესებით იმსჭვალება და ჟურნალისტები პოლიტიკის სფეროში გადადიან და პოლიტიკის სფეროს მოთამაშენი ხდებიან ჟურნალისტიკის სფეროში დაგროვილი კაპიტალის ხარჯზე. ეს კაპიტალი (არც თუ უმნიშვნელო პოლიტიკის სფეროში

წარმატებულობის უზრუნველყოფისათვის) არის ჟურნალისტური პრაქტიკით მოპოვებული **„ცნობადობა“** და **„ცნობილობა“**.

ჟურნალისტიკის პროფესიული სფეროს საქმიანობის ზოგად სოციოლოგიასთან დაახლოება, ანუ ჟურნალისტიკის გასოციოლოგიურება განპირობებულია მიზნებისა და მიზნის მიღწევის ცალკეული მეთოდების ერთიანობით. კვლევის საერთო ობიექტია საზოგადოება. მის წიაღში მიმდინარე პროცესები, ტენდენციები, მისი ინტერესები, ლტოლვა-მისწრაფებები და ა. შ. კვლევების პროდუქციაა ინფორმაცია. ჟურნალისტიკაც და სოციოლოგიაც კვლევების სტადიალური ერთგვაროვნობით ხასიათდებიან: კონკრეტული მიზნების მისაღწევად პირველ ეტაპზე ინფორმაციას მოიპოვებენ, შემდეგ ინფორმაციის მიზნობრივი ანალიზით კონკრეტულ ამოცანებს წყვეტენ. ამ შემთხვევაში ვითარებას ვერც ის გარემოება ცვლის, რომ ჟურნალისტიკა უპირველესად ინფორმაციის მოძიება-ფორმატირებაზეა კონცენტრირებული, რადგან კარგად არის ცნობილი, რომ ინფორმაციის გამტარობა, მედიუმობა აქ ინფორმაციისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებასაც შეიცავს. ესაა ჟურნალისტის ცნობიერებაში გატარებული (გადარჩეული, გააზრებული, აზრს დაქვემდებარებული) ინფორმაცია, ჟურნალისტური ინფორმაცია და არა ობიექტური ინფორმაცია. ჟურნალისტიკაც და სოციოლოგიაც ამ ობიექტური ინფორმაციის ძიება-ანალიზის ინტენციით მსგავსობენ. ინფორმაციის თავისთავადი ღირებულებების აღიარებაა იმის მიზეზი, რომ დღეს თავად სოციოლოგიის წიაღში გაჩნდა სრულიად ახალი, ინფორმაციის ფენომენოლოგიის შემსწავლელი მიმართულება „ინფორმაციის/ინფორმაციული სოციოლოგია“ [კულჰუნი... 2008: 169]. ამით არის განსაზღვრული ჟურნალისტიკის სოციოლოგიურობა. ამას ემატება ინფორმაციის მოძიების ცალკეული მეთოდების ორივე სფეროში. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთ მეთოდებზე, რომელთაც საფუძვლად უდევს ინფორმაციის მოძიება **ანკეტების** (ანკეტირების) მეშვეობით.

ანკეტირებამ იმდენად საყოველთაო ხასიათი შეიძინა, რომ სოციოლოგები ალაპარაკდნენ ამგვარად მოძიებული ინფორმაციის ფსევდოღირებულებაზე. მიზეზად სახელდება ჟურნალისტიკის სფეროში ნაირგვარი გამიზნულობის ანკეტირების სიხშირე და ელემენტარული სოციოლოგიური განათლების უქონლობა. ამით, ბუნებრივია, დასაბუთება ეძებნება ჟურნალისტის სოციოლოგიური განათლების საჭიროებას, ანუ „სოციოლოგ-ჟურნალისტთა“ მომაზადების მიზანშეწონილობას [ქეცბაია 2003: 6]. ამ მოთხოვნაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ სოციოლოგები საბაზო ცოდნად აცხადებენ სოციოლოგიურ განათლებას, ჟურნალისტურს მეორეულის სტატუსს ანიჭებენ. ჟურნალისტიკის თეორიულ ბაზას და პროფესიულ პრაქტიკას დამხმარის (ანგარიშგასაწევის) როლს უტოვებენ. დამოკიდებულებათა ამგვარი პოზიციონერულობა, ცხადია, ჟურნალისტიკის სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, კვლევის საგნის გარკვევის აუცილებლობას წარმოქმნის.

შესიტყვება „ჟურნალისტიკის სოციოლოგია“ თავისთავად ცხადყოფს, რომ იგი **აღნიშნავს სოციოლოგიის კერძო, სპეციალურ დისციპლინას**, რომელიც მთლიანად ორიენტირებულია ჟურნალისტიკის სფეროზე, ჟურნალისტიკის პროფესიული საქმიანობის სოციოლოგიურ ასპექტებზე. ამდენად, მეცნიერების ამ დარგის საგანია ჟურნალისტიკა, როგორც ცოდნის დარგი და პროფესიული საქმიანობის სფერო. ჟურნალისტიკისმცოდნეობისათვის კი არის დამხმარე დარგი. ამ პოზიციიდან ლაპარაკობენ ჟურნალისტიკის კონკრეტული სახეობების სოციოლოგიებზე: „პრესის სოციოლოგიაზე“, „კომუნიკაციის

საშუალებათა სოციოლოგიაზე (ტელეგრაფი, ფოსტა და სხვ.), „რადიოს სოციოლოგიაზე“, „ტელე, კინო (ვიდეო) სოციოლოგიაზე“ [ქეცბაია 2003: 13]. ცხადია, ასეთი დეფინიცია იმას ემყარება, რომ ჟურნალისტიკის თვითოეული დარგი ზოგადჟურნალიტურთან ერთად, კერძოობითს-სახეობრივსაც შეიცავს. ამის შესაბამისად ჟურნალისტიკის სოციოლოგია კონკრეტულ ამოცანებს წყვეტს, თუმცა ამ ამოცანების მკაფიო დეფინიციის არარსებობა იმის მიზეზი ხდება, რომ „ჟურნალისტიის სოციოლოგიისა“ და „სოციოლოგიის ჟურნალისტიკის“ ცნებების აღრევაში გადაიზარდება.

გათვალისწინებულია, რომ სოციოლოგია როგორც ადამიანური ცოდნის სფერო, ადამიანური საქმიანობის სხვა სფეროების მსგავსად (მაგალითად, პოლიტიკა, ეკონომიკა, სპორტი, ხელოვნება და ა. შ.) ასევე წარმოადგენს ჟურნალისტური პროფესიული საქმიანობის ინტერესების კონკრეტულ საგანს, ანუ ჟურნალისტიკაც იკვლევს სოციოლოგიას. მეთოდოლოგიური არსენალის ერთგვაროვნება ხშირად კვლევის საგნის აღრევას განაპირობებს, რაც, ბუნებრივია, კვლევის შედეგებზედაც აისახება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეცბაია კ. ჟურნალისტიკის სოციოლოგია, თბ., 2003;
2. შჩეპანსკი ი. სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, თბ., 1997;
3. კულჰენი ქ., დონალდ ლ., კელერი ს. სოციოლოგია, თბ., 2008;
4. Социология журналистики, под ред. С. Г. Корконосенко, М., 2004.

Journalism Sociology about Subjects and Status

Iv. jagodnishvili

In the article is discussed the definition issue of subjects and status in “Journalism Sociology”. There’s noticed, that Georgian journalism knowledge by its mean has no exact definition. One belongs “Journalism Sociology” to journalism knowledge sciences and others – Sociology.

The conclusion is made, that “Journalism Sociology” is a new journalism knowledge sciences discipline, but for research it exacts statuses necessity to distinguish and discuss the conceptions of “Journalism Sociology” and “Sociological Journalism”.

О статусе и предмете «Социологии журналистики»

Иване Джагоднишвили

В статье рассматривается вопрос определения статуса и предмета «Социологии журналистики», отмечается в грузинской науке о журналистике нет четкой определенности. Одни данную отрасль науки причисляют к журналистиковедческим дисцыплинам, другие – к специальным социологическим научным дисцыплинам. Делается вывод, что «социология журналистики» новая журналистиковедческая наука, однако для четкого определения ёё статуса и предмета необходимо четко разграничить «социологию журналистики» и «журналистику социологии».

საზოგადოებრივი მეცნიერებანი – Общественные дисциплины – Social sciences

უმაღლესი მენეჯმენტის მართვის სტილის გავლენა ორგანიზაციაზე

ლილი ბიბილაშვილი

"სენეკა მინდა ყველა ჩვენი თანამშრომელი მიიჩნევდეს,
რომ მუშაობს მსოფლიოს საუკეთესო სააგენტოში.
სიამაყე სასწაულებს ახდენს" დ. ოგილვი

ორგანიზაციის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს პერსონალი, ანუ ადამიანი წარმოადგენს. ნებისმიერი კომპანია მიილტვის საუკეთესო საკადრო რესურსების მოსაპოვებლად, რაც უდაოდ რთულად შესასრულებელი ამოცანაა. ცნობილია, რომ ყოველი ადამიანი განუმეორებელია საკუთარი ინდივიდუალური თავისებურებებით და სწორედ ეს განაპირობებს იმ სირთულეს, რომელიც მოითხოვს მთელი რიგი შრომატევადი, დროტევადი, საკმაოდ რთული და ძვირადღირებული სამუშაოების შესრულებას (სამუშაოს ანალიზიდან დაწყებული, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე). აღსანიშანვია, რომ პერსონალის შერჩევისას, განსაკუთრებით ყურადსაღებია ვაკანტური პოზიციის პროფესიული მახასიათებლებისა და კანდიდატის მოტივაციური თავისებურებების თავსებადობა და ერთმანეთთან თანხვედრა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი თანამშრომელსა და დამსაქმებელს შორის ჰარმონიის მიღწევა, თითოეული თანამშრომლისგან მაქსიმალური უკუგების მიღება და დასაქმებულის კმაყოფილების მიღწევა. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს, მისი (პერსონალის) განწყობა, ორგანიზაციისადმი დამოკიდებულება, ლოიალურობის ხარისხი და ა.შ პირდაპირ პროპორციულია იმ შედეგებისა, რომელსაც კომპანია აღწევს. ანუ, ყოველი თანმშრომელი მეტ-ნაკლებად ახდენს გავლენას ორგანიზაციაზე და პირიქით, თავად ორგანიზაციაც თამაშობს მნიშვნელოვან როლს დასაქმებულთა ცხოვრებაში. ყოველი მომუშავე ადამიანის კეთილდღეობა მჭიდრო კავშირშია კომპანიის წარმატება-წარუმატებლობასთან და ეს ურთიერთდამოკიდებულება ხარისხობრივად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ყოველი თანამშრომელი მთლიანად ჩართულია და განსაკუთრებული გულისყურით ადევნებს თვალს ყველა იმ მოვლენას, რომელიც კომპანიის შიგნით თუ გარეთ ხდება. ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან ყოველი მუშაკის ცხოვრების დონე და საზოგადოებრივ-სოციალური მდგომარეობა მეტწილად დამსაქმებელი ორგანიაციის წარმატებაზეა დამოკიდებული, მის იმიჯზე და ადგილზე ქვეყნის ცხოვრებაში და ა.შ., ეს ყოველივე თითოეული მუშაკის ყოფა-ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს და ბუნებრივია ის გაძლიერებული ინტერესი ორგანიზაციის მიმდინარე თუ სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, რომელსაც თანამშრომლები ავლენენ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კადრების შერჩევა საკმაოდ რთულია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია არსებული კადრების შენარჩუნება და ამაზე რთულია მათი ერთგულების მიღწევა. მაგრამ კომპანია, სადაც შიდა პიარი პროფესიულ დონეზეა და დაკისრებულ მოვალეობებს ხარისხიანად ასრულებს ანუ, ორგანიზაციის თანამშრომლები მუდმივად ინფორმირებულნი არიან კომპანიის შიდა თუ გარე მნიშვნელოვანი საკითხების, კომპანიის სტრატეგიულ თუ მიმდინარე გეგმებზე შესახებ, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ამჟღავნებს თანამშრომლების მიმართ კეთილგანწყობას, ზრუნავს მათზე და ამას შიდა პიარის საშუალებით შესაბამისი ფორმა და სახე აქვს, ორგანიზაცია უფრო წარმატებულია (ვინაიდან, ლოიალური თანამშრომლების წილი ბევრად დიდია), ვიდრე ის კომპანია, რომლის მენეჯმენტი არ გამოირჩევა თანამშრომლებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებით, საინფორმაციო ვაკუუმში ამყოფებს მათ და ურთიერთობაში "წაყრუების" მეთოდს ამჯობინებს.

ინფორმაციის არ მიწოდება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საინფორმაციო ვაკუუმი არ ამოივსება. ინფორაციის არ ქონის გამო ჭორები, მოარული ხმები, დამახინჯებული და გამუქებული ამბები სახიფათო და სარისკო სიტუაციას ქმნის.

არის შემთხვევები, როდესაც უმაღლესი მენეჯმენტი, თანამშრომლების მიერ დასმულ კითხვებს იგნორირებას უკეთებს, არჩევს დუმილის ან იჭერს "არაფერი ვიცის" პოზიციას. როდესაც უმაღლესი მენეჯმენტი ორგანიზაციაში მიმდინარე საკითხების შესახებ არ არის ინფორმირებლი ან იტყუება, რომ არაფერი იცის ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით – მიუთითებს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არის მხოლოდ "ქაღალდზე დაწერილი თანამდებობების ერთობლიობა" და არა რეალური მართვის ორგანო.

კრიზისულ სიტუაციაში, როდესაც მაღალია დაძაბულობის დონე კომპანიაშინ აუცილებელია უმაღლესი მენეჯმენტის მხრიდან თანამშრომელთა მიმართ განსაკუთრებით ფრთხილი და კეთიგანწყობილი დამოკიდებულების დემონსტრირება. თანამშრომლებს უნდა განემარტოს შექმნილი სიტუაცია, მოსალოდნელი შედეგები, დასახული ამოცანები და მათი გადაჭრის გზები. სხვა შემთხვევაში, დიდია ალბათობა, რომ მაღალპროფესიონალმა, კომპანიისთვის მნიშვნელოვანმა და ღირებულმა კადრებმა დატოვოს ორგანიზაცია.

განსაკუთრებით სახიფათოა ისეთი ტენდენცია, როდესაც კომპანიის ტოპ-მენეჯმენტს არ გააჩნია საუკეთესო კადრების დაკარგვის შიში, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში არსებული კრიზისი, უმუშევრობის მაღალი დონე, შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების სიმცირე, თანამშრომლებს სხვა კომპანიაში გადასვლის შანსი უმცირდებს და კადრებიც კადრების კომპანიიდანწასვლა და სხვა კომაპნიაში გადასვლა გაუჭირდებათ. თუმცა, ეს მცდარი შეხედულებაა და დიდი ალბათობაა, რომ ორგანიზაციამ დაკარგოს თანამშრომლების საუკეთესო ნაწილი. საშუალო მონაცემების პერსონალის სხვაგან გადასვლის შანსი, შედარებით ნაკლებია, ხოლო საშუალოზე დაბალი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრები კი ნამდვილად ვერ იშოვიან სამუშაოს და შესაბამისად, ვერც წავლენ კომპანიიდან. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ორგანიზაციაში ძირითადად დარჩება უკმაყოფილო საშუალო და საშუალოზე დაბალი უნარებისა და ცოდნის მქონე პერსონალი. შესაბამისად, ორგანიზაციის მიერ წარმოებული პროდუქცია თუ შეთავაზებული მომსახურება, ასევე საშუალო და საშუალოზე დაბალი ხარისხის იქნება.

როდესაც კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი ვერ აცნობიერებს, თუ რა ღირებულება გააჩნია მაღალკვალიფიცირებულ, მოტივირებულ კადრებს, ბუნებრივია "ნამდვილ" ბიზნეს გარემოში, სადაც კონკურენცია რეალურია და იგი არ წარმოადგენს "ლობისტთა" ურთიერთშეთნხმების შედეგად მიღწეულ "ცრუ კონკურენციას", კადრების "დაუფასებლობა", სულ ცოტა, კომპანიის განვითარების ტემპების შემცირებას და ბიზნეს გარემოში რეპუტაციის შელახვას გამოიწვევს. "ლობისტთა შეთანხმების ბიზნეს გარემოში" ეს საშიშროება არ არსებობს და სწორედ ეს იწვევს იმ დამოკიდებულებას, რასაც საკუთარ საზოგადოებასთან ურთიერთობის არ სურვილი ქვია. შედეგად, ორგანზიაციაში ძირითადად დარჩება გაღიზიანებული, არალოიალური, საშუალო და საშუალოზე დაბალი დონის უნარებისა და ცოდნის მქონე პერსონალი, "ადვილი შესანახი" და შესანარჩუნებელი კადრები (მართვადი და დაბალ ანაზღაურებადი პერსონალი) და მოსალოდნელია, რომ მათ მიერ შექმნილი პროდუქტი თუ მომსახურება არ იყოს მაღალი ხარისხის. ყოველი ორგანიზაცია, იმ დონის და ხარისხის პროდუქციას თუ მომსახურებას სთავაზობს საზოგადოებას, როგორი პროფესიონალი თანამშრომლებიც ყავს. მაღალკვალიფიციური, მოტივირებული, და ლოიალურები პერსონალი კომპანიის წარმატების საწინდარია. პროფესიონალი კადრების მოტივაციისა და ლოიალურობის მიღწევა შიდა პიარის დახმარების გარეშე ძნელად მისაღწევი და უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და კომპანიის კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანის საქმეში, მნიშვნელოვან როლს შიდა პიარს ანიჭებენ. სწორედ მან უნდა შეძლოს მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის კეთილგანწყობილი და პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება. რაც განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებშია ღირებული და უკიდურესად აუცილებელი. მაგრამ თუ თანამშრომლებს არ ექნებათ ინფორმაცია კომპანიაში და მის ირგვლივ არსებული სიტუაციის შესახებ (რა ხდება მოცემულ მომენტში კომპანიაში, როგორ შეიცვალა კომპანიის მიზნები, რა ხერხებისა და საშუალებების გამოყენებას აპირებს უმაღლესი მენეჯმენტი შეცვლილი მიზნების მისაღწევად და ა.შ.) უდავოა, რომ ორგანიზაციაში არსებულ საინფორმაციო ვაკუუმს ჭორები ჩაანაცვლებს, თანაც კომპანიის სიტუაცია აღიწერება ბევრად უფრო დრამატულად, ვიდრე რეალურად შეიძლება იყოს. ეს კი ნაკლებად შეუწყობს ხელს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას. კომპანიის უმაღლესი მენეჯემნტის მართებული, გააზრებული და მიზანმიმართული ქმედებების პოზიტიური კუთხით წარმოჩენა და კომპანიის თანამშრომლებამდე შესაბამისი ფორმით მიტანა შიდა პიარის პირდაპირი მოვალეობაა, რაც ორგანიზაციის წინსვლისა და განვითარების საქმეში საკმაოდ მნიშვენლოვან როლს თამაშობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Stephen P. Robins - Organizztional Behavior - International Edition – 10 th edition
2. R. Wayne Mondy "Human Resource Management" London 2008
3. Organizational Behavior- Thomas W. Schubert
4. Паблик Рилеишнз для рпофессионалов – Г. Г. Почепцов
5. Самое Главное в ПР – У. Аги Г. Кемерон Ф. Олт Д. Уилкокс - 2004
6. "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" – ნ. პაიჭაძე, მ. ცარციძე, ნ. ლაცაბიძე, თ. ღამბაშიძე, ნ. პაიჭაძე, 2009 წ.

7. ა.პ. ტიხონოვი, ო.ვ. მარტინოვი ორგანიზაციული კულტურა. რა არის ეს და რისგან შედგება. მენეჯმნტი და კადრები: მართვის ფსიქოლოგია, სოციონიკა და სოციოლიგია
8. Бузгалин А., Колганов А. Человек, рынок и капитал в экономике 21 века//Вопросы экономики. 2006.№ 3.
9. Евсеев В.О. Человеческие ресурсы: оценка факторов конкурентоспособности: учебное пособие/В.О.Евсеев.- М.: Гардарики, 2007
10. Танаев В.М., Карнаух И.И. Практическая психология управления. - М.: АСТ-ПРЕСС КНИГА, 2003. - 304с
11. Савченко С.В. Офисная культура как объект психологического исследования http://ru.laser.ru/authors/ss/jfices.htm
12. Бобылев С. Развитие человеческого потенциала в России//Вестник МГУ. Сер.6. Экономика. 2005. № 1
13. http://www.personalite.ru/motiv1.php
14. Psychology OnLine.Net
15. http://strategy.ge/826/corporate-cultur
16. http://polbu.ru/personnel_management/ch01_i.html
17. http://www.personal-navigator.ru/motivatsiya-personala/osobennosti-trudovoy-motivatsii-sotrudnikov-organizatsii.html

The influence of management style of senior management on the organization

Lili Bibilashvili

For the development of the organization one of the most important components is a qualified and loyal employee. When the company management do not care about losing qualified staff, this creates serious problems for the organization in the future. However, if the activities of the company are led "in a false competitive environment reached under the mutual agreement of " lobists ", the need for qualified personnel does not exist. In such situations, "it is a lot easier to preserve the" staff with average or below average level of knowledge and skills. In the real competitive environment it is necessary to retain staff and to win their loyalty, which is mainly attained through internal PR.

Влияние стиля управления высшего руководства на организацию

Лили Бибилашвили

Для развитие организации один из самых важным компонентом представляет квалифицированный и лояльный сотрудник. Когда менеджмент компании не боится потерять квалифицированные кадры, это создает серьезные проблемы для организации в будущем. Однако, если деятельность компании производиться “ в ложной конкурентной среде достигнутой по соглашению "лобистов", Потребность в квалифицированных кадрах, в принципе не существует. В таких ситуациях достаточно с средним и ниже среднего уровнем знаниями и навыками “легко сохраняющий” персонал.

В условиях реальной конкуренции необходимо сохранение персонала и достижения их лояльности , что в основном за счет внутреннего ПР достигается.

შიდა პიარის როლი კომპანიის იმიჯის ჩამოყალიბებაში

ლილი ბიბილაშვილი

მოტივირებული და მაღალკვალიფიციური კადრები, კომპანიის წარმატების საწინდარი რომ არის ეს უდავოა. ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უმრავლესობა ამას ხაზგასმით აღნიშნავს და უპირობოდ ეთანხმება. თუმცა რიგ შემთხვევებში, მიუხედავად იმის, რომ მმართველმა რგოლმა შესანიშნავად იცის ზემოთ აღნიშნული ჭეშმარიტება ზოგჯერ, ფაქტიურად უგულვებელყოფენ პერსონალის მოტივაციის საკითხს. მსგავს სიტუაციებში, ორგანიზაციის საუკეთესო ნაწილი დემოტივერებული ტოვებს კომპანიას და ამას კომპანიისთვის, საკმაოდ სერიოზული პრობლემების მოყვება.

პერსონალის მართვის დეპარტამენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა კადრების მოძიება და შესაბამის პოზიციაზე განთავსება. თავად, თანამშრომელთა შერჩევა-დაქირავების პროცესი საკმაოდ რთული, შრომატევადი და ძვირადღირებული საქმეა. ორგანიზაციაში ვაკანტური თანამდებობის წარმოქმნის შემდეგ, თუ ეს პოზიცია მანამდე არ არსებობდა და თუ იგი, ორგანიზაციისთვის ახალი თანმდებობაა, თანამშრომლის მოძიების პროცესი კიდევ უფრო მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული და უფრო მეტ დროს მოითხოვს. ქვემოთ, მოცემულ სქემაში ნაჩვენებია ის ძირითადი საფეხურები, რაც ვაკანსიის შევსების პროცესს უკავშირდება.



ნახ. 1

მართებულად შერჩეული კადრის შენარჩუნება, მისი მოტივირება და კომპანიის მიმართ ერთგულების გრძნობის გამოწვევა, კიდევ უფრო რთული და საპასუხიმგებლოა. აღნიშნულის გარეშე კი, რეკრუტინგზე გაწეული ხარჯები, ფაქტიურად ნაკლებ ნაყოფიერია და შეიძლება სერიოზული დანაკარგების მიზეზადაც იქცეს.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ რაც უფრო მაღალკვალიფიციურია კადრი, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება და მის მოტივაციაზე ზრუნვა. აქ ყურადსაღებია არა მარტო ის ფაქტი, რომ პროფესიონალი, თავისი საქმის კარგი მცოდნე შესაბამისად, მაღალხარისხიან პროდუქტს ქმნის,

არამედ ისიც, რომ კომპანიიდან მისი წასვლა, სერიოზულ ზიანს მიაყენებს ორგანიზაციის იმიჯს და ფინანსური დანაკარგებიც საკმაოდ შტამბეჭდავი იქნება. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიიდან წასული მუშაკის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები შეადგენს, მოცემული პოზიციის წლიური ხელფასის 7-20% - მუშის, 18%-30% - სპეციალისტის და 20 - 80% (ცალკეულ შემთხვევებში 100%) – ხელმძღვანელ პოზიციაზე მომუშავე პერსონალის შემთხვევაში. როგორც ვხედავთ, ციფრები საკამოდ დამაფიქრებელია და თუ ამას იმისაც დავუმატებთ, რომ კომპანიაში დარჩენილი თანამშორმლების განწყობა, მათი ნეგატიური განცდები მოქმედებენ, როგორც მთელი კოლექტივის საქმიანობაზე, ასევე კომპანიის, როგორც კარგი დამსაქმებლის იმიჯზე. კერძოდ, როდესაც კომპანიის პერსონალი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ ამაჟღავნებს კეთილგანწყობილებას საკუთარი თანამშრომლების მიმართ და არ ცდილობს საუკეთესო კადრების შენარჩუნებას, მათ გაუჩნდათ არასასიამოვნო გრძნობა - დაუცველობის, კომპანიის მხრიდან პერსონალის მიმართ უპატივცემულობის, მენეჯმენტის მხრიდან, საკუთარი სახსრებისა და რესურსებისადმი უდიერი დამოკიდებულების გამო. ამ შემთხვევაში, კომპანია განიცდის, როგორც მატერიალურ (პირდაპირი და ირიბი, ხილული და ფარული, მოკლე და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი) და ასევე მორალურს. გარდა იმის, რომ კომაპნია დატოვა პროფესიონალმა, მან "თან წაიყოლა" ორგანიზაციის კეთილი სახელი და შესაძლებელია, დროის გარკვეულ მონაკვეთზე მოცემულ ორგანიზაციას შეექმნას არაკეთილსაიმედო კომპანიის რეპუტაცია, რაც აუცილებალად გაართულებს კომპანიაში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას. როდესაც ორგანიზაციას ტოვებს მნიშვნელოვანი, ღირებული კადრები (ორგანიზაციიდან წასულ თანამშრომელთა შორის თუ არიან ტოპ-მენეჯმენტის წარმომადგენლები, ვითარება კიდევ უფრო რთულდება), საკმაოდ რთული იქნება მათი ჩანაცვლება, მით უმეტეს, რომ მიუხედავად უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა რეალურად, შრომის ბაზარი პროფესიონალი კადრების დეფიციტს განიცდის. ამიტომ, როგორც წესი, ორგანიზაციები საჭირო უნარებისა და ცდონის მქონე კადრების "მოსაპოვებლად" ე.წ. " Headhunting"-ს იყნებენ. მაგრამ, თუ კომპანიიდან კადრების გადინების მაჩვენებელი მაღალია, თუ მისი რეპუტაცია შრომის ბაზარზე ნაკლებსასურველ კომპანიათა რიცხვშია მოხვედრილი, ნამდვილად გაუჭირდება ვაკანსიის შევსება.

კიდევ ერთი საფრთხე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, ორგანიზაციიდან თანამშრომელთა დიდი რაოდენობით გადინებას უკავშირდება – პერსონალის გაუცხოებაა. როგორც წესი, ორგანიზაციის მხრიდან საკუთარი თანამშორმლებისადმი გამოხატული პატივისცემა და ზრუნვა, თანამშორმლებში კორპორატიულ იდენტურობის შეგრძნებას იწვევს. მაგრამ მენეჯმენტის მხრიდან კომპანიის თანამშორმლებისადმი არამართებული და ნეგატიურ დამოკიდებულება მმართველ რგოლსა და პერსონალს შორის ნაპრალის გაჩენის მიზეზი შეიძლება გახდეს და ეს კი თანამშრომლეთა გაუცხოებას გამოიწვევს.

ყოველივე ზემოთ თქმული, უშუალოდ უკავშირდება ორგანიზაციის პერსონალის მოტივაციას. მოტივირებული და ლოიალური თანამშრომელი, ძნელად ტოვებს კომპანიას. ბაზარზე კარგი რეპუტაციის გამო (ამას, ძირიათადად ორგანიზაციის თანამშრომლები უზრუნველყოფენ), ორგანიზაციას ეძლევა საშუალება საუკეთესო კანდიდატები მოიზიდოს და მათ შორის

ყველაზე კარგები შეარჩიოს. აღსანიშანვია, რომ ორგანიზაციაში, სადაც შექმნილია მოტივაციის სისტემა და სახეზეა ორგანიზაციის მხრიდან კომპანიის პერსონალზე ზრუნვა, ვაკანისების რაოდენობაც, როგორც წესი უმნიშვენლოა, ანუ კიდევ ერთი სერიოზული დანაზოგი, რომელიც როგორც უკვე ითქვა დასაწყისში, სერიოზულ დროითი, შრომითი, ფინანსური რესურსების გამოყენებასთან არის დაკავშირებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომელთა მოტივაციის და შენარჩუნების საკითხების რეგულირება, ძირითადად შიდა პიარისა და პერსონალის მართვის დეპარტამენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა და ძირითადად, კომაპანიის თანამშორმლების მოტივაციის პროგრამას ადგენს და მისი განხორციელების ორგანიზებას ეს ორი ქვედანაყოფი უზრუნველყოფს. გარდა ამისა, შიდა პიარი ახორციელებს ღონისძიებებისა და თუ მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და კომპანიასა და თანამშრომლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების უზრუნველსყოფს.

ხშირ შემთხვევაში, კომპანიის ხელმძღვანელობა სახსრების უკმარისობის მომიზეზებით, უარს ამბობს თანამშრომლებისათვის კორპორატიული ღონისძიებების ჩატარბაზე, მაგრამ ცნობილია, რომ ბიუჯეტის სიმცირე ან სიდიდე არ განაპირობებს ღონისძიების ეფქტურობას, არამედ ის ქმედებები, რომელიც სწორად არის შერჩეული და მიზნად ისახავს ორგანიზაციასა და თანამშორმლებს შორის არსებული ურთიერთობის გაუმჯობესებას. ღონისძიებების დაგეგმვისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიზანს, ანუ ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებულინ თუ რას ემსახურება დაგეგმილი ღონისძიება. მაგალითად, სემინარების, საქმიანი შეხვედრების და ა.შ. ჩატარება პროფესიონალიზმის ამაღლებას უწყობს ხელს, მაშინ როდესაც სპორტულ-კულტურული ღონისძიებები ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საწინდარია; რაც შეეხება საქველმოქმედო აქციებს, სადაც თანამშრომლებიც იღებენ მონაწილეობას – ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის დემონსტრირებას ემსახურება და თანამშრომლების მორალურ კმაყოფილებას იწვევს. ღონისძიებების დასრულების შემდეგ აუცილებელია თანამშორმლეთა გამოკითხვა, თუ რამდენად წარმატებით განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიება და მიღწეული იყო თუ არა დასახული მიზანი. ასევე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა კომუნიკაციების საშუალებებსა და მათი გავრცელების იერარქიას. ინფორმაციის სწორად მიწოდებისა და დადებითი შედეგის მისაღწევად საჭიროა ტოპ-მენჯმენტისგან გამოსული ინფრომაცია პირადპირ, ყოველგვარი "შუამავლების" გარეშე მიეწოდებოდეს თანამშორმლებს, რაც თავიდან აცილებს კომპანიას, მმართველი რგოლის გზავნილის დამახინჯებას და სახეცვლილ მიწოდებას და პირიქით. ეს თავისუფლად შეიძლება იქნას მიღწეული შეხვედრებით, სემინარებით, ვიდეო მიმართვებით და ა.შ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პერსონალის მოტივაციაზე სწორად დახარჯული სახსრები მნიშვნელოვან მოგებას აძლევს ორგანიზაციას და ზოგიერთი წარმატებული კომპანიის მმართველები ამ ხარჯებს უფრო ინვესტიციად მიიჩნევენ და მიიჩნევენ, რომ საჭიროა ამ მიმართულებით ყურადღების გამახვილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Stephen P. Robins - Organizztional Behavior - International Edition – 10 th edition
2. R. Wayne Mondy "Human Resource Management" London 2008
3. Organizational Behavior- Thomas W. Schubert
4. Managing the Impact of *Employee Turnover* on Performance: The Role of Process Conformance**.** Harvard Business School, Boston Massachusetts
5. Strategies for Retaining Employees and Minimizing Turnover. by Sarah K. Yazinski, University of Scranton
6. Griffeth, R. W., Hom, P.S., & Gaertner, S.(2000). A meta-analysis of antecedents and correlates of employee turnover. Update, moderator tests, and research implications for the next millennium, *Journal of Management, 26*
7. Паблик Рилеишнз для рпофессионалов – Г. Г. Почепцов
8. Антон Троц - «Внутрений PR» как инструмент решения кадровых проблем. Вестник Торгово-Промышленной Палаты, 15 Октября 2007
9. У. Аги Г. Кемерон Ф. Олт Д. Уилкокс - Самое Главное в ПР - 2004
10. William G. Bliss COST OF EMPLOYEE TURNOVER
11. Наталия Скуратовская - "Внутренний PR и кадровая служба"
12. The Costs of Employee Turnover http://blogs.payscale.com/compensation/2009/12/costs-of-employee-turnover.html -
13. Коэффициенты расчета текучести кадров http://www.elitarium.ru/2009/07/13/kojefficienty_tekuchesti_kadrov.html
14. 9 советов для удержания ваших лучших работников. http://vse-na-rabotu.ru/stat_job.php?id=1097 -
15. http://en.wikipedia.org/wiki/Motivation

The role of internal PR in formation of company image

Lili Bibilashvili

Motivated and highly-qualified staff is key to company success. Therefore, company authority places a lot of emphases on attracting and motivating qualified staff. Nevertheless, there are instances, when authority attempts to save its financial means through the reduction or total neglect of the financial outlay necessary to motivate employees. Consequently, this process causes undesirable results: staff get demotivated and leave the company, which in turn affects the image of the organization, has financial implication and seriously harms the company. The latter appears on the list of the most unreliable employers on the labor market and gets the chances to attract qualified staff reduced. On the contrary, the existence of motivation program and correctly functioning internal PR enhance employee loyalty which significantly increases the likelihood of success and further advancement of the company.

Роль внутреннего ПР в формировании имиджа компании

Лили Бибилашвили

Мотивированные и высококвалифицированные кадры залог успеха компании. Поэтому руководители компаний большое внимание обращают на привлечение квалифицированных сотрудников и на мотивирование персонала. Как один так и другой, довольно трудоемкий и дорогостоящий процесс. Хотя в некоторых случаях руководители оргванизаций стараются путем сокращения расходов мотивации сотрудников или вообще их игнорирования сэкономить финансовые расходы.Эти явления как правило доводят до

нежелательных результатов, что становится причиной демотивации квалифицированных кадров и ухода их из компании.А это вызывает отрицательное влияние на финансовую сторону и на имидж организации, что наносит серьезное повреждение компании.На трудовом рынке она попадает в список ненадежных работодателей и уменьшается шанс привлечения квалифицированных кадров. И, наоборот существование мотивированной программы, правильное функционирование внутреннего ПР, повышает степень лояльности между сотрудниками ,что значительно увеличивает успехи компании и вероятность ее продвижения вперед.

მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები

გობეჯიშვილი ეკატერინე
სტუ

მცირე და საშუალო მეწარმეობა (მსმ) საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ქვაკუთხედია. მსმ განსაკუთრებულ ფუნქციას იძენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის. აქ მისი როლი არ განისაზღვრება მხოლოდ საბაზრო სისტემის განვითარებითა და მისი მექანიზმის სრულყოფით, რაც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია. მათი მეშვეობით მიიღწევა დიდი ზომის საწარმოების რესტრუქტურება, ბაზართან ადაპტირება და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმილი ჭარბი სამუშაო ძალის დასაქმება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობა. განვითარებული საბაზრო ეკონომიკისა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოებს ეძნელებათ მათთვის საჭირო ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიღება. მათ განსაკუთრებულ ტვირთად აწევთ სხვადასახვა სახის რეგლამენტაციები, რაც განაპირობებს მათ დაბალკონკურენტიანობას მსხვილ საწარმოებთან შედარებით.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება. საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს მეწარმეების მოსამზადებლად, რათა მათ შეიძინონ ახალი ინფორმაციისა და ინოვაციური საქმიანობის შედეგების გამოყენების ცოდნა და უნარი, შეითვისონ მეწარმეობის კულტურა და მმართველობის გამოცდილება, იყვნენ საქმის კურსში საქონლისა და მომსახურების ხარისხზე თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესახებ. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება უნდა იყოს ქმედითი და ღირებული საწარმოებისათვის, მისი ეფექტიანობიდან გამომდინარე შესაძლებელია გამართლებული იყოს აგრეთვე მხარდაჭერა საკონსულტაციო სამსახურებისადმი მათი თვითდაფინანსების უზრუნველსაყოფად.

ბოლო დროს, მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, მეწარმეობის მხარდაჭერის ახალმა ორგანიზაციულმა ფორმამ, კერძოდ ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობამ მოიკიდა ფეხი. ბიზნეს-ინკუბატორები შესაძლებელია

გამოყენებული იქნას როგორც მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმი.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით, ბიზნეს-ინკუბატორები ხელს უწყობენ ინდივიდუალური ინიციატივის გამოვლენას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვას. ისინი ამცირებენ სამეწარმეო რისკს და საბოლოო ანგარიშში, ქმნიან მეწარმეობისათვის ხელსაყრელ გარემოს. მათ ძალუძთ, იფუნქციონირონ სამეწარმეო ცენტრების სახით, უზრუნველყონ რეგიონის კონკურენტული უპირატესობანი, დამატებითი ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვება; ექსპორტზე ორიენტირებულ, აგრეთვე გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მხარდაჭერა; მეწარმეთა სწავლება; მყარი საქმიანი კავშირების დამყარება და ა.შ..

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი პოლიტიკა ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის მიმართულებით უნდა დამუშავდეს საერთაშორისო პრაქტიკის, უპირველესად გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. კერძოდ უნდა ვიხელმძღვანელოთ ქვემოთ მოტანილი მიდგომებითა და პრინციპებით.

აუცილებელია გავითვალისწინოთ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობა ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნების და დაფინანსების საქმეში. ადგილობრივმა ორგანოებმა ბიზნეს-ინკუბატორებს უნდა აღმოუჩინონ შეძლებისდაგვარი მატერიალური დახმარება და იკისრონ გარკვეული ვალდებულებები მათი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად

ბიზნეს-ინკუბატორების წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სათანადო მმართველობითი პერსონალის შერჩევა, მენეჯმენტის ეფექტიანი პროცედურების შემუშავება, მიზანდასახულობათა განსაზღვრა და შედეგების სწორად შეფასება. ბიზნეს-ინკუბატორის ფუნქციონირების პირობები, მის მიერ გაწეულ მომსახურების ნუსხა, დანახარჯები, ფასები ცხადი და გასაგები უნდა იყოს მასში შემავალი საწარმოებისათვის და საერთოდ ფართო სამეწარმეო წრისათვის.

მცირე საწარმოთა ხელშეწყობის პროგრამამ ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სფეროში უნდა მოიცვას:

- წინადადებები გადამამუშავებელი მრეწველობის პრიორიტეტულ დარგთა მიხედვით დასანერგი მოწყობილობებისა და დანადგარების სიმძლავრის, ტიპის, ღირებულების და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ;

- თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღების წყაროები და საშუალებები;

- ტექნოლოგიის შეძენის ფორმები, როგორიცაა: ლიცენზიები და „ნოუ-ჰაუ“, საწარმოო კოოპერაცია, ერთობლივი მეწარმეობა და სხვა.

- ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანისა და მიწოდების ინსტიტუციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბება. კერძოდ, ტექნიკური და ტექნოლოგიური ცენტრების, ტექნო-პარკების, სალიზინგო კომპანიების და სხვა. მათი შექმნის, ფუნქციონირების დასაბუთება;

- სწავლება და კონსულტაციები ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების სფეროში;

- წახალისებისა და შეღავათების ღონისძიებათა სისტემა იმ მეწარმეთა მიმართ, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მოწინავე ტექნოლოგიების იმპორტსა და დანერგვაზე.

მცირე საწარმოთა ტექნოლოგიური მომსახურების უაღრესად პერსპექტიული ფორმაა ლიზინგი (ფინანსური და ოპერატიული). ფინანსური ლიზინგი განიხილება როგორც კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების სპეციფიური ფორმა. იგი ტრადიციული საბანკო დაკრედიტებისაგან განსხვავებით საშუალებას აძლევს საწარმოებს მიიღონ აუცილებელი ძირითადი საშუალებები ერთდროული დანახარჯების გაღების გარეშე.

ფინანსური ლიზინგი უაღრესად ხელსაყრელია მცირე საწარმოებისათვის, რამდენადაც იგი ითვალისწინებს მოიჯარის საქმიანობის ხასიათის თავისებურებებს (სეზონურობა, ციკლურობა და ა.შ.), ზრდის მის ოპერაციათა დაფინანსების მოცულობას, აძლევს მას მნიშვნელოვან საგადასახადო უპირატესობებს.

მცირე საწარმოებისადმი ხელშეწყობის ფორმად წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული აგრეთვე ოპერატიული ლიზინგი, ანუ ძირითად საშუალებათა იჯარა მათი სამოორტიზაციო ვადაზე მოკლე პერიოდით.

სალიზინგო სეგმენტის განვითარებისათვის საჭიროა საინვესტიციო პროექტების გააქტიურება. უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ბაზრის ხელშეწყობა სალიზინგო მომსახურების საშუალებით, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელია შეიქმნას სახელმწიფო და საერთაშორისო ფინანსური საგარანტიო ფონდები, რომლებიც სადაზღვეო კომპანიებთან ერთად ჩაერთვებიან სასოფლო-სამეურნეო სეგმენტში საბანკო და არასაბანკო სტრუქტურების მიერ განხორციელებული ოპერაციების რისკების დაზღვევაში. ამ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის გარეშე ეს საკითხი რთულად გადასაწყვეტია ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისათვის, მათ შორის სალიზინგო კომპანიებისათვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოში მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტიტუტის ბიზნეს-ინკუბატორის შექმნის შესახებ. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი. 1997წელი
2. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია. ლიზინგის პოტენციური ბაზარი საქართველოში, მარტი, 2004წ
3. национальное содружество бизнес-инкубаторов. москва. 2000г.

მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები

გობეჯიშვილი ეკატერინე
სტუ, დოქტორანტი

რეზიუმე

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება შეუძლებელია მძლავრი სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემისა და მექანიზმების ჩამოყალიბების გარეშე.

მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეფექტიანი საშუალებებია: საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბება, განვითარება, ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა და მათი საქმიანობისადმი ფინანსური მხარდაჭერა და მცირე საწარმოთა ტექნოლოგიური მომსახურების ფორმა - ლიზინგი (ფინანსური და ოპერატიული).

ფინანსური ლიზინგი განიხილება როგორც კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების სპეციფიური ფორმა. იგი ტრადიციული საბანკო დაკრედიტებისაგან განსხვავებით საშუალებას აძლევს საწარმოებს მიიღონ აუცილებელი ძირითადი საშუალებები ერთდროული დანახარჯების გაღების გარეშე.

The Mechanisms of State Support for Small and Medium Entrepreneurship

Gobejishvili Ekaterine

The development of small and medium entrepreneurship is impossible without the formation of the system and mechanisms of state support.

The efficient means for rising the competitiveness of small and medium enterprises are: the formation of the system of informative-consulting support, its development, creation of business incubators providing their financial support and leasing - the form of technological service of small enterprises.

Financial leasing is defined as a special form for funding the capital investment. Differing from traditional bank crediting, it enables enterprises to get necessary means without simultaneous expenditures.

Механизмы государственной поддержки малого и среднего бизнеса

Екатерина Гобеджишвили

Развитие малого и среднего бизнеса невозможно без создания мощных систем и механизмов государственной поддержки. Эффективными средствами повышения конкурентноспособности малого и среднего производства являются: создание и развитие системы информационно-консультативной поддержки, создание бизнес-инкубаторов и финансовая поддержка их деятельности и форма технологического обслуживания малого производства – лизинг (финангсовый и оперативный).

Финансовый лизинг рассматривается как специфическая форма финансирования капиталовложений. Он в отличие от традиционного банковского кредитования дает возможность предприятиям получить необходимые основные средства без сиюминутного погашения суммы затрат.

ინვესტიციები და საინვესტიციო პროცესის დახასიათება

ნანა კოტეტიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინვესტიცია *(investment)* ზოგადად არის კერძო ან სახელმწიფო კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება ნაციონალური (შიდა ინვესტიციები) ან საზღვარგარეთის (უცხოური ინვესტიციები) ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში მოგების მიღების მიზნით. იგი იყოფა საფინანსო და რეალურ ინვესტიციებად. საფინანსო ინვესტიციები არის დაბანდებები საფინანსო ინსტიტუტებში, კერძოდ დაბანდებები აქციებში, ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში, რომლებიც გამოშვებულია კერძო ან სახელმწიფო კომპანიების მიერ, აგრეთვე

თეზავრაციის (ოქროს დაგროვება, შენახვა განძის სახით) ობიექტებში, საბანკო დეპოზიტებში. რეალური ინვესტიციები არის დაბანდებები ძირითად კაპიტალსა და საწარმოო მარაგების მატებაში.

ინვესტორი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იძენს ფასიან ქაღალდს. იგი შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური. ინდივიდუალური ინვესტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი კერძო პირი. ინსტიტუციონალური ინვესტორი არის იურიდიული პირი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს საკუთარი ან მის მფლობელობაში მყოფი სხვა კომპანიების სახსრების ინვესტირება. იგი მოიცავს: საპენსიო ფონდებს, საინვესტიციო კომპანიებს, სადაზღვევო კომპანიებს, ბანკებს და სხვა.

საინვესტიციო პროცესი მოიცავს ხუთ ეტაპს:

1. საინვესტიციო პოლიტიკის შერჩევა;
2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ანალიზი;
3. ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირება;
4. ფასიანი ქაღალდების პორტფელის გადასინჯვა;
5. ფასიანი ქაღალდების პორტფელის ეფექტურობის შეფასება.

პირველი ეტაპი - საინვესტიციო პოლიტიკის შერჩევა *(investment policy)* მოიცავს ინვესტორის მიზნებისა და ინვესტირებადი სახსრების მოცულობის განსაზღვრას. რამდენადაც რაციონალური საინვესტიციო სტრატეგიებისთვის პირდაპირი კავშირი არსებობს შემოსავლიანობასა და რისკს შორის, ინვესტორმა არ უნდა აირჩიოს მიზანი - „აკეთოს ბევრი ფული". ან უნდა იცოდეს, რომ აღნიშნულ სიტუაციაში დიდი მოგების მიღებისკენ მისწრაფებამ, განსაზღვრული ალბათობით, შეიძლება იგი აზარალოს. ინვესტირების მიზნები ფორმულირებული უნდა იყოს როგორც შემოსავლიანობის, ისე რისკის გათვალისწინებით.

საინვესტიციო პროცესის ეს ეტაპი მთავრდება პოტენციური სახის ფინანსური აქტივების შერჩევით ძირითად პორტფელში შესატანად. შერჩევა სხვა მოსაზრებებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს ინვესტირების მიზნებს, ინვესტირებადი სახსრების მოცულობას და გადასახადის გადამხდელი ინვესტორის სტატუსს.

საინვესტიციო პროცესის მეორე ეტაპი - ფასიანი ქაღალდების ბაზრის ანალიზი *(security market analysis)*, მოიცავს ცალკეული სახის ფასიანი ქაღალდის (ან ქაღალდების ჯგუფის) შესწავლას ძირითადი კატეგორიების მიხედვით. ასეთი კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს იმ ფასიანი ქაღალდების განსაზღვრა, რომლებიც ამ მომენტში არასწორადაა შეფასებული. არსებობს ფასიანი ქაღალდების ანალიზისადმი ბევრი სხვადასხვა მიდგომა, რომელიც მიეკუთვნება ორ ძირითად მიმართულებას.

პირველ მიმართულებას უწოდებენ ტექნიკურ ანალიზს *(technical analysis)*, ხოლო მეორეს ფუნდამენტალურ ანალიზს *(fundamental analysis)*. სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ ამ მიმართულებების განხრით, უწოდებენ შესაბამისად ტექნიკურ ანალიტიკოსებს და ფუნდამენტალური ანალიზის სფეროში სპეციალისტებს.

საინვესტიციო პროცესის მესამე ეტაპი - ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირება *(portfolio construction)* - მოიცავს სახსრების დასაბანდებლად კონკრეტული აქტივების განსაზღვრას, აგრეთვე ინვესტირებადი კაპიტალის პროპორციულ განაწილებას აქტივებს შორის. ამასთან, ინვესტორი აწყდება სელექტიურობის, ოპერაციის დროის შერჩევისა და დივერსიფიკაციის პრობლემებს. სელექტურობა მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების ანალიზს და

დაკავშირებულია ცალკეული სახის ფასიანი ქაღალდების ფასების დინამიკის პროგნოზირებასთან. ოპერაციის დროის შერჩევა, ანუ მაკროპროგნოზირება, მოიცავს აქციებზე ფასების დონეების ცვლილების პროგნოზირებას ფიქსირებულ შემოსავლიანი საფონდო ინსტრუმენტების ფასებთან შედარებით, როგორიცაა კორპორაციული ობლიგაციები. დივერსიფიკაცია არის საინვესტიციო პორტფელის ფორმირება ისე, რომ განსაზღვრული შეზღუდვებისას მოხდეს რისკების მინიმიზირება.

საინვესტიციო პროცესის მეოთხე ეტაპი - ფასიანი ქაღალდების პორტფელის გადასინჯვა- დაკავშირებულია წინა სამი ეტაპის პერიოდულ გამეორებასთან. ანუ განსაზღვრული დროის შემდეგ ინვესტირების მიზნები შეიძლება შეიცვალოს, რის შემდეგაც მიმდინარე პორტფელი აღარ იქნება ოპტიმალური. შესაძლებელია, რომ ინვესტორს, რომელმაც გაყიდა პორტფელ'ში არსებული ფასიანი ქაღალდების ნაწილი და შეიძინა ზოგიერთი ახალი ფასიანი ქაღალდი, მოუხდეს ახალი პორტფელის ფორმირება. პორტფელის გადასინჯვის საფუძველი შეიძლება იყოს აგრეთვე დროთა განმავლობაში ფასიანი ქაღალდების კურსის ცვლილება. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ქაღალდი, რომელიც თავდაპირველად არ იყო ინვესტორებისთვის ხელსაყრელი, შეიძლება გახდეს დაბანდების მომგებიანი ობიექტი და პირიქით.

საინვესტიციო პროცესის მეხუთე ეტაპი - ფასიანი ქაღალდების პორტფელის ეფექტურობის შეფასება მოიცავს იმ მიღებული შემოსავლისა და რისკის მაჩვენებლების პერიოდულ შეფასებას, რომელსაც აწყდება ინვესტორი. ამისთვის აუცილებელია გამოყენებულ იქნეს რისკისა და შემოსავლიანობის მისაღები მაჩვენებლები. აგრეთვე შესაბამისი სტანდარტები შედარებისთვის.

ყველა ინვესტორი, ინდივიდუალური თუ ინსტიტუციონალური, ათავსებენ რა თავის თანხებს სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებში, მიისწრაფიან მიაღწიონ გარკვეულ მიზანს. ინვესტირების ძირითადი მიზნებია: 1. და-ბანდების უსაფრთხოება; 2. შემოსავლიანობის სტაბილურობა; 3. დაბანდების ზრდა; 4. დაბანდების ლიკვიდურობა.

უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება ინვესტიციების დაცვა ბაზარზე საინვესტიციო კაპიტალის რყევისაგან და მთლიანი შემოსავლის სტაბილურობა. დაბანდებები ყველაზე მეტად არასახიფათოა სახელმწიფო სესხის სფეროში, რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს გადახდისუნარიანობით. საიმედოა ასევე ზოგიერთი მსხვილი და საკმაოდ ცნობილი კორპორაციების ობლიგაციები. ინვესტიციის ერთ-ერთი მიზანია ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობა, რაშიც იგულისხმება ფასიანი ქაღალდების სწრაფი და მფლობელისათვის არასაზიანოდ გადაქცევა ფულად. ლიკვიდურობა არ არის აუცილებლად დაკავშირებული ინვესტიციის დანარჩენ მიზნებთან, იგი მხოლოდ გულისხმობს, რომ ყოველთვის მოინახება მყიდველი, რომელიც გარკვეულ ფასად შეიძენს მოცემულ ფასიან ქაღალდებს.

სრულყოფილი ფასიანი ქაღალდები, რომლებიც მეტნაკლებად ფლობენ ზემოაღნიშნულ ოთხივე თვისებას, არ არსებობს. ინვესტიციის ოთხი მიზნის ''შეთანხმება'' გარკვეულწილად შესაძლებელია და მიიღწევა დაბანდებების დივერსიფიკაციით. დივერსიფიკაცია კი სერიოზული დანაკარგების რისკის შემცირების საშუალებაა. რისკი მცირდება, თუ კაპიტალი ნაწილდება მრავალ ფასიან ქაღალდს შორის.

საინვესტიციო პორტფელის შერჩევა ხდება სწორად შემუშავებული სტრატეგიის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც აუცილებელია შეირჩეს კომპანიები კარგი ფუნდამენტური მაჩვენებლებით, ე.ი. მზარდი მოგებით, დივიდენდებით, გაყიდვების მოცულობით და ა.შ.

ინვესტირების სტრატეგიის შერჩევისას ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურას, წარმოადგენს რისკი და შემოსავლიანობა. შემოსავლიანობაში იგულისხმება წარმოების რენტაბელობა და გაყიდვების მოცულობის ზრდის პერსპექტივები. არსებობს მთელი რიგი მოდელები, რომლებიც აღწერენ კავშირს რისკსა და შემოსავლიანობას შორის. მათ შორის ყველაზე გავრცელებული მოდელი – CAPM *(Capital Asset Pricing Model)*, რომელიც ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ ნებისმიერი საჭირო შემოსავლიანობის განაკვეთი ტოლია რისკიდან თავისუფალ შემოსავლიანობის განაკვეთს პლიუს პრემია რისკისათვის.

ამასთან, პორტფელური რისკი შეილება განვიხილოთ, როგორც საერთო რისკი, რომელიც შედგება არასისტემატიური და სისტემატიური რისკებისგან. არასისტემატიურ რისკებს მიეკუთვნება მოვლენები, რომლებიც არის განსაკუთრებით დამახასიათებელი კონკრეტული ფირმისათვის (გაფიცვები, კონტრაქტების გაუქმება და ა.შ.). სისტემატიური არის რისკები, რომლებიც დამახასიათებელია მთელი სისტემისათვის (ომი, ბაზარზე ფასების მოულოდნელი დაცემა და ა.შ.).

კომპანიის მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციაა პორტფელური რისკების მართვა, ანუ მისი შემცირება კვალიფიციური და ეფექტიანი მუშაობის შედეგად, რისთვისაც იყენებენ შემდეგ მეთოდებს: ზარალის მინიმიზაციის მეთოდები; ზარალის ანაზღაურების მეთოდები.

ყველა ინვესტორი აწყდება რისკის მისთვის მისაღები დონის განსაზღვრის პრობლემას. მათ უნდა შეაფასონ პორტფელში შემავალი ყოველი ფასიანი ქაღალდის ხარისხი, რეგულარულად გადასინჯონ საკუთარი ინვესტიციის მიზნები და თვით პორტფელი, რათა ისინი არ აღმოჩნდნენ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში.

საინვესტიციო ფონდები საკუთარი აქციების გამოშვების საშუალებით ახდენენ ინვესტორთა სხვადასხვა ჯგუფების ფულადი სახსრების აკუმულირებას და აბანდებენ მათ სხვა ემიტენტების ფასიან ქაღალდებში. ამით საინვესტიციო ფონდები ამცირებენ თავისი აქციონერების რისკს.

საინვესტიციო ფონდების აქციების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება ფონდის მთელი დაბანდებების (აქტივების) და წმინდა (ვალდებულებების გამოკლებით) საბაზრო ღირებულების შეფარდებით მის მიერ გამოშვებული აქციების რაოდენობასთან. საინვესტიციო ფონდის მფლობელობაში არსებული აქციების საბაზრო ფასის ზრდის შემთხვევაში, იზრდება თვით საინვესტიციო ფონდის აქციების საბაზრო ღირებულებაც და პირიქით.

თანამედროვე პირობებში ინვესტიციებს ყველა ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ კომპონენტად მიიჩნევენ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამაღლებული რისკის პირობებში საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების, შეფასების მეთოდების განხილვას. ცხადია, რომ დღითიდღე იზრდება ინვესტიციების როლი ეკონომიკის გაჯანსაღებისა და შემდგომი ზრდის საქმეში. დღეისათვის ახალი საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი მოთხოვნაა საინვესტიციო რისკების მაქსიმალური გაანალიზება და ინვესტიციური პროცესის ყველა მონაწილის ინტერესების ბაზრის ინტერესებთან

დაკავშირება, რაც მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი საშუალებაა ფასიანი ქაღალდების მექანიზმის ამუშავება. საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებს შორის კი განსაკუთრებული ადგილი უკავია საფონდო ბირჟას. იგი არის ქვეყანაში სტაბილური ბაზრის და ამდენად, სტაბილური ეკონომიკის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სს კავკასიის ბირჟა „საბირჟო საქმე და ფასიანი ქაღალდების ბაზარი". ვ. სვანიძის საერთო რედაქციით. თბილისი, 1998;
2. „საფონდო და სავალუტო ბირჟების სტატისტიკა". ნ. ვირსალაძე; ნ.შონია; ა. ბაკურაძე. თბილისი, 2009;
3. „პორთფელური ინვესტიციები". ბ. ფ. მოროზოვი. მოსკოვი, 2007.

Investments and Description of the Investment Process

Nana Kotetishvili
Technical University of Georgia

In modern conditions investments are considered as the defining component of the economic policy. Accordingly a great attention is paid to discussion of the methods of adoption and evaluation of the investment decision in increased risk conditions. It is clear that the role of the investment is increased in economic recovery and growth. Today the basic requirement of a new investment policy is the maximum investment risk analysis and connection of the interests of all participants of the investment process with market interests, which should be performed with taking into account the user's requests. One of the methods of attraction of the investment capital is the mechanism of securities. A stock exchange has the important place among the market economic infrastructure institutions. It is one of the most important guarantees of the stable market and accordingly of the stable economy in the state.

Инвестиции и характеристика инвестиционного процесса

Н. Котетишвили
Грузинский Технический Университет

В современных условиях инвестиции в каждой стране считаются определительным компонентом экономической политики. По этому, большое значение присуждается рассмотрению методов оценки, принятию решений в условиях повышенного риска. Ясно, что день за днем растет роль инвестиций в оздоровлении экономики и дальнейшем росте. На сегодняшний день главное требование инвестиционной политики это максимальный анализ инвестиционных рисков и связь интересов всех участников инвестиционного процесса и интересами рынка, что должно осуществиться, предусмотрев требования потребителя. Один из способов притяжения инвестиционного капитала, это привести в действие механизм ценных бумаг. Среди институтов инфраструктуры рыночной экономики особое место занимает фондовая биржа. Она является важнейшим гарантом существования стабильного рынка в стране, а значит и стабильной экономики.

ფასიანი ქაღალდები, სახელმწიფოს წინსვლის მთავარი მექანიზმი

მანანა მაღრაძე, სტუ–ს სრული პროფესორი
თამარ ჯიქურაშვილი, სტუ–ს დოქტორანტი

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ზრდისათვის, ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი პირობაა, საბაზრო ეკონომიკის სრულყოფა და განვითარება, რაც საფონდო ბაზრის (ფასიანიქაღალდების ბაზრის) გარეშე წარმოუდგენელია.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არსებობს ფასიანი ქაღალდების შემდეგი კლასიფიკაცია:

- ✓ უმაღლესი ხარისხის ფასიანი ქაღალდები;
- ✓ საშუალო დონეზე მაღალი ხარისხის ფასიანი ქაღალდები;
- ✓ საშუალო დონის ფასიანი ქაღალდები;
- ✓ სპეკულაციური ფასიანი ქაღალდები.

ფასიანი ქაღალდი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტის გამომშვებ პირსა და მის მფლობელს შორის. ფასიანი ქაღალდის მიმოქცევაში გაშვებას ემისია, ხოლო ფასიანი ქაღალდის გამომშვებ ორგანოს ან ორგანიზაციას ემიტენტი ჰქვია. ფასიანი ქაღალდი შეიძლება არსებობდეს მატერიალური სახით, ან და – საანგარიშსწორებო დოკუმენტში ჩანაწერის ფორმით. ფასიანი ქაღალდებია:

- ✓ კორპორაციის აქციები;
- ✓ კორპორაციის ობლიგაციები;
- ✓ სახელმწიფო სასესხო ვალდებულებები;
- ✓ დეპოზიტური სერტიფიკატები;
- ✓ თამასუქები;

ბაზარს, სადაც ემიტენტების ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდები იყიდება, პირველადი ბაზარი ჰქვია. ამ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების გაყიდვა წარმოებს უშუალოდ ემიტენტების ან ემიტენტების რწმუნებულების მიერ. ვინც ყიდულობს ფასიან ქაღალდებს, ანუ ახორციელებს ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებში, არის ინვესტორი.

ინვესტორების მიერ შეძენილი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა მეორად ბაზარზე ხორციელდება, რომელიც თავის მხრივ შედგება ორი ნაწილისაგან – საფონდობ ირჟისა და არასაბირჟო ბაზრისაგან. საფონდო ბირჟა წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ორგანიზებულ ბაზარს, სადაც მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს უშუალოდ არხვდებიან, ვაჭრობა შუამავლების მეშვეობით მიმდინარეობს. არასაბირჟო ბაზარზე (ბირჟისგარეთ ბაზარზე) მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს მესამე პირების გარეშე უკავშირდებიან.

ბირჟაზე ვაჭრობა მიმდინარეობს დამტკიცებული წესების დაცვით, დადგენილ დროსა და ადგილზე (სავაჭრო დარბაზში), საჯაროდ, შუამავალთა ინსტიტუტის მეშვეობით, ფასიანი ქაღალდების კოტირებით (კოტირება გულისხმობს საფონდო ბირჟის მიერ ფასიანი ქაღალდის ოფიციალური ფასისან და ფასთა ინტერვალის დადგენას გარკვეული თარიღისათვის, გაანგარიშებული დადებული გარიგებების ან და გაკეთებული სავაჭრო განაცხადების საფუძველზე, ბირჟის მიერ დამტკიცებული მეთოდიკის შესაბამისად). ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე თავისებური ორმაგი აუქციონია იმ თვალსაზრისით, რომ თუ ჩვეულებრივ აუქციონზე წარმოდგენილია ერთი გამყიდველი და მას რამდენიმე პოტენციური მყიდველი სთავაზობს გარიგების საკუთარ პირობებს, ბირჟაზე გამყიდველები იძლევიან განაცხადებს გაყიდვაზე და მყიდველები ყიდვაზე. სავაჭრო დარბაზში შეკვეთებს ყიდვა-გაყიდვაზე ასრულებენ ბროკერები, რომლებიც დამკვეთთათვის ერთდროულად შუამავლებიც არიან და კონსულტანტებიც. საქართველოში არსებობს შემდეგი ფასიანი ქაღალდები:

1. კორპორაციათა (სააქციო საზოგადოებათა) აქციები;
2. კორპორაციათა ობლიგაციები;
3. ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები (სადეპოზიტო სერტიფიკატები);
4. სახელმწიფო ობლიგაციები.

ჩვენს ქვეყანაში ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები აწესრიგებს. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. თითოეული ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეესტრს აწარმოებს თავად ემიტენტი ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. რეესტრში აღნიშნულია რეგისტრირებული მფლობელების და მათ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია. რაც შეეხება საფონდო ბირჟას, ეს ინსტიტუტი ჩვენში ერთადერთია და გახლავთ "საქართველოს საფონდო ბირჟა". საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები და საბროკერო კომპანიები წარმოადგენენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს. მათზე ლიცენზიებს გასცემს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. საერთოდ კი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები არიან ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები, ემიტენტები, ინვესტორები და აუდიტორები.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება საქართველოში აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც დაიწყო რეფორმების და განსაკუთრებით, სააქციო საზოგადოებების რეგისტრაციის პროცესი. ეს იყო 90-იანი წლების შუა პერიოდი. დაისვა საკითხი ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ჩამოყალიბების შესახებ. შემდეგ შეიქმნა სპეციალური სამსახური – ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. დღეს, ჩვენს ქვეყანაში

ათეულობით მილიონი აქცია არსებობს. რაც შეეხება სააქციო საზოგადოებებს, მათი რაოდენობა ორიათასს აჭარბებს.

საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის მოსახვედრად საჭიროა ემიტენტმა ბირჟას თავად მიმართოს განცხადებით და გარდა იმისა, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტები წესრიგში უნდა ჰქონდეს, მას აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. არსებობს მეორე გზაც, აქციონერი მიმართავს საბროკერო კომპანიას და ეს კომპანია არეგისტრირებს განცხადებას, აგრეთვე აგროვებს იმ აუცილებელ დოკუმენტებს, რომლებიც საჭიროა ბირჟის სავაჭრო სისტემაში დასაშვებად. ამდენად, თუ სააქციო საზოგადოებას არ ჰყავს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, მისი აქცია ბირჟის სავაჭრო სისტემაში არ დაიშვება.

განვითარებულ ქვეყნებში საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიას ლისტინგი ჰქვია. ფასიანი ქაღალდის ლისტინგში მოსახვედრად საჭიროა ემიტენტის საკუთარი კაპიტალის ოდენობა იყოს არანაკლებ 100 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი, ემიტენტის საქმიანობის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 3 წელი, ზარალის გარეშე მუშაობის ხანგრძლივობა ბოლო 3 წლიდან უნდა იყოს არანაკლებ 2 წელი, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა 50 ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს და ემიტენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება უნდა ხდებოდეს საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოში "საქართველოს ბანკი" ორიენტირებულია უცხოელ ინვესტორებზე და მისი აქციები დაშვებულია არა მხოლოდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე, არამედ ლონდონის საფონდო ბირჟაზეც. მისი აქციების განთავსება ლონდონის ბირჟის ლისტინგში, რაც 2006 წლის ნოემბერში მოხდა, პირველ პრეცედენტს წარმოადგენს ქართულ ეკონომიკაში. "საქართველოს ბანკის" გარდა საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" და "საქართველოს სახალხო ბანკის" აქციები.

საქართველოს საფონდო ბირჟას GSX ინდექსი გააჩნია, ინდექსი წარმოადგენს ბირჟის სავაჭრო სისტემის ოფიციალურ ინდიკატორს. ინდექსი წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ნუსხას. ინდექსის ბაზაში შედის სავაჭრო სისტემის ლისტინგში არსებული ფასიანი ქაღალდები.

განვითარებულ ქვეყნებში საფონდო ბირჟებზე ხდება არა მხოლოდ აქციათა კოტირება, არამედ იანგარიშება აქციათა კურსის ცვლილებების საშუალო მაჩვენებელი – საბირჟო ინდექსი.

იმისათვის რომ, საქართველოს ეკონომიკის მართვა ხორციელდებოდეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით, მთავარი აისეთი მაკრო გარემოს შექმნა, სადაც ეკონომიკა თვითმართვად, თვითრეგულირებად რეჟიმში იმუშავებს. საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი საყრდენია კორპორაციული მართვა, ანუ როცა საწარმო იმართება არა ერთპიროვნულად და რაღაც ბრძანებებით, არამედ ბაზარიკ არნახობს,როგორც მოთხოვნა-მიწოდებას, ისე მართვაში მისაღებ

გადაწყვეტილებებს. როცა ქვეყანაში სააქციო საზოგადოებები არსებობს, აქციის საბაზრო ფასი ყველაზე უფრო მიუკერძოებელი მაჩვენებელია.

„საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი+“–მა საქართველოს საფონდო ბირჟაზე 2011 წელს ჩაატარა კვლევა,რომელსაც ასეთი სახე აქვს;

საქართველოს საფონდო ბაზარზე 2011 წელს ჯამში 1281 გარიგება დაიდო. გასხვისებული აქციების რაოდენობამ 102 430 267 ცალი შეადგინა, თანხობრივმა ბრუნვამკი - 19 344 259 ლარი.

კვლევამ აჩვენა, რომ საფონდო ბირჟის სავაჭრო დარბაზში 2011 წელს 860 გარიგება დაიდო, გასხვისდა 12 077 996 ცალი აქცია, ნავაჭრმა თანხამ კი 2 503 705 ლარი შეადგინა.

2011 წელს საფონდო ბირჟის გარეთ 421 გარიგება დაიდო, გაცემული აქციების რაოდენობამ 90 352 271 ცალი შეადგინა, ხოლო თანხობრივმა ბრუნვამ კი - 16 840 554 ლარი.



„საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი+“ –ის ექსპერტის, შეფასებით, ყველაზე მიმზიდველი ობიექტების აქციების გასხვისება ბირჟის გარეთ ხდება. დახურული გარიგებების დროს აქციების ფასი გაცილებით მაღალია. ამას სტატისტიკაც ცხადყოფს. გარე საბირჟო გარიგებების რაოდენობა უფრო ნაკლებია, ხოლო ფულადი ბრუნვა უფრო ჭარბი. კვლევის საფუძველზე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჯერ ისევ დასახვეწია, რადგან სამივე სახის გარიგებას ერთნაირი შედეგი უნდა ჰქონდეს, რის შემდეგადაც აქციების ლიკვიდურობაზე და ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამჭვირვალობაზე შეგვიძლია ვისაუბროთ.

ქვეყნის განვითარებისათვის და თავისუფალი ეკონომიკის აღორძიენებისათვის აუცილებელია დაინერგოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა,

საქართველოს მარეგულირებელი გარემოს შეფასებიდან გამომდინარე აუცილებელია:

1)ფასიანი ქაღალდების ბაზრის დინამიური განვითარება და სანდოობის გაზრდა.

2) მეორადი ბაზრების განვითარება, სადაც მიმოქცევაში შემოვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.

თუ საქართველოს მთავრობა ტურიზმთან და სოფლის მეორნეობასთან ერთად პრიორიტეტად აქცევს საქართველოს ფინანსური ბაზრების განვითარებას, ქვეყანას ეს ერთობ დაეხმარება ფინანსურ ბაზრის ინტეგირირების პროცესის დაძვრაში (აქ იგულისხმება საერთაშორისო საბირჟო სისტემაში ინტეგრირება), ასევე ხელს შეუწყობდა ქვეყანას შიდა ბაზრის განვითარებასა და ქართული კომპანიების აქციების საერთაშორისო ბაზრებზე გატანაში. სახელმწიფომ არსებული მარეგულირებელი გარემოსა და საქართველოს ფინანსური ბაზრების განვითარებისთვის უნდა უზრუნველყოს, გლობალურ ფინანსურ ბაზრებთან ინტეგრაციის პროცესის დაძვრა, IOSCO-სთან ინტეგრაციის პროცესისთვის მზადება; (IOSCO არისფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაცია წამყვანი საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც მთელი მსოფილიოს მასშტაბით აერთიანებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლებს); ბაზრის მონაწილეების ნდობის ამაღლებისათვის, ინვესტორთა დაცვის დამატებითი გარანტიების შემოღება, რაც ხელს შეუწყობს მარეგულირებელს ინტერესთა კონფლიქტის, სისტემური რისკების, ფინანსური ინსტრუმენტებით მანიპულირების პრევენციაში და ამავე დროს გააძლიერებს შიდა ინსპექტირების, ბაზრის გამჭვირვალობის და თანაბარი ხელმისაწვდომობის სტანდარტების დანერგვას.

ლიტერატურა

1. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაჰოვიჩი, უმცროსი. ” ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები” საქართველო ”მაცნე” 2008წ. 767გვ.
2. R. CHARLES MOYER, JAMS R. MCGUIGAN, WILLIAM J. KRETLOW “CONTENPORARY FINANCIAL MANAGEMENT” BY WEST PUBLISHING COMPANY, COPYRIGHT 1995, 610 PG.

Securities, as the main mechanism for development of the state

M. Magradze, T. Djikurashvili

In the work is considered classification of securities, Georgia-based securities market's advantages and disadvantages. The Recommendations are formed for further development and refinement of securities market.

Ценные бумаги, как главный механизм развития государства

М. Маградзе, Т. Джикурашвили

В статье рассмотрено классификация ценных бумаг, положительные и отрицательные стороны рынка ценных бумаг Грузии.Изложены рекомендации, которые будут способствовать дальнейшему развитию и совершенствованию рынка ценных бумаг.

აგრესია

ლია მეტრეველი, დალი ზერაგია
IB ევროკავკასიური უნივერსიტეტი

ზოგადად აგრესიაში იგულისხმება ქცევის რიგი სახეები: ცემა, თავდასხმა, სექსუალური ძალადობა, მკვლელობა და სხვა.

აგრესიის ძირითადი კომპონენტია, ერთი ადამიანის მიერ მეორის ზიანის ტკივილის, ტანჯვის მიყენება.,

საღი აზრის დონეზე თოთქოსდა ნათელია თუ რა იგულისხმება აგრესიის ცნებაში, მაგრამ ცნების დონეზე მისი დეფინიცია არც თუ ისეთი იოლი აღმოჩნდა. სიძნელეს ქმნის ის მდგომარეობა, რომ ტერმინი აგრესია მრავალ განსხვავებულ მნიშვნელობას აერთიანებს. აგრესიად ითვლება მანიაკის მიერ განხორციელებული მკვლელობებიც და კალათბურთელის მიერ განხორციელებული თამაშის სტილიც. მეუღლის უყურადღებობით გაბუტული ქმრის ჩუმი პროტესტიც – პასიურ აგრესიად ითვლება და ა.შ. არსებობს ე.წ. უწყინარი ქცევები, რომლებიც ასევე აგრესიის კატეგორიაში მოიაზრებიან. შესაბამისად, რომ ნათელი იყოს აგრესიის გაგება, აგრესიის ცნებამ უნდა მოიცვას ყველა ეს განსხავავებული მნიშვნელობა, ამასთან საჭირო გახდა, ამ ყოველდღიურ ტერმინოლოგიურ სირთულეში გარკვევა და პირველ რიგში კალათბურთელის თამაში აგრესიული სტილის განსხვავება დესტრუქციული აქტიობისგან. ერთი სიტყვით, საჭირო გახდა სხვისთვის ზიანის მომტანი აქტიობის გამიჯვნა აქტიობისაგან, რომელსაც სხვისთვის ზიანის არ მოაქვს. ამ მიზნით ბიჰევიორისტული ორიენტაციის ფსიქოლოგიურმა თეორიებმა შემოგვთავაზეს შემდეგი დეფინიცია – აგრესიულია ქცევა რომელიც ვნებას აყენებს ან მიაყენებს სხვას. ამ დეფინიციის უპირატესობაა ის, რომ ქცევა თვითონ განსაზღვრავს გარკვეული აქტიობა არის თუ არა აგრესიული. საჭიროა უბრალოდ დადგენა იყო თუ არა აქტიობა ვნების მომტანი, თუ აქტიობა იწვევს ან გამოიწვევს ტკივილს ან რაიმე სახის ზიანს, ის აგრესიულია.

მაგრამ , მხოლოდ ასეთი გამიჯვნა არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან მხოლოდ ქცევის შედეგებზე მითითება არაფერს ამბობს ქცევის განზრახვაზე, რაც მნიშვნელოვანია აგრესიის ბუნების გასაგებად. თუ ინდივიდი არ ცდილობს ვნება მიაყენოს სხვას და უნებლიედ ზიანი მიაყენა, ის არ განიხილება როგორც აგრესია. განსაზღვრა იმისა არის თუ არა აქტიობა აგრესიული, არ არის დამოკიდებული

მხოლოდ დაკვირვებად ქცევაზე. ამიტომ უფრო მიღებულია აგრესიის დეფინიცია როგორც ქცევა ან განზრახვა ქცევისა რომელიც ვნებას მიაყენებს სხვას.

გარდა ამისა, მკვლევარები ერთმანეთისგან განასხვავებენ თანდაყოლილ და ინსტრუმენტალურ აგრესიას. ე.ი. აგრესიას სადაც აგრესია თვითმიზანს წარმოადგენს განასხვავებენ აგრესიისაგან, რომელიც ინსტრუმენტს წარმოადგენს გარკვეული მიზნის მისაღწევად. მაგ. როცა კალათბურთელი თავისი აგრესიული სტილით აღწევს გარკვეულ მიზანს, მისი აგრესიულობა განიხილება როგორც ინსტრუმენტალური. მაგრამ, თუ მისი აგრესია მიმართულია იქითკენ, რომ ამით შური იძიოს მოწინააღმდეგოს კარგი ტექნიკური ილეთით მისი მოტყუებისათვის, ეს უკვე მტრული აგრესიაა. აგრესია ამ შემთხვევაში თვითმიზანი ხდება.

არჩევენ აგრეთვე ანტისოციალურ და პროსოციალურ აგრესიას. საქმე ისაა, რომ აგრესია ყოველთვის არ განიხილება როგორც მიუღებელი, ცუდი. მაგ. პოლიციელი, რომელიც თავისი აგრესიული ქცევით უვნებელყოფს ტერორისტს ან ხულიგანს, ამით იცავს სოციალურ ნორმებს. მისი აგრესიულობა განიხილება, როგორც პროსოციალური. მაშინ როცა, ტერორისტი, რომელსაც მძევლები ყავს აყვანილი, ან ხულიგანი, რომელიც ქუჩაში დებოშს აწყობს, არღვევს სოციალურ ნორმებს და მათი ქცევა განიხილება როგორც ანტისოციალური.

ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, ეთოლოგები, ფილოსოფოსები დიდი ხანია დაობენ იმაზე აგრესიულობა არის თანდაყოლილი ფენომენი თუ შეძენილია გამოცდილებით. კამათი დღესაც გრძელდება. საკითხი ეხება იმას ადამიანი თავისი ბუნებით არის კეთილი თუ ბოროტი. ჯერ კიდევ ჟან ჯაკ რუსო თვლიდა, რომ ადამიანები თავიაანთი ბუნებრივი მდგომარეობით არიან კეთილები, მაგრამ საზოგაოდოება თავისი აკრძალვებით თავს ახვევს მათ აგრესიას და ცოდვებს. ამის საწინააღმდეგოდ, ჩამოყალიბდა თეორიები, სადაც უხეშობა და აგრესიულობა ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობადაა მიჩნეული, ხოლო საზოგადოება თავისი კანონებით და წესებით ახდენს ადამიანის ინსტიქტური აგრესიულობის მოთოკვას, მის სუბლიმირებას. ასეთ ცნობილ ინსტინქტ თეორიას წარმოადგენს ფროიდის ფსიქოანალიზური თეორია, ლორენცის თეორია და მაკდაუგოლის ფსიქოლოგიური თეორია.

ზ. ფროიდის აზრით ადამიანის საფუძვლებში დევს ორი ბაზისური ინსტინქტი ეროსი და თანატოსი – სიცოცხლის და სიკვდილის ინსტინქტი. მისი აზრით აგრესიულობის საფუძვლები სიკვდილის ინსტიქტში უნდა ვეძებოთ. როცა სიკვდილის ინსტინქტი მიმართულია შიგნით, ის ვლინდება თვითდასჯის, თვით–დარღვევის ფორმით, რომლის უკიდურესი გამოხატულება თვითმკვლელობაა. როცა ეროსის გავლენით სიკვდილის ინსტინქტი მიმართულია გარეთ, ის ვლინდება სხვებისადმი მტრობის, სხვათა მკვლელობის ფორმით.

ფროიდს მიაჩნია, რომ აგრესიის ენერგია რაღაც ფორმით უნდა გამოვლინდეს, ანუ უნდა მოხდეს მისი განტვირთვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი დაგროვება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი ფსიქიკური დარღვევები. ამიტომ მის თეორიას უწოდებენ აგრესიის „ჰიდრავლიკურ თეორიას“, რომელიც დახურულ ქვაბში დუღილის მსგავსად მოქმედებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ აგრესიას არ მიეცა გამოვლენის საშუალება, ადრე თუ გვიან

„აფეთქდება“. შესაბამისად, ფროიდის აზრით საზოგადოების მნიშნველოვანი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს ამ ენერგიის რეგულირება, დაეხმაროს ადამიანს მოახდინოს ამ ენერგიის სუბლიმირება, დამანგრეველი ენერგია მიმართოს საზოგადოებისათვის სასარგებლო ქცევის განხორციელებისაკენ.

ზოგიერთი მეცნიერი უფრო შორს მიდის და აგრესიის ე.წ. ინსტინქტ თეორიას უფრო უკიდურესი ფორმით გვთავაზობს. ისინი უშვებენ, რომ ადამიანი არა მარტო მკვლელია, არამედ მისთვის დამახასაითებელია უაზრო დამარღვეველი ლტოლვა და ამაში ის უნიკალურია, რადგან ამის ანალოგი ცხოველთა სამყაროში არ არსებობს. ლაპარაკია იმაზე, რომ მხოლოდ ადამიანი კლავს თავისივე მოდგმის არსებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომას არა აქვს მყარი ექსპერიმეტული საფუძვლები.

საერთოდ ძნელია, თუ არა შეუძლებელი, შევაფასოთ მოვლენის ინსტინქტის ტერმინებით ახსნა. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე რომ ინსტინქტით მოვლენის ახსნა ტავტოლოგიადაა ჩათვლილი, შეუძლებელია მისი მართებულობის ექსპერიმენტული შემოწმება. ადამიანში აგრესიულობის იმპულსების თანდაყოლილობა რომ ექსპერიმენტულად დავასაბუთოთ საჭიროა ადამიანის სრულ იზოლაციაში ყოფნა, ადამიანი დაბადებიდან ზრდასრულობამდე ვამყოფოთ სრულ იზოლაციაში, ისე რომ გამოვრიცხოთ ყოველგვარი გარე სტუმული. ამის გაკეთება კი შეუძებელია როგორც ტექნიკური ისე ეთიკური თვალსაზრისით. რომც მოხერხდეს ადამიანის ასეთი სრული იზოლაცია, ეს იმდენად ხელოვნური სიტუაცია იქნება, რომ შედეგებიდან რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთება შეუძლებელი იქნება.

გასაგებია, რომ აგრესიის ფენომენის შესწავლისას, ფაქტების უმრავლესობა მიღებულია ცხოველებზე ჩატარებული დაკვირვებებიდან და ექსპერიმენტებიდან. ცხოველები ბევრს ჩხუბობენ საკვებისათვის, ტერიტორიისათვის. დაიცვან თავიანთი პატარები და ა.შ. მაგრამ ცხოველების ასეთი ქცევების შეფასებისას სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ აგრესიის ჩვენს მიერ მიღებული დეფინიცია, მრავალი ქცევისათვის არ აღმოჩნდა ადექვატური. მაგ. როცა ლომი თავს ესხმის ზებრას, რა იმპულსი ამოძრავებს მას? ის თავს ესხმის ზებრას იმიტომ რომ გაბრაზებულია თუ იმიტომ რომ შია? აღმძრავი იმპულსია აგრესიულობის იმპულსია თუ შიმშილი? იგივე პრობლემა დგება როცა საკითხი ეხება ცხოველის მიერ თავისივე სახეობის წარმომადგენლის მიმართ განხორციელებული აგრესიული ქცევის ახსნას. ერთიდაიგივე სახეობის ცხოველები ერთმანეთში ჩხუბობენ ტერიტორიისათვის, მდედრისათვის. მდედრისათის ბრძოლა მოტივირებულია სექსუალური მოთხოვნილებით და არა აგრესიულობით. შედარებით რთულია დომინირებისათვის ბრძოლის ფენომენი. მასში შეიძლება ჩართული იყოს როგორც სქესის ისე შიმშილის მოთხოვნილება, რადგან 1. დომინირებული მამრი ჩვეულებრივ ირჩევს როგორც მდედრს ისე საკვების სასურველ წილს. 2. დომინანტობის დემონსტრირება მათ ააცილებს მომავალში ბრძოლის აუცილებლობას. ცხოველები დომინანტობისათვის იბრძვიან მხოლოდ ერთხელ, რათა ჩამოაყალიბონ პოზიციები და შემდგომისათვის განახორციელონ მშვიდობიანი თანაარსებობა. 3. დომინანტობის ჩამოყალიბება ხელს უწყობს აგრეთვე ჯგუფის დაცვას, რადგან ის განსაზღვრავს თუ რომელმა ცხოველმა რა როლი უნდა

ითამაშოს თავდაცვისას, ამდენად დომინანტობისათვის ბრძოლა ემსახურება მრავალ მიზანს და არ შეიძლება მისი ახსნა აგრესიულობის ინსტინქტით.

უამრავი კვლევა მიეძღვნა საკითხს არსებობს თუ არა აგრესიულობის იმპულსი. უნდა აღინიშნოს, რომ შედეგები ერთმნიშვნელოვანი პასუხის შესაძლებლობას არ იძლევა. მაგ. ერთერთ ექსპერიმენტში კატა და თაგვი გაზარდეს ერთად, ერთ გალიაში. გარდა იმისა, რომ ასეთ სიტუაციაში კატა და თაგვი საკმაოდ კარგად თამაშობენ ერთმანეთთან და კატა არავითარ აგრესიას არ ამჟღავნებდა ამ თაგვის მიმართ, კატა არავითარ აგრესიას არ ამჟღავნებდა სხვა თაგვების მიმართაც. აღინიშნა, რომ ეს ექსპერიმენტი უბრალოდ აჩვენებდა, რომ გარკვეულ პირობებში შეიძლება ჩავაქროთ აგრესიულობის იმპულსი. მაგრამ ასევე ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ თაგვი რომელიც აბსოლიტურ იზოლაციაში გაზარდეს, ისე რომ არ ჰქონია თავისივე სახეობის სხვა წარმომადგენელთან ურთიერთობის ან ჩხუბის გამოცდილება, ამჟღავნებდა გამოკვეთილ აგრესიულ რეაქციას გალიაში უცხო თაგვის გამოჩენისას, ისე როგორც ამას აკეთებენ თაგვები ჩვეულებრივ სიტუაციაში. ამრიგად ჩვენს მიერ განხილული პირველი ექსპერიმენტი აჩვენებდა, რომ გარკვეული პირობების შექმნით შეიძლება აგრესიული ქცევის მოდიფიცირება. ხოლო მეორე ექსპერიმენტი ამტკიცებს რომ აგრესიულობა დასწავლას არ საჭიროებს.

როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ამ საკითხთან დაკავშირებული კვლევის შედეგებიდან არ გამომდინარეობს, რომ აგრესიულობა აუცილებლად ინსტიქტურია. აგრესიულობის არსებობა, რომლებიც იწვევენ აგრესიას. გამომდინარე აქედან ასკვნიან, რომ არ არსებობს მოჩხუბარობის (აგრესიის) თანდაყოლილი მოთხოვნილება. ეს დასკვნა ეწინააღმდეგება ინსტინქტის ფროიდესეულ გაგებას, რომელიც უშვებს აგრესიულობის ინსტინქტის (თანატოსი) არსებობას.

ამ დავაში ჩაერთო კონდრატ ლორენცი (ეთოლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი). ლორენცი აკვარიუმში აკვიდებოდა ტროპიკული თევზების ერთერთი სახეობის ქცევას, რომელიც გამოირჩევა აგრესიულობით. თევზების ამ სახეობისათვის დამახასიათებელია ის, რომ მამრი თავს ესხმის თავისივე სახეობის მამრებს. ცნობილია, რომ სადაც ეს თევზები ბუნებრივ სიტუაციაში ცხოვრობენ სხვა სახეობის თევზები არ არიან. ამასთან მდედრები არ ესხმიან მდედრებს. ლორენცი აწარმოებდა დაკვირვებას ამ თევზების ქცევაზე, როცა აკვარიუმში დატოვა მხოლოდ ერთი მამრი და დედალი თევზები. ინსტინქტის ჰიდრავლიკური თეორიის თანახმად, ასეთ სიტუაციაში, სადაც არ არსებობდა მამრისთვის ე,წ. სპარინგ–პარტნიორი, აგრესიულობის მოთხოვნილება თანდათანობით უნდა გაიზარდოს იმ დონემდე, რომ შეუტიოს მდედრს. სწორედ ასე მოხდა. მამრმა იერიში მიიტანა მდედრებზე, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში არ წარმოადგენს მისი თავდასხმის ობიექტს. მეტიც როცა აკვარიუმიდან ამოიყვანა მდედრებიც და მხოლოდ ერთი წყვილი მამრი და მდედრი დატოვა მამრმა ერიში მიიტანა მდედრზე.

ლეონარდ ბერკოვიცს, ადამიანური აგრესიის ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტს, მიაჩნია, რომ ადამიანი არსებითად იმით განსხვავდება არაადამიანური არსებისაგან, რომ ადამიანის აგრესიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასწავლა.

მისი აზრით, ადამიანურ დონეზე აგრესია წარმოადგენს თანდაყოლილი მიდრეკილებების და დასწავლილი რეაქციების ურთიერთქმედების რთულ ფუნქციას.

განვითარების ევოლუციური თეორიის მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს ახალი მეცნიერება ე.წ. სოციოლოგია, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ლორენცის ინსტინქტ თეორიას და განსხვავებულ ბიოლოგიურ იდეებს. სოციობიოლოგები ამტკიცებენ, რომ სოციალური ქცევის ყველა ასპექტი, მათ შორის აგრესია. შეიძლება აიხსნას ევოლუციური თეორიის პოზიციებიდან. რომ რადგან აგრესია მამრებს ეხმარება სასურველი მიზნის მიღწევაში, დაეუფლოს მდედრს და ასევე მდედრებს ეხმარება დაიცვან თავიანთი ნაშრომები, აგრესიის ამ ფორმებზე სრულად ვრცელდება ცნობილი ბუნებრივი შერჩევის პრინციპი.

სოციალური ფსიქოლოგის მრავალი წარმომადგენელი ეთანხმება სოციობიოლოგიას აქ წარმოდგენილ მოსაზრებას, მაგრამ ზოგიერთი მაინც ვარაუდობს, რომ ასეთი მიდგომა ვერ მოგვცემს სრულ სურათს ადამიანური აგრესიის მიზეზების შესახებ. მიაჩნიათ, რომ ადამიანური აგრესია ბევრად უფრო რთული ფენომენია, და ხშირად განსხვავებული სოციალური კონტექსტის გავლენას განიცდის. ამიტომ ასკვნიან, რომ სოციობიოლოგიური მიდგომა ვერ მოგვცემს ადამიანური აგრესიის სრულ გაგებას.

რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბიოლოგია უმნიშვნელო როლს თამაშობს ადამიანური აგრესიის გაგებაში. დადასტურებულად ითვლება, რომ ფიზიკურ აგრესიაზე გავლენას ახდენს მამაკაცის სექსუალური ჰორმონი ტესტოსტერონი. გავლენას ახდენს აგრეთვე სისხლში შაქრის რაოდენობა და ა.შ. მტკიცდება აგრეთვე გენეტიკური ფაქტორების მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, როგორიც არ უნდა იყოს აგრესიის გენეტიკური და ბიოქიმიური წანამძღვრები, აშკარაა, რომ ადამიანების აგრესიის გამოვლენის ფორმებზე, პირველ რიგში, გავლენას ახდენს სოციალური ფაქტორები.

იდეა, რომ აგრესიულობა ჩაშენებულია ადამიანის ბუნებაში, საკმაოდ პოპულარულია. თუმცა მრავალი ევოციალური ორიენტაციის ფსიქოლოგი, უარყოფს აგრესიის ინსტინქტის ცნებით ახსნას. მათი აზრით საერთოდ მოვლენის ინსტინქტებით ახსნა არ არის მეცნიერული. მიუთითებენ, რომ ინსტინქტ თეორიის წარმომადგენლები იწყებენ იმის მითითებით, რომ აგრესია არის ადამიანური ქცევის გარკვეული ფორმა. ამ დაკვირვებადი ფაქტის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ასეთი ქცევა უნდა მომდინარეობდეს უნივერსალური, ადამიანის ბუნებაში ჩაშენებული ლტოლვებიდან ან ტენდეციებიდან. ბოლოს ღია ქცევებს იყენებენ როგორც ამ იმპულსების ანუ ინსტინქტების არსებობის მხარდამჭერ ფაქტებს. როგორც ვხედავთ ლოგიკა, მართლაც ძალიან საეჭვოა. შედეგი მიზეზითაა ახსნილი და მიზეზი შედეგითაა დასაბუთებული. ტავტოლოგია ახსნაში. სწორედ ამიტომ და იქიდან რაც გამომდინარეობს ინსტინქტთეორიული მიდგომიდან, სოციალურ ფსიქოლოგებს ტენდენცია აქვთ უპირატესობა მიანიჭონ საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომელიც ემყარება რწმენას, რომ აგრესია მომდინარეობს გარემოპირობებით განპირობებული მოთხოვნილებიდან ზიანი მიაყენო ან აწყენინო სხვას. ეს მიდგომა აისახა განსხვავებულ ე.წ.დრაივ თეორიებში (ბერკოვიჩი, ფეშბახი და სხვები). ამ მიდგომის წარმომადგენლები

ვარაუდობენ, რომ გარკვეული გარემო პირობები (მაგ. ფრუსტრაცია, სახის დაკარგვა) წარმოშობს ძლიერ მოტივს განახორციელო ზიანის მომტანი ქცევა. ასეთ აგრესიულ მოთხოვნილებას (დარაივს) თავის მხრივ მივყევართ სხვების წინააღმდეგ მიმართულ ღია ქცევამდე. აღნიშნული მიდგომა ცნობილია როგორც ფრუსტრაცია-აგრესიის ჰიპოთეზა. ამ მიდგომის თანახმად, ფრუსტრაციას მივყევართ მოთხოვნილების აღძვრამდე რომლის მიზანია ზიანი მიაყენო გარკვეულ ადამიანს ან ობიექტს. მოთხოვნილების იმპულს, თავის მხრივ მივყევართ გარკვეულ სამიზნეზე –განსაკუთრებით ფრუსტრაციის წყაროზე- თავდასხმამდე.

რადგან, თეორია უშვებს, რომ გარეგანი პირობები და არა შინაგანი ტენდენციებია კრიტიკული, ამ მიდგომის თანახმად, აგრესიული ქცევის აცილება პრინციპში შესაძლებელია. ამდენად აგრესიის ე.წ. დრაივ თეორია რამდენადმე უფრო ოპტიმისტური ჩანს. აგრესია ამ თეორიაში განხილულია, როგორც რეაქცია, როგორც ნეგატიური აფექტი, არაკეთილსასურველ მოვლენებზე.

მართლაც, თუ გავიხსენებთ შემთხვევას როცა მოვიქეცით აგრესიულად სხვის წინააღმდეგ, არ გაგვიჭირდება გავიხსენოთ თუ რას ვგრძნობდით. ეს იყო ალბათ გრძნობის მოზღვავება, გაღიზიანება, წყენა და ა.შ. ერთი სიტყვით გვქონდა ნეგატიური გრძნობა. ურთერთობას ნეგატიურ, არასასიამოვნო გრძნობებსა და აგრესიას შორის მივყევართ აგრესიის მესამე თეორიული პერსპექტივის ფორმულირებამდე, რომელიც ცნობილია როგორც კოგნიტური ნეოასოციაციონისტური თვალსაზრისი (გერკოვიცი 1984).

თეორია ვარაუდობს, რომ არაკეთილსასურველი მოვლენების (რომლის არიდებასაც ვარჩევდით) ექსპოზიცია წარმოშობს ნეგატიურ გრძნობებს (წყენინების არა სასიამოვნო გრძნობა, გაღიზიანება, გაბრაზება). ეს რეაქცია თავის მხრივ ავტომატურად ააქტიურებს ტენდენციას როგორც აგრესიისაკენ ისე განრიდებისაკენ (ძალისხმევა გაექცე არასასიამოვნო სიტუაციას), ასევე ავტომატურად ააქტიურებს გარკვეულ ფიზიოლოგიურ რეაქციებს, მეხსიერების გარკვეულ შინაარსებს, ფიქრებს, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ განცდასთან. ყოველივე ამას მოჰყვება თუ არა ღია აგრესია, ეს უკვე დამოკიდებული ხდება მრავალ ფაქტორზე, როგორიცაა აზროვნება და სხვა მაღალი დონის კოგნიტური პროცესები. მაგ. თუ ინდივიდს მიღებული აქვს გარკვეული ანტიპატიური გამოცდილება (ტკივილი ან დისკომფორტის სხვა ფორმები) ის შეიძლება მიდრეკილი იყოს იმოქმედოს აგრესიულად. თუ ინდივიდი აცნობიერებს,რომ აგრესიული ქცევა არა შესატყვისი ან მიუღებელია, მან შეიძლება აქტიურად შეაკავოს ასეთი ტენდენციები.

როგორც ვხედავთ აგრესიის კოგნიტური ნეოასოციაციონისტური თვალსაზრისი ეხება საკითხს თუ როგორ შეიძლება ემოციონალური და კოგნიტური ფაქტორების გაერთიანება რათა გავლენა მოვახდინოთ ადამიანის აგრესიაზე. ამდენად აღნიშნული თეორია საკმაოდ იმედის მომცემია დავაკონტროლოთ ადამიანის აგრესიული ტენდენციები.

კოგნიტური ნეოასოციაციონისტური თვალსაზრისი, დრაივ თეორიის მსგავსად ვარაუდობს, რომ ადამიანები ხშირად არიან სიტუაციაში, რომელიც იწვევს აგრესიას.

კოგნიტური ნეოასოციაციონისტური თეორია, სიტუაციის ასეთ გამოწვევას უპირისპირებს აზროვნების არგუმენტაციულობის მაღალ დონეს. ხშირად ასეთ სიტუაციაში ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს დროის დეფიციტის პირობებში, შეიძლება რაციონალური პროცესებისათვის საჭირო დრო არ იყოს საკმარისი. ამდენად ამ თვალსაზრისის პრაქტიკულობა პრობლემური შეიძლება აღმოჩნდეს.

აგრესია ჩვეულებრივ არ ხორციელდება სოციალურ და სიტუაციურ ვაკუუმში. ჩვეულებრივ აგრესია მომდინარეობს სპეციფიკური სოციალური და სიტუაციური ფაქტორებიდან. ეს ფაქტორები განსაზღრავენ აგრეთვე აგრესორის მიერ მსხვერპლის არჩევას. ამ ფაქტორებიდან გამოიკვეთა შემდეგი:

1. ფრუსტრაცია. შედარებით გავრცელებული მიდგომა აგრესიისადმი არის ე.წ. ფრუსტრაცია-აგრესიის ჰიპოთეზა. ამ ჰიპოთეზის თანახმად ფრუსტრაციას ყოველთვის მივყევართ აგრესიის ამა თუ იმ ფორმამდე და აგრესია ყოველთვის მომდინარეობს ფრუსტრაციიდან. ერთ სიტყვით, ფრუსტრირებული ადამიანი ყოველთვის ავლენს ამა თუ იმ ტიპის აგრესიას და აგრესიის ყოველი აქტი, თავის მხრივ არის ფრუსტრაციის შედეგი.

როგორც ვხედავთ დებულება საკმაოდ კატეგორულია. ჩვეულებრივ მიაჩნიათ, რომ მსგავსი კატეგორიული დებულება სადაოა. ამიტომ დგება საკითხი მათი ჭეშმარიტების შესახებ. ფრუსტრაციას მართლა აქვს ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აგრესიისათვის?

პასუხი არის ის რომ ფრუსტრაცია – აგრესიის ჰიპოთეზის ორივე ნაწილი ზედმეტად რადიკალურია. აღმოჩნდა, რომ ფრუსტრირებული ადამიანი ყოველთვის არ რეაგირებს აგრესიული აზრებით, სიტყვებით და ქცევით. ფრუსტრაციაზე საპასუხო რეაქცია შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს დაწყებული უარის თქმიდან და სასოწარკვეთილებიდან ფრუსტრაციის წყაროს დაძლევით დამთავრებული.

მეორეს მხრივ, არც ყოველი აგრესია არის ფრუსტრაციის შედეგი. ინდივიდის აგრესიული ქცევა შეიძლება განსხვავებული ფაქტორებით იყოს დეტერმინირებული. მაგ. სპორტსმენმა (მოკრივემ) შეიძლება თავისი ოპონენტის მიმართ გამოავლინოს აგრესიული ქცევა, გამომდინარე შეჯიბრის სიტუაციაში თავისი როლიდან, ან იმიტომ, რომ მოიგოს მისთვის მნიშვნელოვანი პრიზი და არა იმიტომ, რომ ის ფრუსტრირებულია. ან კიდევ, ინდივიდი, რომელსაც სურს კარიერაში დაწინაურება ზოგჯერ იყენებს კომპლექსურ პოლიტიკურ მანერებს რათა დაძლიოს მეტოქე. ამ და სხვა მრავალ ანალოგიურ სიტუაციებში აგრესია მომდინარეობს ფრუსტრაციიდან განსხვავებული ფაქტორებიდან. ამრიგად, მტკიცება რომ აგრესია ყოველთვის არის დაბრკოლების შედეგი, მცდარია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მრავალი სოციალური ფსიქოლოგი არ ვარაუდობს,რომ ფრუსტრაცია წარმოადგენს აგრესიის ერთადერთ მნიშვნელოვან მიზეზს.

უმრავლესობას მიაჩნია, რომ ფრუსტრაცია ერთერთია იმ მრავალ ფაქტორთაგან, რომელსაც შეუძლია აგრესიის გამოწვევა. გარდა ამისა, არსებობს თანხმობა იმაში, რომ ფრუსტრაცია გამოიწვევს თუ არა აგრესიას დამოკიდებულია ორ პირობაზე: ფრუსტრაციის ინტენსიობაზე და აღქმულ კანონიერებაზე. ფრუს-

ტრაციას აქვს ტენდენცია გაზარდოს აგრესიის ალბათობა მხოლოდ მაშინ როცა ის არის ძლიერი ან მხოლოდ მაშინ როცა ის აღქმულია როგორც არბიტრალური ან არაკანონიერი. თუ ფრუსტრაცია არის სუსტი ან აღქმულია როგორც კანონიერი, აღმოჩნდა, რომ მას ნაკლებად შეუძლია აღძრას აგრესია.

2. პირდაპირი პროვოკაცია – ანუ, როცა აგრესია ბადებს აგრესიას. თუ ფრუსტრაციამ გარკვეულ ინტენსიობას უნდა მიაღწიოს რათა შესძლოს აგრესიის გამოწვევა, პირდაპირ ვერბალურ ან ფიზიკურ პროვოცირებას, ჩანს, რომ შეიძლება ჰქონდე ეს ეფექტი მაშინაც კი, როცა ის ძალიან სუსტია. არაფორმალური დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ინდივიდები ხშირად რეაგირებენ, და საკმაოდ ძლიერადაც მსუბუქ დაცინვაზე ან სხვების ქცევაზე რომელსაც აღიქვამენ ,როგორც გარკვეული დონის თავდასხმად. მეტიც, ხშირად ამ დროს ადგილი აქვს პროცესის ესკალაციას და ხდება უფრო და უფრო ძლიერი პროვოკაციების სწრაფი ერთერთ გაცვლა, ორივე მხარისთვის საშიში შედეგებით..

ფიზიკურ პროვოკაციასა და აგრესიას შორის მჭიდრო კავშირის არსებობის შესახებ მონაცემები მიღებულ იქნა მთელი რიგი კვლევებიდან. ერთერთ კვლევაში სუბიექტის პროვოცირებას იწვევდა (ძლიერი ელექტრო შოკის გამოყენებით) უცნობი, რის შემდეგ სუბიექტს ჰქონდა შესაძლებლობა გამოეყენებინა ელექტრო შოკი მის წინააღმდეგ. ასეთ სიტუაციაში პროვოკაციის ინტენსიობის ზრდა აწვევდა საპასუხოდ გამოყენებული შოკის ინტენსიობის ზრდას. მუქარაზე საპასუხო მუქარა უფრო სამაგიეროს გადახდას ემსგავსებოდა და არა "მეორე ლოყა მიუშვირეს" სტრატეგიას. მსგავსი შედეგები დაფიქსირდა ვერბალური აგრესიის შემთხვევაშიც. ასევე პასუხობს ადამიანების უმრავლესობა რეალურ ან წარმოსახვით დაცინვაზე.

მართალია, სამაგიეროს გადახდის პრინციპი, როგორც პროვოკაციაზე რეაქცია, უფრო დომინირებს, მაგრამ მიუთითებენ, რომ ასე არ არის ყოველთვის. აღმოჩნდა, რომ თუ როგორი იქნება პროვოკაციაზე რეაქცია, ინდივიდი უპასუხებს სამაგიეროს გადახდით თუ უგულებელყოფს მას მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღქმული განზრახვა და პროვოკატორის მახასიათებლები.

აღქმული განზრახვა და პროვოკაციაზე რეაქცია. საღი აზრის დონეზეც აშკარად ჩანს, რომ პროვოკაციაზე რეაქცია გაშუალებულია იმით თუ როგორ აღვიქვამთ პროვოკატორის აქტიობას. თუ პროვოკატორის აქტიობა აღქმულია, როგორც წინასწარ განზრახული, საპასუხო რეაქცია რა თქმა უნდა იქნება გაბრაზება და სურვილი გავცეთ პასუხი. თუ პროვოცირება აღქმულ იქნა როგორც არაგანზრახვითი, შემთხვევითი ფაქტორების შედეგი, ფაქტორების რომელიც ინდივიდის კონტროლს არ ექვემდებარება, ნაკლებია ალბათობა მან გამოიწვიოს აგრესია. ერთი სიტყვით, აღქმული აქტიობის შესახებ ჩვენი ატრიბუცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმის დეტერმინაციაში თუ როგორი იქნება საპასუხო რეაქცია. როგორც ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ისე კორელაციური კვლევები აშკარად ადასტურებს აღქმულ განზრახვასა და პროვოკაციაზე რეაქციას შორის კავშირს. ერთერთ ცნობილ კვლევაში, გოგონა სუბიექტების რანჟირება ხდებოდა იმისდამიხედვით თუ რა ინფორმაციას იღებდნენ ისინი ოპონენტის

(ფაქტიურად გოგონა ცრუ სუბიექტები) განზრახვის შესახებ, თუ რა ინტენსიობის ელექტრო შოკს გამოიყენებდა ოპონენტი. სობიექტების ნაწილს ეუბნებოდნენ რომ ოპონენტს განზრახული აქვს ძლიერი ელექტრო შოკის გამოყენება. ნაწილს ეუბნებოდნენ, რომ ოპონენტს განზრახული ჰქონდა სუსტი ელექტრო შოკის გამოყენება. ამის შემდეგ, ექსპერიმენტში, სუბიექტების ნახევარი მართლაც იღებდა ელექტრო შოკს იმ ინტენსიობით, რომელიც შეესაბამებოდა მიღებულ ინფორმაციას. ხოლო მეორე ნახევარი იღებდა ელექტრო შოკს იმის საწინააღმდეგო ინტენსიობისა რა ინფორმაციაც მიიღეს. თუ ინფორმაცია ჰქონდათ, რომ ოპონენტს განზრახული ჰქონდა ძლიერი ელეტრო შოკის გამოყენება, სუბიექტები ფაქტიურად სუსტ ელექტრო შოკს იღებდნენ. ხოლო თუ განზრახული იყო სუსტი ელექტროშოკის გამოყენება სუბიექტები იღებდნენ ძლიერ ელექტრო შოკს. კვლევის შემდგომ ფაზაში, სუბიექტებს ეძლეოდათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ ნებისმიერი სიძლიერის ელექტრო შოკი თანამონაწილე ოპონენტის მიმართ.

თუ ინდივიდი ირეაგირებს ოპონენტის პროვოკაციული აქტიობის აღქმულ განზრახვაზე, უნდა მოველოდეთ, რომ სუბიექტები გამოიყენებენ ძლიერ ელექტრო შოკს იმ ოპონენტის წინააღმდეგ რომელსაც განზრახული ჰქონდა ძლირი ელექტრო შოკის გამოყენება. და სუსტ ელექტრო შოკს გამოიყენებდნენ იმ ოპონენტის მიმართ რომლებსაც განზრახული ჰქონდათ სუსტი ელექტრო შოკის გამოყენება. უფრო მეტი, მოსალოდნელი იყო ასეთი რეაქცია მიუხედავად იმისა თუ ოპონენტები რა ინტენსიობის ელექტრო შოკს გამოიყენებდნენ ფაქტიურად. კვლევის შედეგები ადასტურებდა ნაწინასწარმეტყველებ მოლოდინებს. მიუხედავად ფაქტიურად გამოყენებული ელექტრო შოკის სიძლიერისა, სუბიექტები რეაგირებდნენ იმაზე თუ რა ინფორმაცია ჰქონდათ ოპონენტის განზრახვის შესახებ.

პროვოკატორის მახასიათებლები. გარდა პროვოკატორის განზრახვისა, თუ როგორი იქნება პროვოკაციაზე რეაქცია, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, პროვოკატორის მახასიათებლებზე. პირველ რიგში ცხადია ნაკლები ალბათობაა აგრესიულად ვირეაგიროთ პროვოკაციაზე თუ პროვოკატორი აშკარად ჩვენზე ძლიერი და საშიში ჩანს. ასევე, კვლევები აჩვენებენ, რომ მამაკაცები ნაკლებად ამჯღავნებენ სამაგიეროს გადახდის სურვილს ქალების მიმართ ვიდრე მამაკაცების მიმართ. დადასტურდა აგრეთვე, რომ ადამიანებს ნაკლები ტენდენცია აქვთ აგრესიულად ირეაგირონ ფიზიკურად მიმზიდველი ინდივიდების პროვოკაციაზე. ერთი სიტყვით სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ბედნიერი და მიმზიდველი გარეგნობის ადამიანები პროვოცირების სიტუაციაში ნაკლებად მიიღებენ აგრესიულ საპასუხო რეაქციას.

ბოლო პერიოდში სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა კინოფილმებსა და ტელე ეკრანებზე მოჭარბებული ე.წ. ძალადობის ფილმების ჩვენება. ფსიქოლოგების კვლევის საგანი გახდა, საკითხი თუ რა კავშირია ტელეეკრანებზე ძალადობის ფილმების ხშირ ექსპოზიციასა და მაყურებლის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, აგრესიულობის დონეს შორის. უამრავი გამოკვლევა მიეძღვნა ამ საკითხს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ პასუხი არ არის ერთმნიშვნელოვანი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოს, გაკეთდა დასკვნა, რომ მედიუმების

საშუალებით ძალადობის ხშირი ექსპოზიცია წარმოადგენს ერთერთ ფაქტორს, რომელიც განსაზღრავს საზოგადოებაში აგრესიულობის მაღალ დონეს. კვლევების მრავალი განსხვავებული მიმართულება, შესაძლოა განსხვავებული საშუალებებით, თითქოსდა ადასტურებს საკითხის ასეთ ინტერპრეტაციას.

უ.ყ. ასეთ ინტერპრეტაციას ადასტურებს ლაბორატორიული კვლევები. ერთერთ ადრინდელ კვლევაში, ბავშვები უყურებდნენ მოკლე ფილმს, სადაც მოზრდილი წარმოადგენდა აგრესიულ მოდელს (ბანდურა, 1965). ფილმში მოზრდილი რომელიც გარკვეულ საქმიანობას ეწეოდა, გამოხატავდა გამოკვეთილ აგრესიას რეზინის თოჯინის მიმართ. ბავშვების მეორე ჯგუფი ასევე უყურებდა იმავე მოკლე ფილმს, იმ განსხვავებით, რომ ფილმიდან ამოღებული იყო აგრესიის გამომხატველი სცენები. ამის შემდეგ ბავშვებს ტოვებდნენ მარტო და აკვირდებოდნენ მათ ქცევას. სიტუაციაში არსებობდა რეზინის თოჯინა რომლის მიმართ ფილმში ხორციელდებოდა აგრესია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები“ – მარინა ბალიაშვილი – თბ. 2010
2. გვ. 319- 6
3. გვ. 319 – 9
4. გვ. 319- 10
5. შოთა ნადირაშვილი – „პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია“
6. დევიდ მაიერსი – „სოციალური ფსიქოლოგია “ – 2008წ.
7. რევაზ ქვარცხავა – „სოციალური ფსიქოლოგია“ – თსუ გამომცემლობა
8. Э. Аронсон. Т. Уилсон, Р. Эйкерт, - Социалъная психолоия, Психологические законы, Москва, 2004.
9. რიჩარდ გერგი, ფილიპ ზიმბარდო – ფსიქოლოგია და ცხოვრება, ქართული თარგმანი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თსუ – 2009.

Aggression

Lia Metreveli, Dali Zeragia

There are different forms of aggression. Expression of any kind of aggression means cause suffering and damage to someone else. Anger is a cause of physical aggression. According to statistical data, three-fourths of murders are motivated by anger.

Aggression is largely conditioned by the situation: the social and physical factors as well.

There are many stressing factors in the environment; aggression may be caused by strong noise, bad smell, heat, etc.

The men are mostly the victims of aggression from strangers, but in the case of domestic violence victims are mainly women and children.

Агрессия

Л. Метревели, Д. Зерагия

Существуют различные формы агрессии. Выражение агрессии в любой форме предполагает нанесение другому лицу ущерба и страданий. Причиной физической агрессии является злость. Согласно статистическим данным, три четверти убийств мотивированы злостью.

В большинстве случает агрессию предопределяет ситуация: как социальные, так и физические факторы.

Вокруг нас немало стрессоров; агрессию может вызвать громкий шум, плохой запах, жара и др.

Жертвой агрессии со стороны незнакомых людей в основном являются мужчины, но в случае семейного насилия, чаще всего жертвами становятся женщины и дети.

ბავშვის სოციალიზაცია

ლია მეტრეველი
IB ევროკავკასიური უნივერსიტეტი

სოციალიზაციის პროცესი დაბადებიდან იწყება. ადრეული ბავშვობის წლები ყველაზე ინტენსიური სოციალიზაციის პერიოდია, როდესაც ვეუფლებით ენას და ვსწავლობთ ჩვენი კულტურის ფუნდამენტურ მახასიათებლებს. ამ დროს იწყება პიროვნების ჩამოყალიბება.

სხვადასხვა კულტურაში ბავშვთა სოციალიზაციის განსხვავებული მეთოდები და ტექნიკა გამოიყენება, თუმცა გამოყოფენ სოციალიზაციის ორ ზოგად ტიპს – ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას. პირველ შემთხვევაში, ბავშვის სოციალიზაციის პროცესი, ძირითადად, საკლასო ოთახებში, მასწავლებლების და აღმზრდელების გარემოცვაში მიმდინარეობს. ამ დროს ბავშვის სოციალიზაცია კონტროლირებადი და უფროსების მიერ მართულია. ამის საპირისპიროდ, არაფორმალური განათლების დროს სოციალიზაციის პროცესი ნაკლებად ექვემდებარება კონტროლს. ბავშვი, უმთავრესად, მიბაძვით, უფროსების ქცევის იმიტაციით ითვისებს კულტურის ნორმებს და ქცევის წესებს. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი დაყოფა პირობითია და სოციალიზაციის ამ ორ ზოგად ტიპში ქვეშ ბევრი ქვეტიპი გამოიყოფა, რომელიც კონკრეტული კულტურისთვის არის დამახასიათებელი.

ბავშვის აღზრდა რთული და კომპლექსური პროცესია, რომელიც განსაზღვრავს მის სოციალიზაციას. ამაში უმნიშვნელოვანესი და უნიკალური როლი აქვს როგორც დედას, ასევე მამას. მშობლები აღზრდის პროცესში ხშირად უშვებენ შეცდომებს და ვერც კი აცნობიერებენ, თუ რამხელა ტრამვას აყენებენ ბავშვებს.

ბავშვის აღზრდაში და სოციალიზაციაში ორივე მშობლის როლი ძალზე მნიშვნელოვანია. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, დედის სიყვარული უპირობოა, ანუ ქალში დედობრივი ინსტინქტი თავიდანვეა და მას შვილი უპირობოდ უყვარს, მიუხედავად იმისა, რამდენად არის ის დადებითი თვისებებით დაჯილდოებული. რაც შეეხება მამას, მის სიყვარულს დამსახურება და მოპოვება ესაჭიროება. აქედან გამომდინარე, ხშირად, აღზრდის პროცესში ბავშვს მიუთითებენ ხოლმე, რომ „მამას ეწყინება, მამა გაბრაზდება, თუკი შენ ამას ასე არ გააკეთებ“. ფაქტობრივად, ბავშვი ცდილობს, დაიმსახუროს ორივე მშობლის სიყვარული, მაგრამ განსაკუთრებულად ხაზგასმულია მამის სიყვარულის დამსახურება. მამა და ბავშვი თავიდანვე სწავლობენ ერთმანეთთან ურთიერთობას და ერთმანეთის სიყვარულს. აქედან გამომდინარე, მამის სიყვარული იწოდება პირობითად, რაკი მას ბავშვი მოიპოვებს.

მიუხედავად იმისა რომ ტრადიციები ბევრ რამეს განსაზღვრავს ბავშვის სოციალიზაციაში, არანაკლებ ბევრ რამეს განსაზღვრავს კონკრეტული ოჯახის ინდივიდუალური სტრუქტურა. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, ძალიან ძნელია, აიღო რაღაც მოდელი. არის ზოგადი სტრუქტურა, რაც განპირობებულია კულტურათა და სქესთაშორის განსხვავებით, მაგრამ წყვილს შორის გადამწყვეტი როლი მაინც ინდივიდუალურ შეთანხმებას ენიჭება, რაც ბავშვის აღზრდაშიც გამოიხატება. ამიტომ, თუ თანამედროვე ოჯახში ქალს აქვს მეტი შემოსავალი და ეს აძლევს მას შესაძლებლობას და უფლებამოსილებას, განკარგოს ყველა საკითხი, ეს ისევე მიუღებელია, როგორც მამაკაცის მხრიდან იგივე საქციელი. ანუ რომელიმე მეუღლის დომინანტობის უკიდურესი გამოხატვა, არც ერთ შემთხვევაში არ მიიჩნევა ჯანსაღ ოჯახურ გარემოდ. არ აქვს მნიშვნელობა, ტირანიისკენ დედა იხრება თუ მამა, ასეთ ოჯახში ბავშვი ყველა შემთხვევაში ტრავმულ გარემოში იზრდება. რამდენადაც დედის კულტი საქართველოში ძლიერია, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ორმაგად მატრავმირებელი აღმოჩნდეს, როდესაც ოჯახში დედა იხრება ტირანიისკენ. თუმცაღა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დედა, რომელიც აქტიურია, სოციალურად და ფინანსურად ძლიერად დგას ფეხზე, არ არის მისაღები ოჯახისთვის და შვილისთვის, პირიქით. გააჩნია, ასეთ ქალს როგორი ურთიერთობა აქვს მეუღლესთან. თუ ცოლსა და ქმარს ერთმანეთთან ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ, რაც სიყვარულსა და პატივისცემაზეა აგებული, მათ შეუძლიათ, ნებისმიერი ტიპის როლი გადაანაწილონ ჰარმონიულად, რაც უწინარესად აისახება ბავშვის აღზრდაზე და სოციალიზაციაზე. შესაძლოა, მამას ჰქონდეს ფული, ის იყოს შემომტანი, მაგრამ გარკვეული პიროვნული მახასიათებლებით დედა იხრებოდეს ტირანიისკენ, ანუ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, პოპულარული თემა – ეკონომიკური მდგომარეობა – არ არის საკმარისი ასპექტი იმისთვის, რომ ბავშვი ჯანსაღად ან არაჯანსაღად აღიზარდოს.

რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ბავშვს ჰყავდეს ორივე, რადგან დედას აქვს თავისი უნიკალური როლი, რასაც ვერ შეცვლის მამა და პირიქით. აქედან გამომდინარე, დასანანია, როდესაც ეს ბალანსი ირღვევა. აღზრდის პროცესი ძალიან რთული, მნიშვნელოვანი და კომპლექსურია, შესაბამისად, ბავშვისადმი

ჯანსაღი დამოკიდებულებით, გაწონასწორებული, პიროვნული თვისებებით და რეალობის ადეკვატური აღქმით, ერთ მშობელს ნამდვილად შეუძლია, აღზარდოს ბავშვი დამატებითი ტრავმების გარეშე. ბავშვი გადის სოციალიზაციის ბევრ ეტაპს და დედისა და მამის გარდა, მის ცხოვრებაში შემოდის ბევრი სხვა უფროსის ხატი.

გარკვეულწილად, შესაძლებელია ბებიამ, ბაბუამ ან ბიძმა ჩაანაცვლოს დედა ან მამა, ოღონდ არა პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ბებია ვერასოდეს იქნება დედა და ბაბუა - მამა. აქედან გამომდინარე, ბავშვის მოტყუება არ შეიძლება, მაგრამ ის, რომ ბავშვს არ ჰყავს მამა და სამაგიეროდ, ჰყავს ბიძა, მამინაცვალი, ბაბუა ან სამივე ერთად, ბუნებრივია, ეს ადამიანები გარკვეულწილად ახდენენ მნიშვნელოვანი მამაკაცის, მამის როლის, კომპენსაციას. ამიტომ ასეთ ოჯახებში შეიძლება უფრო ჰარმონიულად გაიზარდოს ბავშვი, ვიდრე ისეთ ოჯახებში, სადაც ბიოლოგიური დედაც არის და მამაც, მაგრამ არაჯანსაღი გარემოა. ანუ, თუკი მამას და დედას კარგად არ აქვთ თავიანთი როლი და მოვალეობა გაცნობიერებული და არ ცდილობენ, რომ მაქსიმალურად კარგად შეასრულონ ეს როლი შვილთან მიმართებაში, მაშინ ჯანსაღი აღზრდის პროცესი დარღვეულია და ასეთ გარემოში ბავშვის აღზრდას აჯობებს, ერთმა მშობელმა ცალკე შეუქმნას ბავშვს აღზრდისთვის სასურველი გარემო. რაც უნდა ძვირფასი იყოს ერთი ადამიანი და რაც უნდა უნიკალური როლი ჰქონდეს მას, თუ ის ამ როლს ბავშვისთვის მისაღები ფორმით ვერ ახორციელებს, მას მაინც აყენებს ტრავმას და ხელს უშლის მის სოციალიზაციას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ სქესობრივ მომწიფებასთან ერთად მწიფდება და გარდატეხას განიცდის ფსიქიკა, სულიერი სამყარო, მოზარდის პიროვნული მე. აქედან გამომდინარე, მათი საქციელი და შეხედულებანი, რა მიუღებელიც არ უნდა გვეჩვენებოდეს, მკაცრად არ უნდა გავაკრიტიკოთ.

როგორც წესი, თავისუფლების სურვილი მოზარდთა მთავარი სატკივარია. მშობლებსა და სხვა ახლობლებს რატომღაც ავიწყდებათ, რომ მოზარდი ბავშვი არ არის, - დამოუკიდებელი აზროვნებისა და შეხედულებების მქონე სუბიექტია, ყურადღებას არ აქცევენ მათ აზრს და მათგან კვლავ ბავშვურ მორჩილებას მოითხოვენ იმ საკითხებშიც კი, რომლებიც მოზარდისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (მაგალითად, სწავლა, შრომა, მუშაობა, პროფესიისა თუ სპორტის ან ხელოვნების რომელიმე სფეროს შერჩევა). როცა მოზარდი განუწყვეტლივ წინააღმდეგობას აწყდება, საშუალება არ აქვს, რაიმე დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, როცა მისგან მუდივად მორჩილებას მოითხოვენ, ეს მის სულში კონფლიქტსა და სტრესს იწვევს, იძაბება და განხეთქილებამდე მიდის ურთიერთობები. თავისუფლების წყურვილი იმდენად მძაფრდება, რომ მოზარდებს შინიდან გაქცევის სურვილიც კი უჩნდებათ.

მოზარდს ეცვლება გემოვნება, შეხედულებანი, აზროვნება, ზოგჯერ თავადაც ვერ გაურკვევია, რა მოსწონს, რა ურჩევნია; ისეც ხდება, რომ ჩაცმულობითა და მანერებით უარყოფით პერსონაჟებს ბაძავს. ამის გამო ნუ დასცინებთ, ნუ გააკრიტიკებთ, ირონიულად ნუ უგულებელყოფთ. მით უმეტეს, ნუ მოსთხოვთ, მაინცდამაინც ისე ჩაიცვას და მოიქცეს, თქვენ რომ მოგწონთ და

გსიამოვნებთ. უფროსების კატეგორიული ტონი და მკაცრი მოთხოვნები მხოლოდ უკურეაქციასა და პროტესტს გამოიწვევს.

ალერსიანი, თბილი და კომპრომისული დამოკიდებულებით, ურთიერთგაგებით მათ უფრო ადვილად მიიმხრობთ. პუბერტატულ პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს კვებისა და დასვენების რეჟიმს. რაციონი მდიდარი უნდა იყოს ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებითა და მინერალებით. ეს კომპონენტები აუცილებელია მოზარდის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესებისთვის, იმუნური სისტემის სრულყოფისა და განმტკიცებისთვის. ზოგჯერ ბავშვობიდან გამოყოლილი რაიმე დაავადება ამ ასაკში მწვავდება. ასეთ მოზარდებს უფრო მეტი ყურადღება სჭირდებათ. ამ ასაკის გოგონები გადამეტებული ყურადღებით ეპყრობიან საკუთარ გარეგნობას, ზედმეტად კრიტიკულები ხდებიან თავიანთი თავისადმი, ეჩვენებათ, რომ სულაც არ არიან მომხიბვლელები, ცდილობენ, დაიკლონ წონა. ამიტომ მათზე გამორჩეული კონტროლია საჭირო, რათა ყველაზე რთულ პერიოდში აუცილებელი საკვები ნივთიერებები არ დააკლდეთ და ზიანი არ მიაყენონ ორგანიზმს. არაფრით არ შეიძლება გადაღლა, გადაძაბვა. ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა რაციონალურად უნდა იყოს შერწყმული დასვენებასა და განტვირთვასთან. ღამით 8-9 საათი მაინც უნდა ეძინოთ, დაუშვებელია ამ ასაკში გვიანობამდე კომპიუტერთან ჯდომა. მოზარდმა აუცილებლად უნდა მისდიოს სპორტს. კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მის ფსიქიკაზე ხელოვნება - სიმღერა, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, ცეკვა... ყოველივე ეს შესანიშნავი განტვირთვაც არის. კვების არასწორი რეჟიმი, ცხოვრების უწესრიგო რიტმი, მუდმივი კონფლიქტი და სტრესი მოზარდებში უამრავ ფსიქოსომატურ დაავადებას იწვევს, ამ უკანასკნელთა პროფილაქტიკის სადავეები კი თქვენს ხელთაა. ასე რომ, ეცადეთ გაუგოთ, თანაუგრძნოთ და სწორად მიუდგეთ მოზარდს.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, პირველ რიგში, სოციალიზაციას გულისხმობს. სოციალური გამოცდილების შეძენით, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებით, საკუთარი პოზიციის გამოხატვით, სხვებთან დაპირისპირებით, დამოუკიდებლობის გამოვლენით, საკუთარი თავის "შემოწმებით", შემდგომი საქმიანობის პერსპექტივების დასახვით ბავშვი ზრდასრულ პიროვნებად ყალიბდება.

ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პროცესი, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც მიმდინარეობს. მასში სოციალური განვითარების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებია გადახლართული. ერთი მხრივ, ამ რთული პერიოდისათვის დამახასიათებელია ნეგატიური გამოვლინებები, _ პიროვნების დისჰარმონია, უკვე ჩამოყალიბებული ინტერესების შეცვლა, მოზრდილებთან მიმართებაში პროტესტის გამომხატველი ქცევა და სხვა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია უამრავი დადებითი ფაქტორი _ მზარდი დამოუკიდებლობა, ურთიერთობათა მრავალფეროვნება, საქმიანობის სფეროს შეცვლა და გაფართოება, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ პასუხისმგებლობის განვითარება და სხვა.

ადამიანის მშვიდი, უცვლელად ჰარმონიული, "გაყინული", გარემოსთან მუდმივად შეგუებული არსებობა, პრინციპში, შეუძლებელია. ადამიანი დინამიურ

წონასწორობაშია გარემომცველ სამყაროსთან, რაც მასში მუდმივი ადაპტაციის აუცილებლობას ქმნის. თუ ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, დროის მოცემულ კონკრეტულ მონაკვეთში ადამიანი ჯანმრთელად ითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეზადაპტაციის სხვადასხვა ფორმები სომატური და ფსიქიკური ხასიათის დაავადებებს, აგრეთვე სოციალურ გადახრებს იწვევს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დევიავიური ქცევა, მიმართული სიხარულის, სიამოვნების ნებისმიერი გზით მიღებაზე (ნარკოტიკებით, ალკოჰოლით და სხვა), სასურველის ნებისმიერი გზით მოპოვებაზე (წართმევა, მოპარვა და სხვა), ნებისმიერი გზით თვითდამკვიდრებაზე (სხვათა დევნა, დამცირება, ძალადობა და სხვა).

მოზარდის განვითარების სწორედ ეს პერიოდია მთელი მისი შემდგომი ცხოვრების განმსაზღვრელი. მოზარდის ხასიათი გარკვეული მიკროსოციალური პირობების გავლენით ყალიბდება. თუ საით მიმართავს მოზარდი თავის პოტენციალს, დამოკიდებულია გარემოცვაზე, მისთვის მნიშვნელოვან ადამიანებთან ურთიერთობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) fsiqologicfa.blogspot.com
2) phmdf.ge
3) მამია ყოლბაია, ბავშვთა ფსიქოლოგია, თბ. 1998.
4) შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბ. 1975.
5) თ. გოგიჩაიშვილი - მოსწავლეთა ფსიქოლოგია, თბ. 2011წ.
6) რიჩარდ გერიგი, ფილიპ ზიმბარდო - თსუ გამომცემლობა, 2009.
7) მარინა ბალიაშვილი - სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, 2010წ.

Children's Socialization

Lia Metreveli

In general, socialization is the process that continues throughout life. Exactly the socialization process determines an individual's personal characteristics, beliefs, attitudes toward the environment, etc. Socialization begins at birth, and newborns do not belong to any culture. In the socialization process we learn the language of the culture and the roles we will play in the life. In the socialization people learn their professional roles as well.

Социализация ребенка

Л. Метревели

Вообще-то процесс социализации длится на протяжении всей жизни. Именно процесс социализации определяет личностные свойства, взгляды индивидуума, его взаимоотношения с окружающей средой и т.д. Социализация начинается с самого рождения, новорожденный не относится ни к какой из культур. В процессе социализации мы учим язык той культуры, в которой мы живем, и те роли, которые мы должны играть в жизни. При социализации люди овладевают и собственными профессиональными ролями.

თვითმკვლელობა – სუიციდი საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა

ლია მეტრეველი
IB ევროკავკასიური უნივერსიტეტი

თვითმკვლელობა შეიძლება გამოწვეული იყოს ბევრი მიზეზით, მათ შორის ყველაზე ხშირია დეპრესია, სირცხვილი, დანაშაულის განცდა, გაუსაძლისი ფიზიკური ტკივილი, ემოციური გადატვირთვა, აღელვება, ფინანსური პრობლემები და ა. შ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით ყოველწლიურად ერთ მილიონზე მეტი ადამიანი იკლავს თავს, და სიკვდილიანობის ყველაზე დიდი წილი მოზარდებსა და 35 წელს ქვევით ახალგაზრდებში თვითმკვლელობაზე მოდის. დაახლოებით 10-20 მილიონი შემთხვევა კი, საბედნიეროდ არასასიკვდილო შედეგით მთავრდება.

თვითმკვლელობის დეფინიცია საკმაოდ პრიმიტიულია და ამავე დროს ბევრის მომცველი, ის შემდეგში მდგომარეობს – ნებაყოფლობით საკუთარ სიცხოცხლეზე ხელის აღება. ეს არის ქმედება, რომელიც თავის მხრივ არის კარგად მოფიქრებული და გააზრებული. ადამიანი რომელიც ჩადის სუიციდს ან სუიციდურ ქმედებას არის კარგად მოტივირებული, მას ამოძრავებს კონკრეტული მიზანი, რომ თავის მოკვლის განზრახვა მოიყვანოს სისრულეში. ის რაც ბევრისთვის სიცოცხლის მთავარი მიზეზია, სუიციდიანტებისათვის შეიძლება პირიქით, სიკვდილის ძალიან კარგი მოტივი იყოს. რთული სათქმელია თუ როდის გამოიკვეთა პირველად სუიციდის პრობლემა, შეიძლება ითქვას, რომ იგი კაცობრიობის გაჩენიდან მოყოლებული არსებობს, თუმცა როგორც ზოგიერთ მასალაშია აღნიშნული, პირველი თვითმკვლელობის ცნობა გვხვდება ეგვიპტურ ლექსებში, რომელიც დაწერილია დაახლოებით 4000 წლის წინ. იქ გამოთქმულია აზრი, თუ როგორ დაღალა ადამიანი ცხოვრებამ და როგორ უნდა სიკვდილი.

თვითმკვლელობაზე პირველი კვლევა და თანაც ძალიან კარგი, ისეთი დღემდე რომ შეინარჩუნა აქტუალობა, ემილ დიურკჰეიმმა ჩაატარა

მან თვითმკვლელობის ასეთი ტიპოლოგია გააკეთა:

1) ეგოისტური
2) ანომიური
3)ალტრუისტული
4) ფატალისტური

ეგოისტური თვითმკვლელობები არის დეპრესიის, ადამიანურობის დეფიციტის, სოციალური ურთიერთობების რღვევის გამო ჩადენილი თვითმკვლელობა, ანუ მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, სიყვარულის, სითბოსი და ყურადღების ნაკლებობის გამო ჩადენილი თვითმკვლელობა - ადამიანს არ გააჩნია ისეთი "მე", როგორიც უნდა, ანუ გარემო არ აღიქვამს მას ისე და არ აქვს ისეთი დამოკიდებულება მასთან, როგორსაც ინდივიდი ისურვებდა.

ეგოისტური თვითმკვლელობის მაღალი დონე გვხვდება ისეთ საზოგადოებებში, კოლექტივებსა და ჯგუფებში, სადაც ინდივიდი არ არის ინტეგრირებული

უფრო ფართო სოციალურ ერთეულში. ინტეგრაციის დაბალი დონე ინდივიდებში ქმნის უაზრობის/უფუნქციობის შეგრძნებას.

ალტრუისტური თვითმკვლელობა – დიურკემის მიერ განხილული თვითმკვლელობის მეორე ტიპია ალტრუისტური. მაშინ როდესაც ეგოისტურ თვითმკვლელობას ადგილი აქვს, მაშინ როდესაც სოციალური ინტეგრაცია ძალზედ სუსტია, ალტრუისტური თვითმკვლელობა ჩნდება მაშინ, როდესაც "სოციალური ინტეგრაცია ძალზედ ძლიერია". სიტყვასიტყვით რომ ვთქვათ, ინდივიდი იძულებულია თავი მოიკლას.

ალტრუისტული თვითმკვლელობის ყველაზე აშკარა მაგალითი იყო წმინდა ჯიმ ჯონსის მიმდევრების მასობრივი თვითმკვლელობა ჯოუნსთაუნში, გაიანაში. მათ შეგნებულად დალიეს მოწამლული სასმელი, და ზოგიერთმა შვილებსაც აიძულა დაელია. ისინი ჩადიოდნენ თვითმკვლელობას, რადგან მათ უბიძგეს შეეწირათ საკუთარი სიცოცხლე ჯონსის ფანატიკური მიმდევრებისათვის. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, ის ვინც ალტრუისტულ თვითმკვლელობას ჩადის, იქცევა ასე, რადგან თვლის, რომ ეს მისი მოვალეობაა.

ალტრუისტული თვითმკვლელობის დროს, ადამიანი სიცოცხლეს თავისი სუბიექტური არსებობის გაუაზრებლად ისპობს, მხოლოდ სხვაზე ორიენტირებულობის გამო, ეს მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი ისე აიგივებს თავს ვინმესთან რომ მის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენლად მიაჩნია. მაგალითად,ჯულიეტამ თავი მოიკლა, იმიტომ რომ რომეოს გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. ან კიდევ,ბატონებისა და მეფეებისთვის რომ დებდნენ თავს და ა.შ.

ანომიური თვითმკვლელობა – ანომიური თვითმკვლელობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც საზოგადოების მარეგულირებელი ძალები დანგრეულია.

ანომიური თვითმკვლელობები ახასიათებს რაიმე დიდ ეკონომიკურ-სოციალური ძვრებს. აი, მაგალითად, გაკოტრებული მილიარდერი მატარებელს თუ ჩაუვარდება, ეს იქნება ანომიური თვითმკვლელობა.

ფატალისტური თვითმკვლელობა – დიურკემმა ფატალისტური თვითმკვლელობის ჩამდენი ადამიანები შემდეგნაირად დაახასიათა: "მარეპრესირებელი დისციპლინის გამო, მათი გმნობები ძალისმიერად არის დათრგუნული, მომავალი კი ჩაკეტილი".

კლასიკური მაგალითი არის როდესაც მონა იკლავს თავს – იმ შევიწროების/ჩაგვრის უიმედობის გამო, რომელიც თითოეულ მის ქმედებას მოჰყვება. ძალზედ ძლიერი რეგულაცია – შევიწროება – იწვევს მელანქოლიურ დინებებს, რაც თავის მხრივ იწვევს ფატალისტურ თვითმკვლელობას.

შეიძლება სუიციდის სამი ტიპი გამოვყოთ:

1. **შანტაჟური სუიციდი,** რომლის დროსაც ადამინი სუიციდის იმიტაციას აწყობს, თითქოსდა ამის ჩამდენი იყოს, რადგან ზეგავლენა მოახდინოს გარშემო მყოფებზე.

2. **აფექტური სუიციდი,** როცა ადამიანი მომენტალურად იღებს გადაწყვეტილებას რაიმე ძლიერი დარტყმის თუ ტკივილის დროს რათა თავიდან აიცილოს და თვალი არ გაუსწოროს მის თავს დატრიალებულ ტრაგედიას და

ამიტომ ადამიანი მისდა გაუცნობიერებლად აფექტურ, ძლიერი სულიერი აღელვების დროს ღებულობს თვითმკვლელობის ჩადენის მომენტალურ გადაწყვეტილებას, თუმცა თუ მას ვინმე შეაჩერებს შესაძლოა არასოდეს აღმოუცენდეს იგივე განზრახვა და შემდეგ ინანოს კიდეც მისი საქციელი.

3. **განზრახული** ანუ კარგად დაგეგმილი სუიციდი, რომელსაც ადამიანი ახორციელებს ყველასაგან დამოუკიდებლად, ასეთ დროს ადამიანის გადაწყვეტილება იმდენად ძლიერია და კარგად გათავისებული თუ გაცნობიერებული, რომ მისი არამც თუ გადაფიქრება არამედ შემჩნევაც კი ზოგჯერ შეუძლებელია, ასეთს როგორც წესი ბოლომდე მიჰყავთ ხოლმე თავისი განზრახვა. ხშირად ჩარევას შედეგი არ გამოაქვს.

ადამიანზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს ოჯახი. ამის გათვალისწინებით ფსიქოლოგებმა განსაზღვრეს ისეთი ოჯახების ტიპები, სადაც არსებობს თვითმკვლელობის პოტენციური საშიშროება:

დეზინტეგრირებული ოჯახი – დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი წევრების განცალკევებულობა, ურთიერთობებში ფორმალურობა, მათ შორის ემოციური კავშირის არარსებობა და სხვ. განსაკუთრებით საშიში სიტუაცია იქმნება ნაწილობრივ დეზინტეგრირებულ ოჯახში, სადაც ვიღაც აღმოჩნდება მარტო მის წინააღმდეგ ამხედრებული ახლობლების წინაშე.

სუპერინტეგრირებული ოჯახი – აქ საქმე გვაქვს წევრების პიროვნული ავტონომიურობის რღვევასთან. ისინი იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ვერ წარმოუდგენიათ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება. ამ შემთხვევაში ერთ-ერთის სიკვდილი იწვევს მეორის აბსოლუტურ უსუსურობას.

დისჰარმონიული ოჯახი – ხასიათდება მისი წევრების მოთხოვნილებების, მიზნების რადიკალური განსხვავებულობით, ურთიერთთანხმობის არარსებობით, საკუთარი ინტერესებისა და ჩვევების დათმობის უუნარობით და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ლიდერი დანარჩენებს მუდმივად თავს ახვევს საკუთარ სურვილებს, ჩვევებს და ითხოვს მათგან ქცევის შეცვლას.

დახურული თვითმყოფადი ოჯახი – მისი წევრებისთვის ოჯახი წარმოადგენს ცხოვრების ძირითად აზრს, ყველაფერი დანარჩენი კი (სამუშაო და გარე ურთიერთობები) განიხილება როგორც ოჯახური კეთილდღეობის შენარჩუნების საშუალება.

კონსერვატიული ოჯახი – მთავარ თავისებურებას წარმოადგენს გარეგანი ცვალებადი პირობებისადმი ადაპტირების უუნარობა. თუკი ასეთი ოჯახის ერთ-ერთი წევრი ოჯახის გარეთ არსებულ კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდება, სხვა წევრები, თავისი კონსერვატიული შეხედულებებიდან გამომდინარე, არ ეხმარებიან მას და თქვენ წარმოიდგინეთ შესაძლებელია მოწინააღმდეგის მხარეც კი დაიკავონ.

არსებობს ფარულსუიციდური ოჯახიც, რომელიც ხორციელდება ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებით. მათი მიღება თვითდესტრუქციული ქცევაა, რომელიც პირდაპირ მიმართულია სიცოცხლის შემოკლებისკენ. ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოხმარება იზრდება სოციალური პრობლემების პროპორციულად,

როცა ადამიანი მათი მეშვეობით ცდილობს რეალო ბიდან გაქცევას, თუმცა, სინამდვილეში, მისდა უნებურად, სიცოცხლეს გაურბის.თვითმკვლელობა ხშირად არის დაკავშირებული მძიმე სოციალურ ფონთან: თუმცა არსებობს სხვა მიზეზებიც, რის გამოც ადამიანები საკუთარ სიცოცხლეს ხელყოფენ ესენია:

სულიერი აშლილობა, როცა ადამიანი დაავადებული, გაუწონასწორებელია და ეს ორგანული დაზიანებიდან გამომდინარეობს.

სტრესი – შესაძლოა, პირმა აფექტის შედეგად მიიღოს მსგავსი გადაწყვეტილება.

დეპრესიული მდგომარეობა, როცა პირი თავისი არსებობის აზრს ვერ ხედავს, რამაც, შესაძლებელია, თვითგანადგურების გადაწყვეტილებამდე მიიყვანოს – ამით გამოხატავს აგრესიას საკუთარი თავის მიმართ.

არაერთი ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოების გმირია სუიციდის მსხვერპლი. სუიციდის მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს. მსოფლიოში მრავალი ფაქტი მოწმობს სუიციდის შემთხვევებს, არაერთ ისტორიულ პირს დაუსრულებია სიცოცხლე თვითმკვლელობით (ჰიტლერი, სტალინის მეუღლე, გალაქტიონი, ჰემანგუეი), აგრეთვე არა ერთი ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოების გმირია სუიციდის მსხვერპლი. ეს ფაქტები მხოლოდ იმის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ, რომ სუიციდი ნებისმიერი საზოგადოების, ეპოქისა თუ ფორმაციის პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომ დასკვნის გაკეთება საკმაოდ მარტივია, რომ სუიციდი მხოლოდ თანამედროვე სამყაროს პრობლემას არ წარმოადგენს.

ძველად, თვითმკვლელობა სურვილის და ნების გამოხატვის თავისუფლებაზე მეტად, ვალდებულება იყო, რომელსაც ადამიანებს ტრადიციები კარნახობდა. ბევრ პირველყოფილ ტომში თავს იკლავდნენ იმიტომ, რომ კვდებოდა მათი ბელადი. ინდოეთში, ქვრივი თავს იწვავდა თავისი მეუღლის გვამთან ერთად, ამ ქმედებით ის იცავდა თავის ღირსებას და საკუთარ თავს, რომ შემდეგში არ გამხდარიყო რაიმე სახის ძალადობის მსხვერპლი. სატის ტრადიციის აღმოსაფხვრელად კანონმდებელმა შემოიღო სასჯელი თვითმკვლელობის მცდელობისათვის, რაც ითვალისწინებს 1 წლამდე ვადით პატიმრობას ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, ჯარიმის გადახდის სახით, თუმცა საბოლოოდ ვერ იქნა მიღწეული შედეგი. დღესაც გვევლინება ფაქტები, როდესაც ქვრივები ჩუმად, მაგრამ მაინც იწვავენ თავს გარდაცვლილ მეუღლეებთან ერთად. საინტერესოა, რომ სუიციდი გარკვეულ ვითარებასა და სიტუაციაში ძველადაც და დღესდღეობითაც გმირობის ტოლფასად ითვლებოდა. სუიციდის მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს, მსოფლიოში მრავალი ფაქტი მოწმობს სუიციდის შემთხვევებს, არაერთი ისტორიულ პირს დაუსრულებია სიცოცხლე თვითმკვლელობით (ჰიტლერი, სტალინის მეუღლე, გალაქტიონი, ჰემანგუეი), აგრეთვე არა ერთი ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოების გმირია სუიციდის მსხვერპლი. ეს ფაქტები მხოლოდ იმის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ, რომ სუიციდი ნებისმიერი საზოგადოების, ეპოქისა თუ ფორმაციის პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომ დასკვნის გაკეთება საკმაოდ მარტივია, რომ სუიციდი მხოლოდ თანამედროვე სამყაროს პრობლემას არ წარმოადგენს.

კამიკაძე (იაპ. სიტყვასიტყვით "ღმერთების ქარი"), სასიკვდილოდ გამიზნული მფრინავი იაპონიის შეიარაღებულ ძალებში მეორე მსოფლიო ომის დროს. კამიკაძე ერთჯერადი მოქმედების თვითმფრინავით ებრძოდა მოწინააღმდეგის ხომალდებს.

ჰარაკირი - იაპონიაში რიტუალურ თვითმკვლელობას - მუცლის გაფატვრას, ეწოდება. თავიდან მას მხოლოდ სამურაები აკეთებდნენ. იაპონელენი კი ამ ტრადიციას "სეკუკუს" "კაპუკუს" უწოდებენ. სეკუკუ პირდაპირ აღნიშნავს მუცლის გაფატვრას. თუ სეკუკუ ინიშნებოდა როგორც სასჯელი, ეს იმას ნიშნავდა, რომ დამნაშავემ შეიგნო დანაშაული. დამნაშავე სეკუკუს წინ ამბობდა: "ცუდად მოვიქეცი, მრცხვენია სინდისის წინაშე და საკუთარი ხელით ვისჯი თავს". ხანდახან სეკუკუს უდანაშაულო ადამიანიც აკეთებდა, რაც იმას ნიშნავდა: "უდანაშაულო ვარ, მაგრამ მინდა გაჩვენოთ ჩემი სული, რათა თვითონ განმსაჯოთ". მუცლის გაფატვრით გამოწვეული ტკივილი ძალიან მძიმე ასატანია. სამურაის თვალში ჰარაკირი და ბრძოლაში დაცემა ერთნაირი გმირობა იყო. როდესაც ქმარი საკუთარ თავს ჰარაკირით დასჯიდა, სამურაის ცოლი ვალდებული იყო კისრის ძარღვი გადაეჭრა და თავი მოეკლა. ამ პროცედურას ჯიგაი ეწოდებოდა. თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, ქალები ფეხებს კოჭებთან იკრავდნენ, რათა სიკვდილის შემდეგ უხერხულ პოზაში არ ყოფილიყვნენ. იაპონიაში ჰარაკირი, როგორც თვითმკვლელობის აქტი, დროთა განმავლობაში გადაშენდა, მაგრამ ამ სისხლიანმა პროცედურის სულიერმა საფუძველმა ერის ფსიქოლოგიაში ღრმა კვალი დატოვა.

წარმართულ სამყაროში თვითმკვლელობა გმირობად მიიჩნეოდა, მაგრამ ქრისტიანობა ამ ყოველივეს სხვანაირად უყურებს. თვითმკვლელობა არ არის სიმამაცე, პირიქით, ის სისუსტეს უკავშირდება. ფილოსოფოსი ნიცშე ამბობს, რომ ადამიანს შეუძლია ერთგვარი ტანჯვა გაწყვიტოს და აქვს ამის პოტენციალი, მაგრამ ვერ მოახერხებს ამ ტანჯვის დათმენას თუ არ ესმის შედეგი ამ ტანჯვისა. ადამიანი, რომელიც ვერ ითვალისწინებს რა არის შედეგი, რატომ იტანჯება ან რა შედეგი შეიძლება მოყვეს ამ ტანჯვას, ის ძალიან უსუსური ხდება, თვითმკვლელობა, ეს არის გაქცევის მცდელობა, რაც ადამიანის სისუსტეზე მეტყველებს. როცა ჩვენ სურვილი გვაქვს, თვითმკვლელ ადამიანს რაღაცნაირად შევეწიოთ, გამოდის, რომ პრეტენზია გვაქვს ღმერთზე მეტად მოწყალეები ვიყოთ, რაც დიდი კადნიერებაა.

ნარკომანიიდან და ლოთობიდან გამომდინარე თვითმკვლელობის ფაქტებზე ერთმნიშვნელოვანია ეკლესია. თუ ისინი ამ ცოდვის აღსრულების შედეგად გარდაიცვლებიან, განყენებულნი არიან ეკლესიის შეწევნისაგან. ერთი შეხედვით, ადამიანი იმიტომ არ სვამს და მოიხმარს ნარკოტიკს, რომ იმ მომენტში თვითმკვლელობის სურვილი აქვს, მაგრამ ყველა მათგანმა იცის, რომ ეს ასწრაფებს მათ სიცოცხლეს. უფრო მკაცრია ეკლესია იმ შემთხვევაში, როცა ნარკომანი მოიხმარს მისთვის დასაშვებ ზომაზე მეტს. მემთვრალეობის მიმართ უფრო შემწყნარებელია ეკლესია, რადგან მემთვრალე უფრო გონება დაბინდულია, ვერ აცნობიერებს რას აკეთებს და აქედან გამომდინარე, უფრო მეტი შემწყნარებლობა შეიძლება.

თუ დაუცველი ადამიანი ჩადის თვითმკვლელობას, ის უბრალოდ გზას იკვალავს "ჯოჯოხეთისკენ". თუმცა, ადამიანი, თვითმკვლელობის მერე ჯოჯოხეთში ხვდება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან უარი თქვა ქრისტესგან ხსნაზე და არა იმიტომ, რომ თავი მოიკლა. რას გვეუბნება ბიბლია ქრისტიანის თვითმკვლელობაზე? ბიბლია გვასწავლის, რომ იმ წუთიდან, როდესაც ქრისტეს ვიწამებთ, ჩვენ ვიღებთ საუკუნო ცხოვრებას (იოანე 3:16). ბიბლიის მიხედვით, ქრისტიანებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ საუკუნო ცხოვრება აქვთ (1 იოანე 5:13). ვერავინ დააშორებს ქრისტიანს ღვთის სიყვარულს. თვითმკვლელობა სერიოზული ცოდვაა ღვთის წინაშე. ბიბლიის თანახმად თვითმკვლელობა მკვლელობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1) რიჩარდ გერიგი, ფილიპ ზომბარდო - თსუ გამომცემლობა 2009წ.
2) რევაზ ქვარცხავა - სოციალური ფსიქოლოგია, ტომი I - თსუ გამომცემლობა.
3) შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ. 1975წ.
4) ქრეგ კალჰუნი, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი სოციოლოგია - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2008
5) ბალიაშვილი გვ. 319;
6) ბალიაშვილი გვ. 318
7) მაღრაძე გ. 1988 - სოციალური ჯგუფებისადმი განწყობა და კონფორმულობა, „მეცნიერება" თბილისი.
8) ბალიაშვილი გვ. 312
9) ბალიაშვილი გვ. 312

Suicide

Lia Metreveli

Suicide is an act, aimed to rejection one's own life, killing oneself. The first survey of the suicide was conducted by Emil Durkheim, which has not lost its actuality up today.

Motivations of the suicide may be different: egoism, altruism, and others. Egoistic suicide is committed due to deterioration of social relations.

In altruistic suicide a person sacrifices own life in case of orientation to the other people. However, in old days sometimes suicide was an obligation.

Suicide, based on any meaning, contradicts the Christian religion and is a serious sin against God. According to the Bible, suicide is equal to murder.

Суицид

Л. Метревели

Суицид – это действие, целью которого является сведение счетов с собственной жизнью, самоубийство. Первое исследование самоубийства провел Эмиль Дюркгейм, это исследование до сих пор не потеряло актуальности.

Мотивация суицида может быть различной: эгоистической, альтруистской и др. Эгоистическое самоубийство происходит из-за ухудшения социальных отношений.

Во время альтруистского самоубийства человек жертвует жизнью ради других.

В древности суицид иногда был обязанностью.

Самоубийство, основанное на любой мотивации, противоречит христианской вере и считается очень серьезным грехом перед Богом. Согласно Библии, самоубийство приравнивается к убийству.

დემოკრატიაზე გადასვლა-ტრანზიტოლოგიური მითი თუ რეალური პროცესი?

ჯამბულ ნაჭყებია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

XX საუკუნის ბოლო მეოთხედი და XXI-ს დასაწყისი აღინიშნა ერთი შეხედვით მყარი და უძლეველი ავტორიტარული რეჟიმების დაშლისა და "ახალი დემოკრატიების" გამოცხადების ნიშნით, რასაც ჰანთინგტონმა დემოკრატიზაციის „მესამე ტალღა" უწოდა. რამდენიმე ათეული ქვეყნის მიერ დემოკრატიზაციის კურსის დეკლარირება საკმარისი აღმოჩნდა ზოგიერთი მეცნიერისთვის ლიბერალური დემოკრატიის საბოლო გამარჯვება და ისტორიის დასასრული გამოეცხადებინა.

გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე საბჭოთა კონტროლისგან თავდაღწეულ მსგავსი პოლიტიკური მემკვიდრეობის სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველომ თავისუფლების მოსაპოვებლად გაწეული ძალისხმევისა და გაღებული მსხვერპლის ფასად დაიწყო სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობა და განვითარების ოპტიმალური გზების ძიება. ეს პროცესები დროში დაემთხვა განვითარებულ ქვეყნებში პოსტინდუსტრიულ ცვლილებებსა და გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებას, ეროვნული სახელმწიფოების ტრადიციულ ფუნქციებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მათი ადგილის ცვლილებას, საერთაშორისო და ლოკალური კრიზისებით გამოწვეულ რყევებს.

ამ ცვლილებებმა შექმნეს ახალი შესაძლებლობანი, მაგრამ ამასთანავე გაამწვავეს არსებული ზოგიერთი პრობლემა და წარმოშვეს ახალი გამოწვევები, რომლებიც მოითხოვენ როგორც სერიოზულ თეორიულ განხილვას, ასევე ადექვატურ პოლიტიკურ პასუხებს.

ასეთ ცვალებად და არაერთგვაროვან სამყაროში მოუწია დემოკრატიზაციის მესამე ტალღის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, საკუთარი ადგილისა და როლის დამკვიდრება, ადაპტირება და ეფექტურობის დამტკიცება ისეთი გადაწყვეტილებებით, რომელიც დაეხმარებოდა მათ ესარგებლათ მიმდინარე პროცესების სიკეთეებით და აარიდებდა ან შეამცირებდა თანამდევ უარყოფით გავლენას.

მიმდინარე პროცესების გააზრებისა და დაგეგმვის თეორიულ საფუძვლად დასავლეთში მოდერნიზაციისა და ტრანზიტოლოგიის კონცეფციები ჩაითვალა.

მოდერნიზაციის თეორიის დამფუძნებლები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვნად თვლიდნენ სოციალურ-ეკონომიკურ და სტრუქტურულ ფაქტორებს, რომელთაგან უ. როსტოუ გამოყოფდა შემდეგს: რესურსების მობილიზაცია; მოდერნიზაციის განხორციელება კულტურისა და ტრადიციების შესაბამისად და მისი ეროვნულ იდეოლოგიად ქცევა; ეკონომიკური ზრდის მაღალი და მყარი ტემპების შენარჩუნება და საზოგადოებრივ მიზნებზე კონცენტრირება; პოლიტიკის განხორციელებისას კომპრომისების მიღწევა; ქვეყნის პრობლემების გადაწყვეტაში მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა; გონივრული საერთაშორისო პოლიტიკა [1, 149—150].

აღნიშნული პირობების მიღწევა პოსტკომუნისტური ქვეყნების უმეტესობისათის სათუო იყო, რაც გარკვეულ პესიმიზმს ბადებდა. ამის საპირისპიროდ დ. რასტოუმ სტატიაში „დემოკრატიაზე გადასვლები“, რომელიც, ტრანზიტოლოგიური იდეების სათავე გახდა, აქცენტი გადაიტანა ადამიანურ ფაქტორზე, პოლიტიკურ აქტიორებზე, როგორც პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალებზე. [2, 357], დემოკრატიის ერთადერთ წინაპირობად ის დამოუკიდებლ სახელმწიფოს და ეროვნული ერთიანობის გაცნობიერებას მიიჩნევდა. დ. რასტოუს აზრით მოქალაქეებს არ უნდა ჰქონდეთ ეჭვი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ პოლიტიკურ თანამეგობრობას ეკუთვნიან ისინი. თავად დემოკრატიზაციის პროცესში მან გამოყო სამი ფაზა: 1) მოსამზადებელი ფაზა ხასიათდება კონფლიქტებით, 2) გადაწყვეტილების მიღების ფაზაში აქტიორები თანხმდებიან დემოკრატიულ წესებზე პრაგმატული კომპრომისის საფუძველზე 3) „მიჩვევის“ ფაზაში თანდათან მკვიდრდება დემოკრატიული პროცედურები და ინსტიტუტები. [2, 361–362].

1980-იანი წლების შუახანებში ჰ. ო’დონელმა და ფ. შმიტერმა გამოსცეს ნაშრომი „ტრანზიტი ავტოკრატიული მმართველობიდან: წინასწარი დაკვნები განუსაზღვრელ დემოკრატიებზე“, რომელიც ტრანზიტოლოგიის კლასიკად იქცა. ამ ნაშრომში ფ. შმიტერი და ჰ. ო’დონელი დემოკრატიაზე გადასვლის ლიბერალიზაციის, დემოკრატიზაციისა და კონსოლიდაციის სტადიებს გამოყოფენ.

ლიბერალიზაციის სტადია განიხილება, როგორც ავტორიტარული რეჟიმის პირობებში თავისუფლების გაფართოება, რეპრესიების შემცირება და ავტორიტარული რეჟიმის მზიდი კონსტრუქციების ეროზია, ხოლო დემოკრატია გულისხმობს დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებასა და ფუნქციონირებას შეცვლილი რეჟიმის პირობებში. მესამე სტადია ორ ეტაპს მოიცავს: პირველ, უარყოფითი კონსოლიდაციის ეტაპზე ხდება დემოკრატიის ნებისმიერი სერიოზული გამოწვევის შეკავება, შესუსტება ან მოსპობა, მეორე ეტეპზე კი დემოკრატიული ინსტიტუტების, ფასეულობებისა და ქცევითი ნორმების დამკვიდრება ინდივიდუალური და სოციალური ჯგუფების დონეზე, რაც მოასწავებს ტრანზიტის დამთავრებასა და დემოკრატიული სისტემის სტაბილურობას [3].

ვ. ბანსის კონცეფციით სახელმწიფო სოციალიზმიდან (რომელიც ხასიათდება განუსაზღვრელი პროცედურებითა და მეტნაკლებად განსაზღვრული შედეგებით) ლიბერალური დემოკრატიაზე (განსაზღვრული პროცედურები, განუ-

საზღვრელი შედეგი) გარდამავალი პერიოდში განუსაზღვრელია პროცედურაც და შედეგიც, რის გამოც შესაძლებელია დემოკრატიიაზე გადასვლის ფორმათა მრავალფეროვნება. ბანსი გარდამავალი პერიოდის სამ ვარიანტს განიხილავს: 1) დემოკრატიისა და კაპიტალიზმის ჰარმონიზაცია; 2) ავტორიტარული პოლიტიკის შეხამება ნახევრად სოციალისტურ ეკონომიკასთან და 3) ბალანსირება სოციალისტურ და კაპიტალისტურ ეკონომიკებს, დემოკრატიასა და დიქტატურას შორის. [4,761–762].

ფ. შმიტერა და თ. ლ. კარლმა გამოყვეს ტრანზიტის ოთხი ფორმა 1) თავსმოხვეული, როდესაც ინიციატორები კარნახობენ წესებს და ცდილობენ ბოლომდე მიიყვანონ პროცესი; 2) მმართველ და მოწინააღმდე ელიტებს შორის პაქტის საფუძველზე წარმართული; 3) რეფორმატორული-დემოკრატიული რეფორმები მმართველებზე მასების ზეწოლის ქვეშ ხორციელდება; 4) რევოლუციური [5,13].

ზოგადად, „ტრანზიტის პარადიგმა" თ. კაროზერსის მიხედვით ეფუძნება შემდეგ ვარაუდებს: დიქტატორული მართველობიდან თავდაღწეული ქვეყანა მოძრაობს დემოკრატიის მიმართულებით; 2) დემოკრატიზაცია მოიცავს კონსოლიდაციისკენ მიმავალ ეტაპებს; 3) დემოკრატიის საკვანძო ელემენტს არჩევნები წარმოადგენს; 4) „სტრუქტურული" მახასიათებლები (ეკონომიკური განვითარების დონე, პოლიტიკური ისტორია, მემკვიდრეობით ინსტიტუტები, ეთნიკური შემადგენლობა, სოციალურ-კულტურული ტრადიციები და ა.შ.) გაცილებით მცირე გავლენას ახდენენ ტრანზიტის შედეგზე, ვიდრე პროცედურული, პოლიტიკური ფაქტორები და 5) „გარდამავალი ქვეყნების" უმრავლესობა ,,სუსტ" სახელმწიფოებია, რაც გავლენას ახდენს პროცესზე. [6].

ჰანთინგტონი შემთხვევით არ ადარებდა დემოკრატიზაციის პროცესს ტალღას, რომელსაც მოქცევასთან ერთად უკუქცევაც ახასიათებს. ბერლინის კედლის დაცემიდან და საბჭოთა კავშირის დაშლიდან გასულმა დეკადებმა აჩვენა, რომ დემოკრატიისა და საბაზრო პრინციპებისადმი დეკლარირებული ერთგულება, არ წარმოადგენს გარანტიას ცხოვრებაში მათი წარმატებული გატარებისათვის, რამაც გაანელა თავდაპირველი ეიფორია და ილუზია.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ტრანსფორმაციის პროცესების წარმატებისათვის აუცილებელ დემოკრატიულ კონსოლოდაციას ბევრმა ვერ მიაღწია, ყველა ქვეყნის განვითარების ტრაექტორია არ ჩაჯდა თეორიულ ჩარჩოებში, არაერთმა რეჟიმმა მინიმალური დემოკრატიის ფორმულაც - ,,განუსაზღვრელი შედეგები, განსაზღვრული პროცედურებით" ვერ დააკმაყოფილა, ავტორიტარიზმს დაუბრუნდა, ნაწილი კი ,,ჰიბრიდული რეჟიმების" სახით სადღაც შუაში „გაიჭედა". მეცნიერთა ნაწილი ალაპარაკდა ტრანზიტული პარადიგმის კრიზისზე.

ჯ. ჰანს-მორსმა შეისწავლა და გაანალიზა რეჟიმულ ცვლილებებზე სამეცნიერო ჟურნალებში დაბეჭდილი 131 სტატია და დაასკვნა, რომ მხოლოდ შვიდი იყენებდა ან იცავდა ტრანზიტოლოგიურ მიდგომას. სწავლულთა უმეტესობა მიმოიხილავდა ტრანზიტოლოგიურ მეთოდს როგორც მიუღებლს ან არასაკმარისს პოსტკომუნიზმის ძირითადი პრობლემების შესასწავლად [7,328].

ტრანზიტული პროცესების არასაკმარისი მეცნიერული დამუშავება და კომპლექსური ისტორიულ-პოლიტოლოგიური ობიექტური კვლევის არ არსებობა

აძნელებს გარდამავალ პერიოდში პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარების მთლიანი სურათის შექმნას, ცალკეული ქვეყნებში ამ პროცესების მართვის კონცეფციის, სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირებას. ყოველივე ეს აძლიერებს პროცესის წინააღმდეგობრივ ხასიათს და სიბნელეში ხელის ცეცებით სიარულის ასცოციაციას იწვევს.

ყოფილი სოციალიტური ქვეყნების გამოცდილება წარმოადგენს მოდერნიზებადი ტრანსფორმაციის ერთერთ ვარიანტს და მისი საფუძვლიანი ანალიზი მნიშვნელოვანია, როგორც თეორიულ ასპექტში, ასევე მიღებული გაკვეთილის პრაქტიკაში გათავალისწინებისა და პოლიტიკური პროგნოზირების შესაძლებლობის თვალსაზრისით.

მ. მაკფოლის აზრით პოსტკომუნისტური გადასვლები, სადაც ელიტარული პაქტი ნაკლებად მუშაობს, უნდა გამოიყოს მეოთხე ტალღად [8].

თუ სამხრეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში ფუნქციონირებდა საბაზრო ეკონომიკა და გადასვლა პოლიტიკურ სფეროს შეეხო, სოციალისტურ ბლოკს მოუწია სისტემური გადასვლა როგორც დემოკრატიაზე, ასევე საბაზრო ეკონომიკაზე, ხოლო იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთაც მოუხდათ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობა, ფ. როდერის მართებული მოსაზრებით, უპრიანია ვისაუბროთ სამმაგ გადასვლაზე [9].

მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალ ქვეყნებად წოდებულთა უმეტესობა არსად არ ჩქარობს გადასვლას, ყოველ შემთხვევაში ნაკლებად განიცდის ვესტერნიზაციას, მათზე მაინც ინერციით ხშირად საუბრობენ, როგორც დემოკრატიაზე გარდამავალ ქვეყნებზე, თუმცა დემოკრატიას უკვე ურთავენ ზედსართავ სახელებს „მინიმალური“, „დეფექტური“, „ილეგალური“ და ა.შ. დ. კოლირი და ს. სავიცკი დემოკრატიის 550 ქვეტიპზე მიუთითებენ [10,430] .

ლ. დაიმონდი დემოკრატიის ყველა ფორმას ათავსებს ელექტორალურ/საარჩევნო და ლიბერალურ დემოკრატიებს შორის, ხოლო „ფსევდოდემოკრატიას“ - ავტორიტარიზმსა და დემოკრატიას შორის [11,15]. „ფსევდოდემოკრატიას ავტორიტარიზმისაგან ძირითადად განასხვავებს ოპოზიციური პარტიების არსებობა, ელექტორალურს ავტორიტარიზმისაგან და ფსევდოდემოკრატიისაგან-თავისუფალი, რეგულარული, პატიოსანი და საყოველთაო არჩევნები, ხოლო ლიბერალურ დემოკრატიას ელექტორალურისაგან - უფლებების/ თავისუფლებებისა და თანასწორობის ხარისხი.

აქტუალურად რჩება კითხვა: რა ფატორებს უკავშირდება დემოკრატიის მშენებლობის წარმატება თუ წარუმატებლობა? კონკრეტულად არის თუ არა ის პირდაპირ კავშირში სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანური განვითარების დონესთან? მეცნიერები უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ აუცილებელია დემოკრატიაზე გადასვლის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური, სოციალ-ეკონომოკური და კულტურული ასპექტების გათვალისწინება.

ამ მხრივ მიშვნელობას არ კარგავს და საინტერესოა დემოკრატიზაციის პროცესის მიმდინარეობის საკვლევად ემპირიულად ოპერირებადი ისეთი მონაცემები, როგორიცაა თავისუფლების სახლის, მსოფლიო ბანკისა და გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშებიდან აღებული თავისუფლების, შემოსავ-

ლებისა და ჰუმანური განვითარების ინდექსები. აღნიშნულ მონაცემთა შეჯერების შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში. [12].

ცხრილი 1: რეჟიმების ცვლილებები დემოკრატიის მშენებლობის ასაკის მიხედვით, 1974-2008 წ.წ.

დემოკრატიის მშენებლობის ასაკი (წელი)	დემოკრატიდან ჰიბრიდულ/ ავტორიტარულ რეჟიმებზე გადასვლის შემთხვევათა რაოდენობა		
	1974-1988	1989-2008	1974-2008
2-5	5	13	18
6-10	4	7	11
11-15		4	4
16-20	4	3	7
20-ზე მეტი	3	3	6
სულ შემთხვევათა რაოდენობა	16	30	46
დემოკრატიის მშენებელი ქვეყნების რაოდენობა	50	69	
ჰიბრიდულ/ავტოიტარულ რეჟიმზე გადასული ქვეყნების %	32	43	

ცხრილიდან იკვეთება სამი ძირითადი დასკვნა: 1) იზრდება რაოდენობა ქვეყნებისა, რომლთაც დეკლარირებული აქვთ დემოკრატიული კურსი; 2) ჰიბრიდულ/ავტორიტარულ რეჟიმზე გადასვლის შემთხვევები მეტი იყო 1989 წლიდან დემოკრატიის გზაზე შემდგარ უპირატესად ყოფილ საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში და 3) დემოკრატიის მშენებლობის ასაკს აქვს გარკვეული, მაგრამ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა..

ცხრილი 2: რეჟიმების ცვლილებები შემოსავლების მიხედვით, 1989-2008 წ.წ.

ქვეყანათა ჯგუფები შემოსავების მიხედვით	ჰიბრიდულ/ავტოიტარულ რეჟიმზე გადასული ქვეყნების რაოდენობა ჯგუფში	ქვეყანათა რაოდენობა	ჰიბრიდულ/ავტოიტარულ რეჟიმზე გადასული ქვეყნების % ჯგუფში
დაბალი	9	52	17
საშუალოზე დაბალი	11	55	20
საშუალოზე მაღალი	7	36	19
მაღალი		39	0
სულ	27	182	15
ქვეყანათა ჯგუფები ჰუმანური განვითა-რების მიხედვით			
დაბალი	8	41	20
საშუალო	13	71	18
მაღალი	6	64	9
სულ	27	176	15

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიის მშენებლობა შესაძლებელია განვითარების სხვადასხვა დონის მქონე საზოგადოებაში, თუმცა როგორც აღნიშნული მონაცემები ადასტურებენ, გარკვეული კორელაცია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესა და დემოკრატიის სტაბილურობას შორის არსებობს, კერძოდ მაღალი დონის მქონე ქვეყნები სტაბილურად ინარჩუნებენ დემოკრატიულ რეჟიმებს, რაც შეეხება სხვა ჯგუფებს პირდაპირი დეტერმინიზმი არ შეიმჩნევა. დაბალი, საშუალოზე დაბალი და საშუალოზე მაღალი მდგომარეობის ქვეყნების დაახლოებით მეხუთედი ჰიბრიდულ/ავტოიტარულ რეჟიმზეა გადასული. უფრო მყიფეა მიმართება ჰუმანური განვითარების დონესთან, რადგანაც ჰუმანური განვითარების მაღალი ინდექსი შეიძლება ჰქონდეს ბევრის მიერ არადემოკრატიულად მიუჩნეულ ქვეყანასაც, (მაგალითად, ბელორუსი)

დემოკრატიული საზოგადოება შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა გზით და მიზეზებით, იგივე შეიძლება ითქვას დემოკრატიის დასუსტება /უკუქცევის მიმართაც. გასათვალისწინებელია, რომ უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს ზემოქმედ ფაქტორთა მრავალმხრივ კომბინაციას,. ასეთი სიტუაციისთვის მისაღები იქნება არენდ ლიიპჰარტის მიდგომა, რომელის თანახმად შესწავლილ უნდა იქნას არა მარტო ის შემთხვევები, რომლებიც ადსტურებენ ან უარყოფენ თეორიას, არამედ ისინიც, რომლებიც იწვევენ ახალი ჰიპოთეზების გენერირებას [13].

ლიტერატურა

1. Ростоу, У. У. Политика и подъем роста / У. У. Ростоу. М.: Прогресс, 1973
2. Rustow, D. A, Transitions to Democracy: Toward a Dynamic Model / D. Rustow // Comparative Politics. 1970. № 3. P. 337—363
3. O'Donell, G. Transitions from Authoritarian Rule: Tentative Conclusions about Uncertain Democracies / G. O'Donell, P. Schmitter. Baltimore, Md: Johns Hopkins University Press, 1986
4. Bunce V. The Political Economy of Postsocialism // Slavic Review. 1999. Vol. 58. No. 4.
5. Карл Т.Л., Шмиттер Ф. Демократизация: концепты, постулаты, гипотезы // Полис. 2004. № 4.
6. Carothers T., «The End of the Transition Paradigm», Journal of Democracy, 13.1. 2002
7. Gans-Morse, J. Searching for Transitologists: Contemporary Theoroes of Post-Communist Transitions and the Myth of a Dominant Paradigm / J. Gans-Morse // Post-Soviet Affairs. 2004. Vol. 20. № 4. P. 320—349
8. McFaul, M. The Fourth Wave of Democracy and Dictatorship: Noncooperative Transitions in the Postcommunist World / M. McFaul // World Politics. 2002. Vol. 54. P. 212—244
9. Roeder, P. People and States after 1989: The Political Costs of Incomplete National Revolutions / P. Roeder // Slavic Review. 1999. Vol. 58. № 4. P. 854—882
10. Collier, D. Democracy With Adjectives. Conceptual Innovations in Comparative Perspective / D. Collier, S. Levitsky // World Politics. 1997. Vol. 49. № 3. P. 430—451
11. Даймонд Л. Прошла ли «третья волна» демократизации? // Полис. 1999. № 1
12. მოდიფიცირებულია ავტორის მიერ შემდეგი წყაროდან: Gero Erdmann. Transition from Democracy. Loss of Quality, Hybridisation and Breakdown of Democracy. Working Papers, No 161 March 2011
13. Political Science and Politics, 1999, vol. 32, No. 2, P.434.

Transition to Democracy- Myth of Transitology or Real Process?

Jambul Natchkebia
Georgian Technical University

After twenty years of the transition to democracy in post-Soviet space, there are some reasons to believe that all attempts to be finished is not quite successful. This article analyzes problems that appeared in applying the perspective of transitology for post-Soviet regime change analysis. Democratic transition is not a single evolutionary process, and there are many alternatives. analysis of the occurring processes and influencing factors is an important for further development of democracy as theory and as practice

Переход к Демократии- Миф Транзитологии или реальный процесс

Джамбул Начкебия
Грузинский технический университет

По прошествии двадцатилетия от начала перехода к демократии в постсоветском пространстве, есть все основания предполагать, что все попытки завершатся не вполне успешно и приведут не к тем результатам, о которых думали транзитологи. Демократический транзит – не единый эволюционный процесс, а множество альтернативных и непрямых путей, сопряженных с трудностями. Исследование вопросов трансформации режимов при таких результатах становится важным анализ происшедших процессов и влияющих факторов

ქართული საზოგადოებრივი აზრი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და ომისადმი ქართველი ერის დამოკიდებულების შესახებ

ქეთევან საგანელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას ქ. 77.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დაფიქსირებული სხვადასხვა „პროფილის“ საომარი მოქმედებისა თუ დიდი სისხლისმღვრელი ომებისაგან განსხვავებით თავისი გრანდიოზულობით, პოლიტიკური დატვირთულობით, ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლითა და საბოლოო შედეგების მასშტაბურობით სრულიად გამორჩეული აღმოჩნდა 1914 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე ევროპაში დაწყებული ომი, რომელშიც, სულ მოკლე ხნის მანძილზე, ჩართულ იქნა მსოფლიოს 38 დიდი თუ პატარა სახელმწიფო და მათ შორის გაჩაღებული ეს გიგანტური დაპირისპირება ჩვენი პლანეტისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გლობალურ მოვლენად იქცა და იგი, პირველ მსოფლიო ომად წოდებული, სათავეში მოექცა მანამდე წარმოებული ომების გრძელ ნუსხას.

პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ჩართვისთანავე, საქართველო, როგორც რომანოვთა იმპერიის ერთ-ერთი რიგითი ეროვნული რეგიონი, იმთავითვე ავტომატურად გახდა საომარი ოპერაციების აქტიური მონაწილე

და მას, რუსეთის „სადიდებლად“ საკმაოდ დიდი მსხვერპლის გაღებაც მოუწია. ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე, ქართული პრესის ფურცლებზე სისტემატურად შეიქმნებოდა ფრონტზე მიმდინარე მოვლენები და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველმა მსოფლიო ომმა მეტად გააცხოველა ქართული ეროვნული აზროვნება და იგი დამონებული სამშობლოს სამსახურში ჩააყენა. ქართული საზოგადოებრივი აზრი და მისი გამოხატვის ფლაგმანი – ჩვენი იმდროინდელი დემოკრატიული ინტელიგენცია ომის დაწყებისთანავე ფხიზლად დადგა ერის ინტერესების სადარაჯოზე და მოწინავე მიმართულების პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე დაუფარავად იწყო თავისი შეხედულებების გამოხატვა, რაც ხშირად „საერთო-რუსულ“ სამთავრობო პოლიტიკას აშკარად ეწინააღმდეგებოდა. კერძოდ, ქართული ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი კატეგორიულად უარყოფდა პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტურ ხასიათს და მას ერების ომად მიიჩნევდა. ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე გაზეთ „სახალხო ფურცელში“ წერდა, რომ: „დღევანდელი ომი... ეს ნამდილი ეროვნული ომია. და სწორედ ამიტომ არის ის გამსჭვალული დიდი მიზნებითა და იდეალებით“-ო [1], თავად ხსენებული ორგანოს რედაქციას კი მსოფლიო ომის გაჩაღება ინტერნაციონალიზმის იდეის მარცხად და ეროვნული იდეის გამარჯვებად ესახებოდა. რაც შეეხება დიდ ქართველ მოაზროვნეს მიხაკო წერეთელს, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირველ დიდ მსოფლიო ომში „პროლეტარიც“ კი გმირულად იბრძოდა სამშობლოსათვის, თავისი ერისათვის, თავადთან, აზნაურთან, „ბურჟუაზიასთან“, გლეხთან ერთად... ყოველი ერი, სახელმწიფოს არმქონე და უცხოსაგან დამონებული, ჩაება ომში ამა თუ იმ სახით და მოითხოვდა მისი პოლიტიკური თვითმყოფადობის აღდგენას და საერთაშორისო ცნობას, როდესაც ზავის შესაკრავად და ქვეყანაზედ კვლავ წესიერების აღსადგენად დასხდებოდნენ გამგენი ამა ქვეყნისანი“ [2. 296].

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და მისი გაჩაღების ძირითადი არსის შესახებ ქართული საზოგადოებრივი აზრი იმთავითვე ორ ნაწილად გაიყო და თითოეულ მხარეს თავისებურად ჰქონდა გააზრებული სამშობლოს მომავალი. დამონებული მამულის კეთილდღეობას ერთი ნაწილი ომში ანტანტის გამარჯვებას უკავშირებდა, ხოლო მეორე მხარე – ოთხთა კავშირს. ამის საფუძველზე, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში გამოიკვეთა ორი უმთავრესი ორიენტაცია: პირველი – პრორუსული (პროანტანტური), რომელსაც მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) და სოციალისტ-ფედერალისტების გარკვეული ჯგუფი და მეორე – პროგერმანული. იყო მესამე მიმართულებაც – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრთა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. მართალია, ქართულ საზოგადოებრიობაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნებოდა პირველი მსოფლიო ომისადმი, მაგრამ ერთ საკითხში საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ერთსულოვანი იყო – იმდენად, რამდენადაც ომში მონაწილე ქვეყნების მმართველმა ბურჟუაზიულმა წრეებმა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე წინა პლანზე წამოწიეს ეროვნული საკითხი, ხალხს იმედი ჩაესახა, მაგრამ ეროვნული თავისუფლება ყველას თავისებურად ესმოდა საზოგადოების ერთ ნაწილს ეროვნული ცხოვრების გაუმჯობოსება მხოლოდ საერთო-საიმპერიო გზით ესახებოდა, ხოლო მეორე ნაწილს – ამ საერთო-საიმპერიო გზიდან გადახვევით და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით. ასე რომ, მოწინავე

ქართველობა ბევრ სასიკეთოს მოელოდა ომისაგან და მას მხოლოდ ომის საშუალებით მიაჩნდა შესაძლებლად ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემოერთება, ევროპასთან დაკავშირება და მამულის ეკონომიკური პოტენციის ზრდა.

პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე ქართული საზოგადოებრივი აზრის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს აკაკი წერეთლის წერილი, გამოქვეყნებული 1914 წლის 27 ოქტომბერს გაზეთ „თემში“ (3) დიდმა მგოსანმა და ერისკაცმა ქართველ ხალხს ასე მიმართა: „ორასი ათასი მეომარი გამოიყვანა ჯერჯერობით ამ პატარა საქართველომ და იძულებითი არა ყოფილა რა! ყველა თავის სურვილ-ნებითა და სიხარულით მიისწრაფვოდა რუსის გმირებთან ერთად თავდასადებად შორეულ ქვეყნებში. დიდი ზნის გულის ნადებმა გრძნობამ სიმღერათ ამოხეთქა და ტკბილი გუგუნი გადაეცა საქართველოს მთასა და ბარს. ერთი საუკუნეა, რაც ამისთანას არას მოსწრებია-რა საქართველო. დღევანდელ ქართველში გამოიღვიძა წინაპარმა! გმირული სიკვდილი აღარაფრად მიაჩნია და თავის განწირვით უნდა, რომ სხვების სიკვდილი დათრგუნოს და მომავალ დღეებს ცხოვრება მიანიჭოს.

რამ გამოაღვიძა მთელი საუკუნის განმავლობაში მიყუჩებული გრძნობა? – იმ აღთქმამ, რომელიც გამოიხატება სარდლის სიტყვებში: „რუსეთი გამოდის მოსარჩლედ პატარა ქვეყნების, რომელნიც ძალმომრეობით დაჩაგრული არიან! დე, ამიერიდან ნელა იქნება პატარა ერის გაქელვა და ქვეყნად დამყარდეს თანასწორობა, ძმობა, ერთობა და სიყვარულიო“, – აი, სწორედ ამ აზრით იყვნენ ჩვენი წინაპრები განმსჭვალულნი, როდესაც რუსები მოიწვიეს! თუ დღემდის არ ხორციელდებოდა ეს დიადი აღთქმა, ეს სულ ზოგიერთების ბრალი იყო და დღეს გაახლებული რუსეთის აზრი და სურვილი გამოითქვა უმაღლესის პირით. იმედია ასრულდება ჩვენი წინაპრების განზრახვაც.

სწორედ ამან აღაფრთოვანა დღეს საქართველო და მოაგონა მამა-პაპის ანდერძი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!“. გაუმარჯოს დიდებულ რუსეთს და მასთან ერთად პატარა საქართველოს!... მრავალჟამიერ!“

1914 წლის 3 ნოემბერს „თემში“ (4) დაიბეჭდა კიტა აბაშიძის წერილი სათაურით „ეხლანდელი ომი“, რომლითაც ავტორმა ქართველ მკითხველს გააცნო პირველი მსოფლიო ომის უნიკალური ხასიათი და მისი განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშნები. პუბლიცისტს დაწყებული ომი მიაჩნია არაჩვეულებრივ ომად, რადგან მასში ჩაბმულია მთელი განათლებული მსოფლიო და იგი არის დიდ თუ პატარა ერთა ომი. ეს აზრი, როგორც აღნიშნავს კ. აბაშიძე, მას განუმტკიცა ინგლისის პოზიციამ, რომელმაც პირველ მსოფლიო ომში ჩაბმის მიზეზად პატარა ერთა დაცვა გამოაცხადა. ოპტიმისტურად განწყობილი ავტორი მიიჩნევს, რომ ქართველი ხალხის თავდადება ამ ომში – „დაე იყოს... საწინდრად იმისა, რომ ისტორიული საბუთი, ჩვენი ახალის ცხოვრების საფუძველი, აწ მაინც მოიპოვებს იმ ადგილს, რომელიც მას ეკუთვნის ჩვენს ისტორიაში და საერთაშორისო უფლებაში“.

ზემოთ მოტანილ მასალაში გამოთქმული მოსაზრებების მსგავსი შეხედულებები ვრცლად არის გაფანტული 1914 წლის აგვისტო-დეკემბერში გამოცემულ ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და ამიტომ, მათზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით, მით უმეტეს, რომ მათ უმრავლესობას, ასე

თუ ისე, მაინც ატყვია ცენზურის ხელი და წინამდებარე პუბლიკაციას დავასახელებთ 1914 წლის შემოდგომის მიწურულს, როდესაც პირველი მსოფლიო ომი ნელ-ნელა „ძალაში“ შევიდა და დამონებულმა ერებმა მოახლოებული თავისუფლების სიო შეიგრძნეს, ვაჟა-ფშაველას მიერ დაწერილი პატარა ფელეტონიდან „პოლიტიკური მსჯელობა“ (იგი მგოსნის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა და, ამდენად თავისუფალია ცენზურის წნეხისაგან) ამოღებული შემდეგი პასაჟით: „...თუ რუსეთი ეხლავე, ამ თავით რასმე მოგვცემს და რეფორმებს შემოიღებს ჩვენში, ხომ კარგი, თუ არა და შემდეგ ჩვენ ვეღარას ვეღირსებით და არც არაფერს გვაღირსებენ. ამიერიდან რუსეთი გონებაზე მოვა თანდათან და ნამდვილის ჭეშმარიტის ძლიერებით შეიძლება შეიმოსოს. მაშინ უფრო გაგვიჭირდება ჩვენ იმასთან ბრძოლა...“ [5, 97].

თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გენიალური კალმოსნისა და დიდი პატრიოტი მამულიშვილის მიერ მოცემული ზემოაღნიშნული შეფასება პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და მისდამი ქართველი ერის განწყობილება-დამოკიდებულების შესახებ ჩამოყალიბებულ ქართული საზოგადოებრივი აზრის უპირობო ლაიტმოტივს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სახალხო ფურცელი“, №217, 1915 წლის 22 თებერვალი, გვ. 2.
2. მიკაკო წერეთელი „ერი და კაცობრიობა“, თბ., 1990.
3. გაზეთი „თემი“, №191, გვ. 1.
4. გაზეთი „თემი“, №192, გვ. 1-2.
5. ვაჟა-ფშაველა, თსკ ათ ტომად, ტ. X.

Georgian social conception about the beginning of the I world War and about the defendence two the War of Georgian nation

Qetevan Saganelidze
GTU, Tbilisi, Kostava str. 77.

We tried to communities around the main sources of research - Georgian Democratic press, archival materials and a foreign language, extensive documentation, based on research and analysis of major political events in the world in the light of the Georgian - Turkish relations, history, to study and research, if the exposure time Georgia immense political awareness of the process of formation, which made the people in dire need of national and social issues raised. We believe that the democratic press Georgia, Georgian, Russian and Turkish, a thorough study of archival materials - analysis clearly shows, Georgia - Turkey's political history during this period. Then click on the possibility of Georgian Democratic contained within the Russia - Georgia - Turkey and all the tough questions, and all his creative and professional way to the reader the information vacuum in our country in the world, it is not retarded international processes.

Мнение грузинской общественности и отношение грузигской нации к началу Первой Мировой Войне

Кетеван Саганелидзе
ГТУ.Тбилиси, ул. Костава 77.

В Первой Мировой Войне Грузия, как один из регионов Романовской империи, автоматически стала активным участником в военной операции с огромным каличеством жертв.

В Грузинской прессе систематически освещялись события фронта. Первая Мировая Война оживила общественность Грузии и поставила в ряды на службу своей порабощенной Родины. С началом войны наша интелигенция стала на защиту интересов нации. В прессе открыто высказывали свои отношения, что часто не совпадало с Российской правительственной политикой.

საზოგადოებასთან ურთიერთობის აუდიტორიის არაერთგვაროვანი და მულტიკულტურული ბუნება

ელისაბედ ხახუტაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას 77

საზოგადოებასთან ურთიერთობის აუდიტორიები მონოლითური არ არის. იგი შედგება არაერთგვაროვანი შერეული ჯგუფებისაგან, რომელთაც აქვთ განსხვავებული კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და ეკონომიკური მახასიათებლები. ზოგ შემთხვევაში მათი ინტერესები ემთხვევა, ზოგჯერ კი უპირისპირდება. ამიტომ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალისთვის აუდიტორიის ცვალებადი დინამიკის ცოდნა პროფესიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. თანამედროვე ტექნოლოგიების და კვლევების საშუალებით შესაძლებელი გახდა აუდიტორიის ისე დაყოფა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკატორს არ გაუჭირდეს აუდიტორიის თავისებურების გაგება და მასთან ურთიერთობისათვის საუკეთესო გზის გამოძებნა. წარმატებული კამპანია გათვლილი უნდა იყოს მასობრივი აუდიტორიის იმ სეგმენტზე, რომლამდე მიღწევაც სასურველია კონკრეტული მიზნის გამო. კამპანიის წარმატებისათვის საჭიროა ისეთი მედია საშუალებების გამოყენება, რომლებიც ყველაზე ეფექტურად ზემოქმედებენ აუდიტორიის სასურველ სეგმენტზე. აუდიტორიები სულ უფრო მეტად არიან ორიენტირებული ვიზუალურ შეტყობინებაზე, სულ უფრო უკეთ აცნობიერებენ, რა სახით სურთ ინფორმაციის მიღება და წინააღმდეგობრივ საკითხებში საპირისპირო პოზიციისკენ იხრებიან.

აუდიტორიები იყოფიან თაობების მიხედვით და ყოველ მათგანს განსხვავებული ღირებულებები, ინტერესები და საჭიროებები აქვთ, ესენია: აუდიტორიები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებით; აუდიტორიები განვითარებადი რასობრივი და ეთნიკური ჯგუფებით; აუდიტორიები, რომელშიც

გაერთიანებულნი არიან კათოლიკური და ევანგელისტური ქრისტიანული ჯგუფები, გეი/ლესბოსური თემები, უნარშეზღუდულები და ქალები. განვიხილოთ თითოეული მათგანი. აუდიტორიები თაობების მიხედვით იყოფიან სამ ძირითად ასაკობრივ ჯგუფებად. ესენი არიან: ახალგაზრდები და ადრეული მოწიფულობის ასაკში მყოფნი, დემოკრატიული ბუმის პერიოდში დაბადებულები და პენსიონერები. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული აუდიტორია ღიად და ყველა მნიშვნელობით უწევს კონკურენციას დემოგრაფიული ბუმის პერიოდში დაბადებულებს და მათი საერთო მყიდველობითი უნარი უზომოდ დიდია. ახალგაზრდული ბაზარი ხშირად იდენტიფიცირდება, როგორც „თაობა “ 1980 წლეს დაბადებული. მათი წინა მორბედი „თაობა X“ აერთიანებს 1965-1980 წლებში დაბადებულებს. არსებობს ახალგაზრდული თაობა ელექტრონული მედიის მუდმივი მომხმარებელი, რომელსაც ეწოდება „თაობა “. ორივე – X და თაობის სისუსტე არის ინტერნეტი. მათი სამყარო მრავალფეროვანი და გლობალურია და არც ერთ წინა თაობას არ ესმის მსოფლიო კულტურები და ბაზრები, როგორც მათ პროფესიონალებს უნდა ესმოდეთ ახალგაზრდული ჯგუფების, დემოგრაფიული ბუმის დროს დაბადებულთა იმ ჯგუფისა, რომლის წევრებიც საპენსიო ასაკს უახლოვდებიან. ყოველი განსხვავებული ჯგუფი ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად ირჩევს განსხვავებულ მედია არხს, ახალგაზრდები ინტერენეტსა და ფიჭურ კავშირს ანიჭებს უპირატესობას, ხანდაზმულები კი ტრადიციული მედიას-ყოველდღიურ გაზეთებსა და სატელევიზიო ახალ ამბებს (1).

ისტორიულად სხვადასხვა სახელმწიფოების მოსახლეობა უფრო მულტიკულტურული ხდება. ყოველ ეთნიკურ ჯგუფს საკუთარი კულტურული ღირებულებები აქვს, რაც უნდა ესმოდეს პროფესიონალ კომუნიკატორს.

რაც უფრო მრავალფეროვანი მოსახლეობაა, მულტიკულტურალიზმს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო სივრცეში უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებით საყურადღებოა რასობრივი კუთვნილება, სამიზნე აუდიტორიის მრავალი სეგმენტის კულტურული და ეთნიკური თვითიდენტურობა. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს ერთნაირად ახასიათებთ მყარი ოჯახური კავშირები და თემებად გაერთიანება.

აღსანიშნავია, რომ კომუნიკატორმა უნდა გაითვალისწინოს ეროვნული, ენობრივი, თაობისადმი კუთვნილებიდან გამომდინარე კულტურული განსხვავებები. როგორც ფერნანდო ფიგერედო (Fernando Figueredo) აღნიშნავს, მულტიკულტურული მომხმარებლისთვის გათვალისწინებული უნდა იქნეს საკომუნიკაციო კამპანიის წარმოებისთვის ხუთი რჩევა (1).

1. უნდა ჩამოყალიბდეს ჯგუფი, რომელსაც გათავისებული ექნება იმ ჯგუფების ტრადიციები და ღირებულებები, რომელთა მოზიდვაც უნდათ.
2. გასათვალისწინებელია, რომ განსხვავებული კულტურული წარმომავლობის მომხმარებელი უკეთ რეაგირებს შეტყობინებაზე, რომელიც რელევანტურია მისი კულტურისათვის.
3. განსხვავებული კულტურული წარმომავლობის მომხმარებელი უაღრესად ლოიალურია, თუ მან მიიღო სხვისი პროდუქტი და მომსახურება, აქცია საკუთარი ცხოვრების ნაწილად, ის დარჩება სხვისი მომხმარებელი.
4. გამოყენებული უნდა იქნეს სამიზნე აუდიტორიისთვის საკომუნიკაციოდ ძირითადად მშობლიური ენა, მაშინაც კი თუ სხვა ენა მშობლიურზე უკეთესად იცის.

5. გამოყენებული უნდა იყოს კარგი გამხმოვანებელი კომუნიკატორის სახით და გათავისებული უნდა ჰქონდეს აუდიტორიისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

აღსანიშნავია, რომ აუდიტორიაში უმცირესობათა რიცხვის ზრდა საჭიროებს ეთნიკური მედიის გამოყენებას.

არსებობენ სხვა განვითარებადი აუდიტორიები: კათოლიკური და ევანგელისტური ჯგუფები, გეი/ლესბოსური უნარშეზღუდულები და ქალები. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებმა განსხვავებული ყურადღება უნდა დაუთმონ იმას, თუ როგორ არიან საკომუნიკაციო აქტივობაში გათვალისწინებული უმცირესობები. კათოლიკური და ევანგელისტური ქრისტიანული ჯგუფები იზრდება და ახლებურ კონფიგურაციას იღებს. ქრისტიანულმა საცალო ბაზარმა თანდათან მიაღწია წარმატებას მარკეტინგული თვალსაზრისით, რადგან რელიგიურ თემაზე შექმნილ მრავალ პროდუქციას ჰყავს მყიდველი.

ყოველგვარი კომუნიკაციისთვის უმთავრესი ელემენტებია ენა და მედიუმი. გლობალური ეკონომიკა საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალებისაგან მოითხოვს ბევრი სხვადასხვა ერის კულტურისა და ღირებულებების გააზრებას, რადგან ვაჭრობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა გლობალურ ხასიათს იძენს. საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალებმა უნდა დაძლიონ ენობრივი ბარიერები, გაეცნონ ადგილობრივი ბიზნესის ტრადიციებს და გაითვალისწინონ სოციალური განსხვავებები კულტურულად შესაფერისი და ადგილობრივი საზოგადოებისათვის მისაღები საზოგადოებასთან ურთიერთობის საწარმოებლად.

აუდიტორიის არაერთგვაროვნებას მსოფლიო სხვადასხვა კუთხეში მრავალი სახე აქვს. მაგალითად, ცენტრალური აზიის ქვეყნებში დაუშვებელია ქალთან საუბარი, თუ მას არავინ ახლავს. არგენტინაში ქალი და მამაკაცი ერთმანეთს ლოყაზე კოცნიან მაშინაც კი, თუ ახლახან გაიცნეს ერთმანეთი, ეს ჩვეულებაა. საზოგადოებასთან ურთიერთობა იაპონიასა და კორეაში ჭამა-სმის ფონზე მიმდინარეობს, რასაც გმობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. საუდის არაბეთში არ არის მოსაწონი ღორის ხორცის შეკვეთა, მაშინ როცა იქ არაბებს ღორი უწმინდურ ცხოველად მიაჩნიათ და ა.შ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალების მთავარი სტრატეგია საერთაშორისო არენაზე ფართო აუდიტორიის პირისპირ აღმოჩენისას არის სხვადასხვა კულტურისადმი მგრძნობიარობის შენარჩუნება და განსხვავებული ენების ფლობა.

ეთნიკური მედიის გამოყენებას ჰყავს აუდიტორია, რომელიც მთელ ასაკობრივ და ეროვნულ სპექტრს და საზოგადოების ყველა ეთნიკურ ჯგუფს მოიცავს. აქედან გამომდინარე ძირითად აუდიტორიებამდე მისაღწევად საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალებისთვის მნიშვნელოვანია, კარგად ერკვეოდნენ ბეჭდვითი, აუდიო, ვიზუალური და ახალი მედიის მეთოდებში. მედიის ყველა ფორმას აქვს დამკვიდრებული თავისი ადგილი. მედიის გამოყენება სრულიად ინდივიდუალურია. ახალგაზრდები, ბევრად მეტ დროს უთმობენ ინტერნეტს, ვიდრე მათი მშობლები. ჩატარებული კვლევების საფუძველზე არსებობს ოთხი წამყვანი მედია, რომელსაც იყენებენ აუდიტორიასთან კომუნიკაციებისათვის. ესენია: 1. ადგილობრივი ტელევიზიის ახალი ამბები; 2. ძირითადი ინტერნეტქსელის ახალი ამბები; 3. ადგილობრივი გაზეთები და 4. საკაბელო ტელევიზიის ახალი ამბები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკოსებმა, სხვადასხვა ჯგუფამდე მისაღწევად უნდა გამოიყენონ ადგილობრივი ბეჭდვითი მედია და ტელერადიომაუწყებლობა, რომელიც საზოგადოებისთვის ერთობ დამაჯერებელია.

გამოკვლევის შედეგად მნიშვნელოვანია: რომ, 1. ყოველ მიზნობრივ ჯგუფში გავლენიან ადამიანთა მოსაზიდად კამპანიაში ჩართული უნდა იყოს პირისპირ კომუნიკაციის კონცეფცია. სოციალური ქსელის პრინციპით მომუშავე ვებგვერდები კარგი საშუალებაა. 2. აუდიტორიას ინფორმაცია შესაფერის დროს უნდა მიეწოდოს. 3. ცნობილი ადამიანების მიერ პროდუქტის მოწოდება ნაკლებად დამაჯერებელია მომხმარებლისთვის, მაგრამ შეიძლება „ბიძგების ეფექტი“ იქონიოს, ანუ მყისიერად მიმართოს აუდიტორიის ყურადღება ამა თუ იმ პროდუქტისაკენ. 4. ქალები, რაღაც პროდუქტის ყიდვისთვის მამაკაცებთან შედარებით, ხშირად იყენებენ ტრადიციულ მედიას, ინტერნეტს. 5. ბეჭდვითი მედია ყველაზე ეფექტურია ისეთი შეტყობინების მიწოდებისას, რომელიც მოითხოვს დეტალებში ჩაწვდომას და გააზრებას. შესაძლებელია დაბეჭდილი მასალის წაკითხვა და მისი დამოწმება. ინტერნეტი, უფრო ჰგავს ტრადიციულ ბეჭდვით მედიას ვიდრე ტელერადიომაუწყებლობა, რომელიც ყველაზე სწრაფად ავრცელებს ახალ ამბებს, ვიდრე გაზეთები, ჟურნალები ნაკლებად სწრაფია, მაგრამ მეტად ორიენტირებული სპეციფიკური ინტერესების მქონე აუდიტორიაზე. წიგნების წაკითხვას კიდევ უფრო მეტი დრო სჭირდება, მაგრამ მათი გავლენა ძლიერია და დროსაც უძლებს. 6. ტელევიზიას მედიათა შორის ყველაზე ძლიერი ემოციური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. მისი ვიზუალური ძალა უშუალოდ ნანახის ძალას უახლოვდება. ბეჭდვითი მედიის ზეგავლენა ტელეკომუნიკატორის პიროვნების ზეგავლენას ვერ შეედრება. 7. რადიოს უდიდესი უპირატესობა მისი მოქნილობა და სპეციფიკური სამიზნე აუდიტორიის ყოლაა. შეტყობინება უფრო სწრაფად, ნაკლები დანახარჯებით უნდა მომზადდეს და გადაიცეს რადიოთი, ვიდრე ტელევიზიით. 8. ონლაინმედიის გამოყენება გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ელექტრონული მედიასისტემები, ინტერნეტი და უკაბელო კომუნიკაციები უკან ჩამოიტოვებს ბეჭდვით მედიას და ტელევიზიას. ისინი ინფორმაციის უპირველეს წყაროებად იქცევა. ამრიგად, განსხვავებული აუდიტორიებისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობის შეტყობინების ამსახველი მასალები შეიძლება გადაიცეს ახალი ამბების რელიზით, სარეკლამო ფოტოებით, დაფორმატებული რელიზით, მედია-პაკეტით, საინფორმაციო სარეკლემო წერილით ფოსტის, ფაქსის, იმეილით, ელექტრონული გადაცემის სერვისით, ქსელური პრესცენტრებით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის აუდიტორიის არაერთგვაროვნება და მისი მულტიკულტურული ბუნება შეიძლება მართვადი იყოს კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიების და ინსტრუმენტების გამოყენებით რაც ოცდამეერთე საუკუნის რეალურ გზას წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. დენის ლ. უილკოქსი, გლენ ტ. კამერონი. საზოგადოებასთან ურთიერთობა. სტრატეგია და ტაქტიკა. გამომცემლობა „დიოგენე“, 2011.
2. ელისაბედ ხახუტაშვილი. მასობრივი ინფორმაცია და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება. სტუ ჟურნალი „განათლება“, 2012. №(4)

3. ელისაბედ ხახუტაშვილი, ლია კაპანაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობა. უბლიც ღელეცტიონს 100. ჯიბის კონსპექტი. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2010.

The diversity of public relations audience and multikultural nature

E. Khakhutashvili
Georgia Technical University
77 str. Kostava, Tbilisi

The audiences of public relations are not monolithical. It consists of diverse mixed groups, which have different cultural, ethnical, religious and economical features. Sometimes their interests coincide with each other, but sometimes oppose, that`s why it`s important for public relations specialists to know about the dynamic of the audience changing for the professional development. With help of modern communication technology and resarches it is possible to control multicultural audience, which represents the real way of 21th century.

Неоднородная и мультикультурная природа аудитории связи с общественностью

Е. Хахуташвили
Грузинский Технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава 77

Аудитории связи с общественностью не являются монолитными. Она состоит из неоднородных смешенных групп, которые имеют отличающиеся культурные, этические, религиозные и экономические характеристики.

В некоторых случаях их интересы совпадают, в некоторых же расходятся, противостоят. Поэтому для профессионала по связям с общественностью знание изменчивости динамики аудитории важнейшая часть профессионального развития. Посредством современных коммуникативных исследований и технологией стало возможным править природой неоднородных мультикультурных аудиторий, что для XXI столетия является наиболее реальным путем.

საფონდო ბირჟების ამოცანები და სტრუქტურა

ლევან ჯიქიძე,
სტუ უფროსი მასწავლებელი
თბილისი, კოსტავას 77

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საფონდო ბირჟა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეა.

ბირჟა უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას ანუ „უშუალოდ ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდებით სამოქალაქო-სამართლებრივი გარი-გებების განხორციელებას“.

საფონდო ბირჟა ვერ შეათავსებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ორგანიზაციას და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პროფესიონალური საქმიანობის სხვა სახეობებს. აქედან გამომდინარე, საფონდო ბირჟის ამოცანები

და ფუნქციები განპირობებულია იმ პოზიციით, რასაც ის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე იკავებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა (სავაჭრო და სავალუტო) ბირჟების საფონდო განყოფილებები საფონდო ბირჟებთან გათანაბრებულია, რის გამოც მათი საქმიანობა არ განსხვავდება. საფონდო ბირჟა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორგანიზატორია და პირველ რიგში ეფექტური ვაჭრობის წარმოების აუცი-ლებელ პირობებს ქმნის, თუმცა ბაზრის განვითარებასთან ერთად მისი ამოცანა ხდება არა იმდენად ვაჭრობის ორგანიზება, რამდენადაც მისი მომსახურება. თავდაპირველად საფონდო ბირჟის დანიშნულება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის წახალისება და ხელშეწყობა გახლდათ, რაც მისი მონაწილეების ინტერესების დაცვას უზრუნველყოფდა. აქედან გამომდინარე, ბირჟა განიხი-ლებოდა ვაჭრობის ორგანიზებულად წარმოების ადგილად.

ბირჟის უპირველესი ამოცანა ბაზრისთვის ადგილის შექმნა ანუ ისეთი ადგილის გამოყოფაა, სადაც ფასიანი ქაღალდები შეიძლება გაიყიდოს პირველი მფლობელის მიერ და ასევე გადაიყიდოს. ამავდროულად, ბირჟების, როგორც ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული, საბითუმო ბაზრის, ამოსავალი წერტილია, რომ ვაჭრობის მონაწილეებმა მკაცრი წესების შესაბამისად უნდა იმოქმედონ. საფონდო ბირჟა გახლავთ ორგანიზაცია ვაჭრობის წარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებული წესებით. მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის საბირჟო ვაჭრობა, რომელსაც მონაწილეების ფიზიკური დასწრება სჭირდება, იცვლება კომპიუტერებით, რაც საშუალებას იძლევა ვაჭრობაში მონაწილეობა საკუთარი ოფისიდან მივიღოთ, დადგენილი წესების დაცვა და ვაჭრობის რეგულირების სისტემის არსებობა, ისევე როგორც ვაჭრობის მონაწილეების მხრიდან წესების დაცვის მზადყოფნა, აუცილებელია. პირველი ამოცანის შესასრულებლად საფონდო ბირჟისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ წესების და ვაჭრობის რეგულირების სისტემების შემოღება. აუცილებელია ფასიანი ქაღალდების გამყიდველი კომპანიებისთვის და ვაჭრობის პროფესიონალურ დონეზე მწარმოებელი თუ კლიენტების ინტერესების დამცველი ბირჟის წევრებისთვის მკაცრი მოთხოვნების წაყენება. აქ საუბარია კლიენტებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ ვაჭრობაში უშუალო მონაწილეობა და იძულებულნი არიან შუამავლების დახმარებას მიმართონ. ბირჟას უნდა ჰყავდეს განსწავლული, მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელსაც შეუძლია როგორც საბირჟო ვაჭრობის წარმოება, ასევე ბირჟაზე განხორციელებული გარიგებების შესრულების ეფექტური კონტროლი. მიზეზი ის გახლავთ, რომ ინვესტორი და ემიტენტი ეძებს ლიკვიდურ და ეფექტურ ბაზარს, რომელსაც გააჩნია „ვიწრო“ გავრცელება, ეფექტური სავაჭრო სისტემები, დიდი მიმოქცევა და ინვესტორის დაცვის ეფექტური მექანიზმი

ბირჟის მეორე ამოცანა თანაბარი საბირჟო ფასის გამოვლენა გახლავთ. ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია, ვინაიდან ბირჟაზე გროვდება გამყიდველების და მყიდველების დიდი რაოდენობა. ბირჟა მათ სავაჭრო ტერიტორიას გამოუყოფს, სადაც შესაძლებელია შეხვედრა და შეთანხმება სავაჭრო გარიგებაზე და კონკრეტული ფასიანი ქაღალდების მისაღები ღირებულების (ფასის) გამოვლენა. გარდა ამისა, ბირჟა ცდილობს საბირჟო ვაჭრობის განმავლობაში მიღწეული ფასების სარწმუნოობის განცდა აამაღლოს. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად ბირჟა უზრუნველყოფს ემიტენტზე და მის ფასიან ქაღალდებზე ინფორმაციის ღიაობას, ფასების

დადგენის პირობების სტანდარტიზაციას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებას ფასებზე და გარიგებებზე ინფორმაციის გასავრცელებლად. ეს ყველაფერი ბირჟის წევრებს და მის პროფესიონალ მონაწილეებს საშუალებას აძლევს გაიგონ უკანასკნელი ფასები, განახორციელონ გარიგებები და მიიღონ ინფორმაცია უკანასკნელი გარიგებების შესახებ. დასავლეთის ბირჟებზე გავრცელებული ტენდენციაა აქციების კოტირების, მათი დამარეგისტრირებელი ბირჟების ჩვენება საშინაო ტელევიზორების ეკრანზე ისეთი სერვისების საშუალებით, როგორიცაა ტელეტექსტი (ელექტრონული ეკრანის მქონე ჟურნალები). ამ ყველაფრის დახმარებით საბირჟო ვაჭრობით ახალი მონაწილეები და უპირველეს ყოვლისა მყიდველები ინტერესდებიან.

ბირჟის მესამე ამოცანაა დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირება და საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეწყობა. ბირჟა ფასიანი ქაღალდების მყიდველებს იზიდავს და ემიტენტებს საშუალებას აძლევს ფინანსური ვალდებულებების სანაცვლოდ ინვესტიციისთვის აუცილებელი სახსრები მიიღონ ანუ ბირჟა ერთის მხრივ ხელს უწყობს ახალი სახსრების მობილიზაციას, ხოლო მეორეს მხრივ – მფლობელების წრის გაფართოებას. ამავდროულად, ბირჟა შეძენილი ფასიანი ქაღალდების გადაყიდვის საშუალებას იძლევა ანუ უზრუნველყოფს საკუთრების უფლების გადაცემას და მუდმივად იზიდავს ახალ ინვესტორებს, რომლებიც დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მსხვილ და წვრილ ნაწილს ფლობენ. ადრე შეძენილი ფასიანი ქაღალდების გადაყიდვის უზრუნველყოფით ბირჟა მყიდველს ფასიანი ქაღალდების მუდმივად ფლობის ტვირთისგან ათავისუფლებს. მას უჩნდება შესაძლებლობა გაყიდოს ადრე ნაყიდი ფასიანი ქაღალდები და ეძიოს საკუთარი ფულადი სახსრების გამოყენების სხვა შესაძლებლობები ან ჩადოს ფული სხვა და მისთვის უფრო მიმზიდველ ფასიან ქაღალდებში. მფლობელის შეცვლა არ აისახება ემიტენტზე და მის მიერ მიღებული ფულადი სახსრები კვლავ მის განკარგულებაში რჩება – იცვლება მხოლოდ კრედიტორი ან აქციონერი

ბირჟის მეოთხე ამოცანა საბირჟო ვაჭრობის ღიაობის, გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბირჟა არ იძლევა ფასიან ქაღალდებში ჩადებული სახსრების მომგებიანობის გარანტიას. დივიდენდები და აქციების საკურსო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს, მაგრამ საფონდო ბირჟა გარანტიას იძლევა, რომ ვაჭრობის მონაწილეებს ექნებათ სარწმუნო ინფორმაცია და მათ კუთვნილებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის შესახებ სამართლიანი წესების დახმარებით შეექმნებათ წარმოდგენა. ბირჟა ვალდებულია ყველა დაინტერესებულ მხარეს შეატყობინოს გარიგების განხორციელების დრო და თარიღი, გარიგებაში ჩართული ფასიანი ქაღალდების სახელწოდება, ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, ერთი ფასიანი ქაღალდის ფასი და გაყიდული (ან ნაყიდი) ფასიანი ქაღალდების რაოდენობა. ამავდროულად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ბირჟა ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფასიანი ქაღალდების საბაზრო კურსზე საბირჟო ვაჭრობის ყველა მონაწილისთვის. გარდა ამისა, ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს ერთნაირი ინფორმაცია ანუ ყველა უნდა იყოს თანაბარ მდგომარეობაში. ბირჟა პასუხისმგებელია საბირჟო ინფორმაციის ცენტრალიზებულ გავრცელე-

ბაზე. მან აგრეთვე უნდა მიიღოს და კომენტარები გააკეთოს ხელისუფლების ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, რამაც შეიძლება ბირჟაზე კოტირებული ფასიანი ქაღალდების კურსზე გავლენა მოახდინოს

ბირჟის მეხუთე ამოცანა არბიტრაჟის უზრუნველყოფაა. არბიტრაჟში იგულისხმება დავების შეუფერხებელი გადაწყვეტის მექანიზმი. მან უნდა განსაზღვროს პირთა წრე, რომელიც დასახულ ამოცანას შეასრულებს და დაზარალებული მხარის შესაძლო კომპენსაცია. არბიტრაჟის ამოცანების შესასრულებლად უამრავი ბირჟა ქმნის სპეციალურ საარბიტრაჟო კომისიებს, რომელთა შემადგენლობაში საბირჟო ვაჭრობაში და დავების გადაწყვეტაში გამოცდილების მქონე, დამოუკიდებელი პირები შედიან. მათ შეუძლიათ მიუკერძოებლად მოუსმინონ ორივე მხარეს და მიიღონ აწონილი გადაწყვეტილება. საარბიტრაჟო კომისიის გავლენა საყოველთაოდ უნდა იყოს აღიარებული. მისი მნიშვნელობის ასამაღლებლად ზოგჯერ სასამართლოს სტატუსიც შემოაქვთ, რის შედეგადაც არბიტრაჟის გადაწყვეტილება არა მხოლოდ სარეკომენდაციოა, არამედ მისი აღსრულება სავალდებულოა. აქედან გამომდინარე, კომპენსაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მისაღები უნდა იყოს როგორც დაზარალებული მხარისთვის, ასევე მოპასუხისთვის. ამავე დროს, ნებისმიერი არბიტრაჟი ითვალისწინებს აპელაციის უფლებას.

ბირჟის მეექვსე ამოცანაა გარიგებების შესრულების გარანტიის უზრუნველყოფა. ბირჟა კოტირებული ფასიანი ქაღალდების საიმედოობის გარანტიას იძლევა და ბირჟაზე დაიშვება მხოლოდ ის ფასიანი ქაღალდები, რომლებმაც გაიარეს ლისტინგი ანუ შეესაბამებიან წაყენებულ მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კი ვაჭრობის მონაწილეები (ბირჟის წევრები, გამყიდველის და მყიდველის წარმომადგენელი ბროკერები) გარიგების პირობებს შეათანხმებენ, მაშინვე რეგისტრირდებიან და ვაჭრობის მონაწილე ბირჟისგან შესაბამის ნებართვას იღებენ. აქედან გამომდინარე, კონკრეტულ შეთანხმებაზე დავა შეუძლებელია. ბირჟა აღნიშნული ამოცანის შესრულებით გაანგარიშებების წარმოებისას შუამავლად გვევლინება ანუ ბირჟა იღებს პასუხისმგებლობას ყველა დამტკიცებულ გარიგებაზე და გადახდის უზრუნველყოფაზე. რაც შეეხება გაყიდულ აქციებს, ისინი შეიძლება გადაეცეს ახალ მყიდველს ან მისი მითითებით სხვა პირს. ეს გახლავთ ბირჟის ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია, ვინაიდან ის ყველა მყიდველს და გამყიდველს აძლევს გარანტიას, რომ ისინი საკუთარი ოპერაციებიდან შედეგს სრულად მიიღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბირჟა საკუთარი წესებით იხელმძღვანელებს და გარიგების ანულირებას მოახდენს.

საბირჟო ვაჭრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა გარიგებების შესრულება, კერძოდ რამდენად შეუძლია მყიდველს შეძენილი ფასიანი ქაღალდების ღირებულების გადახდა ან შეძლებს თუ არა გამყიდველი ფასიანი ქაღალდების რეალურად წარმოდგენას. ბირჟას არ შეუძლია ყოველი კონკრეტული გამყიდველის და მყიდველის შემოწმება, მაგრამ მას შეუძლია და წარადგენს კიდეც მკაცრ მოთხოვნებს, როგორც ვაჭრობის მონაწილეთა პროფესიონალიზმის მიმართ, ასევე მათი ფინანსური მდგომარეობის მიმართ.

გარდა ამისა, გარიგებების შესრულების გარანტია კლირინგის და გათვლების მუდმივი სისტემის მეშვეობით მიიღწევა.

გარიგებების შესრულების გარანტია ბირჟის მომსახურე სისტემის კონტროლითაც არის უზრუნველყოფილი, რაც სისტემის დაზიანების ან ფინანსური პირობების ჯაჭვური შეუსრულებლობის რისკის შემცირებას გულისხმობს.

საფონდო, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ბირჟა, ვალდებულია უზრუნველყოს კომუნიკაციების შიდა სისტემის მუდმივი კონტროლი, რათა მისი საიმედობა უზრუნველყოფილი იყოს და ბირჟის წევრების, ვაჭრობის მონაწილეების ფინანსური დისციპლინა გაკონტროლდეს. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ერთი წევრის (მონაწილის) გაკოტრებამ სხვის გაკოტრება არ გამოიწვიოს. ბირჟაზე მიღწეული გარიგებების შესრულების გარანტია გადაჯაჭვულია კლიენტის ფულის დაცვის პრობლემასთან. ბირჟას ამ პრობლემის ერთიპიროვნულად მოგვარება არ შეუძლია, თუმცა ვაჭრობის პირობებში ჩადებულია, რომ კლიენტის ფულის მმართველმა ბირჟის წევრებმა, ვიდრე გარიგების მიხედვით გადახდის ვადა ჯერ არ მოსულა, ფული საკუთარისგან განცალკევებით უნდა შეინახონ. ბირჟის ვაჭრობის წესებში შეიძლება იყოს მოთხოვნა, რომ ასეთი ფული მესამე მხარის ბანკის საინვესტიციო ანგარიშზე განთავსდეს. ასეთ დროს ბირჟის წევრის მიერ საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების უუნარობის შემთხვევაში, ის უნებურადაც კი ვერ შეძლებს კლიენტის ფულის გამოყენებას. რეგულირების სისტემა აქ ძალიან მკაცრია - ბირჟამ რეგულარულად უნდა შეამოწმოს, რამდენად სწორად ტარდება ოპერაციები და აკონტროლოს საბანკო ანგარიში

ბირჟის მეშვიდე ამოცანაა საბირჟო ვაჭრობის მონაწილეების ქცევის კოდექსის ჩამოყალიბება. ამისთვის, როგორც წესი, სპეციალური შეთანხმებები ფორმდება, რომლებიც სპეციფიკური სიტყვების გამოყენების ნებართვას იძლევიან და მათ მკაცრ ინტერპრეტაციას ახდენენ, კერძოდ ადგენენ ვაჭრობის ადგილს და მეთოდს (ბირჟის დარბაზი, ტერმინალი, ეკრანი, ტელეფონი); ვაჭრობის დროს, რომლის განმავლობაშიც შეიძლება დაიდოს გარიგებები; ვაჭრობის მონაწილეებს წარუდგენენ კვალიფიკაციის მოთხოვნებს (საკვალიფიკაციო ატესტატის ან სტატუსის მისაღებად აუცილებელია გამოცდების ჩაბარება)

ლიტერატურა

1. Финансы. Учебное пособие/Под редакцией А.М. Ковалева. М.: Финансы и статистика, 1999.
2. Федеральный закон «О рынке ценных бумаг» от 22 апреля 1996г. №39-ФЗ (с изменениями и дополнениями от 26 ноября 1998, 8 июля 1999 г.).
3. Пантелеев П.А. Рынок ценных бумаг. – Инфра-М, 1996 г.
4. Алексеев М. Ю. Рынок ценных бумаг. – М.: Финансы и статистика.
5. Под. ред. А. И. Басова, В. А. Галанова. Рынок ценных бумаг.- М.: Финансы и статистика, 1998.
6. Воробьев П. В., Лялин В. А. Ценные бумаги и фондовая биржа. – М.: Филинъ, 1998.
7. Под. ред. Н. Т. Клещева.. Рынок ценных бумаг. – М.: Экономика, 1997.
8. Под. ред. В. И. Колесникова, В. С. Торкановского. Ценные бумаги. – М.: Финансы и статистика, 1998.

9. Семенкова Е. В. Операции с ценными бумагами. – М.: Перспектива; ИНФРА-М, 1997.
10. Фельдман А. А. Российский рынок ценных бумаг. – М.: Атлантика – Пресс, 1997.
11. Килячков А. Р., Чалдаева А. В. Профессиональная деятельность на рынке ценных бумаг. / Финансы и бизнес. – 1997. - № 2.

Purpose and structure of stock exchanges

Levan Djikidze

The article describes structure, functions and necessary parameters for functioning of stock exchange as the participant of equity market

Задача и структура фондовых бирж

Леван Джикидзе

В статье рассматриваются фондовые биржи, как часть структуры рынка ценных бумаг.

არქიტექტურა/Архитектура/ *A*rchitectura

“ახალი კლასიკის” გამოვლენის თავისებურება XX–XXI საუკუნის ქართულ არქიტექტურაში

ასოც. პრფესორი ნინო იმნაძე, ასოც. პროფესორი მაია დავითაია
სტუ. ქ. თბილისი, კოსტავას №77

XXI სუკუნის პირველი ათწლეულის არქიტექტურაში აღმოცენდა ახალი ესთეტიკური ფენომენი “ახალი კლასიკა”. მთელ რიგ ქვეყნებში გაჩნდა “ტოტალური კლასიკა”. “ახალი კლასიკა” თავიდან შეუმჩნეველი იყო. კრიტიკა მასში ხედავდა კონცეპტუალიზმს, კიტჩს, ისტორიზმს, ვულგარულ ისტორიზმს, ნეოისტორიზმს, რადიკალიზმს, თამაშს კლასიციზმით, კლასიციზმის აჩრდილს, ტექნოეიფორიას, მინიმალისტურ სიმშრალეს, ახალ ტრადიციონალიზმს და ა.შ. აქედან გამომდინარე წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ გამოყენებული იქნება ორი ტერმინი “ახალი კლასიკა” და “ისტორიზმი”.

ჯერ კიდევ მე-XX საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდნენ ნაგებობები, რომელთა არქიტექტურა 20-იანი წლების ავანგარდის გავლენას განიცდიდა. ეს შეიძლება გავიგოთ, როგორც “დაბრუნება წარსულის ფასეულობისაკენ”, ამასთან ერთად ეს ის პერიოდია, როდესაც მსოფლიოში ჯერ კიდევ “პოსტმოდერნიზმია”, შესაბამისად არქიტექტორები დაუბრუნდნენ კლასიკურ ესთეტიკას, რომელიც ძალზე მომხიბლავი აღმოჩნდა პოსტმოდერნიზმის მიმდევრებისთვის. პოსტმოდერნისტული ისტორიზმით 90-იანი წლების ბევრი არქიტექტორი დაინტერესდა. თუმცა 1990-იან წლებში პოსტმოდერნიზმი აღარ იწვევს აღფრთოვანებას საზოგადოებაში, ხოლო პროფესიულ წრეებში იგი უბრალოდ არქიტექტურის განვითარების პროცესისგან უკან დახევადაა მიჩნეული. 1980-90-იანი წლების პოსტმოდერნიზმში ჩარლზ ჯენქსი უკვე ხედავდა ნეოკლასიციზმის ნიშნებს.

რას წარმოადგენს XXI საუკუნის “ახალი კლასიკა”. კონკრეტულ პერიოდში ისტორიზმი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ახალი პარადიგმა, რომელიც წყვეტს ფორმადწარმომქმნელ და სივრცის ორგანიზების პრობლემებს. “ისტორიზმის” აღმოცენება დაკავშირებულია იტალიურ სკოლასთან, რომლის წარმომადგენლები (ფრანკო ალბინი, ლუიჯი მორეტი, პაოლო პორტოგეზი და სხვა) ცდილობდნენ მოდერნიზმის განვითარებას კონტექსტუალური და სიმბოლური ესთეტიკით. ისტორიზმის განვითარებას ხელი შეუწყო 1980 წლის ვენეციის ბიენალეს ექსპოზიციამ, რომელმაც გააერთიანა დასავლეთის წამყვანი არქიტექტორები ლოზუნგით “წარსულის აწყმო”. ისტორიზმის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება ფორმის, დეკორის და კომპოზიციური საკითხებით. გაცილებით მნიშვნელოვანია მისი გავლენა შემოქმედებით მეთოდზე.

ისტორიზმით გასული საუკუნის 90-იანი წლების ბევრი არქიტექტორი დაინტერესდა: ფილიპ ჯონსონი, ჩარლზ მური, რობერტ სტერნი, რობერტ ვენტური და სხვა. მათი ისტორიული რემისენციებით სავსე პროექტები გახდნენ 1980-90 - იანი წლების არქიტექტურის სიმბოლოები. ეს არქიტექტორები თავიანთი შემოქმედებით გვიჩვენებენ კლასიკური ტრადიციის ინტერპრეტაციის მრავალფეროვან მიდგომებს, უსაზღვრო ტრანსფორმაციებს, რომლებიც შეესაბმებიან კონკრეტულ ამოცანებს და მიზნებს. ფილიპ

ჯონსონის აზრით თანამედროვე "ეკლექტიკა" ახალი მიმდინარეობის შინაგანი იმპულსია, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი შეზღუდვებისგან მათ შორის სტილურისგანაც. "ჩემს განკარგულებაში დაახლოებით 12 არქიტექტურული სტილია, რომლითაც მე ერთდროულად ვმუშაობ". რობერტ სტერნი თავის თეორიულ ნაშრომში "თანამედროვე კლასიციზმი" (1988წ) აქცენტს აკეტებს ისტორიზმის, როგორც არქიტექტურული რიტორიკის შესაძლებლობაზე და კლასიკური ფორმის სიმბოლურ პოტენციალზე უახლესი დროის არქიტექტურაში: "იყო თანამედროვე ნიშნავს იყო ეკლექტიკი". "ღია" ეკლექტიკამ გამოაცხადა "სტილის" დასრულება. ისტორიზმი გამორიცხავს ყველანაირ შეზღუდვას შემოქმედებით ძიებაში და დაფუძნებულია სტილების ან წყაროების, სამშენებლო სისტემების ან მასალების აღრევაზე. ქმნის არქიტექტურულ "კოქტეილს" ("დისნეილენდს"). თავის დროზე "თანამედროვე მოძრაობამ" გააკრიტიკა ისტორიზმი და აქცენტი გააკეთა მის გადაუწყვეტელობაზე, დილეტანტობაზე, ოპორტუნიზმზე თავად პოსტმოდერნისტები კი თვლიან, რომ ისტორიზმი სუსტია და გვთავაზობენ მის განვითარებას რადიკალურად. რადიკალური ისტორიზმი იყენებს "ახალი მოძრაობის" სივრცეებს და კომუნიკაციის ხერხების მთელ სპექტრს: მეტაფიზიკურს და სიმბოლურს, სივრცულს და ფორმალურს. ცდილობს დაამყაროს კონტაქტი განსხვავებული გემოვნების მქონე კულტურებს შორის სხვადასხვა დონეზე: ყოფით, ესთეტიურ. შეცდომების ალბათობა მათ შეთავსებაში ძალიან დიდია. ახალი ისტორიზმი საინტერესოა იმით, რომ მრავალმნიშვნელოვანია და დროში ცვალებადი.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენს ინტერესს წარმოადგენს მე-XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ არქიტექტურაში აღმოცენებული კლასიკური ტრადიციის ინტერპრეტაცია. ისტორიული მემკვიდრეობის, ტრადიციული ფორმების და ხერხების დამკვიდრება არქიტექტურულ-საპროექტო შემოქმედებით არეალში გახდა ერთ ერთი არსებითი ასპექტი. თბილისის იერსახე საუკუნეების მანძილზე გუობს არქიტექტურის სტილურ ინტერპრეტაციებს განსაკუთრებით მის ცენტრალურ უბნებში. თავად დამოკიდებულება ძველსა და ახალს შორის შეიცვალა. "ისტორია ეს არ ნიშნავს წარსულს და ზედმეტს. იგი შეიძლება გახდეს გასაღები დღევანდელი პრობლემების გადასაწყვეტად". დღეს საქართველო მიმართავს ათწლეულების წინ დასავლეთში აღმოცენებულ გამოცდილებას, თუმცა მას დიდი გავლენა არ მოუხდენია ქართულ არქიტექტურაზე.

რას წარმოადგენს ქართული ისტორიზმი დღეს. ისტორიზმი არაერთხელ გამოჩნდა თბილისის არქიტექტურულ ისტორიაში და მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქალაქის არქიტექტურული სივრცის ფორმადწარმოქმნაში. XIX-XX საუკუნეებში ნეოკლასიციზმი ასახავდა იმ პერიოდის ტენდენციებს. ავანგარდული არქიტექტურის პერიოდში ისტორიზმი ცდილობდა ეპოვნა ახალი მიდგომა ახალი სტილის ელემენტებში. სოცრეალიზმის პერიოდში ქართულ კულტურაში ისტორიზმი გამოიყენებოდა სოციალური იდეოლოგიის გამოსავლენად. XX საუკუნის 60-70 ისტორიზმი აღიქმებოდა, როგორც ზედმეტობა არქიტექტურაში. XX საუკუნის 90-იან წლებში ისტორიზმი სხვადასხვა ძალით და მხატვრული ხერხებით გამოვლინდა არქიტექტორების შემოქმედებაში, ზოგან მინიშნებებით და ზოგან აშკარად. მთელი რიგი არქიტექტურული კომპანიები (აქსისი – საცხოვრებელი სახლი პეტრიაშვილის ქუჩაზე, ბანკი "რესპუბლიკა" ატენის ქუჩაზე, ევორდი – საცხოვრებელი სახლები მელიქიშვილის ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავალფუნქციური მაღაზია აღმაშენებლის გამზირზე - არქ. გაგა კიკნაძე და

სხვა.) ქმნიდნენ "ახალ კლასიკას". მათ მიერ დაპროექტებულ საცხოვრებელ თუ საზოგადოებრივ ნაგებობებში ღიად ჩანს სწრაფვა ნეოკლასიციზმისკენ.

დაბრუნება წარსულის ფასეულობისკენ, ვლინდება ისტორიული განაშენიანების და ნაგებობების აღდგენა რესტავრაციაში, რომელიც გახდა ერთ-ერთი პრიორიტეტული საქართველოსთვის. რეკონსტრუქციის დროს ისტორიზმი იმკვიდრებდა თავის ადგილს თბილისის, სიღნაღის, ბათუმის არქიტექტურაში. სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად ფასეულმა ისტორიულმა ძეგლებმა ახალი სხე მიიღეს. რეკონსტრუირებულია ყოფილი საშემოსავლო და საცხოვრებელი სახლები, რომელთა რეკონსტრუქცია-აღდგენა არ ეწინააღმდეგება ადგილის განვითარების ლოგიკას და თბილისური არქიტექტურის ტრადიციას. სარესტავრაციო სამუშაოებს შორის აღსანიშნავია რუსთაველის და აღმაშენებლის გამზირები, მაიდანი და კლდის უბანი. მაგალითად კლდის უბნის რეაბილიტაცია (არქ. ილო საბანაძე, მანანა ბასილიძე, გიული გეგელია, გია ნადირაძე), ტრადიციული თბილისური არქიტექტურის პარადიგმაა. არქიტექტორებმა ისტორიული განაშენიანების იმიტაციით და ადგილობრივი არქიტექტურის ფორმალური ნიშნების გამეორებით აღადგინეს ისტორიული განაშენიანების სივრცული სტრიქტურა, ძველი თბილისური ატმოსფერო და შექმნეს ისტორიულად არსებული კვარტალის ეკლექტიკური დეკორაცია, რომელიც იწყებს "დიალოგს" ისტორიულ ქალაქთან. თუმცა მთავარი აქ არ არის ნაციონალური ტრადიციული მოტივების გადმომღერება არამედ ფსიქოლოგიური კომფორტის შექმნა, ჩვეული სიტუაციის და სემანტიკური შინაარსის გაზრდა.

აღმაშენებლის გამზირის და მოედნის რეკონსტრუქცია განსხვავებული მიდგომით ხასიათდება. (ვაჟა ორბელაძე, დათო გივიშვილი, გია აბულაძე, ნინო ბაგრატიონი, გაგა კიკნაძე, ლევან მუშკუდიანი) რეკონსტრუირებული და აღდგენილი იქნა XIX-XX საუკუნის ძეგლები, ისეთები როგორიცაა გერმანელი არქიტექტორის ლეოპოლდ ბილფელდის მიერ დაპროექტებული ვაჭრის იაკობ ფრიდრიხ ვეტცელის მემკვიდრეების ფსევდო ბაროკალური სასტუმრო (ეხლანდელი თოჯინების თეატრი). 1909-1914 წელს მოდერნის სტილში აშენებული კინოთეატრი "აპოლო" (არქიტექტორი უცნობია, მოქანდაკეები კარლ ვილსი, ა.ი. ნოვაკი, კარლ სოუჩეკი), ია კარგარეთელის ქუჩაზე მდებარე, ფსევდო გოთური სასახლის ტიპის "მუსიკის, კინოსა და თეატრის მუზეუმი" (არქ. პ. შტერნი), პირვანდელი სახე დაიბრუნა გერმანელი არქიტექტორის პაულ შტერნის საკუთარმა სახლმა. ხის საცხოვრებელი სახლის ფასადი ისლამური ელემენტებს შეიცავს (ფასადზე ისრული მოყვანილობის ფანჯრებში ჩასმულია სოლომონის ბეჭედი), გერმანელი არქიტექტორის ალბერტ ზალცმანის საცხოვრებელი სახლი, კათარზისის შენობა (არქ. ვ. ოზეროვი), ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლები ხის თუ რკინის ულამაზესი აივნებით, და სხვა. მთელი გამზირი ევროპული არქიტექტურული სტილებისა და თბილისური არქიტექტურის ჰარმონიულ ერთობლიობას წარმოადგენს. არქიტექტორებმა ადრე არსებული ატმოსფეროს შექმნის და არსებული სტილისტიკის მაქსიმალური შენარჩუნების მიზნით ერთ მთლიანობაში გააერთიანეს სხვადასხვა დროის და სხვადასხვა სტილის ნაგებობები: მთელ რიგ შენობებზე მოხდა სტილიზირებული "ახალი-ძველი" დეტალების დადება და დამატება, მაღალი სახურავების და მანსარდების დაშენება, კარნიზების, სვეტების და ძველებური ელემენტების მიმაგრება, თავისუფალი სტილიზაცია და ინტერპრეტაცია კლასიკურ თუ ნეოქართული სტილის თემაზე. შენობების ასეთი ხელოვნური დაძველებით არქიტექტორებმა აღადგინეს ისტორიული განაშენიანების სივრცული ხასიათი. თუმცა

ძველი ფოტოების და ახალის შედარებითი ანალიზით ადვილად შესამჩნევია ძველა და ახალ დეტალებს შორის განსხვავება. ხელოვნებათმცოდნეების თვალსაზრისით ხდება ძველი ღირებული ელემენტების მექანიკური ჩანაცვლება ახლით. ხელოვნებათმცოდნე მანანა სურამელაშვილი აღნიშნავს, რომ რესტავრირებულ სახლებზე, ქარხნული წესით ჩამოსხმულმა პროფილებმა და დეტალებმა ჩაანაცვლეს თბილისელი ოსტატების მიერ ტრადიციული მასალით შესრულებული საფასადო დეკორი, რის შედეგადაც დაიკარგა ინდივიდუალურობა.

ვფიქრობთ, რომ ეს ძალზე დიდი თემაა და მისი ანალიზი ადრეა, თუმცა ერთი ცხადია რესტავრაციის და პროექტირების ზღვარზეა - აღდგენის მცდელობა და ახალი არქიტექტურული იმპროვიზაცია ძველის თემაზე.

გარდა აღდგენისა და რესტავრაციისა იგება ახალი ნაგებობები. მაგ. აღმაშენებლის გამზირზე "ბიზნეს ცენტრის" შენობა. ისტორიულ კონტექსტში ტაქტიკურად ჩაწერის მიზნით ნაგებობის ფორმადწარმოქმნელ სტილისტიკაში ვლინდება ისტორიზმის სიმბოლური ნიშნების სინთეზი მოდერნისტულ მიმდინარეობასთან, "ფრაგმენტულობის" პრინციპით მინის სტრუქტურაში "მოთავსებულია" ისტორიის ნაწილი. ჩვენი აზრით ამ შენობამ ნამდვილად გაამდიდრა არსებული გარემო.

ახალი საოფისე შენობა მარჯანიშვილის ქუჩასა და მოედნის კუთხეში (არქ. გაგა კიკნაძე, ლევან მუშკუდიანი). ისტორიულ კონტექსტში ტაქტიკურად ჩაწერის მიზნით გამოყენებულია სტილიზაცია XX საუკუნის დასაწყისის მოდერნის თემაზე. გუმბათით დასრულებული ახალი შენობა დიალოგშია თი-ბი-სი ბანკის მოდერნის სტილის შენობის გუმბათებთან, რომელიც მარჯანისვილის მოედნიდან პერსპექტივაში აღიქმება. თუმცა უნდა აღინიშნოს ცოტათი გაუგებარი სიტუაცია რაც გამოწვეულია იმ სარეკონსტრუციო სამუშაოებით რაც ამ ადგილზე ხდება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუსაოების შედეგად მოხდა მარჯანიშვილის ქუჩის გაფართოება. აქ წყდებოდა მნიშვნელოვანი საქალაქმშენებლო პრობლემა: მაგისტრალის გაფართოება და განივი კავშირის ორგანიზება, რომელიც მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს გააერთიანებდა. დღეს ხდება გაფართოებული ნაწილის შევიწროება და მოშენება ახალი ნაგებობებით. ამ სამუშაოების შედეგად თი-ბი-სი ბანკის ნაგებობა შთამბეჭდავად აღიქმებოდა მოედნიდან გახსნილ სივრცულ პერსპექტივაში, რაც ამ ადგილს გარკვეულ ღირსებებს მატებდა. სამწუხაროდ დღეს ეს საინტერესო მომენტ დაიკარგა.

ახალი ნაგებობები გაჩნდა ისტორიული ქალაქის სხვა ცენტრალურ უბნებშიც: სოლოლაკში, მთაწმინდაზე და ა.შ.

მსხვილი სტრუქტურის ნაგებობა ფსევდოისტორიული ჟესტით და კონტექსტის პრინციპით ჰარმონიულად არის ჩაწერილი XIX საუკუნის განაშენიანების ეკლექტიკურ გარემოში. ნაგებობის სივრცულ-მოცულობითი კომპოზიცია ხასიათდება მრავალთემიანობით, რომელშიც კლასიცისტური და ტრადიციული არქიტექტურული ფორმები სინთეზშია ჰაიტექთან. კანონიკური სისტემა "თბილისური აივანი" გვერდითი ფასადის ზედა ნაწილში დამოუკიდებელ თემას ქმნის. ფასადის მრავალმოცულობიანი დინამიური კომპოზიცია თავისი პრინციპით ეწინააღმდეგება არქიტექტურული ფორმის კლასიცისტურ პრინციპს და შორს არის კლასიცისტური ანალოგისგან თავისი არსით ეკლექტიკურია.

ფრაგმენტულობის პრინციპი გამოყენებულია გალაქტიონის ქუჩაზე მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში. აქ ავტორი

დეკორატიულ ელემენტად იყენებს ამ ადგილზე ადრე არსებული ნაგებობის სტილისტურ მოტივს "მოდერნს".

ტრადიციული არქიტექტურული ფორმის გამარტივებული ინტერპრეტაციით ხასიათდება კოსტავას ქუჩაზე, ვერის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმართული მრავალფუნქციური შენობა ე.წ. "გრატო პასაჟი". გრატო პასაჟის არქიტექტურული სახე წარმოადგენს აგურის კედლებს, რომელშიც ამოჭრილია ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით ერთნაირი ოთკუთხა ფანჯრების გაუთავებელი ასკეტური რიგი. ფასადის სიმეტრიის ღერძზე შენობის მთელ სიმაღლეზე მინის ერთიანი სიბრტყეა, რომელსაც გამჭოლად კვეთს ხიდი. აშკარად ჩანს სტილისტური სიახლოვე ჰაი-ტექტთან. არქიტექტორი ამ ნაგებობის სივრცულ-მოცულობით კომპოზიციაში იყენებს ა. როსის ენობრივ კოდს პირდაპირი მინიშნებით, უფრო სწორედ როსის არქიტექტურული ტიპის კონცეფციას: კლასიკური თემის გამარტივებულ ინტერპრეტაციას. თუმცა გამარტივებას მივყევართ მკაცრ და ამავე დროს მთლიანის სქემატურობამდე. სახეზეა მონოტონური მონუმენტალიზმი. მსგავსი მცდელობა უკვე იყო მე-XX საუკუნის პირველ ნახევარში, სადაც ფორმალურ-სტილისტურად გაერთიანებული იყო ნეოკლასიკა და ავანგარდი (მაგ. ფომინის პროლეტარული კლასიკა, ილინის პოსტკონსტრუქტივიზმი, ასეთივე მცდელობები გამოვლინდა პერესა და ბოფილის შემოქმედებაშიც).

ვუკოლ ბერიძის ქუჩაზე (ყოფილი ცხაკაიას) ახალი ეროვნული ბანკის ფილიალის მოდერნისტული ნაგებობა ქმნის თავის ეტიკეტს. იგი კორექტურად და შეუმჩნეველად კონტექსტშია როგორც მთლიანად XIX საუკუნის ეკლექტიკურ გარემოსთან ისე მის გვერძე მდგარ ბრუტალურ, წითელი აგურით ნაშენ სამინისტროს შენობასთან. ყურადღება ეთმობა მაშტაბის, რითმის შეგრძნებას, გარე სამყაროსთან ორგანული შერწყმის გრძნობას, ასეთი არქიტექტურა ქმნის სიმშვიდის, ჰარმონიის, ვიზუალური კომფორტის შეგრძნებას.

ქ.თბილისში თავისუფლების მოედანზე აღმართული სასტუმრო ქორთიარდ მარიოტი – ჩვენი დროის ერთადერთი მონუმენტური ეკლექტიკური ნაგებობაა სადაც არქიტექტორი ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა მის ორგანულობაზე გარემოსთან. ერთის მხრივ მისი არქიტექტურული სახე, რომელიც კლასიციზმის პრინციპებზე აგებული, სტილისტურად შეესაბამება მოედნის არქიტექტურულ გარემოს, მეორეს მხრივ სასტუმროს შენობის მოცულობამ მოედნის არქიტექტურული სახე შეცვალა და ამით დაკარგა გარკვეული ღირსებები, დაბალსართულიანი განაშენიანების დროს მოედნის სივრცული კომპოზიცია მთაწმინდისა და მამადავითის ეკლესიის ერთობლიობაში წარმოდგენით ყალიბდებოდა. ამ მონუმენტური შენობის ჩადგმით სამუდამოდ ჩაიკეტა მთაწმინდის ხედი და გახდა ბარიერი მოედანსა და მთაწმინდას შირის. მოედანმა პერსპექტივაში გახსნილი მთის რელიეფის ხედის დაკარგვით ერთგვარი ყრუ სახე მიიღო. ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ რუსთაველის გამზირზე პირველი გიმნაზიის შენობის უკან აღმართული მონუმენტური საცხოვრებელი სახლი. ერთის მხრივ ამ შენობის ეკლექტიკური არქიტექტურა ლოგიკურია. იგი თითქოსდა კლასიცისტური იერის მქონე ძველი შენობის არქიტექტურულ დასრულებად გვევლინება, მაგრამ, მეორეს მხრივ სრულებით დაფარა მამადავითის სილუეტი.

ისტორიის და მემკვიდრეობითობის მიმართ პატივისცემად შეიძლება მივიჩნიოთ თავისუფლების მოედანსა და ტაბიძის ქუჩის კუთხეში აღმართული ბანკი რესპუბლიკას ნაგებობა (დეველოპერული კომპანია "რედიქსი"), რომელიც ამ ადგილზე არსებული ძველი შენობის პროტოტიბად მოგვევლინა.

იგი მისი სრული ასლია. იგივე პრინციპით აშენებულია შავთელის ქუჩაზე სასტუმრო, რომლის არქიტექტურული კომპოზიცია იმეორებს XIX საუკუნის ნახევრად ატრიუმიანი თბილისური საცხოვრებლის გეგმარებით პრინციპს.

ისტორიციზმის გამოვლენის სხვა გზაა არა ცალკეული ფორმების გამოყენება, არამედ მთელი შენობის ტრადიციული ხასიათი მაგ: ქარვასლა, რომელიც ხასიათდება უბრალო, უპრეტენზიო ფორმებით. იგი წარმოადგენს სუფთა გეომეტრიულ სტრუქტურას, რომელიც კარგად ეწერება გარემოში.

"პიაცა" ბათუმში (არქ. ვაჟა ორბელაძე) – ისტორიული მეტაფირებით სავსე მოედანი, შთამბეჭდავი და ამავე დროს სადაო. თვითონ სახელი "პიაცა" უკვე მიგვანიშნებს მის მისამართს იტალია, ვენეცია. ნოსტალგია, გახსენება თუ იტალიური სიტუაციის გადმოტანა? ავტორი ქმნის რომანტიულ დეკორაციას, ფანტაზიას ბაროკოს თემაზე. ისტორიციზმის სპეციფიური ხედვა, ტრადიციული ფორმების შეთავსება ბრჭყვიალა დეტალებთან, შუასაუკუნეების მოტივები, ნეონის განათება, პოპ-არტის ხერხები, ძვირად ღირებული დეკორატიულობა, სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა მაშტაბის ელემენტები, ეკლექტიზმი, კიტჩი რომელიც ბევრისთვის ეთიკურად მიუღებელია. თუმცა ამ იდეამ კარგად იმუშავა და ბათუმური პიაცა გახდა პოპულარული, საყვარელი ადგილი, როგორც ადგილობრივებისთვის ისე ჩამოსული სტუმრებისთვის. პიაცას მშვენებად კოშკი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ვენეციის რომანულ-გოთური წარსულის მატაფორა უნდა იყოს, მაგრამ არანაირი კავშირი არა ააქვს მასთან. იგი მხოლოდ სიმბოლური ჟესტია და არა კლასიკური არქიტექტურის აღდგენის მცდელობა. აშკარად გამოკვეთილი ისტორიული სიმბოლოები: იტალიური მოედნის (ატრიუმის) გეგმარებითი სტრუქტურა, თაღედი მოედნის გარშემო, პერსპექტივის გახსნა და კიდევ ერთი სიმბოლოს შემოყვანა "ბერძნული ტაძარი", მთავარი შესასვლელის არ გამოკვეთა, გადაწყვეტის ფრაგმენტულობა, პირდაპირი ასოციაციები და თავად ისტორიული აღდგენის ფორმა სტილის მიღმაა. ეს უფრო ვულგარული სიმბოლიზმია რადგან პირდაპირი ისტორიული ასოციაციები გამაღიზიანებელი ხდება. რთულია ამ არქიტექტურის სტილისტური განსაზღვრა. არც მოდერნიზმია, არც პოსტმოდერნიზმი და არც ტრადიციონალიზმი, თუმცა სურვილი იყოს ტრადიციული არსებობს.

განვიხილოთ სამი საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში. თვითოეულ მათგანში არქიტექტურულ მეტაფორებად ავტორები იყენებენ გასული ეპოქების ხუროთმოძღვრულ ფრაგმენტებს. ზოგან პირდაპირი ასოციაციით და ზოგან მინიშნებებით. მაგალითად ერთერთი ასოცირდება გაუდისთვის დამახასიათებელ არქიტექტურულ ფორმებთან. დეკორატიული პლასტიური დამაგრებები ან მინაშენებები სახლებზე სხვადასხვა ვარიანტებით ხდება. მასთან ერთად ფუნქციურ და ტექნიკურ ელემენტებს მინიჭებული აქვთ ირაციონალური ხასიათი, რომელიც წაღმა აყენებს "ახალი არქიტექტურის" ყველა პრინციპებს. ტიპიური სტანდარტული კარკასული საცხოვრებელი სახლები "ჩაცმულია", უფრო სწორედ კი "გამოპრანჭულია" დამკვეთის მოთხოვნით ამა თუ იმ მოდურ ტანსაცმელში. სახეზეა კლასიკური სტილების და ეროვნული ტრადიციული ფორმების აღრევა, თავისებური თამაში კლასიკით. მათგან განსხვავებით სასტუმრო შერატონის" ცათამბრჯენი არის მე-XX საუკუნის დასაწყისის ნიუ-იორკის ცათამბრჯენების ინტერპრეტაცია, თუმცა ფორმალურად რეალურად კი გიგანტური და უპროპორციოა. ზღაპრული კოშკებით მორთული სახლი ერას მოედანზე და სახლი "სახე" რუსთაველის ქუჩაზე კი უფრო "დისნეილენდის" ატრაქციონია ვიდრე უბრალოდ კლასიკა.

ქრონოლოგიურად თუ განვიხილავთ ობიექტებს ვნახავთ, რომ არქიტექტორები განსაკუთრებით დიდ ყურადრებას აქცევენ კონტექსტს გარემოსთან და მის ვიზუალურ მახასიათებლებს.

თუ კი პრინციპი ისტორიზმის დასაშვებია დგება საკითხი რა როლი ენიჭება ტრადიციულ ფორმებს თანამედროვე შენობაზე. თუ კი ძველი ფორმა ან ელემენტი გამოიყენება თანამედროვე კომპოზიციის შემადგენელი ნაწილად იგი გინდა არ გინდა ხდება მორთულობა. კლასიკური ელემენტი კარგავს თავის ნიშნობრივ აზრს, თვითმყოფადობას და იძენს საწინააღმდეგო მნიშვნელობას და ხდება სემანტიკური ნუგბარი, ან ემსგავსება თეატრალურ რეკვიზიტს. პოზიტივი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ხშირად ხდება დამკვეთის მოთხოვნითაც. კლასიკურ ტრადიციებთან დაბრუნება შეიძლება აღიქვათ, როგორც ახალი არქიტექტურული ენის გენერაციის გზა. სწორედ ამაშია ისტორიზმის არსი - არქიტექტურის გააზრება ისტორიული განვითარების უწყვეტ კავშირში.

Литература

Ч. Дженкс “Язык архитектуры постмодернизма” М. 1985

“New Classic” in the architecture of the Georgia XX-XXI century

Nino Imnadze, Maia Davitaia

In thise werk our interest is the problem of interpretation classic tradition in the architecture of the Georgia XX-XXI century. Historicity shown in the reconstrukction and restoration werks, conscious “aging” axisting buildings and etc. Historicity appears in the different forms of exspression. This may be imitation, tipoloji, stylistic and atc. transformation wich shows in logical architecturel langvije new method of understanding the traditional forms and kompozition solutions. The main principle of the historicity is stilistic free choice and freedom in creative.

Выявление особенности “Новой Классики” в архитектуре Грузии XX-XXI века

Нино Имнадзе, Маия Давитаия

Цель данной работы заключается в выявлении особеностей интерпретации классических форм, композиционных и тектонических решении в архитектурном творчестве Грузии XX-XXI века.

ქ. თბილისის "დინამო"-ს სტადიონის სისტემური ანალიზი ისტორიულ კონტექსტში

არქიტექტურის დოქტორი ***მედეა მელქაძე***
დოქტორანტი ***არჩილ ქურდიანი***
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ქ.თბილისი, კოსტავას ქ. 72.

პრეამბულა

"დინამოს" სტადიონის თემის გააქტიურება ხდება, ყოველი ახალი რეკონსტრუქციის წინა და შემდგომ პერიოდებში. რომ მოხდეს ამ თემის – პრობლემის ობიექტური გაანალიზება, ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ "დინამოს" სტადიონის ყველა ეტაპის სისტემური გაანალიზება ისტორიულ კონტექსტში ყოველი კონკრეტული ეპოქის პოლიტიკური დაკვეთის ჭრილში.

კარგად არის ცნობილი, რომ ნებისმიერი სპორტული ნაგებობისთვის ტერიტორიის შერჩევისას, გასათვალისწინებელია საპროექტო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის საქალაქო ინფრასტრუქტურის თავისებურებები და მთელი რიგი ქალაქგეგმარებითი პრობლემები: - როგორც ქუჩების გამტარუნარიანობა, პარკირება, მაყურებელთა მასების უპრობლემოდ მიყვანა და გამოყვანა სტადიონისა და მიმდებარე ტერიტორიიდან და სხვა.

ისტორიული ექსკურსი

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ განვიხილავთ თბილისის "დინამოს" სტადიონს, ყველა ეტაპზე, ისტორიულ ჭრილში, სისტემური ანალიზის მეთოდით.

როდესაც წინა საუკუნის 60-იან წლებში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, აშენებულიყო თბილისში უფრო ტევადი სტადიონი, განიხილებოდა რამდენიმე ვარიანტი: ა) არსებული "ლოკომოტივი"-ს სტადიონის რეკონსტრუქცია, ბ)თბილისის ზღვაზე და გ)თბილისის სხვა გარეუბნებში მდებარე ტერიტორიებზე.

თავიდაპირველად, 1936 წელს აშენებული "დინამო"-ს სტადიონის რეკონსტრუქცია არ განიხილებოდა, მისი მაღალ-მხატვრული არქიტექტურული იერსახისა და მის მიმართ მოსახლეობის საყოველთაო სიყვარულის გამო.

სწორედ ამ ზემოაღნიშნული ვარიანტების განხილვის პერიოდში, "ლოკომოტივი"-ს სტადიონზე მოეწყო რიგითი საფეხბურთო მატჩი. საქართველოს იმ დროინდელი ცკ-ს პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე გაემგზავრა სტადიონზე. ჩვეულებრივად მაყურებლები სტადიონზე მიდიან დიდი ხნით ადრე, უზიარებენ ერთმანეთს აზრებსა და ემოციებს. ხელისუფლების წარმომადგენლები, კი თავისი ე.წ. დაკავებულობის გამო, მიდიოდნენ მატჩზე ბოლო წუთებში. ახლაც ასე მოხდა, მაგრამ ვასილ მჟავანაძემ ვერ გაითვალისწინა სტადიონისკენ მიმავალი გულშემატკივართა ნაკადის სიდიდე და ამის გამო შექმნილი საცობი. თამაშის პირველი ტაიმი მან მოისმინა რადიოთი თავის ლიმუზინში.

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ გაამჟღავნა "ლოკომოტივი"-ს სტადიონის, არასახარბიელო ქალაქგეგმარებითი დისლოკაცია. მისი განლაგება - ჩიხურია. სტადიონის, როგორც შევსების, ისე დაცლისას გულშემატკივართა მთელი ნაკადის მოძრაობა ერთმხრივია, ანუ მთლიანი დატვირთვა მოდის ერთი ქუჩის გასწვრივ და ადგილი არ აქვს ხალხის მასის გაბნევას.

სწორედ ამ მატჩის პირველი ტაიმის მანქანაში რადიოთი მოსმენის შემდეგ, მეორე დღესვე იქნა მიღებული გადაწყვეტილება "დინამო"-ს სტადიონის რეკონსტრუქციის შესახებ.

ეს გადაწყვეტილება იმ დროისთვის აბსოლუტურად ლოგიკურად იყო მიჩნეული. იგი ეფუძნებოდა "დინამო"-ს სტადიონის ხელსაყრელ ქალაქგეგმარებით პარამეტრებს, რაც მოიაზრებოდა ქუჩების ქსელების და სტადიონის შესასვლელ-გამოსასვლელების დისლოკაციის სიმრავლეს, მაყურებელთა ნაკადის როგორც შედინების ისე გაბნევის სიმარტივეს.

<u>სტადიონის სიცოცხლის I ეტაპი – 30-იანი წლები</u>

1933 წელს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია "ქალაქის მეურნეობის შესახებ". აღინიშნა 1933 წლის ქ.თბილისის გეგმარების სქემა-პროექტის შედგენის აუცილებლობა. [1].

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე 1933-1934 წლებში ჩატარდა კონკურსი "დინამოს" სტადიონის პროექტზე. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ი.ჟიტკოვსკიმ, მ.კალაშნიკოვმა, არჩ.ქურდიანმა, ლ.მელეგიმ, გ.ტერ-მიქელოვმა. დ.ფომინმა, და სხვა. კონკურსში გაიმარჯვა არჩილ ქურდიანმა. მისი კონსულტანტი I ტურში იყო ზ.კალგინი.

თუმცა, იმის გამო, რომ არჩილ ქურდიანი გახლდათ ახალგაზრდა, მას უნდობლობა გამოუცხადეს. მთავრობაში შევიდნენ იმ დროინდელი ასაკოვანი და ცნობილი არქიტექტორები და განაცხადეს, რომ იგი ძალიან ახალგაზრდა იყო და ვერ გაუმკლავდებოდა ასეთ რთულ პრობლემას. მთავრობამ ახალი კონკურსი გამოაცხადა. სხვა არქიტექტორებს დაუკვეთეს საკონკურსო პროექტი ხოლო არჩილ ქურდიანს არა. მაგრამ მან მაინც II ტურშიც მიიღო მონაწილეობა თავისი მასწავლებლის აკვარელისტი გრინევსკის რჩევით, რომელიც დროის სიმცირის გამო დაეხმარა კიდეც ფასადების დაფერვაში. განმეორებით ჩატარებულ კონკურსზე კვლავ იმარჯვებს არჩილ ქურდიანის ახალი პროექტი.





XX საუკუნის 30-იანი წლები არჩილ ქურდიანისთვის, მისი ოჯახისათვის იყო დასაწყისი იმ დიდი ეპოპეისა, რასაც ერქვა „დინამოს" სტადიონი.

„დინამოს" სტადიონი იყო მრავალფუნქციური, იმდროისთვის, თანამედროვე ნაგებობა, რომელიც არა მარტო ვიზუალურად; ტექნოლოგიურადაც წარმოადგენდა სიახლეთა კომპლექსს, სპორტის ყველა სახეობის სპეციფიკის გათვალისწინების კუთხით.



აქ მოვიყვანთ ამონარიდს ნ.ჯაშის წიგნიდან „ქართული საბჭოთა არქიტექტურა“: „სტადიონი განლაგებულია ქალაქის მშვენიერ რაიონში, ს.ორჯონიკიძის სახელობის ცენტრალური პარკის სიახლოვეს, მთავარი შესასვლელით ტელმანის ქუჩიდან. ავტორმა ოსტატურად გამოიყენა საერთაშორისო და განსაკუთრებით ეროვნული კლასიკური მემკვიდრეობა და შექმნა რეალისტური ნაწარმოები. ავტორის წინაშე იდგა რთული ამოცანა: მცირე მიწის ნაკვეთზე (8 ჰა) აეგო უზარმაზარი სპორტული ნაგებობა. ყველაზე დიდი პრეტენზიებია იმდროინდელი ხელისუფლების მიერ იყო გამოთქმული არჩეული ადგილის მიმართ, რამაც განაპირობა სტადიონის გენგეგმის არც თუ დადებითი გადაწყვეტილება: სტადიონი ჩაჭედილია არსებულ განაშენიანებაში. ამ პრობლემის გამო მისი აღქმა სრულად ვერ ხერხდება. მაშინ, როცა თავისუფალი მოშენების შემთხვევაში, „დინამოს“ სტადიონი გახდებოდა პლეხანოვის გამზირის კომპოზიციური დომინანტი.

ომის შემდგომი თბილისის რეკონსტრუქციის გენ-გეგმა მოიაზრებს სტადიონის მიმდებარე ქუჩების საგრძნობ გაგანივრებას, მოედნისა და ფართო გამზირების შექმნას.“ [2].

საინტერესოა, თუ ნ.ჯაში როგორ აღწერს იმდროინდელი სტადიონის ტრიბუნებსქვეშა სივრცეს: „ტრიბუნების ქვეშ შექმნილი სივრცე გამოყენებულია სპორტდარბაზების, დახურული საცურაო აუზის, რესტორნის, ბუფეტის, კლუბის, ადმინისტრაციულ-მომსახურე და სხვა სათავსებისთვის. სამხრეთ-აღმოსავლეთ ტრიბუნების ქვედა სივრცეში პანდუსს მივყევართ მიწისქვეშა გასასვლელისკენ რომლითაც ფეხბურთელები გადიან მოედანზე.“ [3].





ვიზუალურ შინაარსობრივი კუთხით, არჩილ ქურდიანის პირმშო წარმოადგენდა იმ პერიოდის არქიტექტურაში ეროვნული ჰანგის გაჟღერების მაგალითს. ეროვნული სულით დამუხტული ორიგინალური კომპოზიციურ-არქიტექტურული გადაწყვეტილება ქმნიდა ერთიან ჰარმონიულ სისტემას, რომლის მხატვრულ კომპონენტს წარმოადგენდა, უხვად გამოყენებული დეკორი, ახლებურად გააზრებული - გაჟღერებული ქართული იერსახის მქონე ჩუქურთმა, ჩუქურთმა – მრავალფეროვანი, სხვა და სხვა პლასტიკით, პროპორციებით, თუ მოხატულობით.



„დინამოს“ კომპლექსის გვირგვინად, შემოქმედებითი აზრის აღმაფრენად, შეიძლება, განისაზღვროს – ტრიუმფალური თაღი, რომლის განუმეორებელი ესტეტიზმი განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია. ტრიუმფალური თაღი იყო გააზრებული, როგორც სპორტული აღლუმების დროს ხალხთა მასების სვლის სადღესასწაულო ღერძი - დიდ გამარჯვებაში შესვლის კარიბჭე. თაღის არქიტექტურა, დეკორი, იმდროინდელი საბჭოური იდეოლოგიის მატერიალიზაციის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა.







ამგვარად, ტექნოლოგიურ - კონსტრუქციულ ნოვაციასთან ერთად, სტადიონი წარმოადგენდა რა ახალი ქართული არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშს, უპრეცენდენტო იყო თავისი მასშტაბით რეგიონში და საუკეთესო იმ დროის საბჭოურ სივრცეში.

რადგანაც საბჭოეთში დირექტივებით ხდებოდა მოვლენების მართვა, მათ შორის არქიტექტურის კორექტირებაც სტადიონი, მოსკოვის მოთხოვნით 10 ათასიანი უნდა ყოფილიყო, (სტადიონის მშენებლობას მოსკოვიდან “დინამოს” საბჭო აფინანსებდა) თბილისში კი 15 ათასიანს ითხოვდნენ. არჩილ ქურდიანმა რაოდენობა 23 ათასამდე გაზარდა. რაც იმ დროისთვის გმირობის ტოლფასი იყო. 1956 წელს კი მისი ავტორობითვე, მოხდა სტადიონის რეკონსტრუქცია, დაემატა ლითონის კონსტრუქციები და მაყურებელთა რაოდენობა გაიზარდა 23000-დან 36000-მდე.

<u>სტადიონის სიცოცხლის II ეტაპი – 60-70-იანი წლები</u>

სტატიის დასაწყისში ჩვენ გავიხსენეთ ის ისტორიული ეპიზოდი, რამაც განაპირობა “დინამოს” სტადიონის არსებობის II ეტაპი. მჟავანაძის პოლიტიკური ნებით, სავალალოდ გადაწყდა “დინამოს” სტადიონის რეკონსტრუქცია.

60-იან წლებში სტადიონის ტევადობა აღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, მაგრამ იმ პერიოდში აკრძალული იყო სპორტული ნაგებობების აშენება. თბილისის “დინამოს” სტადიონს რეკონსტუქციის უფლება მიეცა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით დასწრების მხრივ სტადიონი კონკურსგარეშე იყო. 1976 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ “იუნესკოს” ცნობით “დინამო”-ს სტადიონმა პირველი ადგილი აიღო ევროპაში დასწრების მხრივ.

აქ უნდა ავღნიშნოთ გია და არჩილ ქურდიანების ინოვაცია “ხედვის მრუდის” პრობლემასთან დაკავშირებით.

თბილისის “დინამო”-ს სტადიონზე, საბჭოთა კავშირში პირველად, 60-იან წლებში, იყო გამოყენებული ინდივიდუალური ხედვის მრუდე. ავტორები

არ დაემორჩილენ მსოფლიოში მიღებულ სტანდარტს, გარისკეს, და ააგეს თავისებური ხედვის მრუდე. იმის გათვალისწინებით, რომ იმ პერიოდში არ არსებობდა კომპიუტერი, ავტორებმა იატაკზე, ქაღალდის უზარმაზარ ფურცელზე, 1:10 მასშტაბში ხელით ააგეს ეს ხაზი. მისი სიახლე იყო ის, რომ ხაზი არ იყო სწორი. იგი იყო ზემოთკენ უფრო მომრგვალებულად დაქანებული.

ამან მისცა საშუალება მაყურებელს, რომ ტრიბუნის ნებისმიერი წერტილიდან ჰქონოდა მოედნის შეუფერხებლად აღქმის საშუალება. მაგრამ ამან თავის მხრივ გაართულა კიბის მოწყობა, და ნორმების მიხედვით გამოიწვია მოაჯირების გაკეთება.

თანამედროვე სპორტული არენების პროექტირებისას ამ ნიუანსების გათვალისწინება უკვე აუცილებელია რადგან მოედანზე მოძრავი ობიექტების კომფორტული აღქმადობის ზღვარის შენარჩუნებაა საჭირო.







ამის დასაანგარიშებლად კი არსებობს სპეციალური ფორმულა, რომლის მეშვეობით დადგინდა მაყურებლის მოედნიდან მაქსიმალური დაშორება, ჰოკეიში შაიბის ზომისას დ=8 სმ
– მხოლოდ 70 მეტრი; ტენისში ბურთი დ=6.5 სმ ბურთისას – 56 მეტრი, და ფეხბურთში 22 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე საფეხბურთო ბურთისას – 190 მეტრი.

უფრო დიდ მანძილზე მოძრავი ობიექტის აღქმა ძალიან რთულდება. მაყურებლის ასეთი დაძაბულობა და არაკომფორტულობა იწვევს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას. ხშირ შემთხვევაში აგრესიულობას, მაგრამ ეს უკვე ცალკე განხილვის თემაა და ამ საკითხზე შემდგომ იქნება საუბარი.

ისევ დავუბრუნდეთ, 60-იანი წლებს - როგორც წინა პერიოდში, ამ ეპოქაშიც მოსკოვიდან იმართებოდა სტადიონის მშენებლობის პროცესი. მშენებლობის დროს მოსკოვიდან ჩამოსულმა კომისიამ უკვე დაპროექტებული და ნაწილობრივ აშენებული სტადიონის ტევადობის 100 ათასიდან 75 ათასამდე შემცირება მოითხოვა. აშენებული კონსტრუქციები მოიჭრა. პირვანდელ პროექტში გათვალისწინებული იყო მაყურებელთა მასების მოძრაობა პანდუსებით, ყოველგვარი საფეხურების გარეშე, მაგრამ ავტორებს მოუხდათ ამაზეც უარის თქმა. ასევე აეკრძალათ ეროვნული არქიტექტურული ელემენტები, მათ შორის დიდი თაღედიც. იძულებული გახდნენ მიეღოთ ძალიან მძიმე გადაწყვეტილება და დაენგრიათ ძველი სტადიონი, რომელიც პირვანდელი პროექტის თანახმად ნარჩუნდებოდა ახლის ინტერიერში.

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ ძველი "დინამოს" სტადიონის იძულებითი დანგრევა, ეს იყო არჩილ ქურდიანის ოჯახის შემოქმედებითი ტრაგედია.

მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავათ, ავტორებმა არჩილ და გია ქურდიანებმა, ინჟინერ კონსტრუქტორმა შალვა გაზაშვილმა, ამჯერადაც, მიაღწიეს დიდ გამარჯვებას და 1976 წლის 26 სექტემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახლად რეკონსტრუირებული "დინამოს" სტადიონი, დიდი

ფეხბურთისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის კომპლექსი – სტადიონი, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ავტორებმა მაინც მოახერხეს 1936 წლის სტადიონის შენობის ნაწილობრივი შენარჩუნება, და ამავე დროს დაპროექტდა უახლესი არქიტექტურულ – კონსტრუქციული ნაგებობა, რაც წარმოადგენს 58 პილონზე დაყრდნობილ კონსოლურ სისტემას. თითოეული პილონი ეყრდნობოდა 24 ხიმინჯს, რომელთა სიღრმე მერყეობდა 8-დან 12 მეტრამდე. კონსოლური სისტემა შედგებოდა რამდენიმე ნაწილისაგან: ა)გადახურვა, ბ)II იარუსის ტრიბუნა და გ)საევაკუაციო აივანი. 30-მეტრიანი კონსოლური გადახურვა იცავდა მეორე იარუსის მაყურებელს მზისგან და ატმოსფერული ნალექისაგან.




სტადიონზე ასევე დამონტაჟდა ორი ტაბლო, სამთავრობო და საკომენტატორო ლოჟები, სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი, დირექციისა და სხვა ადმინისტრაციული დანიშნულების სათავსოები.

"უეფას" პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა 1984 წელს გაამხილა რომ არ სჯეროდა სტადიონის ზეაღმატებული ქებისა, სანამ თავისი თვალით არ ნახა.

<u>სტადიონის სიცოცხლის III ეტაპი – 2000-იანი წლები</u>

2006 წლის აპრილში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება – ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია – რეაბილიტაციისა და უეფა–ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო იმ ვარაუდით, რომ 2006 წლის 2 სექტემბერს ჩატარებულიყო საერთაშორისო მატჩი.

დამპროექტებლებსა და მშენებლების წინაშე იყო დასმული არნახული ამოცანა თავისი მოცულობითა და ვადებით. სასწრაფოდ შეიქმნა მუშა ჯგუფი. შესწავლილ იქნა ყველა კონსტრუქციული კვანძი თუ დეტალი. შემუშავებულ იქნა დაზიანებული კვანძებისა, თუ ხშირ შემთხვევაში მთელი კონსტრუქციული ელემენტების გაძლიერების, გამაგრებისა, გაჯანსაღების სტრატეგია.



ყოველივე ეს მიდიოდა პროექტირებასთან პარალელურ რეჟიმში: არსებულის გადაგეგმარება და ახლის დაგეგმარება, უეფა-ს გამკაცრებული სტანდარტების თანახმად.

კერძოთ, დიდი ყურადღება დაეთმო პრესისა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის მოსაწყობ ფართს. დაპროექტდა საკომენტატოროები. ღია მაგრამ გადახურულ ტრიბუნაზე დაპროექტდა ადგილები პრესისთვის, რომელნიც იქნა უზრუნველყოფილი მაგიდებით, ელგაყვანილობითა და საკომუნიკაციო ქსელით.

დაპროექტდა საკონფერენციო დარბაზი 180 ადგილზე; პრესისთვის სამუშაო ოთახები, ბუფეტი, სანკვანძი.

პრეზიდენტისა და სამთავრობო ლოჟების გარდა დაპროექტდა 52 - VI - ლოჟა და ბიზნეს – კაფე.

მოხდა პირველი იარუსის აღმოსავლეთ და დასავლეთ ტრიბუნების გადაგეგმარება, რამაც შეჰქმნა მაღალი კომფორტულობის VI ადგილების მოწყობის შესაძლებლობა. შეიქმნა ინვალიდებისათვის ადრე არ არსებული, კომფორტული ადგილები თავისი სანკვანძებით.

გადაგეგმარდა უეფა-ს მოთხოვნების შესაბამისად, მასპინძელ და სტუმარ გუნდების გასახდელები, დოპინგ კონტროლისა და სამედიცინო ცენტრები, ქალებისა და მამაკაც მსაჯების გასახდელები, საუნა. დაპროექტებულ იქნა სპორტული დიდების მუზეუმი, ოფისი, დამხმარე დანიშნულების სათავსები და შენობა-ნაგებობები.

დასკვნა

სტატიაში ჩვენ შევეცადეთ, ისტორიულ კონტექსტში, ეპოქის რეალიების სპეციფიკის პრიზმაში დაგვენახა და გაგვეანალიზებინა "დინამო"-ს სტადიონის არსებობისა, და არ შეგვეშინდება ვთქვათ ცხოვრების ყველა ეტაპი დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენებით. ამ წიგნის ფურცლების თანმიმდევრობით გადაშლამ, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ არ შეიძლება კატეგორიული მსჯელობა, განსაკუთრებით იქ სადაც არის შემოქმედება და მით უფრო, თუ არ განისაზღვრა როდის, რატომ და როგორ იქმნებოდა ესა თუ ის ნაწარმოები.

ლიტერატურა

1. **[1] Н. Джаши.** «Грузинская советская архитектура». *Изд. «Заря Востока», Тбилиси 1956 год.Ст. 29.*
2. **[2] Н. Джаши.** «Грузинская советская архитектура». *Изд. «Заря Востока», Тбилиси 1956 год.Ст. 34.*
3. **[3] Н. Джаши.** «Грузинская советская архитектура». *Изд. «Заря Востока», Тбилиси 1956 год.Ст. 35.*
4. http://www.dinamoarena.ge/

System Analysis of the Tbilisi "Dynamo" stadium in a historic context

M. Melkadze, A. Kurdiani

In this article we tried to give a system analysis of the Tbilisi Dinamo stadium in a historic context. Such an approach gave us an opportunity to weigh all pros and cons of all processes in the context of historic events that were concomitant to, or in certain cases conditioned special-architectural solutions of the 30-s, 60-s and 70-s of the XX-th century with regard to the Tbilisi "Dynamo" stadium.

Системный анализ Тбилисского стадиона «ДИНАМО» в Историческом контексте

М. Мелкадзе, А. Курдиани

В данной статье мы попытались сделать системный анализ стадиона «ДИНАМО» в городе Тбилиси в историческом контексте. Этот метод нам дал возможность просмотреть в русле исторических событий все за и против тех процессов, которые сопутствовали и, нередко, резко определяли те или иные пространственно-архитектурные решения 30-ых, 60-ых и 70-ых годов XX-го века в отношении стадиона «ДИНАМО» в городе Тбилиси.

ზემო სვანეთის მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის განვითარების უზრუნველმყოფი საკომუნიკაციო სისტემები

მ. სუხიტაშვილი, გ. ბერიძე
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

ზემო სვანეთის მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის, ისევე როგორც ზოგადად ტურისტული ინდუსტრიის განვითარების უმთავრეს წინაპირობას სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა და მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდა წარმოადგენს. ტურიზმის მომავალი მთლიანად ტრანსპორტის კომფორტულ მომსახურებაზე, უსაფრთხოებასა და სიჩქარეზეა დამოკიდებული, რაც განსაკუთრებით ხელშესახები მაღალმთიანი რაიონების სპეციფიურ პირობებში ვლინდება.

არახელსაყრელმა ეკონომიურ-გეოგრაფიულმა, კერძოდ, სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა რაიონის განვითარება და ერთერთი მიზეზია იმისა, რომ სვანეთის ბუნებრივ–ეკონომიური რესურსები აქამდე არასაკმარისად არის გამოვლენილი და ათვისებული.

უგზოობის შედეგად სვანეთი წლის უმეტეს პერიოდში მნიშვნელოვან წილად წყდება გარე სამყაროს. რთული სამთო კლიმატურ-გეოლოგიური გარემო,. სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირე, მათი დამუშავების ძნელი პირობები, ტრანსპორტის მაგისტრალური სახის – რკინიგზის უქონლობასთან ერთად მნიშვნელოვნად აფერხებს ზემო სვანეთის სამეურნეო განვითარებას.

სვანეთის ამჟამინდელმა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურამ იმისათვის, რომ ტურისტული ინდუსტრიის განვითარების აუცილებელ მოთხოვნებსა და ახალ გამოწვევებს უპასუხოს, სერიოზული სახეცვლილებები უნდა განიცადოს. ტრანსპორტმა პირველხარისხოვანი როლი უნდა შეასრულოს მთიანი ტერტორიების ბუნებრივი პირობებისა და არსებული რესურსების უკეთ გამოყენებაში.

თუმცა ისეც აღსანიშნავია, რომ ზემო სვანეთის ტურისტული ინდუსტრიის განვითარება მხოლოდ და მხოლოდ ამ ინდუსტრიის უმთავრესი ეკონომიკური ღირებულების – ხელუხლებელი და ნაკლებად სახეშეცვლილი ბუნებრივი გარემოს მაქსიმალურად შენარჩუნების გზით არის შესაძლებელი და ეკოლოგიის, უსაფრთხოების და კომფორტის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

ნაშრომი მიზნად ისახავს აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო არსებული და განსავითარებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შეფასებასა და კლასიფიკაციას; ცალკეული სახეობების დანიშნულების, მნიშვნელობისა და მდგომარეობის წარმოდგენას.

ზემო სვანეთის მასობრივი დასვენების და ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი ჩამონათვალი მოიცავს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (რკინიგზის გამოკლებით) მნიშვნელოვან სპექტრს, საიდანაც თავის მხრივ შეიძლება გამოვყოთ: ჯგუფი რომელიც ობიექტზე ტურისტის მიყვანის საშუალებას წარმოადგენს (ავიახაზები; მაგისტრალური და შიდა მოხმარების გზები; საბაგირო გზები;) და ჯგუფი, რომელიც საკომუნიკაციო ფუნქციასთან ერთად ამავდროულად თავადაც წარმოადგენს ტურისტულ ობიექტს: („ჯიპის“ ტრასები; ველოსიპედის ტრასები; სათხილამურო ტრასები; მთასვლელთა მარშრუტები; საცხენოსნო და ფეხით მოსიარულეთა ტურის-

ტული ბილიკები და გზები, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმავალი მარშრუტები.)

ავიახაზები; რთული საგზაო პირობების გამო მესტიის მიმართულებით მგზავრობის ერთ-ერთი პოპულარულ სახეობას საჰაერო ტრანსპორტი წარმოადგენდა. მესტიის აეროდრომი ყოველდღიურად მგზავრთა სიხშირიდან და მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე **AH-2 ტიპის თვითმფრინავით** ქუთაისიდან 10-მდე რეისის, ზუგდიდიდან - 3-4 რეისის, ხოლო სოხუმიდან და თბილისიდან - 1-2 რეისის მიღებას ახერხებდა; თუმცა უნდა ითქვას, რომ აეროდრომის, თვითმფრინავის და სანავიგაციო აღჭურვილობის მწირი შესაძლებლობები არ იძლეოდა კლიმატური და მეტეოროლოგიური ბარიერების დაძლევის და მგზავრთა რეალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. დიდი რიგები, ხანგრძლივი ცდა და გადადებული რეისები ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა.

ამჟამად მესტიაში მიმდინარეობს აეროდრომის რეაბილიტაცია. საპროექტო სამუშაოები ქართველ სპეციალისტებთან ერთად ამერიკულ-ბულგარულმა კომპანია **ATM Project and Solutions**-მა განახორციელა.

მესტიის ახალი აეროდრომი, რომლის საფრენი ზოლი 1200 მეტრი სიგრძისაა, თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს და სანავიგაციო სისტემის უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით არის აღჭურვილი. აეროპორტი ერთდროულად რამდენიმე მსუბუქი თვითმფრინავის და ვერტმფრენის მიღებას შეძლებს და სამოქალაქო ავიაციასთან ერთად სასაზღვრო პოლიციის ავიაციასაც მოემსახურება.

აეროპორტის რეკონსტრუქციის შემდეგ მესტიაში საჰაერო მიმოსვლა თბილისიდან ერთ საათს არ გადააცილებს, ხოლო ფოთიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან დაახლოებით 30 წუთი გაგრძელდება. რაც შეეხება ზემო სვანეთის შიდა ავიახაზებს, იგი მთლიანად ვერტმფრენის სპეციალიზირებული საჰაერო ქსელით და შესაბამისი ვერტროდრომებით იქნება უზრუნველყოფილი.

ავიახაზების ამოქმედება მნიშვნელოვნად გაზრდის ზემო სვანეთში ჩამომსვლელი ტურისტების რაოდენობას.

მაგისტრალური გზები; ზემო სვანეთის სატრანსპორტო კავშირები ამჟამად საკმაოდ შეზღუდულია. კოდორის, სვანეთის და კავკასიონის ქედებს შორის მოქცეული ზემო სვანეთი უშუალო სატრანსპორტო კავშირებს სახმელეთო კომუნიკაციით მხოლოდ სამხრეთ მიმართულებით ამყა-

რებს: სამეგრელოსთან. --- **ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის** საავტომობილო გზით და ქვემო სვანეთთან, უშგული-აილამა-ლენტეხის გრუნტის გადასასვლელით, შემდეგ რაჭასა და იმერეთთან –– **ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის** საავტომობილო გზით.

ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის ფუნქციონალური პოტენციის, მოძრაობის უსაფრთხოების პირობების და სრული დატვირთვით გამოყენების მიზნით 2010 წლიდან გზა შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და ზედა სვანეთს, დაბა მესტიასა და მესტიის რაიონის სოფლებს ზუგდიდის რაიონთან და თბილისი – სენაკი – ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალთან აკავშირებს. გზის სრული რეაბილიტაციის შედეგად მანქანით მგზავრობა თბილისიდან მესტიამდე 11-დან 8 საათამდე შემცირდება, ხოლო მგზავრობას მესტიამდე ზუგდიდიდან – 3,0 საათი, ანკლიიდან – 3,5 საათი, ფოთიდან კი 4 საათი დასჭირდება.

მხოლოდ პრობლემების კომპლექსურად გადაჭრის შემთხვევაში, სადაც ამავდროულად პრიორიტეტულია **ხელუხლებელი და ნაკლებად სახეშეცვლილი ბუნებრივი გარემოს მაქსიმალურად შენარჩუნება** – სრულად იქნება გამოყენებული ზემო სვანეთის როგორც, ლოკალური სოციალურ-ეკონომიკური, ასევე მთელი საქართველოსათვის ძალზედ მნიშვნელოვანი ტურისტული სექტორის პოტენციალი.

ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის საპროექტო დავალების თანახმად მიღებულია გზის შემდეგი ძირითადი ტექნიკური პარამეტრები:

- გზის კატეგორია IV
- მიწის ვაკისის სიგანე 8.0 მ
- სავალი ნაწილის სიგანე 6.0 მ
- გვერდულების სიგანე 1.0 მ
- საგზაო სამოსის ტიპი კაპიტალური

დაკვალვის მინიმალური რადიუსი ძირითადად 30 მ-ის ტოლია. ცალკეულ შემთხვევებში; კერძოდ ვიწრო, ღრმა ხევებში გამოყენებულია 11-20მ სიდიდის რადიუსები.

საყურადღებოა აგრეთვე პროექტის ფარგლებში წარმოდგენილ პროგნოზის მაჩვენებლები:

ცხრილი 1. სამგზავრო ტრანსპორტის ინტენსიობის პროგნოზი (ავტომობილი/დღეღამეში ორივე მიმართულებით)

წლები	ხაიშის მონაკვეთი		
	მსუბუქი ავტომობ.	მინი ავტობ.	დიდი ავტობ.
2009	618	128	11
2015	1351	89	21,6

ცხრილი 2. ხაიშის უბანი: ჯამური სატვირთო გადაზიდვები (ავტომობილი/დღეღამეში ორივე მიმართულებით)

წლები	მცირე სატვირთო	საშუალო სატვირთო	დიდი სატვირთო	გადაბმული	ჯამური
2009	19	19	18	1,6	57,6
2015	12,4	18	15	5	50,4

გარე ტრანსპორტის მაჩვენებლები და სახეობები დაანგარიშებულია 1988 წელს **ზემო სვანეთში** ჩასულთა მაქსიმალური (პიკური) თვიური რაოდენობის – 20000 ადამიანის ოდენობით – რომელშიც შედიოდა ადგილობრივი მოსახლეობა, დამსვენებლები, მივლინებულები და სხვა. მაქსიმალურ სადღეღამისო დატვირთვად მიიღებოდა 1500 კაცი, რომლებიც ნაწილდებოდნენ გარე ტრანსპორტის სახეობების მიხედვით შემდეგნაირად:

- თვითმფრინავი – 450 კაცი (15 რეისი);
- ავტობუსით – 80 კაცი (4 ავტობუსი);
- მინიავტობუსი – 500 კაცი (48 მინიავტობუსი);
- მსუბუქი ავტომანქანით – 470 კაცი (235 ავტომანქანა).

გაანგარიშების თანახმად, პერსპექტივაში, 2015 წელს, ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: პიკური თვიური დატვირთვა – 50000 კაცი; დღეღამეში ჩამოსულთა მაქსიმალური რაოდენობა –2500 კაცი, მათ შორის:

- თვითმფრინავი და ვერტმფრენი –900 კაცი (20 + 10 რეისი);
- ავტობუსით – 220 კაცი (11 .ავტობუსი);
- მინიავტობუსით – 400 კაცი (40 მინიავტობუსი);
- მსუბუქი ავტომანქანით – 920 კაცი (490 ავტომანქანა).

საბაგირო გზები და სათხილამურო ტრასები;

სამთოკლიმატური ტურისტული ზონების განვითარებისათვის, მათი გამართული ფუნქციონირებისათვის საბაგირო გზები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთერთ ძირითად სახეობას წარმოადგენენ.

საბაგირო გზა ტრანსპორტის ერთადერთი საშუალებაა, რომელიც მიწის ზედაპირის სიახლოვეს, ვერტიკალურ სიბრტყეში, 45 და მეტი ქანობის გადალახვის საშუალებას იძლევა.

ზემო სვანეთში საბაგირო გზა 70-იანი წლებიდან ფუნქციონირებდა; პოსტსაბჭოთა პერიოდში საბაგირო გზა უყურადღებობისა და მოუვლელობის გამო გაპარტახდა; არ ხორციელდებოდა მომსახურეობა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცნობით, მესტიის სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარების გეგმისა და კონცეფციის შექმნაზე მუშაობს ავსტრიული კომპანია "Austrian alpine kompetens". ისინი აგეგმარებენ მესტიის სათხილამურო ტრასებსა და საბაგიროებს. მათთან ერთად მესტიაში ჩამოსული იყო შვეიცარულ-ბელგიური ბიზნეს-ჯგუფიც, რომლებიც ამ რეგიონში ინვესტიციების განხორციელებას გეგმავენ.

ზემო სვანეთის მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მესტიის საბაგირო გზის რეაბილიტაცია.

2010 წლის ბოლოს აღდგება საბაგირო გზა და შესაბამისი ტრასა. მათთან ერთად დაგეგმილია 2 ახალი საბაგირო გზის მშენებლობა. აშენდება აგრეთვე რვა კილომეტრიანი საბაგირე გზა სამი განშტოებით. მთლიანად მომავალში 40-50 საბაგირე გზის მშენებლობაა დაგეგმილი.

მძლავრი ტურისტული ინდუსტრიის სამთოკლიმატურ კურორტებზე საბაგირო გზების გამოყენების მრავალმხრივ დანიშნულებათა შორის უმთავრესია ურთიერთკავშირი სათხილამურო ტრასებთან. საშუალოდ მსოფლიოში ერთ სათხილამურო კომპლექსზე 6-7 მექანიკური საბაგირო ამწე მოდის.

საბაგირო გზებისა და სათხილაურო ტრასების სწორი განთავსება მთიანი მასივების ფერდობებზე და სხვა ელემანტებთან სამთო-სათხილამურო ცენტრების რენტაბელურობისა და მდგრადობის საფუძველს წარმოადგენს.

უნდა ითქვას, რომ ტრასების უმთავრესი მომხმარებელი საშუალო სირთულის ტრასებზე მოდის: ევროპული გამოცდილებით 30% დახრის სათხილამურო ტრასის საბაგიროები ბევრად უფრო ანაზღაურებადია, ვიდრე დიდი დაქანების მქონე ტრასების მომსახურე საბაგიროები.

24% მოთხილამურეები სრიალებენ ტრასებზე საშუალო დახრით 15%.

64% მოთხილამურეები–ტრასებზე საშუალო დახრით 15-დან-–30%-მდე.

9% მოთხილამურეები–ტრასებზე საშუალო დახრით 30-დან-– 35% -მდე.

3% მოთხილამურეები–ტრასებზე საშუალო დახრით >35%.

საცხენოსნო და ფეხით მოსიარულეთა ტურისტული ბილიკები;

ზემო სვანეთში პირველი სამანქანო გზა ზუგდიდიდან მესტიამდე 1934 წელს გაიჭრა, მანამდე მხოლოდ საურმე, საფეხოსნო და საცხენოსნო ბილიკები არსებობდა. მათ შორის ცალკე ჯგუფად უნდა განვიხილოთ ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციაში გადამავალი, ოცამდე სხვადასხვა სირთულის ისტორიული უღელტეხილი, რომელთა სიმაღლე 3160 მ-დან 3860 მ-მდე მერყეობს. აღნიშნული გზები ამჟამად უმეტესად ტურისტული მიზნით გამოიყენება. ზოგიერთი მათგანე საპალნე ტრანსპორტისთვისაა განკუთვნილი, უმრავლესობა – ქვეითად მოსიარულეთათვის, ზოგი კი მხოლოდ ალპინისტებისათვისაა მისაწვდომი.

ზემო სვანეთის მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის განვითარების კონცეფციის ერთერთი მნიშვნელოვანი მიზანია არსებული სამეურნეო ბილიკების ტურისტული თვალსაზრისით გამოყენება და მოწყობა, რათა სხვადასხვა ინტერესებისა და შესაძლებლობების მქონე ტურისტებს მიეცეთ საშუალება შეარჩიონ მათთვის საინტერესო მარშრუტები და შემდეგ გამყოლის თანხლებით ან დამოუკიდებლად, სამარშრუტო ცნობარის საშუალებით, ჯგუფის შემადგენლობაში ან მარტო, გაიარონ არჩეული ბილიკის მარშრუტი; იხილონ ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტები, მიიღონ ესთეტიკური სიამოვნება, საინტერესო ინფორმაცია.

მარშრუტები, საცხენოსნოს გარდა, ერთდღიანი და რადიალურია, ანუ ტურისტი ერთი და იგივე გზით მიდის და ბრუნდება. ტურისტისათვის წრიული მარშრუტი ბევრად საინტერესოა, რადგან მას მუდამ სურს ახალ-ახალი გარემოს ხილვა. თუმცა, წრიული მარშრუტის მოსაწყობად სათანადო ინფრასტრუქტურა, კერძოდ, თავშესაფრებია მოსაწყობი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მრავალდღიანი და მრავალფეროვანი მარშრუტების ათვისების შესაძლებლობას. სვანეთს სამთო-ტურისტული მარშრუტების ამოუწურავი მარაგი გააჩნია და ამდენად მარშრუტების გაკვალვაც ასევე ამოუწურავი პროცესია.

სამარშრუტო ტურისტული ადგილები:

ტბები	ქორულდის, მეზირი (ტვებიში)
მღვიმე	ზარგაში (მესტია) , შგედი ბუდებრივი გამოქვაბული.
საპიკნიკე	მესტიაში: კახური, ჰაწვალი, ღვირის უღელტეხილი, იფარი, კალის ხეობა.
საჯომარდო	მესტია ჭალა, ბეჩო(შიხის ჭალა), ნაკრა(ზედა წელში) უშგული
სათევზაო	ჭუბერი, ლახამულა, იფარი (ადიშურა)
საცხენოსნო ტურიზმი	მესტიიდან- ჟაბეში-ადიში-იფრალი-უშგული. (5 დღიანი ტური 1 ცხენი 20 ლარი) გამყოლი 40-50 ლარი)

მჟავე წყლების ადგილები	უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტიაში 7, ლენჯერი, ცხუმარი, ეცერი.
ბუნების ძეგლები	მდ. ადიშურას სათავეებში ადიშის ყინულვარდნილი,
სალაშქრო ხეობები	მდ. ღალდე-ჭალადის აუზის ზემოწელში„ფერხულის ქვის"ლოდი.
სალაშქრო	თვიბერი-ჟაბეში, ჭალაადი-მესტია, უშგული-შხარის მყინვარი, ზურულდი-მესტია, მაზერი-ტვებიში, უშბის მყინვარი.
ხეობები	ყველგან
კარვის ადგილები	დიზში, მაზერში–შდუგვრა
გადმოსახედი ადგილები	მესტიაში, ზურულდი, ჰაწვალი, გვალდი, ცხაკვზაგარ, ხეშკილდი.

თანდართულ რუკაზე წარმოდგენილია მეტად საინტერესო, უკვე მომქმედი, სათანადოდ დაკვალული სამი ქვეითი და ორი საცხენოსნო მარშრუტი და აღწერილობას.

„ჯიპის" ტრასები:

ზემო სვანეთის გზებს შორის არც თუ ისე ცოტაა გზები, სადაც ასფალტის საფარი ჯარაც არ გამოუყენებიათ. სასურველია გრუნტის გზების შენარჩუნება, რათა აღნიშნული გზები, სხვა, სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილ გრუნტის გზებთან ერთად "ჯიპტურების" მოსაწყობად იქნას გამოყენებული.

"ჯიპტური" ძნელად მისადგომ ღირშესანიშნავ ადგილებში ტურისტული ლაშქრობის მოწყობის მშვენიერ შესაძლებლობას წარმოადგენს.

იმის მიხედვით თუ პირადი მონაწილეობის რა სახით ერთვება ტურისტი მარშრუტში, შესაძლებელია ჯიპტურის სამ კატეგორიად დაყოფა: ტურისტი თვითონ მართავს ჯიპს; ტურისტს მართვის დროს თან ახლავს გიდ-ინსტრუქტორი; ჯიპს მართავს გიდ-ინსტრუქტორი.

ჯიპტურის ტრასებს აგრეთვე ყოფენ სირთულის მიხედვითაც:

- ადვილი და საშუალო სირთულის ტრასებს განეკუთვებიან მყარსაფარიანი გრუნტის გზები, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე სახის ძნელად გადასალახავი წინაღობები. ასეთი სახის ტრასები როგორც წესი შეძლებისდაგვარად განკუთვნილია ბუნების თუ კულტურის ძეგლებთან მისასვლელად;
- მაღალი სირთულის ტრასები სპეციალურად ეწყობა და გამოიყენება ექსტრემალური სპორტის სამოყვარულო ან პროფესიული შეჯიბრებებისათვის; ყველანაირი **off-road** მოწყობილობების მოხმარებისა და გამოყენების სწავლებისათვის და სხვა.

ჯიპტურიზმი შესანიშნავი საშუალებაა საფეხმავლო ტურიზმსათვის, მოუმზადებელ ან ტურისტთა ხანდაზმულ კონტიგენტს შეუქმნას პირობები ძნელად მისადგომი ღირშესანიშნაობები გაფართოებული მოცულობით და უშუალო სიახლოვეს იხილონ;

ჯიპტურიზმს გააჩნია რიგი უტყუარი უპირატესობები და შესაძლებლობა – იმოგზაურო მცირე კომპანიით; გაზარდო საექსკურსიო პროგრამის მოცულობა; თავიდან აიცილო მომქანცველი ფიზიკური დატვირთვები და აუცილებლობა ატარო მძიმე სამგზავრო ტვირთები;.

ჯიპტურიზმი მოითხოვს აგრეთვე უსაფრთხოებისა და შესაბამისი ტექნიკური მომსახურების ქსელის მოწყობას, ხელს უწყობს მომსახურების და შესაბამისად სამეურნეო სფეროს განვითარებას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ ჯიპტურიზმი გარკვეულწილად ეხმაურება ზემო სვანეთის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პროგრამულ მოთხოვნას – მაქსიმალურად შეინარჩუნოს ხელუხლებელი და ნაკლებად სახეშეცვლილი ბუნებრივი გარემო.

ველოსიპედის ტრასები;

განუხრელად მატულობს ველოტურიზის პოპულარობა მთელს მსოფლიოში. ველოტურისათვის ყველანაირი გზები, მათ შორის ბილიკებიც კი გამოსადეგია.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ ველოტურიზმი გარკვეულწილად ეხმაურება ზემო სვანეთის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პროგრამულ მოთხოვნას – მაქსიმალურად შეინარჩუნოს ხელუხლებელი და ნაკლებად სახეშეცვლილი ბუნებრივი გარემო.

მთასვლელთა მარშრუტები

საქართველოში პროფესიონალური, სპორტული ალპინიზმის დაწყების თარიღად 1923 წელს თვლიან, 1923 წელს პროფ. გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით პირველად საბჭოთა კავშირის სივრცეში დაიწყო მასობრივი ალპინისტური და სამთო-ტურისტული მოძრაობა.

ალპური ბანაკები

შექმნილია საქართველოს ეროვნული ფედერაცია რომელიც აწყობს შეჯიბრებს და მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ასვლებში და კლდეზე ცოცვაში.

სამი არსებული ალპური ბანაკი.



ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. გ. ბერიძე საქართველოს კურორტებისა და ტურიზმის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრინციპები (სამეცნიერო-საპროექტო სამუშაოების მეთოდოლოგია) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; თბილისი 2010
2. ხომერიკი გ., ტურიზმი სახელმძღვანელო ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისათვის თბ.,"ტექნიკური უნივერსიტეტი". 2009
3. http://www.mestia.ge/index.html#
4. http://www.svanetitrekking.ge/
5. http://ka.wikibooks.org

The Communication Systems Providing Development of Massive Recreation and Tourism in the Upper Svaneti

Doctoral Candidate - Manana Sukhitashvili
Doctor of Architecture G. Beridze

The purpose of the article, taking into account the given conditions, is the estimation and classification of existing and developing transport infrastructure, which is necessary for the development of massive recreation and tourism. It also aims to represent the main function, importance, and condition of some varieties.

The necessary list for the development of massive recreation and tourism in the Upper Svaneti includes significant spectrum of the transport infrastructure, except of the railway, from which we should focus on:

1. The group, which provides delivery of tourists on the place:
   - Airlines;
   - Main roads for the internal usage;
   - Rope-ways;
2. The group, which along with the communicative function, also represents the tourist object itself;
   - Routes for "Jeeps";
   - Routes for bicycles;
   - Ski pistes;
   - Routes for climbers;
   - Tourist paths and ways for horse-riding and pedestrian travel;
   - Including, routes towards the monume

Коммуникационные системы, обеспечивающие развитие массового отдыха и туризма в Верхней Сванетий.

Докторант - Манана Сухиташвили
Доктор архитектуры профессор Г, Беридзе

Цель статьи оценка роли коммуникационных систем, обеспечивающих градостроительное развитие массового отдыха и туризма, оценка и классификация объектов транспортной инфраструктуры. Для градостроительного развития транспортной инфраструктуры массового отдыха и туризма на территорий Верхней Сванетий, роль коммуникационных систем можно разделить на две группы:

1. группа, в которая, обеспечивает доставку визиторов к объекту отдыха:
   - Авиалиний;
   - Использование основных внутренних дорог;
   - Канатные дороги;

2. группа, совмещает функцию коммуникационной системы, то же время сама является туристическим обьектом;
   - Дороги для «Джипов»;
   - Маршруты для велосипедов;
   - Горнолыжные трассы;
   - Маршруты для альпинистов;
   - Пути и дороги для конных и пеших путешествий;
   - Маршруты объектов культурного наследия .

სეისმური რისკისა და სხვა სტიქიურ მოვლენათა გათვალისწინება ზემო სვანეთის რაიონის ურბანული დაგეგმარებისა

დოქტორანტი მ. სუხიტაშვილი
არქიტექტურის დოქტორი, სრული პროფესორი გ. ბერიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო რთული რელიეფის ქვეყანაა, რომელიც მოიცავს როგორც მთაგორიან ასევე ვაკე და ზღვისპირა ადგილებს. დასავლეთ კავკასიონის ცენტრალური 125 კმ.-იანი მონაკვეთი კოდორის ქედიდან ფასის მთამდე სვანეთის კავკასიონად იწოდება. მის სამხრეთ კალთაზეა განლაგებული საქართველოს ყველაზე მაღალი კუთხე – სვანეთი. სვანეთი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი მოიცავს კავკასიონოს ქედის სამხრეთ კალთებს მდინარე ენგურის და ცხენისწყლის ზემოწელს.

ტურიზმი

ზემო სვანეთი თავისი შორი მდებარეობისა და ტერიტორიის იზოლაციის შედეგად ცივილიზაციის უარყოფითი გავლენა ამ რეგიონში ნაკლებად იგრძნობა და სხვა მთიან რეგიონებთან შედარებით აქ უფრო დიდი რესურსი და შესაძლებლობები არსებობს ეკო და კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის: სვანეთის არქიტექტურული ღირშესანიშნაობები, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ადგილები, სუფთა ჰაერი, დაცული ფლორა და ფაუნა შეიძლება გავაერთიანოთ ისეთ საქმიანობებთან, როგორიც არის ნადირობა, თევზაობა, ცხენით სეირნობა, ცურვა და ჯომარდი ენგურის წყალსაცავში და ენგურის შუა და ზემო წელში. საინტერესოა ისეთი ნაკეთობებიც, როგორიც არის თექა, სვანური ქუდები, ხის ხელთნაკეთი სუვენირები, ხის პროდუქტები, ჭედურობა, ადგილობრივი მხატვრობა. ტურიზმის სექტორის განვითარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს რაიონში სოციალური პირობების გაუმჯობესებას და შეამციროს ემიგრაციის ტემპი. ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც აღნიშნულ ტერიტორიაზე უსაფრთხოების პირობები გაუმჯობესდა, ტურისტების რაოდენობა იზრდება (2004 წლიდან 2012 წლამდე 48%). მთავარი შემზღუდველი ფაქტორებია მიუვალობა, ბოლო წლებამდე განუვითარებელი ინფრასტრუქტურა (მართალია დღეს ამ მიმართულებით რიგი პროექტებია განხორციელებული: მაგალითად გაკეთდა გზა ზუგდიდიდან მესტიამდე და ა.შ.) და ტურიზმის განვითარების სწორედ დაგეგმილი სტრატეგიის არარსებობა, სტიქიური მოვლენების გაუთვალისწინებლობა. სტი-

ქიური უბედურებები ანადგურებს ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას და აბრკოლებს განვითარების შესაძლებლობებს.

მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის ქალაქმშენებლობითი განვითარების პრინციპების დასადგენად საჭიროა: განაშენიანების ტერიტორიების სწორი შერჩევა შეზღუდულ ბუნებრივ და ტექნოგენიური ხასიათის მოვლენების პირობებში. გამოსაკვლევია ამ ფაქტორების ზეგავლენა ტერიტორიების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რომლებიც განსაზღვრავს მათ გამოყენების ვარგისიანობას ქალაქთმშენებლობის ასპექტში. თვითონ ცნება „ქალაქგეგმარებითი უსაფთხოება" გვიჩვენებს მოსახლეობის დაცულობას და გარკვეული ტიპის ურბანული გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც დამოკიდებულია ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებაზე. საჭიროა განისაზღვროს უსაფთხოების გარკვეული ზომების მიღების პრინციპები და არჩევითობის კრიტერიუმები იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც განაპირობებენ სიტუაციურ რისკს. ტერიტორიის ქალაქგეგმარებითი უსაფრთხოების დონის და ინდექსის გათვლის მეთოდიკის განსაზღვრა რეკომენდაციების სახით, საშუალებას მოგვცემს სვანეთის, როგორც გეგმარებითი სტრუქტურის განხილვისას გამოვიყენოთ შემუშავებული რეკომენდაციები. პირველ რიგში უნდა გამოვლინდეს დღევანდელ დღეს არსებული უსაფრთხოების რისკების და დაფიქსირდეს გარემოს დაცვით სფეროში არსებული მდგომარეობა.

მიზანშეწონილია სეისმური მიკრორაიონული რუკის შექმნა, სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენების გასანეიტრალებელად ბუნების დამცველი ღონისძიებების წინასწარი დაგეგმვა, რომლებიც არქიტექტურული დაგეგმარებისა და განაშენიაების დროს უნადა იყოს გათვალისწინებული.

ქალაქთმშენებლობითი პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა გარემოს დაცვის და ბუნებრივი უსაფრთხოების პრინციპების შემუშავება. ამისათვის საჭიროა ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის გაუთვალისწინებელი განსაკუთრებული სიტუაციების რისკების შედეგების შერბილება-შემსუბუქებისათვის მიზნობრივი პროგრამების შემუშავება.

მდინარე ენგური

მდინარე ენგური (221 კმ) საქართველოს სამდინარე სისტემებს შორის ერთერთი უმნიშვნელოვანესია. ის იკვებება რამდენიმე წყაროდან, ძირითადად, მყინვარებიდან და თოვლით.

მდინარის წყალი თავს იყრის ზემო სვანეთის რეგიონის ზედა ხეობაში, შემდეგ მიედინება ვიწრო, ღრმა

კანიონებში, გაივლის დაბლობებს და ბოლოს ჩაედინება შავ ზღვაში. მდინარის სრული ვარდნა 2,600 მ შეადგენს, აუზი 4,062 კმ2 მოიცავს, საშუალო გრძელვადიანი გადინება 5.35 კმ3-ია, ხოლო ჰიდრო პოტენციალი შეფასებულია 21 მილიარდი კვტ/სთ-ის ოდენობით (აქედან 5.5 მილიარდი კვტ/სთ უკვე ათვისებულია).

ბუნებრივი რისკები და დაბინძურება;

სეისმური რისკი

ვინაიდან ეს რეგიონი წარმოადგენს ალპურ-ჰიმალაიური სეისმური სარტყლის ნაწილს და მდებარეობს სამხრეთიდან აფრიკულ-არაბული ფილისა და ჩრდილოეთიდან ევრაზიის ფილის თანხვედრის წერტილში, ის გამოირჩევა სეისმური აქტივობის მაღლი დონით. ამისა და ახლო წარსულის გეოდინამიკური აქტივობის სხვა გამოვლინებების გამო (დანაოჭება, დაბზარვა, მთათწარმოქმნა) სვანეთი დგას რეალური ბუნებრივი საფრთხეების

წინაშე, რაც პოტენციურად დიდ ზიანს აყენებს ინფრასტრუქტურასა და გარემოს.

როგორც ეს ნაჩვენებია შემდეგ სურათზე, მიწისძვრები აღინიშნება დიდი კავკასიონის გაყოლებაზე, რაც აქტიურ ბზარს უკავშირდება, ძირითადად სამხრეთ ოსეთში და მცირე კავკასიონის გასწვრივ (ძირითადად ჯავახეთის ზეგანზე).



სურათი 1: საქართველოში დაფიქსირებული მიწისძვრების ეპიცენტრები

წარსულში ენგურის აუზში აღირიცხა რამდენიმე ძლიერი მიწისძვრა (6.0 ბალი სიმძლავრის). საქართველოს ისტორიაში ერთერთი ყველაზე მძლავრი მიწისძვრა (7 ბალი - რუკაზე №8) მოხდა 1350 წელს ლეჩხუმ-სვანეთში, საკვლევი ტერიტორიიდან არც ისე შორს.საქართველოს სეისმური ქსელი საკვლევ ტერიტორიაზე მოიცავს ორ სადგურს: ენგურის კაშხალთან და ზედა ხეობაში. ენგურის კაშხალი აგებულია 8 ბალიანი მიწისძვრის შესაძლებლობის გათვალისწინებით.



სურათი 2: სამხრეთ კავკასიის საწყისი სეისმური ზონირების რუკა

წყალდიდობა, მეწყერი და ზვავი

საკვლევი ტერიტორია ისევე, როგორც საქართველოს სხვა მთიანი რეგიონები დგას ზოგიერთი საშიში გეოლოგიური და ჰიდრო-მეტეოროლოგიური საფრთხის წინაშე, როგორებიცაა წყალდიდობა, მეწყერი და ვავი. ამ საფრთხეებს იწვევს ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპონენტი (კლიმატი, ჰიდროლოგია, გეოლოგია და ნიადაგები, ტოპოგრაფია, მცენარეული საფარი) და აგრეთვე წყალგამყოფში მიმდინარე საქმიანობა (სატყეო მეურნეობები, სოფლის მეურნეობა). ამ საფრთხეების, განსაკუთრებით კი წყალდიდობისა და მეწყრის მუდმივმა ხასიათმა ბოლო წლებში ზოგიერთ სოფელში (მესტია, მულახი, წვირმი, ა.შ.) მაცხოვრებელი ბევრი ოჯახი აიძულა უფრო უსაფრთხო რაიონებში გადასვლა (ICRC, 2005). 1987 წელს სოფელი ბეჩო მთავრობის შეფასებით აღიარებული იქნა დიდი რისკის ზონად და ოჯახებს მისცეს რჩევა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ხეობა მორიგი მეწყრის საშიშროების გამო (ეკომიგრანტები). ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს, რომ კლიმატის ცვლილებამ შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ამ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენათა სიხშირეზე, ხანგრძლივობასა და ინტენსივობაზე და გაზარდოს საშიშროება (UNEP, UNDP, OSCE, 2004).

დაბინძურება

მდინარის დაბინძურების დონე ზომიერია ისევე, როგორც საქართველოს დიდ მდინარეთა უმეტესობაში. დაბინძურება საშინაო ნარჩენებით საკვლევ ტერიტორიაზე გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს. მესტიის რაიონში საკანალიზაციო სისტემა ქალაქ მესტიის მხოლოდ 50% მოიცავს და საერთოდ არ არსებობს ბევრ სოფელში. ცუდმა სანიტარულმა მდგომარეობამ (ტუალეტები) შესაძლოა გამოიწვიოს წყლის დაბინძურება. წყალდიდობის შემდეგ მესტიის წყალში აღინიშნება E. Coli ჩხირის მაღალი დონე. მიკრობიოლოგიური ხარისხის გაუარესება პრობლემას წარმოადგენს ზუგდიდშიც, სადაც საკანალიზაციო სისტემა სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს (UNECE, 2003). წყლის ფიზიკურ-ქიმიური ხარისხი მაინც კარგია. აზოტის, ფოსფორისა და ორგანული ნივთიერებების დონე საველე მისიისას გაზომვის შედეგად ზომიერი აღმოჩნდა.

სამრეწველო ნარჩენები წყალგამყოფის ზედა ნაწილში (მესტიის რაიონი) იშვიათია. მის ძირითად წყაროს წარმოადგენს მდინარის გასწვრივ განლაგებული სახერხები. ზოგ ადგილას ნახერხი და სხვა ნარჩენები პირდაპირ მდინარეში ჩაედინება, რაც ზრდის წყალში ორგანული მასალების შემცველობის დონეს. ხეობის ქვედა ნაწილში განლაგებული რამდენიმე სამრეწველო საწარმოდან წყლის ჩაშვება ბუნებაში დამუშავების გარეშე ხდება. ენგურის ჰიდროელექტრო ნაგებობები (კაშხალი და ჰიდროელექტრო სადგური) სავარაუდოდ ხელს უწყობს წყლისა და ნიადაგის დაბინძურებას. ეს აღინიშნა ენგურის კაშხლის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევისას (ე.წ. ელექტროვატ-სტაკი, 1998).

დაბინძურების წყაროები შემდეგია: (1) გამოყენებული ავზებიდან გაჟონილი ნავთობპროდუქტები; (2) ელექტროსადგურიდან, კაშხლის ნაგებობებიდან და დასახლებებიდან (500-ზე მეტი ადამიანი) ჩამდინარე ტექნიკური და საშინაო წყალი; (3) საშინაო ნარჩენები და საშენი მასალების ნაწილაკები ამ ნაგებობებსა და დასახლებაში ნაგავსაყრელის არქონის პირობებში, რეაბილიტაციის შემდეგ დაბინძურების ეს წყაროები შესაძლოა შემცირდა.

რადიოაქტიური ნარჩენები საკვლევ ტერიტორიაზე

რადიოაქტიური დაბინძურება ზემო სვანეთში დიდ პრობლემას წარმოადგენს სტრონციუმ-90 შემცველი რადიოაქტიური ცილინდრების აღმო-

ჩენის შემდეგ. ეს მასალები საბჭოთა პერიოდში გამოიყენებოდა, როგორც პორტატული თერმოელექტრო გენერატორების საწვავი მოშორებულ ადგილებში განლაგებულ საკომუნიკაციო სადგურებში გამოსაყენებლად. 1984 წელს საქართველოში ჩამოიტანეს რვა ასეთი გენერატორი. გადამუშავების ნაცვლად ისინი პირდაპირ დატოვეს ადგილზე. ზოგმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ეს მასალები იპოვა და სახლში ინახავდა. ისინი მძიმედ დაშავდნენ (UNECE, 2003). საკვლევ ტერიტორიაზე აღმოჩენილია სტრონციუმ-90-ის ექვსი წყარო, მათგან ოთხი ხაიშში 1999 წლის მაისში და ორიც – წალენჯიხის რაიონში 2001 წლის დეკემბერში (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2002). დანარჩენი ორი ჯერ აღმოჩენილი არ არის.

ზემო სვანეთის ქალაქთმშენებლობითი პრინციპების დასამუშავებლად საჭიროა სესმური რისკისა და სხვა საშიში სტიქიური მოვლენების (თოვლის ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ) ზემოქმედების ფაქტორების გათვალისწინებით არაიონების რუქის შექმნა. გლობალურ დონეზე უნდა გამოიყოს ტერიტორიის, ზონირების, განსახლებისა და არსებული განაშენიანების რეკონსტრუქციის საშუალებები, ხოლო ლოკალურ დონეზე ინფრასტრუქტურის სივრცითი და საკომუნიკაციო რეორგანიზაციის გზები.

ყოველივე ეს შემდგომ დეტალური კვლევებს საჭიროებს.

ტურიზმისა და მასობრივი დასვენების რაიონების დაგეგმარებისას არმოქმნილი ქალაქთმშენებლობითი პრობლემების გადასაწყვეტად სამუშაოებისათვის მიზანშეწონილია, რომ გათვალისწინებული იქნას რეკომენდაციები:

– დადგინდეს ზემო სვანეთის რაიონის ქალაქგეგმარებითი განვითარების ძირითადი მიმართულებები სეისმური რისკის და სხვა საშიში სტიქიური ოვლენების (თოვლის ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ) გათვალისწინებით;

– სეისმური რისკის და სხვა საშიში სტიქიური მოვლენების (თოვლის ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ) შეფასება უნდა დაეყრდნოს ზემო სვანეთის ტერიტორიის საშიში სტიქიური მოვლენების მიკროდარაიონების რუკას;

– ზონირების რუკაზე უნდა ნათლად ჩანდეს დაბა ან სოფელი საშიში სტიქიურ მოვლენების რომელ ზონას განეკუთვნება. მაგალითად ხაიში, ლახამი, ლეწფერი, ლეკალმახი, დიზი, შდიღირი, ტვიბიში, მაზერი, იფხი, მესტია, წვირმი, უშგული დამეწყვრის საშიშროების ზონაშია;

სვიფი, ტვიბერი, იფარი, ბოგრეში, ლალხორი, წვირმი, ჟაბეში მიწისძვრების მაღალი სეისმური რისკის არეშია მოთავსებული;

ხაიში, ყარი, ქვედა ვედი, დიზი, კიჩხულდაში, მესტია, ლახირი, აცა, ვიჩნაჟი ღვარცოფის საშიშროების ქვეშაა მოქცეული.

ტიტა, ზედა მარღი, იუნაში, ტვიბიში, იშხვნარი, მურყმელი, ჩაჟაში. ჟიბიანი, ჩვიბიანი, მესტიის ზოგიერ თი უბანი მიეკუთვნება ზვავსაშიშ ზონას.

– საჭიროა დამუშავდეს სეისმური რისკის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგების შემცირების მიზანმიმართული პროგრამა, რომელიც იქნება საფუძველი ქალაქგეგმარებითი განვითარების მონიტორინგის ჩასატარებლად სამუშაოების ყველა დონეზე;

– ისტორიულ სოფლებში უნდა ჩატარდეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები სეისმური რისკის და სხვა საშიში სტიქიური მოვლენების (თოვლის ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ) შესამცირებლად. რაც განსაზღვრავს სარეკონსტრუქციო ქალაქთგეგმარებით სამუშაოების რიგითობას;

– სეისმური და სხვა ბუნებრივი რისკები უნდა გათვალისწინებული იქნას სატრანსპორტო და სხვა საკომუნიკაციო სისტემის განვითარებისას;

ზემო სვანეთის ზონირების რუკაზე აღნიშნული საშიში სტიქიური მოვლენების (თოვლის ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, მიწისძვრა) მოქმედების ადგილმდებარეობა დაკავშირებულია არსებულ დასახლებულ ტერიტორიებთან. ამავე დროს არსებობს შესაძლებლობების მაღალი პროცენტი ტურიზმისა და მასობრივი დასვენებისათვის ვარგისი ახალი რაიონების განვითარებისა ხელუხლებელ ტერიტორიებზე. ამ ტერიტორიების დროული დარეზერვება (ბრონირება) ქალაქთმშენებლობის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

სეისმური და სხვა საშიში სტიქიური მოვლენების ფაქტორების გამოვლენისა და კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების ქალაქთგეგმარების პროცესში ჩართვა და ტიპოლოგიის საკითხების მათი გათვალისწინებით გადაწყვეტა უზრუნველყოფს სვანეთის ტურიზმის ინდუსტრიის უსაფრთხოების გაზრდას.



ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. ნ. ჩაჩავა. თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრობლემები თბილისი. 2004.
2. „სეისმური რისკის ფაქტორები და მათი გათვალისწინება თბილისის განაშენიანებაში“.
3. ნ.მ. ხატიაშვილი, გ.ა. უშვერიძე და ე.დ. კობახიძე, 1989. კურორტები და საკურორტო რესურსები საქართველოში. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი ადმინისტრაცია, მოსკოვი (ქართულ და რუსულ ენებზე).
4. კოლხეთის ეროვნული პარკი. კოლხეთის დაცული ტერიტორია – სახელმძღვანელო, გვ. 40. (ხელმისაწვდომია საიტზე: http://www.knp.ge/)
5. ვ. ლომინაძე, გ. ჭირაქაძე, 1971წ. საქართველოს კლიმატი და კლიმატური რესურსები. ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის შეთანხმება. მონოგრაფია, ტომი 44 (50). თბილისი, გვ. 384 (რუსულ ენაზე).
6. გ. ნახუცრიშვილი, 2000 წ. საქართველოს ძირითადი ბიომები” საქართველოს ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებებში, პირველი ეროვნული კონფერენცია, 28-29 მაისი, 1999 წ. თბილისი, (რედაქტორები ნ. ბერუჩაშვილი, ა. კუშლინი და ნ. ზაზანაშვილი) WWF საქართველოს ოფისი, თბილისი, საქართველო, გვ 43-68.

7. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, 2006 წ. ჩხოროწყუს რაიონი – ეკონომიკური და სოციალური პროფილი. მომზადებულია, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის სტრატეგიული დაგეგმარების სტრუქტურის ნაწილი.
8. Z. Javakhishvili, M. Elashvili, T. Godoladze, N. Jorjiashvili Organization: Seismic Monitoring Centre of Georgia (SMCG) M. Nodia Institute of Geophysics, Georgia Years: 2002-2007

Considering Seismic Risk and Other Natural Disasters for Urban Planning of the Upper Svaneti

Doctoral Candidate: M. Sukhitashvili
Doctor of Architecture. G. Beridze

While planning raions of tourism and massive recreation for solving the urban-planning problems caused by the severe natural disasters, it is advisable to take into account the following recommendations:

1. To ascertain the main directions of the development of urban-planning of the Upper Svaneti raion – considering seismic risk and other dangerous natural disasters (snow-avalanches, landslide, mudflow, stoneslide);

2. Assessment of seismic risk and other dangerous natural disasters mentioned above should be based on the micro-division map of dangerous natural disasters of the territory of the Upper Svaneti;

3. On the zoning map it should be apparently clear to which zone of dangerous natural disasters mentioned above belong boroughs or villages of the Upper Svaneti raion;

4. It is necessary to elaborate the purposeful program of reduction of the results of seismic risk and other natural disasters, which should be the basis for the monitoring of the urban-planning development on all levels of the work;

5. It should be conducted the reconstruction work in historical villages for reduction of seismic risk and other dangerous natural disasters mentioned above, which defines the sequence of the reconstruction urban-planning measures;

6. Seismic and other natural risks should be taken into account for the development of transport and other communication system;

7. It is necessary to select the new inviolable territories valid for tourism and massive recreation considering the natural disasters, on the zoning map, and their timely reserving, which is the actual task for the urban-planning.

Выявление и определение рисков сейсмики и других стихийных бедствий, при планировке и решении градостроительных вопосов районов туризма и массового отдыха Верхней Сванетий.

М. Сухиташвили, Г. Беридзе
Грузинский Технический Университет

Туризм и отдых районов планируют массовый острого истощения природных катастроф на городских проблем планирования рекомендуется предусмотрены следующие рекомендации:

При планировке и решении градостроительных вопосов районов туризма и массового отдыха с повышенного риска стихийных явлении следует принять во внемании следующие рекомендации:

1. Определить основные направления развития градостроительной планировки Верхней Сванетий при рассмотрений факторов сейсмической опасности других стихийных бедствий; (снежные лавины, оползни, сели, и т.д.).

2. Для контроля рисков и проведений фундаментальных исследований планировки территорий Верхней Сванетий, нужно пользоваться картой микрорайонирования стихийных бедствий;

3. На карте зонирования должно бить ясно определено к какой стихийной зоне повышенной опасности относится то или иной поселок или деревня.

4. Необходимо разработать целевую программу по снижению сейсмического риска и других стихийных бедствий, которая будет основой для мониторинга градостроительного развития на всех уровнях планировки;

5. В исторических деревнях надо проводить работы по реконструкций зданий для снижения рисков сейсмики и других стихийных бедствий, что определяет последовательность реконструкционных градостроительных работ.

6. Сейсмические и другие природные риски должны быть учтены при развитий транспортной коммуникационной системы;

7. Определить и нанести на карту зонирования стихийных явлений территорий Верхней Сванетий нетронутые территорий пригодные для развития горного туризма и массового отдыха. Своевременное резервирование (бронирование) этих территорий является значительным вопросом градостроительного развития.

როტერდამის არქიტექტურული სკოლა

ირინე წულაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, კოსტავას ქ. №77

თბილისი დღეს ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ერთის მხვრივ, წარუმატებელი მცდელობების შემდეგ 2009 წ. შეთანხმდა „დედაქალაქის პერსპექტული განვითარების გენერალური გეგმა“. მისი სტრატეგიული მიზანი იყო დაედგინა ქალაქის ზრდის პრიორიტეტები, მოეწესრიგებინა ზონირების და კლასიფიკაციის საკითხები, განესაზღვრა მიწათსარგებლობის წესები, მაგრამ ამ ამოცანებს ეს დოკუმენტი ვერ ასრულებს. მეორეს მხვრივ, ქ. ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოს, ქ. ქუთაისში პარლამენტის გადატანის, შავ ზღვაზე და მთებში ტურისტული ინფრასტრუქტურის უპირატესი განვითარების, ქ. ლაზიკის აშენების და სხვა ამგვარმა გადაწყვეტილებებმა შეამცირეს თბილისის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, ეკონომიკური და ტურისტული განვითარების პოტენციალი. თბილისს დღეს სჭირდება შინაარსობრივად ღრმად გააზრებული განვითარების ახალი სტრატეგია. ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია გავიაზროთ ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ურბანულის ცენტრის - როტერდამის სივრცითი განვითარების უახლესი ისტორია, მით უმეტეს რომ როტერდამის წარმატება არასოდეს ყოფილა დაკავშირებული დედაქალაქის ფუნქციასთან.

1944 წ. ევროპის უმსხვილესი პორტი როტერდამი ბომბემბა გაანადგურეს. ქალაქის ისტორიულ ცენტრში გაჩენილ სიცარიელეებს მუნიციპალიტეტმა ურბანისტ კ. ვან ტრაას 1946 წლის როტერდამის ე.წ. „საბაზო გეგმით“ უპასუხა. მეგაპოლისი მაასის გადაღმა განვითარდებოდა, კულტურისა და დასვენების ელემენტებით და მაღლივი დომინანტებით. ძველ ქალაქს ახალი ცენტრი არსებულის ჩრდილო-დასავლეთით უნდა გასჩენოდა. მასში გამოცნობადი რჩებოდა მხოლოდ ერთი ომამდელი უბანი - სამკუთხედი კოოლსინგელი-გაუდსინგელი-ბუმპიესი. ახალ ცენტრში კოოლსინგელი დასავლეთის საზღვარი კი არა - უკვე შუაგული ხდებოდა; მისგან და ლიუვეჰავენიდან გაიხსნებოდა ხედი მდინარე მაასზე. ხარკი, გადახდილი ათენის ქარტიის - CIAM -ის ურბანული დოქტრინის მიმართ - გახლდათ

ფუნქციონალური გაყოფა: მაღაზიები კოლსინგელზე, კულტურა მუზეუმის ირგვლივ, მრავალბინიანი საცხოვრისი კი გაუდსინგელზე; ამის გარდა, ცენტრის საცხოვრებელი ფუნქცია საერთოდ უნდა შეზღუდულიყო. დაგეგმარების ადრეულ სტადიაზე საცხოვრებელი სახლები ამოღებულიც კი იყო და ტრანსპორტის მოძრაობას ცალკე ხაზები ეთმობოდა.

სწორედ აქ, ახალ ცენტრში, 1949-სა და 1954 წლებს შორის, ი. ვან დენ ბრუკის და ი. ბაკემას გეგმით, ორი ურთიერთგადამკვეთი საფეხმავლო არტერიის გასწვრივ, საცხოვრებელი სახლების და მაღაზიების ინტეგრირებული ქომპლექსი ლიინბაანი შეიქმნა. თანამედროვე ურბანიზმის პირველ საფეხმავლო სავაჭრო ქუჩას გამოჩენილი არქიტექტორების მაღაზიები ამშვენებს: თავად ვან დენ ბრუკი/ბაკემა ერთ უნივერმაღს ლიინბაანზე 1951 წ. აშენებენ, მეორეს კი 1957 წ. მარსელ ბროიერი აპროექტებს. "ყურადღება დეტალისადმი" (ბროიერის შენობა მოქანდაკე ნაუმ გაბოს კომპოზიციამ დაამშვენა), წერს მ. ტაფური, "და ურბანული ინსტრუმენტებისადმი ლიინბაანს მეტროპოლისის ჭეშმარიტ გულად აქცევს. გამარტივებული ენა და განმეორებადი მოდულების გამოყენება კომბინირებულია მიწისზედა სტრუქტურების ყურადღებიან დაგეგმვასთან". [1,83]

ლიინბაანი თიმ X-ის შთაგონებად იქცა. 1954 წ. მან თანამედროვე ქალაქის ფრაგმენტირებული ნაწილები ერთმანეთს ისევ დაუკავშირა, მაგრამ ვან ტრაას სქემაში გამონაკლისად დარჩა: 1960-იანებისთვის, ვან ტრაას დაგეგმილი როტერდამი სხვებისთვის მოდერნისტული ურბანიზმის მაგალითად იქცა, თუმცა "ადგილობრივ არქიტექტორებს სიახლე სტერილურობასთან გაუიგივებიათ და როტერდამის ორთოგონალურ გეგმასთან ბრძოლაც კი წამოუწყიათ" [5, 525] წერს კულჰაასი. 1974 წლიდან ამას მოჰყვა როტერდამის ურბანული განვითარების პოლიტიკის კრიტიკა და მისი ჩანაცვლება სათვისტომოს, გარემოსა და კულტურის პატივისცემაზე აგებული, თიმ X-ის მიერ დეკლალირებული პრინციპებით.

შედეგად გამოვიდა, რომ პოსტ-ინდუსტრიალურ ეპოქაში სწორედ როტერდამი მოგვევლინა ურბანიზმში ცვლილებების ტესტირების პოლიგონად. ამიტომაცაა იგი თბილისისთვის ასე საინტერესო. ნახევარი საუკუნის დაგვიანებით ჩვენც ანალოგიურ პროცესებს გავდივართ. მაგ., 1970-იანების ბოლოსთვის, ნიდერლანდებში არსებითად დასრულდა იმიგრანტ მუშათა მასების დასახლება და ქვეყანა მულტიკულტურული გახდა. მან დაკარგა ინდუსტრიალური სახე, ქალაქებში დიდი პოსტ-ინდუსტრიული სიცარიელეები გაჩნდა. როტერდამი, ევროპის უმსხვილესი პორტი, აღმოჩნდა იდეოლოგიური და თეორიული ზეწოლის ქვეშ, არქიტექტურას და ურბანიზმს სწორედ აქ უნდა შეეცვალა განვითარების ვექტორები. 1970-იანების ახალი პარადიგმა ეცდებოდა დავერწმუნებიეთ, რომ ქალაქის აღწერა არა წარმოების, არამედ გამოცდილების ენით უნდა ხდებოდეს: შეგრძნების დონეები, ვიზუალური გადატვირთვები, ვიზუალური ინფორმაციის ჭარბობა, მგრძნობიარობის დაქვეითება ამ ახალი პარადიგმის ლექსიკური მარაგის ტერმინებად იქცა. აქედან მაშინ გაკეთდა ცალსახა დასკვნა: ქალაქის ძველი ფორმა ახალს სჯობია, რადგან მასში მეტი ვიზუალური ინფორმაცია მოიძიება, დახურული სივრცე უფრო სპეციფიკურია, სათვისტომოების წევრების სოციალური ურთიერთობა მასში უფრო წახალისებულია, გარემო და კულტურა გათვალისიწნებული, და ა.შ.

ნიდერლანდური ურბანიზმის ახალი თეორია დელფტის უნივერსიტეტში მუშავდებოდა. იმ პერიოდში უნივერსიტეტის მეცნიერებზე გადამწყვეტ ზეგავლენას ალდო ვან ეიკი ახდენდა. როტერდამის შესწავლამ მას გაუჩინა

რწმენა, რომ ძველი სამეზობლოების ფსიქოლოგიური ეფექტი შეიძლება კოდიფიცირებულ იქნას და ისე განმეორდეს, რომ ახალ სამეზობლოში ჩასახლებული ადამიანები თავს ძველ სამეზობლოში გრძნობდნენ. პრაქტიკაში, ეს გულისხმობდა ისეთ მცნებებს, როგორიცაა "ადამიანური მასშტაბი", "დახურულობა", "კომფორტულობის შეგრძნება", "არქიტექტურული დეტალების გარკვეული სიუხვე". [2,78] ამ პოზიციის გასამაგრებლად, სოციალური ფსიქოლო-გიის დამფუძნებელი, პროფ. რობ ვენტჰოლტი, როტერდამის ცენტრის აღდგენის კრიტიკისას წერს: "ადამიანი გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას, რათა საკუთარი გარემოს სტრუქტურირება მოახდინოს ფსიქოლოგიური ღუზის ჩაშვებით, რომელიც ამ გარემოს მნიშვნელობას (სიმბოლურსა თუ შინაარსიანს) ანიჭებს... ეს ქალაქი მე მეკუთვნის, მე ვეკუთვნი ამ ქალაქს". [3, 34]

თუმცა ამის საპირისპიროდ იმ დროს დელფტში გაჩნდა თეორეტიკოსთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანდა მიშელ ფუკოს იდეათა გარშემო. იან დე გრააფი და მისი რამოდენიმე კოლეგა დარწმუნდა იმაში, რომ "ყველაზე შესანიშნავ, თავისუფალი და დემოკრატიული გარემოს საფუძველში ძევს სტრუქტურათა და ცოდნათა პალიმპსესტი*, რომელიც მიმართულია რეგულირების, რეპრესიის, ცენზურის და (ადამიანთა) სხეულების კანალი-ზაციისაკენ". [7, 253] ამიტომ, ფუკოს მომხრეთა დე გრააფის მეცნიერთა ჯგუფი ისტორიოგრაფიას აკრიტიკებს, რადგან „ისტორიული ქალაქის საბოლოო ისტორიზაციას“ მიჰყავს იქამდე, რომ „ქალაქი მანუგეშებელი გარემოს უმანკოებას კარგავს". [8, 103]

1980-იანებში დე გრააფმა ინტენსიური თავდასხმა განახორციელა ქალაქის განახლების ვან ეიკის მოდელზე და ვენტჰოლტის სოციალურ ფსიქოლოგიაზე.

---

*პალიმპსესტი (ეტრატ-ხელნაწერი, რომელზედაც ძველი ტექსტი გადაფხეკილა და ახალია დაწერილი); აქ - ფარული მნიშვნელობა, რომელიც პირველი დანახვისას არ სჩანს.

"ადამიანები აღიქვეს ინფორმაციის გადამამუშავებელ მგრძნობიარე სისტემის ერთეულებად და მანქანებად (შეგრძნებებად). სისტემის ანალიზი მის დაპროგრამებაზეა ორიენტირებული. ანატომიას ადამიანის ხელოვნური რეკონსტრუქცია მოჰყვება: გრძნობების სტიმულაცია, ძალდობრივი იდენტიფიკაცია, ქცევის რეგულირება". [8, 96]

სწორედ ამ დროს როტერდამში ბრუნდება რემ კულჰაასი. კულჰაასმა არქიტექტურული განათლება მიიღო ლონდონის არქიტექტურულ ასოციაციაში და მხოლოდ დისტანციიდან შეეძლო ჰოლანდიის არქიტექტურის და ურბანიზმის მდგომარეობის შეფასება.

ამ დროისათვის მას უკვე დაწერილი აქვს წიგნი „შეშლილი ნიუ იორკი - მანჰეტენის რეტროაქტიური მანიფესტი“ და დაფუძნებული აქვს OMA (მეტროპოლიტანური არქიტექტურის ოფისი). მისთვის, ნიუ იორკი დასავლეთის ცივილიზაციის „უკანასკნელი გაჩერებაა“, მანჰეტენი კი „ადამიანთა მჭიდრო თანაცხოვრების და ახალი ტექნოლოგიების აგრესიული შემოჭრის აფეთქება, რევოლუციური ცხოვრების წესის გამოგონების და განვითარების მითიური ლაბორატორია“, და ამ ცხოვრების წესს რემ კულჰაასი სახელს ზუსტად მოუძებნის: „გადატვირთულობის კულტურა“. [4,125] ნიუ იორკის ურბანიზმში ადგილი არ აქვს ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა ისტორია, მეხსიერება, სენტიმენტალიზმი, წარსული.

კონტინენტალურ ევროპაში კულჰაასს ურბანიზმიმსადმი ფუნდამენტალურად განსხვავებული მიდგომა დახვდა. ნიუ იორკისგან განსხვავებით, როტერდამი ახალი მშენებლობისას ძველის გათვალისწინებას ითხოვს. სამშობლოში დაბრუნებას რემ კულჰაასი 1979-82 წ.წ. ბუმპიეს კოშკი-ფილის პროექტით აღნიშნავს. 1980 წ. ე.წ. თეთრი სახლის (თავის დროზე ევროპის უმაღლესი შენობა) რეკონსტრუქციით იწყებს: თეთრი სახლის წინ მდინარე მაასია, შემდეგ XIX ს. შემორჩენილი ნოორდერეილანდის კუნძულის შენობები, ბოლოს კი ლიფტი *De Hef* - და აი ამ გარემოში ჯერ ცათამბრჯენის ოთხ კოლოფს, შემდეგ ხუთს, ბოლოში კი გადაბრუნებულ პირამიდას დგამს, ყველაფერს კი ექვსი ცათამბრჯენის მაკეტით ასრულებს. ცხადია, კულჰაასის ცინიკურ მოდერნიზმს ადგილი მაშინდელ როტერდამში არ მოეძებნა. ქალაქმა ვერ წარმოიდგინა, რომ ვილემბრუგის ახალი ხიდიდან მნახველს კვლავ ბრუტალისტური ბეტონის ყუთები დახვდებოდათ. სხვაგვარად სჯიდა რემ კულჰაასი: ის, რომ ახალი ხიდი გაკეთდა, მთელი სცენის აბსურდულობას აუქმებდა. ქალაქმა, კულჰაასის აზრით, თავისდაუნებურად ურბანული ექსპერიმენტი დადგა. ბუმპიეს კოშკი-ფილი კომპრომისია: მისი აღქმის ტრაექტორია ასე დადგინდა - ხიდიდან ჯერ ხედების განშლა დაიწყებოდა, შემდგომი მოძრაობების თანმიმდევრობა კი კოშკ-ფილის უსაზღვრო დინამიკას მიანიჭებდა. „ქალაქი შიზოფრენიული გახდა“, წერდა კულჰაასი, „იდეოლოგიურად დაგმობილი, ამავე დროს, ყველანაირი გაგებით, პოპულარული“. [5, 525]

ქალაქმა პროექტი მყისვე უარყო; ახალი მოდერნიზმის დრო ჯერ არ დამდგარა; სამი ათეული წელი გავა, სანამ ბუმპიესი უკვე საკულტო არქიტექტორის ერთ მსხვილ კოშკს მაინც მიიღებს, რაც შეეხება კოშკი-ფილას პროექტს, იგი OMA-ს „პირველი რეტროაქტიული კონცეფცია იყო“, აღნიშნავდა კულჰაასი, „ჩვენს მიერ წამოწყებული იდეალიზაციის განუწყვეტელი დაბომბვის დასაწყისი“. [5, 543] პროექტის წარუმატებელი ბედის მიუხედავათ, იწყება როტერდამის სცენაზე რემ კულჰაასის დამკვიდრების ხანა. მასთან იწყებს მუშაობას ძალიან ბევრი მოწინავე როტერდამელი არქიტექტორი. ვინც არ მუშაობდა, თანამშრომლობდა OMA-სთან ან კულჰაასის დიდ გავლენას განიცდიდა წლების განმავლობაში. ესენი იყვნენ კეეს კრისტიაანზე, პაულ დობელაარი, დე კოველი/დე ვროომი (DKV), ვილემ იან ნოიტლინგსი (შემდგომში მაიკლ რიედაიკთან ერთად Neutelings Riedijk), West 8 (ედზო ბინდელსი) ასევე Droog Design -ის წევრები და, რა თქმა უნდა, ვინი მაასი და იაკობ ვან რიისი - ჯგუფიდან სახელად MVRDV.

ჩამონათვალი შთამბეჭდავია, იგი უფრო ჰგავს უახლესი დინებების კატალოგს იმ ავტორთა, რომელთაც ბევრი საერთო შემოქმედებითი ნიშანი აქვთ. რემ კულჰაასის შეგირდებს, მოწაფეებს, თანამოაზრეებს და მასთან სიახლოვეში აღზრდილ კოლეგებს ახასიათებთ ის, რასაც ჩვენ ვუწოდეთ „როტერდამის არქიტექტურული სკოლა“. ბრიტანელ არქიტექტორთა მოქმედი თაობები ფოსტერის, როჯერსის და ჰოპკინსის ლონდონის სახელოსნოებიდან გამოვიდა.

საპროექტო პრაქტიკის დაწყებისთანავე კულჰაასმა პროფესიაში არქიტექტურული კულტურის მცნება დააბრუნა. მის მიერ დაისვა ამოცანა: რაც შეიძლება მეტი კარგად დაპროექტებული შენობა! ეს ნიშნავდა სათვისტომოებში შემოსულიყო არქიტექტურა, რომელიც კავშირს საკუთარ წარსულთან მოდერნისტული ისტორიის საყვარელი მაგალითებიდან "ციტირებით" დაამყარებს. 1991 წ. ნიდერლანდების არქიტექტურის ინსტიტუტი როტერდამში აწყობს გამოფენას "მოდერნიზმი დოგმის გარეშე". მასზე წარსდგნენ ქალაქის

განახლების მეორე ტალღის - ახალი თაობის ნეომოდერნისტები UN Studio; ბერტ დირიქსი; რეინ ვან ვილიკი; ვილემ იან ნოიტელინგსი; ფრენკ როოდბეენი; ვილ არეტსი; ვიმ ვან დენ ბერგი; იან პესმანი; მეკანოო; იან ბენთემი და მელს კროუველი; ფრიტც ვან დონგენი; პაულ დობელაარი; V და კოენ ვან ველსენი. გამოფენის სათაურიც კი იმაზე მეტყველებდა, რომ პროფესიაში დაბრუნებულმა მოდერნიზმმა დაიწყო ისეთი კოროზიული კატეგორიების განდევნა, როგორებიც იყო თეორია და იდეოლოგია. გამოფენამ პუბლიკას პოსტ-სტრუქტურალიზმის შესახებ აუწყა. იგი მაშინვე შეუდგა არსებული სახეების, არტეფაქტების, მეხსიერებიდან ამოტივტივებული არქეტიპების ანალიზს და უკუკონსტრუქციას. 1990-იანები ამ ახალი, პანევროპული არქიტექტურის დედაქალაქიდან - როტერდამიდან დაიწყო.

როტერდამული ნეომოდერნიზმი ეწინააღმდეგება გათიშვის და წარსულისგან წყვეტის სტრატეგიებს, თუმცა, მეორეს მხვრივ, არც ის გარემო, რაც მას დახვდა, არ ყოფილა ისეთი უნაკლო, რომ მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება გაუარესებად აღექვა. ნებისმიერ შემთხვევაში, რემ კულჰაასის ახალი პანევროპული არქიტექტურა მიესალმება მჭიდრო, კოჰერენტულ დაპროექტებას და პრაქტიკას - თეორიული დებატების უნაყოფობის ნაცვლად. როტერდამელმა არქიტექტორებმა განავითარეს პრაგმატული ირონია, რომელიც წარმოაჩენს სოციალურ და დემოკრატიულ ალტერნატივებს, რამაც „შემოსა“ ჰოლანდია ე.წ. თავშესაქცევი პირდაპირობით. ეს არის შეხედულება, რომელიც „*Dutchness* “-ის არსებობის მოლოდინს ქმნის. საკითხის დასმა „არის თუ არა ჰოლანდიურობა არქიტექტურაში?“, შესაძლოა სასაცილო და შოვინისტურად მოგვეჩვენოს, განსაკუთრებით გლობალიზაციის ხანაში, მაგრამ თუკი “*Dutchness* “ სინამდვილეში არ არის ჩამოყალიბებული, “რემელობა“ (კულჰაასის მიმდევრობა) კი ნამდვილად არსებობს: ღია, ცხადი ჯგუფი იმ არქიტექტორებისა, რომლებიც უნდა უმადლოდნენ კალვინიზმსა და პრაგმატულ აზროვნებას, ისევე როგორც კულჰაასს. იმ დროს, როცა ჰაიტეკის მიმდინარეობა იყო დამახასიათებელი 1970-1990-იანების ბრიტანეთისათვის, ჩოლ- უანტიტატივე (თავდაჭერილი-რიცხობრივი) მიმდინარეობა ტიპიურად ჰოლანდიური წარმონაქმნია.

კულჰაასი ამჩნევს ჰოლანდიური არქიტექტურის ძალიან მნიშვნელოვან თვისებას: ამბიციის ნაკლებობას, ან, როგორც იგი ამბობს, „რედუცირებულ ამბიციას“. [6, 142] როცა იგი ხედავს, როგორ უფასურდება მისგან აღებული არქიტექტურული იდეა განმეორებისას, არქიტექტურა მისთვის იქცევა ინტელექტუალურ ოპორტუნიზმად, და იგი სვამს კითხვას: „როგორ შეიძლება საერთოდ არსებობდეს ახალი არქიტექტურა, რომელიც ეროვნულ იდენტურობას ემყარება?“. ე.ი. თავად ის კაცი, რომლის ირგვლივ შეიკრიბა ე.წ. როტერდამის სკოლა, უარყოფს “*Dutchness* “-ის არსებობას, და აქვე გვთავაზობს, გლობალიზაციის მიმდინარე ხანაში, ახალ გაგებას - „ევროპელობისა“. წინააღმდეგ შემთხვევაში, კითხულობს იგი, „რით განსხვავდება ჩვენი არქიტექტურა აუტანელი *kaasmeisjes*-სგან [ე.წ. „ყველის გოგონები“, ჰოლანდიაში, ტურისტთა გასართობად ტრადიციულ ტანსაცმელში ჩაცმული ქალბატონები, რომლებიც ყიდიან და არეკლამებენ ყველს], რომელთა ამოცანა იყო ჩვენი კულტურის მომხიბვლელობა გამოეფინათ საერთაშორისო კონგრესებსა და ბიზნეს-ფორუმებზე? გენეტიკური მასალის დაუსჯელმა რედუცირებამ და მისმა შემდგომმა კლონირებამ მიგვიყვანა სიტუაციამდე, როცა ჩვენ ყველანი ეროვნული იდენტურობის უხეში კარიკატურის ტყვედ ვიქეციო“. [6, 142]

აქედან ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ფუნდამენტალური დასკვნა: როტერდამის სკოლის და, ზოგადად, თანამედროვე ჰოლანდიური მოდერნიზ-

მის განსხვავება სხვა ქვეყნებისგან არის, სინამდვილეში, უარი განსხვავების არსებობაზე, ანუ უარი ეროვნულ იდენტურობაზე. "*Dutchness*" არ არსებობს; უფრო სწორად, მისი განმასხვავებელი მხოლოდ უარყოფითი თვისებაა - რედუცირებული ამბიცია და ინტელექტუალური ოპორტუნიზმი, და არა რაიმე ეროვნული კულტურიდან წამოსული პირობა. ადრე ჩვენ ვლაპარაკობდით სათქმელზე ხმამაღლა უარის თქმაზე - understatement, ან, იგივენაირად, *arte povera* ჰერცოგ დე მეირონის შესრულებით. ეხლა შესაძლებელი გახდა ლაპარაკი როტერდამის სკოლის ერთ საბაზო პირობაზე: მას არ გააჩნია რაიმე გამოვლინება, რომლის მოძიება ეროვნულ თავისებურებაში შეიძლება.

აქ იკითხება დიდი გაკვეთილი ქართული თანამედროვე არქიტექტურისათვის და თბილისის განვითარებისათვის. დროა ჩვენს შედარებით ახალ ქალაქში (რომლის ისტორიული შენობების უმრავლესობა ათვლას 1785 წლის შემდეგ იწყებენ) ავიღოთ ხელი ქალაქის განვითარების პოლიტიკის კრიტიკაზე სათვისტომოს, გარემოსა და მის ცალმხვრივ ჩანაცვლებაზე კულტურის პატივისცემაზე აგებული ძველი სამეზობლოების კოდით, სადაც ადგილი ექნება მხოლოდ გრძნობების სტიმულაციას და ძალდობრივ იდენტიფიკაციას. როტერდამის, როგორც ომისშემდგომი ქალაქის, სწრაფი არქიტექტურული განვითარება გვიჩვენებს, რომ მართლაც დროა მჭიდროთ მოდერნისტული, XXI ს. შესატყვისი არქიტექტურა ვაშენოთ უნაყოფო თეორიული დებატების ნაცვლად და ისტორიის, მეხსიერების, წარსულის შენარჩუნებით მოვახერხოთ ერთხელ და სამუდამოდ დავემშვიდობოთ სენტიმენტალიზმს.

ლიტერატურა:

1. Manfredo Tafuri, *Architecture and Utopia: Design and Capitalist Development*, The MIT press 1979
2. Francis Strauven, *Aldo van Eyck - The Shape of Relativity*, Architectura & Natura, Amsterdam 1998
3. Rob Wentholt, *De binnenstadsbeleving en Rotterdam,* AD. Donker, Rotterdam 1968
4. Rem Koolhaas, *Delirious New York,* The Monacelli Press 1994 (second edition)
5. O.M.A. Rem Koolhaas and Bruce Mau, *S,M,L,XL, ,* The Monacelli Press 1998 (second edition)
6. Hunch - The Berlage Institute Report, no.4, 2001
7. Foucault, M *Power/ Knowledge: Selected interviews and other writings*, 1972- 1977. New York: Pantheon.
8. Jan de Graaf, Wim Nijenhuis, and Ad Habets, *Measuring and Regulating the City,* Sun, 1981

Rotterdam Architectural School

Irine Tsuladze, Doctorant
Georgian Technical University
77 Kostava str, Tbilisi, Georgia

The article discusses Dutch neo-modernism and formation of Rotterdam architectural school in context with OMA and Rem Koolhaas. The main difference of Rotterdam architectural school and in general Dutch modernism between other countries is a rejection of any differences, or in other words, it is to say no to national identities. Rotterdamise neo-modernism of Rem Koolhaas and OMA is an intellectual condition, which is defining the main stream of modern architecture over last 30 years. OMA's work is a key to neo-modernism.

Holland and particularly Rotterdam from the beginning faced neo-modernism with comprehension and attention and till now it is the basic field of all its experiments, critical overvalues and diversifications.

Ротердамская архитектурная школа

Ирине Цуладзе, докторант
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава, 77

В статье идёт речь о Голандском неомодернизме в архитектуре и об образовании Ротердамской архитектурной школы в контексте с OMA и Рэмом Кулхаасом. Основное различие между Роттердамской архитектурной школой и в целом Голландским модернизмом с другими странами является отказ от каких-либо различий, или, другими словами, отказ от национальной идентичности. Роттердамский нео-модернизм Рема Кулхааса и OMA это интеллектуальное условие, которое определяет основной поток современной архитектуры за последние 30 лет. Работы OMA – ключ к пониманию неомодернизма.

Голландия, и особенно Роттердам с самого начала принял нео-модернизм с пониманием и вниманием, и до сих пор является основным полем его всех экспериментов, критических переоценений и диверсификацй.

ლანდშაფტური არქიტექტურა და კლიმატის ცვლილებები

თინათინ ხიმშიაშვილი
თბილისის სამხატვრო აკადემია
პროფესორი, დოქტორი

ბუნებრივი და ანტროპოგენური ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების შედეგად ქალაქში ფორმირდება თავისი განსაკუთრებული მიკროკლიმატი.

ქალაქის ტერიტორიის მიკროკლიმატის ყველაზე მეტად დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს „სითბოს კუნძულების“ არსებობა, რომლისათვის დამახასიათებელია ჰაერის ტემპერატურის ამაღლება გარეუბნებთან შედარებით. ღოგორც აღნიშნავენ მკვლევარები მილიონიანი ქალაქი ხასიათდება საკმაოდ მჭიდრო და მდგარადი „სითბოს კუნძულებით“, რომლებსაც 10 კმ-მდე დიამეტრიც, ხოლო ფართობი არა ნაკლებ 10 ათასი ჰა აქვთ.

ქ. თბილისში „სითბოს კუნძულებს“ რთული სტრუქტურა აქვთ, ამასთან ქალაქის განაშენიანების თითოეული კვარტალი წარმოადგენს სითბოს წყაროს არშემორტყმულ გაუშენებელი მონაკვეთებისათვის.

ქ. თბილისში ჰაერის საშუალო ტემპერატურე წლის ყველა სეზონში მის შემოგარენში ტემპერატურაზე მაღლაა.

ქალაქის ამაღლებული სითბური ეფექტი წელიწადში 0,1-დან 2-მდე მერყეობს. მაგრამ ზაფხულში ღამის სუსტი ქარის დროს ტემპერატურების სხვაობამ შეიძლება 2.0 მიაღწიოს, ძლიერი ქარების დროს ის ჩვეულებრივ კლებულობს. ქარის სიჩქარის გაზრდა ზაფხულის ღამის პერიოდში საჭიროა განხილული იქნეს როგორც ხელსაყრელი ფაქტორი, რაც აადვილებს თერმორეგულაციის საქმიანობას.

„სითბოს კუნძულის“ ამაღლებას ქალაქ თბილისში ხელს უწყობს აგრეთვე ზედაპირების მიერ მზის სითბოს გაზრდილი აკუმალაცია ალბედოს დაქვეითებით ასფალტს, ქვის საფარს, კედლებს, შენობებს თუნუქის სახურავებს ზაფხულობითუფრო მაღალი ტემპერატურე გააჩნიათ, რომელიც (40^0)-(60^0) აღწევს. ქ. თბილისში ზაფხულში ასფალტი ხურდება მზეზე 44^0-მდე, ბეტონი 41^0-მდე, ბალახი 32^0-მდე.

„სითბოს კუნძულის“ გადიდება ცუდად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ტემპერატურის ამაღლებისადმი ყველაზე მგრძნობიარე ბავშვები არიან როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, მიწისპირა ფენაში 50 სმ-მდე სიმაღლეზე ყალიბდება „საბავშვო კლიმატი“. აერის საზაფხულო ტემპერატურისას 25-30 ტემპერატურა ასფალტის ზემოთ იზრდება 40-50-მდე. პატარა ზბავშვები იტანჯებიან ორგანიზმის გადახურებისაგან. „სითბოს კუნძულის“ ინტენსიურობა დამოკიდებულია აგრეთვე მცხოვრებლების რაოდენობაზე ქალაქში.

„სითბოს კუნძულის“ არსებობა ქალაქშო შეიძლება განხილული იქნას როგორც სითბური გაბინძურება, დაკავშირებული სითბოს გამოყოფასთან ცხოველების, მიკროორგანიზმების მიერ ანტროპოგენური სითბოს გამოყოფით, განპირობებულს ჰაერის აირული და აეროზოლური გაბინძურებით, აგრეთვე ენერგეტიკული წყაროების თერმული ზემოქმედებით თბილისში. გარეუბანში წიაღისეული საწვავის, ნავთის, არირების და თერმული წყლების (გოგირდი) გამოყენებას მივყევართ სითბოს დამატებითი წყაროების წარმოშობამდე.

აეროზიული ნაწილაკების მაღალი კონცენტრაცია ქალაქის ატმოსფეროში ხელს უწყობს განმეორადობის გადიდებს მათ შორის განსაკუთრებული მდგარდი ნისლის ტიპი სმოგი, რომელთა წვეთები შეიცავენ ატმოსფეროს გამაბინძურებელი მინარევების მნიშვნელოვან რაოდენობას. გეომორფოლოგიური პირობები ხელს უწყობენ იმას, რომ სმოგს შეუძლია იარსებოს ქალაქის თავზე რამოდენიმე დღის განმავლობაში, რაც დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობის ჯანმრთელობას. ჰიგიენისტები წერენ: „გოგირდოვანი აირის და მისი წარმოებულების ზემოქსედება ადამიანსა და ცხოველებზე გამოვლინდა უპირველეს ყოვლისა ზედა სასუნთქი გზების დაზიანებაში. 1952 წელს 34 დღის განმავლოაში სმოგისაგან ლონდონში დაიღუბა 4 ათას კაცზე მეტი. თვით ნისლი არ არის საშიში ადამიანის ორგანიზმისათვის, ის ხდება მავნე მხოლოდ მაშინ, როდესაც მეტისმეტად გაბიძურებულია ტოქსიკური მინარევებით.

ქ. თბილისის გარეუბანში წყნეთის მთიდან თითქმის ყოველ დილით შეიძლება დავინახოთ ქალაქზე დაკიდული კვამლის საბურველი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს კვამლი გროვდება დაბალ ნიშნულზე ტემპერატურული ივერსიის გამო, გამოწვეულს ღამის რადიაციით.

ქ. თბილისის ჰაერის თხელი ქვედა ფენა, რომელიც შეიცავს აეროზოლური ნაწილაკების ყველაზე მეტ რაოდენობას, ამცირებს მზის რადიაციას. როგორც ცნობილია, მზის პირდაპირი რადიაციის თვიური და წლიური ჯამი მართობულ ზედაპირზე განპირობებულია მხოლოდ ატმოსფეროს საერთო გამჭირვალობით. რაც შეეხება არეკვლითი უნარის (ალბედო) ცვლილებას, ის იცვლება 17%-დან ზაფხულში 20-21%-მდე ნოემბერში, დეკემბერსა და იანვარში.

გარდა ამისა აეროზოლის კონცენტრაციის გაზრდა ქლაქის თავზე ამცირებს ულტრაიისფერი გამოსხივებას საშუალოდ 30%-ით (ზამთრის თვეებში ის შეიძლება მთლიანად გაქრეს). ულტრაიისფერი სხივები უდიდეს ფიზიოლოგიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე. როდესაც ქალაქ თბილისში სმოგი ჩრდილავს ულტრაიისფერ სხივებს, მაშინ ქალაქელების პირსახე ავადმყოფური და ფერმკრთალი ხდება. ამ შემთხვევებში, კერძოდ ბავშვებში, ავადდებიან რახიტით.

აეროზოლის კონცენტრაციის გაზრდისას მკვეთრად მცირდება აგრეთვე მზის ციალის ხანგრძლივობა 5-15%-ით.

გარდა ამისა ძირითად, ნივთიერებებს უნდა მიეკუთვნოს პრიორიტეტული ნივთიერებებიც. კვლევებმა აჩვენეს, რომ პრიორიტეტულ ნივთიერებებს,

რომლებიც ქალაქ თბილისის ატმოსფერულ ჰაერს აბინძურებენ, მიეკუთვნებიან რიგი ლითონური ელემენტები, რომელთა შორის გამოირჩევა ტყვია, ქრომი, მანგანუმი და ვანადიუმი. ამ ელემენტების ჰაერში კონცენტრაცია და ატმოსფეროდან მათი გამოყოფის რაოდენობა ქვეფენილ ზედაპირზე ინტენსიური ანტროპოგენული ზემოქმედების რაიონებში 2-6-ჯერ აღემატება მათ მნიშვნელობას მთლიან რაიონებში.

ქალაქის გარემოს გაბინძურება მავნედ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. იგიენური კვლევების მონაცემებით დადგენილია ქ. თბილისში ჰაერის გაბინძურების დონისაგან დაავადებების სხვადასხვა სახეობების, მათ შორის ფილტვების კიბოს, ზრდის დამოკიდებულება. რახელსაყრელ საჰაერო გარემოიან რაიონებში ცხოვრებასთან იზრდება ქრონიკული არასპეციფიური ფილტვების დაავადებების, ქრონიკული პნევნომებისა და ბრონქიალური ასტმის შემთხვევები.

ქ. თბილისს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ბრონქიალური ალერგიით დაავადებებთან.

როგორც ჰიგიენისტები აღნიშნავენ, ინფექციური დაავადებების დონე ქალაქის მაცხოვრებლებს შორის (ანგინისა და გრიპის გარეშე) 2-ჯერ და მეტად აღემატება ამგვარს სოფლის მაცხოვრებლებში.

ატმოსფერული გაბინძურების ზემოქმედების ქვეშ ხდება შენობებისა და ნაგებობების, ისტორიის, არქიტექტურის და კულტურული ძეგლების რღვევაც.

ჰაერის გაბინძურება მნიშვნელოვნად აძლიერებს ლითონის ნაკეთობათა კოროზიას.

ატმოსფერული ჰაერის გაბინძურებისაგან იტანჯებიან ცხოველები. მაგალითად, სპილენძსადნობი ქარხნების ნარჩენები (ქლორი, დარიშხანი, სტიბიუმი) იწვევენ შინაური და გარეული ცხოველების, რომლებიც ამ ნივთიერებებით გაბინძურებული ბალახით იკვებებიან, დაღუპვას.

ანტროპოგენური ზემოქმედება გარემო არეზე დამღუპველად მოქმედებს მცენარეულობაზე. მწვანე ნარგავები ქალაქ თბილისში, განსაკუთრებით მათი პატარა მასივები და რიგითი ნარგავები (ცენტრალურ რიონებში), ძლიერ დაბეჩავებული არიან უარყოფითი კომპლექსების: საჰაერო აუზისა და ნიადაგის გაბინძურებით, ფიზიკური დატვირთვებით და ელექტრომაგნიტური გმოსხივებით, საკვები ნივთიერების გაღარიბებით, ტყვიითა და სხვა შხამიანინივთიერებებით გაბინძურების გავლენით. თუ ტყეში ცაცხვი აღწევს 300-400 წლის ასაკს, ქალაქის პარკებში მხოლოდ 125-150 წელს, ხეივნებსა და ქუჩებში 50-80 წელს.

მცენარეებისათვის განსაკუთრებით დამღუპველია მათზე გოგირდოვანი აირის ზეგავლენა, ყველაზე მასობრივი გამაბინძურებლის, რომელიც შეღწევს რა ფოთლებში, ბადეებიდან, რეაქციაში შედის ქროლოფილში შემავალ რკინასთან, ხოლო შემდგომ იქვევს ქლოროფილის დაშლას და უჯრედის დაღუპვას. გოგირდოვანი აირის ხანრგძლივი ზემოქმედებისას დაზიანება ყველაზე ადრე ვლინდება მუხასა და ფიჭვში. ყველაზე უკეთესად თბილისის რაიონებში ამ აირს ეგუებიან ელდარის და შავი ფიჭვის, ამერიკული ნეკერჩხალი, იფანი.

მცენარეულობის და კერძოდ, ტყეებისა და ბაღების სასიკეთო გავლენაზე ქალაქის მიკროკლიმატზე, მითითებული იყო ჯერ კიდევ ძველ დროსა და შუა საუკუნეებში. მრეწველობის განვითარებას, ქალაქისა და ქალაქის განაშენიანების თავმოყრის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მიმზიდველი ხდება ქალაქის მწვანე მასივების შექმნის იდეა.

მწვანე ნარგავები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, უპირველეს ყოვლისა, ქალაქის მიკროკლიმატის გაჯანსაღებაში. სიდიდე, ხასიათი, მწვანე საფარის განთავსება გავლენას ახდენს ატმოსფეროს მდგომარეობაზე, ტემპერატურულ – რადიაციულ, ტენიანობის, ქარის, ხმაურის რეგულირების დონეზე, ვიბრაციაზე და ა.შ. მწვანე საფარი გვეხმარება ვებრძოლოთ ჰაერის მტვრით, ჭვარტლით გაჭუჭყიანებას, ერთი მხრივ ამცირებს და დამტვერიანების ზედაპირზე, ხოლო მეორე მხრივ, აკავებს რა გაბინძურებული ჰაერის ნაკადების მოძრაობას. მწვანე ტერიტორიების ჰაერი ნაკლებად დამტვერიანებულია, ვიდრე მწვანე საფარის გარეშე ადგილებში (ბუნებრივია მცენარეების სხვადასხვა სახეობებს სხვადასხვა მტვერდამცავი უნარი აქვთ).

როგორც ცნობილია, სიმწვანე ხელს უწყობს ჰაერში მოლივლივე ბაქტერიების რაოდენობის შემცირებას, ადიდებსატმოსფეროს გამჭირვალობას, და ამით თვით მზის, ულტრაიისფერი სხივების რადიაციის ინტენსიურობას. მწვანე საფარები გავლენას ახდენენ ჰაერის ტენიანობაზეც. ტენის დიდი აორთქლებისა და გამწვანებულ რაიონებში ქარის სიძლიერის შემცირების გამო ფარდობითი ტენიანობა უფრო მაღალია.

ქ. თბილისში ჰაერის ტემპერატურის ამაღლებასთან სწრაფად იზრდება ტენიანობის დეფიციტი. მისი განასკუთრებით შესამჩნევი ზრდა აღინიშნება მაისში, ივნისსა და ივლისში.

მწვანე საფარი ამცირებს ღამის რადიაციასაც (მიწის მიერ დღის განმავლობაში დაგროვებული სითბოს გაცემას), ამასთან ნიადაგთან ახლომყოფ ატმოსფერული ფენების ტემპერატურული მერყეობები უფრო ზომიერი ხდება. მწვანე მასივების სიახლოვეს ჰაერის ტემპერატურა ქალაქში ზამთარში უფრო მაღალია, ხოლო ზაფხულში დაბალი, ვიდრე განაშენიანებულ ტერიტორიაზე შენობების ირგვლივ. ამიტომაც თბილისის დაგეგმარებისას საჭიროა სწორი ლანდშაფტურ-არქიტექტურული მიდგომა.

მწვანე ნარგავები აუმჯობესებენ ჰაერის ქიმიურ შემადგენლობას: ჰაერის მოძრაობა ხელს უწყობს მავნე აირების მოშორებას: უფრო გრილი ჰაერის გავლენით, მომდინარეთ მწვანე ნარგავებიდან, აირებით გაბინძურებული თბილი ჰაერის ნაკადები იზრდებიან ატმოსფეროს ზედა ფენებში.

მცენარეულობა ასუფთავებს დასახლების ჰაერს წვის სხვადასხვა პროდუქტებითა და სხვა მავნე აირებით გაბინძურებისაგან. როგორც ცნობილია, მწვანე ნარგავები ხელს უწყობენ ატმოსფეროს ქიმიურ და ბიოლოგიურ გაწმენდას.

ქ. თბილისის საქალაქო საზღვრების ფარგლებში მწვანე ნარგავების განაწილების არათანაბრობა, აგრეთვე პარკებს, ბაღებს, სკვერებს, ხეივნებს, ხეებს და დანარჩენ მწვანე ნარგავებს შორის კავშირების ფუნქციონალური კომპოზიციები ზემოაღნიშნული არყოფნა გავლენას ახდენს არამარტო ქალაქის ლანდშაფტზე, არამედ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე მთლიანობაში, ვინაიდან ვრცელი მწვანე ნარგავების უქონლობა იწვევს შემდეგ არახელსაყრელ მოვლენებს: გვალვიან კლიმატს დიდ ქარიანობას ახალ კვარტალში, ნიადაგის გამტვერიანებას, ქალაქის ჰაერის გაბინძურების მარალ დონეს.

Landscape Architecture and Climate Modifications

Tinatin Khimshiashvili
Tbilisi Academy of Art
Professor, Doctor

Due to joint impact of natural and anthropogenic factors, specific micro-climate is formed in urban area. "Warm isles" - green covers of urban area positively affect modifications of urban climate.

The article discusses connection between urban climate modifications and elements of landscape architecture.

Ландшафтная архитектура и изменения климата

Тинатин Химшиашвили
Тбилисская художественная академия
Профессор, доктор

В результате совместного воздействия естественных и антропогенных факторов в городе формируется свой особый микроклимат. «Острова тепла» - зеленые покровы города оказывают положительное влияние на изменения климата города.

В статье рассмотрена связь климатических изменений города с элементами ландшафтной архитектуры.

ბიოკლიმატური არქიტექტურა

ასისტენტ პროფ. მაია ჯავახიშვილი
დოქტორანტი ბელა თინიკაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას ქ.№77

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ენერგეტიკა არის თანამედროვე კაცობრიობის მამოძრავებელი ძალა. ტექნიკის, ეკონომიკის, თუნდაც სოციალური პრობლემების მოგვარება წარმოუდგენელია ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტის გარეშე. ტრადიციული საწვავი ჯერ-ჯერობით წარმოადგენს ენერგიის ყველაზე გავრცელებულ, ხელმისაწვდომ წყაროს. მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა მითი ულევი ენერგეტიკული რესურსების შესახებ რეალობად იქცევა. ამიტომ, გახდა აუცილებლობა ტრადიციული წყაროების ჩანაცვლება განახლებადი ალტერნატიული ენერგიებით.

1993 წელს ბერლინში არქიტექტორების მიერ ხელმოწერილი იყო ევროპის ქარტია მზის არქიტექტურის შესახებ. სულ 30 ხელმოწერაა, მათ შორის ნორმან ფოსტერის, რიჩარდ როჯერსის, ნიკოლას გრიმშოუსი,.. "**European Charter for Solar Energy in Architecture and Urban Planning**" ქარტიაში ნათქვამია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ენერგიის ნახევარი მიდის სამშენებლო მასალების წარმოებაზე და შენობათა ექსპლოატაციაზე, ამიტომ არქიტექტორებს აქვთ დიდი პასუხისმგებლობა, რადგან შენობა ბუნებრივი რესურ-

სების აქტიური მომხმარებელია და დიდი რაოდენობით გამოყოფს ქიმიურად აქტიურ ნივთიერებებს, აბინძურებს ატმოსფეროს.

"თანამედროვე არქიტექტურა" ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნეში - მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისა და ტემპების დაჩქარების, ახალი მასალებისა და კონსტრუქციების ზეგავლენით. მისი მასშტაბები დიდი და მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ამავე დროს ნათლად ჩანდა შეუსაბამობა საზოგადოების რეალურ მოთხოვნებთან, განსაკუთრებით იქ, სადაც უნდა გათვალისწინებულიყო ბუნებრივი, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები როგორიცაა ბუნებრივი გარემოს სპეციფიკა, ადგილის თავისებურებანი.

ურბანიზაციის ზრდამ დაასუსტა ადამიანის კონტაქტი ბუნებასთან. მის ყოველდღიურობას შეადგენს ქალაქის ხელოვნური გარემო – მრავალსართულიანი სახლებით, ხმაურიანი ქუჩებით, ქვით, ასფალტით, გაჭუჭყიანებული ჰაერით. თანამედროვე ურბანიზებულმა გარემოს მეორადმა ბუნებამ გაანადგურა პირველი, ნამდვილი. მაშინ "*ბუნება ქალაქისაგან დაშორებული, მოწყვეტილი, ქუჩებიდან გაგდებული იწყებს აღორძინებას ნაგებობათა შორის. არქიტექტურული პრობლემების ამ მიმართულებით გადაწყვეტის მცდელობა არის ის, რასაც ვუწოდებთ არქიტექტურისადმი ეკოლოგიურ მიდგომას*" (ა. გუტნოვი).

დღეს 21-ე საუკუნეში ეს კონფლიქტური სიტუაცია, რომელმაც წარმოქმნა ასეთი მიდგომა, წარმოჩნდა სრულიად გამოკვეთილად. აღარ არის უცხო ტერმინი "**green building** " - ***მწვანე შენობა***, ამასთან, შენობა ინოვაციურია, რადგან საჭირო ენერგიის გამომუშავებისთვის იყენებს ალტერნატიულ წყაროებს. ეს კი უზრუნველყოფილია კარგად დამუშავებული ტექნოლოგიებითა და სპეციალური სამშენებლო მასალის გამოყენებით. შედეგად იქმნება ადამიანის ცხოვრებისათვის ჯანსაღი სივრცე. არქიტექტურა შევიდა სახეცვლილებების აქტიური, რადიკალური გარდაქმნის სფეროში. სახეზეა მნიშვნელოვანი შედეგები.

წინგადადგმული ნაბიჯია მალაიზიელი არქიტექტორის კენ იანგის მიერ 1994 წელს მალაზიაში დაპროექტებული 80 სართულიანი კოშკი. "ბიოკლიმატური ცათამბჯენი"- ასე მოიხსენიებს არქიტექტორი თავის ობიექტს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ შენობა "ცხოვრობს" ბუნების კანონებით: მცენარის მაქსიმალურად შეყვანა, ბუნებრივი განიავება, სწორი ორიენტაცია, ფორმა, მზისგან დამცავი მოწყობილობა, სართულების მონაცვლეობით შექმნილი შუალედური სივრცეები გარემოსა და ინტერიერს შორის - ეს გახლავთ პროექტირება კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის "ბიოკლიმატური არქიტექტურის" საფუძველი.

"ბიო" – ბერძნული სიტყვაა "ბიოს" – სიცოცხლე, ცხოვრება, ხოლო კლიმატი- "კლიმატოს"- ბერძნულად დახრას ნიშნავს. ძველ საბერძნეთში კლიმატურ სახესხვაობას უკავშირებდნენ მზის სხივების დახრას ზედაპირის მიმართ.

გამოთქმა "ბიოკლიმატური არქიტექტურა" აერთიანებს მრავალ სხვადასხვა ცნებას, რომლებიც შეიძლება წარმოვადგინოთ განზოგადებული სახით, როგორც საპროექტო გადაწყვეტილებების კომპლექსი განახლებადი ენერგომატარებლების მეშვეობით შენობაში ადამიანის ცხოვრებისათვის ჯანსაღი პირობების უზრუნველსაყოფად. შენობის შიდა სივრცეში აუცილებელ ცვლილებებს უნდა არეგულირებდეს თვით შენობის ფორმა, ორიენტაცია, თერმორეგულაცია და გაბარიტები. "ბიოკლიმატურ" შენობას უნდა ჰქონდეს უნარი იყოს ცვალებადი წელიწადის დროის შესაბამისად: ცივ პერიოდში დაკარგოს უმცირესი სითბო, ზამთარში დააგროვოს მზის ენერგია, ცხელ

ამინდში კი შეეძლოს მზის დასხივების არეკვლა. რისთვისაც აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს შენობის ფორმასა და ორიენტაციაზე. შენობის ფორმა განაპირობებს მზის გამოსხივებისა და სითბოს სასარგებლო ეფექტს. შენობის ორიენტაცია- შენობის სიბრტყეების სიდიდეს, რაც ახდენს გავლენას მზის ენერგიის დაგროვებასა და ქართან ურთიერთქმედების შესაძლებლობაზე.

ადამიანთა საზოგადოების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე არქიტექტურა მჭიდროდ იყო დაკავშირებული კლიმატთან, ბუნებრივ გარემოსთან. ადამიანი წყვეტდა სამშენებლო პრობლემებს ადგილის კლიმატური პირობებიდან და ბუნებრივი სამშენებლო მასალიდან გამომდინარე. ჯერ კიდევ უძველესი დროიდანაა მიღებული, რომ რეგიონალური შეგუება არქიტექტურის არსებითი პრინციპი იყო.

ბუნებრივი პირობების გამოყენების ნიმუშია ინდიელების დასახლება **მესა ვერდე (Mesa Verde),** კოლორადოში (1200 წ. ჩვ.წელთაღრიცხვამდე).

ეს დასახლება, ჰორიზონტალურადაა ჩაშენებული სამხრეთის მხარეს გახსნილ კლდეში. ზაფხულში დაცულია მზის სხივებისგან, ზამთარში - პირიქით. მასიურ კლდეში განთავსებული ნაგებობები, უზარმაზარ თერმულ ენერგიას ფლობენ, რაც "წლის განმავლობაში" უზრუნველყოფს კომფორტულ საცხოვრებელ პირობებს. მესა ვერდეს დასახლებაში გამოქვაბულებისა და შენობების უეთიერთშეთავსება ენერგიის გარკვეულ კოლექტორს წარმოადგენს. ზამთარში ჩამავალი მზის სხივები ჰორიზონტზე დაბლაა და უკეთესად აღწევს გამოქვაბულში, სითბო გროვდება კლდეში და ნაგებობების აგურის კედლებში. მზის ჩასვლის შემდეგ ეს სითბო ნელა გადაეცემა შიდა სივრცეს. იქმნება ადამიანისთვის ჯანსაღი მიკროკლიმატი. დღის განმავლობაში ინდიელთა ცხოვრება ძირითადად მიმდინარეობს შენობის შიგნით. ეს არის ჩაშენებული ნაგებობა ცეცხლის კერიით ცენტრში ე.წ **"კივა"(Kiva)**. აქ ჰაერის ცხელი და ცივი ნაკადების მუდმივი ცვლა უზრუნველყოფს ბუნებრივ ვენტილაციას.

ჩრდილოეთ სახარაში, კლდის "ხამადა"–ს მაღალ პლატოზე მდებარე

გამშრალი მდინარე უედი-ს ხეობაში (ალჟირი), აღმოცენებულია ქალაქთა შორის ყველაზე საინტერესო ქალაქი **გარდაია** (***Ghardaia***). ისტორია კი ასეთია: ახალი წელთაღრიცხვით 1000 წ. იბარიტებმა, წარმომავლობით პალესტინიდან, იძულებით დატოვეს თავისი მიწები იქ გაჩაღებული ძმათამკვლელი ომების გამო. ათეული წლების მანძილზე უზარმაზარი შრომით მათ უდაბნოში შექმნეს ხელოვნური ოაზისი, და დღემდე სარგებლობენ ამ გამარჯვებით. სახარაში მათ მიერ შექმნილია ყველაზე დიდი წყლის ნაკადების შეგროვების სისტემა: მთელი რიგი კაშხალები და ხელოვნური ზღუდეები, რომლის მეშვეობით იშვიათად მოსული წვიმის წყლის ნაკადები

კლდეში დასერილი სპეციალური არხებით ჩაედინება უძველესი მდინარის კალაპოტების ნიადაგის ქვეშ. ასე გროვდება წყლის მარაგი 30-60 მეტრის სიღრმეზე შექმნილ ხელოვნურ ჭებში. აქ თერმული მერყეობა მაღალია. ტენიანობა მცირე. ხშირია ძლიერი მტვრიანი და ქვიშიანი ქარიშხლები. ნშვიათადაა კოკისპირული წვიმა. ინტენსიურია მზის რადიაციაც. ამ კლიმატურ ზონას უწოდებენ "უდაბნოს უდაბნოში". ქალაქებში შენობები აგებულია ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული ქვის ძალიან სქელი კედლებით. შექმნილია დიდი საცხოვრებელი სივრცე, მიმართული მზისაკენ. დღის განმავლობაში სქელი კედელი იკრებს სითბოს მარაგს, ღამე კი გასცემს ამ სითბოს, შენობის შიგნით. სითბოს კიდევ ერთი წყაროა სამზარეულო. აქ ორი კერიაა. შიდა კერიაზე ზამთარში საჭმელს ამზადებენ და ერთდროულად შენობას ათბობენ. გარე კერიით კი სარგებლობენ ზაფხულში. ზაფხულში სამხრეთით გახსნილი პორტიკები აკავებენ მზის სხივებს. კირით გათეთრებული კედლები კი არეკლავენ მათ. ზამთარში პირიქით, მზის სხივები ჰორიზონტზე დაბლაა და სათავსოებს ავსებენ სითბოთი და სინათლით. საცხოვრებლის ტიპიური ელემენტია -"კიბეკი" ფანჯრის შემცვლელი ერთგვარი ოთხკუთხა ნაწილობრივ დახურული ნახვრეტი ჭერში. ეს ე.წ. სინათლის წყარო ზაფხულში ჰაერის კონდიცირებასაც ახდენს.

იტალიაში ხმელთაშუა ზღვაში მდებარეობს კუნძული **პანტელერია**. კუნძული გამოირჩევა ცხელი კლიმატით, ნალექების უმნიშვნელო რაოდენობით და ძალიან ძლიერი ქარებით. ქარისა და მზისგან ადამიანის დასაცავად შექმნილია ნაგებობა სახელად **"დამმუზო" (Dammuso).** დამმუზო, რომელიც პასუხობს მშენებლობის ძირითად ბიოკლიმატურ პრინციპებს.

"დამმუზო" შენდებოდა ვენახის ტერიტორიაზე, როგორც მევენახეთა საცხოვრებელი. კუნძულზე ათასობით "დამმუზოა" გაფანტული. ნაგებობის სახურავი გუმბათის ფორმისაა, წყალგაუმტარია, სახურავიდან გადმოსული წვიმის წყლის მარაგი გროვდება ცისტერნებში. შესასვლელი კარი მხოლოდ ერთია, ფანჯრები საერთოდ არ აქვს, ნშვიათად შიდა სივრცის გასანიავებლად შეიძლება გაიჭრას კედელში მცირე ზომის ღიობი.



ნამდვილი "დამმუზოს"კედლები სისქით 80 სმ-დან 2 მეტრამდეა, აგებულია ორი ფენის მსხვილი ქვებისგან, მშრალი წყობით, მათ შორის ადგილები შევსებულია შედარებით წვრილი ქვებით. შიდა სივრცე საცხოვრებლად იმდენად ხელსაყრელია, რომ თითქმის ორი საუკუნის წინ ეს დროებითი ნაგებობა კუნძულზე მუდმივ საცხოვრებლად გადაიქცა. ტიპიური "დამმუზოს" აგვისტოში დღისა და ღამის ტემპერატურა თითქმის უცვლელია.

აპულია იტალიის რეგიონია სამხრეთ-აღმოსავლეთით. აპულიის ცხელ კლიმატში, ჰაერის კონდიცირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თერმულ რეგულირებას, რომლის ფუნქციას ასრულებს ქვის მშრალი წყობის მეთოდით. აშენებული ტრადიციული გუმბათიანი სახლები ე.წ. "**ტრულო**". ის დღისით შთანთქავს მზის სითბოს, ღამით კი გასცემს მას. ამით არეგულირებს შენობის

შიგა ტემპერატურულ რეჟიმს.

უკიდურესი ჩრდილოეთის ძალიან მკაცრი ზამთარი ძლიერი ქარებით, მძიმე თოვლის საფარით, გრძელი პოლარული ღამეებით აიძულებს ადამიანს იცხოვროს უმძიმეს სტრესულ პირობებში, რომლის სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგები ჯერ კიდევ კარგად არაა შესწავლილი. არქიტექტორმა, რომელიც მთლიანად აცნობიერებს თავის ამოცანას, არ შეიძლება არ მიიღოს ეს მხედველობაში. არქიტექტორი **რალფ ერსკინი** აპროექტებს მთელი ქალაქისოდენა მეგასტრუქტურას ადამიანის გასამარჯვებლად მტრულად განწყობილ გარემოზე.

სუბარქტიკული ქალაქის მაკეტში სიზუსტითაა გამოყენებული შენობის ორიენტაციის ზოგიერთი თეორიული პრინციპი: ქალაქი განლაგებულია ერთმანეთთან დაკავშირებულ ტერასებზე, რომლებიც ქმნიან დასავლეთისკენ მიმართულ უზარმაზარ ნახევარ წრეს. ჩრდილოეთიდან მას იცავს მრავალსართულიანი უწყვეტი შენობების მასივი, დასერილი სხივისებური და წრიული ქუჩებით. ქუჩებში მოძრაობა ხდება ორ დონეზე: ზედა ქუჩებზე – ზაფხულში, ქვედაზე - ზამთარში.

ერსკინი აღრმავებს თემის განვითარებას რადიკალური წინადადებით - თავისებური გიგანტური გარსის მშენებლობით, რომლის ქვეშ არქიტექტორი მოიაზრებს ქალაქში ადამიანისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას, ზომიერი კლიმატის უზრუნველყოფით.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არქიტექტურაში კლიმატის უგულვებელყოფა, კლიმატისა და განსაკუთრებით მის ფიზიოლოგიურ მოქმედებისა ცოცხალ ორგანიზმზე. კლიმატთან საჭიროა არა მხოლოდ მისადაგება, არამედ მისგან უნდა ავიღოთ ყველა ის სასარგებლო ადამიანისთვის, რაც მასში არსებობს. მითუმეტეს რომ დღეს ცნობილია მრავალი მნიშვნელოვანი კანონზომიერება, სახეზეა მდიდარი ტექნოლოგიები, ტექნიკური საშუალებები და ისტორიული გამოცდილება.

1904 წელს რაიტმა ბუფალოში (ნიუ-იორკი) დააპროექტა ადმინისტრაციული შენობა "**ლარკინ ბილდინგი**". მის წინაშე იდგა ამოცანა - ჩაესვა შენობა კვამლით დაბინძურებულ გარემოში. მან გამოიტანა მოცულობის გარეთ დახურული კიბის უჯრედები ე.წ. "კოშკები". "კოშკების" ზედა ნაწილებში მოხვედრილი ჰაერი გადადის ნახევარსარდაფებში, იწმინდება, თბება, კვლავ მიემართება ზემოთ და ნაწილდება ყველა სართულზე. შექმნილი ჯანსაღი მიკროკლიმატი დაუპირისპირდა დაბინძურებულ გარემოს. შენობის სახურავზე დაბინძურებული ჰაერის დონის ზემოთ მოწყობილია დასვენებისა და გართობის ზონა.



ბიოკლიმატური არქიტექტურის ნიმუშია 1909 წელს ჩიკაგოში აშენებული **რობი ჰაუზი (Robie House).** ამ პერიოდისთვის ეს ნოვატორული გადაწყვეტილება იყო. ჩიკაგოს კონტინენტური კლიმატის გათვალისწინებით და შენობის ფორმის გადაწყვეტის საშუალებით რაიტმა შექმნა კომფორტული მიკროკლიმატი. სუფთა ჰაერის და მზის სხივების შენობაში შესაღწევად ფართოდ გახსნა

ფანჯრები და შიგ "შემოუშვა" გარემო ლანდშაფტი, ხეები, ყვავილები. ამით სახლი და გარემო აქცია ერთიან ორგანიზმად. სახურავის შვერილები ისეა გათვლილი, რომ სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან ზაფხულში და ზამთარშიც არეგულირებენ მზის მოქმედებას, რაც მათ სპეციფიკურ ბიოკლიმატურ ფუნქციას სძენს. ამავე დროს სახურავის უმნიშვნელო დახრა ზღუდავს მის ქვეშ ჰაერის მოძრაობას, რის გამოც ვენტილაციის უზრუნველყოფა ხდება ბუხარში მოწყობილი დამატებითი გამწოვის მეშვეობით. ეს კიდევ ერთი ტექნოლოგიური სიახლეა, რომელიც რაიტმა ამ სახლში გამოიყენა

შემოსასვლელი ეზო მდებარეობს ჩრდილოეთით და დაცულია ჩიკაგოსთვის დამახასიათებელი ზამთრის ცივი ქარებისაგან, ის ზაფხულში გრილია და დაჩრდილული. შენობის პირველ სართულს ჩრდილავს სამხრეთიდან მოსაზღვრე ტერასული სასტუმრო ეზო, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სუფთა ჰაერის რეზერვუარს.

1908 წელს **რობერტს ხაუზში (Isabel Robert House**) სახლის გეგმა ჯვრის ფორმისაა. ამით მიღწეულია ოთახებში ბუნებრივი განათება სამივე მხრიდან. აქ სიახლეს წარმოადგენს განსაკუთრებული ღრუტანიანი აგურის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს ჰაერის მოძრაობას ბუხარში. წყლის გამათბობელი სისტემები, ბატარეების განლაგება, თბილი იატაკის მოწყობა, ყველა ეს გათბობის სისტემა პარალელურად მოქმედებს პროექტში გათვალისწინებული ბიოკლიმატური ფაქტორებთან ერთად.

ამ ობიექტებში გამოჩნდა რომ საჭიროა გავითვალისწინოთ ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა შენობის სხვადასხვა ნაწილებით განხორციელდეს ვენტილაცია, უზრუნველყოს ჩრდილი, სითბო, სინათლე, დასასვენებელი ადგილი, გამწვანება, ხედი, ინტიმურობა.



რაიტმა 1950 წელს ვაიმეაში დააპროექტა ე.წ. პასიური მზის სახლი **(Solar Hemicycle**). ის გეგმით ნახევარწრიული ფორმისაა, გაშლილი 120 გრადუსით. ჩრდილოეთის მხარეს ყრუ კედლის პირველი სართული მთლიანად მიწაშია ჩაფლული. ამით რაიტმა გამოიყენა ნიადაგის ტემპერატურის მდგრადობა და ნაგებობის "ჩამიწებით" მოახერხა მინიმუმამდე დაეყვანა სითბოს დანაკარგები ზამთრის პერიოდში და სიგრილე შეენარჩუნებინა ზაფხულში. სამხრეთის კედელი მთლიანად შემინულია ორმაგი მინაპაკეტით და აქვე გაჭრილია კარები. სამხრეთის მხრიდან გადმოწეული სახურავი იცავს მინის კედელს გადახურებისაგან ზაფხულის პერიოდში, ხოლო ზამთარში უზრუნველყოფს მზით განათებას. მეორე სართულზე ასასვლელი კიბე და დამხმარე სათავსოები ჩრდილოეთის კედელთანაა განლაგებული.

ალვარ აალტო შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი პოზიციაა ადამიანის, როგორც ბუნების ნაწილის ყოფის და მოღვაწეობის გააზრება. ეს ძალიან ნათლად ჩანს მის ნაგებობებში, მათი გაბარიტებიდან, დანიშნულებიდან და ადგილმდებარეობიდან. უკვე პირველ მნიშვნელოვან ნამუშევრებში აალტომ შეძლო წინ წამოეწია ფუნქციის თავისებური ხედვა. საყოველთაოდაა ცნობილი არქიტექტურული გადაწყვეტა, რომელიც საფუძვლად უდევს ფინეთში ქ. პიამიოში აშენებულ გამაჯანსაღებელ სანატორიუმს (1930-31 წწ). იზოლირებულ ტერიტორიაზე მდებარე თავისუფალი გეგმარების

სანატორიუმის კომპლექსი გარემო პეიზაჟის განუყოფელი ნაწილია. ”ნამდვილი არქიტექტურა არის მხოლოდ იქ, სადაც ცენტრში არის ადამიანი მთელი თავისი ტრაგედიებით და კომედიებით”. ავადმყოფთა პალატების ორიენტაციით, უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათება, სათავსოებში ვენტილაციის მეშვეობით ოზონით მდიდარი სუფთა ჰაერის მიღება. სანატორიუმის დიდი და მაღალი სასადილო დარბაზი მიმართულია სამხრეთისკენ და განათებულია მზით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩრდილოეთის ქვეყნისთვის. მზის სხივებისაგან დასაცავად სათავსოების ფანჯრების წინ დამაგრებულია მარკიზები და ჟალუზები. დასასვენებელი ოთახებიდან იშლება გარემოს მშვენიერი პეიზაჟი. დასასვენებელი ოთახების ნაწილი მთელი დღის განმავლობაში ჩრდილშია მოქცეული, ნაწილი კი მზიანია, ისე რომ შეიძლება არჩევანის გაკეთება. სანატორიუმის სოლარიუმიც დაპროექტებულია ავადმყოფთა საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით. მოწყობილია გამწვანებული ტერასები პერსონალისთვის. სოლარიუმს ემიჯნება ბაღი, რომელიც ამცირებს გადახურებას ზაფხულის თვეებში.

ძალიან ფრთხილი დამოკიდებულება ბუნების მრავალფეროვნებისადმი აალტოს შემოქმედებაში გამოვლინდა განსხვავებული ფორმებით. განსაკუთრებულ უპირატესობას თავის პროექტებში იგი ანიჭებს ბუნებრივ განათებას.

1930-1935 წელს აალტო აპროექტებს საქალაქო ბიბლიოთეკის შენობას ვიბორგში. ბიბლიოთეკის ყველა ფუნქციური ჯგუფი დაკავშირებულია ერთმანეთთან და მოთავსებულია შენობის ცენტრის ერთ დიდ ნაწილში, წიგნსაცავითა და სამკითხველო დარბაზებით. ბიბლიოთეკის კორპუსი დაპროექტებულია ძირითადად ტიხრების გარეშე, აქვს აგურის სქელი კედლები, რომელთა შიგნით გადის სავენტილაციო არხი. სამკითხველო დარბაზებში აალტომ შეძლო განათების ისეთი სისტემის შექმნა, სადაც ჭერზე თანაბრად განლაგებული მრგვალი ღიობებიდან დარბაზში შემოსული გაფანტული სინათლით უზრუნველყოფილია კითხვისათვის ოპტიმალური პირობები, ხოლო წიგნები დაცულია მზის პირდაპირი სხივებისგან. ამ შემთხვევაში ჭერი გათბობის წყაროსაც წარმოადგენს. ბიბლიოთეკის სალექციო დარბაზში აკუსტიკის გასაუმჯობესებლად მოწყობილია ხის ტალღოვანი შეკიდული ჭერი.

აალტოს შემოქმედებაში ხშირად გვხვდება ეზოს, როგორც ინტერიერისა და გარემოს დამაკავშირებული რგოლის ირ-გვლივ სივრცის ფორმირება. ამ მხრივ საინტერესოა მისი ჩანაფიქრი, რომელიც საფუძვლად დაედო **არქიტექტურული სახელოსნოს** კომპოზიციას.

აალტოს საოცარი ფანტაზიის ნაყოფია შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა, რომელსაც ადარებენ ანტიკური თეატრის ნანგრევებს. ნახევარწრიული ფორმის ამფითეატრის ირგვლივ მან განათავსა თავისი ბიურო - სახელოსნო. ეს ამფითეატრი წარმოგვიდგება შიდა ეზოდ, რომლის ფორმა

ხელს უწყობს ზაფხულობით სტუდენტთა თავშეყრას და ლექციების ჩატარებას. ხოლო, ზამთარში ამფითეატრს რომ არ დაეკარგა დანიშნულება, აალტომ მოპირდაპირე მხარეს არსებული თეთრი კედელი "დატვირთა" ეკრანის ფუნქციით. შედეგი - სითბოში მყოფ ლექტორსა და სტუდენტებს, სულ არ აწუხებთ 30 - გრადუსიანი ყინვა.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ვილა **"მაირეა"** (1938-1939) ნარმარკუში. შენობა მდებარეობს ბორცვზე, გარშემორტყმულია წიწვნარით. შენობის ცენტრალური ნაწილის გეგმარებამ შექმნა ეზო გაზონებით და აუზით, რომლის ირგვლივ განლაგებულია ურთერთდაკავშირებული ოთახები. შენობის მთავარი ნაწილია 250 კვ.მ ფორმის სათავსო, რომელიც იყოფა მოძრავი ხმაგაუმტარი ტიხრებით. ამ სივრცეში თავისუფლად "ურთიერთობენ" სახვითი ხელოვნება და ოჯახური ყოფა. შენობის გადახურვა რკინაბეტონისაა, შეკიდული ჭერი – ფიჭვის ლარტყებითაა შესრულებული. მათ შორის სივრცე გამოიყენება ვენტილაციისთვის, სადაც ხის პანელები ფილტრის როლს ასრულებენ. ნაწილი გარე კედლებისა და ფანჯრები იხსნება ეზოს მხარეს, რაც თავის მხრივ ჰქმნის ინტერიერისა და ბაღის ნაძვნარის ერთიან სივრცეს. ბუნებასთან ურთიერთკავშირს ხაზს უსვამს ბუნებრივი მასალა და ფერები.



"ინსტიტუტისთვის სტუდენტური საერთო საცხოვრებელის მაგალითი მომცა თვითონ ბუნებამ. არაერთხელ დავკვირვებივარ, რომ ფიჭვის ტოტების ბოლოში მეტი წიწვებია, რის შედეგადაც ისინი მაქსიმალურად იღებენ სინათლეს", სწორედ ეს დაუდო საფუძვლად აალტომ მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის პროექტის შექმნას კემბრიჯში (1947-1949). შენობა უნდა ორიენტირებული ყოფილიყო სამხრეთ-აღმოსავლეთსა და დასავლეთზე. არქიტექტორი ირჩევს კლაკნილ ფორმას არა მარტო მთელი მოცულობისთვის, არამედ შიდა სივრცისათვისაც. კორპუსის სიგანე გაზრდილია ბოლოებში და მიმართულია აღმოსავლეთსა და დასავლეთისკენ. ასეთმა გადაწყვეტამ შესაძლებელი გახადა ოთახების მაქსიმალური რაოდენობა განთავსებულიყო მზის მხარეს.



ბრემენში, დიდი საცხოვრებელი რაიონის განაშენიანებაში, მთავარი კომპოზიციური აქცენტი არის 22 სართულიანი კოშკი. ტრადიციული სწორხკუთხა "კარჩაკეტილი" სივრცის ნაცვლად აალტომ შექმნა მარაოს ფორმის სტრუქტურა, რითაც ყოველი ოთახი გააფართოვა სინათლის, მზის მხარეს, ხოლო დამხმარე სათავ-სოები და ვერტიკალური კომუ-ნიკაციები განათავსა შევიწროვებულ ნაწილში, ჩრდილოეთით. ამით მოცულობამ მიიღო გან-საკუთრებული

გამომსახველობა. წარმოდგენილი მაგალითები უდაოდ საინტერესოა და შეიძლება ითქვას დღევანდელობის შესატყვისი. მათ შეუძლიათ პასუხის გაცემა ბევრ აქტუალურ საკითხზე. ბიოკლიმატური არქიტექტურა ეს არის ჯანმრთელი არქიტექტურის "ჯანმრთე-ლი საცხოვრებლის" საწყისი, მისი წანამძღვარი. "ვისწავლოთ კლიმატთან შეთანხმება არ შევეწინააღმდეგოთ, არ შევეკამათოთ მას, შევიდეთ მასთან დიალოგში რადგან არქიტექტურა დამოკიდებულია ბუნებაზე და ეფუძნება მის მუდმივ ფასეულობებს. ის ბუნებრივი გარემოს ნაწილია..." (ფ.ლ.რაიტი).

ამრიგად პროექტირების დროს შენობის სტრუქტურის, ფუნქციისა და ფორმასთან ერთად არ უნდა უგულვებელვყოთ ენერგეტიკული ფაქტორები, ხოლო მათგან სწორი გადაწყვეტილების მისაღებად უპირველესია ადგილის კლიმატური პირობების გათვალისწინება. ეს კი ნიშნავს მშენებლობაში ბიოკლიმატური არქიტეტურის პრინციპების განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Аронин Дж. Э. «Климат и архитектура» М. «Госстройиздат» 1959 г.
2. Гозак А. «Алвар Аалто архитектура и гуманизм» М . «прогресс» 1978 г.
3. Гутнов А. «Мир архитектуры» М. « Молодая гвардия» 1985 г.
4. ЭНЕА «Биоклиматическая архитектура» 1989г
5. Словарь иностранных слов. М « Русский язык » 1985г.
6. www.forma.spb.ru/magazine/articles/d_0010/main.shtml

Bioclimatic Architecture

M. Djavakhishvili, B. Tinikashvili
Georgian Technical University. Kostava Str, 77, Tbilisi, Georgia

The article presents the principles of " Bioclimatic architecture." There are represented historical examples, as well as plans and projects of modern architects. During the creation of works of this kind, together with the structure, function and form of the building, we take into account the energy factor - especially climatic parameters. It means to realize the principles of bioclimatic architecture.

Биоклиматическая архитектура

М.Джавахишвили, Б. Тиникашвили
Грузинский Технический Университет. Грузия, Тбилиси, ул.Костава № 77

В статье изложены принципы «Биоклиматической архитектуры». Приведены исторические примеры, а также замыслы и проекты современных архитекторов. В создании произведения такого рода наряду со структурой, функцией и формой здания учитываем и энергетический фактор – прежде всего климатические параметры. Это значит воплощать в жизнь принципы биоклиматической архитектуры.

მე-20 საუკუნის შუა პერიოდის თბილისი
GENIUS LOCI

არქიტექტორი პავლე ძინძიბაძე
სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

თბილისის მეტნაკლებად სრულფასოვანი ურბანული მეხსიერება ორ საუკუნეს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში ქალაქმა რამდენიმე საზოგადოებრივი ფორმაცია შეიცვალა. ცვლილებებმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც ქალაქის ფიზიკურ გარემოზე, ასევე მისი ცხოვრების წესზე. ქალაქურმა კულტურამ, ანუ თბილისელთა ყოველდღიური ყოფის, მათი ქცევის მოდელმა, ასევე იმ გარემომ, სადაც ვითარდებოდა ეს ფენომენი, ერთგვარი ადაპტაცია მოახდინა დროსთან და დღეს განსხავებული შინაარსით და ფორმით წარმოგვიდგება.

ჩემი თაობის უშუალო წინაპრების (მშობლებისა და მათი მშობლების) ცხოვრება და ემპირიული მეხსიერება დროის იმ პერიოდს მოიცავს, რომელიც რამდენიმე მონაკვეთად შეიძლება დაიყოს:

1. 1921-1941 წ.წ – ოკუპაცია, გასაბჭოება, რეპრესიები, რადიკალური რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი, თბილისის პირველი გენერალური გეგმა.
2. 1941-1945 წ.წ. – მეორე მსოფლიო ომი, ევაკუირებული მოსახლეობა და მრეწველობა, დემოგრაფიული ცვლილებები.
3. 1945-1955 წ.წ – ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ახალი ტალღა, „სოციალიზმი“-ს არქიტექტურა. სტალინის ეპოქის დასასრული, თბლისის მეორე გენერალური გეგმა.
4. 1955-1970 წ.წ – ხრუშჩოვის ურბანული პოლიტიკა. ე.წ. "დათბობა", მასიური ბინათმშენებლობა, თბილისის მესამე გენერალური გეგმა.
5. 1970-1989 წ.წ. – "განვითარებული" სოციალიზმი, ურბანიზაციის ახალი ტალღა. თბილისი – ქალაქი მილიონერი. ისტორიული უბნების რეკონსტრუქცია.
6. 1989 - დღემდე – მოვლენათა კალეიდოსკოპი. ქვეყნის დამოუკიდებლობა. დიდი მიგრაცია. ქალაქის მკვიდრი მოსახლეობის კლება.

1921-22 წლებში თბილისი უკვე საკმაოდ განვითარებული ურბანული წარმონაქმნია. მე-19 საუკუნის პერიოდში მის ზრდაზე, განვითარებაზე და კეთილმოწყობაზე დადებითად მოქმედებს მშვიდობიანობა, ბატონყმობის გაუქმება, ეკონომიკის ბურჟუაზიული რეფორმა, კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარება, ბაქო-თბილისი-ბათუმი რკინიგზის გაყვანა და შედეგად 1860-იან წლებში დაწყებული და პირველ მსოფლიო ომამდე გაგრძელებული სამშენებლო ბუმი. ამ პერიოდში (1867-1913წ.წ.) ქალაქის მოსახლეობა 78-დან 334 ათასამდე, ხოლო განაშენიანებული ტერიტორიები 593-დან 1331 ჰექტრამდე იზრდება. პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული მნიშვნელოვანი დემოგრაფიული და ეკონომიური დანაკლისისი მიუხედავად თბილისს განვითარების ახალი იმპულსი ეძლევა: 1918 წელს იგი დამოუკიდებელი ქვეყნის დედაქალაქი ხდება....

1924 წლისთვის დედაქალაქის მექანიკური ზრდა-განვითარება ამ ეტაპზე თავის მაქსიმუმს აღწევს – ქალაქის ცენტრის „სიმძლავრე“ მეტის საშუალებას ვერ იძლევა. კალაუბანი, მისი გეოგრაფიიდან და ურბანული ქსოვილის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარეუბანთან ქალაქის სამხრეთ ნაწილის კავშირს დიდ დაბრკოლებას უქმნის. დღის წესრიგში დგება

თბილისის ქალაქგანვითარების ახალ, უაღრესად რთულ და საპასუხისმგებლო ეტაპზე გადასვლა – მის გეგმარებით სტრუქტურაში ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა.

1-ლი გარღვევა შუაბაზრის რეკონსტრუქციით იწყება. 1870-80-იან წლებში ბატონი ნიკო ნიკოლაძის რამდენიმე უშედეგო ინიციატივა ხარფუხში ბალნეოლოგიური აბანოების კომპლექსის შექმნის და დანარჩენ ქალაქთან სწორედ რეკონსტრუირებული შუაბაზრის მეშვეობით დაკავშირების თაობაზე აქტუალური ხდება. სამუშაოები 1924 წელს იწყება. ქალაქი უმნიშვნელოვანეს გამჭოლ კომუნიკაციას იძენს.

შემდეგ, 1925 წელს ხდება სადგურის ქუჩის დაგრძელება და მიერთება პლეხანოვის გამზირთან. 1927 წელს უკვე რეკონსტრუირებულ შუაბაზარზე ტრამვაის ხაზი გადის. 1929 წელს ფართოვდება ელბაქიძის დაღმართი. 1934 წელს ინგრევა არქიტექტორ სკუდიერის მიერ აგებული ქარვასლის (თეატრის) შენობა. ყალიბდება ქალაქის ცენტრალური მოედნის სივრცე. მოგვიანებით იწყება ყოფილი სასახლის ქუჩის გაფართოვება. 1935 წელს შენდება ბარათაშვილის აღმართის მრავალთაღოვანი საყრდენი კედელი, მნიშვნელოვნად ფართოვდება სავალი ნაწილი. ამავე წელს იგება ჩელუსკინელების ხიდი. გმირთა მოედანი საბურთალოს, ცენტრს და ვაკეს უმოკლესი, ახლად გაჭრილი ჩელუსკინელების ქუჩით აკავშირებს ვაგზლის მოედან|თან. 1935 წელს სრულდება მარქსის და ელბაქიძის ხიდებს შორის მოქცეული სანაპიროს მაგისტრალი. 1938-39 წლებში ექსპლუატაციაში შედის ელბაქიძის ხიდი-გმირთა მოედნის და მარქსი ბარათაშვილის ხიდების სანაპირო ზოლის მონაკვეთი.

1937 წელს შენდება ბალნეოლოგიური კურორტის 1-ლი რიგი. მოგვიანებით აქ გაყვანილი იქნება გორგასლის ქუჩა, რასაც შეეწირება 1850 წელს ოფიციალურად გახსნილი ვორონცოვის ქუჩის განაშენიანების დიდი ნაწილი (თუმცა ხალათოვის დიდი ქარვასლა, მას შემდეგ, რაც 1922 წლის წყალდიდობამ ფუნდამენტი გამოურეცხა და ნაწილობრივ დაანგრია, მთლიანად დაშალეს უსაფრთხოების მიზნით). 1947/49 წლებში ლუთერანული ეკლესიის ადგილას მარჯანიშვილის მოედნის სივრცე ყალიბდება. ამავე წელს იწყება მარცხენა სანაპიროს მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები. 1951 წელს შენდება მეტეხის, 1953 წელს კი ელბაქიძის ახალი ხიდი. პრიორიტეტული ხდება ქალაქის ქუჩების და მოედნების გამწვანება.

ამ, და სხვა მსხვილმაშტაბიანი ქალაქთმშენებლობითი პროექტების რეალიზაცია შემდგომში, დროის მნიშვნელოვანი პერიოდის მანძილზე უზრუნველყოფს თბილისის ცენტრის, როგორც საკომუნიკაციო სუბსტანციის ეფექტურ ფუნქციონირებას, მნიშვნელოვან კვალს დაამჩნევს მის ორგანიზმს.

მანამდე კი, პირველ "დარტყმას" ქალაქი გასაბჭოების პირველივე წლებიდან იღებს.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე არსებობას წყვეტს ე.წ. „სამხედრო კომუნიზმი“-ს რეჟიმი. 1922 წელს НЭП-ი (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა) ოდნავ არბილებს ახალი ხელისუფლების მიერ ქალაქს თავს მოხვეულ „სოციალისტური მეურნეობის“ მართვის წესს. თუმცა სულ მალე, 1927 წელს ბოლშევიკების მე-15 ყრილობა ქვეყნის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას უყრის საფუძველს და 1928/29 წლებში მისი რეალიზაციით ასრულებს ამ პროცესს (ამავე პერიოდში НЭП-ი ისტორიის საკუთრება ხდება). ქვეყანაში განუკითხაობის ახალი ეტაპი იწყება. ეს მყისიერად ეხება თბილისის მკვიდრი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. იხურება კერძო საწარმოები. ოკუპირებული თბილისი დაუჯერებლად გაუკუღმართებული საშუალებებით იკედლებს რაიონებიდან მოძალებულ მოსახლეობას. ე.წ. "გამჭიდრო-

ების" მეთოდი ენაცვლება ქალაქის ნორმალურ ევოლუციურ განვითარებას და დიდ გავლენას ახდენს მის ჩამოყალიბებულ სულიერ ღირებულებებზე. ერთერთი „სიახლე“ იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოს მიერ კერძო საცხოვრებელი სახლის მოუვლელობის ფაქტის დადასატურების შემთხვევაში იგი „მუნიციპალიზაციას“, ანუ ექსპროპრიაციას ექვემდებარება. ამის უფლებას კი სრულიად საქართველოს ცაკ-ის და ს.ს.ს.რ. სახკომსაბჭოს 1928 წლის აპრილის 26-ის **„მოუვლელობის გამო ქალაქ ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის შესახებ“** დადგენილება იძლევა. კერძო მფლობელობაში არსებული სახლების და ბინების კომუნალურ საცხოვრებელ სივრცეებად გადაქცევით სახელმწიფო „აგვარებს“ მიგრანტების მზარდი ნაკადის განსახლების პრობლემას. 1928-33 წლებში თბილისს 77 0000 მცხოვრები და მხოლოდ 169 000 $მ^2$ ახლად აგებული საცხოვრებელი ფართი ემატება. შედეგად, ერთ სულ მოსახლეზე მოსული ფართობის საშუალო სიდიდე (სიმჭიდროვე) 9,8-დან 8,2 $მ^2$-მდე კლებულობს. მოგვიანებით საბჭოთა პერიოდის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა ყოველივეს**“...არსებული ფონდის უფ-რო რაციონალურად გამოყენებ”**-ის მეთოდად მონათლავს.

დროთა განმავლობაში თბილისის ძველი და ახალი მოქალაქეები შეძლებენ ამ მოვლენებით გამოწვეული უზარმაზარი ფსიქოლოგიური სტრესის გადატანას. მათ თანაცხოვრება არათუ ასატან, არამედ იმ შეჭირვებულ ყოფის პირობებში შეიძლება ითქვას, ერთადერთ მისაღებ ფორმას და შინაარს იღებს.

კარგი მეზობლური ურთიერთობა მშვიდი ცხოვრების და ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარების აუცილებელი წინაპირობა ხდება. ჩვეულებრივ წესად იქცევა საკვები პროდუქტების ურთიერთსესხება (შაქარი, მარილი, ბრინჯი, კარაქი და სხვ...). განსაკუთრებულ დატვირთვას იღებს სახლის ე.წ. საზოგადოებრივი სივრცე. ამას ემატება საერთო სარგებლობის სამზარეულოები და საპირფარეშოები, რაც მათ ერთობლივ მოვლასაც გულისხმობს. ოჯახის სამეურნეო საქმიანობას ეზოშიც უჭირავს თავისი „ნიშა“ (წყლის ონკანი, თეთრეულის გაშრობა, ლეიბების, საბნების გამზეურება...). განსაკუთრებულ შემთხვევაში (მაგალითად, ვინმეს გარდაცვალების) აუცილებლად გროვდება გარკვეული თანხა. მეზობლებს მეტ-ნაკლებად თანაბარი ეკონომიკური მდგომარეობა (შემოსავალი) აქვთ. სამუშო დრო ნორმირებული, თითქმის გათანაბრებულია. ხშირია მოულოდნელი სტუმრობები (დღეს უკვე თითქმის გამქრალი თბილისური ტრადიცია, რომელიც მასპინძელს არ ავალდებულებს მდიდრული სუფრის გაშლას). ფილმების ნახვა უბნის კინოთეატრებშიც შეიძლება. ეს კინოთეატრები ასევე კლუბების ფუნქციას ასრულებენ. კინოში სიარული კი ქალაქური კულტურის ნაწილია.

ქალაქის ინტელიგენცია (პედაგოგები, ექიმები, ინჟინრები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები...), მათი შეულახავი ავტორიტეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. სხვებთან ერთად მათი ბავშვები ძირათადად უახლოეს, უბნის სკოლაში დადიან. თავისუფალ დროს სხვებთან ერთად ატარებენ (ფეხბურთს ქუჩაში, ან რომელიმე, გამორჩეულად დიდ ეზოში თამაშობენ). მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, უფრო მოწიფული ახალგაზრდობა „აკრძალული ხილის“– ჯაზის, სხვა ჟანრის თანამედროვე დასავლური მუსიკის, კინოფილმების, სპორტის, ურთიერთქცევის დაუწერელი კოდექსის თუ სხვა, მათთვის საინტერესო ამბების განსჯას უბნის მიმდებარე, ქალაქის პოპულარულ ადგილებში ახერხებს. ეს ფენომენი მოგვიანებით უბნის ბირჟად მოიხსენიება. ყოველისშემძლე საბჭოთა მილიცია კი მის წინააღმდეგ ბრძოლაში პირწმინდად მარცხდება.

მოგვიანებით, 50-ან წლებში, ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, ხრუშოვის გაუთვლელი – კვადრატული მეტრების, ბინების, საცხოვრებელი კორპუსების მხოლოდ რაოდენობაზე ორიენტირებული ურბანიზაციის დაჩქარებული პროცესი ამჯერად მოსახლეობის ფსიქიკაზე იწყებს ზემოქმედებას. იცვლება დრო. შესაბამისად იცვლება მეზობლებთან, სახლთან (როგორც შენობასთან), ქალაქთან ინდივიდის დამოკიდებულება. თავის მხრივ იცვლება თბილისიც. ახალი საცხოვრებელი უბნების მშენებლობის ფონზე დაშლას იწყებს ქალაქის ისტორიული ნაწილის განაშენიანება – თავს იჩენს როგორც საცხოვრებელი ფონდის სიძველე, ასევე 60-ან წლებში უხარისხოდ ჩატარებული საინჟინრო კომუნიკაციების გაყვანის სამუშაოთა დაბალი ხარისხი. იწყება ცენტრის მოსახლეობის ქალაქის ახალ საცხოვრებელ უბნებში გადასვლის პროცესი. გამოთავისუფლებული სახლების ნაწილი რეკონსტრუქციას ეწირება (მაგალითად სასტუმრო ივერიას მშენებლობის დროს ინაშვილის ქუჩა და მისი განაშენიანება), ნაწილი კი ამორტიზაციის მაღალი ხარისხის გამო ცარიელდება (ძველი თბილისი). იმ საცხოვრებელ სათავსოებს, რომელთა ექსპლუატაციაც ჯერ კიდევ შესაძლებელია, ძირითადად მეზობელ ბინებს უერთებენ, რითაც მკვეთრად მცირდება კომუნალური ტიპის საცხოვრებლის რაოდენობა. 70-ანი წლების დასაწყისში ქვეყნის ავტომობილიზაციის პროცესის საწყის ეტაპს გარკვეული ეკონომიური გამოცოცხლებაც ახლავს თან (სტატისტიკით თბილისში 1955-85 წლებში შემნახველი სალაროების მეანაბრეთა რაოდენობა 207,5 ათასიდან 752,5 ათასამდე, ერთი ანაბარი კი საშუალოდ 206-დან 2003 მანეთამდე იზრდება). ცენტრში დარჩენილი მობინადრეები თავად იწყებენ საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესებას. იტიხრება დერეფნები, შენობათა კონტურებს გარეთ ეწყობა სველი წერტილები, აივნების სათავსოებად გადაკეთება ჩვეულებრივი მოვლენაა. ამით თითქმის მაღლდება ცალკეული ბინის ავტონომიის ხარისხი. თუმცა მახინჯდება სახლის სტრუქტურა, თვითონ შენობა და საბოლოოდ, ქალაქი.

1970-ანი წლების თბილისი ახალი ტერიტორიების ათვისების, მასიური ბინათმშენებლობის ნიშნით ვითარდება. შესაბამისად კლებულობს მოსახლეობის სიმჭიდროვე (1955/85 წლებში 96-დან 83 კაც/ჰა-მდე). იზრდება გადაადგილების მანძილები, ანუ საზოგადოებრივ თუ ინდივიდუალურ ტრანსპორტში ყოფნის დრო. 1990-ან წლებში, ახალი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური რეალობის დამკვიდრებასთან ერთად იწყება ქალაქის სტრუქტურის ფუნქციური ტრანსფორმაცია. პირველ რიგში ეს ცენტრალური და მათი მიმდებრე ქუჩების პირველ სართულებს დაეტყობათ - ბინების დიდი ნაწილი უკვე მაღაზიებად მოიხმარება. განაშენიანებაში ჩნდება მრავალი მცირე სასტუმრო და ოფისი. ასევე, იცვლის ფუნქციას ზოგიერთი, ურბანული მიკროგარემოსათვის მნიშვნელოვნი ღია თუ დახურული სივრცე. ქალაქის ოდესღაც უდაო ფავორიტს – რუსთაველის გამზირს რკინის და ბამბის რიგები ენაცვლება. ცენტრალურ უბნებში მოსახლეობის შესამჩნევი კლების ფონზე უქმდება რამდენიმე სკოლა და ბაღი (მაგალითად, სოლოლაკში). ხდება საშუალო სკოლების დიფერენცირება მათში განათლების მიღების ხარისხის ნიშნით. ეს იწვევს მოსწავლეთა კონტინგენტის გეოგრაფიის ზრდას, სუსტდება სკოლა-უბნის ურთიერთდამოკიდებულება და კავშირი. მკვეთრად მცირდება კინოთეატრების რაოდენობა.

საცხოვრებელი სახლების ეზოების სივრცეს ავტომობილები იკავებენ. ველოსიპედი, როგორც მოზარდის "ოცნების ზღვარი", იშვიათობაა, კომპიუტერი კი – სულ უფრო სასურველი და ხელმისაწვდომი. მატულობს ინტერნეტკაფეების რიცხვი და პოპულარობა. მინიმუმამდეა დასული ფეხბურთით, კა-

ლათბურთით ან სხვა, ადრე პოპულარული თამაშებით ბავშვების დროსტარება.

აღიარებული „გიჟები“-დან (ეს ფენომენი მეტად სახასიათო იყო თბილისისთვის) ბოლო წლებამდე მხოლოდ ახლახან გარდაცვლილი პლეხანოველი მარინა შემორჩა ქალაქს. ეზოს ფენომენის შესუსტებამ, სხვა მიზეზებთან ერთად, მოსპო მოხეტიალე მუსიკოსთა ინსტიტუტი. მეოთხედ საუკუნეზე მეტია, არსებობა შეწყვიტა უბნელების ბირჟამ.

1970-80-იან წლებამდე მეტ-ნაკლებად თანაბარი ეკონომიკური შეძლების მქონე მოსახლეობას უჩნდება სრულიად ბუნებრივი სწრაფვა საცხოვრებლი (და ფინანსური) პირობების გაუმჯობესებისკენ. ქალაქის ბინადართა უმრავლესობისთვის ეს მოვლენა თავისუფალი დროის შემცირების და ფსიქოლოგიური დაძაბულობის ხარჯზე ხდება. კლებულობს ადამიანური კონტაქტების ხანგრძლივობა და ინტენსიობა. განსხვავებულად ხდება უბნის, ქალაქის, როგორც საზოგადოებრივი სივრცის აღქმა.

რეკონსტრუქციის შედეგად თბილისს მრავალი ახალი ბინადარი ემატება. ისტორიულ უბნებში მკვეთრად მცირდება აუთენტური მოსახლეობის რაოდენობა როგორც ბუნებრივი პროცესების, ასევე მიგრაციის ხარჯზე. ქალაქის ამ ნაწილში მატულობს ნანგრევები, იზრდება მიწის ნაკვეთების და ბინების ფასი. იწყება ძველი თბილისის ჯენტრიფიკაციის გარდაუვალი, და ალბათ, მაინც სასიკეთო პროცესი. Genius loci ცდილობს თავი დააღწიოს სიღატაკეს.

ლიტერატურა:

1. **“თბილისი”** ეკონოკიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1989 წ.
2. **„ქართული საბჭოთა არქიტექტურა“** ნოდარ ჯამბერიძე, გამომცემლობა „ხელოვნება“ თბილისი 1971წ.
3. **“Тбилиси”** Н. Бадриашвили, “Сахелгами” 1957
4. **“თბილისი 1500”** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ-ს გამომცემლობა 1958 წ.
5. **“საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწერის საკითხები”** პაატა გუგუშვილი, “მეცნიერება”1973 წ.

Tbilissi in the midell of the 20 century

P. Dzindzibadze

This articl describes the transition stage of Tbilisi in new urban-social dimension (1921). The events, gave impetus to devtlopment city as in urban planning and as in economic term. Public process impect on to peopels relationship

Тбилиси середины 20-ого века

П. Дзиндзибадзе

В статье рассмотрен этап перехода Тбилиси в новое урбано-социальное измерение (1921г.). Перечислены события, давшие городу очередной импульс развития как в градостроительном, так и в экономическом аспекте. Обшественные процессы, повлиявщие на взаимоотношения горожан.

საბუნებისმეტყველი დისციპლინები - Естествоведческие дисциплины – Science

კონტაქტური მოვლენები

მალხაზ ბიბილური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ქ. თბილისი, კოსტავას 77

კონტაქტური პოტენციალთა სხვაობა. ორი სხვადასხვაგვარი ლითონის ნაჭრის შეხებისას, როგორც ცდა გვიჩვენებს, მათ შორის წარმოიქმნება „კონტაქტური პოტენციალთა სხვაობა“. ამ მოვლენის ფიზიკური ბუნება შეიძლება აღვწეროთ სქემით.



ნახ. 1. ორი სხვადასხვა ლითონის ენერგიის დონეები. ლითონები ერთმანეს არ ეხება, მაშინ თითიეული ნიმუში ელექტრონეიტრალურია. ზედაპირის პოტენციალი შეიძლება 0-ად ჩავთვალოთ. კონტაქტისას უნდა დაემთხვეს თითიეული ნიმუშის ფერმის დონეები (სტატისტიკური წონასწორობის პირობა), ხოლო ორმოს სიღრმე და გამოსვლის მუშაობა შენარჩუნებულია. წარმოიქმნება კონტაქტური პოტენციალთა სხვაობა.

გამტარობის ელექტრონების პოტენციური ენერგია 1 და 2 ლითონებში სხვადასხვაა. ფერმის დონეებიც ერთმანეთს არ ემთხვევა. 1 და 2 ლოთონებს შორის კონტაქტისას (და მაშასადამე, მათი ელექტრონული ღრუბლების „შერევისას“) 1 ლითონის ელექტრონები გადადის 2 ლითონში, რადგან ამ უკანასკნელში თავისუფალი ენერგიის დონეები უფრო დაბალია ვიდრე 1-ში. ეს გადასვლა გაგრძელდება მანამ, სანამ ელექტრონების მაქსიმალური ენერგიები 1 და 2 ლითონებში არ გატოლდება. ამ დროს ელექტრონების ზედა ენერგეტიკული დონე 1 ლითონში „დაიწევს“ (ელექტრონები ტოვებს 1), ხოლო ზედა ენერგეტიკული დონე 2 ლოთონში „აიწევს“ (ელექტრონები ავსებენ 2). ჭარბი ელექტრონების მქონე ლითონი 2 დაიმუხტება უარყოფითად, ხოლო ლითონი 1 რომელშიც ელექტრონების რიცხვი შემცირდება -დადებითად. ორი ლითონს შორის წარმოიქმნება კონტაქტური პოტენციალთა სხვაობა.

ელექტრონების გადადენისას ლითონებს ელექტრული მდგმოარეობების ყველა მახასიათებელი უმნიშვნელოდ იცვლება; ასე, რომ კონტაქტში მყოფი თითიეული ლითონის ფერმის დონე და გამოსვლის მუშაობა შეიძლება გავაიგივოთ ნიმუშების შესაბამის სიდიდეებთან კონტაქტის გარეშე.

ელექტრონების ენერგიის მაქსიმალური დონე ორივე ნიმუშში კონტაქტისას ერთმანეს ემთხვევა. მაშასადამე $W_{F1}-U_1=W_{F2}-U_2$. ელექტრონების პოტენციური ენერგიები 1 და 2 ლითონებში კონტაქტისას განსხვავდება $\Delta U=W_{F1}-W_{F2}$ სიდიდით.

ეს ნიშნავს, რომ ლითონების შესახებ საზღვარზე არის შიდა კონტაქტური პოტენციალთა სხვაობა, ტოლია

$$U_{\text{შიდა}} = \frac{AU}{C} = \frac{W_{F_1} - W_{F_2}}{C}.$$



ნახ. 2. ორი სხვადასხვაგვარი მონაკვეთისგან შედგენილი წრედის გამოყენება, როგორც დენის წყაროსი, შეუძლებელია ერთნაირ ტემპერატურაზე. კონტაქტურ პოტენციალთა სხვაობას სხვადასხვა ნიშანი აქვს და ურთიერთკომპენსირდება.

გარე საზღვრებს შორის არის პოტენციალთა გარე კონტაქტური სხვაობა, რომელიც განისაზღვრება თანაფარდობიდან

$$U_{\text{გარე}} = \frac{A_2 - A_1}{C}.$$

კონტაქტური სხვაობის გამოყენება დენის მასალებად ჩაკეტილ ელექტრულ წრედში შეუძლებელია (ნახ. 2). ორი სხვადასხვაგვარი ლითონის რგოლად შეკვრისას, მის გასწვრივ ჩაკეტილ მრუდზე გამავალი მუხტი კონტაქტურ პოტენციალთა სხვაობას შეხვდება ორჯერ, თანაც სხვადასხვა ნიშნით. პოტენციალთა ჯამური ვარდნა ასეთ წრედში ნულია.



$$M_{\text{სიმ}}=-\Pr\sin\varphi=-mgr\sin\varphi,\ \ M_{\text{ხახ}}=-F_{\text{ხახ}}r=-\mu\upsilon r=-\mu\frac{d\varphi}{dt}r^2,\ \ M_{\text{გარე}}=F_0r\sin\Omega t$$

საქანზე მოქმედი სიმძიმის, ხახუნისა და გარე ძალის მაბრუნებელი მომენტებია დამაგრებული ღერძის მიმართ. მათი (1)-ში შეტანით ვღებულობთ:

$$I\frac{d^2\varphi}{dt^2}=-mgr\sin\varphi-\mu\frac{d\varphi}{dt}r^2+F_0r\sin\Omega t\,. \qquad (2)$$

გავითვალისწინოთ, რომ მცირე გადახრის შემთხვევაში $\sin\varphi\approx\varphi$ და (2) გადავწეროთ შემდეგი სახით:

$$\frac{d^2\varphi}{dt^2}+2\beta\frac{d\varphi}{dt}+\omega_0^2\varphi=M_0\sin\Omega t\,. \qquad (3)$$

სადაც $\beta=\frac{\mu r^2}{2I}$, $\omega_0=\sqrt{\frac{mgr}{I}}$, $M_0=\frac{F_0r}{I}$. (3) მეორე რიგის არაერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლებაა, რომლის ამონახსნიც წარმოადგენს ერთგვა-

როვანი $\frac{d^2\varphi}{dt^2}+2\beta\frac{d\varphi}{dt}+\omega_0^2\varphi=0$ განტოლების ზოგადი ამონახსნისა (φ_1) და კერძო ამონახსნის (φ_2) ჯამს $\varphi=\varphi_1+\varphi_2$, კერძოდ,

$$\varphi_1=Ae^{-\beta t}\cos(\omega t+\alpha). \qquad (4)$$

A და α კოეფიციენტების განსაზღვრისთვის (4)-ში ვისარგებლოთ საწყისი პირობებით: კერძოდ, როდესაც $t=0$, $\varphi_1=\varphi_0$, $d\varphi_1/dt=0$ ვღებულობთ:

$$A=\varphi_0,\quad \alpha=0.$$

მაშასადამე,

$$\varphi_1=\varphi_0e^{-\beta t}\cos\omega t, \qquad (5)$$

სადაც $e^{-\beta t}$ ფუნქციის მილევის მახასიათებელია, ხოლო $\omega=\sqrt{\omega_0^2-\beta^2}$ – რხევის ციკლური სიხშირე.

(3)-ის კერძო ამონახსნი ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\varphi_2=B_1\cos\Omega t+B_2\sin\Omega t=B_1\sin\left(\Omega t+\frac{\pi}{2}\right)+B_2\sin\Omega t.$$

ის წარმოადგენს ორი ერთნაირი სიხშირის ჰარმონიული რხევის ტოლქმედს, რომელიც ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$\varphi_2=B\sin(\Omega t+\gamma). \qquad (6)$$

(6)-ის (3)-ში შეტანით ვღებულობთ:

$$B\Omega^2\sin(\Omega t+\gamma)+B2\beta\Omega\cos(\Omega t+\gamma)+B\omega_0^2\sin(\Omega t+\gamma)=M_0\sin\Omega t.$$

B და γ კოეფიციენტების საპოვნელად შევარჩიოთ რხევის ფაზის ორი მნიშვნელობა $\Omega t+\gamma=0$ და $\Omega t+\gamma=\pi/2$, შედეგად მივიღებთ:

$$B2\beta\Omega=-M_0\sin\gamma,\quad B(\omega_0^2-\Omega^2)=M_0\cos\gamma.$$

B-ს საპოვნელად ეს განტოლებები ავიყვანოთ კვადრატში, შევკრიბოთ, შემდეგ კი მიღებული ჯამისგან ამოვიღოთ კვადრატული ფესვი:

$$B=\frac{M_0}{\sqrt{(\Omega^2-\omega_0^2)^2+4\beta^2\Omega^2}}, \qquad (7)$$

γ-ს დასადგენად კი იგივე განტოლებები შევაფარდოთ ერთმანეთს:

$$\gamma=-arctg\frac{2\beta\Omega}{\omega_0^2-\Omega^2}. \qquad (8)$$

(6)-ში (7)-ის გათვალისწინებით ჩავწერთ იძულებითი რხევის განტოლების ამონახსნს:

$$\varphi=\varphi_0e^{-\beta t}\cos\omega t+\frac{M_0}{\sqrt{(\Omega^2-\omega_0^2)^2+4\beta^2\Omega^2}}\sin(\Omega t+\gamma). \qquad (9)$$

პირველი შესაკრები ექსპონენციალური კანონით კლებადი ფუნქციაა. რადგან მილევის დრო – რელაქსაციის დრო წარმოადგენს დროის იმ τ ინტერვალს, რომლის განმავლობაშიც კლებადი სიდიდის საწყისი მნიშვნელობა ნეპერის რიცხვჯერ მცირდება, ამიტომ, თუ $t=\tau$, მაშინ $\varphi_0e^{-\beta t}/\varphi_0=e^{-1}$ ანუ $\tau=1/\beta$ დროისთვის პირველი შესაკრების გავლენა შედეგზე შეიძლება უგულებელვყოთ და რხევა დამყარებულად ჩავთვალოთ. შესაბამისად, ფიზი-

კური საქანის დამყარებული იძულებითი რხევის განტოლების ამონახსნი შემდეგ სახეს ღებულობს:

$$\varphi = \frac{M_0}{\sqrt{\left(\Omega^2 - \omega_0^2\right)^2 + 4\beta^2\Omega^2}} \sin\left(\Omega t + \gamma\right) = \Phi \sin\left(\Omega t + \gamma\right). \qquad (10)$$

აქ $\Phi = \frac{M_0}{\sqrt{\left(\Omega^2 - \omega_0^2\right)^2 + 4\beta^2\Omega^2}}$ დამყარებული რხევის ამპლიტუდაა, მისი მნიშვნელობა მოცემული საქანისთვის დამოკიდებულია გარე ძალის სიხშირეზე. რეზონანსული სიხშირის, ანუ გარე ძალის სიხშირის იმ მნიშვნელობის საპოვნელად, როდესაც რხევის Φ ამპლიტუდა მაქსიმუმს აღწევს, გამოვთვალოთ სიდიდე $\frac{d\Phi}{d\Omega} = 0$, საიდანაც მივიღებთ:

$$\Omega_{რეზ} = \sqrt{\omega_0^2 - 2\beta^2}, \text{ ხოლო } \Phi_{რეზ} = \frac{M_0}{2\beta\sqrt{\omega_0^2 - \beta^2}}.$$

შესაბამისად, $\gamma = -arctg\frac{2\sqrt{\omega_0^2 - 2\beta^2}}{\beta}$. როდესაც $\beta = 0$, $\Omega_{რეზ} = \omega_0$ და $\gamma = \pi/2$.

ცხადია, თუ (3)-ში დავუშვებთ, რომ რხევა თავისუფალია, მიიღება მილევადი რხევის განტოლება, რომლის ამონახსნია (5), ხოლო, თუ ჰაერის წინააღმდეგობასაც გამოვრიცხავთ, მიიღება ჩვეულებრივი ჰარმონიული რხევა.

ლიტერატურა

1. Савельев И.В. Курс общей физики, том 1, М., «Наука», 1989.
2. Физический энциклопедический словарь. Гл. редактор Прохоров А.М. М., «Советская энциклопедия», 1984.
3. Джанколи Д. Физика, том 1, М., «Мир», 1989.
4. მ. მირიანაშვილი. ზოგადი ფიზიკის კურსი. I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1973.
5. მ. ჩიხლაძე, ო. კეთილაძე. ზოგადი ფიზიკის კურსი. ნაწილი I. თბილისი, 2009.

FORCED OSCILLATIONS OF PHYSICAL PENDULUM

N.G. Tavadze, O.G. Ketiladze, M.N. Chikhladze
Georgian Aviation University (GAU),
0144, 16, Ketevan Tsamebuli str., Tbilisi, Georgia,
Georgian Technical University (GTU), 0175,
77, Kostava str., Tbilisi, Georgia

In the paper one-dimensional oscillation of a physical pendulum is considered. Linear inhomogeneous differential equation of the second order is solved. Its analysis before and after establishment of oscillation is presented. Values of the amplitude and the phase at the resonance are determined.

ВЫНУЖДЕННЫЕ КОЛЕБАНИЯ ФИЗИЧЕСКОГО МАЯТНИКА

Н.Г. Тавадзе, О.Г. Кетиладзе, М.Н. Чихладзе
Грузинский авиационный университет (ГАУ),
0144, ул. Кетеван Цамебули 16, Тбилиси, Грузия,
Грузинский технический университет (ГТУ),
0175, ул. Костава, 77, Тбилиси, Грузия

В статье рассмотрено одномерное колебание физического маятника. Решено линейное неоднородное дифференциальное уравнение второго рода. Приведен его анализ до и после установления колебания. Определены значения амплитуды и фазы при резонансе.

კომპიუტერული ქსელის იმიტაციური მოდელის შედგენის საკითხების შესახებ

გიორგი კირცხალია,
მის: კოსტავას 77, მოწვეული მასწავლებელი

კომპიუტერული ქსელების პროექტირების ნებისმიერი ამოცანაა ხარისხის მახასიათებლების მაქსიმუმის მიღწევა მინიმალური დანახარჯებით. რეალური ქსელების საკვლევად გამოიყენება პროტოკოლების ანალიზატორები, რომლებიც შეუცვლელია ქსელების გამოსაკვლევად, მაგრამ ისინი ჯერ არ არსებული, პროექტირების ფაზაში მყოფი კომპიუტერული ქსელის მახასიათებლების ხარისხობრივი შეფასების საშუალებას არ იძლევიან. ასეთ შემთხვევებში, ის ადამიანები ვინც დაკავებულია პროექტირებით, იყენებენ პროექტირების ისეთ საშუალებებს, რომლებიც ქსელის მოდელის შექმნის საშუალებას იძლევა, რომელიც თავის მხრივ იმეორებს ყველა იმ პროცეს რაც საინფორმაციო ქსელში მიმდინარეობს. ავტომატიზირებული სისტემების პროექტირება საშუალებას იძლევა შემცირდეს ხარჯები ქსელის შესაქმნელად და საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად, ჩაატაროს ექსპერიმენტები რომლის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას ქსელის ტიპის არჩევისთვის. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება კომპიუტერული ქსელების პროექტირების პროგრამული სისტემები.

ქსელების პროექტირების პროგრამული სისტემები, ესაა ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებელია გამოადგეს კორპორაციული ქსელის ნებისმიერ ადმინისტრატორს. განსაკუთრებით ახალი კომპიუტერული ქსელის პროექტირებისას ან უკვე არსებულ კომპიუტერულ ქსელში კარდინალური ცვლილებების შეტანისას. ამის შედეგად, ჩვენ ვღებულობთ საშუალებას რომ შემოწმდეს ყველა ის კვანძი თუ პროცესი და მათი წარმადობა, რომელიც მიმდინარეობს ქსელში, მოწყობილობების შესყიდვამდე და დამონტაჟებამდე. უმეტესი ასეთი პროგრამები, საკმაოდ ძვირი ღირს, მაგრამ მათი გამოყენებით მიღებული შესაძლო ეკონომიაც შეიძლება იყოს საკმაოდ დიდი.

განვიხილოთ კომპიუტერული ქსელის იმიტაციური მოდელის შედგენის საკითხი ინტერნეტ პროვაიდერის ქსელის მაგალითზე.

ინტერნეტ ქსელის ერთ-ერთ პროვაიდერი შედგება 4 კვანძისგან (კვანძი1 - ინტერნეტ სერვისის პროვაიდერი (ISP), კვანძი2 - საფიჩხია, კვანძი3 - საღორია,

კვანძი 4 - ზესტაფონი) (სურ.1). თითოეული კვანძი დაკავშირებულია მთავარ კვანძთან (ISP). კვანძები ერთმანეთთან შეერთებულია მრავალმოდიანი ოპტიკური კაბელით. ISP დაკავშირებულია წრე ტოპოლოგიით კვანძ2-თან. კვანძი2 მიერთებულია კვანძ3-თან დაცვის გარეშე (ასეთი შეერთება განხორციელებულია ფინანსური დანახარჯების შემცირების მიზნით). ISP –ზე კვანძი 4 დაკავშირებულია პირდაპირი მიერთებით დაცვის გარეშე.



სურ. 1 ინტერნენ პროვაიდერში კვანძების შეერთების სქემა.

ISP-ში განთავსებულია შემდეგი აპარატურა:
მარშრუტიზატორი cisco 7609;
სვიჩი cisco2960 2 ცალი;
სვიჩი cisco 3645 2 ცალი;
მოწყობილობების მუშაობა ხორციელდება OSPF პროტოკოლით.
კვანძი2-ზე მიერთებულია 4 სვიჩი (სურ. 2), ამ სვიჩებზე თავის მხრივ მიერთებულია აბონენტები.



სურ. 2 კვანძი1 ფუნქციონირების სქემა

კვანძ 3-ში მიერთებულია ერთმანეთთან მიმდევრობით ჩართული 3 სვიჩი (სურ. 3).

კვანძ 4-თან მიერთებულია 5 სვიჩი, მათგან სამი ერთმანეთან შეერთებულია მიმდევრობით, ხოლო ორი, დანარჩენი ქმინს ცალკე ქსელს (სურ.4).



სურ.3. კვანძი3 ფუნქციონირების სქემა



სურ.4 კვანძი 4-ის ფუნქციონირების სქემა

აღნიშნულ ობიექტზე კვლევის შედეგად განისაზღვრა: რეაქციის დრო, გადაცემის დრო, დატვირთვის კოეფიციენტი, ქსელში პაკეტების კარგვების რაოდენობა.

კვლევების შედეგმა აჩვენა, რომ:

ტრაფიკის გაზრდის შემთხვევაში სისტემის რეაქციის დრო იყო დაბალი, რაც იწვევდა ქსელში პაკეტების კარგვას დიდი რაოდენობით ეს კი საგრძნობლად ანელებს აბონენტების მუშაობას ინტერნეტში.

მოდელირების სისტემის საშუალებით აიგო არსებული ქსელის მოდელი და განვიხილული იყო სხვადასხვა შემთხვევები, მიღებული შედეგებით კი გამოიკვეთა ქსელში სუსტი ადგილები, კერძოდ ეს გახლავთ კვანძი 3 შეერთება კვანძ 1-თან.

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერული ქსელი, იმიტაციური მოდელირება,

ლიტერატურა:

1. Боев В. Д., Кирик Д. И., Сыпченко Р. П. Сыпченко КОМПЬЮТЕРНОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ Санкт-Петербург СПб.: ВАС .2011 ст.240
2. Боев В. Д., Сыпченко Р. П. Компьютерное моделирование. Элементы теории и практики: Учеб. пособие. — СПб.: ВАС, 2009. ст.342
3. Советов Б. Я., Яковлев С. А. Моделирование систем: Курсовое про-ектирование. — М.: Высшая школа, 1988. ст.192
4. «Экс Джей Текнолоджис» www.xjtek.ru.

About construction of Computer network imitation model

Kirtskhalia G.T.

In this article it is considered creation of model of a computer network on an example of specific Internet provider. Obtained results which were outlined in the modeling process, also considered network construction mistakes.

Аналогии неравенств Чебышева-Эрмита в случае синхронных функций и их приложения

Ассоц. Проф.Л. Шанкишвили
Грузинский технический университет
Тбилиси, Костава, 77

В работе в терминах синхронности существенно обобщен результат Чебышева-Эрмита, получены новые неравенства и реализовани приложения полученных результатов. Здесь рассмотриваются модификации, которые наиболее приспособлены к интегральным преобразованиям типа свертки, типа Вольтерра и вольтерровской свертки, к интегродифференцированию дробного порядка и т.д.

Пусть E- множество в R^n , $x=(x_1 , ... x_n)$ и f(x) и g(x) измеримые функции на E.

Определение 1.Функции f(x) и g(x) будем называть синхронными на E,если для любых x и y выполняется неравенство:

$$[f(x)-f(y)][g(x)- g(y)] \geq 0, \quad (1)$$

и антисинхронными, если при этом знак неравенства в (1) противоположен.

Подчеркнем, что в определении 1 функции f и g не объязаны быть положительно определенными. В одномерном случае функции одной монотонности синхронны, тогда как функции противоположной монотонности антисинхронны.

Определение2. Функции f(x) и g(x) будем называть почти синхронными на E, если существуют постоянные $C_f = C_f(f,g) > 0$, $C_g = C_g(f,g) > 0$, такие, что д ля любых x и y€ Евыполняется неравенство:

$$[C_f f(x) - f(y)] [C_g g(x) - g(y)] \geq 0, \quad (2)$$

и почти антисинхронными, если знак неравенства в (2) противоположен (см. [1]).

Функции одной почтимонотонности, определенные на упорядоченном множестве $[0,\ell]$почти синхронны а две функции противоположной монотонности почти антисинхронны.

Замечание 1.Две функции могут быть одновременно почти синхронны и почти антисинхронными на множестве E.

Лемма 1. Если функции f и gэквивалентны на E, то они одновременно почти синхронны и почти антисинхронны.

Можно привести много разных примеров применения понятий синхронности (см. [2]).

В силу особой важности и большой прикладной значимости неравенства Чебышева-Эрмита и особого внимания к нему математиков возникла естественная необходимость в распространении этого результата на более широкие класси функций, чем монотонные.Кроме тогомногие математики обращали вниманиена необходимость ослабления требования монотонности. Появилась так называемая задача-проблема

Чебышева-Эрмита “определить предельно широкие классы функций, на которых справедливо неравенство Чебышева-Эрмита ”.

В терминах синхронности мы существенно обобщили результат Чебышева- Эрмита и получили новые неравенства. Всюду в дальнейшем предполагается, что измеримые функции f(x) и g(x) определены в паралелепипеде$[0, \ell]=[0, \ell_1]\times[0, \ell_2]\times \ldots\times[0,\ell_n]$, их произведение f(x) .g(x) интегрируемо на $[0, \ell]$ и существует свертка

$\int_0^x f(x-t)g(t)dt = \int \ldots \int f(x_1 - t_1, \ldots, x_n - t_n)\, g(t_1, \ldots, t_n)\, dt_1, \ldots dt_n.$

Теорема 1. I.Пусть $n \geq 1$. Если функции f(x) и g(x) синхронны на $[0, \ell]$ то

$$1/\ (x_1 \ldots x_n) \int_0^x f(t)dt \int_0^x g(t)dt \leq \int_0^x f(t)\, g(t)dt\ , \qquad (5)$$

и неравенства в (5) противоположного знака, если функции f(x) и g(x)антисинхронны.

II. Пусть n=1. Если неотрицательные функции f(x) и g(x) почти синхронны на $[0, \ell]$справедливо

$$\int_0^x f(x-t)\, g(t)dt \leq A \int_0^x f(t)\, g(t)dt \qquad (6)$$

где $A=\max(1, C_1C_2) / \min(C_1, C_2)$, C_1, C_2– коэффициенты почти синхронности функции f и g. В случае антисинхронных функций f и g знак неравенства противоположный. Если функций f(x) и g(x) почти возрастают или почти убывают то

$$\int_0^x f(x-t)\, g(t)dt \leq \frac{B}{x} \int_0^x f(t)dt \int_0^x g(t)dt \leq C \int_0^x f(t)\, g(t)dt,$$

где $B=C_fCg$ и $C= (C_fCg)^2$, если f и g почти возрастсющие, и $B= (C_fCg)^{-1}$, $C= (C_fCg)^{-2}$, если они почти убывают. Знак в неравенстве (6) меняется на противоположный, если f(x) почти возрастает и g(x) почти убывает, в этом случае $B= C_f / Cg$, $C= (C_f / Cg)^2$.

Теорема 2. Для многомерных сверток

$$\int_{R^n} f(x-t)\, g(t)dt\ , \qquad x \in R^n$$

также имеют место неравенства

$$\int_{R^n} f(x-t)\, g(t)dt \ \leq \ \int_{R^n} f(x)g(t)dt,$$

в случае синхронных функции f(x) и g(x) и знак неравенства противоположенесли функции f и gантисинхронности.

Рассмотрим теперь приложение теоремы 1 к операторам типа потенциала (см. [3])

$$(K^\alpha f)(x) = 1/\gamma_n(\alpha) \int_{R^n} |x-y|^{\alpha-n} f(y)\, dy\ , \qquad \alpha > 0, \qquad (7)$$

где $\alpha \neq n+2k$, $k= 0, 1, \ldots, n$, $\gamma_n(\alpha)$ –нормирующий множитель.

Из (7) имеем

$$(K^\alpha f)(x) = 1/\gamma_n(\alpha) \int_{R^n} |y|^{\alpha-n} f(x-y)\, dy\ , \qquad \alpha > 0.$$

Пусть функции $|y|^{\alpha-n}$ иf(y)синхронны. Тогда по определению синхронности имеем

$$\int_{R^n} [\, f(x-y) - f(y)\,]\,[|x-y|^{\alpha-n} - |y|^{\alpha-n}]\, dy =$$

$$= 2\int_{R^n} |y|^{\alpha-n} f(y)\, dy - 2 \int_{R^n} |y|^{\alpha-n} f(x-y)\, dy \geq 0\ .$$

Откуда получаем

$$\int_{R^n} f(x-t)\, |t|^{\alpha-n} dt \leq \int_{R^n} f(t)\, |t|^{\alpha-n} dt\ ,$$

если же функции антисинхронны получаем неравенство противоположного знака.

Рассмотрим нелинейное интегральное уравнение вида:

$$u(x) = Au(x)\ , \qquad Au(x) = \int_0^x k(x-y)\varphi[u(y)]dy,$$

где$x \in [0,\ell]$, $x = (x_1, \ldots, x_n)$,$[0, \ell]=[0, \ell_1]\times[0, \ell_2]\times \ldots\times[0, \ell_n]$.Относительно ядра$k(t)$ инелинейности $\varphi(u)$ предполагается, что $k(t)$ – измерима и неотрицательна на $[0, \ell]$, а$\varphi(u)$неотрицательна на $(0, \infty)$, почти возрастает и существует такое$0 < \gamma < 1$, что $u^{-\gamma}\varphi(u)$ не возрастает. Пусть K- некоторый конус положительных (при $x \neq 0$) на$[0,\ell]$ функций, на котором определен оператор A. Для функций $g(x) \in$ K через –

K_gобозначимподконус всех функции из K эквивалентных функции g(x). Справедлива следующая

Теорема3. Пусть ядро k(x) и функция g(x)антисинхронны в параллелепипеде [0, t]и пусть, кроме того, при n>1 выполнено условие

$\int_0^\infty k(t)\ (\int_0^t k(\tau)\,d\tau)^{\gamma/(1-\gamma)}\,dt \geq c(\int_0^\infty k(t)\,dt)^{1/(1-\gamma)}$.

Тогда Ag~g и уравнение u(x) = Au(x) имеет в K_g единственное решение, которое можно найти методом последовательных приближений $u_*(x) = \lim_{n\to\infty} A^n g(x)$.

ЛИТЕРАТУРА

[1] Yakubov A.Ya; Shankishvili L.D. *Some inequalities for convolution integral transforms* // Integral Transforms and special Functions. 1994, vol. 2. №1. P. 65-76.
[2] H.Heining and L.Maligranda. *Chebyshev inequalitity in function spaces*. RealAnnalysisExchage, 17 (1991-1992), pp. 211-247.
[3] Самко С.Г., Килбас А.А., Маричев О.И. *Интегралы и производные дробного порядка и некоторые их приложения.* Мн., 1987.

ჩებიშევ-ერმიტისუტოლობებისანალოგებისინქრონული ფუნქციისშემთხვევაშიდამათიგამოყენება

ასოც. პროფესორილ.შანქიშვილი
სტუ, თბილისი, კოსტავას 77

ჩებიშევ-ერმიტის უტოლობის დიდი გამოყენებითი მნიშვნელობისა და მის მიმართ მათემატიკოსთა ყურადღების გამო წარმოიშვა ამ უტოლობის ფუნქციათა უფრო ფართო კლასზე გავრცელების ბუნებრივი საჭიროება, ვიდრე მხოლოდ მონოტონურზე.

მოცემულნაშრომში, სინქრონულობის ტერმინებში მნიშვნელოვნად განზოგადებულია ჩებიშევ-ერმიტის შედეგები, მიღებულია ახალი უტოლობები და რეალიზებულია მიღებული შედეგების გამოყენება. ასევე განხილულია ის მოდიფიკაციები, რომლებიც უფრო მეტად მიახლოებულია ნახვევის, ვოლტერის ტიპის და ვოლტერის ნახვევის ინტეგრალურ გარდაქმნებთან, აგრეთვე წილადი რიგის ინტეგრო-დიფერენცირებასთან და ა.შ.

Analogs of Chebychev-Ermyt's inequalities in the event of synchronous functionand use of them

Assos. Proffesor L.Shankishvili
Georgian Technical University
Kostava Str., 77, Tbilisi, Georgia

Due to great applying importance of Chebychev-Ermyt's inequality and mathematicians' attention to it, natural necessity of spreading the functions of the above inequality has been arisen to broader class than only to monotonous.

In the present article, Chebychev-Ermyt's results have been generalized significantly in the terms of synchronicity, new inequalities have been obtained and utilization of obtained results has been realized. The modifications that are very close to integral conversions of convolution, Voltaire's type and Voltaire's convolution as well as integro-differentiation of fraction range and so on, have been examined too.

პარამაგნიტური იონი კრისტალურ ველში

ზურაბ ჩაჩხიანი, ლერი კოკილაშვილი, ლალიტა დარჩიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. 77

როგორც ცნობილია ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსი (ეპრ) არის იონის სპექტრში გარე ცვლადი მაგნიტური ველით ელექტრონების რეზონანსული აღგზნების მოვლენა. კლასიკური მექანიკის თვალსაზრისით იგი შესაძლებელია იმის გამო, რომ ელექტრონის ბირთვის გარშემო ბრუნვისას იონი $\vec{M}$ იძენს მაგნიტურ დიპოლურ მომენტს, რომელიც დაკავშირებულია $\vec{G}$ მექანიკურ სრულ მომენტთან შემდეგი თანაფარდობით:

$$\vec{M} = \gamma \vec{G}, \qquad (1)$$

სადაც γ გირომაგნიტური თანაფარდობაა. $\vec{G}$ მომენტში წვლილი შეაქვთ მხოლოდ შეუვსებელი გარსების ელექტრონებს. თავისუფალი იონებისათვის

$$\gamma = -g\frac{e}{2mc}, \qquad (2)$$

სადაც *e* და *m* ელექტრონის მუხტი და მასაა. *g*-ს სიდიდე დამოკიდებულია $\vec{G}$ სრულ მომენტში ორბიტული და სპინური მომენტების ფარდობით წვლილზე. თუ იონს აქვს მხოლოდ ორბიტული მომენტი, მაშინ $\vec{G} = \hbar\vec{L}$ და $g=g_L=1$. სუფთა სპინური მომენტისათვის $\vec{G} = \hbar\vec{S}$; $g=g_S\approx 2$. უფრო ხშირად იონს აქვს ბმული ორბიტული და სპინური მომენტები (*LS* – ბმა). ამ შემთხვევაში, მოძრაობის ინტეგრალია სრული მომენტი $\vec{J} = \vec{L} + \vec{S}$. *g* ფაქტორის შესაბამის მნიშვნელობას

$$g_J = \frac{J(J+1)(g_L + g_S) + \left[L(L+1) - S(S+1)\right](g_L - g_S)}{2J(J+1)} \qquad (3)$$

მივყავართ ლანდის ფორმულამდე. თუ დავუშვებთ, რომ $g_L=1$; $g_S=2$, მაშინ

$$g_J = 1 + \frac{J(J+1) - L(L+1) + S(S+1)}{2J(J+1)}. \qquad (4)$$

ჯამური ელექტრონული მაგნიტური დიპოლური მომენტი

$$\vec{M} = -\vec{g}_J \cdot \mu_B \vec{J}, \qquad (5)$$

სადაც $\mu_B = \frac{e\hbar}{2mc}$ ბორის მაგნეტონია. (5) ფორმულა მართებულია იმ მიახლოების ფარგლებში, რომელიც უგულებელყოფს განსხვავებული $\vec{J}$-ს მქონე მდგომარეობებს.

თუ $\vec{M}$ მომენტის მქონე იონს მოვათავსებთ გარე მაგნიტურ ველში, მაშინ ზემაგნიტური ურთიერთქმედების ჰამილტონიანს ექნება სახე:

$$\hat{H}_z = -\vec{M}\vec{H} = g_J \mu_B \vec{J}\vec{H}. \qquad (6)$$

მაშინ ენერგია იმ სტაციონარული მდგომარეობისა, რომელიც *M* მაგნიტური კვანტური რიცხვით ხასიათდება, ტოლია

$$E_M = g_J \mu_B H M. \qquad (7)$$

ამიტომ, $\Delta M=\pm 1$ შერჩევის წესით დაშვებული ენერგიის ამ დონეებს შორის გადასვლების რეზონანსული აღგზნებისათვის აუცილებელია გამოსხივების

კვანტები ენერგიით:

$$\hbar\omega = g_J \mu_B H \Delta M \ . \qquad (8)$$

ამრიგად, თუ მაგნიტურ ველში იონის დონეების სისტემას მოვდებთ მეორე ველს, რომელიც ოსცილირებს $\omega_0 = \frac{1}{\hbar} g_J \mu_B H \Delta M$ რეზონანსულ სიხშირესთან ახლო მყოფი ω სიხშირით, მაშინ იონის სპექტრში წარმოიქმნება ექსპერიმენტულად რეგისტრირებული შთანთქმის რეზონანსული ხაზები. 1 ნახ-ზე წარმოდგენილია ეპრ-ის ტიპური მრუდი C_rCl_3-თვის.



ნახ.1. პარამაგნიტური რეზონანსული შთანთქმის ტიპიური მრუდი $CrCl_3$ -სთვის, როცა Δ=10,87სმ, *T*=298*k*.

აღსანიშნავია, რომ ეპრ-ის თეორიაში ყოველი იონი (მაგნიტური დიპოლი) იზოლირებულად ითვლება, ე.ი. შეიძლება კრისტალში მისი სხვა იონებთან ურთიერთქმედების უგულებელყოფა. კრისტალებში ბევრ იონს აქვს ჩაკეტილი ელექტრონული გარსები, რაც შეუძლებელს ხდის ასეთ სისტემაში ეპრ-ის გამთლიანების. ამიტომ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ეპრ-ის მეთოდის გამოყენება შესაძლებელია გარდამავალი ჯგუფების ელემენტების იონების სპექტრების შესასწავლად პარამაგნიტურ ფაზაში, სადაც იონებს შორის გაცვლითი ურთიერთქმედებები საკმაოდ სუსტია. გარდამავალი ჯგუფებს მიეკუთვნებიან 3*d* - რკინის; 4*d* – პალადიუმის; 5*d* – პლატინის; 4*f* – ლანთანოიდების და 5*f* – აქტინიდების ჯგუფების ელემენტები. სწორედ ასეთი იონების შემცველი ნივთიერებები არის ეპრ-ის მეთოდი არის გამოკვლევის საგანი.

პარამაგნიტურ იონებს შორის გაცვლითი ურთიერთქმედებების არსებობაში, კრისტალში იონის "აბსოლუტურად თავისუფლად" ჩათვლა არ შეიძლება. ნებისმიერ შემთხვევაში, ის იმ დიამაგნიტური იონების (ლიგანდების) გარემოცვაშია, რომლებიც ქმნიან გარე ელექტრომაგნიტურ ველს, რომელსაც კრისტა-

ლური ველი ან ლიგანდების ველი ეწოდება. ლიგანდების ველის გავლენით მაგნიტური იონის $(2J+1)$-ჯერადად გადაგვარებული ძირითადი მულტიპლეტი იხლიჩება დონეთა სიმრავლედ. ამ დონეების ნარჩენი გადაგვარება განისაზღვრება კრისტალური ველის სიმეტრიით და ადვილად გამოითვლება ჯგუფთა თეორიის მეთოდით.

განვიხილოთ იონი კუბური სიმეტრიის კრისტალურ ველში, რომელიც შეიცავს ორ *f*-ელექტრონს გარე ელექტრონულ გარსზე, მაგალითად U^{4+} იონი ურანის მონოჰალკოგენიდებში (*US, USe, UTe*). თუ მივიღებთ, რომ *LS*-კავშირი ძალიან ძლიერია, ჰუნდის წესის გამოყენებით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ U^{4+} იონის ძირითადი მდგომარეობაა $L=5$, $S=1$, $J=4$ ($^3H_4$ სპექტროსკოპულ აღნიშვნებში). ძლიერი *LS*-კავშირი გულისხმობს მოძრაობისას მხოლოდ $J=4$ კვანტური რიცხვის მუდმივობას; ეს ნიშნავს, რომ თავისუფალი იონის ტალღური ფუნქციები გარდაიქმნება $O(3)$ ბრუნვის ჯგუფის D_4 წარმოდგენით. კუბურ კრისტალურ ველში O_h სიმეტრიით ეს წარმოდგენა იყოფა O_h ჯგუფის დაუყვანად წარმოდგენებად; რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ შედის O_h ჯგუფის ესა თუ ის წარმოდგენა D_4 გაშლაში, განისაზღვრება ცნობილი ფორმულით

$$n^{(i)} = \frac{1}{h}\sum_G \chi_G^{(i)}\chi_G , \qquad (9)$$

სადაც h ჯგუფის რიგია; აჯამვა წარმოებს ჯგუფის ყველა ელემენტით. მაგალითად, D_4 ჯგუფისათვის ვიღებთ:

$$D_4=\Gamma_1+\Gamma_3+\Gamma_4+\Gamma_5, \qquad (10)$$

სადაც Γ_i არის O_h ჯგუფის წარმოდგენები (აღნიშვნები მოცემულია [1]-ის შესაბამისად); Γ_1 – ერთგანზომილებიანი; Γ_3 – ორგანზომილებიანი; Γ_4 და Γ_5 – სამგანზომილებიანი. ამრიგად, კუბურ კრისტალურ ველში U^{4+} იონის სპექტრი შედგება ოთხი დონისაგან: სინგლეტის, დუბლეტისა და ორი ტრიპლეტისაგან.

იონის სპექტრის რაოდენობრივი ანალიზისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, ავაგოთ კრისტალური ველის ჰამილტონიანი, რისთვისაც ხშირად იყენებენ ლიგანდების ველის ელექტროსტატიკური, ანუ იონურ მოდელს. ეს მოდელი გულისხმობს, რომ მაგნიტური იონის გარე ელექტრონები სუსტადაა გადაფარული ლიგანდების ელექტრონულ სიმკვრივესთან და ამიტომ ცენტრალური იონის ურთიერთქმედება ლიგანდებთან შეიძლება წმინდა კულონურ ურთიერთქმედებად ჩაითვალოს. ეს, რასაკვირველია, ძალზე უხეში მიახლოებაა, რომელიც შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს *d*-ელექტრონებისათვის, რომლებსაც აქვს შედარებით მცირე რადიალური განფენილობა. მხედველობაში მიიღება ის მდგომარეობა, რომ 4*f*-ელექტრონების ელექტრონული სიმკვრივის მაქსიმუმი ატომებს შორის მანძილის შუაშია, ხოლო აქტინიდებში 5*f*-ტალღური ფუნქციების განფენილობა უახლოვდება ლიგანდსა და ცენტრალურ იონს შორის საშუალო მანძილს (3-4 $Å$).

მიუხედავად ამისა, ელექტროსტატიკური მოდელი შესაძლებლობას იძლევა გავაკეთოთ ზოგიერთი თვისობრივი დასკვნა იონის მაგნიტურ თვისებებზე კრისტალური ველის გავლენის შესახებ.

ცენტრალური იონის ელექტრონების ჰამილტონიანს უმარტივეს შემთხვევაში, აქვს სახე:

$$\hat{H} = \hat{H}_0 + \hat{V}_{კრ}, \qquad (11)$$

სადაც $\hat{H}_0$ არის თავისუფალი იონის ჰამილტონიანი, $\hat{V}_{კრ}$ – კრისტალური ვე-

ლის პოტენციალი. $\hat{V}_{კრ}$ პოტენციალი განიხილება როგორც შეშფოთება, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონების მოძრაობას. ელექტროსტატიკურ მოდელში იგი შეიძლება მწკრივად გაიშალოს სფერული ჰარმონიკების მიხედვით

$$\hat{V}_{კრ} = \sum A_k^m r_i^k Y_k^m(\theta_i, \varphi_i) \qquad (12)$$

აქ $\{r_i, \varphi_i, \theta_i\}$ არის i-ური ელექტრონის კოორდინატები, $Y_k^m(\theta_i, \varphi_i)$ – სფერული ჰარმონიკები, A_k^m –კოეფიციენტები.

(12) გამოსახულების გამარტივება მიიღწევა იმის ხარჯზე, რომ კონკრეტულ ამოცანებში კრისტალური ველის ჰამილტონიანი დაპროექტდება ქვედა ელექტრონულ დონეებზე, რომლებიც ძირითად მულტიპლეტის შეესაბამება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ (12) გაშლაში ნულის ტოლი ხდება კენტი k-ს მქონე ყველა კოეფიციენტი. ამის გამო, ინვერსიის ოპერაცია იწვევს თითოეულ Y_k^q ფუნქციაში $(-1)^k$ მამრავლის გაჩენას. მეორეს მხრივ, (12) ჰამილტონიანის შესაკრებთა მატრიცული ელემენტები გამოიყენება სლეტერის ტალღურ ფუნქციებში

$$\psi_{\{\alpha_i\}}(\{r_i, \sigma_i\}) = \frac{1}{N!}\begin{vmatrix} \psi_{\alpha_1}(r_1, \sigma_1) \ldots \psi_{\alpha_1}(r_N, \sigma_N) \\ \ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots\ldots \\ \psi_{\alpha_N}(r_1, \sigma_1), \ldots, \psi_{\alpha_N}(r_N, \sigma_N) \end{vmatrix} \qquad (13)$$

სადაც α_i არის $\{n, l, m, m_S\}$ კვანტურ რიცხვთა სიმრავლე i-ური ელექტრონისათვის; $\psi_{\{\alpha_i\}}(r_i, \sigma_i)$– ერთელექტრონიანი წყალბადისებრი ტალღური ფუნქციები

$$\psi_{nlmm_S}(r_i, \sigma_i) = R_{nl}(r_i) Y_l^m(\theta_i, \varphi_i) \chi_{m_S}(\sigma_i)\,. \qquad (14)$$

(14) გამოსახულებაში $R_{nl}(r_i)$ არის i-ური ელექტრონის რადიალური ტალღური ფუნქცია; $Y_l^m(\theta_i, \varphi_i)$ – სფერული ჰარმონიკები; $\chi_{m_S}(\sigma_i)$ – სპინური ტალღური ფუნქცია $S = \frac{1}{2}$-თვის. მაშინ (7.12) შესაკრებთა მატრიცული ელემენტები პროპორციულია შემდეგი სახის ინტეგრალებისა:

$$\int Y_l^{m'x}(\theta_i, \varphi_i) Y_k^m(\theta_i, \varphi_i) Y_l^{m''}(\theta_i, \varphi_i) d\Omega\,. \qquad (15)$$

(15)-დან გამოდის, რომ ინვერსიისას ინტეგრალი იღებს $(-1)^{l+k+l}=(-1)^k$ მამრავლს. მატრიცული ელემენტების ინვარიანტობის გამო ნულის ტოლი უნდა გახდეს კენტი k-ს მქონე ყველა შესაკრები. აღვნიშნოთ, რომ ზოგად შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებულია l-საგან განსხვავებული რიგის სფერული ჰარმონიკების შემცველი აღგზნებული კონფიგურაციები, მიღებული შედეგი აზრს კარგავს. ძირითად და აღგზნებულ კონფიგურაციებს შორის გადაჯვარედინებული მატრიცული ელემენტები შეიცავს $Y_{l'}^{m'*} Y_k^m Y_l^{m''}$ ტიპის ნამრავლებიდან ინტეგრალებს და კენტი k-ს დროს ყოველთვის აღარ იქნება ნულის ტოლი (ასე, მაგალითად, თუ $l'=0$ და $l=3$ მაშინ კენტი k-ს დროს ინვერსიისას ნიშანი არ იცვლება). შემდგომში უგულებელვყოფთ აღგზნებული კონფიგურაციების შერევას და ნულისაგან განსხვავებულად ჩავთვლით მხოლოდ ლუწი k-ს მქონე შესაკრებს.

შემდეგი გამარტივება დაკავშირებულია იმასთან, რომ (15) ინტეგრალში $Y_l^{m'} Y_l^{m''}$ ნამრავლი შეიძლება წარმოვადგინოთ $0 \le p \le 2l$-ის მქონე Y_p^q სფერული ჰარმონიკების წრფივი კომბინაციის სახით. ამიტომ სფერული ჰარმონიკების ორთოგონალობის გამო, ნულის ტოლია $k>2l$-ის მქონე ყველა ინტეგრალი.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ (7.12) ჰამილტონიანის დაპროექტება *d*-კონფიგურაციაზე ტოვებს მხოლოდ k=0, 2, 4-ის მქონე შესაკრებებს; *f*-კონფიგურაციაზე დაგეგმილება შესაძლებლობას იძლევა შემოვისაზღვროთ მხოლოდ k=0,2,4,6-ით. შესაკრები k=0 არის კონსტანტა და იგი შეიძლება უკუვაგდოთ. შედეგად ვიღებთ კრისტალური ველის ჰამილტონიანს შემდეგი სახით:

$$\hat{V}_{\text{კრ}} = \sum_{k=2,4,6} r_i^k \sum_{m=-k}^{k} A_k^m Y_k^m(\theta_i, \varphi_i). \qquad (16)$$

(16)-ში შემავალი დამოუკიდებელი პარამეტრების რიცხვი ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია (14-ია α–ელექტრონისათვის და 27 *f*-ელექტრონისათვის). მათი რაოდენობა შეიძლება მნიშვნელოვნად შევამციროთ, თუ გავითვალისწინებთ კრისტალური ველის კონკრეტულ სიმეტრიას.

განვიხილოთ *d*-ელექტრონული კონფიგურაცია კრისტალურ ველში. სფერული ჰარმონიკების საძიებელი კომბინაცია $\hat{V}_{\text{კრ}}$-სათვის შეიძლება მივიღოთ $\hat{V}_{\text{კრ}}$ პოტენციალის O_h ჯგუფის ელემენტების მოქმედების მიმართ ინვარიანტების პირობიდან. ამოვირჩიოთ, მაგალითად, ოპერატორი

$$\hat{C}_4 : \hat{C}_4 \begin{pmatrix} x \\ y \\ z \end{pmatrix} \to \begin{pmatrix} y \\ -x \\ z \end{pmatrix}. \qquad (17)$$

$\hat{C}_4 \hat{V}_{\text{კრ}} = V_{\text{კრ}}$ პირობიდან ვიღებთ, რომ

$$A_4^3 = A_4^{-3} = A_4^2 = A_2^1 = A_2^{-1} = A_4^{-2} = A_4^1 = A_2^2 = A_2^{-2} = 0,$$

მაშინ

$$\hat{V}_{\text{კრ}} = \left[A_4^4 Y_4^4 + A_4^0 Y_4^0 + A_4^{-4} Y_4^{-4}\right] r^4 + A_2^0 Y_2^0 r^2. \qquad (18)$$

ვიმოქმედებთ რა (18)-ზე $\hat{C}_2$ ოპერატორით, მივიღებთ: $\hat{C}_2 Y_4^4 = Y_4^{-4}$ და $\hat{C}_2 Y_4^{-4} = Y_4^4$. აქედან $A_4^4 = A_4^{-4}$, საბოლოოდ კი, პირობა $\hat{C}_3 \hat{V}_{\text{კრ}} = V_{\text{კრ}}$ გვაძლევს ჯერ ერთი, $A_2^0 = 0$, და მეორეც, შემდეგ ტოლობას:

$$\begin{aligned} &\frac{1}{8} A_4^0 \left(35x^4 - 30x^2 r^2 + 3r^4\right) + A_4^4 \sqrt{\frac{35}{128}} \left[(y+iz)^4 + (y-iz)^4\right] = \\ &= \frac{1}{8} A_4^0 \left(35z^4 - 30z^2 r^2 + 3r^4\right) + A_4^4 \sqrt{\frac{35}{128}} \left[(x+iy)^4 + (x-iy)^4\right] \end{aligned}. \qquad (19)$$

ნორმირებისა და (7.19) პირობის გათვალისწინებით, ვღებულობთ,

$$\hat{V}_{\text{კრ}} = \left[Y_4^0 + \sqrt{\frac{15}{14}}\left(Y_4^4 + Y_4^{-4}\right)\right] A_4^0 r^4. \qquad (20)$$

მეექვსე რიგის ჰარმონიკების გათვალისწინებისას (20)-ში აუცილებელია $\left[Y_6^0 - \sqrt{\frac{7}{2}}\left(Y_6^4 + Y_6^{-4}\right)\right] A_6^0 r^6$ შესაკრების დამატება. ამრიგად, *f*-ელექტრონული კონფიგურაციის 27 დამოუკიდებელი პარამეტრიდან კუბური სიმეტრიის გათვალისწინების შემდეგ მხოლოდ 2 რჩება. ეს არსებითად ამარტივებს გამოთვლის ამოცანას. მაგნიტური იონის პოზიციის უფრო დაბალი სიმეტრიისათვის პარამეტრების რიცხვი იზრდება, მაგრამ ეს რიცხვი მაინც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე (16) ამოსავალ ჰამილტონიანში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Леушин А.М. Таблицы функций, преобразующихся по неприводимым представлениям точечных групп М:Наука, 1968, 142 с.
2. Лоу В. Парамагнитный резонанс в твердых телах. М.:Наука, 1968, 720 с.
3. Newman D. I. Adv. Phys., D.20. p. 191.
4. Корн Г., Корн Т. Справочник по математике. М.: Наука, 1968, 720 с.
5. ზ. ჩაჩხიანი, მაგნეტოქიმია, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009, 313 გვ.

Paramagnetic ions in the crystalline field

Z. Chachkhiani, L. Kokilashvili, L. Darchiashvili

The paper presents Solid Paramagnetic Resonance spectra of formation of the crystalline field in terms of analysis. Paramagnetic ion moments of mutual dependence, characteristic of the physical aspects of the experimental measurements of the absorption spectra is very important to complete analysis. Paid attention to the fact that the EPR - it's method can be effectively studied in the Paramagnetic state of the transition 3d, 4d, 5d and 5f metal ions spectra of isolated and analyzed the energy levels split net structures.

The d-electron configuration in the crystalline field parameters for calculating the sequence of spherical symmetry elements of the potential combination of harmonica.

Парамагнитные ионы в кристаллическом поле

З.Б. Чачхиани, Л.Г. Кокилашвили, Л.К. Дарчиашвили

В работе представлен анализ условия формирования спектров парамагнитного резонанса в кристаллическом поле твердых тел. Рассмотрены характеризующие моменты физических аспектов взаимозависимости парамагнитного иона, что очень важно для полного анализа и экспериментального измерения спектров поглощения. Обращенно внимание на то обстоятельство, что ЭПР - этим методом может быть эффективно изучен спектр изолированных ионов металла в состоянии парамагнитного 3d, 4d, 5d, 5f перехода и проанализировать энергетические уровни расщепленных структур.

ბორით ლეგირებისა და თერმული დამუშავების გავლენა მონოკრისტალური გერმანიუმის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე

გიორგი ჩუბინიძე, ია ყურაშვილი, ზურაბ ჩაჩხიანი, მალხაზ ბიბილური

ცნობილია, რომ მყარი სხეულების დინამიური მექანიკური თვისებების შესწავლა აკუსტიკური სპექტროსკოპიის მეთოდებით უნიკალურ მონაცემებს იძლევა კრისტალური მესრის დამახასიათებელი დეფექტების აქტივაციურ პარამეტრებზე, რომლებიც გამოიყენებიან მართვადი ელექტროფიზიკური, სტრუქტურულად-მგრძნობიარე ფიზიკურ-მექანიკური და პლასტიკური თვისებების პროგნოზირების ფუნდამენტური თეორიის საფუძვლების შექმნაში [1]. მიუხედავად აღნიშნულისა დღეისათვის აშკარად არასაკმარისად არის

შესწავლილი მონოკრისტალური გერმანიუმის ფუძეზე არსებული მასალების დამახასიათებელი დეფექტების კრისტალოგრაფიული და ენერგეტიკული მახასიათებლები, მათი გავლენა სტრუქტურულად-მგრძნობიარე ნახევარგამტარულ და ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე.

კვლევის ობიექტია ჩოხრალსკის მეთოდით მიღებული არალეგირებული და ბორით ლეგირებული მონოკრისტალური გერმანიუმის ნიმუშები. ელექტროფიზიკური მახასიათებლების გაზომვები შესრულებულია ოთახის ტემპერატურაზე მუდმივ მაგნიტურ ველში ჰოლის ეფექტის რეგისტრაციის მეთოდით. საცდელი ნიმუშები ორიენტირებულია [111] მიმართულებით. პარალელეპიპედის ფორმის ნიმუშების ყველა წახნაგი პოლირებულია მექანიკურად. საკონტაქტო მასალად გამოყენებულია ევტექტიკური InGa.

საცდელი ნიმუშების ძვრის დინამიური მოდულის ტემპერატურული და ამპლიტუდური დამოკიდებულებების შესწავლა ხორციელდება ნახევრადავტომატურ დანადგარზე. გრეხითი რხევების სიხშირის რეგისტრაციის მეთოდით. გაზომვებში გამოიყენებოდა პარალელეპიპედის ფორმის ნიმუშები, ზომებით: 0,5·0,5·12მმ^3. გაზომვები სრულდებოდა ტემპერატურათა 20 – 800°C და სიხშირეთა 0,5÷5 ჰც ინტერვალში. გაზომვის პროცესში შესაძლებელია გრეხითი რხევების ამპლიტუდის ცვლილება $1\cdot10^{-5}\div5\cdot10^{-3}$ ინტერვალში. გაზომვა ხორციელდებოდა გახურება-გაცივების 1÷3 გრად/წთ სიჩქარით.

ძვრის მოდულის აბსოლუტური სიდიდე ოთახის ტემპერატურაზე განისაზღვრებოდა შემდეგი ცნობილი თანაფარდობით [2]:

$$G = G_0 f^2 \Big/ f_0^2 ,$$

სადაც G_0 და f_0 ეტალონის ძვრის მოდული და რხევის სიხშირეა გამზომ დანადგარში ოთახის ტემპერატურაზე, ხოლო G და f იდენტური ზომების საცდელი კრისტალის მოდულისა და რხევის სიხშირის მნიშვნელობებია.

არალეგირებული გერმანიუმის მონოკრისტალი ხასიათდება p-ტიპის გამტარობით. თერმული დამუშავება - მოწვა, 750°C ტემპერატურაზე 10სთ-ის განმავლობაში გავლენას არ ახდენს გამტარობის ტიპზე, უმნიშვნელოდ ამცირებს დენის მატარებლების – ხვრელების კონცენტრაციას და ავლენს მათი ძვრადობის ამაღლების ტენდენციას. საცდელი ნიმუშების ელექტროფიზიკური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 1. ცხრილიდან ჩანს, რომ მონოკრისტალური გერმანიუმის ხვრელების ძვრადობა მაღალია, რაც ადასტურებს მასში დეფექტების კონცენტრაციის სიმცირეს, თერმული ძაბვებისა და დეფორმაციის ინტენსივობის მინიმალურ დონეს.

ბორით ლეგირებული გერმანიუმი ხასიათდება მალეგირებელი კომპონენტის არაერთგვაროვანი შემცველობით, რაც, შესაბამისად, შესამჩნევად ცვლის ელექტროფიზიკური მახასიათებლების სიდიდეებს არალეგირებული გერმანიუმის კრისტალებთან შედარებით. ბორით ლეგირება განხორციელებულია სუსტად და ღრმად ლეგირების დონეებზე. განსაზღვრულია ორი ტიპის Ge:B ლეგირებული მონოკრისტალების ელექტროფიზიკური მახასიათებლები, საიდანაც დგინდება, რომ ძლიერად ლეგირებული გერმანიუმი ხასიათდება საგრძნობლად შემცირებული ხვრელების ძვრადობით.

თერმული დამუშავება (მოწვა მაღალ ტემპერატურებზე) ორ დონეზე ლეგირებული კრიტალების ელექტრულ მახასიათებლებზე ახდენს განსხვავებული ხასიათის ზემოქმედებას. ასე მაგალითად, 750°C ტემპერტურაზე

მოწვა ვაკუუმში 10სთ-ის განმავლობაში სუსტად ამაღლებს ხვრელების კონცენტრაციას და პრაქტიკულად გავლენას არ ახდენს მათ ძვრადობაზე. სავარაუდოა, რომ მოწვით მინიმუმამდე მცირდება კრისტალურ მესერში ხვრელების გამბნევი დეფექტების კონცენტრაცია. ძლიერად ლეგირებული Ge:B მონოკრისტალის მოწვა ზემოთ აღნიშნულ პირობებში 10-15%-ით ამაღლებს ხვრელების კონცენტრაციას, შესაბამისად მცირდება მათი ძვრადობა ოთახის ტემპერატურაზე. აღნიშნული ცვლილებები უპირატესად განპირობებულია ბორის კონცენტრაციის გაზრდით მყარ ხსნარში ჩანაცვლების პოზიციებში. ეს შესაძლებელია განხორციელდეს მასიური კრისტალის სტრუქტურული დეფექტებისაგან თავისუფალ არეებში, ასევე ნებისმიერი ტიპის დისლოკაციების ბირთვების მახლობლობაში და წარმოიქმნას ე.წ. კოტრელის ატმოსფეროები.

[111] ორიენტაციის მონოკრისტალური გერმანიუმის ელექტროფიზიკური მახასიათებლები

ცხრილი 1

საცდელი ნიმუშები	დენის მატარებლების კონცენტრაცია, სმ$^{-3}$		დენის მატარებლების ძვრადობა, სმ^2.ვ$^{-1}$.წმ$^{-1}$		დისლოკაციების სიმკვრივე, სმ$^{-2}$		ძვრის მოდული კგ/მმ^2	
	საწყისი	მოწვა, 750° 10სთ	საწყისი	მოწვა, 750° 10სთ	საწყისი	მოწვა, 750°, 10სთ	საწყისი	მოწვა, 750°, 10სთ
Ge	$5\cdot10^{15}$	$3\cdot10^{15}$	1650	1700	$3\cdot10^{3}$	$2\cdot10^{3}$	3900	4050
Ge:B	$2\cdot10^{17}$	$1\cdot10^{17}$	810	830	$2\cdot10^{4}$	$2\cdot10^{4}$	3950	4150
Ge:B	$5\cdot10^{18}$	$3\cdot10^{18}$	540	550	$1\cdot10^{5}$	$7\cdot10^{4}$	3850	3800

ბორით ლეგირებული მონოკრისტალური გერმანიუმის ძვრის მოდულის სიდიდეები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ბორის კონცენტრაციაზე. ბორის მცირე კონცენტრაციით შემცველი კრისტალის ძვრის მოდული იზრდება არალეგირებულ კრისტალთან შედარებით. მოწვა ავლენს მოდულის მოდულის მნიშვნელობის ამაღლების ტენდენციას. ძლიერად ლეგირებული Ge:B –ის ძვრის მოდული შემცირებულია. მოწვით ის კიდევ უფრო მეტად მცირდება. ეს უკანასკნელი განპირობებულია ბორის კონცენტრაციის გაზრდით მყარ ხსნარში. აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებულია კრისტალის "დარბილების" პროცესთან. არსებული მოსაზრების თანახმად [3], აღნიშნულ პროცესს იწვევს დენის მატარებლების ზემოქმედებით კოვალენტური კავშირების შესუსტება Ge-Ge ატომებს შორის.

შესწავლილია ატომთა შორის კავშირის ძალების დამახასიათებელი დინამიური ძვრის მოდულის ფარდობითი მნიშვნელობების ტემპერატურული დამოკიდებულება (ნახ.1).

20-100°C შუალედში იგი არ ამჟღავნებს ტემპერატურისაგან დამოკიდებულებას. 285°C ტემპერატურის არეში ძვრის მოდული ძლიერად მცირდება. 285°C ტემპერატურის არეში მიმდინარეობს ორი ინტენსიური პროცესი – მექანიკური რელაქსაცია, რაც იწვევს შინაგან ხახუნსა და მოდულის

დეფექტს, და დინამიური მექანიკური განმტკიცება, რომელიც როგორც წესი დისლოკაციების ძვრადობის შემცირებას უკავშირდება[1].



ნახ.1. მონოკრისტალური Ge–ის ძვრის მოდულის ტემპერატურული დამოკიდებულება. 1– საწყისი, 2– მომწვარი, 750 °C, 10სთ.

მოდულის სიდიდეზე გავლენას ახდენს კრისტალის ზედაპირის სტრუქტურა, აღსანიშნავია ისიც, რომ, მოდული ძირითადად მოცულობაში ატომთაშორის ძალების ამსახველი ფიზიკური სიდიდეა. შესაძლებელია დინამიური მექანიკური განმტკიცება გამოწვეულია მოცულობაში არსებული დისლოკაციების ძვრადობის შემცირებით დისლოკაციების ბირთვების გასწვრის ტექნოლოგიური მინარევების კონცენტრაციის გაზრდის გამო. ძვრის მოდულის ტემპერტურული სპექტრი ხასიათდება ამლიტუდისაგან დამოკიდებულებით. ეს შესაძლებელია განპირობებულია დისლოკაციების მოძრაობით მასზე არსებული ღუნვების მიგრაციით კრისტალის ზედაპირზე ვაკანსიების ატმოსფეროში.

450°C ტემპერატურიდან ძვრის მოდული საგრძნობლად შემცირებულია. აღნიშნული ტემპერატურის ზემოთ თავს იჩენს მუხტის მატარებელთა კონცენტრაციის მზარდი გავლენა კოვალენტური კავშირების შესუსტებაზე. აღნიშნული თავისებურებანი და სტრუქტურის დეფექტების ძვრადობის გადიდება განაპირობებენ ძვრის მოდულის ზიგზაგისებურ ცვლილებას მაღალტემპერატურულ ინტერვალში.

განმეორებითი გაზომვის დროს მოდულის ცვლილების ხასიათი პრაქტიკულად შენარჩუნებულია 400°C-მდე, რის შემდეგაც იწყება მოდულის დაახლოებით წრფივი შემცირება. ეს ნიშნავს, რომ უკიდურესად შემცირებულია სტრუქტურული დეფექტების გავლენა ძვრის მოდულის ტემპერატურულ დამოკიდებულებაზე და იგი განისაზღვრება მხოლოდ გერმანიუმის მონოკრისტალის შინაგანი ბუნებით– ფონონების და მუხტის მატარებლების ქვესისტემების აღგზნებით მაღალტემპერატურულ ინტერვალში.

ლიტერატურა

1. A.Pushkar. Internal friction in metals and alloys. London,2005, 640p.
2. М.А Криштал., С.А. Головин. Внутреннее трение и структура металлов, . М.: Металлургия, 1978, 380с.
3. В.В. Свиридов. Электронно-стимулированная подвижность дислокаций в Германии. ФТТ, 1995, том 30, №10, с. 3097-3107.

Influence of boron doping and thermal treatment on physical-mechanical properties of monocrustalline germanium

G.Chubinidze, I.Kurashvili, Z.Chachkhiani, M.Bibiluri

Regularities of changes of electrophysical characteristics and shear modulus of boron doped monocrystalline germanium have been studied. Specific changes of electrical characteristics and shear modulus, connected to strengthening and softening processes, due to interaction of dislocation-boron atoms have been analyzed.

Влияние легирования бором и термической обработки на физико-механические свойства монокристаллического германия

Г.Г.Чубинидзе, И.Р.Курашвили, З.Б.Чачхиани, М.В.Бибилури

Изучены закономерности изменения электрофизических харакетристик и динамического модуля сдвига монокристаллического германия, легированного бором с различной концентрацией.

Проанализированы специфические изменения электрических харакетристик и модуля сдвига в процессах упрочнения и разупрочнения, обусловленных взаимодействием дислокаций с атомами бора.

Журнал издается по решению редакционно-издательского совета от 16 декабря 2010 года (протокол №6)

Редакционный совет:

Борис Имнадзе –ф. профессор, главный редактор
Теймураз Джагоднишвили –ф. профессор, заместитель редактора
Елизавета Козлова – ассоц. профессор, ответственный секретарь
Чингиз Бедалов, профессор
Жанетта Вардзелашвили, ТГУ, преподаватель, доктор филологических наук
Константин Рамишвили, профессор, вице-президент АНО Грузии
Гоча Микиашвили, профессор, декан факультета архитектуры ГТУ
Зураб Чачхиани, ф.профессор
Елизавета Хахуташвили, ассоц. профессор

Адрес редакции: Тбилиси, 0175, ул. Костава , 77

e-mail: *boris151132@rambler.ru*
адрес веб-страницы http://newsletters.gtu.ge

Georgian Technical University

Board of Editors:
Boris Imnadze *– PhD. – Chef-editor*
Teimuraz Jagodnishvili *– PhD. – Depuli editor*
Elizabed Kozlova *– Executive Secretary*
Board Members, Professors:
Chingiz Bedalov
Janetta Vardzelashvili
Konstantin Ramishvili
Gocha Mikiashvili
Zurab Chachkhiani
Elisabed Khakhutashvili

ISSN №1512-102X

Adress: 77, Kostava Str., 0175, Tbilisi, Georgia

e-mail: *boris151132@rambler.ru*
web-said's adress: http://newsletters.gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განათლება №2(5) (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე)

თბილისი 2012

გამომცემლობის რედაქტორი:

კორექტორები: ე. კოზლოვა
თ. მებუკე
თ. ბონდარენკო

კომპიუტერული დაკაბადონება:

რედაქცია: ბ. იმნაძე
თ. ჯაგოდნიშვილი

გადაეცა წარმოებას

ქაღალდის ზომა 1/8

ტირაჟი 500